

114
967/3



მეოთხედი

1967 10

მნათობი



სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

წელიწადი 44-ე

№ 10

ოქტომბერი, 1967 წ.

საპარტიველოს საბოთა მხარელების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

ალექსანდრე ქუთათელი — ზღვისადმი. ლექსი	3
ლადო ხულაბერიძე — უღრვეი სული. პოემა	4
გრიგოლ აბაშიძე — ყორხალი. რომანი ორ ნაწილად. ნაწილი პირველი. გაგრძელება	8
ანზორ საღულქვაძე — ლექსები	71
თენგიზ გოგოლაძე — შარადილი წყაროს სიმღერა. მოთხრობა	76
ვალერიან კანდიდაკი — მოლოდინი. სატელევიზიო პიესა	86
მირიან შირნელი — ლექსები	92
ვოდერიძე ქვიშვილი — ახალი ვარსკვლავი. მოთხრობა	94

ღიაღი 50 წელი


ალ. მუჭირი — ოქტომბერი და ქართული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა	115
--	-----

კრიტიკა და კულტისცინტია


გაბრიელ მეგრელიშვილი — მარქსის „კაპიტალი“ და ქართული საზოგადოებრივი აზროვნება	121
აკაკი ბაქრაძე — „მოთარის მოტაკების“ მედიტაცია	129
გივი გაჩეჩილაძე — ქართული ლექსი ინგლისურთან შეპირისპირებით	145
მამია დუდუჩაძე — ხელოვნების თავისებურების კვლევის შესახებ	159
ვახტანგ გოგუაძე — პოეტურისა და ფილოსოფიურის შესახებ მხატვრულ შემოქმედებაში	165

ნარკვევა

ნიკოლოზ ქაში — როცა ოცნება სინამდვილედ იქცევა	170
---	-----



ალექსანდრე გვახარია — ისტორიული მეგობრობის ფურცლები	127
ნოდარ კუპრაძე — მოთბობების პირველი წიგნი	178
ალ. ბენდიანიშვილი — „ქართული განმანათლებლობა“	186
ზურაბ კოკნაძე — „ფედონი“ ქართულად	189
ფილიპე ბერიძე — „ისე ლამაზად და ღრმად განვიცდი“	191
ნოდარ ჩუხაძე — ახალი ქართული დოკუმენტური რომანი	
სერგო თურნავა — მონოგრაფია კოლა ლომთათიძეზე	



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ი ო კ ო ლ ე ვ ი ა :

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ბ. უღენტო, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტიპოგრაფიული რ. ჩაყვტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პარკისპირა № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11, პ/მგ. მდივანს — 8-55-18, განყოფილებების — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/X-67 წ. ქალღმერთის ზომა 70X108. ინაწყოების ზომა 7 1/4 X 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 12. პირობით ფორმათა ჩაოდენობა 16. ეფ. 02268. ტირაჟი 7.900 შეკვ. № 3452.

საქ. კ. ცკ-ის გამოცემლობის პ/კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ზ ლ ზ ი ს ა რ მ ი

ზღვაო, უსაზღვრო ხარ სტიქიონი.
შენი ტალღები, ვით მაყრიონი
და ვით ურიცხვი ჯოგი და ფარა●
ხმელეთისაკენ ილტვიან მარად.

ვიცი არა გაქვს შენ დასასრული,
გაუგებარი ქართულით მოთქვამ.
შენთვის უცხოა აწმყო, წარსული
და არად გიჩანს ადამის მოდგამ.

შენთვის უცხოა ვნება, ცდუნება,
შმაგი მიჯნურის შაირთა ბუქი
და, ვით გულგრილი დიდი ბუნება
ბრწყინავ მარადი მშვენების შუქით.

არ გაჯადოებს მხარე სავარდო —
ნარინჯის ველი, მართლაც ედემი,
სადაც მერცხალი ცაში ნავარდობს
და აჯარულან ლურჯი ქედები.

შენ არად გიღირს მიწა ელადის,
რომლის კარიბჭეს ნგრევით ზვერავედი,
არგო, შედეა — კოლხეთის გედი,
ოქროს საწმისი და ფალმუხეთი.

არ გენანება ჭაღარა მითი
ხან სიბრძნით სავსე, ხან მიამიტი,
არც უფლისციხე, არცა კვერნაქი
და გაღარცლული სეტყვით ვენახი.

შენთვის საბრალო მწვემსი ქაცვია
და ბრძენთაბრძენიც არაკაცია,
კაცი თიხაა, მშით ანამღერი,
ჭვიშა, ნიჭარა, სხვა არაფერი.

გემის ჯავშანი, თევზის ქერეჭი
შენთვის არ არის ციცქმა მეჭეჭიც,
არ გენალღლება წყალქვეშ ქალაქი
და მთვარის ღრმულთა ჩრდილის ალაგი,

მიწის გულისკენ მძლე ჭაბურღილი,
კოსმონავტები... დიდება იმათ!
შენ, ვით ბუნება დარჩი გულგრილი
კაცის გოხების და ბრძოლის მიმართ.

შენ არ გაღელვებს დიდი ამბავი,
ასომთავრულით დაუსტამბავი —
ლამანშის ფსკერზე ფართო გვირაბი,
გმირთა სკაფანდრი, აირნილაბი...

შენი იგავის ვიჭერ ქამანდებს,
იდუმალ ვნით შე რომ გამანდე.
ვიცი არ გზიბლავს ლურჯი ტბა — რიწა,
ბეჭდის თვალსავით მთები რომ იცავს.

შენ არად გიღირს ბანა, გელათი,
სვეტიცხოველი, უცხოდ ნაგები,
და ისევ ელაგ როგორც ელავედი,
დიდი მგოსნების კალმით ნაქები.

ხან იკუპრები, კვეხბარ უკუნეთს,
ელვის ლახვარით პირგამეხილო.
ყალყზე შემდგარი ბორგავ, გუგუნებ,
თითქო ამ ქვეყნის წარღვნა გეხილოს.

ზღვაო, უსაზღვრო ხარ სტიქიონი.
შენი ტალღები, ვით მაყრიონი
და ვით ურიცხვი ჯოგი და ფარა,
ხმელეთისაკენ ილტვიან მარად.

ურჩი სურ

კოემა

1

წელზე მარტყია ჟანგიანი ეკალ-მავთული
და ზედ მაწყდება ქვეყნის ქარი
ფართქუნ-ფართქუნით.

დავეძებ ფინჩასს,
პურის ფინჩასს,
ჩიტის ასაკენკს,
ყრმობის ასაკი მოვილიე, მოვიასაკე.

დავეძებ ფინჩასს,
მესიზმრება მწვანე ჯეჯილი,
დავეძებ სითბოს,
მესიზმრება ცხელი ბუხარი.
მომდევს სიგიჟე
თვალდათხრილი, თმაგაჯეჯილი.
მეძახის, მიხმობს შორი მუნხარი.

თან მივაგორებ
ცივ გვამებით სავსე ურიკებს.
მათ სათითაოდ
მუჭა-მუჭა მიწას ვურიგებ.

ვფართხალე ეკალ-მავთულების
აბლაბუდაში.
არ მიძებნისარ არც ქრისტეში და არც
ბუდაში.

გეძებდი მზეში,
ზეში, ფოთოლში
და შემხვდი უცებ მომზრალ-მოთოშილს.
დავკარგე სახე,
დავეცი და ვედარ წამოვდექ.
მდიოდა სისხლი,
ბალახები წვენით მწამლობდნენ.

წამართვეს სისხლი,
მოქალაქის ყველა საბუთი,

წამართვეს ელვა,
და შენ, მწუხრო, თვალში ჩაბუდდი.

ჭრილობებს შავი ძონძებით ვიხვევ
და მოდის წამი სულის დაღვევის.
მიწაზე ვგდივარ
დანგრეული კოშკი და ციხე,
სისხლით ნარეცხი,
ნაბუქარი,
ნაგრიგალევი.

ველარ ვერვეი სულისა და სხეულის
კავშირს,
ვიყავი წყარო და ახლა დავმრი.

თუ სასწაული მოხდა და ჯძლიე
მშიერ-მწყურვალე ციების ხურვება,
მე დავკოცნი ნაპურალზე ამოსულ იებს,
ვივლი მშივრების დასაპურებლად.

წითელ სისხლს ვიფხვკ ჭრილობაზე
მიმხმარს,
სხეულზე მაჩნია სიკვდილის ნიშნები.
მე დავრჩი დიდი ცხოვრების მიღმა...
ვინგრევი...
ვიღუწები...
ვიშლები...

2

ვფართხალე ეკალ-მავთულების
აბლაბუდაში.
არ მიძებნისარ არც ქრისტეში და არც
ბუდაში.

გეძებდი მზეში,
ზეში, ფოთოლში,
და შემხვდი უცებ მომზრალ-მოთოშილს.



მესროლე ცხელი ელვის ქამანდი,
 ყელზე მომდე და მუხლი გავმართე,
 ფეხზე წამოვდექ,
 უცებ ავმალდი,
 აქუხდა ჩემი საარწივე, ჩემი სამართვე.

მიბნედილი მზის შუქი აფეთქდა,
 მხრებზე დამაწყდა ზეცის სიღურჯე.
 მზე წავეიდა ცად მირიად ღრუბლის
 ნაფერთალს,
 სულის სითეთრე გადამირუჯე.

სისხლმა მოიღო უცებ თქრიალი,
 ძარღვებში სისხლის აღმოჩნდა ჩქერი.
 არაგვის ხევის და დარიალის
 გადმომელვარა გრგვინვა და ფერი.

აქუხდა ჩემი საარწივე, ჩემი საჯიხვე,
 და აგუგუნდნენ შორი მუხები.
 დასცდათ ჭიხვინი ყრმობის აჯიღებს,
 აბოლდნენ ჩემი სოფლის ბუხრები.

3

გამიშვლებული, დედიშობილა
 მოდიხარ მაღლა შემართულ თვალთ.
 ნეტავი ახლა შეგატყობინა,
 როგორ ვიშიშვლე მე ბოღმის ხმალი.

გამეშდა მუნჯი ტყვეების ჯარი,
 მიბჯენილი გაქვს ზურგზე ხიშტები.
 მომაცხრა შენი ელვა და ქარი
 და ვგრძნობ, სახსრებში აღარ ვიშვლები.

ხმელ მიწას ადგამ შიშველ ფეხისგულს
 და გაეხარ ახლა ჯოჯოხეთში შემოსულ ევას.
 რა ვარამს უძლებ, გულში შეხიზნულს?..
 მე ახლა დღე ვარ,
 მე ახლა მზე ვარ.

და შენს უმანკო სხეულს ვეხვევი,
 ტანსაბურავად მომაქვს ნისლეები.
 ზურგზე მობჯენილ ხიშტებს ვეხვევი,
 ფარი ვარ ახლა შენი ღირსების.

შემართულ თოფით მოგდევს ჯალათი,
 თმა აგიშალა სიომ გიშერა,
 ასე სოკოზე ტყეში კალათით
 წასულხარ ბევრჯერ შენ ფეხშიშველა.

შემოგიყვანეს,
 უნდათ, გათვლონ
 ჩექმებით შენი ამაყი სული.
 ჩემი ბავშვობის წმინდა ნათელი,
 ამტკივდა ყრმობის მარადი წყლული.

ელვარებს შენი ტანი ტიტველი,
 სისხლიან თვალებს არ გაშორებს
 ავკაცი მრუში.

გადგიფრინა,
 ცას მიაცხრა გუნდი ჩიტების
 და ჩაიკარგა სორბალივით ღრუბლების
 ხნულში.

მიდიხარ მაღლა შემართულ თვალთ,
 შიშველ ძუძუებს არ მაღავე ხელით.
 ვერ დაგიმონა ოფიცერმა ქალწული ქალი
 და ახლა ყელზე მოგაბჯინა სიკვდილის
 ცელი.

დამუნჯებულ, თვალს გისწორებს
 ტყვეთა ლაშქარს, —
 შენი მშვენების ცეცხლმა მათზე
 გადიბრიალა.

მიდიხარ ნელა,
 არა კახბა,
 არა ლაჩარი, —
 მიდიხარ მშობელ მშით, ზეცით და
 სათბიანად.

მიდიხარ არა შიშველი და
 ტანგაძარცველი, —
 გაცვია უდრეკ სულის ბეგთარი.
 მიგყვება ქარის ფრთათა ტაკუნნი
 და ტყვე კაცების გულის ფეთქვანი.

ირმის ფეხებით მიაბიჯებ
 და ხარ ირემი,
 გედივით ყელი მოიღერე,
 ხარ თეთრი გედი.
 თან მიგაქვს უხვი ნანადირვეი:
 უდრეკი სული,
 სილამაზე,
 ამაყი ბედი.

4

მე შენ დაგტოვე ყრმობის ატმებთან,
 ატმის ყვაველთა ფერად თოვანში.

ქარი შავი თმის სურნელს გართმევდა,
მერე დაქროდა ლაფვარდოვანში.

ბეპლები გასხდნენ ჩითის კაბაზე,
ცხოვრობდი ჩემი პროსპექტის ბოლოს.
ველტკოდი შენი პურის საბაზებს,
მე მათი პური მიყვარდა მხოლოდ.

მე შენი ქარის ფრთები მარწევდა,
შენი გრიგალი მამარბაცებდა.
მე დავდიოდი შენს მემაწვენსთან
და შენი უბნის ტანბრგვე კაცებთან.

შენი სახლის წინ პატარა ჭადარს
მე შევეჩვიე და შემეყვარდა, —
როცა ქალაქში არავინ ჩანდა, —
მოსვლა იმ შენი ეზოს ჭიმკართან.

იქ გულისცემა სულ ამიჭარდა,
გაოგნებული ვიყავი თვითონ.
და შრიალეზდა ჭადარი, თითქოს
შენ ჩურჩულებდი ჩემ-ჩემად ქართან.

მე მივდიოდი ჭადართან გვიან,
(ის ღამეები აღარ დამშორდნენ).
შენ ეს არასდროს არ გაგიგია,
ჭადარს არ უთქვამს ეს არასოდეს.

ყველაფერს, რაც კი შენ ახლოს გყავდა,
მეგონა, სული ჩაედგა შენი.
რამდენი რამე ვუთხარი ჭადარს,
მარტოდენ შენთვის გასაგებ ენით.

მე ვოცნებობდი, მომეკლა ტახტი
და შენთვის მეძღვნა მისი ეშვები.
ერთხელ დობილებს მინდორზე ახლდი
და ცვარსა სვამდი თეთრი პეშევებით.

შენ ერთხელ ჩვენი მდინარის პირას
დატოვე კაბა,
შეცურდი წყალში.
მე დაგინახე და შემრცხვა, ცირა,
და მოგარიდე თვალეები მაშინ.

გამიშვლებული, დედიშობილა
მიდისარ მალლა შემართულ თვალით.

ნეტავე ახლა შეგატყობინა,
როგორ ვიშიშველ მე ბოლმის ხმალი

არ მოგარიდე ამჯერად თვალი,
ზურგზე მობჯენილ ხიშტებს ვეხვევი.
ახლა არა ხარ შენ მხოლოდ ქალი,
ბალახს არ თელავ შიშველ ფეხებით.

და გულზე სკდება ჯალათი მრუში, —
მიდისარ ჩვენ წინ, როგორც ღვთაება.
ფეთქავენ თოფის ლულების ღრუში
შენი სიკვდილი და უკვდავება.

მიგაქვს სიშიშველე, როგორც ბრიალა
ალამი მარად უჭკნობ შევნების.
ყრმობის ჭადრებმა დაიგრილა
და აჭიზინდნენ ყრმობის ცხენები.

არ მოგარიდე ტანშიშველს თვალი,
შემოგცქერიან ტყვე კაცები, ამართეს ქედი.
არა ხარ ახლა მარტოდენ ქალი,
გადმოგეფარა ლურჯი ციდან მანდილი
დედის.

ბრაზით იხრჩვება ავზორცი კაცი,
ლოყაზე ეწვის მას შენი სილა.
შენ ახლა ბოლო ფიალას დაცლი
და გადიქცევი ღმერთების ძილად.

არ შემომხედო,
იციკრე მალლა,
მზეს გაუსწორე ცისფერი თვალი.
შენ ქალიშვილი არა ხარ ახლა,
შენა ხარ დროშა სუყველა ქალის.

ვაიმე, ახლაც ვერაფერს გეტყვი
და ასე ბოლო ფიალას დაცლი.
დავიღეწები მე შენი სეტყვით,
მერე შენს ძეგლად ვიქცევი კაცი.

შენ დაგახლიან ძუძუზე ტყვიას
და ამოსვდება ძუძუდან სისხლი.
ცისფერი თვალი დაგრჩება ღია
და ჩემში შუქი გადმოვა მისი.

ფრესკები მინახავს, ფრესკები, ჩემო,
ტაძრების კედლებზე ნახატია.

რომ შემომველო ყველა ტაძარი, ჩემო,
შენნაირს ვერაფერს ვნახავდი.

თეთრ კედელს აეკარ, მე ელდა მზარავს,
შემართეს შავი თოფის ლულები.
შენ მიიჩნიე სიკვდილი არად, —
თითებით შეისწორე თმის კულულები.

ლულებს ჩაჰხედე ცისფერი თვალებით,
ჯალათს ესროლე ვარგარა ლახვარი...
არ შემომხედო, გემუდარები,
მე ახლა არა ვარ დასანახავი.

გალადებთან შენი სიწმინდით
მშობელი მთები, ველები, კორდები.
შენ ტყვია ვერ მოგკლავს,
მე შემიწყვილდი
და აწი შენს აჩრდილს არ მოვშორდები.

იქუხეს თოფებმა.
ვაიმე, ვაიმე!
ტუტუდან ამოსკდა წითელი სისხლი.
მიწაზე დაეცი.
ვაიმე, ვაიმე!
სადა მაქვს, წაგაფარო ნისლი.

შენი ფერები გადმოიდვარა ჩემში,
დატოვე სიცოცხლე შენ ჩემდა წილად,
ტუტუზე მიიფარე პატარა პეშვი
და გადაიქეცი დემურთების ძილად.


7

შემოაგორეს ურიკა ცივი
და დაასვენეს ზედ შენი ნეშტი.
ვერ ჩამოაღწევს მიწაში სხივი,
რომ გათბეს გრილი სამარის ნესტი.

გადაგაყარეს ფხვიერი მიწა,
მიწამ დაფარა სიშინვლე შენი.
გრძელ სამარეში სხვაც ბევრი იწვა,
გულდაბუგული ტყვეობის სენით.

შენი სახლის წინ პატარა ჭადარს
მე მივალწვევ და გავათვევ ღამეს.
გავჩხრიკავ ჩემი ბავშვობის ღადარს
და შენს ლანდს ვეტყვი უამრავ რამეს.

მე შემრჩა შენი ამაყი ბედი,
მე შემრჩა შენი ღამაში სული.
და ვივლი აწი მარადი სვედით,
მორჩენელი ბავშვობის წყლულით.



გრიგორ ავაშიძე

ყოჩხელო

რომანი ორ ნაწილად

ნაწილი პირველი

თავი II

შვილის ავადმყოფობით გაბანჯული მამა ფულს კოვლობს

ელისოს ეძინა.

ექიმი წასულიყო.

შინ თანაგრძნობისათვის მოაცილა, თორემ მთელი ქალაქის ექიმები დიდი ხნის შერიგებულნი იყვნენ თავიანთ უძღურებას, იცოდნენ, რომ შველა არ შეეძლოთ და მკურნალობა უშედეგო იყო. მარტო კლდეეთის ექიმები კი არა, თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო სპეციალისტებიც არაერთხელ ჰყავდა მონახულებული ელისოს და მათგანაც მუდამ იმედდაწმენდილი ბრუნდებოდა: გულდასმით სინჯავდნენ, იკვლევდნენ, წაშლუბს უნიშნავდნენ და დარიგებას აძლევდნენ, მაგრამ იმ წამლებისა არც თვითონ სჯეროდათ და წინასწარვე შერიგებულნი იყვნენ, რომ უკურნებელ სენს ვერ დაამარცხებდნენ და ბავშვს არა ეშველებოდა რა...

ავადმყოფისკენ ზურგშექცეული ლევანი პირში პაპიროსს აწვალებდა და ფანჯარას გაჰყურებდა.

სახლი მდინარის პირას იდგა.

სარკმლიდან ქალაქის მთელი გაღმა ნაწილი ჩანდა, მაგრამ ლევანი ახლა ვერაფერს ხედავდა.

მის გულსა და გონებაში საშინელი ტკივილი გაბატონებულყო. იმ ტკივილსაიბრალებლისა და საკუთარი ულონობის განცდა კიდევ უფრო ამძაფრებდა და ახლა სხვა რამეზე ფიქრი აღარ შეეძლო.

სანამ ეთერი ცოცხალი იყო, ლევანს ამ ქვეყნად ის ჰყავდა საფიცრად, მის მეტი ქალთაგან არავინ ჰყვარებია. მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა, ლევანისთვის საქალეთს ბინდი გადაეფარა, ისიც ეთერთან ერთად მოისპო და გაქრა.

ცოლის სიყვარულით გაუმადლარმა ვაჟკაცმა, ყველა ადამიანური გრძნობა შვილზე გადაიტანა. ელისო ლევანისათვის მარტო შვილი კი არ იყო, იგი ეთერის ცოცხალ ზატად ესახებოდა და ცალად დარჩენილი მამა ქალიშვილის აღზრდაში მთელ თავის არსებასა და ცხოვრების აზრს აქსოვდა. ეთერის დაკარგვის დღიდან ლევანი ელისოსთვის მამაც იყო და დედაც. ძუძუ არ უწოვებია, თორემ სხვაგვარი ერთადერთი შვილისთვის არაფერი დაუკლია და უღებობა არ უგრძნობინებია.

თავად ლევანი ისე იყო შვილზე ზრუნვის შეჩვეული, მისი არსებობის იმდე-

ნად განუყრელ ნაწილად ქცეულიყო ეს ზრუნვა, რომ ალბათ უამისოდ სიცოცხლეს ვერც წარმოიდგენდა.

ეს უკურნებელი სენი, რომელმაც ჯერ კიდევ ადრე იჩინა თავი, თითქოს იმის მიზეზად იქცა, რომ კიდევ უფრო მეტად შეპყვარებოდა უბედურ მამას თავისი ერთადერთი შვილი, კიდევ მეტი სიბრაღული და გულსისყური გამოეჩინა ამ მშვენიერი, მაგრამ უშუქო გოგონას მიმართ.

უკანასკნელ წლებში ავადმყოფობამ იძალა და ბავშვს ხელი ღარია. თუ ადრე წელიწადში მხოლოდ რამდენიმეჯერ ართმევდა კიდურებს დამბლა, ახლა ზედღიხედ ემართებოდა და ზოგჯერ გაკვეთილიდან შინ ვეღარ მიდიოდა.

ექიმები პასაკში შესვლით ხსნიდნენ ავადმყოფობის მოძალეტას. იმის შიშით, რომ ელისო სადმე ქუჩაში არ წაქცეულიყო და რაიმე უბედური შემთხვევის მსხვერპლი არ გამხდარიყო, ლევანი ბავშვს მარტო ვეღარ უშვებდა შინიდან. დილით სკოლაში აცილებდა და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ უკანაც თვითონ მოჰყავდა.

ეს ბოლო წელი მანც სატანჯველად გადაექცა ლევანს. მანამდე რა უშვდა, სოფიო ედგა მხარში, აღმზრდელი მამიდა შინ ჰყავდა და იცოდა, რომ მის ხელში ბავშვს არაფერი გაუქირდებოდა.

წელს მამიდაც დაკარგა ლევანმა და ბავშვი მთლიანად მამის ხელის შემყურე დარჩა.

მოსამსახურის შოვნა სცადა, მაგრამ სანდო და საიმედო არავინ გამოადგა.

ბოლოს იმეც ყველაფერი თვითონ იღო კისრად და ვაიტანჯა კაცი, სახლისა და საშსახურის საქმეს, ბავშვის მოვლასა და მუშაობას ვეღარ აუღიოდა, თავს ველარაფერს ართმევდა.

აქეთ-იქით აწყლებოდა და კარგად ვერაღ ველარაფერს აკეთებდა.

მანც გულს არ იტებდა, ბედს არ ურიგდებოდა და მორევში ჩაბრუნებული კაცივით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იბრძოდა.

ლევანი ექიმების რჩევა-დარიგებას არ სჯერდებოდა. წიგნებს ჩანუჯდა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას საგანგებოდ შეისწავლა. ბავშვის სწეულებას დიდი ხნის განმავლობაში განუწყვეტლად, დღისით და ღამით აკვირდებოდა და გარეგნული ნიშნებით წინასწარ გრძნობდა შეტევის მოახლოებას.

ყველა ღონეს ხმარობდა, ყველა გონიერულ რჩევასა და გზას ცდიდა, მაგრამ სწეულს ვერც წამლით რგებდა რამეს, ვერც შეგონებითა და ვერც სხვა საშუალებით.

ბოლო ხანებში ორჯერ ჰყავდა ელისო თბილისსა და ლენინგრადში.

გაიყიდა კაცი.

ვალუბში ჩავარდა და ბავშვს კი მაინც ვერაფერი უშველა. მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის საუკეთესო სპეციალისტები ახლობლებივით ღებულობდნენ, ბავშვის ჯანმრთელობაზე ესოდენ ზრუნვას უქებდნენ და ამხნეებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერავითარ არსებით საშუალებაზე ვერ უთითებდნენ და მთელ იმედს მომავალზე ამყარებდნენ.

როცა მეცნიერების უძღურებაში დარწმუნდა, ლევანმა ხალხური საშუალებების ძებნასა და ძველი სამედიცინო ლიტერატურის შესწავლას მიჰყო ხელი.

მაგრამ ხალხისა და კარაბადინების რჩევა და წამლობა კიდევ უფრო უძღური და იმედის გამცრუებელი აღმოჩნდა.

სახალხო მედიცინასა და ხალხის წარმოდგენას ელისოს მსგავსი ავადმყოფი ავი სულით შეპყრობილად, დაბადებითვე ღვთივგანწირულად მიანდათ.

რაკი სწეულება მიუღდგომელი და უკურნებელი იყო, მას ავადმყოფის მიერ ჩადენილ ცოდვათათვის ღვთისგან მოგლენილ სასჯელად თვლიდნენ, ხოლო სწეულს — ღვთისგან შეჩვენებულად და დაწყევლილად.

მაგრამ ელისო ჯერ უმანკო ბავშვი იყო.

მას არც ღვთის, არც ადამიანების წი-

ნაშე არავითარი შეცოდება არ მიუძღვოდა.

უფლის სასჯელი მხოლოდ მშობლების დანაშაულისთვის შეიძლება დატყდომოდა თავს ელისოს.

რახან გარდაცვლილი მეუღლე ხორც-შესხმულ უცოდველობათა და სათნოებად მიაჩნდა, ლევანი შვილის უბედურების სათავეს თავისთავში ეძებდა და საკუთარ სულში გააუღმებით იხსრიკებოდა.

წლებისაგან დაძირულ ფენებში, დაიწყების ფერფლწყარილ კუნძულებში მესხიერებადაძაბული ჯაყნებოდა და საკუთარი სინდისის სამსჯავროს სინათლეზე ამოჰქონდა ყოველივე ის, რაც მის სულს ოდესმე დაღად დაჩნეოდა, რაც ცოფავდა და დანაშაულად ჩაეთვლებოდა და რაც შემდეგ შვილზე წყევლავდა, შეჩვენებდა შეიძლება ვადასულიყო.

ყველას თუ არა, ადამიანთა უმრავლესობას მაინც აქვს თავისი სულის ცხრაკლიტული, იმ ცხრაკლიტულში ნებისთ თუ უნებლიედ ჩადენილი ცოდვა-დანაშაულია დამარხული და მას მართო დაიწყების ან მესხიერების შესუსტების ფერფლი კი არ ფარავს, არამედ პირობის დაუთქმელად ადევს ხელშეუხებლობის ტაბუ. ადამიანს არ უნდა იმ ცხრაკლიტულის გახსნა, რადგან ზედაპირზე, სამზეოზე გამოტანილი საიდუმლოს უკანვე ვაღამალავა და სხვათა თვალისთვის მიუწვდომელ სამალავში გამოწყვეტევა შეუძლებელია; იგი აღარც ცოდვის ჩამდენის აფორიაქებულ სულს აღიარებს დამწვიდებას და არც სასოვადობა მისცემს დაიწყებას, ვიდრე ცოდვებს მადლით არ ვაპოისყიდის ბოროტების ჩამდენი და დანაშაულს სასჯელი არ მოჰყვება.

ამიტომ ერიდება და უფრთხის ყველა ადამიანი თავისი სულის იმ დაფარულ ნაწილს, ცდილობს ახლო არ გაეკაროს მას და კაცთაგანს არავის გაავებინოს ის, რისი გახსენებაც საკუთარი თავისთვისაც აკრძალული, ტაბუდადებული აქვს.

მაგრამ საკმარისია ადამიანი რაიმე მძიმე გამოცდის წინაშე დადგეს და ძლიერი სულიერი რყევა განიცადოს, რომ იგი კვლავ თავისი წარსულის პირისპირ აღმოჩნდეს და იქ დაიწყოს კატასტროფის მიზეზის ძებნა.

მედიცინაზე, მეცნიერებაზე გულგატეხილს და იმედგაცრუებულ ლევანს ღმერთიც არ სწამდა.

არც ის სჯეროდა, რომ მშობლების რაღაც დანაშაულისა თუ ცოდვისათვის ისჯებოდა მისი ერთაღერთი შვილი.


ელისოს ბედსა და მისი სწეულების მიზეზზე თითქმის განუწყვეტლად ფიქრობდა და გონებას, ლოგიკურ მსჯელობას იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ მშობლების ცოდვა-დანაშაული არ შეიძლება შვილის სწეულების მიზეზად ქცეულიყო.

მაგრამ გული, ერთხელ დაქვეებული გული მოსვენებას არ აძლევდა, ლევანის ფიქრსა და ძიებას სულ აქეთ წარმართავდა და მესხიერების ღრმა ფენებში აჩხრეკინებდა იმ ცოდვათა კვალს, რომლებიც უდანაშაულო ელისოს უბედურების მიზეზად ქცეულიყვნენ.

ლევანი გრძნობდა თავის სისუსტეს გულის ამ დაქვეების წინააღმდეგ ბრძოლაში. გონების მიერ მოშველიებულ საბუთებს ურყევი დამაჯერებლობა არ ჰქონდათ, ხოლო თავად ლევანის განვლილი ცხოვრება, ისევე როგორც თითქმის ყველა ადამიანის წარსული, თავიდან ბოლომდე ნათელი და უჩრდილო არ იყო და ერთხელ აღძრულ ექვს გასაძლიერებლად საკვებს საკმაოდ აძლევდა.

ეს მერამდენჯერ აღებდა ლევანი თავისი წარსულის ბნელი მოვონებების უახშულ კარებს, პირისპირ დგებოდა თავისი სინდისის წინაშე და სამართლიანობის სასწორით სწონინდა თავისი ცხოვრების არცთუ ისე მოკლე გზაზე ნებისთ თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, რომელიც ცოდვადა და დანაშაულად შეიძლება ჩათვლილიყო.

ყოველთვის, როცა ასეთი ფიქრი წა-



იღებდა, მოგონებაში ორი სურათი ამოტივტივდებოდა და ცოცხლდებოდა: ერთი ყრმობისდროინდელი უბედური შემთხვევისა, პატარა ეკას რომ სოკო მისცა და კეთილშობილებით ნაყარნახევმა ამ ნაბიჯმა ორი აღამიანის უნებლიე მკვლელი გახადა, ხოლო მეორე შემთხვევა კიდევ უფრო უწყინარად და უცოდველად ეჩვენებოდა დღემდე, თუმცა სწორედ ამ შემთხვევამ დაღუპა მისი უახლოესი მეგობარი, თვითონაც სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა და ერთდროს რაიონში ყველაზე გავლენიან კაცს კორექტორისა და საღამოს სკოლის მასწავლებლის ადგილის შოვნა ღიდ სიძნელედ უქცია.

... კლდეებში ერთი თვის განმავლობაში მიჰღინარებოდა მთელს კავშირში გახმაურებული სასამართლო პროცესი. ასამართლებდნენ ოცდახუთი წლის ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ქმრისა და შვილის მოკვლა ედებოდა ბრალად. სასამართლოს ანდრო ავალიანი თავმჯდომარეობდა, ხოლო ბრალდებულად პროკურორი ლევან გაფრინდაშვილი გამოდიოდა. პროცესისაღმე ინტერესი უჩვეულო იყო, თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულებიც ბლომად ესწრებოდნენ და პრესაც გასამართლებას ფართოდ აშუქებდა.

ლევანის სიტყვამ სასამართლოსა და დამსწრე აუდიტორიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთებმა მთელი სვეტები დაუთმეს პროკურორის გამოსვლას, ხოლო კლდეეთის საზოგადოებას იმ დღეებში სხვა სალაპარაკო აღაჩაფერი ჰქონდა, სამსახურსა თუ სუფრებზე პროკურორის სიტყვიდან ციტატებს იხსენებდნენ და ყველა შესაფერის შემთხვევაში იმოწმებდნენ.

მთელი რესპუბლიკის ყურადღება იმ დღეებში კლდეეთის სასამართლოს დარბაზისკენ იყო მიპყრობილი და მის სხდომებს გაფაციცებით აღევნებდნენ თვალს. პროკურორისა და დამცველისა საშუალება ეძლეოდათ საზოგადოებრი-

ობის ყურადღება მიექციათ და ერთბაშად ფართო პოპულარობა მოეპოვებინათ.

გიორგი მთელიანი

ლევანი გულმოდგინედ მოემზადა პროცესისათვის, საქმის ზედმიწევნით გაცნობას არ დასჯერდა და დიდძალი ლიტერატურაც გადაიკითხა.

პროკურორის სიტყვამ არა მარტო საქმის ღრმა ცოდნითა და დანაშაულის გონებაშახვილური ანალიზით დაიპყრო დარბაზი, არამედ ორატორული ხელოვნებისა და გადმოცემის ფორმის არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობითაც.

პროცესი დამთავრდა. ლევანი გრძობდა, რომ იგი თავისი კარიერის მწვერვალზე იდგა, გაზეთები მისი სიტყვიდან მოყვანილი ადგილებით იყო აჭრელებული, ქუჩაში გავლისას დიდი და პატარა მასზე უთითებდა, მისი გამოჩენა ყველგან სასურველი და სიხარულის მომტანი იყო. ალბათ საკუთარი ღირსების შეგნებით გამოწვეული სიხარული დიდხანს გაჰყვებოდა, რომ...

სასამართლოს პროცესის დამთავრების მეორე დღეს თბილისიდან ჩამოსული ამხანაგების პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ლევანი თბილისელი ადვოკატის გვერდით მოხვდა.

სუფრას ანდრო თამაზობდა. რაკი პროცესზე სიტყვით გამოსვლის საშუალება არ ჰქონდა, ანდრომ თავისი შესანიშნავი მკვერმეტყველება სუფრაზე გამოამჟღავნა და ყველა მოხიბლა. სავალდებულოდ მიღებულ სადღეგრძელოებს რომ მორჩნენ, უკვე კარგად შეზარხოშებულნი იყვნენ.

ავალიანმა თბილისელი სტუმრების სადღეგრძელო ცალ-ცალკე შესვა და გზადაგზა ჩატარებული პროცესის შინაარსისა და მნიშვნელობის შეფასება და ანალიზიც წარმოადგინა.

ჭერი ლევანის სადღეგრძელოზე მიდგა.

ანდრომ მოკლედ ილაპარაკა გაფრინდაშვილის დამსახურებაზე, მის დიდ ნიჭსა და ამ პროცესზე გამოვლენილ მაღალ ოსტატობაზე.

— ჩემთვის უხერხულია ჩემი მეგობ-

რის ნიჭსა და ერუდიციასზე ბევრი ვილაპარაკო. ერთს კი ვიტყვი: მისმა ნაქითობამ და განსწავლულობამ სასამართლოს დამსწრეთა გაოცება და აღტაცება თუ გამოიწვია, ამ ფართო განათლებას ლევანმა საფუძველი აქვე, კლდეეთის ზემოთ მდებარე ერთ პატარა სოფელში დაუდო და თითქმის არალეგალურად, ერთ საიდუმლო ბიბლიოთეკაში ეზიარა სოკრატესა და არისტოტელის, ტაციტიუსა და ციცერონის სიბრძნეს...

ანდრომ ეს სხვათაშორის თქვა ზა ამ საგანზე სიტყვა აღარ გაუგრძელებია. ყველამ რომ აღდეგარქელა, ლევანმა სამადლობელი შესვა და დაჯდა.

— რა არალეგალურ ბიბლიოთეკაზე ლაპარაკობდა ჩვენი თამადა?

ღიმილით ჰკითხა თბილისელმა დამცველმა ლევანს.

ლევანი უკვე კარგა შემთვრალი იყო. მან სიამოვნებით უამბო თბილისელ სტუმარს, როგორ აღმოაჩინეს დიდიხნის წინათ ავალიანების ბინაში კარჯახშული ბიბლიოთეკა, როგორ ქურდულად შეიპარნენ იმ ბიბლიოთეკაში და რა სიხარული განიცადეს უმდიდრესი წიგნთსაცავის მიგნებით.

ანდრო გულახდილად ჰყვებოდა ყველაფერს და არც იმ აკრძალული წიგნის ამბავი გამოჩინია, რომელიც შეშინებულებმა კარადანა და კედელსშუა შეისროლეს, რომ ვისმე არ ენახა.

— კი მაგრამ, სულმა არ წაგძლიათ? ცოტა მინც არ წაიკითხეთ? — ჩაეძია თბილისელი დამცველი.

— რას ბრძანებთ, წაკითხვა კი არა. ზედ რომ დავხედდეთ და ხელი შევახეი, იმაზედაც შიშით გული კინალამ გავვისკდა.

ერუდიციამ, თბილისელი სტუმრის ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო, სიტყვა სხვა საგანზე გადაიტანა და ქეიფი გავრძელდა.

ერთი კვირის შემდეგ ანდრო ზა ლევანი დააპატიმრეს. ბრალდების ერთადერთ საბუთად ორივეს ის წყეული წიგნი წარუდგინეს, რომელსაც თურმე „კლდეეთის სასამართლოს თავმჯდომე-

რე და პროკურორი ახალგაზრდობიდანვე გულმოდგინედ სწავლობდნენ და ფარულად სხვებსაც აკითხებდნენ“.

— მამა!

გაისმა ელისოს ხმა და ლევანი უმალე მოტრიალდა. ნამძინარეე ბავშვს სახე ისევ დათეთქვილი ჰქონდა, მაგრამ ცოტა ფერი მოსვლოდა.

— შენ ისეე აქა ხარ? სამსახურში რატომ არ წახვედი?

— ვიყავი, შვილო... ვიყავი და მოვედი.

იცრუა ლევანმა. შვილის საწოლს მიუახლოვდა, სკამზე ჩამოჯდა და თავზე ხელი გადაუსვა.

— როგორ ხარ, ჩემო გოგო?

დაყვავებით ჰკითხა და ხელი ახლაღოყაზე მოუთათუნა.

— კარგად, მამა. ახლა არა მიშავს. ელისომ მადლიერი თვალი მიჰაყრო მამას, ხელი დაუქირა და გულში ჩაიკრა.

ტელეფონის ზარმა დარეკა.

ლევანი წამოდგა.

— ალო! გამარჯობათ, ალექსანდრე ხარ? უკვე ჩამოხვედი? რას ამბობ, ალექსანდრე!.. არიქა, მიშველე!.. მოვრბივარ, ახლავე მოვრბივარ...

აღტაცებულმა სხაპა-სხუპით ჩასძახა, მილი ზაავლო, ელისოსთან მიიჭრა და გადაეხვია.

— გეშველა, შვილო! შენი წამალი ჩამოუტანია ალექსანდრეს, ახლავე გავიქცევი და მოვარბენინებ...

ლევანმა ელისო ჩაკოცნა და ის იყო ოთახიდან უნდა გავარდნილიყო, რომ უცებ კართან შეჩერდა.

— მარტო ვერ დაგტოვებ, ელისო. მეზობელს ვეტყვი და ის მოგხედავს.

— მე არაფერი მიჭირს, მამა... ჩემი დარდი ნუ გეჭნება.

დაადგენა გამოცოცხლებულმა ელისომ.

ლევანმა მეზობელ ქალთან შეიბრძინა. ცოტახნით ბავშვთან დარჩენა თხოვა და ქუჩაში სირბილით გაიჭრა.

კარგახნის წინ ვაზეთში ამოიკითხა ლევანმა, მერე თბილისისა და ლენინგრადის ექიმებმაც უთხრეს, საზღვარგარეთ ახალი პრეპარატი მოიგონეს, რომელიც ძალიან შველის ელისოს ავადმყოფობასო.

ის წამალი ჯერ ჩვენში არსად იყო.

რას არ გააკეთებდა ლევანი, წყალში ჩაღებოდა, ცეცხლში ჩავარდებოდა, ოღონდ ის წამალი სადმე ეშოვნა და ელისოს მდგომარეობა შეემსუბუქებინა.

ბოლო დროს ხმა მოდიოდა, აქა-იქ თბილისშიც გაჩნდა ის პრეპარატიო.

იმედოცემულმა ლევანმა მაშინვე კლდეეთის აფთიაქის გამგეს — ალექსანდრეს მიატანა.

ალექსანდრე ძველი მეაფთიაქე იყო, გამოცდილება და ნაცნობობა დიდი ჰქონდა, გაუჩინარის გაჩენა იცოდა და ლევანი ცრემლებით შეევედრა იმ წამლის შოვნას.

ალექსანდრემ თავი გამოიღო, შენი ბავშვის საცოდაობით მეც აღარა ვარ, ქვეყანას გადავაბრუნებ და, თუ კი სადმე არის, იმ წამალს გიშოვნისო.

მას შემდეგ ორჯერ იყო თბილისში ალექსანდრე, ორჯერვე ხელცარიელი დაბრუნდა, მაგრამ ლევანს მაინც არწმუნებდა, უსათუოდ გიშველიო.

ამ ერთი კვირის წინათ, თბილისს რომ მიდიოდა, ალექსანდრემ ლევანს პატიოსანი სიტყვა მისცა, ახლა კი ნამდვილად ჩამოგიტან შეპირებულ წამალსო.

მოუთმენლად ელოდა ალექსანდრეს დაბრუნებას. დღეს დილიდანვე რეკავდა აფთიაქში, გამგის ჩამოსვლის დროს აზუსტებდა და, მაღლობა ღმერთს, ჩამოსულა! ჩამოსულა და წამალიც ჩამოუტანია!

ლევანი ფრთაშესხმული მიჰქროდა.

ალექსანდრე აფთიაქში არ დახვდა.

თანაშრომლებმა უთხრეს, შინ არისო.

გამგე აფთიაქის თავზე ცხოვრობდა და მის ბინაში კიბე აფთიაქიდან აღიოდა.

ლევანმა ის გრძელი კიბე ბავშვივით სულმოუთქმელად აირბინა, **კენწეული** ზარი ორჯერ დარეკა. **ბიზლიწოთქა** კარი თვითონ ალექსანდრემ გაუღო.

— მობრძანდი, ლევან... მობრძანდი... შენზე მაღარიჩია!..

ჩამოართვა ხელი და შინ შეიწვია.

ალექსანდრე მარტოხელა კაცი იყო. დიდი წესრიგი არც სხვა დროს უნახავს მის ბინაში ლევანს, მაგრამ ახლა ყველაფერი აფორიაქებული ეჩვენა: გახსნილი თუ გაუხსნელი ყუთები და ჩემოდნები, ტანისამოსი და ფეხსაცმელები — ყველაფერი არეულად იყო მიყრილ-მოყრილი იატაკზე და სავარძლებზე, სკამებზე და საწოლებზე.

— აქა მშვიდობა!

თქვა ლევანმა და მიიხედ-მოიხედა.

ჩამოჯდომა უნდოდა, მაგრამ თავისუფალი სკამი არსად ჩანდა და უხერხულად გაიხრდა შუა ოთახში.

— აქ მო, რა გაჩვენო...

მაგიდისკენ გაუძღვა ალექსანდრე, ორი სკამი გაათავისუფლა, ერთი ლევანს მიუჩოჩა, მეორეზე თავად დაჯდა და მაგიდის უკრა გამოაღო.

უჭრიდან ბრჭყვიალა ცელოფანში გახვეული კოლოფი ამოიღო.

— ქვეყანა შევძარი და გიშოვე... მფრინავმა ჩამოიტანა ამერიკიდან.

ლევანმა ხელი გაიშვირა, მაგრამ ალექსანდრემ კოლოფი განზე გასწია და არ დაანება.

ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული წამლის ქება და თავისი ღვაწლის გამოჩენა.

— სამი ფლაკონია. ეს მკურნალობის მთელ კურსს ნიშნავს. ერთ წელიწადს მაინც დაიხვენებ შენი ელისოს ავადმყოფობისაგან.

— ნეტავი ავარე იქნებოდეს!.. დღესაც კინალამ დამედუბა.

— იქნებოდეს რას ჰქვია, ლევან!.. უეზარი საშუალებაა. ვაზეთებში ხომ წაიკითხე, რაც ეწერა, ახლა ავერ ნახე, რა წერია!

ალექსანდრემ კოლოფი გახსნა და

ფლაკონზე შემოხვეული, დაკეცილი ფურცელი გაშალა.

ლევანმა ფურცელი ჩამოართვა და დააქცერდა.

— ინგლისური ტექსტია. ულექსიკონოდ ვერ გავიგებ, არც იმდენი ვიცი.

— ლექსიკონით ნახე, ბატონო... რა გეჩქარება!..

ალექსანდრემ ფურცელი უკანვე ჩამოართვა, წინანდებურად დაეცა, ფლაკონს ზედვე შემოახვია და ისევ კოლოფში ჩაღო.

— რაც მე ამის შოვნაზე გადავხდა! სად არ ვიყავი! სამჯერ აეროდრომზე მომიხდა გასვლა... ორჯერ ტყუილად ვიყურეუბტი... არ ჩამოვიდა ის მფრინავი... სხვა ჩემს ადგილას ხელს ჩაიქნევდა და მესამედ აღარ გავიჯოდა იმ სიშორეს, მაგრამ გულმა არ მიქნა, ცალკე შენი სიყვარულითა და პატივისცემით, ცალკე შენი ბავშვის საცოდაობით. ხომ იცი, უპურმარილოდ არაფერი კეთდება და ამ ინფარქტიანმა კაცმა ორჯერ დავლიე იმ მფრინავთან.

თითქოს გახსენებაზე უჩხვლიტაო, ალექსანდრემ უცებ გულზე წაივლო ხელი. სახე დაეღმიჭა და ფერმა გადაჰკრა. ჯიბიდან ვალიდოლი ამოიღო.

— ცუდად ხომ არა ხარ? წყალი ხომ არ დაგაღვინო? — იკითხა შემოღოთებულმა ლევანმა.

ალექსანდრემ უარის ნიშნად ხელი გაიქნია, ნერწყვი რამდენჯერმე გადაყლაპა, სახე დაუმშვიდდა და ნელ-ნელა ფერიც მოუვიდა.

— არაფერია... ასე ხშირად ვიცი და ამით ვცოცხლობ, — თქვა ალექსანდრემ და ვალიდოლზე ანიშნა.

ლევანი ვალიდოლს დააქცერდა. ეს წამალი მამინ ჯერ კიდევ ახალი იყო და კლდეებში ალექსანდრეს მეტს, ალბათ, ნახულიც არავის ჰქონდა.

— გშველის?

იკითხა ლევანმა.

— უებარია! დროზე თუ მოასწარი, ნაღვია, მაგრამ წამალი და ღვინო ერთმანეთს ვერ ეწყობიან. მე სხვას ვარიგებ და თვიფონ სხვაზე მეტს ვსვამ. ნაინფა-

რქტალი კაცის სმა როგორ შეიძლება, მაგრამ რა ტქნა... არ დამელო!

ალექსანდრე ისევ იმ მფრინავთან დალევას ამადლოდა. ლევანმა თავი დამნაშავესავით ჩაღუნა და წრფელი გულით წარმოსთქვა:

— სამუდამოდ შენს ვალში ჩამავდე, ალექსანდრე, და ეგ არი... შენს მადლობას ვერ გადავიხზო.

— მადლობა რა საჭიროა, ლევან, შენ თუ არ უაგებმარებები, აბა ვის უნდა დავგებმარო, ძმებივით ვართ ერთად ვაზრდილები.

ალექსანდრემ უჯრიდან კიდევ ორი კოლოფი ამოიღო და სამივე წინ დაიწყო.

— ძვირი კი ღირს... მამასისხლად აფსებენ, მაგრამ რას იხამ! უცხოური წამალია, ჯერ ჩვენში არ კეთდება და იქიდანაც ძნელად, იშვიათად შემოდის.

— ფასს ვინ დაეძებს!

ისტებიარგაუტეხლად უნდოდა ეთქვა ლევანს, მაგრამ უცებ ხმა გაეზარა. სათქმელი აღარ დაამთავრა, სახეზე ნაცრისფერმა გადაჰკრა და ისე მოაჩერდა ალექსანდრეს, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს ელოდა მისგან.

— ფასი მართლაც არ არის სახსენებელი! ამისთანა იშვიათსა და ძნელად საშოვარს რომ იშოვის კაცი, ფასს აღარც იკითხავს. სულ სამი ათასი არის. თითო ფლაკონი ათასი ღირს! ხვალე ან ფული უნდა გადაუფუგზავნო ვისგანაც ვისესხე, ან ეს წამალი უნდა დავაბრუნო უკან.

ვითომ სხვათაშორის თქვა ალექსანდრემ, კოლოფებს ხელი მოხვია, უჯრამში ჩაღო და კლიტე ორჯერ გადაატრიალა.

ლევანს მეხი დაეცა.

ყელამდე ვალში იყო ჩავარდნილი, რედაქციაში და საღამოს სკოლაში, სადაც შეთავსებით მუშაობდა, ნახევარი თვის ხელფასი წინასწარ ჰქონდა აღებული.

უცებ გაიხსენა ყველა, ვისთანაც ფულის შოვნა შეიძლებოდა. ყველას ვა-

ლი ემართა და მეორედ აღარავისთან მიესვლებოდა.

მაინც ყოყმანი და მით უფრო უარი არ შეიძლებოდა. მიწა უნდა ვაეხეტოქა და საღმე, როგორმე ის სამი ათასი უნდა ეშოვა.

— ზვალამდე უნდა გიშოვო?

იკითხა გალახულივით წამომდგარმა ლევანმა.

— ზვალ შუადღემდე. თორმეტ საათზე ჩვენი საწყობის შოფერი მიღის საქონლის ჩამოსატანად და იმას უნდა ვავატანო ან ფული, ან...

ლევანმა თავი დაუქანია. მაგიდის ჩაქტილ უჭრას ერთხელ კიდევ შეხედა ნაღვლიანი თვალით და ალექსანდრეს ხელი გაუწოდა.

— ნახვამდის, ალექსანდრე... შენი კირიმე, არ დამღუპო და სხვას არავის მისცე... ზვალამდე რამეს გავაწყობ...

— შენი ბავშვისათვის ჩამოტანილ წამალს სხვას ვის მივცემ, ლევან... მეც უფულოდ ვარ ახლა, თორემ ჩემსას გადავუგზავნიდი და შენ გადროვებდი... ხომ იცი, რაც ჯდება თბილისში ჩასვლა. დღეში ზოგჯერ ათასი მანეთი არ გყოფნის კაცს და მთავრობა ოცდაექვს მანეთს ძლივს იძლევა! მაგათი სამივლინებო, აეროდრომზე რომ სამჯერ ვიყავი, ტაქსის ფულად არ მეყო, მაგრამ რას იზამ, ამას ხომ ვერავის ვუანგარიშებ!

ლევანი გარეთ გამოვიდა.

მის უკან კარი მიიხურა და უცებ თითქოს გული ჩაწყდა მარტო დარჩენილს.

იცოდა, რომ იმ კარს ხელახლა ისე ველარ შეაღებდა, თუ თან სამი ათას მანეთს არ მიიტანდა.

წელა, მძიმე ნაბიჯით ჩამოდიოდა კიბეზე.

ალექსანდრესთან მაგრად ეჭირა თავი და თუ თვითონ არ სჯეროდა, აფთიაქარი მაინც დააჯერა, რომ ზვალ შუადღემდე სამი ათას მანეთს იშოვიდა.

ახლა, მარტო რომ დარჩა და ყველა

ნაცნობი თუ უცნობი გაიხსენა, უცებ იგრძნო სრული უღონობა. არცნებოდა კიბე ნახევრად ჩამოათავსა.

გზის გაგრძელება ველარ შესძლო. მიუხედავად უსუსტეს და თავისდაუნებურად ჩაიკეცა კიბის საფეხურზე.

ქული მოიხადა და ცხვირისახოცი თოვლი მოიწმინდა.

სად წავიდეს ახლა ლევან გაფრინდა-შვილი?!

შინ ავადმყოფი ბავშვი უცდის, ის ბავშვი ამდენი ხნის ნაოცნებარ წამალს უკვდავებასავით ელის და ხელცარიელი როგორ უნდა მივიდეს.

არ ეთქვა მაინც, რომ წამალი ჩამოუტანეს და მის მოსატანად მიდიოდა!

ლევანის გონებაში ფუტკარივით ირევა კლდეეთის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელისა და ქალაქის ყველა მცხოვრების სახე. ამდენ დაწესებულებაში, ამდენ ხალხში ერთი კაცი აღარ არის, რომ ამ უკიდურესი გაჭირვების ეამს მიატანოს, ფულის სესხება თხოვოს და ხელის გამართვის იმედი ჰქონდეს.

კაცს რომ დღენიადაც ეჭიმიხა და წამლის ფული სჭირდება, ვინდა ეყოლებას შეუწყუხებელი!

ვის კარზე არ მიუყვანია გაუთავებელ უფულობას და ვისი ვალი აღარა აქვს ამ ქალაქში!

თვითონაც მობეზრდა ეს დაუსრულებელი მათხოვრობა და მევალეებს ხომ უფრო ადრე ექნებათ მობეზრებული მისი ბოდიშები, ვალის დაბრუნების უიმედო დაპირებები.

რედაქციაში ბუღალტერს თვალს ველარ უსწორებს, ამდენი ხნის გაუნადგებელი ავანსი დღემდე უკანონოდ აწერია, ხელფასი წინასწარ აქვს აღებული და თანამშრომელი არ დარჩენილა, ფული რომ არ ჰქონდეს გამართმეული.

ურთიერთდახმარების სალაროდან აღებულ სესხს დიდხანია ვადა გაუვიდა, მაგრამ ყველამ იცის ლევანის გაჭირვება, ყველას ეცოდება და რაკი ახალი დახმარების აღმოჩენა არ შეუძლიათ, ცლილობენ ძველი ვალის გახსენებით

აღარ შეაწყუნონ, ისედაც შეწყუბებულია დაბეჩალებული კაცი.

აფთაქში ქალების კისკისი გაისმა.

ლევანი გამოერკვა. ერთხელ კიდევ მოიწმინდა ოფლი, თავს ძალა ლატანა, წამოდგა, კიბე ფეხისთრევეთ წაიარა, აფთიაქში არაფერსაღებ მისებდავს და ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

გაბრუებული მიბიჯებდა, საით მიდიოდა, არც იცოდა. თავისდაუნებურად, რატომღაც ისევ თავის მხალს მიაღვია.

კარი უხმოდ შეაღო.

ფანჯარასთან რედაქციის მემანქანე იჯდა.

ლევანის დანახვისთანავე ფეხზე წამოდგა.

— ბეჭდვა მოვათავე. საქმე აღარაფერი იყო და რედაქტორმა გამოამიშვა. მუშობელი გავისტუმრე... თქვენც წაბრძანდით, ბატონო ლევან, რედაქციაში გიცდიან.

ჩურჩულით უთხრა ნატომ.

— ძინავს, არა?

გადახედა მძინარე ელისოს.

— ნწვიდად ძინავს... ერთხელაც არ წეშჯოთებულა.

— აბა, წავიდე რედაქციაში?

— წაბრძანდით. სხვა საქმეებიც გექნებათ... მე დრო მაქვს და თუ საქირო იქნება, ელისოსთან დილაშდევ დავრჩები.

ლევანმა მადლიერი თვალი მიაპყრო გულკეთილ თანამშრომელს.

— კარგი, აბა, წავალ ცოტახნით.

ქალიშვილმა თავის დაქნევით, უხმოდ დაუდასტურა თავისი თხოვნა.

ლევანი უხერხულად შეიმშენა და ფეხაკრფით გავიდა.

ქალაქის რესტორანს მიუახლოვდა.

შორიდანვე შენიშნა რესტორნის გამგე.

გამგეს ჩვეულებად ჰქონდა, გარეთ, რესტორნის წინ დგომა, პოლთის ცემა და გამვლელ-გამომვლელთან მსალათი. ახლაც ლადო ბატის ფრთით კბილებს იჩიქნიდა და ქუჩის მეორე მხარეს ვიდაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა.

ლევანის დანახვაზე უმაღ მისკენ შე-

მოტრიალდა, გაბადრულ სახეზე ღმილი აიკრთა და ლევანსკენ შემწუბებული წამოვიდა.

— გამარჯობა, ბატონო ლევან! თანაგრძნობით უთხრა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, ლადო!

— კიდევ ცუდად გყავს ბავშვა, არა?

— ცუდად...

— ერთ წუთს შემოდი, ლევან, ცოტა დაისვენე... თითო ჭიქა შეგესვათ... თუ ლევანს არ დალევ, ცივი ბორჯომი მიირთვი.

ლევანი ბავშვობიდან იცნობდა ლადოს. მთელმა კლდეებმა იცოდა ლადოს პარიფათი: რესტორანში ჩიტის რძის გაჩენა შეეძლო, მაგრამ ტყავსაც სამპირაუდ აძრობდა მუშტარს.

ერთ-ორჯერ რაიონის ვაზეთშიც „ჩავარდა“, მაგრამ ვაზეთის მხილებას შედეგი არ მოუტანია და არც რედაქცია ჩაპყროლია ღღინში რესტორნის გამგეს.

თავად ლადომაც არ იცოდა ცუდის დამახსოვრება. ხანი გამოხდა, წყენა დაივიწყა და რედაქციის მუშაკებს ისევ ისე მეგობრულად ხედებოდა, თითქოს მათ შორის უსიამოვნების ჩრდილი ერთხელაც არ ჩამოწოლილიყო.

ლევანი საერთოდ არ იყო მსმელი. ლადოს რესტორანსაც ყოველთვის გაუზრბოდა, მაგრამ ახლა ისეთ გუნებაზე იყო, გულითად შეპატივებაზე უარი ვეღარ თქვა და გამგეს რესტორანში შეპყვა.

რესტორანში ცოტა ხალხი ჩანდა. ხაში გაეთაგებინათ და ჯერ სადილობაც შორს იყო.

კუთხის მაგიდას მიუხსდნენ.

ლადომ მიმტანს ანიშნა და სუფრაზე უცებ გაჩნდა ორი ბოთლი ღვინო თავისი საუზმით.

ლადომ სასმისები შეავსო.

— ეს შენს ელისოს გაუმარჯოს! გამოჯანსაღებულიყო, მალე კარგად შენახოს!

გულწრფელად თქვა ლადომ, ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა და ღვინო გადაპყრა.

— გმადლობ, ჩემო ლადო... ღმერთმა პქნას!

ხმადაბლა თქვა ლევანმა, ჭიქას ჩაამტერდა, მერე უცებ ასწია და სულმოუთქმელად გაიშალა.

— რაღაც წამალს რომ გპირდებოდნენ, ვერ იშოვნე?

თავუღებულად იკითხა ლადომ, მწვანელილი ხილი, ხელზე დაიფერთხა და პირისკენ ნელა წაიღო.

— ვიშოვნე.

ამოთხვრით თქვა ლადომ.

— უპ, რას ამბობ, კაცო!.. გაგახარა ღმერთმა! — აღტაცებით წამოიძახა ლადომ, მაგრამ ლევანის ჩამყავებულ სახეს რომ შეხედა, ღრანჭი გაუჩერდა.

ლევანს თავი ჩაედუნა და სდუმდა.

— ალბათ ძალიან ძვირია, არა?

მიუხვდა გასაკირს ლადო.

— ძვირია... ძალიან ძვირი...

სასოწარკვეთით გადაიქნია თავი ლევანმა.

— ეს არის საქმე, კაცო? წამალი ძვირი უნდა იყოს? ამდენხანს შოვნას ნატრობდი და ახლა ის უნდა იწუხო, რომ ვერ ყიდულობ!

— ძალიან ძვირი ღირს... ხვალ დილაზე თუ ვერ ვიშოვე ფული, შეკარგება წამალი, არადა, ამ დღეებში არსაიღან არაფერს ველი.

— ეპ, არ დაკარგო, თუ კაცი ხარ! შეუძება ლადომ.

ლევანმა იმედმოცემული თვალით შეხედა, მაგრამ ლადომ მზერა აარიდა.

— არ გადროვა ალექსანდრემ?

ხმადაბლა იკითხა ლადომ.

— არ გადროვა... ხვალ შეადღემდე მაქვს ვადა.

ლადომ ჭიქები შეავსო.

— მე მაინც მქონდეს ეს ოხერი... მაინცდამაინც ახლა ვარ ქესატად.

ვითომ სხვათაშორის წაიღუდუნა ლადომ და წინდაწინ მოუჭრა ლევანს ფულის თხოვნის გზა.

მერე უცებვე ჭიქა ასწია.

— შენ გაგიმარჯოს, ლევან! დალიე, დარდით საქმეს ვერ უშველი.

ლადომ ჭიქა დაცალა.

2. „ნათობი“, № 10.

ლევანი კრიკაშეკრული იქნა და თავს არ იღებდა.

აქ რომ შემოდია, გულში რომელიღაც კუნჭულში მცირე იმედი ჰქონდა, ეგებ ლადო შევიდეს ჩემს მდგომარეობაში და სესხი შემომთავაზოსო. ლადოს ვალი უკვე ემართა, მის წინაშე ისეთი არაფერი სიკეთე მიუძღოდა, რომ ვალზე ვალის წამატების დიდი იმედი ჰქონოდა, მაგრამ რაკი ფულიანი კაცი იყო, მისგან ასეთი კეთილშობილების გამოჩენა შესაძლებლად მიაჩნდა.

მოდინი არ გაპართლდა, ლადომ ნიდაგის მოსინჯვაც არ აცალა, პირველი სიტყვიდანვე ცივი წყალი გადაასხა და ლევანი ახლა ნანობდა, რომ მასთან დასალევად შემოვიდა.

— მიწა უნდა გახეთქო და ეგ ფული იშოვო... მაგ წამლის დაკარგვა არ შეიძლება... მერე ვინ იცის, იშოვი თუ არა კიდევ.

ფულის სესხებაზე უთხოვნელად თქვა უარი ლადომ და ახლა ლევანს იმას უმტკიცებდა, რაც თვითონაც მასზე კარგად იცოდა გაწამებულმა მამამ.

— ბიძაშენს ვერ თხოვ, ლევან?

ბიძის ხსენებაზე ლევანს სახე კიდევ უჯრო მოედუნა.

— ბიძაშენ აბესალომს ფული ბლომად აქვს... თითო ბავშვის მონათლავი ათას მანეთს აძლევენ და რიგი დგას მის მონასტერში. მერე ვინ ნათლავს შეილებს, არ იკითხავ? — ლადომ ხმას დაუწია და ისე განაგრძო, — სულ დაუდიდი ხალხი... ზოგიერთი კომუნისტები!

ლევანისათვის ამის გაგონება ახალი როდი იყო. ამას წინათ რედაქციაშიც შემოვიდა კორესპონდენცია: ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკსაც მოუნათლავნიბია ბავშვი აბესალომისათვის. კორესპონდენციაში მარტო იმ მუშაკის ვინაობა კი არ იყო მხილებული, ბავშვის ნათლიებიც დასახლებული იყვნენ და ის ნათლიები კომუნისტები ბრძანდებოდნენ.

— იმ კვირაში მე და შენც ვიყავით

10.476

საქართველოს
საბჭოთა კავშირის
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საბიბლიოთეკო

ერთი ნათლობის პურმარილზე, ჩვენი აღმასკომის...

— ნათლობა სად იყო, ბავშვის დაბადების დღეს დაგვპატიყეს, შე კაცო. პირველად ხომ არ ვიყავით, ყოველ წელიწადს იხდის ბავშვის დღეობას.

— სხვა დროს რას შერებოდა, არ ვიცი, მაგრამ წინა საღამოს ჩვენი მასპინძლის ჭიშკართან აბესალომის ჯორი დიდხანს იყო გამობმული ჯა, როგორც ხმა გამოვიდა, ბიჭი ჩუნად, სახლში მონათვლინებია.

— იქნებ თვითონ არ იცოდა და ცოლმა გააკეთა მის უნებართვოდ.

— იცი, რა? ახლა, ძმაო, ყველაფერს ცოლებს აბრალებენ, თუ ვინმემ ქრთამი აიღო, ან რაიმე უკანონო საქმე ჩაიდინა და გამჟღავნდა, მაშინვე ცოლებს აწოფებდნენ, მე არაფერი ვიცოდი, ცოლს ჩემთვის არ უკითხავს, ისე გაუკეთებიაო. ეს რომ ასეა, შენც კარგად იცი, მაგრამ ახლა ამას დაფანტვით თავი... მთავარი ისაა, რომ ბიძაშენს ფული აქვს და ამაზე მეტი გაჭირვება შენ როდის გექნება! ახლა ვინდა ნათესავიც და შეინანიც.

— ვერ ვთხოვ... სიკვდილი მიჩვენებია აბესალომთან მისვლას.

— რათა, ამის ფასი რა დაუშავე?

— უმძრახად ვართ, აგერ ოცი წელია.

— ოცი წელი დიდი დროა, შენც უნდა დაივიწყო წყენა და იმასაც დაიწყებულნი ექნება...

— არა, აბესალომი არ დაივიწყებს...

— ამისთანა რა უქენი?!

— ეგ ვრძელი ამბავია და თანაც ძველი.

— ბიძაშენი მორწმუნე კაცია, პატივებასა და ცოდვების მიტევებას სხვებს უქადაგებს და თვითონ არ უნდა გააბტიოს?

— არ მაპატიებს. დაფიცებული აქვს, წყალში რომ ვიბრჩობოდე, ხელი არ გამომიწოდოს.

— ოც წელიწადს აღარც ფიცსა აქვს ძალა ჯა აღარც გულმოსულობა გააყვებოდა. შენ მაინც შენი ცადე, რაკი სხვა

გზა არ გაქვს. თავმოყვარეობა თუ გაჩერებს, დროებით ეგვეცდარიყვეთ. ბავშვის ყოფნა-არყოფნის საქითხი დგასადა პირადი წყენა ამ დროს არც უნდა გაინახნო... ყოველ შემთხვევაში, ბიძაშენისთვის მაგ წამლის ფული არაფერი არ არის, გინდ ჰქონია და გინდ არა... დანარჩენი შენ იცი.

რესტორანში მუშტრები შემოვიდნენ. ლადომ შორიდანვე შეაგება ღიმილი.

— მობრძანდით... აგერ კაბინეტში დაბრძანდით.

ლადომ აწრიალდა.

ლევანმა შეატყო: ლადომ ხათრით ვერ ტოვებდა, თორემ გული იმ ახლადშემოსულებისაგან მიუწევდა და მასთან მხოლოდ ზრდილობისათვის იჯდა.

გაფრინდაშვილმა ვითომ შემთხვევით ახედა საათს მოპირდაპირე კედელზე.

— უპ, დამგვიანებია!

ამოიძახა შეწუხებულმა.

— უნდა წავიდე, ლადომ. დიდი მადლობა პატივისცემისათვის.

ლევანი წამოდგა, მასპინძელს ხელი გაუწოდა.

ლადომ კარამზე მიჰყვა.

— ბიძაშენს მიაკითხე... აბესალომი კეთილი კაცია და უარს არ ვეტყვის. მეც, თუ რამე გავახერხე, ხომ იცი მივდგებ-მოვდგები.

ბოდინის მოსაწმენდად დაადევნა გარეთ გასულ ლევანს და სწრაფადვე შებრუნდა მუშტრებისაკენ.

მერე სად წავიდა, სად იყო და რას აკეთებდა, აღარაფერი არ ესმოდა ლევანს.

რედაქციაში რომ შევიდა, მაგიდას ჩვეულებრივ მიუჯდა, პაპიროსს მოუკიდა და გააბოლა. თანამშრომლები როგორღაც მოწყენილები, გაკრძალულები ეჩვენა. თავჩაღუნულები ჩურჩულთ ელაპარაკებოდნენ ერთიმეორეს და ფეხაკრეფით დადიოდნენ, თითქოს ცდილობდნენ ვიღაცის მყუდროება არ დაერღვიათ. ხანდახან რომელიმეს მხერას წააწყდებოდა და ნაღვლიან თვალებში თანავგრძნობას კითხულობდა.

რატომღაც არც ტელეფონზე რეკავდა

ვინმე, არც უფროსები ეძახდნენ. თავთავის საქმეს ყველა ჩუმად აკეთებდა და თითქოს პირი შეჰკრესო, ლევანს არავინ აწუხებდა.

პაპიროსი იღვოდა და ახალ-ახალს უკიდებდა. თითქოს ჩაფიქრებული იყო, თუმცა კი არაფერზე ფიქრობდა, გონება როგორღაც გამორთვოდა და თვითონაც არ იცოდა ან იმ პაპიროსს რატომ აბოლებდა ასე დაუსრულებლად, ან გაღიუღოს როგორ აქრობდა, ან ახალს რატომ უკიდებდა. ყოველივე ავტომატურად, თავისთავად და გაუცნობიერებლად კეთდებოდა.

დრო კი გადიოდა.

მეორე დღის თორმეტ საათამდე დარჩენილ მანძილს ყოველი წუთი ამოკლებდა. ლევანს ქვა უნდა გაეხეთქა და ფული ეშოვნა. ის კი თითქოს ამ უძნელესი ამოცანის წინაშე არც მდგარიყო. თითქოს წინ კიდევ დიდი დრო და შესაძლებლობა ჰქონოდა, ფულის საშოვნელად არავითარ ნაბიჯს არ დგამდა და ხელს არ ანძრევდა.

სამუშაო დრო როგორ გასრულდა, არც გაუგია. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, დასლაგებელმა რომ შემოჰპყო თავი და შორიდებულად აკითხა:

— შინ არ მიდინართ?

ლევანმა დასლაგებელს უაზროდ შეხედა.

— სამუშაო დღე გათავდა.

— შეახსენა დასლაგებელმა.

ლევანმა იქაურობას თვალი მოავლო: თანამშრომლები ჩუმად ვაკრუფილიყვნენ.

პაპიროსის კოლოფი დახურა.

— მივლივარ...

უხალისოდ თქვა ლევანმა და წამოდგა.

უკვე მზე გადახრილიყო. დაწესებულება დაცარიელებულიყო და გრძელ ოთახებში დასლაგებელი მარტოღონად რტო მიმოდიოდა.

ლევანი ნელი ნაბიჯით გამოვიდა ქუჩაში.

შინ ფეხაკრეფით შევიდა. თავი უხურდა და საშინელ დაღლილობას გრძობდა.

ელისოს ოთახში შეიჭვრიტა. ავადმყოფს ეძინა. სასთუმალთან ნატო უჭდა და გახეთს კითხულობდა. კარი უხმოდვე მიხურა. ჰამაზე არც უფიქრია, თავის ლოგინზე გაუხდელად მიეგლო და როგორც კი ფიქრისაგან დამძიმებული თავი სასთუმალზე მიდო, მაშინვე მკვდარივით დაეძინა.

ხმაურმა გამოაღვიძა.

ელისო ისევ ცუდად გამხდარიყო. ავადმყოფის თავთან უმწეოდ ტრიალებდა რედაქციის მემანქანე.

ლევანი გამწარებული წამოხტა. ბავშვს მივარდა, თავი ბალიშზე გაუსწორა, საწოლთან ჩამოჯდა და ხელში ელისოს მაჯა დაიჭირა.

გამალეებით ფეთქავდა მაჯა და ელისოს მთელი სხეული ბურთივით უხტოდა.

ლევანი სასოწარკვეთილი მიჩერებოდა ქალიშვილს. მაჯა ტყუილად ეკავა, პულსს უკვე აღარ თვლიდა. უაზროდ გადატრიალებულ თვალებში დაყინებით ჩასცქეროდა და იმედწარწერიული იქიდანღა ელოდა ხსნის ნიშანს.

როგორც იქნა, ავადმყოფი ნელ-ნელა დაწყნარდა, ცახცახი დაუცხრა და გრძლად, მშვიდად დაიწყო სუნთქვა.

— უკეთა ხარ, შვილო?

ჩასძახა საწყალობელი ხმით ლევანმა და მუბლზე ოფლი მოსწმინდა. ელისომ წამით მიაპყრო ჯერ კიდევ არეული მხერა, თვალი უმაღლე მიხუჭა და ამოიკვნესა:

— მიშველე, მამა!..

ლევანს გულზე ცეტლი შემოენთო, სიმწრის ოფლი დაასხა, აწრიალდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და უღონოდ მოავლო თვალი იქაურობას.

— სანამ ეს მომივიდოდა, სიზმარი მეზმანა. — ნელა, ძილში წასულივით დაიწყო ელისომ.

— რა გეზმანა, შვილო?

გამოცოცხდა ლევანი.

— ვითომ თოვლის ბაბუა მოვიდა და

სათამაშოებით სავსე ხურჯინი მომიტანა. საჩუქრები რომ ამოალაგა, ბოლოს ჩემი წამალიც ამოიღო, სულ ვერცხლის ქაღალდებში იყო გახვეული და თვალისმომკრელად ბრწყინავდა.

უჩრიდან ბრწყვიალა ცელოფანში გახვეული კოლოფი ამოიღო ალექსანდრემ.

— ქვეყანა შევძარი და გიშოვნე... ბფრინავმა ჩამოიტანა ამერიკიდან.

ლევანმა ხელი გაიშვირა ჩამოსართმევად, მაგრამ ალექსანდრემ კოლოფი განზე გასწია და არ დაანება. წამალი გულგრილად ისევ უჭრაში ჩასდო და კლარტე ორჯერ გადაატრიალა.

— მამა, ერთი სათხოვარი მაქვს...

შეეხვეწა ელისო და თვალი ვედრებით მიაპყრო.

— თქვი, შვილო.

— ჯერ პირობა მომეცი, რომ შემისრულებ.

— პირობას გაძლევ, თქვი, გენაცვალე.

— ბაბუა აბესალომი მოვიდეს.

ლევანს ფერი ეცვალა.

— არ მოვა, შვილო. ბაბუა აბესალომი ჩვენზე გამწყრალია და არ მოვა.

— შენ შეუთვალე და მოვა... აცნობე, რომ მე ვარ ავად და ვნატრულობ.

— ვიცი, რომ არ მოვა... დედაშენის სოკედილზეც არ მოვიდა.

— ჩემი ხათრით მოვა... მე ვუყვარვარ...

ელისომ თვალი მიხუჭა და განაგრძო.

— თუ არ გამოიწყრები, ერთ საიდუმლოს გეტყვი.

— თქვი, შვილო, შენ როგორ გავიწყრები.

— ბაბუა აბესალომმა შარშან ჩუმად მომნათლა.

— რაო, რა თქვი?

იყვირა ლევანმა.

— შარშან მაიღა სოფიომ ჩუმად მოიყვანა ბაბუა აბესალომი. შენ მაშინ თბილისში იყავი. საიდუმლოდ მომნათ-

ლეს და დამაფიცეს, რომ შენთვის არ გამემხილა.

— როგორ გაბედა! კბილის ღრქილით თქვა ლევანმა და საწოლის თავს ხელი დაარტყა.

— მე მაპატიე, მამა, ჩემი სურვილი იყო.

შენ ნათლობისა რა იცოდით, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ავადმყოფ ბავშვთან კამათსა და ჩხუბს აზრი არ ჰქონდა, ლევანმა სათქმელი აღარ თქვა და ხელეები უღონოდ გაასასვავა.

— მას შემდეგ აღარ ყოფილა ბაბუა აბესალომი. შენ თუ არ თხოვ, არც არასოდეს მოვა...

— არ მოვა... ვაიგე, რომ არ მოვა...

ლევანმა აღშფოთება ვეღარ დაიოკა და ფეხზე წამოვარდა. ოთახის ერთი კუთხიდან მეორესკენ გაბრაზებული გადი-გამოდიოდა.

ბოლოს, თითქოს გონს მოეგოო, შეჩერდა და ავადმყოფს სინანულით მიაპყრო თვალი. უცებ მოეჩვენა, რომ ელისო ისევ ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, ზელ-ფეხი ისევ წართმეოდა და ოდნავ ცახცახებდა.

ლევანმა საცოდავად ამოიგმინა, მოტეხილმა საწოლთან ჩაიჩოქა და ელისოს თმაზე ხელით მიუღალურსა.

— ახლაც წავალ, შვილო, ბაბუა აბესალომთან... ოღონდ შენ გახდი კარგად და ახლაც წავალ.

ელისომ მადლიერებით სავსე თვალი მიანათა.

ლევანი ფეხზე წამოხტა, ქედს ხელი დაავლო და გარეთ გამოვარდა.

ლევანი ყორნალის გზას იმ გადაწყვეტილებით დაადგა, რომ ბიძისათვის ფული ეთხოვნა. თუ მკაცრი და შეუვალი აბესალომი კეთილ გულს უჩვენებდა და ამ მთავარ თხოვნას აუსრულებდა, ლევანი ელისოს ნატვრასაც ეტყოდა და ავადმყოფი ბავშვის სანახავად წაყოლას შეეხვეწებოდა.

თითქმის სირბილით მიდიოდა.

ქალაქს გასცდა და ყორნალის აღმართს შეჰყვა.

დაღლილობა იგრძნო, აღმართზე შედგა, ცოტა სული მოითქვა და ნელ ნაბიჯზე გადავიდა.

ტყუილად მიდის ლევანი აბესალომთან.

წინასწარ იცის, ავდენი ხნის უმძრახი მოხუცი ხმას არ გასცემს და მის თხოვნას ყურს არ ათხოვებს.

კერკეტი, გაუტეხელი მოხუცია აბესალომი. ბუნებით გულკეთილი და ლობიერი ბერიაკაცი ძნელად ვისმე მოიძულეს, მაგრამ ერთხელ თუ ვინმე შეიჯავრა, მერე მორჩა, მისკენ გულს აღარ მოიბრუნებს.

აი, თუნდაც სპირიდონ დიაკვნის ამბავი რად ღირს!

სპირიდონი სოფლის ხმას აჰყვა, ეკლესიას განუდგა და აბესალომი მიატოვა.

აბესალომს ხეფწინით კალთა არ ჩამოუხვევია, გულმოსულმა ეს სიტყვა მხოლოდ:

— ღვთის უარყოფელს ისევე ღმერთი ანანებს. ისევე უფალი მოიყვანს ჩემ კარზე, უკანვე.

იმ დღიდან ერთი წელიც არ გასულა, სპირიდონის მარჩენალი შვილი მატარებელმა გაიტანა და სხვისი შესანახავი ბერიაკის ბედი უკულმა დატრიალდა. უღონო მოხუცს ახლა თვითონ უნდა ერჩინა და შეენახა ობლად დარჩენილი შვილიშვილები.

შიშშილმა რომ შეაწუხა, ხელში ყავარჯენი აიღო, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ თავისი და ობლების ვასაძლომი ვერსად იშოვა. სხვა რა მუშაობა შეეძლო ოთხმოც წელს მიტანებულ მოხუცს, თავმოყვარეობა დაივიწყა და ამპარტავნობაგატეხილი ისევე მონასტერს მიადგა.

აბესალომს ფეხებში ჩაუვარდა და ცრემლით შეეხვეწა:

— მივიღე უკან, მამაო! შემცოლვე ვარ უფლისა და შენს წინაშე. შენ თვითონ გიბრძანებია, ღვთის უარყოფელს ისევე ღმერთი ანანებს, ისევე უფალი მოიყვანს

უკანო. აჰა, ვნანობ და ვბრუნდები უკან უფლის ჩაგონებით.

— გვიან არი, სპირიდონ! ახლა უფალს აღარ უნდისარ. — ცივად მოუჭრა თურმე აბესალომმა, მავედრებელს ზურგი აქცია და აღარ მოხედა.

საიდან არ მიუდგა სპირიდონი, ვინ არ მიუგზავნა აბესალომს, მაგრამ ვერ იქნა და მისი გული ვერ მოაღბო. დეკანოზმა ნადიაკვნარი ახლო არ გაიკარა და მონასტრის ზღურბლზე ფეხი აღარ გადააღმგვეინა.

— უფალი დიდია და კაცს ყოველგვარ ცოდვას შეუნდობს, მაგრამ ორი ცოდვაა უდიდესი, რომელიც არც კაცისაგან ეპატიება შემცოდეს და არც ღვთისაგან. ეს ორი ცოდვა ღვთისა და ქვეყნის ღალატია.

არაერთხელ უთქვამს აბესალომს ძმისწულისათვის და ახლა ამ სიტყვების განსენებამ ისევე შეაჩერა ლევანი:

რომ მიდის, სად მიდის და ვისთან მიდის?!

აბესალომი ალბათ ჭიშკარშიც არ შეუშვებს ეკლესიისაგან გამდგარს, მონასტრის გუმბათიდან ჯვრის ჩამომხსნელსა და ღვთის უარყოფელ ძმისწულს.

ფეხებშიაიც რომ ჩაუვარდეს და ხამლი უკოცნოს, ალბათ ზედაც არ შეხედავს და სპირიდონ დიაკონსათვის ცივად მოუჭრის:

— სინანული გვიან არი, ღვთის მგმობელი და სარწმუნოების მოღალატე აღარც ღმერთს უნდა და აღარც კაცს!

არა, ამასაც არ ეტყვის! ლევანი ხომ სპირიდონითი პატიებისა და შენდობის სათხოვნელად არ მიდის აბესალომთან. იგი არაფერს არ ნანობს და თუ რამ წყენა ან გულისტყენა მიუყენებია აბესალომისათვის, დღესაც სამართლიანად ეჩვენება, დღესაც მტკიცედ სჯერა, რომ რელიგია ხალხის მტერია და სარწმუნოების მსახურთ მშრომელი ხალხისათვის უბედურებებს მცეტი არაფერი მოაქვთ.

ლევანი არც მონასტრის გუმბათიდან ჯვრის მომხსნერევას ნანობს, არც ხატე-

ბის შეურაცხყოფასა და არც ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმულ სხვა რომელიმე ნაბიჯს.

ეს ასეა და, მაშ რაღად მიდის აბესალომ დეკანოზთან, რით ფიქრობს მისი გულის მოღობობას? მართაოდენ ბავშვის ავადმყოფობითა და თავის უმწეო მდგომარეობით?

აბესალომი ავახასია და კაცის მკვლელს უფრო გაუწვდის თანაგრძნობის ხელს, ვიდრე მონასტრის გუმბათიდან წმინდა ჭვარის ჩამომდებლსა ჯა ხალხის რწმენის შეურაცხყოფელს.

ვანა სასაცილო არ იქნება მისი თხოვნა? რაც უნდა შელამაზებულად უთხრას, მთავარი აზრი ხომ ეს იქნება: აბესალომ დეკანოზო, შენ ხალხს ცრურწმენას უნერგავ და ატყუებ, გონებას უბნებ და ფულებს ცანცლავ. მე ცამდე მართალი ვიყავი, ჭვარი რომ მოვამსხვრიე შენი მონასტრის გუმბათს. წირვა-ლოცვაზე ხელი უნდა აიღო, მონასტერი დაეკეტო და პატიოსანი შრომით იცხოვრო, თუ ვინდა ჩვენს ახალ საზოგადოებას ეზიარო. მაგრამ სანამ ამას იზამდე, იმ უკანონოდ ნაშოვნ ფულიდან საში ათასი მანეთი უნდა მასესხო. შეილი მყავს საშინელი სენით დაავადებული, სხვაგან ვერაფერს გავხდი, შენ ალალი ბიძა ხარ და ამისთანა გაჭირვებაში შენ თუ არ გამიმართავ ხელს, სხვას ვის შევებრალე!

არა! აბესალომი სახლშიც არ შეუშვებს, კარსაც არ გაუღებს სარწმუნოების მტერსა და ეკლესიის მსახურთა მდევნელ მშისწულს, მისგან პატიების ხვეწნასაც არ მიუპყრობს ყურს და, მით უმეტეს, ამო იქნება ცარიელა ფულის თხოვნა, მოუნანიებლად, სარწმუნოებაზე მოუქცევლად მისი გულის მოღობობის ცდა!

ამ დასკვნამდე მისულ ლევანს გზის გაგრძელების ხალისი ნელ-ნელა გაუქრა, ჩქარი ნაბიჯი თანდათან შეანელა და ბოლოს სულ შეჩერდა.

ერთი ფიქრი ის მოუვიდა, უკან, ქალაქშივე მიბრუნებულიყო, რაიკომის მდივანს მისდგომოდა და ეთხოვა: ალე-

ქსანდრე აფთიაქარი გამოიძახე, ურჩიე ან უბრძანე წამლის ფული მადროფასო.

რაიკომის მდივანთან ახლოს რყო ლევანი. რაიონული გაზეთის კორექტორად მან მოაწყო ყოფილი პროკურორი და საღამოს სკოლაშიც მან უშოვა ისტორიის გაკვეთილები. ეგებ სხვაზე მეტადაც ებრალებოდა შეილის ავადმყოფობით ეგზომ გატანჯული ლევანი, მაგრამ მდივანი აფთიაქარის დამსახურების პატივისმცემელიც იყო და როგორ უბრძანებდა, ეგრე ძვირად ღირებული წამალი ნისიად ან სულ უფასოდ მიეცო.

ეს ფიქრი რომ უკუავადო, ახლა ის მოუვიდა აზრად, აფთიაქართან მისულისყო და შეხვეწნოდა, ფულის გადახდა მადროვეო; თუ ალექსანდრე უარზე დადგებოდა, გულზე რევოლვერი დაედო და წამალი ძალით წაერთმია.

ამის გაფიქრებისა თვითონვე შერცხვა. ამის კაცი იყო ლევანი?! ან რომ ყოფილიყო კიდევ, ალექსანდრესთან მუქარით რამეს ვახდებოდა?

ალექსანდრე ისეთი ყმაწვილი როდი გახლდათ, რევოლვერის შეშინებოდა, იქნებ თვითონ დაესწრო რევოლვერის ამოღება, მაშინ ყაჩაღობა არ გამოუვიდოდა, ლევანს წამალი სამუდამოდ დაეკარგებოდა და საქვეყნოდაც გაილანძობოდა.

ერთადერთ იმედად ისევ აბესალომთან მისვლა რჩებოდა. ეს იმედიც უიმედო იყო. სიკვდილი ერჩივნა ამ განწირული ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ რა ექნა? სხვა რა გზა იყო?

ყველაფერზე ხელი უნდა აეღო, თავ-მოყვარეობაზეც და სინდის-ნამუსზეც, ოცი წლის უმძრახ ბიძას უნდა მიდგომოდა და ნებით ან ძალით ფული უნდა გამოერთმია.

ხვეწითა და თხოვნით რომ ვერ გასტუნდა, ეს წინასწარ იცოდა, მაგრამ ძალით კი ვახდებოდა რამეს? ან თვითონ შეეძლო ძალადობა?

თავის სიცოცხლეში პირველად მოუვიდა აზრად მიზნის მიღწევისათვის ძალის გამოყენება. ეს აზრი ჯერ კიდევ ბუნდოვნად გამოისახა მის გონებაში,

შერცხვა და თვალდაცეცებულმა ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს ვისმესაგან თავისი ფიქრის დამალვას ცდილობდა.

ერთხელ წიგნში სათაყვანებელი დიდი მწერლის გამოხატვაში ამოიკითხა: არ არსებობს ბოროტმოქმედება, რომელსაც მე ვერ ჩავიდნდიო.

ამ აზრმა მაშინ შეზარა და იმ ზომამდე აღაშფოთა, რომ კინაღამ იმ მწერლის უკვდავი ნაწარმოებებიც შეიძულა.

შემდეგ, დრო რომ გავიდა და გამოცდილებაც მოემატა, თავის საბროკურთრო პრაქტიკაშიც არა ერთ საქმეს ჩაკვირებია, რომლებშიც უაღრესად წესიერი, კეთილშობილი ადამიანები საშინელი ბოროტმოქმედების ჩამდენად მოვლენილან.

უკვირდა ხოლმე და ვერ აეხსნა ის ფარული მიზეზები, რომლებიც ბატონისან ადამიანებს სრულიად მოულოდნელად ბოროტმოქმედების გზაზე აყენებდა.

ახლა, როცა ჯერ აფთიაქარისა და მერე საკუთარი ბიძის წინააღმდეგ ძალადობა გაივლო გულში, თავისივე თავის შერცხვა და, შემთხვევით თუ უნებურად რომელიღაც ბნელი სიღრმიდან წამიერად ამოტივტივებული ეს აზრი მაშინვე უკუაგდო.

აზრი კი დაჰგმო, მაგრამ გულში ეჭვი ჩაუჭდა და ეს კითხვა ვერ მოიშორა: ეგებ ადამიანის ბუნებისათვის ბოროტებაც ისევე დამახასიათებელი და მიუცილებელია, როგორც სიკეთე?

მაშინ? მაშინ ხომ ყოველგვარი ბოროტება და ღანაშაულიც ისევე ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეა, როგორც კეთილი საქმე?

ვინ იცის, ეგებ მართლა რაღაც აუხსნელი, კაცთაგან შეუცნობელი ძალა აწესრიგებს ბოროტისა და კეთილის ურთიერთობას. ეგებ ადამიანის თვალით უხილავ გენებშივე ისევე წინასწარაა განსაზღვრული სიკეთის ან ბოროტებისაკენ მიდრეკილება, როგორც თვალისა და თმის ფერი?

ეგებ ის მიუწვდომელი ძალა ისე განაგებს ადამიანთა ურთიერთობას, რომ დანაშაულის ჩასადენად წინასწარ განწირულს ყველა პირობას უქმნის ბოროტების მოსახდენად?

მაგრამ ეს ხომ მისტიკა და ცრუმორწმუნეობაა?

თუმცა, ვინ იცის, ეგებ მისტიკა არც ისე შორს იყოს მეცნიერებისაგან, როგორც ჩვენ გვგონია და გვეჩვენება?..

ერთი მეორის საწინააღმდეგო ფიქრებით გაბრუებული ლევანი ტაატით მიაბიჯებდა შუაგზაზე.

უკვე ბნელოდა. ჯიბის ფანრით გზას ინათებდა და ღანდობილად მიდიოდა.

უცებ მოსახვევიდან სატვირთო მანქანა გამოვარდა, თვალეში ბრდღვიალა ფარებით მიანათა და, ცოტა დააკლდა, კინაღამ დაეჯახა.

ლევანმა გვერდზე გახტომა მოასწრო და მანქანამ სულ ახლოს ჩაუქროლა.

გულგადატრიალებულმა ლევანმა თავდაც არ იცოდა, როგორ მოულოდნელად გააკეთებინა თავის გადარჩენის ინსტინქტმა ნახტომი და როგორ ბეწვზე იხსნა დაღუპვისაგან.

გონს მოსულმა თავი მოიბრუნა და თვალი გააყოლა: სატვირთო მანქანა თავდაღმართზე კისრისტეხით მიჰქროდა, ვალებულნი უკანა ბორტი ქანაობდა და რახარახებდა.

გაფრინდაშვილმა თავი გაიქნია და გზა განაგრძო.

რა ძალან აიძულა სასოწარკვეთილი, ფიქრსმიცემული კაცი უცებ იზოდენა ნახტომი გაეკეთებინა და მანქანის ბორბლებს ვაცლოდა? იქნებ სჯობდა, იმ მანქანას გაეტანა, იქვე მოეკლა და მოესვენებინა!

რომ ეკითხათ, სიკვდილი გინდოდა თუ არაო, ალბათ არც დაფიქრდებოდა, ისე იტყოდა: ჩემს დღეში მყოფი კაცისთვის სიკვდილი სწორედ მადლიაო.

მაშ, ვინ აიძულა, საშიშროების იმ წუთში ვინ შეჰკრა ბურთივით და ვინ ისროლა გზის განაპირას ლევანის სხეული?

ინსტინქტმა თუ ბედისწერამ? ვინ იცის... ვინ იცის...

ასიოდენ ნაბიჯი ამის ფიქრში გაიარა და უცებ ფეხი რალაცას წამოსდო.

ფანარი დაანათა და შემკრთალმა უკან დაიხია.

შუაგზაზე პატარა ჩემოდანი ეგდო.

გახსნილ ჩემოდანზე ფული ეყარა.

ლევანს თავი სიზმარში ეგონა. თვალს არ უჭერებდა.

ჩემოდანთან ჩაიჩოქა. ფანარი ახლო დაანათა.

ღია ჩემოდანზე ასმანეთიანები გაბნეულიყო. შორი-ახლო კიდევ ცალკე ებდო ფულის სქელი შეკვრა.

ფულს ხელით მისწვდა, მოსინჯა, თვალთან ახლო მიიტანა.

დარწმუნდა, რომ მოლანდებდა არ იყო, გულის სიღრმიდან ალტაცების გაურკვეველი ძახილი აღმოხდა. უცებ ფულს ზედ დაემხო, გადაეფარა და გულში ჩაიკრა.

ერთხანს ასე იყო ფულზე დამხობილი, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ დამინახოს და არ წამართვასო.

მერე თავი ნელა აიღო და ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა: კაციშვილი არსად ჰკანებდა. მუხლებზე წამოიწია, ფული პიჯაკის ჯიბეში სწრაფად ჩიჭმუქნა და ფეხზე წამოდგა.

პიჯაკის ღილები საგულდაგულოდ შეიკრა. მერე ფანარი მიმოატარა, შუქზე იქაურობას მოავლო თვალი და, საეჭვო რომ ვერაფერი აღმოაჩინა, სინათლე ჩაქრო, ცარიელი ჩემოდანი ხევეში ისროლა და თავქვე დაეშვა.

არც უფიქრია, რომელი გზით ბრუნდებოდა უკან. ეს კი იყო, რომ დიდი გზიდან გადავიდა და ფერდობზე დაკიდებულ ბილიკს დაუყვა.

ფანარს არ ანთებდა. ბნელ ღამეში კლდე-კლდე ჩამავალ ბილიკზე უკანმოუხედავად მირბოდა. ბილიკი არ ჩანდა და უფრო ინსტინქტს თუ ვარაუდს მიჰყვებოდა. სახეში ეკლიანი ბუჩქნარის წინ გამოშვებული ტოტები ხედებოდა,

სიპ ლოდებზე ფეხს ძლივს იკიდებდა და მაინც ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ფეხაკრეფით ერბინა, რომ სმაურით ვისიმე ყურადღება არ მიექცია.

ერთი-ორჯერ წაიქცა კიდევაც, მაგრამ სწრაფადვე წამოდგა, პიჯაკის ჯიბეებში ფული მოსინჯა და სირბილით განაგრძო გზა.

ბილიკი ჩამოთავდა და ისევ დიდ გზაზე გავიდა.

უკვე ქალაქს უახლოვდებოდა, აქ ხალხი მიდი-მოდიოდა, სირბილი რომ გაეგრძელებინა, ვინმე ეჭვს აიღებდა. ჩქარ ნაბიჯზე გადავიდა და ქალაქის განათებულ ქუჩას დაადგა.

ქუჩაში ჯერ კიდევ ბლომად იყო ხალხი.

ლევანი თავჩალუნული მიდიოდა. ქუდი წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული, რომ არავის ეცნო და არ შეეჩერებინა.

სინათლეზე გამოსვლისას ხელებზე დაიხედა: ხელები ბილიკზე სირბილის დროს ეკლიანი ტოტებისგან მთლად დაჰკაწროდა. ცხვირსახოცი ამოიღო. ხელებზე სისხლი მოიშორა. მერე ის ცხვირსახოცი სახეზე მოისვა, ეტყობოდა, სახეც დაკაწრული ჰქონდა — ცხვირსახოცს სისხლის ახალი ლაქები დააჩნდა.

ხიდს გაუსწორდა. გზა პირდაპირ არ განაგრძო, მარჯვნივ გაუხვია და სანაპიროს შეჰყვა. ხიდს ზემოთ კარგი ფონი ეგულებოდა, მდინარე თხლად მიედინებოდა, და იქით მიაშურა...

ქალაქის განაპირა უბანში სინათლე არ ენთო. წყლისკენ ფრთხილად დაეშვა და მდინარის მშრალ კალაპოტზე გავიდა.

რიყეზე ფეხს ფრთხილად ადგამდა. მდინარეში რომ შევიდა, წვევში თითქოს ხანჯალი მოხვდა, ცივი წყლის შეხებამ შეაკრთო. ძირს დაიხედა, წყალი მართლა ხანჯალივით ლაპლაპებდა. ღრუბლებიდან მთვარე გამოსულიყო და წყალში ჩამტვრეული შუქი თვალის-მომპკრელად ბრწყინავდა.

წყლის სიცივემ უცებ გამოაფხიზლა.

აქ რა უნდოდა, რატომ ხილზე არ გა-

ვიდა, ამოდენა გზა რისთვის გამოიარა? ნუთუ წყალ-წყალ სიარულით კვალის წაშლას ფიქრობდა? მაგრამ ვინ მოსდევს და ვის ემალება? დანაშაული ხომ არაფერი ჩაუდენია, რომ ასე შენიღბულად ბრუნდება ქალაქში, ქუდჩამოფხატული, ბილიკ-ბილიკ და ბოლოს კიდევ წყალ-წყალ?

ლევანს არც უფიქრია, ვინმეს დაემალოს, წყალ-წყალ სიარულით მილიციის ძალებს და სისხლის სამართლის მომავალ გამომძიებლებს კვალი აურიოს.

იმ წუთიდან, რაც გზაზე უპატრონოდ დაგდებულ ფულს წააწყდა, თავის თავის მიმართ კონტროლი დაკარგა და ახლა მის მოქმედებას თითქოს ვიღაც სხვა განაგებს და განსაზღვრავს. ის ვიღაც, საღდაც, ლევანის უხილავ არსებაში ზის, იქიდან მბრძანებლობს და თვითონ ლევანს განსჯის, მოქმედებაში გარკვევის დროსა და ნებას არ აძლევს. აჩქარებს, წინ მიგრეკება და ავტომატით ასრულებინებს თავის უცნაურ გადაწყვეტილებებს.

ერთში კი არიან შეთანხმებულნი ლევანის გონება და მისი მოქმედების ის უხილავი წარმმართველი: ეს ფული უნდა შეინარჩუნოს ლევანმა და, რაც შეიძლება, სწრაფად მიიტანოს დანიშნულებისამებრ ალექსანდრე აფთიაქართან.

და რაკი ამ უმთავრესში, მიზანში არ ეღავება ლევანის გონება თავისავე ქვეცნობიერს თუ ინსტინქტს, აღარც მიზნის მისაღწევი საშუალებების არჩევაში უწევს წინააღმდეგობას, მის საიდუმლო კარნახს ემორჩილება და ბრძალ მიჰყვება.

წყალი კოჭებადღე წვდება: ფეხსაცმლის გახდა წყალში შესვლის წინ რატომღაც ვერ მოიფიქრა, დაიღუნა და შარვალი დაიკარწახა. ალაგ-ალაგ წყალი წვივებს ზემოთაც წვდება. ფრთხილად აბიჯებს ფეხს, ნელ-ნელა მიიწევს და მშრალზე გასული აწეულ შარვლის ტოტებს ისევ დაბლა უშვებს.

გაღმა მხარეს გავიდა თუ არა, უკანვე, ქალაქისკენ დაუყვა სანაპიროს. ქა-

ლაქში შესასვლელთან ონკანიდან წყალი მოდიოდა. შეჩერდა, ხელი დაიბანა, ორიოდ პეწვი პირზეც შეისხა. სახე ცხვირსახოცი თეიმშრალა, პიჯაკის კალთები და შარვლის ტოტები ჩამოიბერტყა და აფთიაქისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

პირდაპირ მილიციის შენობა გამოჩნდა.

ოთახებში შუქი ენთო.

ლევანმა იმ შუქს თვალი მოარიდა, თავი ჩაღუნა, ბეჭებში ჩაძვრა და მობუზულმა ჩქარი ნაბიჯით ისე გაიარა, მილიციისაკენ აღარ გაუხედავს.

უცებ უკანიდან ფეხებში რაღაც აებლანდა. შეჩერდა. ვიღაც, თუ რაღაც უკან, ფეხებზე ეხება. ფეხებს ზემოთ შეჰყვია და თითქმის შარვლის ჯიბეებამდე ასწვდა. ლევანი დაიძაბა. თითქოს ვიღაცის აჩქარებული სუნთქვა ესმის. პირველი შეგებისთანავე ინსტინქტურად ხელები კინაღამ ასწია. მაგრამ იმ წამმა გაიარა და ახლა გატრუნული ელოდა, რა მოხდებოდა. უკან მიხედვისა ეშინოდა, სუნთქვაშეკრული იდგა და არ იცოდა, რა ექნა.

უცებ ხელზე რაღაც თბილი და სველი შეეხო, მერე დაბლა ჩაჰყვია, წინიდან მოუარა და ფეხსაცმლებთან დაუწყაო ფათური.

ლევანმა დაბლა დაიხედა. ქუჩის შავი ძაღლი ფეხებს ულოკავდა. ძლივს შევბით ამოისუნთქა და გული საგულეს ჩაუღდა. ფეხის კვრა და ძაღლის მოშორება უნდოდა, მაგრამ დაიწყავლებსო, შეეშინდა. ხელით დასწვდა და ფრთხილად მოიცილა.

გზა განაგრძო, ძაღლი ისევ მოსდევდა და არ ეშვებოდა. ახლა ფეხებში აღარ უეარდებოდა. შორიხლო მოჰყვებოდა.

უცებ ძაღლმა ხმადაბლა შეჰყმუვლა და ლევანს გააეროლა. ცივი ოფლი დაასხა. ნაბიჯს აუჩქარა, აფთიაქს მიადწია და ოდნავ მოღებულ კარში შურდულივით შევარდა.

ათფიქვი ჩვეულებრივად განახჩახებული იყო.

იქაურობას თვალი მოავლო. ალექსანდრე არ ჩანდა.

— შინ არის?

იკითხა და რეცეპტარ ქალს თვალით ზედა სართულზე ანიშნა.

პასუხს არ დაელოდა. კორიდორს გაჰყვა და ზედა სართულზე ასასვლელი კიბისკენ წავიდა.

— შინ უნდა იყოს.

დაადევნა თეთრხალათიანმა ქალიშვილმა.

ლევანმა კიბე აირბინა.

ზარის ღილს ხელი დააკირა და თითქოს იმ ღილმა ჩართო, გულმა უცებ ბაგა-ბუგით დაუწყო ცემა.

პიჯაკის ჯიბეში ხელით ერთხელ კიდევ მოსინჯა ფული.

ქუდი გაისწორა და კარი რომ გაიღო, ალექსანდრესთვის პირდაპირ არც შეუხედავს.

— ფული მოგიტანე, ალექსანდრე.

ხმადაბლა უთხრა და ოთახში შევიდა.

— კაი გიქნია!

თქვა ალექსანდრემ და ლევანი თავითფეხამდე აათვალ-ჩაათვალიერა.

ლევანმა სახე მოარიდა.

ორივენი მაგიდისკენ წავიდნენ.

გაფრინდაშვილმა პიჯაკის ჯიბიდან ფული ამოჰყარა.

ალექსანდრე თვალს არ ამოორებდა დაკმუჭნილ ასმანეთიანებს.

ლევანმა სულ ბოლოს დიდი დასტა ამოიღო. ფულს ჯვარედინად ჰქონდა შემოკრული თეთრი ქაღალდი და ზედ 3.000 ეწერა.

— ეს გირჩევნია, თუ...

ლევანმა დაკმუჭნილ ასმანეთიანებზე ანიშნა.

— სულ ერთია... ეგ იყოს.

თქვა ალექსანდრემ და სამიათასიან კონას მისწვდა. თავი გაუხსნა, გადაეცა, სწრაფად დაფურცლა და დარწმუნდა, რომ შიგ მარტო ასიანები იყო.

— დათვლილი გაქვს?

— ა?... ჰო...

დაიბნა ლევანი.

— შენც დათვალე... ფულია, ხომ იცი.

— იყოს, გენდობი.

გაიცინა ალექსანდრემ, უჭრა გამოაღო და სამიათასიან შეკვრას შიგ ჩაუძახა.

სამი კოლოფი წამალი ფრთხილად ამოიღო, თხელ ქაღალდში გახვია და ლევანს გაუწოდა.

— მშვიდობაში მოხმარდეს შენს ელისოს, უშველოს და შეერგოს!..

— გმადლობ, ალექსანდრე!

ორივე ხელი წამლისკენ გაიშვირა ლევანმა.

ხელებზე რა მოგსვლია, ლევან, სად დაიპოტენე?..

ლევანი შეკრთა, ხელებზე დაიხედა და წამით ფერმა გადაჰყარა. უმაღვე გონს მოვიდა და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— ბაღში ვჩალიჩობდი... ხეებს ვსვლავდი...

დაუდევრად, ვითომ არხეინად თქვა ლევანმა. წამალი და მორჩენილი ფული პიჯაკის ჯიბეებში ჩაიღო.

— მშვიდობით, ალექსანდრე... შენი დიდი, დიდი მადლობელი ვარ.

უთხრა და ხელი ჩამოართვა.

— მადლობა რა სათქმელია! აბა, რა მოხელე ვართ, თუ ერთმანეთს არ დავეხმარებით.

თქვა ალექსანდრემ და მხარზე ხელი დაარტყა.

ლევანი კარისკენ წავიდა.

სველი ფეხების კვალი ლინოლეუმის იატაკზე აღიბეჭდა.

— წვიმს გარეთ, ლევან?

გაოცებით იკითხა ალექსანდრემ და სარკმელს გახედა, თითქოს თავისი ეკვის სიმართლეში უნდა დარწმუნდესო.

ლევანი ტყვიანაკრავივით შედგა. თავი მოიბრუნა და სველ ნაფეხურებს შეშფოთებული თვალები გააყოლა.

— გუბეში ჩავევარდი, ეს ოხერი...

ჩვენ ქუჩაზე რატომღაც სინათლე არ აჩი. შემოსვლისას ფეხის დაწმენდაც დამავიწყდა, თუ კაცი ხარ, მპატიე...

— არაფერია... არაფერი... ოღონდ, ერთი ნამუსი შენც შემინახე, ამ წამლის ფასს ნურსად იტყვი, თორემ ზომ იცი, ძლივს ვიშოვნე და სპეკულანტს დამარქმევინ, ქვეყნის ყბაში თუ ჩამავდე.

ალექსანდრემ ისევ თავით-ფეხამდე ჩააყოლა მზერა, ერთხელ კიდევ დაჰკრა მხარზე ხელი, კარამდე მოაცილა და გამოეთხოვა.

— მშვიდობით...

— მშვიდობით იყავი...

კარი რომ მიიხურა, შვეებით ამოისუნთქა. დაეჭვებით მზირალი აფთიაქარის თვალები კედელს იქით დარჩა. ახლა მარტო იყო, არავინ უყურებდა და აღარც საუკვო კითხვებს უსვამდა ვინმე. მაინც რამ გააშფერინა ორივე ხელი! მისულიყო მაგიდასთან, მოფარებოდა და ისე აედო წამალი! ეშმაკის თვალი აქვს იმ ალექსანდრესაც, რაღა მაინცდამაინც ხელებზე დააჩერდა!...

ცოტა დიბნა პირველად ლევანი, მაგრამ, არაუშავს, პასუხი მაინც კარგი გამოუვიდა. თუმცა, რა კარგი! სადა აქვს ბალი ლევანს! კომუნალურ სახლში ცხოვრობს და იმ სახლს ბალი კი არა, კულის მოსაქნევი ეზო არა აქვს.

ერთ დროს კი ჰქონდა ბალი ლევანს. მაშინ კლდეეთის პროკურორის ზშირად ხედავდნენ სასხლავით ხელში, თავის პატარა ბაღში. მაგრამ ის დრო თვითონ ლევანს აღარ ახსოვს და ალექსანდრეს საიდან ესხამება?! ხეებს ვსხლავდიო, რამ ათქმევინა! მაგრამ თქვა და რაღას იზამს, ნათქვამს უკან ზომ ვეღარ დაიბრუნებს! ეს წამალი კი გამოართვა და აწი რაღა მნიშვნელობა აქვს, რას იფიქრებს ალექსანდრე!

ლევანი კიბეზე დაეშვა. ქუჩაში გავიდა.

ის შვიი ძაღლი, წედან რომ აედევნა, აფთიაქის წინ, ქუჩის მეორე მხარეს

უცდიდა. ლევანის დანახვაზე ერთი საცოდავად შეჰყმუვლა, ნელა წამოიხრია და ადევნება დააპირა. ლევანმა ვეღარ მოითმინა, დაილუნა და ძაღლს ჰვა ესროლა. იმ წუთსავე იგრძნო, რომ ალექსანდრე სარკლიდან ქურდულად უყურებდა. თავი უცებ ასწია და...

ალექსანდრემ ფარდის კუთხე დაუშვა და ეჭვით მზირალი თვალები უმაღლვე გაჰქრნენ.

ლევანმა ფეხს აუჩქარა. მოშორებით უქანადევნებულ ძაღლს ყურადღებას აღარ აქცევდა.

შინ მისვლას, ელისოსათვის წამლის მიტანას ესწრაფვოდა და თითქმის მიბოლოდა. სადარბაზოსთან ძაღლი ჩამოშორდა. ლევანმა კიბე აიარა და კარი შეაღო.

ელისოს ეძინა.

ნატო სარკმელთან იდგა, ეტყობოდა. წასვლა ეჩქარებოდა და ლევანის გამოჩენას ელოდა.

ფეხისხმაზე შემობრუნდა.

— ეს წუთია ჩაეძინა, ბატონო ლევან. რაც თქვენ წახედით, კარგად არის. თუ საჭირო აღარა ვარ, წავალ.

— წადი, გენაცვალე, ისეც დიდხანს დაგაყოვნე... დიდი მადლობა...

ლევანმა პალტო ჩააცვა და კარამდე მიჰყვა.

შემობრუნდა. მეორე ოთახში ფეხაკრფით გავიდა.

წამალი მაგიდაზე დადო. უნებურად პირდაპირ მდგარ სარკეს ჩახედა. სახე მთლად დაეწრული ჰქონდა. ხელებიც დაპოტნოდა და ზედ რომ დაიხედა, ხელახლა შეფიქრანდა, ვაი თუ ალექსანდრემ რაიმე ეჭვი აიღოო. სველი ნაფხურები და აბნეული პასუხები კიდევ უფრო გაუძლიერებდა ეჭვს ალექსანდრეს. ეგებ სჯობდა, ჯერ შინ მოსულიყო, ხელ-პირი დაებანა, ტანსაცმელი გამოეცვალა და ისე მიდგომოდა კარს აფთიაქარს.

მაგრამ წამალი უკვე შინ ჰქონდა. მთავარი კი ეს იყო ლევანისათვის.

ერთხელ კიდევ მოავლო თვალი კმა-

ყოფილებით მაგიდაზე დაწყობილ წამლის ფლაკონებს. აწი რაც მოხდება, მოხდესო, თქვა გუნებაში და ხელპირის დასაბანად გავიდა.

გასისხლიანებული ცხვირსაბოცი სახელდახელოდ გარეცხა და ოთახში შებრუნებული მაგიდას მიუჯდა. ჯიბიდან ფული ამოიღო. დაკეცილ-დაჰმუქუნული ასმანეთიანები გაშალა, ერთიმეორეზე დააწყო და დათვალა.

ათი ასმანეთიანი ვადათვალა, ერთ დასტად შეჰკრა და ცარიელ საფულეში ჩაიღო.

ფლაკონზე შემოხვეული ქალაღი გაშალა, წაღის დანიშნულებისა და ხმარების წესის ვასაგებად წინ ლექსიკონი დაიღო და თარგმნას შეუდგა.

ბევრი წვალუბის შემდეგ ტექსტის თარგმნას მორჩა. ტელეფონის მილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— ვახტანგი ბრძანდებით?... გვიან ხომ არ არის, ხომ არ გავაღვიძეთ? როგორც იქნა, მივიღე ის წამალი... დიახ, ალექსანდრემ მიშოვა... როგორ არა... დანიშნულებისა და მიღების წესი ვთარგმნე...

ეტყობოდა, ვახტანგმა იმ წესის წაკითხვა თხოვა. ლევანმა პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე წაუკითხა. მერე ლევანი ერთხანს სდუმდა და ვახტანგს უსმენდა.

— მართალი ბრძანდებით... ხერხემალი ნემსის შეყვანა ძალზე რთულია... რაკი ჯერ გამოცდილება არა გაქვთ, თბილისში წაყვანა სჯობს... ლენინგრადში? ჰო, ალბათ, იქ მეტი პრაქტიკა ექნებათ... დიახ... დიახ... მით უმეტეს, რომ ელისო მათი პაციენტია და მის პროფესორთან სისტემატური მიწერ-მოწერა მაქვს... არა... არა... წაყვანა სჯობს... მესმის, ბატონო ვახტანგ... მესმის... ხვალ მობრძანდებით? კეთილი... ღამე მშვიდობის.

ყურმილი დაჰკიდა.

ექიმის რჩევა ჰქუაში დაუჯდა. ელისოს ლენინგრადში წაყვანას მართლაც ჰქონდა აზრი. იქ ალბათ ამ ახალი წამ-

ლის გაცემების დიდი პრაქტიკა ექნებათ და სარისკოც არაფერია. თბილისში მაინც უნდა ჩაიყვანოს ბავშვი და თბილისიდან ლენინგრადში ჩასვლას რა უნდა! სულ რამდენიმე საათს უნდება თვითმფრინავი.

მთავარი ისაა, რომ საშუალება აქვს ლევანს. ხვალვე შევებულებას გაათორმებს და გასწევს.

ლევანმა ელისოს ოთახში შეიხედა. სინათლე ჩაუქრო, კარი ღია დასტოვა, ტანთ ვაიხადა და დაწვა.

ნაოვენი ფული ერთხელ კიდეც გადათვალა და შეინახა.

რა კარგ ფეხზე წასულა ლევანი აბესალომთან. მოდი და თქვი, ღმერთი არ არისო!

ელიმება ლევანს და პაპიროსს აბოლებს.

ნეტა ვისი იყო ეს ფული? ნამდვილად მანქანით ან ცხენით მიდიოდა მისი პატრონი. ჩემოდანი ისე ვაღმოუვარდებოდა, ვერც ვაიგებდა, არც ისე დიდხინის წინათ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, თორემ იმ გზაზე ხალხი დადის და სხვა ვინმე იპოვიდა.

ბედია, ბედი ყველაფერი!

მაგრამ ვაი თუ ეძებს ახლა პატრონი ამ ფულს! რა თქმა უნდა, ეძებს, მაგრამ რაღას იპოვის! იმშვიდებს თავს ლევანი, მაგრამ ერთხელ აღძრულ ექვს თუ შიშს აგრე ადვილად ვეღარ იშორებს.

ალბათ მალე ვაიგებს ამ ფულის დაკარგვას პატრონი. ეგებ მილიციას შეატყობინოს, მეძებარი ძალღი წაიყვანოს და კვალს ჩაუდგვს. ამის გაფიქრებაზე ლევანს ტანი აებუძგა... უცებ მოეჩვენა, რომ საღდაც ძალღი ჰყვებდა... ყური მიუგდო. ქუჩაში მანქანამ გაიარა, სიგნალი მისცა და ხმაური უმაღლეს მისწყდა. ლევანს ისევ გაელიმა თავის უსაფუძვლო შიშსა და გულუბრყვილობაზე. ის გზა, რომელზედაც ფული იპოვა, ათეული კილომეტრობით გრძელდება და, ვინ იცის, როდის და რა მანძილზე შეიტყობს პატრონი ფულის დაკარგვას. მილიცია ქალაქში სახლის გამტეხ ქურდს

ვერ პოულობს და იმოდენა გზაზე დაკარგული ფულის ძებნას გამოეცილება? იქნებ იმისთანა კაცის იყო ეს ფული, რომ ვერც გაამხილოს ამხელა თანხის დაკარგვა. ეგებ აბესალომ ღეკანოზის არის ეს ფული, ა? სეირი ეს იქნება, თუ აბესალომის ფულია! ბავშვების ნათვლაში აღებული ფულის დაკარგვას სად გაამხელს ბესალომი! ნეტავ მართლა აბესალომის ჭკნებოდეს, სულ არ ინაღვლებდა ლევანი. კარგი ურთიერთობა რომ ჰქონოდათ, აბესალომი ისეც ვალდებული იყო, ბავშვის სამკურნალოდ მიეცა ფული მშისწულისათვის. თუ ნაპოვნი ფული აბესალომის არის, სწორედ ამ შემთხვევაზე იქნება ზედგამოჭრილი, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო.

მაგრამ თუ სახელმწიფო ფულია? მაშინ ხომ ვალდებულია ნაპოვნი მიიტანოს და გააცხადოს.

ვალდებული ისეც არის ლევანი, ყველა შემთხვევაში, ვისიც არ უნდა ყოფილიყო დაკარგული ფული, წესიერი მოქალაქე ვალდებულია განაცხადოს და ნაპოვნი სათანადოდ ჩააბაროს.

მაგრამ განა ლევანის დღეში მყოფი კაცი ამას იზამს? საშინელი სენით დაავადებული ბავშვისათვის ძლივს წამალი იშოვნა და რომელი მამა იტყვის უარს ბედის ასეთ წყალობაზე, რომელი მამა გაიმეტებს საკუთარ შვილს რაღაც განყენებული მორალისა და ვალდებულების მსხვერპლად? ახლა, როცა ყველაფერი გათავდა, საფრთხე და მღელვარება განვლილია და ის საოცნებო წამალი აგერ მაგიდაზე უდევს, უკვე ადვილია იმ ვალდებულებაზე ფიქრი, რომელსაც ვეღარ შეასრულებ. მაგრამ სულ ერთი საათის წინ ვის ახსოვდა ის ვალდებულება? როგორ უგზო გზებით გამოიბოდა, წყალშიც კი ფეხდაფეხ გამოვიდა, რომ კვალი გაეჭრო. იმ დროს რომ გულში ჩახუტებული ფულის წასართმევად ვინმე დახვედრო-

და, ალბათ ზედ შეაკვდებოდა და ბედის ამ საჩუქარს არ დაანებებდა. **ქაუღენია** დანაშაული არაფერი ჩაუღენია და ლევანზე ექვსაც ვერაინ აიღებს. მაგრამ ალექსანდრე?

სველი ფეხების კვალი ლინოლეუმზე აღიბეჭდა.

— წვიმს გარეთ, ლევან? გაოცებით იკითხა ალექსანდრემ და სარკმელს გახედა, თოქოს თავისი ექვის სიმაართლეში უნდა დარწმუნდესო.

ლევანი ტყვიანაკრავივით შედგა, თავი მოიბრუნა და სველ ნაფეხურებს თვალი გააყოლა.

— გუბეში ჩავვარდი, ეს ოხერი... ჩვენ ქუჩაზე რატომღაც სინათლე არ არის. შემოსვლისას ფეხის დაწმენდაც დამავიწყდა. თუ კაცი ხარ, მამატიე...

— არაფერია... არაფერია... ოღონდ ერთი ნამუსი შენც შემინახე, ამ წამლის ფასს ნურსად იტყვი, თორემ ხომ იცი. ძლივს ვიშოვნე დასპეკულანტს დამარქმევინ, ქვეყნის ყბაში თუ ჩამავადი.

ბოლოს და ბოლოს, ლევანს არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩაუღენია, ყველაფერი, რაც გააკეთა, მხოლოდ საკუთარი სინდისის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია, და ისიც დროებითი დანაშაული!

მის ბედში მყოფ კაცს სხვანაირად არ შეეძლო ემოქმედნა. ბავშვს უშველის, განკურნავს და თავისი ფეხით მივა რაიკომის მდივანთან. ყველაფერს აუხსნის და გაუგებენ. ფულსაც იშოვნის და ჩააბარებს. თავის სინდისსაც დაიშვინებს და მოქალაქეობრივ ვალსაც მოიხდის.

ახლა კი... ახლა მეტი აღარც ფიქრი შეუძლია, აღარც თავისმართლება. თავი ტყვიასავით დამძიმდა, თვალს ბინდი შეეპარა. ლევანმა ლოგინიდან აუღგომლიდ, ხელის ფათურით მოძებნა გამომრთვე-

ღი, სინათლე ჩაქრო და მკვდარივით დაეძინა.

დილაადრიან, ელისოს გამოღვიძებამდე გამოვიდა ლევანი პურის საყიდლად. რესტორნის წინ მოსეირნე ლადომ შორიდანვე მოჰკრა თვალი და ხელი დაუქნია.

ლევანი მიუახლოვდა.

— იყო, ხომ, აბესალომი! ხომ მოგიტანა ფული?

ლევანი დაიბნა და პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

— გუშინ, შენ რომ წახვედი, პირდაპირ დაბარებულეით გამომეცხადა ბიძაშენი. აგერ შეეიყვანე ჩემს ოთახში, ჩაკვეთე და ყველაფერი მოვახსენე, შევარცხენე და ნამუსში ჩავავდე, ელისოს ავადმყოფობამ ძალიან შეაწუხა. სხვებსაც ეთქვათ, გუშინ მატარებელმა რომ კინალამ გაიტანა. ცრემლები ვადმოყარა, მამამისი ჩემი მტერია და ჩემგან დახმარებას არ მიიღებსო. ბავშვი იღუპება და რა დროს მტრობა არის-თქო, შევუძახე; ახლავე მიღი და მიუტანე სამი ათასი მანეთი-თქო. ლევანი შინ არ არის და ელისოს ჩუმად მიუტანე-თქო.

გული აუჩუყდა ბერკაცს. ახლავე წავალო. ჯორზე ძლივს შეჯდა და წამოვიდა.

ლევანი არაფერს ამბობდა.

— ძალიან სულზე მოგისწრო ახლა მაგ ფულმა... ბედად არ ჩამოვიდა გუშინ მონასტრიდან აბესალომი?! როგორც გინდა, ისე ვამიგე, მე მაგის რწმენასთან საქმე არა მაქვს, მაგრამ აბესალომი კაი კაცია, სათნო და კეთილი... წამალი უკვე გამოგირთმევია, წელან მითხრა ალექსანდრემ.

ლევანი დაიბნა, დაკაწრულ ხელებზე, სველ ნაფეხურებზე და არეულ პასუხებზეც ხომ არ უთხრა რამე ალექსანდრემო. ლადოს ვერც საუბრის კილოში,

ვერც გამომეტყველებაში საეჭვო ვერა შეატყო რა და დინჯად დაუდარსტურა:

— ჰო, წამალი წუხელვე გამოვართვი...

— ჰოდა, შეერგოს შენს ელისოს! გეშველება და ეგ არი... გული მტკიოდა, შენს საცოდაობას რომ ვუყურებდი.

ლევანი ლადოს გამოვრდა. პური იყიდა.

შინ მობრუნებულს რედაქციის მემანქანე შემოხვდა. ნატომ გვიან შეამჩნია. შეეცყო, არ უნდოდა პირისპირ შეხედერა, მაგრამ გზის აქცევაც ველარ მოახერხა.

თავდახრით მიესალმა და გზის გაგრძელება დააპირა.

— სამსახურში მიდიხარ უკვე?

გაუწოდა ხელი ლევანმა.

— დიხ, ბატონო.

— მეც მალე მოვალ... ეს მითხარი, ნატო, გუშინ ჩვენსას აბესალომი იყო? მემანქანე გაწითლდა და თავი ჩალუნა.

— ფული მოიტანა, არა?

— დავაფიცე ელისო, რომ თქვენთვის არ ეთქვა... ბავშვის ჯანმრთელობის გულისათვის ყველაფერი უნდა დაივიწყოთ, ბატონო ლევან. მაგ ფულზე უარს ნუ ეტყვით. წამალი იყიდეთ... მე ხომ ვიცი, როგორ გიჭირთ. ასეთ დროს დახმარებაზე უარი როგორ შეიძლება. კაციშვილი ვერ გაიგებს, რომ ეკლესიის მსახურმა მოგცათ ფული, მით უფრო, რომ თქვენთვის არც მოუტია, ელისოს მოუტანა. იმ ერთადერთ შვილს გაფიცებთ, ახლავე წადით და უყიდეთ წამალი.

შევედრა ნატო.

— წამალი უკვე ვიყიდე.

— გაგაბართ ღმერთმა! მაგას რა სჯობს, ბატონო ლევან, ბავშვსაც ეშველება და თქვენც დამშვიდდებით!

ლევანმა მხრები აიჩეხა.

— წადი, მეც მალე მოვალ.

უთხრა თანამშრომელს და შინისკენ წავიდა.



გაბრიელ უდაბნოს ნაწარმი ნოველები
 ლორია და მისი თანამედროვენი

სატვირთო მანქანა მუშათა სასადილოს წინ იდგა. მძღოლი კარლია კაბინაში იჯდა, მუხლზე გაშლილი წიგნი ედო და თვალს ჩუმად აყოლებდა სტრიქონებს.

კარგა მოსაღამოებულყო. ბინდი შეუმჩნევლად წვებოდა და დღის სინათლე თანდათან ილეოდა.

ბოლოს სიბნელე მოეძალა, თვალში სტრიქონები აჭრელდა და კითხვა გაძნელდა.

გიგამ თავი აიღო.

ეტყობოდა, წიგნს უფრო დროს მოსაკლავად ჩაჰყურებდა, თორემ გულისყური სხვაგან ჰქონდა.

ფურცელი გადაკეცა, წიგნი დახურა და თვალი სასადილოს შენობას შეაგლო: რკინის ურდულით გადაარაზულ სასადილოს კარს ზედ უშველებელი ბოქლომი ედო.

გიგა საჭიკენ შებრუნდა. კარი დახურა და ძრავი ჩართო.

ცარიელი მანქანა რახრახით დაეშვა ოღრო-ჩოდრო დაღმართზე.

გზა კლდის პირას გადიოდა. კლდის თავს თხელი ბუჩქნარი გასდევდა. ხოლო უფრო შორს და მალა ფერდობები პატარა-პატარა საყანეებს აეჭრელე-ბინათ.

გზის მეორე მხარეს ხევი იყო. გზის პირს აქაც ბუჩქნარი მოდგომოდა ჯებირად.

ხევში ერთი ამბით მიბრბოდა მთის პაწაწინა მდინარე და შეღამების მყუდროებას წყლის ჩხრიალი არღვევდა.

უკან დარჩენილ ფერდობებზე ნათურები ენთებოდა და კლდეებზე წამომართული შენობების საარკმლებში ელექტრონის შუქი იწყებდა ციმციმს.

უკვე ბნელოდა. გიგამ ფარები აანთო და გზა გაინათა.

ტვირთის გადმოცლისას მანქანის უკ-

ანა ბორტი ღია დარჩენოდა. ახლა, თავქვე დაშვებულ მანქანის ნჭღრევისას ის ბორტი ქანაობდა და საშინლად ხმაურობდა, მაგრამ გიგას მანქანის გაჩერება ერთხელვე დაეზარა და დაღმართზე შეუყოვნებლად მიჰქროდა.

მალაროს მისასვლელი ვიწრო გზა ჩამოათავა და ფართო გზატკეცილზე გამოვიდა.

შორიდანვე გზაჯვარედინთან სამი ლანდი შეინშნა.

ნელა მიუახლოვდა.

გზისპირას მდგარი კაცი ბარბაცით წამოვიდა. კაცს ცალ ხელში სპორტული ჩემოდანი ეჭირა, მეორე ხელი მალა ასწია და მისკენ მომავალ მანქანას წინ გადაუდგა.

მოშორებით ორი ქალი იდგა. ერთი თვალეზზე ცხვირსახოცს იფარებდა და მხრები ისე უთართოდა, ეტყობოდა, ტიროდა.

მეორე ქალი ხელს მალა სწევდა და მძღოლს ანიშნებდა, მაგრამ მანქანისკენ არ იხედებოდა და გზის შუაგულზე დაუუღებულ კაცს უყვიროდა:

— აქეთ გამოიწიე, მანქანამ არ გაგიტანოს!

მანქანამ სვლას უკლო.

გიგამ ფარების შუქზე მუშათა სასადილოს გამგე პარმენ ზარიძე იცნო.

პარმენმა მონათებულ შუქს თვალი ვერ გაუსწორა, თავი დაღუნა და ბარბაცითა და ხელისქნევით დაიძრა.

გიგამ მანქანა დაამუხრუჭა და ახლა ქალებიც იცნო.

— წაგვიყვანე!

ენის ბორძიკით უბრძანა ზარიძემ.

გზისპირას რომ ქალი იფოფრებოდა და მანქანის გასაჩერებლად ხელს სწევდა, გიგას დანახვისთანავე დაფაცურდა, გვერდით მდგარს რალაც უჩურჩულა და მძღოლისკენ წამოვიდა.

— გიგას პირიმი! მიშველე, ეს ქალიშვილი სადგურზე ჩაიყვანე!

— რა ამბავია, მარო?

წამით მოხედა გიგამ მალაროს მუშათა საერთო საცხოვრებლის დამლაგებელს და მზერა მაშინვე თვალბეჭევირსახოცაფარებულ ქალზე გადაიტანა.

— ციცო არ არი?

იკითხა გიგამ.

— როგორ, იცნობ თუ?

გაეხარა მაროს.

— ციცოა, შენ შემოგველე... მეც წამოგვევბოდი, მაგრამ, ხომ იცი ჩემი ამბავი, ბავშვები უპატრონოდ მყავს მიტოვებული... რაკი შენ ჩავაბარებ, შიში აღარაფრის მექნება, დაიმედებული წავალ შინ.

ციცომ თვალზე ცრემლი მოიწმინდა და ჩემოდანს დასწვდა.

გიგამ მანქანიდან ისეუბა. ქალს ჩემოდანი ჩამოართვა, კარი გაუღო და მანქანაში ასვლა უშველა. მერე კაბინის წინ დაყუდებულ ზარიძეს შეხედა.

— ზემოთ ადი!

ცალკეად უთხრა და თვალთ ძარაზე ანიშნა.

პარმენმა ერთი კი შეავლო თვალი მძღოლს. ეტყობოდა, ძარაზე ასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ ველარაფერი მოისახრა, თავი გადააქნია და მანქანაზე აბობლდა.

გიგა საქვს მიუჯდა. ერთხანს უცადა, ვიდრე ზარიძე ძარაზე ავიდოდა.

— სამი საათია სასადილოს წინ ვდგავარ და გიცდი.

უფრო ლაპარაკის თავისმოსამხელად თქვა გიგამ.

ციცომ ხმა არ გასცა.

მძღოლმა მანქანის პატარა სარკე ხელით გაასწორა და მიაჩერდა. სარკეში ციცო ჩანდა: ნაპტირალევი თვალეები დასიებოდა და ნესტოები ნერვიულად უთრთოდა.

ციცოს ცალ ხელში ისევ ცხვირსახოცი ეჭირა, მეორე ხელს ბეჭზე იფარებდა, იმ მხარეს, საითაც გიგა უჯდა. ბეჭ-

ზე კაბა ჰქონდა ქალიშვილს ჩამოხეული, ოდნავ მზემოკიდებული ხორცი უჩანდა და ამოოდ ცდილობდა ათრთოლებული ხელით სიშიშვლის დამალვას.

კაბინის თავზე მუშტის დარტყმამ გამოარკვია გიგა. ზარიძე ძარაზე ასულიყო და, წავიდეთო, ბრახუნით ანიშნებდა.

მანქანა დაიძრა.

ციცომ აიხედა. პატარა სარკეში მძღოლისა და ქალიშვილის თვალეები ერთმანეთს შეხვდნენ. ქალიშვილმა ვაჟს თვალი ვერ გაუსწორა, წამწამები დახარა და გაელიმა.

— მზე პირს იბანს... საქმე კარგად არი!

თქვა გიგამ და ციცოს სახეში შესცივნა.

ქალიშვილმა ისევ შეიკრა წარბი და მხრები უფრო აიწურა.

— უსიამოვნება შეგხვდა რამე?

უკვე სერიოზულად იკითხა გიგამ.

ციცომ ხმა არ გასცა.

გიგას ციცოს ტირილის მიზეზის გაგება უნდოდა, მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა და საუბარი არ ეწყობოდა.

— მშვიერი მუშტარი სასადილოსთან საათობით ვიცდი, სასადილოს გამგე სადღაც სხვაგან თვრება და კარს არავინ მიღებს.

ისევ შემოვლით დაიწყო გიგამ.

ციცო გატრუნული იჯდა და გიგას მოეჩვენა, რომ ყურსაც არ უგდებდა მის ლაყბობას.

— არ იტყვი, რა მოხდა?

მუდართა და საყვედურით იკითხა გიგამ.

ციცო არც შერხეულა.

ვაჟმა პასუხის გაუცემლობა იწყინა.

დადუმდა და გაჯავრებულმა ექსელატორს ფეხი მაგრად დააჭირა.

მანქანამ სიჩქარეს უცებ მოუმატა.

ძარაზე მორთხმული ზარიძე ცალი ხელით თავის პატარა ჩემოდანს ჩაფრენოდა, მეორეთი — ბორტს ებლაუჭებოდა.

დაჯდომისთანავე, როგორც კი მანქანა დაიძრა და შეაჯანჯლარა, პარმენს თვალები აემღვრა.

ყელში რაღაც აწვებოდა და თავბრუ ესხმოდა. მანქანა მიჰქროდა, სიბ ქვებზე, ოღრო-ჩოღროზე ხტოდა და ისედაც გულ-ღვიძლ ამღვრეულ პარმენს უწყალოდ ანჯღრევდა.

თვალი თანდათან უბნელდებოდა ზარიძეს, გულს აზიდებდა და ძალა აღარ ყოფნიდა, რომ ყელში უკანვე ამოსასვლელად მოწოლილი ნასვამ-ნაჭამი შეეჩერებინა.

თავი დაუმიძიდა და წამით ყველაფერი შეტორტმანდა. მიხვდა: საქმე ცუდად იყო და მეტს ვეღარ გაუძლებდა.

ჩემოდნიანი ხელიც ბორტს ჩაჰკიდა, თავს ძალა დაატანა. მუხლებზე წამოიწია და ნელ-ნელა ტანი აითრია.

ის იყო, თავი ასწია, ამღვნი ხნის შეკავებული გულისრევა ვეღარ შეაჩერა; ბორტს უღონოდ გადაეყუდა და პირიდან შედრევიანი წასკდა.

— მაინც ბედი მქონია! — ისევ გიგამ დაარღვია სიჩუმე, — სასაღილოში ვერ მოგისწარით, მაგრამ აქ მაინც დაგვეწყით.

თითქოს მისი ნათქვამი არც გაუგონიაო, ციცი უცებ შემობრუნდა და მუდარით უთხრა:

— ცოტა ჩქარა არ შეიძლება?

— გეჩქარება?

— მატარებელს უნდა მივუსწრო.

გიგამ გაოცებული თვალით შეხვდა.

— უნდა დახვედ ვისმე?

— არა... აქედან მივდივარ.

ვაეი გაშრა. გაზს უკლო და მანქანა თითქმის შეჩერდა. მერე უცებვე გამოერკვა, პედალს ფეხი უეცრად დააჭირა და მანქანა თავქვეზე გაფრინდა.

ღიღმა სისწრაფემ ძარა თითქოს მოიქნია მოსახვევში. გულისრევისგან ღონემიხდილი ზარიძე ხელებმა ბორტზე ვეღარ დაამაგრეს და უეცარი მოხვევის ძალამ პარმენი ბურთივით ისროლა მა-

ნქანიდან. დაყვირებაც ვერ მოასწრო ზარიძემ, გზისპირას სიბ ქვებზე დაჰკრა თავი და ხევე დაგორდა.

მანქანა ისევ რახრახით მიჰქროდა თავდაღმართზე, ოღროჩოღროზე ჭაყყაყებდა, ღია ბორტი წინანდელზე მეტად ირყეოდა და ხმაურობდა.

თავბრუდამხვევ სისწრაფესა და ყურისწამლებ ხმაურში კაბინაში მსხლომთ ზარიძის გადავარდნა არც გაუგიათ.

მანქანამ გრძლად გაიჭროლა, ერთხელ კიდევ მოუხვია და ღრმა ხევეში ჩავარდნილ ქალაქს ზედ თავზე გადაადგა.

ოთხივ მხრივ უზარმაზარი კლდეებით მოზღუდული ქალაქი ქვევარში ჩაძირულივით იყო დანარჩენი ქვეყნისაგან მოწყვეტილი.

იმ ქვევრის ძირიდან ერთიმეორის პირდაპირ დაყუდებული კლდეების გამყოფად თუ სულის მოსათქმელად დატოვებული ცის პატარა ნაჭერი ჩანდა.

ხევს შუაზე სჭრიდა მდინარე.

პატარა ქალაქი მდინარის ორივე ნაპირს შესეოდა, ვიწრო ხეობაში ვეღარ დატეულიყო და თვალშეუდგამი კლდეების კალთებსაც აჰყოლოდა.

ქალაქს კლდეეთი ერქვა და ეს სახელი სწორედ ზედგამოჭრილი იყო.

ღრმა თევზზე პეშვით მოზნეული თვალმარგალიტივით ბრწყინავდა ელექტრონის შუქით გაჩახახახებული, ხევეში ჩავარდნილი ქალაქი.

ოთხივ კლდის თავიდან ქალაქის შუაგულამდე საპაერო ბავირები გაჭიბულიყო. მაჯის სისხო ბავირებზე პატარა ვაგონები წყვილად, ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით დასარილებდნენ და ციციოს ის ვაგონები პირველად ფრთოსან ცხოველებად თუ ზღაპრულ ფრინველებად მოეჩვენა.

თავქვე მიმქროლავი მანქანიდან ციცი გაშტერებული დაჰყურებდა გაჩირადღნებულ ქალაქს: ურიცხვი ნათურა უხვად გაზნეულს კი არა, ერთ ძაფზე ასხმულს, ერთიმეორეზე მჭიდროდ გადაბმულს ჰგავდა და შუქის ციმციმით

მოხიბლული ციკო წუთით იმ ხარბ კაცს დაემსგავსა, დამარხულ სალაროს რომ მოულოდნელად წააწყდა და მოჯადოებულებით დაცქერის განძს.

— მე კინოში წასაყვანად გამოვიარე, შენ კი მოულოდნელად აქედან წასვლა გადაგიწყვეტია...

წამოიწყო გიგამ და მცირე პაუზის შემდეგ შეშინებული კილოთი დაუმატა:

— სულ მიდიხარ, თუ დროებით?

ციკომ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეხა.

— ალბათ არ მოგეწონა ჩვენი კუთხე, — გულდაწყვეტილად დაასკვნა გიგამ.

გიგა ჩვეულებრივ პასუხს ელოდა: რას ბრძანებთ, მშვენიერი კუთხეა, ხალხიც შესანიშნავიაო.

ციკოს სიტყვის მაგივრად ერთი გრძელი ოხვრა აღმოხდა.

გიგამ ისევ გაოცებით შეხედა.

— თბილისისკენ თუ აპირებ, ხვალ მეც მოვდივარ. ბარემ ერთად გვემგზავრა.

ციკომ კვლავაც არაფერი თქვა და უპარის ნიშნად თავის გაქნევა იკმარა.

— ალბათ, ისევ იისუბანში მიდიხარ, უკანვე.

ციკომ გიგას ეს მკითხაობაც უპასუხოდ დასტოვა.

მანქანა მოსახვევიდან უცებ გამოიჭრა.

გზაზე ლამეული მგზავრი მოაბიჯებდა.

დანდობილად, პირდაპირ მომავალი მგზავრი მანქანის საყვირზე დაფრთხა, უმაღლეს გამოურყვა და გზის ნაპირისკენ გახტა.

მანქანამ მოლანდებდასავით გაიქროლა. ვერც ქვეითად მიმავალმა და ვერც მანქანაში მსხდომებმა ერთიმეორის თვალის შევლება ვერ მოასწრეს.

ქვეითი წამით შემობრუნდა, წინ გაქროლებულ მანქანას თვალი გააყოლა,

თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და ისევ თავისი გზა განაგრძო. *ეროვნული
გზალოცობა*

პატარა ქალაქის მთავარი ქუჩა რკინიგზის ხაზის გასწვრივ გადიოდა.

სადგურის მიდამოებში რკინიგზის ხაზი რამდენიმე ტოტად იშლებოდა. ცარიელი და მადნით სავსე შემადგენლობების გრძელი მწკრივები ერთიმეორის მიყოლებით იდგა. ორთქლმავლები ქშენით მიმოდრიოდნენ, შემადგენლობებს ჩიხში აყენებდნენ, ან მთავარ გზაზე გამოჰყავდათ და განუწყვეტლევ ისმოდამეისრის სასტვენისა და ვაგონების დაძვრისაგან ატეხილი ხმაური.

გიგამ სადგურის უკან შეუხვია და მანქანა ორსართულიანი სახლის წინ გააჩერა.

— ტანისამოსს გადავიცვამ და ახლავე გამოვალ.

უთხრა ციკოს კაბინიდან გადმოხტა და სახლისკენ სირბილით წავიდა.

სალომე პატარა მაგიდას უჭდა და ელექტრონის სინათლეზე წინდას კემსავდა.

ოთახში დაფეთებულებით შემოვარდა. გიგა.

დედამ თავაუღებლად, სათვალეებს შემოდან გახედა შეილს. გიგამ პიჯაკილოგინზე ისროლა, კარადას ეცა, დასაკიდებლიდან ტანსაცმელი ჩამოჰყარა, გაქათათებული თეთრი პერანგი მოძებნა და ჩაცმას შეუდგა.


დედა გაკვირვებული შეჰყურებდა: გიგას სახე უჩვეულოდ აღგზნებოდა, თვალით სადღაც შორს იყურებოდა, დეტუბოდა, ფიქრით სხვაგან იყო. მკითხვეტი სიჩქარისა თუ ლელვისაგან ხელს ვერ იმორჩილებდა, ვერ იქნა და პერანგის ღილები ვერ შეიკრა.

შეილმა იგრძნო დედის ჩაცმებული მხერა და კითხვას თავად დაასწრო.

— სადგურზე შეჩქარება. მატარებელს უნდა მივუხსწრო.

— საკმელს არა სკამ? ისევ ნასადილევი ხარ?

გიგამ მაგიდას მოავლო თვალი: სუფ-



რა ჩვეულებრივად ორი ადამიანისათვის იყო გაწყობილი.

— არა, ნასადილევი არა ვარ, მაგრამ ახლა მეჩქარება. მოგვიანებით მოვბრუნდები, მერე იყოს.

სხაპა-სხუბით თქვა გიგამ, პიჯაკში ცალი ხელი გაუყარა, დედასთან მივიდა, გაუღიმა და შუბლზე აკოცა.

აგერ მეხუთე დღე იყო, ვიგას შინ აღარ ესადილნა. დედა მის მოსვლას უცდიდა, დაღამებამდე არ სკვამდა. მალაროდან მობრუნებული გიგა ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

— მაპატიე, დედა, მალაროსთან ამხანაგებს გადავეყარე და უარი არ გამოვიცხადე, ვინადილეთ.

დედა არაფერს ეტყოდა, სუფრას მარტო მიუჯდებოდა და საეალღებულო იჭრას უხალისოდ მოითავებდა.

არც ის გამოპარვია სალომეს, რომ გიგა ერთ დღეს ნატარებ პერანგს მეორე დღეს აღარ იცვამდა და კარადიდან ახალ-ახალს იღებდა.

ახლა სწორედ იმის თქმა უნდოდა, ეგ პერანგი ჭერ კიდევ სუფთაა და რად იცვლიო. შეილის კოცნამ უცებ მოისყიდა. გაღიმებულმა ხელსაქმე გადასდო და გარეთ ქარივით გავარდნილ შეილს უკან მიჰყვა.

გიგამ კარის ზღურბლიდანვე შენიშნა: მანქანის ძარაზე პარმენი აღარ ჩანდა.

ციცო ძირს ჩამოსულიყო და გულამომჭდარი ტიროდა.

— რა იყო, ციცო, რა გატირებს? შეშფოთებული მიიქრა გიგა.

— წასულა... გაპარულა...

ზღუქუნით თქვა ციცომ და ცხვირსაზოცი სახეზე აიფარა.

— სად უნდა წასულიყო... ან რად გაიპარებოდა... — გაოცებით თქვა გიგამ, იქაურობას თვალი მოაუღო. მანქანასთან მივიდა და გულის უჭეობისთვის ძარაში შეიხედა.

— ჯანდაბასაც წასულა, მაგრამ თან ჩემი ფული წაიღო... უკაპეიკოდ სადღა უნდა წავიდე...

ისევ ამოუჭდა გული ციცოს.

— ბევრი იყო? როგორღაც დაუფიქრებლად ნიკოთა ვიგამ.

— ათასი მანეთი იყო... ჩამოსვლის დღეს მივბარე, — ამოიტირა ციცომ.

— ეგ არაფერია. სად წავე პარმენა ზარიძე. ცოცხალი თავით სად დამემალევა. იმ შენს ფულსაც უკანვე მოვატანინებ და მაგ შენს ცრემლსაც ვანანებ.

მუქარა გულწრფელი სიბრაზით თქვა გიგამ.

ციცომ სახეზე ცხვირსაზოცი მოიშორა და გიგას იმედჩამდგარი თვალით შეხედა.

— ვიპოვნი და ვანანებ... სად წამივ... ოლონდ, ახლა მისი ძებნა აღარ ღირს... შინ შევიდეთ. კოტა დაისვენე და ყველაფერზე დინჯად მოვილაპარაკოთ.

გიგამ ხელი ფრთხილად მოჰკიდა იდაყვზე. ციცოს ბევრი ხეწნა არ დასჭირდა, უმალვე დაჰყვა ვაჟის სურვილს.

კართან მდგარი სალომე დაბნეული შეჰყურებდა ქალ-ვაჟს. ციცოს ნათქვამი კარგად გაიგონა, მაგრამ ვერც ის გაიგო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნობი ქალიშვილი, ვერც მისი ტირილის მიზეზში გაერკვა.

ციცომ ცრემლი შეიმშრალა. მისკენ მაკქერალ ქალარა ქალს რომ მიუახლოვდა, შემოხეული სახელოს დასამალავად მხარზე ხელი აიფარა. დარცხვენისმა თავი დახარა და ფეხი აითრია.

— დედაჩემია, ციცო, გაიცანი...

შეეშველა გიგა. დედას მუდარით შეხედა, თვალით ანიშნა, ქალიშვილს მიგებებოდა და შინ შეეპატიუნა.

ციცოს თვალტანადობით მოხიბლულ სალომეს სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— მობრძანდი, შვილო... შემოდი, დედა.

დაყვავებით მიმართა და კარის გზა დაუთმო.

ციცომ ზღურბლს გაუბედავად გადააბიჯა და იქვე შეჩერდა.

შესვლისთანავე ორი კაცისათვის გაწყობილი სუფრა მოხედა თვალში.

— შემოდით... შემოდით... ნუ გერი-
დებათ.

ეკატერებოდა მორიდებულ სტუმარს
სალომე.

ღიასახლისმა გიგას საწოლს მიატანა,
უწესრავოდ მიყრილ შვილის შარვალ-
ხალათს ხელი წამოუსვა, ღია კარადაში
ისროლა, კარი მიხურა და ფუსფუსით
მოტრიალდა.

— დაბრძანდით, შვილებო!

მიეყვავილა ქალიშვილს და სკამი მი-
უწია.

— კარგია, რომ არ გისადილია, დე-
დი. მეც შშიერი ვარ და, მგონი, არც
ჩვენი სტუმარი იტყვის უარს ჩვენთან
ვახშობაზე.

— უარი რად უნდა თქვას... ახლავე
მოგართმევთ ყველაფერს, — ღიმილით
მოხედა სალომემ უხერხულად მდგარ,
მოკრძალებულ ქალიშვილს. განჭინიდან
თეფში და დანა-ჩანგალი გამოიღო, და-
აწყო და სუფრას მესამე სკამიც მიუდგა.

— ხელს ხომ არ დაიბანთ?

— როგორ არა!

სტუმრის შავივრად შესძახა გიგამ.
ციცოს შეხედა და სახელოშემოხეული
შიშველი მხრის დანახვამ რაღაც გაახ-
სენა.

— ახლავე ჩემოდანს შემოგიტან.

წაიჩურჩულა და გარეთ გავარდა.

ერთ წუთში უკანვე შემობრუნდა და
ციცოს ჩემოდანი წინ დაუდო.

— ჭერ ციციმ დაიბანოს და მერე
მეც გამოვალ.

თქვა გიგამ და დედას ანიშნა, ხელ-
პირის დასაბანად წაძლოლოდა ქალიშ-
ვილს.

ციცო ჩემოდანს დასწვდა და ქალები
ოთახიდან გავიდნენ.

გიგამ განჭინიდან ღვინო გამოიღო.

მაგიდის შუაში დადგა. მერე კიჭე-
ბიც მოაყოლა. ცოტა უკან დაიხია, გან-
ზე გადგა და სუფრას გახედა.

კმაყოფილმა თეფშებს სათითაოდ
ჩამოუარა, დანა-ჩანგალი ცოტა მისწი-
მოსწია, გაასწორა.

ოთახში სალომე შემობრუნდა.

თავის დღეში გიგას სუფრა არ გაეწ-
ყო და მისმა უჩვეულო ფუსფუსმა ღე-
მილი მოჰგვარა.

— დედა, ხომ არ გწყინს, რომ გაწუ-
ხებთ?

დედამ საყვედურით მოხედა.

— რას სულელობ, მე შენი სტუმრით
როდის შეგეწუხებულვარ?

— გაუფრთხილებლად, უდროო დროს
მოგაყენე უცხო ქალიშვილი და...

— ეგ რა საბოდიშოა... — დედამ თა-
ვი აიღო და შვილს თვალი თვალში გაუ-
ყარა. — შენ შემოახიე კაბა?

შეკავებული ღიმილით, ხმადაბლა იკ-
ითხა სალომემ.

— რას ამბობ, დედა... ეგ რა საკად-
რისია?

— რა ვიცი, — მხრების აჩჩვით
თქვა სალომემ, — საკადრისი არაა, მაგ-
რამ გოგონას სულ დაღურჯებული აქვს
მკლავები.

— შე მაგის კაცი ვარ, დედა? მამის
სულს გეფიცები...

— კარგი... კარგი... არ გინდა, — შე-
აწყვეტინა სალომემ ფიცი.

ცოტახანს სდუმდნენ.

— კარგი გოგონა ჩანს.

ღიმილით თქვა სალომემ.

— მართლა, არა, დედა?

— ნამდვილი ანგელოსია...

გიგას თვალები გაუბრწყინდა.

— აჭაური არ უნდა იყოს.

გამომცდელად შეხედა შვილს სალო-
მემ.

— არა, ჩამოსულია.

— სტუმრად იქნება ვინმესთან...

— არა, სამუშაოდაა ჩამოსული...

გიგას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა,
მაგრამ ფეხის ხმა მოესმა. სიტყვა გას-
წყვიტა და შემობრუნდა.

ოთახში ციცი შემოვიდა.

კაბა გამოეცვალა და პირი დაებანა.
ნამტირალევი თვალები ხალისიანი შუ-
ქით განათებოდა და სახე ისე დამშვი-
დებოდა, თითქოს ხუთიოდე წუთის წინ
კი არა, თავის დღეში ცრემლი არ გად-
მოეგდოს.

გიგა სწრაფად გავიდა ხელის დასაბანად.

ცოტახნის შემდეგ სამივენი სუფრას უსხდნენ.

— მეტწილად ჩვენი სადილი ვახშმად იქცევა ხოლმე, — დაიწყო გიგამ და ციცოს კერძი მისთავაზა, — დედა უჩემოდ არ სადილობს და სანამ სამუშაოდან არ დავბრუნდები, მიცდის. მეც დედის გაკეთებულ საჭმელს ვარ შეჩვეული და გარეთ იშვიათად ვსადილობ.

ციცომ შეკავებული ღიმილით შეხედა გიგას.

უკანასკნელ დღეებში გიგამ რამდენიმეჯერ ზედიზედ ისადილა მალაროს სასადილოში და ციცოზე კარგად ეს ვინ იცოდა!

— ყველა წესს აქვს გამონაკლისი და მეც ვარდევ ზოგჯერ ჩემს ჩვეულებას, — ღიმილით დასძინა გიგამ, — მაგალითად, უკანასკნელ დღეებში ზედიზედ მომიხდა პურის ჭამა მუშათა სასადილოში. რას იზამ, ხან რა შეგხვდება ახალგაზრდა კაცს და ხან — რა!

გიგამ ლენო დაასხა.

— ეს ჩვენს სტუმარს, ციცოს გაუმარჯოს, დედა!

თქვა გიგამ და ჭიქა დედისა და ციცოს ჭიქებს მიუჯახუნა.

— ციცო სულ ხუთიოდე დღის ჩამოსულია, დედა, ჟორჯალაში, ჩვენი მალაროს სასადილოში მუშაობს.

— ჰოო!

მრავალმნიშვნელოვნად თქვა სალომემ.

ამ მცირე განმარტებამ დედას ერთბაშად აუხსნა, თუ რატომ იცვამდა ყოველდღე ახალ-ახალ პერანგს გიგა და რატომ ბრუნდებოდა შინ გვიან, ნასადილვე.

ისევ დუმილი ჩამოდგა.

ციცოს პირდაპირ, კედელზე, ერთი მეორის გვერდით ორი დიდი პორტრეტი ეკიდა. ციცო დროდადრო იმ პორტრეტებს შეჰყურებდა და უკვირდა: კა-

ცი ტყუპისცალივით გავდა გიგას და ალბათ, გიგადაც ჩათვლიდა, იმ ახალგაზრდა ქალში რომ სალომე არ ეცნო.

გიგამ შენიშნა ციცოს დაქინებული მხერა, პორტრეტებს ახედა და განმარტა:

— ჩემი მშობლებია!

— დედა კი ვიცანი, მაგრამ...

— მამა, ალბათ, მე გეგონე, ისე ვგავარ, ვინც არ იცნობდა, ყველას მე ვგონივარ.

გიგას წამით სახე მოედრეშა. ჩუმად ამოიოხრა და ჭიქა ნელა ასწია.

— ეს დედაჩემს გაუმარჯოს!.. — წყნარად თქვა და უმალვე გამოცოცხლდა, — ხომ ლამაზი დედა მყავს, ციცო, რას იტყვი?

ციცომ სალომეს ღიმილით შეხედა.

— ჩემი სილამაზე ვინა თქვა, შეილო, უკვე დავბერდი...

—ნუ გეშინია, დედი, ჯერ კიდევ ჯობიარ ბევრ ახალგაზრდას!...

გაამხნევა გიგამ სალომე, ჭიქა მიუჯახუნა, თვალი ეშმაკურად ჩაუკრა და ლენო გადაჰკრა.

— იცოცხლეთ, ქალბატონო!

მორცხვად თქვა ციცომ, ჭიქა ასწია და პირდაუკარებლად დასდო.

სალომემ ცხელი კერძი ჩამოარია.

სამივენი ჩუმად შეექნენ.

— ამალამ წასვლას აზრი აღარა აქვს. მოულოდნელად თქვა გიგამ.

ციცომ ჭამა შესწყვიტა და დაბნეული მიაჩერდა.

გიგა წუთით შეყოვნდა და განაგრძო:

— ჯერ ერთი, პარმენ ზარძიქს ამალამ ეშმაკი ვერ მოქებნის, მეორე, რომ მოვქებნო კიდევ, მატარებელი უკვე წასული იქნება.

ციცომ არაფერი თქვა, სახეზე წყენის ჩრდილმა გადაურბინა, ჩანგალს ხელი გაუშვა, თავი ჩაღუნა და თვალი მოუწყლიანდა.

— საწყენად როდი მითქვამს, — მოიბოდიშა გიგამ, — აი, ვივახშმით, ცოტა დაისვენე და სადგურზე გავიღეთ. იქ მა-

ტარებლის ამბავიც გავიგოთ და იქნებ პარმენის კვალსაც წავაწყდეთ სადმე.

კლდეეთის რკინიგზის სადგური წარსულში დიდხანს იყო იქაური ახალგაზრდობის ერთადერთი გასართობი ადგილი.

მზე რომ ჩავიდოდა და მოსალამოვდებოდა, ახალგაზრდობა სადგურზე გამოეფინებოდა.

სალამო ხანს ორი მატარებელი ერთი მეორის მიყოლებით შემოდიოდა და გადიოდა.

ახალგაზრდობას იმ მატარებლებთან მეტწილად არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ მათი მოსვლისა და წასვლის მოლოდინში ერთმანეთს ხედებოდნენ, რკინიგზის გასწვრივ კარგა დიდ მანძილზე დასეირნობდნენ, საუბრობდნენ და ერთობოდნენ.

კლდეეთში თეატრისა და კინოს ახალი შენობების აგების შემდეგ ახალგაზრდობამ იქით იბრუნა პირი და სადგურზე მოსეირნეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

მაგრამ ძველი ჩვეულება ისევ ცოცხლობდა.

თეატრსა და კინოში შესვლისას და გამოსვლისას ახალგაზრდები სავალდებულოდ თვლიდნენ, ერთი სადგურზე ჩაველოთ და დროის მოსაკლავად გამოსულ მოსეირნეთა შეთხლებულ რიგებს ცოტახანს მაინც შერეოდნენ.

პატარა ქალაქში ყველა იცნობდა ერთმანეთს.

დიდი და პატარა ყოველდღე ერთმანეთს ხედებოდა, ქალაქიდან ვინმეს გამგზავრება არ გამოეპარებოდათ და სტუმრად უცხო ადამიანის ჩამოსვლასაც უმაღლე გებულობდნენ.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ერთიმეორის ამბავი ყველამ ხუთი თითივით იცოდა, სადგურზე უცხო ქალიშვილთან ერთად გიგას გამოჩენამ დიდი მითქმა-ნოთქმა გამოიწვია.

უკვე გვიან იყო.

ორივე მატარებელი ავლილ-ჩაეღლილი ჩანდა და სადგურზე მოსეირნეთა რიგები მეჩხრად გამოიყურებოდა.

გიგას გვერდით მხარდამხარ მიმავალმა ციციმ მაშინვე მიიქცია მოსეირნეთა ყურადღება.

მოლაპარაკებულებივით უცებ ყველამ მათკენ იბრუნა პირი. გვერდით ჩავლილებმა ნაბიჯი შეანელეს და ზურგში ჩაასვეს მზერა.

მოშორებით მდგომნი უეცრად აიშალნენ, წინ გადაუსწრეს და უკანვე შემობრუნდნენ პირისპირ შესაყრელად.

მარჯვნივ და მარცხნივ თავის დაკრასა და სალამს ველარ აუდიოდა გიგა.

ზოგი თავის დაკრას ერთხელ არ ჯერდებოდა, მეორე და მესამე წრის შემოვლისას კიდევ უხდიდა ქუდს და ხაზგასმულად, შორიდანვე ესალმებოდა:

— გიგას ვახლავართ!..

— გიგას სალამი!..

ზოგი სალამზე მრავალმნიშვნელოვნად ახველებდა. იმ ჩახველებით თუ ოდნავი თვალის ჩაყვრით გიგას უსიტყვოდ ანიშნებდნენ, გავგაცანიო, მაგრამ გიგა განზრახ არ ჯერდებოდა, ამაყად მიაბიჯებდა ლამაზი ქალიშვილის გვერდით.

ზოგთა გამოხედვა თავხედურიც იყო. ისინი მუშტრის თვალით აკვირდებოდნენ უცხო ქალიშვილს, მის ავ-კარგს შორიდან ჩხრეკდნენ, თვალდათვალ.

ისედაც დარცხვენილი ციციო ყურებამდე წითლდებოდა და უფრო ახლო ეკვროდა ერთადერთ მფარველს.

ამეზარი ანგლების გამოსაყარებლად გიგას ისე ეჭირა თავი, ვითომ რალაც საინტერესო ამბის მოყოლით იყო გართული, და თავად მეტს იცინოდა, ვიდრე მისი მსმენელი.

ბოლოს შეატყო, რომ ციციოც შეაწყუხა გასაცნობად მოძალებულთა ზედმეტმა სითამამემ, თავადაც მოსწყინდა უქმი ყიალი და იქაურობის გაცლა ამჯობინა.

სადგურს გასცდნენ და საზაფხულო კინოსკენ წავიდნენ.

ბილეთები რომ აიღო, გიგამ მაშინ იკითხა:

— შევიდეთ, ციცი?

ციციმ მხრები აიჩეჩა და უსიტყვოდ მიჰყვა.

სულ უკანა რიგში დასხდნენ.

ფილმი ახალი დაწყებული იყო.

სადღაც, სამხრეთ ამერიკის რომელიღაც ქვეყანაში, ღარიბ ქალ-ვაჟს ერთ-მანეთი უყვარდათ. ქალი მტრედევით მშვიდი და მოკრძალებული იყო. ვაჟი— უჩინალი და თავზეხელაღებული. გატყორცნილი ლასოთი ცხენზე გაკრულ კაცს ბურთივით იტაცებდა და ტყვიას ტყვიაში სვამდა.

იმ გვერტივით ვაგოზე მდიდარ მოიჯარადრეს ეჭირა თვალი, თავს აბეზრებდა და საშველს არ აძლევდა. ღარიბი ვაჟი სიყვარულს არ თმობდა და ძლიერი მეტოქეების წინაშე ქედს არ იხრიდა.

ქალ-ვაჟი მტრის მუქარას არ შეუშინდა. ვაგონა შეყვარებულს გაჰყვა და ქორწილი გამართეს.

მთელი სოფელი მოიპატივეს და საქორწინო სუფრა ეზოში გაშალეს.

მოკაზმული მეფე-დედოფალი მომლოცველებს ელიან.

ღრო მიდის და არავენა ჩანს.

ვაჟის ვავლენიანი მტრების, ძლიერი ადამიანების შიშით სოფელმა ზურგი აქცია ახალგაზრდების ბედნიერებას, უკვე დაღამდა და მათ ქორწილზე კაცი-შვილი არ მოვიდა.

შურაცხყოფილნი, გულმოკლულნი უყურებენ პურ-მარილით სავსე სუფრას, სტუმრები არ მოდიან და მათ ბედნიერებას არავენ ლოცავს.

ქალ-ვაჟს ეტირება, მაგრამ თავს ძლევენ და ცეკვა-სიმღერას იწყებენ. უსტუმრობას არაფრად აგდებენ, ყველას მაგივრად თვითონ, მარტოდ-მართონი ლხინობენ. ცეკვავენ და მღერიან, მაგრამ მათი სიმღერა ტირილსა გავს და...

ციცი ჩუმად ჭვითინებს, გიგას მხარს ეკვრის და ბექები უცახცახებს.

— გცივა, ციცი?

ეკრანიდან თვალმოუშორებლად კითხულობს გიგა და ხელს ზევს. ციცი უფრო ეკვრის და უფრო გულ-ამოძვადარი ჭვითინებს.

— სტირი?

კითხულობს გიგა და თავზე ხელს უსვამს. ვაჟის ალერსი კიდევ უფრო უჩუყებს გულს ციცოს, თავს მის იღლიაში მალავს და გულმკერდს ცრემლით უღტობს.

დაბნულმა ვაჟმა არ იცის, რა ატირებს ციცოს, ფილმის გმირის ბედი თუ საკუთარი სადარდელი. თავს უნებურად ხრის და ლოყით ქალიშვილის სველ ლოყას ეხება. ლოყა ლოყას ეკვრის... ქალიშვილს ცრემლი ცვივა, და ფილმი გრძელდება.

შემდეგ რა მოხდა და რა ბედი ეწიათ შეყვარებულებს, მათ უკვე აღარ გაუგიათ.

სინათლე რომ აინთო, მაშინ გამოერკვნენ. ერთმანეთს უცებ მოცილდნენ და დარცხვენილებმა, ერთიმეორეს მზერა აარიდეს.

ნელა წამოდგნენ.

გიგამ მკლავში ფრთხილად მოჰკიდა ხელო ციცოს და გასასვლელისაკენ დაძრულ ხალხს მიჰყვანენ.

სადგურზე გამოვიდნენ.

გიგამ საათს შეხედა. გვიან იყო. საბილეთო სალაროსთან შეჩერდნენ.

სალაროს სარკმელი დაკეტილი ჩანდა.

გიგამ დააკაუნა.

სარკმელი გაიღო და მოლარემ თავაუღებლად გამოსძახა:

— მატარებლები წავიდა და სად გაგვიანდება, რომ ანგარიშს არ მაცილო.

— ბოდიში, დეიდა მერი. მე ვარ, გიგა...

გაეპასუხა გიგა და თავი ღია სარკმელში შეჰყო.

— ოჰ, შენა ხარ? რა ვინდა, გიგა, ამ შუაღამეს რამ შეგაწუხა?

— თბილისის მატარებელი წასულია, არა?

უფრო ციცოს გასაგონად იკითხა დაბნულმა გიგამ.

— რავა სტუმარივით კითხულობ, ბიჭო? რაღა დროის თბილისის მატარებელია!

— არა, კი ვიცი, მაგრამ... ორი ბილეთი მინდა ხვალისათვის.

— შენ რაღაც არეულად ლაპარაკობ. წამოიწია მოლარე და სარკმელს მოადგა.

გიგას უკან ქალიშვილი რომ დაინახა, სარკმელში თავი კიდევ უფრო გამოჰყო, დააკვირდა, აათვალ-ჩაათვალღერა და ცალი თვალით მრავალმნიშვნელოვნად მოხედა გიგას.

— ორი ბილეთი მინდა თბილისამდე ხვალისათვის.

გაიმეორა გიგამ და თან ციცოსკენ მოიხედა.

— ვინ და ვინ მიდიხართ? დედაშენი ხომ არ მიდის?

ეშმაკურად იკითხა მერიმ.

— არა, დეიდა მერი. ჩემი სტუმარი მიემგზავრება და მეც მივდივარ. სესიები მაქვს ინსტიტუტში.

— ჰოო!.. — გააგრძელა მერიმ და მხერა ისევ ციცოს ჩაასო.

— ალბათ საერთაშორისოში ვინდა, ორადგილიანი კუბე.

ხმაშალდა თქვა მოლარემ, ისე რომ, ციცოსთვის თვალი არ მოუშორებია.

— ეგ არ ვიცი...

— შენ თუ არ იცი, მე საიდან მეცოდინება?..

გაიცინა მერიმ.

— ჭერ არ გადაგვიწყვეტია, მოვილაპარაკებთ და ხვალ გეტყვით... — გაწითლდა გიგა.

— როცა მოილაპარაკებთ, მაშინ მოდი.

სიცილით თქვა მერიმ და ის იყო, სარკმელი უნდა მოეხურა, რომ გადაიფიქრა და თავი კიდევ უფრო მეტად გამოჰყო.

— კარგი, დეიდა მერი... ხვალ გეტყვით... ნახვამდის.

უთხრა გიგამ, შემობრუნდა. ციცოს ხელი ჩაჰკიდა და სწრაფად წავიდა.

— ხვალ დილას მოდრ, ბიჭო... სამამდე შეგინახავ ბილეთებს.

დაადევნა მერიმ მიმავალს, სკამზე დაეშვა და სარკმელი მოხურა.

შინ მობრუნებულებს სალომე ფეხზე დახვდათ.

— სად იყავით, შვილო, შეგავკვიანდათ.

— კინოში შევედი.

სალომეს ახალგაზრდები გამხიარულებული ეჩვენა.

— კარგი სურათი იყო?

— არა უშავდა. ციცომ ბევრი იტირა.

სალომემ ერთი შეათვალღერა სტუმარი: ციცოს ნამტირალეგობა ეტყობოდა.

— რაღა სატირალზე შეხვედით, გასამხიარულებელი არაფერი იყო? — ღიმილით თქვა სალომემ და ციცოს მიმართა, — ჩაის არ დალევთ?

— არა, ბატონო, ახლახან არ ვიკავშმეთ?

იუარა ციცომ.

— არც მე მინდა, დედა.

თქვა გიგამ.

— მაშინ, დავწვეთ. გვიან არის... შენ ჩემს კუთხეში დაგაწვენ, ციცო... აგერ ამ ლოგინზე, — მიუთითა სალომემ, — ეს ოთახი დიდი იყო და რაკი სხვა არ გექონდა, გავტახრეთ და ორად ვაქციეთ, როცა გიგა წამოიზარდა. ნახევარში გიგა წვეს და მეორე ნახევარში — მე.

გიგა ციცოს მიუახლოვდა.

— ძილი ნებისა, ციცო.

— ძილი ნებისა.

ალერსიანი ჩურჩულით უთხრეს ერთიმეორეს.

— ლამე მშვიდობის, დედა.

— ლამე მშვიდობის, შვილო.

გიგა გავიდა, გაიხადა და წიგნი გაშალა.

ის იყო კითხვა დაიწყო, რომ თხელი ტიხარის მეორე მხრიდან ციცოს ხმა მოესმა:

— ჩემი ამბავი რა მოსაყოლია, გუ-
ნებას გაგიფუჭებს და ძილს გაგიფრთ-
ხობს...

ორღობეში ჩაის ფოთლით დატვირ-
თული მანქანა მიზოზინობდა. სატვირ-
თო მანქანას უკან „პობედა“ უახლოვ-
დებოდა.

„პობედის“ მძღოლი გასწრებას ცდი-
ლობდა და სირენას აყვირებდა.

ორღობე ვიწრო იყო, სატვირთო მან-
ქანა ვერც სიჩქარეს უმატებდა და
ვერც გზის დათმობას ახერხებდა.

„პობედის“ საჭეს კობტად უღვაშებ-
შეკრებილი კაცი უჯდა. გამელოტებუ-
ლი თავის სიტიტვლეს კეფიდან ნასესხე-
ბი თმა მოხერხებულად უფარავდა. ვე-
რცხლისწყალივით მოძრავ, ცოცხალ
თვალებს მოუსვენრად აცეცებდა, ადგი-
ლზე წრიალებდა და ამოოდ ეძებდა გზა-
ზე გასასვლელს.

შორი-ახლო ქალიშვილი გამოჩნდა.
მოკლე ცალი ნაწნავი შემალლებულ
მკერდზე გადმოეგდო, ხელით პატარა
წიკვლას იქნევდა და მოხდენილ ტანს
მიმზიდველად მოარბევდა.

მანქანასა და ქალიშვილს შორის მან-
ძილი სწრაფად მოკლდებოდა.

„პობედის“ მძღოლს თვალეები თანდა-
თან უფართოვდებოდა. მძღოლი თითქო
რალაც ჟინმა შეიპყრო, შუბლით მინას
მიეკრა და ლამაზ ქალიშვილს ხარბად
შიაშტერდა.

ქალიშვილმა ისე ჩაიბარა, მანქანიდან
ლამის გადმოვარდნილი კაცისკენ არც
გაუხედავს.

კაცმა სარკმელში თავი გამოჰყო, კი-
სერი მოიქცია და გულისწამბანად მიმა-
ვალ გოგონას მაღალ თეძოებს დამშეუ-
ლი მზერით შიაიკვდა.

წინ მიმავალი მანქანა მოულოდნე-
ლად შეჩერდა.

კისერმოქცეული მძღოლი დაჯახების
ხმამ გამოარკვია, მანქანა უცებ დაამუხ-
რუჭა და გადმოხტა.

სატვირთო, ვითომ არაფერიც არ
მომხდარიყოს, ისევ დაიძრა, „პობედის“

მძღოლი გაოგნებული იდგა და თავისი
მანქანის ჩამტვრეულ ფარეზე დღეიწვე-
მოყრილი დაკუურებდა. *ЗНАКОМСТВО*
ერთხანს ასე იყო.

მერე თავი აიღო, სატვირთო მანქანის
მისამართით შეიგინა, აქეთ-იქით მიმოი-
ხედა, ხომ არაიენ მიყურებსო, და ისევ,
ტანის ეშხიანი რხევით მიმავალ გოგო-
ნას გააჰხედა.

გოგონამ კოლმეურნეობის კანტორი-
საკენ გაუხეცა.

კაცმა უცებ რალაც გადასწყვიტა.
ისევ საჭეს მიუჯდა, მანქანა შემოაბრუ-
ნა და შორი-ახლო მიჰყვა ქალიშვილს.

ქალიშვილმა კანტორის ეზოში შეა-
ბიჯა.

მანქანაც ნელა შევიდა ეზოში და იქ-
ვე ჰიშკართან გაჩერდა.

გოგონა კანტორის ფანჯრისაკენ წა-
ვიდა და სარკმელთან მომდგარ მოანგა-
რიშეს მიესალმა.

— გამარჯობა, მარინე!

— ციცოს გაუმარჯოს! როდის ჩამოხ-
ვედი?

მოიკითხეს ერთმანეთი.

მარინემ შეატყო; ციცოს რალაცის
თქმა უნდოდა და ყოყმანობდა.

— შენ, ალბათ, ტიტე გინდა.

— ჰო, ძია ტიტეს მოვაკითხე.

„ძიას“ გაგონება არასოდეს არ უხა-
როდა ტიტეს და ახლაც უსიამოდ გაჰკ-
რა გულში.

— ეგერ, ჰიშკართან დგას ტიტე.

მიუთითა მარინემ და ციცო შემოტ-
რიალდა.

ჰიშკართან მდგარი ტიტე არხეინად
სტვენდა და საჩვენებელ თითზე მანქა-
ნის გასაღების გრძელ ძეწქვეს იხევედა.

ციცო გაუხედავი ნაბიჯით წამოვიდა.

„გათავდა... მოვტეხე!“ — გაიფიქრა
ტიტემ და ვითომ მხოლოდ ახლა დაენა-
ხოს გერი, მისკენ სახეგაბადრული წავი-
და.

— ციცოს ეახლავართ ოცდაათი ცხე-
ნოსნით!

შორიდანვე შეჰღიმა და ხელი გაუწო-
და.



— როდის ჩამოხვედი, ციცო?.. ხომ კარგადა ხარ? ძაან კი მოგვანატრე თავი!..

უბედობდა ტიტე და ისე უტიფრად შესცინოდა გერს, თითქოს მათ შორის სიამტკბილობის მეტი არასოდეს არაფერი ყოფილიყოს.

— დედამ გამომგზავნა... ავად არის. არ უნდოდა ასე ეთქვა, მაგრამ როგორღაც თავისთავად გამოუვიდა ციკოს.

— დედამ გამომგზავნა? ტიტეს წყენა შეეტყო, უნდოდა რაღაც მკვახე ეთქვა, მაგრამ უშაღვე გადაიფიქრა და სახეზე ისევ ღიმილი გადაიფინა.

— წავიდეთ... რაკი ექიმად მთვლი, წავიდეთ ავადმყოფთან.

ნაძალადევად წაიხუმრა ტიტემ. მანქანის კარი გაუღო და ციცო რომ დაჯდა, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

რკინის კიშკართან „პობედა“ მოგრაილადა.

ვენერას მანქანის ხმაზე გული სიხარულით შეუტოკდა.

ტიტეს დანახვაზე ავადმყოფს შუბლი გაეხსნა, ფერი მოუვიდა და მოცოცხლდა.

შვილს არ გაუგონა, წამოდგა, ჩაიცვა და სამზადში დატრიალდა.

დაღამებისას ორიოდ სტუმარსაც დაუძახა და სავსე სუფრას შემოუსხდნენ.

ბედნიერი ვენერა ქმარს თვალში შესციცინებდა.

როგორც კი სახემოდუშულ ციკოს დაინახავდა, ხელს წაატანდა და ჩურჩულით ეხვეწებოდა:

— გახსენი წარბი, გოგო. ერთი ტკბილად დაელაპარაკე ამ კაცს.

ციკო წარბს ნაძალადევად ხსნიდა, გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ მაშინაცვალთან ტკბილ ლაპარაკს ვერ ახერხებდა. თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა.

ტიტე ყმაწვილქალობაშივე უყვარდა ვენერას.

ჭეიფსა და დროსტარებას აყოლილმა ბუღალტერმა მაშინ ყურადღებაც არ მიაქცია უბრალო ჩაის მკრეფელ გოგონას.

ვენერა არც სილამაზით გამოირჩეოდა და არც ქონებით. ტიტეს კი ისეთ ქალებზე ეჭირა თვალი, რომელთაც ერთიც გააჩნდათ და მეორეც.

თავმომწონე ბუღალტერმა ვილაც სხვა შეიერთო...

პირველი სიყვარულით გულგატეხილი ვენერა კი ბრიგადირ რაყდენს გაჰყვა ცოლად.

სიმდიდრე და ქონება თავზე არც რაყდენს გადასდიოდა, მაგრამ ბრიგადირი ხნით ვენერას ტოლი იყო, გარჯა და შრომა არ ეზარებოდა და, რაც მთავარია, ვენერა გულწრფელად უყვარდა.

ცოლი და ქმარი მთელ დღეს ჩაიში მუშაობდნენ, ალალი ლუკმით ტკბილად ცხოვრობდნენ და ნელ-ნელა წელში იმართებოდნენ.

სოფელმა რაყდენის ნიჭი და პატიოსანი შრომა დააფასა. მოწინავე ბრიგადის მეთაური კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია.

იმ დღიდან კოლმეურნეობის საქმეც წაღმა დატრიალდა, იისუბანი მთელ რაიონში დაწინაურდა და თითოთი საჩვენებელი შეიქნა.

მაღე ცოლ-ქმარს ქალიშვილი შეეძინა.

ციკოს გაჩენამ რაყდენს ახალი ღონე შეჰმატა, სიცოცხლისა და შრომის ხალისი გაუორკეცა.

ოჯახის მამა შინ და გარეთ მუხლჩაუხრელად ტრიალებდა.

ტკბილი ცხოვრება ალბათ დიდხანს გავრძელდებოდა, ერთ უბედურ დღეს რომ ომის დაწყების ამბავი არ მოეტანა.

რაყდენი პირველი წავიდა ომში და

პირველი შავი ქალაღლიც რაუდენისა მოვიდა.

შეიღი წლის ციცოს კარგად დაამახსოვრდა მამის წასვლა: ომში მიმავალ ვაჟკაცს თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ, როგორც კი ციცოს დაინახავდა, თვალზე ცრემლი ადგებოდა, ბავშვს გულში იკრავდა და დაუსრულებლად კოცნიდა.

მამის დაღუბვის ამბავი რომ მოვიდა, ციცოც დედასთან ერთად ტიროდა, თუმცა კარგად არც ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

მერე სოფელი ნელ-ნელა ჩაშავდა, ოღის აივნებზე ოჯახიშვილების დაღუპვის მაუწყებელი განცხადებები გამრავლდა.

ქალებმა კაცის საქმეს მოჰკიდეს ხელი და სახლები მოხუცებისა და ბალღების ამარა დარჩა.

ღილას მამლის ყვიღზე და ძილის წინ კარგა დაღამებულზედა ხედავდა ციცო დედას.

ჩაიში წასვლის წინ ჯარასავით ტრიალებდა ვენერა. პირუტყვისა და წვრილფეხს მოუვლიდა, სახლს დააწკრივებდა და მთელი ღღის საქმელს ვააკეთებდა.

ციცოს ჩააცმევდა, ასაუზმებდა, ჰკუთით იყავით, დაარვიგებდა და რკინის ქიშკარში მზის ამოსვლას ვაასწრებდა.

გულდადებულმა, ბეჯითმა შრომამ თავისი ნაყოფი მოიტანა: ვენერა მარტო იისუბნის კი არა, მთელი რაიონის ჩაის მკრეფავთა შორის პირველი ვაბდა და მთავრობის ჯიღღოც პირველმა მიიღო.

მძიმე, ვანუწყვეტელ შრომას სარგებელიც კარგი მოჰქონდა და ვენერას ოჯახიც ნელ-ნელა დოვლათით აივსო.

ძველი ოღის გვერდით ქვრივმა ახალი, ორსართულიანი სახლი წამოჰქიმა და ბინა ქალაქიდან ჩამოტანილი ავეჯით მორთო.

ამასობაში ციცოც წამოიზარდა, ქალობაში შესვლა იწყო, ტანი აიყარა, ვაივსო და დაამშვენდა.

ვენერა თავის თავს არ ზოგავდა, მაგრამ ციცოს კი არიდებდა ჩაის მძიმე სამუშაოს.

ღილიდან დაღამებამდე შინიდან ვადაკარგულ ვენერას ციცო ისევ ბავშვი ეგონა და თითქოს ვერც ამჩნევდა მის დაქალებას.

ერთი-ორჯერ ტოღბიკებთან მარტო მოსეირნეს ვადაეყარა, მაგრამ ამ შემთხვევისათვის მნიშვნელობა არ მიუტია.

ერთ საღამოს შორი-ახლო უყურა, როგორ მოაცილა მოსახვევამდე მისი ციცო მეურნეობის ტრაქტორისტმა იონამ.

ვაგი ეხვეწებოდა, სახლამდე მიცილების ნება მიეცა, ციცო უარზე იღვა, სახეს არიდებდა და რალაცას უშლიდა. ბოლოს ვადაჭრით უთხრა, უკან ვაბრუნდიო, ვაბუხსული შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით ვაშორდა.

იმ ღამეს ოჯახის საქმეს ვეიან მორჩა ვენერა. წამით ეზოში ვამოვიდა და მოჩვენებამ შეაკრთო: ღობეზე მომღგარი კაცი ციცოს ოთახის ვანათებულ სარკმელს მიმტერებოდა.

— რომელი ხარ?

ვასძახა შეშინებულმა ვენერამ.

ღანდი ღობეს მოსწყდა და სიბნელეში დავიკარგა.

— ვინა ხარ? რომელი ხარ?

ერთხელ კიღევ დავყვირა ვენერამ, მაგრამ კაციშვილი აღარსად ჩანდა.

ხმაურზე ციცომ სარკმელი ვამოაღო და ვამოიხედა.

— ვის ელაპარაკები, დედა?

— ღობესთან ვიღაც კაცი იყო, დევუძახე და ხმა არ ვამცა, ვაიქცა.

— ვინ იქნებოდა... ალბათ, მოგელანდა.

თქვა ციცომ და სარკმელი მიხურა.

ვენერას ვეიანობამდე არ დაუძინია.

ციცოს დაქალება-თითქოს მხოლოდ იმ დღეს აღმოაჩინა, უხაროდა ქალიშვილი რომ მოესწრო, ეამყებოდა, რომ უმამოდ, მარტოხელა ქვრივმა ამოღენა ქალი ვაზარდა, და მერე როგორი ქალი! მთელ სოფელს თვალი ზედ რჩებოდა

და ჰკუთნა და ჰკვივით ყველასგან გამოსარჩევი იყო.

სიამვე გვრიდა იმის ფიქრი, რომ მის გვერდით მუზობელ ოთახში პატარა გოგონა კი არა, უკვე ქალი იწვა.

მაგრამ სიხარულის ამ განცდას შიში ენაცვლებოდა და აკრთობდა. დედა გუმანით გრძნობდა, რომ ამიერიდან არა ერთი ღამის გათენება მოუხდებოდა თეთრად.

მეორე დღეს ჩაის რომ კრეფდნენ, ქალებმა ხუმრობით წამოიწყეს:

— ეს იონა ტრაქტორისტი რავე მოჩვენებასავით დაბორიალობს შენს სახლთან?

— იბორიალოს, მერე შენ რა გენაღვლება, იმ კაცს თუ არ ეძინება.

— ფრთხილად იყავი ვენერა, შენი გოგო ტრაქტორზე არ შემოისევს და არ გააქანოს.

— იონას ტრაქტორი კუსავით დალოღავს და შორს ვერსად გაიტაცებს.

ქალები ჰორაობდნენ, კისკისებდნენ და ჩაის ბუჩქებზე ოსტატურად ათამაშებდნენ ფოთლის კრეფას გარვეულ თითებს.

— ჩემი გოგო თქვენი საქორაო არ არი და მაგაზე მეორედ არ მეხუმროთ.

ცივად მოუჭრა ვენერამ. კობი შეიკრა, შეტრიალდა და მოშორებით, სხვა მწკრივზე გადაინაცვლა.

ქალებმა მამინვე ხმა გაკმინდეს, მაგრამ ვენერამ კი ველარ მოისვენა. შუადღისას თავის ტკივილი მოიმიზეზა, ჩაის კრეფას თავი ანება და შინისკენ წავიდა.

სკოლას რომ გაუარა ციკოს კლასელები შემოხვდნენ.

— გაკვეთილი გაგვიცდა, დეიდა ვენერა... ციკო ეს წუთია შინ წავიდა.

უთხრეს შვილის ამხანაგებმა.

ვენერამ გოგოები მოიკითხა და სახლისკენ გაუხვია.

ორღობეში წინ მიმავალი ციკო და მის უკან ლანდივით აღევნებული იონა დაინახა.

გულს ცეცხლი შემოენთო.

— წადი ახლა, დამეთხრევე, ნთხრევე სოფელს დავუძახებ!

შემოუყვარა წამით შემობრუნებულმა ციკომ ტრაქტორისტს.

იონა შეშინებული შედგა.

— არ წახვალ, ხო!.. აბა იყავი მანდი!.. შესძახა ციკომ, შეტრიალდა და მოკურცხლა.

ციკოს ბავშვურ უშუალოებაზე ვენერას უნებურად გაელიმა. მაგრამ სახე უმაღლე მოღუშა და სახტად დარჩენილი იონას შორიდან შეუყვარა:

— საქმე აღარა გაქვს, ამხანაგო?

იონა დაფეთებული შემობრუნდა.

— საქმე აღარ გაქვს, ტრაქტორი რომ უპატრონოდ დაგიგდია და სოფელ-სოფელ დაეხეტები?

იონა გაწითლდა, ენა მუცელში ჩაუვარდა.

— რას დაბორიალობ ამ ორღობეში... რა გინდა მაგ ბავშვთან?..

შეუტია ვენერამ.

— არაფერი, ბატონო, ისე შეგხვდია.

— თუ არაფერი ახლავე მოწყდი დამეორედ აღარ გნახო აქეთ გამოვლილი: დაუტატანა ვენერამ.

იონამ ერთი კი შეხედა დაბნეული, შეშინებული თვალებით, თავი მორჩილად დაღუნა, მოტრიალდა და ძუნძულით გაშორდა.

ვენერამ შეკავებული ღიმილით გააყოლა თვალი გაქცეულ ვაჟკაცს, თავი გაიქნია, შუბლი ისევ შეიკრა და შინ გაბრაზებული შევიდა.

შვილისთვის ხმა არ გაუცია.

ციკო ხის ძირას მიმჯდარიყო და წიგნი გაეშალა. დედა მიუხვდა რომ ის წიგნი ყასიდად ეღო წინ ციკოს: ცალი თვალით ჩაჰყურებდა, მეორე თვალი დედისკენ ჰქონდა და ფარულად აკვირდებოდა.

გაბრაზებული ვენერა ხმას განზრახ არ იღებდა, მაგრამ გულმოსული ფეხს მაგრად აბიჯებდა იატაკზე და რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს ხმაურით აკეთებდა.

ციკომ ითმინა, ითმინა ეს ხმის გაუ-

ცემელი, ჩუმი წყრომა და ბოლომდე ვე-
ლარ მოითმინა.

— ჩემი ბრალი არ არის, დედა!
წასკდა ქვითინი ციციოს.

— რა არ არის შენი ბრალი?

მკაცრად იკითხა ვენერამ.

— ასე დამდევს, სადაც წავალ...

ახშუვლდა გულამომჭდარი გოგო.

— რა მინდაო, რას გეუბნება?

— არაფერს არ მეუბნება...

— მიყვარხარო?..

ციციომ პასუხის მაგივრად, ტირილს
უფრო მოუმატა და თვალებიდან ცრემ-
ლი ღაბაღღებით წამოუვლიდა.

— კარგი... დაწყნარდი, — ხმას დაუ-
წია ვენერამ, — ვიცი, რომ შენ დამნა-
შავე არა ხარ, მაგრამ...

ვენერა შეიღს მიუახლოვდა, გვერდით
მიუჯდა და ხელი მხარზე მოჰხვია.

— შენ უკვე დიდი გოგო ხარ... გოგო
კი არა, ქალი ხარ, ციციო...

დედის დაყვავებამ კიდევ უფრო ატ-
რუნა გული ციციოს, თავი კალთაში ჩაუ-
ღო და ახლა გაბმით ატირდა.

— ნუ ტირი, გეყოფა... დაწყნარდი...
ამწვილებდა დედა და თან თავზე
ხელს უსვამდა.

— შენ უკვე დიდი ხარ და ბიჭებთან
მორიდებული უნდა იყო... სოფელ-სო-
ფელ არ უნდა იარო... ერთსა და იმავეს
თავი არ უნდა გააცილებინო... ხალხი,
ზომ იცი, სალაპარაკოს ეძებს... თქვენ
წმინდა გულით, ამხანაგურად დადიხართ
ერთმანეთთან, სოფელი კი ათასგვარ
კუღს ამჟს თქვენს ერთად სიარულს...

ის დღე იყო და, ციციო იონასთან გა-
ვლილი აღარავის უნახავს.

ამ ამბავს ვენერა დიდად არ დაუ-
შვილებია: ხმა გავრცელდა, იონამ სძას
მიჰყო ხელი და საქვეყნოდ იმუქრება,
თუ ნებით არ წამომყვა ციციო ძალით
მოვიტაცებო.

შეყვარებული ყმაწვილის მუქარისა
დიდად არ ეშინოდა ვენერას, მაგრამ
სიფრთხილეს მაინც ერთი-ორად უმატა.
მანამდე თუ შვილს ჩაის საკრეფად არ

უშვებდა, ახლა თვითონვე ამოყენა
მხარში, ჩაის კრეფით არ ღლიდა,
მაგრამ პლანტაციოში სხვა იოლი საქ-
მეც ბევრი იყო, თვითონ ავალებ-
და იმ საიოლო სამუშაოს და რაკი გვერ-
დით ჰყავდა, გულდაარბენიებული თვი-
თონაც უღარდელად მუშაობდა.

ხედავდა ვენერა, როგორ წითლდე-
ბოდნენ ბიჭები ციციოს დანახვაზე, რო-
გორ გაოგნებულივით აყოლებდნენ
თვალს მის ათქვირებულ ტანს. დაქალე-
ბაში შესული ციციოს ყოველი ნაყე-
თიდან, ონავარი ეროსი ეშმაკურად
იციირებოდა და გამვლელ-გამომვლელ
ახალგაზრდებს ისრებს სეტყვასავით
აყრდა.

ატკლცილი ლოყები, დაბნედილი
თვლები, ოდნავ შემალღებული მკერდი
და ხორბლისფერი მხარმკლავი ციციოს
უნებურად, თავისთავად ეძახდნენ, სარ-
თვლოდ უხმობდნენ ვაჟკაცებს.

დედა ცდილობდა შვილი უბრალოდ
ჩაცმული ჰყოლოდა და ციციოც არ
იჩენდა განსაკუთრებული ჩაცმა-დაბურ-
ვის სურვილს. მეტწილად გრძელსახე-
ლოებიანსა და გულისპირდაბურულ კა-
ბებს აცმევდა, მაგრამ მაცთური ეროსი
იმ კაბებს ქვეშიდანაც გამომწვევად გა-
მოიყურებოდა და კაცების თვალსა და
გულს ციციოსკენ იტაცებდა.

ვენერა ვითომ ვერ ამჩნევდა მისი ქა-
ლიშვილის ირგვლივ ფუტკარივით მო-
ხუხუნე ვაჟებს, მათი ამღვრეული თვა-
ლების დაჟინებულ ცქერას. განგებ
თვალს არიდებდა მათ დამშუულ მზერას
და ცდილობდა ციციოსთან ახლო ყოფ-
ნით იმ ფარული ცეცხლის განელეხას,
რომელიც ახალგაზრდების განსჯისა და
გონების დაუკითხავად ენთებოდა ყველ-
გან, საითაც ციციო მიბრუნდებოდა.

ყველას და, მათ შორის, ვენერასაც
უკვირდა: ციციო არც ჩია ტანის დედას
ჰგავდა თავისი თვალ-ტანადობით და
ყინით სავსე სხეულით, არც ტლანქსა-
და მოუხეშავ რაყდენს მომხიბლავი ეშ-
ხითა და გამომწვევი მიხრა-მოხრით.

გრძნობდა ვენერა, რომ ციციოს
სხეულში ნაადრევად და სამუდამოდ

იყო ჩასახლებული ის ეშმაკი, რომელიც მარტო მის ირგვლივ მორიალედ ვაჟკაცებს როდი უმღვრებდა გონებას, თავად მასაც, ციკოსაც არ აძლევდა მოსვენებას და ალბათ არც ოდესმე მისცემდა.

ერთხელ სოფლად გამავლილ ბოშებს გადაეყარა ჩაიდან მომავალი დედა-შვილი. შავ-კრიალა თვალბიანი ბოშაქალი აეკიდათ, მანეთი მოჰყ, შენი ბედი გითხრაო. ვენერამ, როგორც იყო, მოიცილა აბეზარი მკითხავი, მაგრამ ციკომ ხელი ხელში ჩაუღო და მკითხავს ცნობისმოყვარე თვალთ მიაშტერდა.

ბოშაქალმა ერთხანს რაღაც გაურკვევლად იბუტბუტა, მერე სახე მოელეშა და ლოყაზე ხელი შემოიკრა:

— შენ ლამაზი ქალი იქნები, ოღონდ შენი სილამაზის შიში გქონდეს. შენი სილამაზე შენი უბედურება იქნება, ბევრი კაცი შეგიყვარებს, მაგრამ შენი ბედი არ იქნება. ბოლოს ალალი კაცი მოვა, შენი ბედი ის არი, ყველაფერი კარგად იქნება, ასი წელი იცოცხლებ...

მკითხავ ქალს სახეზე შეშფოთება ეტყობოდა, ბოლო სიტყვები დაზვიანებულვით თქვა დედა-შვილის დასამშვიდებლად, კრიალა, შავ თვალბში შიშის ლანდი ჩაუსახლდა ციკო შეეცოდა და თავზე სიბრალულით ხელი გადაუსვა. მანეთიანის მიცემას აღარ დაელოდა, თვალზე ცრემლი აუთამაშდა, შემკრთალი მოტრიალდა და გაშორდა.

მამინ ციკო პატარა იყო. ბოშაქალის სისულელეზე ვენერამ დიღხანს იცინა, მაგრამ რა იცოდა, რომ იმ ქალის კრიალა, შავ თვალში გაბრწყინებული ცრემლი და შეშინებული გამოხედვა შემდეგ არაერთხელ გაახსენდებოდა და უკვე დაქალბული ციკოს ბედით შეშფოთებულ დედას მუდმივ თანამგზავრად გადაეკეცოდა.

უბრალო დამთხვევა იყო, თუ წინასწარმეტყველების ასრულება, ციკოსათვის სილამაზე მართლაც ბედისწერად იქცა. მისი ქალური ბუნება კაცებს საოცარი ძალით იზიდავდა, ტრფობისა და ნდომის უხილავ ცეცხლში აგდებდა და

ვითომ არაფერ შუაშიც არ ყოფილიყოს... თვითონ გულგრილი და უგრძნობი ჩაჩებოდა.

ვენერა ხვდებოდა, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, ცეცხლთან მოთამაშეს ბოლოს ცეცხლი დასწვავდა, ციკოს თავშეკავების უნარი დიდხანს არ ეყოფოდა და მარტო ჭკუა-გონება ვერ შეინახავდა.

ასეთ ქალს გაუხედნავი კვიცივით მაგარი აღვირი და ფხიზელი თვალი უნდოდა, კაცის პატრონობა სჭიროდა.

საცოდავ ქვრივს იმდენი აღარც ძალა ჰქონდა და აღარც დრო, რომ თავის საქმესაც ასელოდა და ერთადერთი ქალიშვილის მოსატაცებლად მოძალეზული ქორ-შიშინობები ეგერებინა.

კაცი, პატრონი უნდოდა ოჯახს.

სანამ ციკო პატარა იყო, აღრე დაქვრივებულ ვენერას გათხოვებაზე არც უფიქრია, ეშინოდა, მამინაცვალი ბავშვს დამიჩავრავსო.

ახლა ციკო უკვე დიდი იყო და ვენერა ჯერ კიდევ ახალგაზრდა.

ღია სატყირთო მანქანით ჩაიდან ბრუნდებოდნენ ქალები. კოლმეურნობის კანტორას რომ ჩაუქროლეს, ჭიშკართან ტიტეს მოჰკრა თვალი ვენერამ. ელდანაცემივით უცებ გაფთვრდა და მუხლებში სისუსტე იგრძნო.

მანქანამ სწრაფად გაიქროლა და ტიტეც თვალს მიეფარა.

— ტიტე დაინახეთ?

იკითხა რომელიღაც ქალმა.

ვენერას მოეჩვენა, რომ ეს კითხვა მარტო მის გასაგონად ითქვა. ეგონა, ყველა მას უყურებდა და გაწითლდა.

— ჩვენთან, კოლმეურნობაში დაუწყია ისევ მუშაობა ბუღალტრად.

განმარტა ისევ იმ ქალმა.

ვენერას გულმა აჩქარებით დაუწყოცემა. სშენადქეული, გატრუნული იქდა. თავს არ იღებდა.

ვერ გაეგო ან გულმა რატომ უმატა-

ბაგა-ბუგს, ან რატომ გაწითლდა, ან თავს რატომ ვერ სწევდა დარცხვენილი.

— ამ ათ წელწიდან სად ვიყავიო?..

— ეგ ვინ იცის!..

— ცოლი თუ ჰყავს, ნეტავ...
 ამ კითხვაზე ვენერა კიდევ უფრო გა-

წითლდა და თავისი თავი ზეღმეტ დაინტერესებაში დაიჭირა: სმენად იქცა, დაიძაბა და გულის ფანქალოთ დაელოდა, რას იტყოდნენ.

— არა, ცოლი არ ჰყოლია.

განმარტა ტიტუს ამბის მცოდნემ და ვენერას გულზე ლოდი მოეხსნა.

ის ღამე ერთხელ კიდევ თეთრად გაათენებინა იმ სიყვარულმა, რომელიც ყმაწვილქალბაში უტებდა ძილს.

გულის შორეულ ქუჩულში მივიწყებულმა, ფერფლწყურღმა გრძნობაჲ იხვე გაიდვიძა და გამოცოცხლდა.

ის გრძნობა უსამართლოდ დავიწყების აღარ ურიგდებოდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის მომავალ ცხოვრებაში წილის დადებას ითხოვდა და საამქარაოზე გამოსაჩენად ემზადებოდა.

თუ ახალგაზრდობაში არ ეღირსა ვენერას სიყვარულს ფრთების შესხმა, ახლა, როცა თავის ბედს თვითონ განაგებდა, რას უნდა შეეშალა მისთვის ხელი. ვინ უნდა აღდგომოდა წინ დიდი ხნის ოცნების განხორციელებაში!

მართალია, ტიტუს უკვე ხანი შეტყობია და ის აღარ არი, რაც ამ ოცი წლის წინათ იყო. მაგრამ აღარც ვენერა არი ჩვილმეტი წლის გოგო.

მთავარი ისაა, რომ ვენერას გულში კიდევ ცოცხალი ყოფილა პირველი სიყვარულის გრძნობა, ტიტუს ცოლი არ ჰყოლია და ალბათ ისიც დაოჯახებას ფიქრობს, მასაც მოსწყინდებოდა მართხელა ცხოვრება და, ვინ იცის, ეგებ, სწორედ ახლა ისიც ვენერასავით ოცნებობს მასთან შეერთებაზე.

ნეტავ მართლა ასე იყოს!

მაგრამ ტიტე მართხელა კაცია და მისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა ადვილია. ვენერა კი... ვენერას უკვე გასათხო-

ვარი ქალიშვილი ჰყავს და ის ქალიშვილი ქვეყანას ურჩევნია. დედის უფრო წუთითაც ვერ წარმოუდგენია! სუცხოვოდ ცხოვრება, მაგრამ უკვე გრძნობს რომ ციცი, მისი კალთიდან მალე აფრინდება და ახალ, საკუთარ ბუდეს გაიკეთებს. ვენერა მარტო დარჩება, შვილის ოჯახზე, შვილიშვილებზე ზრუნვა მოემატება და მათი აყნების რწევაში სიბერე ისე წამოეპარება, გონს მოსვლას ვერ მოასწრებს.

ამის გაფიქრებამ შეაერთო და ააფორიაქა ვენერა.

განა, რათა, განა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ჭანღონით სავსე არ არის იგი?! რა სიამე მიიღო ამ ქვეყნისგან, თავისი ქალობისა და ახალგაზრდობისაგან?! ქმარი ადრე დაელუბა, ისე, რომ ხეირიანად არც განუცდია ცოლქმრობის ეშხი და სიხარული, აგერ რამდენი წელწიდაია, მამაკაცისკენ არ გაუხედავს, თრგუნავს და ახშობს ახალგაზრდა სხეულის ყოველგვარ თავის შეხსენებას, მონაზნურად ცხოვრობს და ისედაც მოსაწყენ ცხოვრებას მართობითა და განდევგილობით მთლად უღიმვამოდ და უსიხარულოდ ატარებს. რა აქლია ვენერას? საკუთარი გარჯისა და შრომის ნაყოფი თავზე გადადის, ფული ბევრი აქვს და სახლი დოვლათით სავსე. ყველას მისი ბედი შურს, მაგრამ ვინ იცის, რომ იგი ასე მარტოა, მის ცხოვრებას, მის ქალობასა და ოჯახის ბედნიერებას უმთავრესი აქლია — მეგობრისა და უღლის გამწევის სითბო და სიახლოვე.

აქამდის ბავშვის მცირეწლოვანება აჩრებდა ვენერას, არ უნდოდა ციცი მამინაცვალს დაეჩაგრა და მოყვარული დედა საკუთარ თავს იჩაგრავდა, ქმარზე და გათხოვებაზე არ ფიქრობდა. ახლა, როცა ციცი სრულწლოვანებაში შედის და დაქალებას იწყებს, ვენერას ახალი საფიქრალი უჩნდება. ამიერიდან დღე და ღამ იმაზე უნდა იფიქროს, ქალიშვილი უღროოდ არავინ მოსტაცოს. უღირსმა არავინ წაართვას და არ გაუუბედუროს. ციცოს აზრადაც არ მოუვა,

რომ დედამისი ჭერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანითა და სიცოცხლით სავსეა და მასაც ამ სოფლისაგან თავისი წილი სიამის მიღების სურვილი კიდევ დიდი აქვს. აქამდე თუ ბავშვის მოუჩიტავობა ჰქონდა მიზეზად, ამიერიდან შვილის ქალობაში შესვლა, მისი დაქმარშვილება აღუდგება წინ დაბრკოლებად. როგორღა უნდა გათხოვდეს ამოდენა ქალის დედა და შვილიშვილების ბებია?!

ამის გაფიქრებამ ვენერა გააშწარა და შეაშფოთა. გუშინ თუ შვილის დაქალება ახარებდა, ახლა რაღაც გაურკვეველი გრძნობა უჩნდებოდა საკუთარი ქალიშვილის მიმართ. ეს გრძნობა შურსაც ჰგავდა, ბედნიერების მოცილიეს მიმართ ქიშპსა და გაავებასაც.

ნუთუ ცხოვრება მარტო ის არის, რომ ადამიანმა სულ სხვის ბედნიერებაზე იფიქროს, საკუთარ სიხარულზე ხელი აიღოს და სრულიადაც დაივიწყოს!

არა, ამას მარტო ბრძევები და უნებისყოფობები სჩადიან, ვენერასავით თავწახრილები და ბედის განაჩენს მინდობილები. ეყო ვენერას სულ სხვისათვის ზრუნვა. მასაც უნდა თვალის გახელა და ცხოვრების სიტკბოს გაცნა.

ამ ქვეყნის სიამეს დიდხანს მოკლებულმა ახალგაზრდა ქვრივმა, სახელი და პატიოსნება დიდხანს შეინახა შეურცხვენლად, და კმარა. არავინ აღარ გაამტყუნებს ქალიშვილ წამოზრდილ, მაგრამ თავად ახალგაზრდა ქალს იმაში, რომ საკუთარ ბედნიერებაზე ახლა მინც იფიქროს.

ჭერ კიდევ შეიძლება საკუთარი, პირადი ცხოვრების მოწყობა. ვენერამ თვალში უნდა გამოიხედოს. მკვლრებით აღმდგარ, ძველ სიყვარულს ზურგი არ უნდა აქციოს და კარზე მომდგარ საოცნებო ბედს ხელი არ უნდა ჰკრას.

ძილად მიღრეკილი ქალის გონებიდან ტიტეს სახემ თანდათან ყველა სხვა მოლანდება განდევნა და იქ მარტოდმარტო გაბატონდა: კობხტად უღვაშებშეკრეპილი ტიტე მაკდუნებლად უდიდობდა და ამდენი ხნის ქვრივს პირველად დაე-

ნანა, რომ კიდევ ერთი ღამე საყვარელი მამაკაცის ალერსის განუცდებლად უნდა გაეტარებინა.

ვენერამ თვითონაც არ იცოდა, რატომ ჩაიკვა მეორე დღეს საგარეო ტანისამოსი.

სახლიდან რომ ჩვეულებრივ ცეცხლმოკიდებულებით უთენია გარბოდა ხოლმე, იმ დღეს ლოჯინში გამოიშუშა, გვიან წამოვდა და სარკესთანაც დიდხანს იტრიალა.

მეზობლებს დააბარა, ჩაიში დამავიანდებოთ და მზე რომ კარგად შემალა, კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაუდგა.

ბულალტერიაში შევიდა.

ოთახის სიღრმეში მაგიდასთან მიმჯდარი ტიტე ვითომ არც დაუნახოს, მონაგარიშე გოგონასკენ წავიდა.

ორი საანგარიშოს ჩხაქუნი ერთ-ღროულად შეწყდა.

ვენერამ იგრძნო, რომ ბულალტერი მას უყურებდა.

თითქოს სხვას ვერავის ამჩნევსო, ვენერა კისკისით მიუახლოვდა მონაგარიშეს, მოიკითხა, ბრიგადის მუშაობის ანგარიში წინ დაუდო და სკამზე ჩამოჯდა.

ის იყო ტიტესკენ შემობრუნება დაპირა, რომ სახის სიმშურვალე იგრძნო. საუბრის დაწყება უნდოდა და ვერ ახერხებდა, პირზე აღმური ედებოდა. ლოყაზე ხელის ზურგს იდებდა და ცდილობდა ტიტესათვის თვალი მოერიდებინა.

— ვენერას გაუმარჯოს!

დაიძახა შორიდან ტიტემ. თავზე გამეჩხრებული თმა გაისწორა, მამალივით გაღხორილი, თავმოწმონედ წამოვდა და ვენერასკენ წამოვიდა.

— აქაო და, პირველი ქალი ვარო, ძველ მეგობრებს აღარ ცნობ, ვენერა?

— უიმე, ჩემი სიკვდილი ვერ დაგინახე.

წამოხტა ვენერა და დინჯად მოახ-

ლოებული ტიტესკენ ნაბიჯი წადგა.

— ხომ კარგად ხარ, ვენერა? თუმცა რა საკითხავია, შენი სურათი ყოველდღე გაზეთშია და მთელმა ქვეყანამ იცის შენი ყოველი ნაბიჯი.

ტიტემ ხელი ჩამოართვა და დიდხანს არ გაუშვა ვენერას მარჯვენა.

ვენერამ დაიმორცხვა, ჩაის კრეფისაგან გაუბეზრებული, დაკოვრილი ხელის დამალვა სცადა.

— სულ არ გამოცვლილხარ, ისევ ისე ახალგაზრდა ხარ და მშვენიერი.

ოდნავ ხმადაბლა უთხრა ტიტემ და ეშმაკური ღიმილით თვალეებში ჩაამტერდა.

— უი, რას ამბობ, ტიტე, დავბერდი ქალი!

— აჰ, სიბერეს ჭერ რა უნდა შენთან. შენზე კარგა ათი წლით ვარ უფროსი და მე არ ვაპირებ ჭერ დავბერებას.

ტიტე წელში გასწორდა და კმაყოფილებით გადაისვა ხელი მოკლე უღვაშებზე.

იქეთური და აქეთური ილაპარაკეს. მარინემ ანგარიში მოათავა, ვენერას ცნობა დაუბრუნა და როგორღაც ისე მოხდა, რომ ბუღალტერი და ჩაის მკრეფავი კანტორიდან ერთად გამოვიდნენ.

ნელა, ტყბილი საუბრით მოდიოდნენ სოფლის შარახე, ვენერას ჭიშკართან შეჩერდა ტიტე. ვითომ უკან გაბრუნება უნდოდა, მაგრამ ქალმა გულით შეპატივა და ბევრი აღარ ახვეწინა.

ყვავილებსა და მწვანეში ჩაძირული ეზოსთვის ყურადღებაც არ მიუქცევია სტუმარს. ახალ, ორსართულიან სახლს მუშტრის თვალით მიაჩერდა, კიბეზე დინჯად ავიდა და ფართო აივანზე შინაურებით გაიარ-გამოიარა.

— ეს სახლი ჩემს შემდეგ აგიშენებია, ვენერა... ჩემ დროს პატარა ოდა გქონდა... ძველებური...

— ჰო, ეს ახლა ავაშენე. ამ სამი წლის წინათ.

— ყოჩაღ! კაი სახლია! მოუწონა ტიტემ და იქაურობას კარგად დააკვირდა. ჭერმაღალი, ნათელი ოთახები ახალი ავეჯით იყო გაწყობილი.

გაკრიალებულ იატაკზე ხალიჩები ეფინა და მთელ სახლში არაჩვეულებრივი სისუფთავე იყო გამეფებულნი.

ტიტე ციციოს სურათს მიაჩერდა.

— ჩემი გოგოა, ციციო...

ამაყად თქვა ვენერამ და თვითონაც კმაყოფილი მიაჩერდა სურათს.

— რას ამბობ! ამას კი ველარ წარმოვიდგენდი, თუ ამოდენა იქნებოდა!

გულწრფელად შესაბაა ტიტემ.

— ტანი აიყარა, თორემ ჭერ ბავშვია. თქვა ვენერამ. უცებ რაღაც გაახსენდა სურათს მოშორდა და ოთახში გავიდა.

იმწამსვე აივანზე პატარა სუფრა გამოიტანა.

ხილი და სასმელი მოაყოლა და ბოდვილით დაიწყო:

— ამისთანა იშვიათი სტუმარი მეწვიე. ხაჭაპური უნდა გამომეცხო და წიწილები შემეწვია, მაგრამ მარტო როგორ დაგტოვო.

— რას ბრძანებ, ვენერა! ჭერ დილა არი, ახალი ნაშაუზმევი ვარ და ესეც ზედმეტია. მაგრამ შენთან საუბარი მინდა. შენც დაბრძანდი.

თქვა ტიტემ, ტახტზე გაიჩოჩა და მასპინძელს თავის გვერდით გაუთავისუფლა ადგილი.

ვენერამ სკამი არჩია და ტიტეს პირისპირ დაჯდა.

— ბედნიერი ქალი ხარ, ვენერა.

— ბედნიერი?

ვენერა ცოტახანს გაჩუმდა, თავდახრილს შეკავებული ოხვრა აღმოხდა და ოდნავ გასაგონად თქვა:

— ჰო, ბედნიერი ვარ. თუ მარტო კარგ ცხოვრებას ჰქვია ბედნიერება.

ტიტეს არც ჩუმი ოხვრა გამოპარვია და არც დარღწარევი კილო, მასპინძელს გაკვირვებით შეხედა და აღტაცებით თქვა:

— ნამდვილად ბედნიერი ხარ, ვენერა! გარეთ კარგი სახელი გაქვს და შინ კარგი ოჯახი, მთელი ქვეყანა შენზე ლაპარაკობს...

ტიტემ ეზოს მოავლო თვალი და თითქოს უცებ მოაგონდა:

— მანქანა არა გაქვს, ვენერა?

— მანქანა? მანქანა რად მინდა, ტიტე! კაცი აღარა მყავს და მე ხომ ვერ ვატარებ!

— რათა, ახლა ქალებსაც დაჰყავთ მანქანები. მარტო საზღვარგარეთ და რუსეთში კი არა, ჩვენშიც, თბილისშიაც ბევრ ქალს დაჰყავს მანქანა.

— ეეჰ, მანქანის დრო ვისა აქვს, ტიტე!

გრძლად ამოიოხრა ვენერამ.

— დრო უნდა გამოიხაზო, ვენერა. პირადი სიამოვნებისთვის დრო ყოველთვის უნდა იშოვო. ამ ქვეყნად ერთხელ ვართ და მეორედ აღარ მოვალთ... მანქანა საჭიროა, ვენერა...

რაკი იმ ერთხელ გადმოაბიჯა ტიტემ ვენერას კარის ზღურბლს, დღე ისე არ გავიძლოდა, ორჯერ-სამჯერ არ შემოევილო, ამბავს იკითხავდა, იმ მთისას და ამ ბარისას მოჰყვებოდა, ვენერას გაამზიარებდა და წავიდოდა.

წასვლისას ფეხს ითრევედა ხოლმე, მაგრამ ჭერ ვერც ვენერა ეუბნებოდა ნუ წახვალ და ვერც თვითონ ბედავდა ღამე დარჩენას.

მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ტიტე ტყუილად არ დადიოდა ვენერასთან. თვითონ ვენერაც არ მალავდა ტიტესთან სიახლოვეს. ერთმანეთისთვის ყველაფერი ნათქვამი ჰქონდათ, დღეს თუ ხვალ ხელი უნდა მოეწერათ და თავის ამ ნაბიჯს ვენერა ათასნაირად ასაბუთებდა და აშართლებდა თავისაკვე გულში: ქმარი ისე ადრე დაედუბა, ცოლქმრობის სიტყვო ხეირიანად არც კი განუცდია. ქვრივი ჭერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ლონეც შესწევდა- მაგრამ უღლის მართო წვევა აღარ შეეძლო და ცხოვრების წყურვილიც დიდი ჰქონდა. ამას გარდა, და მთავარიც იყო, ოჯახს პატრონი უნდოდა, მხვამხრივ არაფერი აკლდათ, მაგრამ მარტოხელა ქალებს შინ და გა-

რეთ მზრუნველი და ყურისმდებელი სჭიროდათ.

მარტოხელა

ვენერას ამ გადაწყვეტილებაზე მცირე გავლენა როდი მოუხდენია ციციოს მომავლისათვის ზრუნვას. მაინცაველი რომ გვერდით ეყოლებოდა, ქალიშვილს ავი თვალთ ველარავინ შეხედავდა და მანამ მაინც ვერავინ მოსტაცებდა, ვიდრე სკოლას არ დაამთავრებდა.

ვენერას თავად სჯეროდა, რომ მის ოჯახში ტიტეს შემოსვლა ციციოსთვის იქნებოდა ყველაზე მეტი სიკეთის მომტანი, მაგრამ შვილთან ამაზე სიტყვის ჩამოგდებას რატომღაც ვერ ბედავდა. მისთვის ფიქრის გამხელასა და გულის გადაშლას ვერ ახერხებდა.

თავის მხრივ, ციციოსაც უცნაურად ეჭირა თავი. პირველი ნახვისთანავე ტიტეს მიმართ მტრულად განეწყო და ვერ იქნა, ამ კაცზე გული ვერ მოიბრუნა.

სოფლად ათასგვარ ჭორს ამბობდნენ კოლმეურნეობის ბუღალტერზე, სადაც წავიდა, თითო ცოლი ყველგან ჰყავდაო, ორჯერ ციხეშიც იჯდაო, და კიდევ ვინ მოსთვლის!..

ვენერასთან ტიტეს კურკურსა და დაახლოებაში ანგარიშს ხედავდნენ. მოწინავე ჩაის მკრეფავი შეძლებული ქალია და ბუღალტერი მის საესე ოჯახში ფეხიფეხზე შემოდგმული იცხოვრებსო.

სხვის უთქმელადაც, ინსტინქტივად გრძნობდა ციციო, აღმა-დაღმა ნათრევ ბუღალტერს დედამისის მიმართ არავითარი წმინდა გრძნობა არ შეიძლებოდა. ჰქონოდა და თუ მაინც მათ ოჯახში შემოსვლას ფიქრობდა, მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშა ამოქმედებდა.

ტიტე ყოველნაირად ცდილობდა ქალიშვილის გულის მოგებას. ისე არ მოვიდოდა, მისთვის რაიმე საჩუქარი არ მოეტანა, სულ მის ქებაში იყო და პირიდან მხოლოდ შექარი ამოსდიოდა.

ვენერა დიდხანს ყოყმანობდა, უჭირდა შეილითვის გულის გახსნა და თავისი განზრახვის განდობა.

მაგრამ რაკი საქმე გადაწყვეტილი იყო, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

და დადგა ქაში დედა-შვილის გულხდილი ლაპარაკისა. ვენერამ ტირილით აუხსნა ქალიშვილს, რომ მან თავისი ახალგაზრდობა ოჯახის პატიოსნებასა და ციკოს აღზრდას შეაღია, იგი უკვე დაიღალა ამდენი ჭაფით. უმამაკაცო ოჯახი უპატრონოსა ჰგავს და მართლაც უპატრონო არი, რადგანაც მტერი და მოყვარე მხოლოდ კაცსა ცნობს ყველგან და მხოლოდ მას უწევს ანგარიშს.

ტიტე ვენერას სიყრმის მეგობარია. იგი ნასწავლი, ყველასგან დაფასებულია და მისი შემოსვლა უკაცო ოჯახში ერთი-ორად ასწევს მათ ღირსებას. მთავარი კი ის არის, რომ ტიტეს ციკო საკუთარი შვილივით უყვარს. მის სიყვითესა და მომავალზე იზრუნებს და ყოველნაირად ხელს შეუწყობს მის ბედნიერებას.

ციკო წარბეჭერული ისმენდა დედის შეგონებას.

დედა გრძნობდა, რომ ქალიშვილი ძლივს იოკებდა აღშფოთებას და მზად იყო ასაფეთქებლად.

მაგრამ ციკო მოერია შინაგან მღელვარებას, სათქმელი ბოლომდე მოუსმინა და, როცა დედამ აღსარება ფარისევლური ტირილით დაამთავრა, დამცინავად ჰკითხა:

— რჩევას შეკითხვები, თუ ნებართვას მთხოვ?

დედა ასეთ კითხვას არ მოელოდა, ცოტა არ იყოს დაიბნა და ხვეწნით მიუგო:

— ერთსაც და მეორესაც.

— გადაწყვეტილება უკვე მიღებული გაქვს, მაგ საჭმეში შე აღარც მრჩევლად გამოვდგები და აღარც ჩემი ნებართვა გჭირია.

მკაცრად მოუტრა ციკომ. მერე ცოტა ხმას დაუწია და ლმობიერად თქვა:

— შენი ბედი შენს ხელთ არი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ოღონდ ერთი სათხოვარი შემისრულე.

— რა სათხოვარი, შვილო?

— ბათუმში გადამიყვანე მამიდასთან.

— რათა? ჩემთან ცხოვრება აღარ გინდა?

— სწავლა მინდა, დედა. აღარც მპირდებოდი ბათუმში გადაყვანას.

— კარგი... გადაგიყვან... ვნახოთ... ამოხებრით თქვა დედამ და თვალი ისევ ცრემლით აევსო.

ქორწილი ერთ კვირას გაგრძელდა. ციკო სამზადსა და სუფრას დასტრიალებდა კერძები მოჰქონდა, წამსვლელ-მომსვლელს ნაძალადევი ღიმილით აცილებდა და ეგებებოდა.

გრძნობდა, რომ იმ დღიდან მის ბედში რაღაც გარდატეხა იწყებოდა, დედა-შვილის სიამტკბილი ცხოვრება თავდებოდა, მათ შორის შესაძებ დგებოდა, მისთვის უცხო და შორიული.

ციკო თავს ძალას ატანდა, ცდილობდა და წყენა და დაბნეულობა სხვებისათვის არ დაენახებინა, მაგრამ თავადაც გრძნობდა და სხვებიც ამჩნევდნენ, რომ ქალიშვილი გარჯას გულს ვერ ატანდა, მის ქცევას მარბილი და ხალისი აკლდა.

ლამაზი გერის დანახვაზე ტიტეს სახე ეზადრებოდა, თვალებს წყურავდა და წუწყ მელასავით შორიდან შესციცივნებდა. ციკო გრძნობდა მამინაცვლის დატინებულ ცქერას. სუფრაზე დახრილმა ერთხელ იმასაც მოჰკრა თვალი, როგორ მსუნაგად ჩაპყურებდა მთვრალი ტიტე ოდნავ ნოღებულ საკინძში. სახელეწილმა გულისპირი მაშინვე ხელით დაიფარა და აღშფოთებული გაეცალა იქაურობას.

ბედნიერებით გაბრუებული, სისარულით დაბრმავებული პატარძალი ვერ ამჩნევდა, როგორ ნერწყვის ყლავით აყოლებდა თვალს მისი ახალი ქმარი სუფრიდან სამზადისაკენ წელის ოდნავი რხევით მიმავალ გერს.

მხოლოდ ქალაქიდან ჩამოსულ ტიტეს მეგობარს არ გამოპარვია ვნებით მთვრალი მზერა მამინაცვლისა.

ღენიამოკიდებულმა მაყარმა თავი გადასწია და სიძეს ჩურჩულით უთხრა:

— ბარემ შვილი შეგერთო, ტიტე, თუ ცოლის შერთვას და უღელში თავის გაყოფას ფიქრობდი.

მთვრალი მამაკაცების „ჩურჩული“

საკმაოდ ხმაილალი გამოვიდა და მათ ახლო მდგარ ციციოს ყურს მისწვდა.

ციციო თიწურა.

— შეილიც ჩემი იქნება და დედაც! ჩაიხიხითა ტიტემ და მეგობარიც აპყვა მის სიცილს.

— ჰო-ჰო, რა ქერის ორმოში ჩავარდი!

მხარზე დაჰკრა ხელი „მეფეს“ მაყარმა და ორივე სიცილით გადაბეირდა.

ციციოს სახეზე ალი მოედო. მთვრალეებს ზიზღით მოხვდა და იქიდან გალახულივით გავარდა.

ათაფეს ოთახში ჩაიკეტა, ლოგინზე დაემხო და აქვითინდა.

ქალიშვილი უკვე ხედავდა იმ შავი ღრუბლების მოახლოებას, რასაც აქამდე გაუტყნობიერებლად გრძნობდა.

პატარაობიდან მარტოობას შეჩვეულმა მხოლოდ ახლა იგრძნო იმ მარტოობის საშინელება.

ამ ქვეყნად ერთადერთი ახლობელი აღამიანი ჰყავდა და დღეიდან ისიც სხვას ეკუთვნოდა. მაგრამ უბედურება კიდევ ის იყო, რომ დედა ქორწილის დღიდანვე მოტყუებული, იმედგაცრუებული აღმოჩნდა, თუმცა თავად ჭერ ამას ვერ ხედავდა.

ის, რაც სხვათა მითქმა-მოთქმიდან ღროღადრო აღწევდა ციციოს ყურამდე, ახლა საქორწინო სუფრაზე თვითონვე აღიარა ტიტემ და ციციომ პირველად იგრძნო საფრთხე თავისი ჰასაკისა და ქალობის გამო.

იგი გრძნობდა, რომ მის სახლში, მის ახლს, ფიცრის თხელი კედლის იქით, ბინას იღებდა ბოროტი სული, ცხრათავიანი დევი, რომელიც არა მარტო მისი დედის ქონებას ჩანთავდა და კაი ქალობას შეარცხენდა, არამედ გერის მყუდროებასა და უზრუნველ ცხოვრებასაც ააფორიაქებდა. საქვეყნოდ გამოაჭენებდა და თავს მოჭრიდა.

ციციო ტიროდა და ეს ტირილი მარტო საყვარელი დედის გამოტირება კი არა, საკუთარი სიმშვიდისა და უზრუნველი ცხოვრების გამოტირებაც იყო. ქალიშ-

ვილი გრძნობდა, რომ ამ დღიდან იგი თავისი ჭკუისა და ძალადონის სამარა რჩებოდა. ეს ჭკუა ჭერ კიდევ უწევრთნელი და გამოუცდელი იყო, ხოლო ძალადონე ჭერ კიდევ მოუმარებელი. საკუთარი უმწეობის შეგნება აშინებდა და აფრთხობდა შემფრთხებულ გოგონას.

გარედან აშლილი სტუმრების ხორხოცი ისმოდა. ციციო წამოდგა, კართან მივიდა და პირველად საკუთარ სახლში თავისი ოთახი საგულდაგულოდ ჩარახა.

სოფლის წინასწარმეტყველება ახდა. ტიტემ კოლმეურნეობის კანტორაში მუშაობას თავი დაანება. მხარეთმოზე წამოწვა და ქეიფსა და ღროსტარებას უმატა.

ვენერას სახლში სტუმრანობა ვახშირდა.

ქმრის მოყვანით ვენერა შეღავათს ელოდა, მაგრამ ოჯახის ტვირთი შემსუბუქების მაგივრად მისთვის კიდევ უფრო დაამძიმდა.

ტიტეს ოჯახში არაფერი შენოჰქონდა. პირიქით, წარამარა ცოლს ართმევდა ფულს და მის ქონებაზე ხელგაშლილობას იჩენდა.

ქორწილიდან ერთი თვეც არ იყო გასული, ტიტემ რომ სოფელში ახალთახალი მანქანა შემოაქროლა.

პირველ დღეებში რამდენიმეჯერ ცოლი ჩაიში ახალი მანქანით მიიყვანა. ვენერას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ტიტეს მალე მოსწყინდა დილით აღრე ადგომა და ცოლის ტარება.

მანქანაში ცოლის მაგივრად მალე თავისი ძველი ამფსონები მოისვა გვერდით და აღმა-დაღმა დააჭროლებდა.

ცოლს ერიდებოდა შინ გვიან მოსული, ნაჭეიფარი ქმრის დილაადრიან გაღვიძება და ძველებურად ქვეითად გარბოდა სამუშაოზე.

სანამ ქმარი ასადგომად თავს წამოსწევდა, ცოლი მუშაობის ეშხში კარგახნის შესული იყო და აღარც ახსოვდა

თავისი ნაოფლარით შექმნილი მანქანა მისი იყო, თუ არა.

სამაგიეროდ, ციკოს წამოადგომა არ გამოეპარებოდა ტიტეს. რაგინდ გვიან დაწოლილიც არ უნდა ყოფილიყო, სკოლაში წასვლის დროს ლოგინიდან წამოხტებოდა, მანქანის საჭეს მიუჭდებოდა და ციკოს წასაყვანად ემზადებოდა.

ციკო მანქანაში არ ჯდებოდა.

— არ მინდა... სკოლა ახლოა... ამხანაგებს უნდა გაეუარო...

— შენს წასაყვანად ავდექი, საგანგებოდ... ჩაქეჭი, ციკო... მოიცა...

მისდევდა ტიტე კარმოღებული მანქანით სოფლის გზაზე.

ციკოს გამვლელ-გამომვლელების შერცხვებოდა, შეჩერდებოდა, მაგრამ ტიტეს გვერდით მაინც არ დაჯდებოდა, უკანა კარს გააღებდა და კუთხეში მარტო მიიყუევებოდა. სკოლამდე თავს არასგზით არ მიაყვანივებდა, სადმე შორს ჩამოხტებოდა და უკანმიუხედავად ვარბოდა.

როგორც კი მარტო მიმავალ გერს სადმე გადაეყრებოდა, შეუჩნდებოდა:

— დაქეჭი, ციკო, მანქანის მართვა ისწავლე.

ციკო ათასგვარ მიზეზს პოულობდა და მანქანას ახლო არ ეკარებოდა.

მაგრამ, როცა მანქანაში ვენერაც იჭდა, მაშინ უკვე ველარაფერს აწყობდა.

— დაქეჭი, შევილო... ისწავლე მანქანის მართვა, ახლა თბილისში სულ შენხელა გოგონებს დაჰყავთ თურმე მანქანები.

ჩააცვიდებოდა ვენერა და ტიტეს გვერდით თითქმის ძალით დასვამდა ქალიშვილს. სახეგაბადრული ტიტე ციკოს საჭეს აძლევდა, მანქანა არ გაგექცესო, ხელს წამდაუწუმ მკლავზე ავლებდა და ზედ ეკვროდა. არჩეინი ვენერა ქმრის ამ ბლლარქმუნს ვერ ამჩნევდა, მანქანაში ყელმოღერილი იჭდა და გამვლელ-გამომვლელს ამაყად გაჰყუვებდა.

წინათ თუ პირდაპირ ცქერას ვერ უბედავდა და თვალთ ფარულად სჭამდა ციკოს ბოლო დროს თანდათან უფ-

რო და უფრო თავხედდებოდა ტიტე გერთან. თამამდებოდა და უწმინაფრდებოდა.

მაგრამ ციკო ძველებურად გაურბოდა მაშინაცვალს. ვერ იქნა და გერის გული ვერ მოიგო ტიტემ, ვერც მანქანით აიყოლია, ვერც ზრუნვითა და მოფერებით დაიახლოვა.

სკოლიდან დაბრუნებულმა ციკომ ყველა ოთახში შეიხედა.

ღედა ჩაიწი იყო. მანქანა ეზოში არ იდგა, ტიტე წასული ჩანდა.

ციცბლზე წყალი შემოვდა. სახლი ცოტა მიალაგ-მოალავა და წყალი რომ გაცხელდა, ტანის ბანას შეუღდა.

საამისოდ მოუწყობელ ოთახში ციკო წყალსაც თვითონ ისხამდა და საპონსაც თვითონ ისვამდა. თუნგი თავზე დაიბირქვავა და უცებ მანქანის ხმა მოესმა.

წამით ბანა შესწყვიტა და საპონწასმული, თვალდახუჭული გაინაბა.

მანქანის ხმაური უცებვე მისწყდა.

მომეყურაო, გაიფიქრა და ბანა განაგრძო. წყალს ისხამდა და იბანდა, მაგრამ რაკი გულში შიში შეეპარა, ვერ იქნა და ვედარ მოიძვენა.

რა დაუდევრობა მოუვიდა ამოდენა ქალს! მარტო კონკრის კი არა, სახლის კარის დაკეტვაც დაავიწყდა და ამ ოთახში შემოსასვლელი კარიც გადაურაზავი დარჩა.

ციკომ ბანას უჩქარა. ტანი რალაცას ცუდს უჩქარებდა და გული გამალეებით უცემდა. საპონს სწრაფად ისვამდა და წყალს ხშირ-ხშირად ისხამდა.

ფეხზე წამოადგა. ჩამოშლილი თმები მხრებზე და გულმკერდზე ეყარა და სახეს უფარავდა.

ის იყო, თუნგი შემართა წყლის დასასხმელად, რომ ვილაცის მოშტერებული მზერა იგრძნო.

თავი მოიბრუნა და... ღია კარში ტიტე იდგა.

სახეანთებული. სისხლმოწოლილი თვალებით, კაცი კი არა, ნადირი მიჩერებოდა შიშველ ქალს.

ცხოველური ქინი მორეოდა, ნარბე-
ნივით გულამოვარდნილი ქმინავდა და
გამოღწეული შეპყურებდა შადრე-
ვანივით თეთრსა და მჩქეფარე სხეულს.
იღვა ტიტე, უყიდურესობამდე და-
ძაბულ ერთ ძარღვად ქცეული, გონდა-
კარგული და ქინმორეული.

იღვა მარმარის სხეულზე საპნის ბუმ-
ტებდასხმული ქალწული და ტიტეს
რომ ძველი ბერძნული თქმულება
სცოდნოდა, ან ვანსჯის უნარი ჰქონოდა.
მიხვდებოდა, რომ ბედმა ზღვის ქაფი-
დან სიყვარულის ქალღმერთის დაბა-
დების მოწმე გახადა.

თვალშესული მტევანივით გავსებული
ტანის ყოველი უჯრედი ზემივითა და
ზარით მოუხმობდა მერთვლეს.

ტანსაცმელგაზდილი ციციოს სხეული
ვნებით აფეთქებული სუნთქავდა და
ხანძრის იმ გამძვინვარებულ ცეცხლს
ჰგავდა, ეს-ეს არის კვამლის ფარდა
რომ მოიშორა და მთელი ქვეყნის გა-
დასაწვავად გარეთ გამოვარდა.

ასეთ ქალზე ხალხს გაბედულად უთ-
ქვამს, მისი ნაბანიც არ დაიქცევია.

მაგრამ ნაბანი იქცეოდა და მზის უნა-
ხავი სხეული კაცის გამანადგურებლად
მღეროდა სიყვარულის უძლეველობისა
და ვნების გარდუვალობის სიმღერას.

როგორც კი გამხეცებული კაცი დაი-
ნახა, ქალმა ერთი შეპკვილა, თუნგი
გაავლო და ინსტინქტურად ხელები
გულმკერძზე აიფარა.

— აქ რა გინდა... წადი, თორემ ვიყ-
ვირებ... მთელ ქვეყანას შევყარი...

შესძახა სასოწარკვეთილმა ციციომ.
დაბნეულს ფეხის გადადგმა და ზეწ-
რის მოხურვაც ვერ მოეფიქრებინა და
პირგამებებული მიიერებოდა აქლოში-
ნებულ მაშინაცვალს.

— ციციო... ჩემო ციციო...
ჩერჩულეთ და ბარბაცით დაიძრა ქა-
ლისკენ ტიტე.

— არ მომეკარო... ახლო არ მოხვი-
დე...

შეპყვირა ციციომ, ტაშტიდან გადახ-
ტა, კბას თუ პერანგს ხელი დაავლო,
წინ აიფარა და კედელს აეკრა.

— შენი ჭირიმე... შენ გენაცვალე...
ბურღლუნებდა ტურზე ნგრწყვმომდ-
გარი ტიტე. წინგამოშვერილი ხელები
ვნებიან ცახცახს მოეტაცნა ვაჟკაცისათ-
ვის და გაოგნებული, ნელი ნაბაჯით
მიიწევდა ქალისკენ.

— არ მოხვიდე... გამეცალე...
ყვიროდა ციციო და თან მთელი ტანით
თრთოდა.

კაცისგან ხელშეუხებელი სხეულის
ქათქათა სისასესემ და უბიწო თრთოლ-
ვამ კიდე უფრო მიიზიდა გონდაბნელე-
ბული მამაკაცი.

ის იყო, ხელი მოსახვევად ვაშალა და
საკოცნელად მიიწია, რომ სასოწარ-
კვეთილმა ქალმა მუცელში წახლას
ჩარტყმა მოასწრო.

ტიტე უკან გადაქანდა და წყლით
სავსე ტაშტში ჩავარდა.

სანამ კაცი გონს მოეგებოდა, კაცომ
ლონე მოიკრიფა, მეორე ოთახში გაეარ-
და და კარი გადაარაზა.

ერთხანს კართან იდგა, მერე ლოგი-
ნისკენ წავიდა, მუხლებმა თავისთავად
უმტყუნეს და საწოლზე უღონოდ დაე-
შვა.

ლოგინზე დამხობილი ციციო გულა-
მომქდარი ტიროდა.

ბალიშში თავჩარგულს ცოტახნის შე-
მდეგ მანქანის ძრავის თუხთუხი პოეს-
მა.

მანქანა ეხოდან გავიდა, სწრაფად
გაიქროლა.

ბნელოდა, ვენერა რომ დაბრუნდა.
მუშაობით დაღლილ ქალს მაშინვე
წავახშმება და ბალიშზე თავის მიდება
უნდოდა, მაგრამ შინ შესვლისთაივად,
უჩვეულო უწესრიგობა ეცა თვალში.

ციცხლზე შემოდგმულ ქვაბში წყალი
დუღდა და ორთქლად ადიოდა.

ციციოს ოთახში შეიხედა: იატაკი
წყლით იყო დატბორილი. ცარიელი
თუნგი ძირს ეგდო წაქცეული.

საპონი და სავარცხელი იატაკზე ეყა-
რა.

წყლით დაფარულ ოთახში აღარ შევიდა.

სახლი რომ ასე არეულ-დარეული დახვდა, არ ეკაშნიკა. ციციას წარტო თავისი ოთახი კი არა, მთელი სახლი მუდამ დაწვრილებული ჰქონდა და გაუკვირდა, იქაურობა ასე აფორიაქებული რომ იყო.

რაკი ტიშკარი და სახლის შემოსასვლელი კარი ღია იყო, შინ ვინმე უნდა ყოფილიყო — ციცი ან ტიტე. ოთახები მოიარა, ეზოსაც მოავლო თვალი — არსად არავინ ჩანდა.

ბოლოს თავის ოთახს მიადგა ვენერა.

კარი დაკეტილი დაუხვდა. გაუკვირდა: ტიტე კარს არასოდეს ამტავდა.

ფრთხილად დააკაკუნა.

— ტიტე, გძინავს?

მორიდებით, ხმადაბლა იკითხა.

ხმა არავინ გასცა.

უფრო მაგრად დაარახუნა.

— გაიღვიძე, ტიტე... მე ვარ, ვენერა...

გასძახოდა და თან კარზე ბრახუნს უმატებდა.

ოთახში ვიღაც წამოდგა და კარისაკენ წამოვიდა.

კარი ციციმ გააღო და ვენერა გაოცდა: ნამძინარევი თვალები დასიებოდა, ნამტრიალევს უგავდა.

— ასე აღრე რამ დაგძინა?

შესცინა დედამ, მაგრამ შეიღმა ხმა არ გასცა, გაბუტულივით ვატრიალდა, და ტანისამოსის ჩაცმას შეუდგა.

— ტანი შენ დაიბანე?

ციცოს დაუვარცხნელი თმა ჯერ კიდევ არ შეშრობოდა და ვენერას კითხვას ის აზრი ჰქონდა, რომ შემდეგ ოთახის მიულაგებლობის გამო საყვედური მოეყოლებინა. ქალიშვილს ერთხელ კიდევ შეხვდა და რაღაც არ მოეწონა. დაბნეული და აფორიაქებული ეჩვენა. ციცი ტანისამოსის ჩაცმას ჩქარობდა და ვერ კი ახერხებდა.

— ტიტე არ მოსულა?

იკითხა ცოტა არ იყოს შეფიქრებულმა ვენერამ.

ქალიშვილმა სახე მიპრიდა და არაფერი უპასუხა.

— ხომ არაფერი მომხდარა?

იკითხა ისევ ვენერამ და ხმაში შემოთება შეეტყო.

— რა უნდა მომხდარიყო...

მისკენ მოუხედავად თქვა ციციმ, ტილო მოძებნა, თავის ოთახში გავიდა და იატაკის წმენდას შეუდგა.

ვენერა გრძნობდა, მის არყოფნაში ოჯახში უსიამოვნო რაღაც უნდა დატრიალებულიყო, ციცი არაფერს ამბობდა და ეჭვით შეწუხებული დედა მოუსვენრად წრიალებდა. რამდენჯერმე ციციას ოთახში შებოროილდა, შეილთან გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ წარბშეკრული ციცი გაჯავრებული ეჩვენა და სიტყვა ვერ შეჰხვდა.

ციცი ოთახის მილაგებას მორჩა, ხელ-პირი დაიბანა, ჩემოდანი გახსნა და ტანსაცმლის ჩაწყობა დაიწყო.

დედა გაკვირვებული შეჰყურებდა.

ციციმ წიფნები გადაარჩია და ცალკე შეტყრა.

— ხომ არსად მიღიხარ, შვილო? ძლივს ამოიღო ხმა დედამ.

— მამიდასთან მივიღვიარ, ბათუმს.

მტკიცედ თქვა ციციმ.

— მამიდასთან? როდის?

— ახლავე...

— ახლავე რა საჩქაროა?.. რა მოხდება?..

— არაფერიც არ მომხდარა, დედა. ხომ მომეცი პირობა, რომ ბათუმში გადამიყვანდი მამიდასთან.

დედამ უმწეოდ ჩაჰკიდა თავი.

— ხვალ მაინც წაშლიყავი... მოგამზადებდი გასამგზავრებლად.

— არაფერი მომზადება არ მინდა, ახლავე მივიღვიარ.

— სკოლისას რას აპირებ?

— სკოლაში შენ მიხვალ, საბუთებს გამოართმევ და გადმომიგზავნი.

ციცი მკაცრად და შეუპოვრად ლაპარაკობდა.

დღეა მიხედა, კერპ, თავისნათქვამა შეილოან არც ჩხუბით ვაუვიდოდა რამე, არც ხვეწნა-მუდარით.

— საკმელი მინც ქამე... ვივასშმოთ...

— არ შშია, მატარებელზე დამიგვიანდება.

ციცომ მაგის საათს დახედა.

— დრო არი... მივდივარ.

ჩემოდანს ხელი დაავლო, წიგნები ილიაში ამოიჩარა და კარისაკენ წავიდა.

— ტიტე მინც მოსულიყო. სადგურამდე მანქანით წავიყვანდა.

ქალიშვილს უნდოდა რაღაც მკვებედ ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, დედას ერთი კუმტად მოხედა და სახლიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

მისწულს ჩასვლამ ბაბო მამიდა უზომოდ გაახარა. უბედური რაყდენი ერთხელ კიდევ გამოიტირა და მოთქმამი რძლის საყვედურიც გამოუტრია.

— სანამ უქირდა იმ დალოცილს, მამინ არ გათხოვილა და ახლა რამ აატრუა, როცა ჩიტის რძეც არ აკლია და შენ ტოლივით მხარში ამოუდექი.

ციცო ბაბოს საყვედურს არ აპყვა. დედასა და მამინაცვალზე სათქმელი ბევრი ჰქონდა, მაგრამ მათი ძვირი არ დასცდა. მამიდან გულში ჩაეკრა და უსიტყვოდ, გულამოქდარი აქვითინდა.

ხანდაზმულობაში დაქვრივებულ ბაბოს ქმრის პენსია და საკუთარი ოროთახიანი სახლი და დარჩენილი სიბერეში თავის გაატანა.

იმ ორი ოთახიდან ერთს აქირავებდა და ახლა მდგმურად ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ჰყავდა.

ციცოს მოსვლა არც აპარელ მდგმურს შეუშინებია და არც კიბის ქვეშ გასროლილ, თვლემამორეულ ძაღლს გაუგია. ამ ძაღლს ბაბო „გვარისას“ ეძახდა, მაგრამ დიდი ვერაფერი გვარისა და ჯიშის იყო. ერთთავად კიბის ქვეშ ან ღობის ძირას იწვა, მომსვლელ-წამსვლელს ზედაც არ უყურებდა და ყეფა კი არა, ბუზებდს მოვერებდაც ეზარებოდა.

გვარისა პატარა ლეკვი იყო, ბაბომ რომ მოიყვანა. მას აქეთ-კარგა ზომბორა ძაღლი წამოიზარდა, მაგრამ ხელმოკლედ ბაბო საჭმლით არ ანებიერებდა, ძაღლი პატრონის ღარიბი სუფრის ნარჩენებზე გადადიოდა და ფერდები ერთიმეორეზე ჰქონდა მიკრული.

ციცოს პირველად ეშინოდა გვარისასი და შორიდან უვლიდა ზოლზე, მაგრამ მალე დაარწმუნდა, რომ ხალთასავით დაგდებულ ზარმაცი ძაღლი მის იქ ყოფნა არ ყოფნას არაფრად აგდებდა და თავადაც დაივიწყა მისი არსებობა.

გვარისაზე ნაკლებად არც ბაბოს მდგმურის პირველ დანახვას შეუშინებია ციცო. ტყაუროვით თამამშვებულ, წვერგაუპარსავ სტუდენტს შორიდან მოჰკრა თვალი ციცომ და შეშინებული მამიდას ამოეფარა.

— მაგის აქ ყოფნა შენ არაფერს დაგიშვებს, — დაამშვიდა უმაღლეს ბაბომ, — მუდოა, კაცი კი არა, მთელი დღე ოთახშია ჩაყვტილი და წიგნებს აკლავს თავს. სტუდენტი თუ მყავს, ხვეწნით უნდა გამოვიტყუო. ახლანდელ ახალგაზრდებს არაფრით არ გავს, ბერია ნამდვილი.

რაკი ბაბოს უცნაური მდგმური ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილის მეზობლობას ერთხანს ვერ ამჩნევდა თუ არაფრად აგდებდა, მართლა მუდო ყოფილაო, თქვა თავის გულში ციცომ და მდგმურის ოთახისაკენ აღარც გაუხედია.

მაგრამ ბაბოს გაცოცხას საზღვარი არ ჰქონდა, ერთ მშვენიერ დღეს რომ თავისი მდგმური გვარისასთან ერთად დაინახა. სტუდენტს ძაღლისთვის წინ საკმელი დაეყარა. ძაღლი გამგელბული თქვლევდა, მისი კეთილისმყოფელი ზურგზე ალერსით ხელს უსვამდა და რაღაცას ებუბუბებოდა. მეორე და მესამე დღესაც იგივე განმეორდა.

მეოთხე დღეს, ბაბო კიდევ უფრო გაცოცხდა: გამძღარი, ღონეშოსული გვარისასიცილით სახეგაბადრულ სტუდენტს გულზე ახტებოდა, ხმადაბლა უყვებდა და ფეხქვეშ ეგებოდა. შექრი ძაღლს ხელში იყვანდა, ჰკერში ანჭლრევდა და მე-

რე ბურთოვით შორს ისროდა. გვარისა ძირს დაეცემოდა, მაშინვე წამოხტებოდა და ყეფითა და ეუნტრუშით ისევ შუქრისკენ მივბოდა.

— ხომ არ კვდებიან, ნეტავ, ჩემი მდგმური და გვარისა?—გაიფიქრა ბაბომ.

მაგრამ ახალგაზრდა შუქრი სიკვდილზე სულაც არ ფიქრობდა. პირიქით, თავაუღლებელი მეცადინეობისაგან მიძინებულ სიცოცხლის წყურვილი რაღაც შინაგანმა ძალამ თუ გარეგანმა ბიძგმა ერთბაშად გაუღვია, თვალი აუხილა და გული აუძგერა.

ბაბომ ისიც შენიშნა; მუდამ ჩაკეტილი კარი შუქრის ოთახისა გაიღო და ბერად დაუღებელი მდგმური დერეფანსა და ეზოში გამოჩნდა. ხმადაბალი სტვენითა და ღიღინით, ცალად დარჩენილი ფრინველივით ვიდაცას ეძახდა, თავისკენ უხმობდა რამდენიმე დღეში გამოცვლილი შუქრი.

ყურებზე ჩამოფარებული თმა და გაბუძვული წვერი უცებ გაქრა და, ბაბომამიდა მიხვდა, რამაც გამოიყვანა „მუღო“ სამზეოზე.

ბოშაქალის წინასწარმეტყველება არც ბაბოსთვის უამბნია ვისმე და არც მისი ახალგაზრდა მდგმურისათვის. არც იყო საჭირო, რადგან ციციოს თავისი ბედი ზედ ეწერა, და მარტო შუბლზე და ხელისგულზე კი არა.

ბედის ის განაჩენი წინ უძღოდა ლამაზ ქალიშვილს და პირველი დანახვისთანავე ვაჟკაცს იმაში არწმუნებდა, რომ ამქვეყნიური სიახე მხოლოდ მას—ციციოს შეეძლო მოეტანა მისთვის, მხოლოდ ის იყო გაჩენილი საიმისოდ, რომ ვაჟკაცისათვის სიცოცხლის სიხარული განეცდევინებინა.

ციციოს იქით საქალეთი ამოწყვეტილი, ცარიელი იყო და ქაბუქისათვის ბედნიერება სხვაგან არსად არსებობდა.

ქაბუქები ციციოს პირველი დანახვისთანავე ქალიშვილის ყოველ ნაკვთზე კითხულობდნენ ბედის ამ განაჩენს და, რაკი ადამიანს ბედნიერებისაკენ სწრაფვა დედის მუცლიდან აქვს თანდაყოლი-

ლი, ცდილობდნენ ეს კარზე მომდგარ ბედნიერება ხელიდან არსკანეშეგასწრაფად დაუფლებოდნენ.

თავისი ბედის განაჩენს ციციოს პირველ დანახვაზევე მისწვდა შუქრი და იმ დღიდან ვაჟკაცი ხელახლა დაიბაოა. თუ მანამდე უმიზნოდ, რაღაც გაურკვეველი სურვილითა და გაუზიარებელი ვალდებულების გრძნობით იყო მეცადინეობას გადაყოლილი, ციციოს ნახვის შემდეგ ყველაფერს—სწავლასაც და ცხოვრებასაც—ახალი აზრი მიეცა.

ვაჟს საფიქრალი გაუჩნდა და ძილი დაეკარგა.

იგი დარწმუნდა, რომ ბედნიერი მხოლოდ ციციოსთან ერთად შეიძლებოდა ყოფილიყო, უმისოდ სიცოცხლე არც უნდოდა და არც ეშხი ექნებოდა.

შუქრი აჭარის მთიანეთიდან იყო, კარგი ოჯახი ჰქონდა და ინსტიტუტშიც სანიმუშო სტუდენტად ითვლებოდა.

მას შემდეგ, რაც თმა და უღვაში გაიკობტავა და ჩაცმა-დახურვასაც უჩვეულო ყურადღებით მოეკიდა, შუქრი ძველებურად შეუხედავი აღარ ჩანდა. პირიქით, დამშვენდა და ციციოს მამიდას მოხდენილ ვაჟკაცად ეჩვენებოდა.

ბაბო ხვდებოდა შუქრის გულისნადებს და უხაროდა. ობოლი ციციოსათვის შუქრი სანატრელ საქმროდ ესახებოდა და ქალ-ვაჟის დაახლოებაზე, მათ მომავალ შეერთებაზე ოცნებობდა.

ქვრივის მყუდრო სახლში რაღაც უჩვეულო ზღვებოდა, საცოცხლის ხმაური მატულობდა და მოწყენილობა ქრებოდა.

გვარისა კალთას ჩაფრენილი ბავშვივით სულ თან დასდევდა შუქრის, მასთან ერთად ეზოში თამაშობდა და საღაყებს გადადიოდა.

ზოგჯერ ციციოც გახედავდა შორიდან, შეკავებული ღიმილით, უცნაურად გამოცვლილი ქაბუქისა და ზრუნვით გაღლებული ცხოველის თამაშს, მაგრამ მათი აგრერიგად გამოცვლის მიზეზს ვერ ხედებოდა და არც აინტერესებდა. ერთ დილას გვარისა კვალწმინდად გაქრა. ძაღლის დასაპურებლად გამო-

სულმა შექრიმ დიდხანს უძახა, ძებნით დაიძალა, მაგრამ ვერსად იპოვნა.

შეწუხებული ლექციებზე წავიდა.

ინსტიტუტიდან მობრუნებისთანავე გვარისა მოიკითხა.

— არ გამოჩენილა მაც არ დასარჩენი იუპასუნა ბაბომ უგულოდ და თავის საქმე განაგრძო.

შექრი უკვე შეშფოთდა. სარდაფში შეიხედა, ეზოს ყველა კუნჭული ჰიიარა და გვარისა რომ ვერსად იპოვა, სარკმელთან მოწყენილი დაჯდა.

თავის დღეში ჰქმრიდან არ ვასულა და ახლა სად უნდა დაკარგულიყო? ვაითუ ქუჩაში გავიდა, უპატრონო, მაწანწალა ძაღლად ჩათვალეს, დაიჭირეს და ახლა რკინის გალიით მიჰყავთ მოსამართობად!

ეს ფიქრი რომ მოუვიდა, შექრიმ მოსვენება დაკარგა. ფეხზე წამოვარდა, აწრიალდა და ის იყო ქუჩაში საძებრად ვაქცევას აძირებდა, რომ... ეზოში გვარისა შემოღასლასდა. ატეხილ ძუქნასადღევნებული ძაღლების მთელი ზროვა შემოჰყვა. ძაღლები ერთიმეორეს უღრენდნენ და წინ უსწრებდნენ, თითოეული გვარისას დაპატრონებებსა და მოჭიშვეს თავიდან მოშორებებს ცდილობდა. ქანცვაწყვეტილი გვარისა მათ ჩხუბსა და ცილობას ყურადღებას არ აქცევდა, ღონეგამოლეული მოხანხალობდა.

შექრის დანახვაზე, თავი დამნაშავესავეთ ჩაღუნა, გეზი იცვალა და გაიძურწა. შექრი ერთხანს დაბნეული იდგა, მერე კიბე ჩამოირბინა და ძაღლებს უკან გამოუდგა.

— ნძა! ნძა! ვადი! ვადი! — უყვიროდა ძაღლებს და უკან მისდევდა.

ძუქნასადღევნებული ხეადები მის ყვირილს არაფრად აგდებდნენ, გვარისას ეკვრებოდნენ და ერთმანეთს კბენდნენ.

გაბრაზებული შექრი ქვებს დასწვდა და უმისამართოდ დაუწინა ძაღლებს.

ხეადები არც ქვეს შეეპუნენ.

მაშინ მესერს მისწვდა, სარი გამოაძრო, შუაზე გატეხა და, რაც ძალი და ღო-

ნე ჰქონდა, ძაღლებს ესროლა. სარი გვარისას მოხვდა. ძაღლმა ერთი საცურავად დაიწკავლა და ეზოდან გავარდა. ხეადების ზროვა ძუნძულით მიყვა ძუქნას.

ის დღე იყო და შექრის გვარისასკენ აღარ გაუბნედა.

გვარისაც დამნაშავესავეთ ერიდებოდა და გაურბოდა მასთან შეხვედრას, ერთთავად სახლის უკან იწვა და ამოდ ელოდა მეგობრის გულის მოპოვნებას.

შექრი გარეთ იშვიათად გამოდიოდა, შინ იკეტებოდა... და ახალგაზრდა, ლამაზ მეზობელს შორიდან უთვალთვალებდა.

ასე აღბათ დიდხანს გავრძელებოდა, მაგრამ ერთ დღილას ციცი ზმაურმა გამოაღვიძა.

ყური მიუვლო. სარდაფიდან ძაღლის წყმტუნნი და კაცის ბუტბუტი ისმოდა.

შეეშინდა. მამილა ბაბო ოთახში არ იყო. სწრაფად გადაიკვა და დერეფანში გავიდა.

— გამოდი, ციცი, გამოდი!

შესძახა დანახვისთანავე ბაბომ.

— ჩვენ გვარისას ლექვეები დაეყრა. ციციმ კიბე ჩაირბინა და მამილას თავჩაღუნული შეჰყვა სარდაფში.

სარდაფის ჰაწია სარკმელის შუქზე მკვდარივით გაწოლილი გვარისა ჩანდა. ბრმა ლექვეები ძაღლის ფეხებთან და ძუქმებთან დალოდავდნენ და ოდნავ გასავონად წყმტუნებდნენ.

გვარისას თავთან შექრი იჯდა, ლექვეებს რიგრიგობით ხელში იყვანდა, გულში იხუტებდა, წყლიან თვალეებში ჩაიკვერდებოდა, ხელს მოუხვამდა და რაღაცს ალერსით ებუტბუტებოდა.

— რა ლამაზი ლექვებია!

აღმოხდა ციციოს.

შექრიმ მხოლოდ ახლა გაიგო ქალეების შემოსვლა. შერცხვა, ლექვი ფრთხილად დასვა და ციციოს მადლიერი თვალებით შეხედა.

— რამდენია შექრი?

შორიდან იკითხა ბაბომ.

— ექვსია! ერთიმეორეზე უკეთესები! — აღტაცებით თქვა შექრიმ.

— ერთს ვერაფერს ვაქმევდი და

ექვსს რა შეინახავს, დროზე თუ არ მოვიშორეთ!

შეიხადა ბაბომ.

შუქრის სახე მოელუშა. ბაბოს ნათქვამი ეწყინა და თითქო ბოდში უნდა მოიხადოს გვარისასთანო, კიდევ უფრო ვულიანად დაუწყო ალერსი.

— საწყალო გვარისა... როგორ გააზინე შშიერმა.. ამდენი ლეკვი! რა ცუდი ვარ, რომ არ მოგხედე!..

ურღუქდა ენას, ხელს ნაზად უსვამდა და თვალზე ცრემლი ადგებოდა.

ციცომ პირველად დაინახა და განიცადა: ამ მოუხეშავ ვაქცას დიდი ადამიანური სითბო და სინაზე ჰქონდა. გაუთლელ „ტყუარში“ გულჩვილი. ღმიობიერი და კეთილი ადამიანი აღნოაჩინა და მის მიმართ რაღაც სიახლოვე იგრძნო.

თვითონაც შუქრის გვერდით ჩაიკეცა.

გვარისას თავი კალთაში ჩაიდო, გულზე ლეკვი აიხუტა და მანაც ენის ჩლექით დაუწყო ალერსი.

იმ დღეს ბაბო ციცოს სკოლაში დაიბარეს.

— ბეჭითი ბავშვია, სიზარმაცეს ვერ ვუსაყვედურებ, — უთხრა მათემატიკის მასწავლებელმა, — მაგრამ სოფლის სკოლის დონე სხვა არის და ჩვენი — სხვა. ციცო ბათუმელ ბავშვებს ჩამორჩება. კერძოდ თუ არ მოამზადეთ, მართო თავისი მუყაითობით ამბანაგებს ვერ დაეწევა და ვაითუ, კლასში დარჩეს ამოდენა ქალი!

ბაბოს ენიშნა ნათქვამი. „ამოდენა ქალს“ რომ ამბობდა, უკვე მოთაგებულს, გასათხოვარს გულისხმობდა მასწავლებელი. ციცოს სიმწიფის მოწმობა დროზე უნდა აეღო და, როგორც ბაბო ფიქრობდა, „ბედსაც დროზე უნდა სწეოდა.“

ციცოს სამეცადინოდ ბაბო მამიდას კერძოდ მასწავლებელი უნდა აეყვანა და შუქრიზე უკეთესს ვის ნახავდა! ბაბოს ბევრი აღარ უფიქრია და ერთ სადამოს მდგმურს გადაჭრით უთხრა:

— რაც გინდა გადამახდევინე, ოღონდ ციკო ალგებრასა და ტრიგონომეტრიაში მომიჩხადე. სოფლის სკოლაში არაფერს ასწავლიდნენ, აქაურ ბავშვებს ვერ დაეწია და ვილუბები, რაც კი სასიძო კაცი დაიარება, ყველას მაგაზე უჭირავს თვალი, ნამდვილად დამთავრებას არ დააცლიან და სკოლის სკამიდან მომტაცებენ!

შუქრი დაიბნა, შეაშინა კიდევ ბაბოს ნათქვამმა, სკოლის სკამიდან მომტაცებნო. არც დაფიქრებულა, დიასახლისს თავი დაუქნია და უყოყმანოდ იცისრა ციცოს მომზადება.

— მეორე დღეს, შუქრი რომ შინ დაიგულა, ბაბომ კარზე მიიყენა ძმისწული.

ციცოს გაუბედავ დაკაუნებაზე კარი მაშინვე არ გაიღო.

— მაგრად დაუბრახუნე, მაგან ავრე იცის, ზოგჯერ წიგნის კითხვა ისე გაიტაცებს, სახლი სულ რომ დაიკცეს, ვერ გაიგებს.

შორიდან გასძახა ბაბომ.

ციცომ მაგრად დაბრახუნება მაინც ვერ გაბედა.

ბაბომ საქმეს თავი ანება, თვითონ მივიდა და კარს ხელისგული ისე მაგრად თბლიშა, სახლი შეინძრა.

ოთახში ფოსტლების ფრატუნე გაისმა და კარი გაიღო.

შუქრი ნამძინარევი ჩანდა, თვალები დამწითლებული ჰქონდა და თმა უწყსრიგოდ გასჩეროდა.

ქალების მოულოდნელმა სტუმრობამ დააბნია, თმაზე ხელი გადაიხვა და ნაძალადევად თქვა:

— მობრძანდით...

— ა, შუქრის ქირიმე! მოგიყვანე შენი მოწაფე. შენ იცი და მაგანი..

მრავალმნიშვნელოვნად თქვა ბაბომ. ციცო ოთახში შეუშვა, შუქრის გაუციონა და ქალ-ვაჟს კარი მიუხურა.

ციცო მორიდებულად, დარცხვენილი იდგა. წიგნები გულზე აეხუტებინა და თავდაბრილი ელოდა, როდის გაუძღვებოდა შუქრი მაგიდისაკენ.

შუქრი უცებ შეტრიალდა. მაგიდაზე მიყრილ-მოყრილ წიგნებსა და რვეულებს ხელი მოუსვა, სკამზე გადაკიდებული ტანსაცმელი საწოლზე ისროლა და ციციოსათვის არც შეუხედავს, ისე მივიდა მაგიდასთან.

ერთი სკამი მაგიდის ერთ მხარეს დადგა, მეორეზე თვითონ დაჯდა და თავაუწევლად წაიბურღლუნა:

— დაბრძანდით!

შიშისა თუ რიდისგან იყო, ციცი ფეხაკრფით მივიდა და შუქრის პირისპირ დაჯდა.

— საიდან დავიწყეთ?

ისევ თავაუღებლად იკითხა შუქრიმ. ქალიშვილს ქვეშ-ქვეშ გახედა და ყურებაშივე ვაწითლდა.

ციციმ ვერაფერი უბასუხა, წიგნები და რვეულები გამალა, ფანქარი მოიმარჯვა და მასწავლებელს მიაჩერდა.

— გაკვეთილი რა გაქვთ?

იკითხა შუქრიმ და ალგებრის სახელმძღვანელო თავისკენ მიიწია.

ციცი წამოდგა, მასწავლებელთან მივიდა, მაგიდაზე დაიხარა და წიგნი გადაფურცლა.

ქალიშვილის სიახლოვემ შუქრის მთლად ცეცხლი მოუციდა. გადაშლილ წიგნს ხელი დაავლო, ფეხზე წამოვარდა და კედელთან მივიდა.

სახეარეული, აწითლებული შემობრუნდა.

— დაჯექი!

უბრძანა ქალიშვილს.

ციცი მორჩილად დაეშვა სკამზე.

— დაწერე!

ისევ უბრძანა და სხაპა-სსუბით დააყარა საწერი.

შუქრი აჩქარებით სცემდა პილოტას, ქალიშვილისაკენ არ იხედებოდა და ისე სწრაფად უხსნიდა, სხვა რამეზე დაფიქრების დრო აღარ რჩებოდა.

ციცი ძლივს ასწრებდა ნაკარნახევის ჩაწერას და თავის ალებასაც ვეღარ ახერხებდა, რომ ოთახის ერთი ბოლოდან მეორისაკენ უცნაურად მოწირილად მასწავლებლისათვის თვალი შეეცლო.

გაკვეთილი დიდხანს გაგრძელდა.

მანდ არაფერი მოხდესო, შეფიქრიანდა ბაბო, ჯერ კარის ქუქურტუნანში შეიხედა და, იქიდან რომ ვერაფერი დაინახა, ცოტა მორიდებულად დააბრაზუნა.

— არ დაიღალეთ, შვილებო? გეყოფათ დღეს ამდენი სწავლა.

გასძახა და კარი დაუკითხავად შეაღო.

როლში შესული მასწავლებელი უცებ შეჩერდა, შემოაულს თვალი უაზროდ მიაშტერა, მერე ციციოს შეხედა და თითქოს მძიმე ტვირთის შემსუბუქება იგრძნო, ერთი ღრმად ამოიოხრა და ამოიბუბუბუტა:

— დღეს გვეუფა!

დაქანცული, გამოთაყვანებული ციცი წამოდგა. დაღლილი მკლავები გაშალა და წელში გასწორდა. მერე წიგნები და რვეულები აკრიფა.

— გმადლობთ!

მასწავლებლისაკენ თავმიუბრუნებლად თქვა და ღიმილით სახეგაბრწყინებულ ბაბოსთან ერთად ოთახიდან გავიდა.

შუქრის გაკვეთილზე ყოველდღე დანიშნულ დროს ცხადდებოდა ციცი.

მასწავლებელი თანდათან შეეჩვია მოწაფესთან ერთად ოთახში მაოტო ყოფნას, ადრინდებურად უცნაურობას აღარ იჩენდა, მაგრამ მღელვარებას მაინც ვერ ერეოდა და დინჯად, დამშვიდებულად გაკვეთილის ჩატარებას ვერ ახერხებდა.

ზოგჯერ შუქრი კარნახს უეცრად შესწყვეტდა. ციცი თავს აიღებდა და მასწავლებელს რომ შეხედავდა, შეეშინდებოდა: შუქრი გაოგნებული, თვალეზამღვრეული შეჰყურებდა ქალიშვილს.

მასწავლებელს ქალიშვილის გამოხედვა უცებვე გამოაფხიზლებდა, პირს იბრუნებდა და სახელეწილი ძლივს ძლივობით აგრძელებდა მოულოდნელად შეწყვეტილ გაკვეთილს.

ბოლოს ციციმ ისიც შენაშნა, სკოლისაკენ რომ მიდიოდა, შუქრი შორი-ახლო უკან მიჰყვებოდა, სკოლის ახლო შეჩერდებოდა, თვალით სკოლის კარამდე შიაცილებდა და მერე სადღაც ქრებოდა.

გაკვეთილების შემდეგაც, შუქრი ისევ შორი-ახლო გაიფლავებდა, უკან ნელი ნაბიჯით გაჰყვებოდა და კიკო რომ სახლს მიუახლოვდებოდა, უცებვე სადღაც დაიკარგებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ციცი როგორღაც შეეჩვია შუქრის უცნაურ გაკვეთილებსა და ფარულ გაყოლ-გამოყოლას.

ქალიშვილი შუბლგახსნილი, გაღიმებული ზედებოდა ვაჟს. მასთან ახლო ყოფნა, უბრალოდ, ადამიანურად გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ შუქრი თვალს არ უსწორებდა, მის დანახვაზე იბნეოდა და დაფეთებული ცდილობდა მისგან გაცლას.

ზაფხული იყო.

ბათუმში ცხელოდა. უფროსი კლასის მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ ზღვისკენ ვარბოდნენ.

ციცი საბანაოდ წასულებს არ გაჰყვა, მაგრამ კარგი დღე იყო და შინ წასვლაც დაეზარა. ქუჩა მარტოკამ გადაჭრა და ნელი ნაბიჯით სანაპიროსკენ გაისივრნა.

სანაპიროს ხეივანში შესულმა როგორღაც უკან მოიხედა და შორი-ახლო აღევნებულ შუქრის მოჰკრა თვალი.

ვაჟი დანაშაულზე წასწრებულოვით შეცბა.

ციცი შეჩერდა და შორიდან გაუღიმა.

ეტყობოდა, შუქრი ისევ გაქცევას აპირებდა, მაგრამ ციციმ დაასწრო, ხელი დაუქნია და მისკენ წავიდა.

— გცალიათ, მასწავლებელო?

შუქრი მთლად ერთიანად ვაჟითლდა. თვალი დაფეთებული ნადიროვით მოაგელო იპურობას, მშველელი ვერავინ მონახა და ბედს დაპორობილებულმა გაუბედვლად წაადგა ნაბიჯი ციციკსკენ.

— არ გინდათ, ნავით გავისეირნოთ?

ჰკითხა ციციმ და მზარში ამოუდგა. ვაჟმა არც „პო“ თქვა, არც „არა“ მაგრამ გვერდით კი მიჰყვებოდა მზარდამზარ მიდიოდნენ.

შესანიშნავი დღე იდგა.

ზაფხულის მზე სხეულს საამოდ თენთავდა.

ხეზე ფოთლები არ ინძრეოდა, ზღვა მშვიდად იზმორებოდა და ადამიანსაც იმ ზღვასავით სანებიეროდ, მზაზე გულაღმა გასაწოლად ეძახდა კველა-ფერი, ცაც და მიწაც, წყალიცა და პაერიც.

— ცურვა იცით, მასწავლებელო?

იკითხა ციციმ.

— მე?

შეკრთა შუქრი.

— მე, არა...

— არც მე ვიცი ცურვა. კარგი კია, შორს, ძალიან შორს გაცურვა, მერე ამ ლურჯ ზღვაზე ნებიერად გაწოლა, თვალის დახუჭვა და წყნარ ტალღებზე ქანაობა.

ზღვის პირას მივიდნენ.

აღტაცებული ციცი გაუჩერებლად ტიტინებდა რაღაცას.

ტალღა წამოვიდა და მათ ფეხებთან ახლოს დაიშხვრა.

— რა ცივია!

თქვა შხეფებით შემკრთალმა ციციმ და ხელი უნებურად შუქრის ხელს წაავლო.

გოგონა გაოცდა: ვაჟკაცის ხელი უცნაურ ცახცახს აეტანა.

ციციმ ხელი მაშინვე გაუშვა და გაკვირვებულმა შეხედა. ვაჟი სახეაღეწალი იყო და თვალამღვრეული, სადღაც, შორს, უაზროდ იყურებოდა.

— ნავში ჩავსხდეთ... ცურვა არ ვიცი, მაგრამ ნავს კი წაიყვან, — უხერხულობის დასაფარავად თუ ვაჟის გამოსაფხიზლებლად თქვა ციციმ და ნავების სადგომისაკენ წაუძღვა.

ზღვის პირას მიაბიჯებდნენ.

ფეხი ქვიშაში ეფლობოდათ, ფეხსაცმელებში სველი კენჭები უცვიოდათ და ფეხისგულებზე საამო სიგრილეს გრძნობდნენ.

ქვიშაზე გაწოლილი ვაჟები ციცი

დანახვაზე თავს სწევდნენ, მაგრამ თვალტანადი ქალიშვილის გვერდით კუშტად მიმავალ გოლიათს რომ შეხედავდნენ, ვნებიანი მზერის გაყოლებას ხელს იღებდნენ და ისევ სილაზე იშოტებოდნენ.

სათვალთვალ კომკთან ორი ბიჭი მორიგეობდა. მზით გახუხულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და ციციო წინ აღიმართნენ.

— ნავით ვაგასიერნოთ?

— არა, ჩვენ თვითონ ვავისიერნებთ. მიუგო ციციო.

— ჩვენ თვითონ.

დაიბუხუნა შეჭრიმ და ბიჭებს მოხვერაგით შეუბღვირა.

ბიჭებმა ნავი მოარჩილად მოუყენეს ნაპირთან.

ციციომ ისეუბა და ჩახტა.

შეჭრიც წამსვე მის გვერდით გაჩნდა და ციციომ რომ ხელი ნიჩბებისაკენ წაიღო, დაამწრო, ნიჩბები თავად მოიმარჯვა და გულმოსულივით თქვა:

— მეც ვიცი წაყვანა.

ნავი წელა ფასრიალდა.

შეჭრი მთელი ტანით წვებოდა ნიჩბებზე და ღონივრად უწყამდა.

ნავს ყოველ მოსმასზე მძლავრი ბიძგი სწევდა წინ და ისარივით სწრაფად მიჰქროდა.

ციციოს ფეხები მოეხარა, კიჩოსთან მხარტიდობზე წამოწოლილიყო და ღინებას მინებებოდა.

ოდნავ თვალმოხუტული ქალიშვილი უძირო ლაყვარლის მეტს აღარაფერს ხედავდა, მზის მტყუნვარებას და ზღვის უნაპირობას მთელი არსებით მისცემოდა და ირგვლივ აღარაფერს ამჩნევდა.

მის პირდაპირ ვაჟაკი იჯდა. გოლიათურ ქლაკებს შლიდა და საბერველივით ქშინავდა.

ვაჟი თვალს არ ამორებდა ნებივრად გაწოლილ ქალიშვილს, მაგრამ ციციოს აღარც ვაჟაკის გახშირებული სუნთქვა ესმოდა, ვეღარც მის სიახლოვესა და დაეინებულ მზერას გრძნობდა.

მზისა და ზღვის მომთენთავ უსახლვროებაში გატყორცნილი ქალიშვილის

ნებიერი სხეული, თითქოს ღრუბლებზე იწვა და ნიავის წყნარ ქარხლავს ბუმბულივით მიჰქონდა წელი, სასპო რხევით.

ქალიშვილმა უცებ სიმღერა წამოიწყო.

სიმღერა ჭერ წყნარი და ოდნავ გასიგონი იყო, მერე თანდათან შემალდა და გაძლიერდა. ბოლოს, თითქოს იმ ზღვის უნაპირობას უნდა გაუტოლდესო, მძლავრად, გამყივანად დაიჩხა წყლისა და ლაყვარლის უსასრულობაში.

ციციო არავისზე ფიქრობდა და არც არავისთვის მღეროდა.

ის სიმღერა, ალბათ, მისი გონების გაუაზრებლად და დაუეუთხავად მოდიოდა მისი სხეულიდან, რადგან იმ წუთს მის ახალგაზრდობას და ჯან-ღონეს, მთელ მის არსებას ემღერებოდა.

და ეს სიმღერა ეგებ ახალგაზრდა სხეულის სამადლობელიც იყო. იმ ძილისა და ბუნების მიმართ, რომელმაც იგი ასე ჯანსაღი და მიმზიდველი შექმნა, ძარღვებში სისხლის ამღვრეული მაჭარი ჩაუყენა და ლამაზი სიკაცის სადიღებლად, თავისი მსგავსი არსებების გასამრავლებლად გაეცხო და მოამწიფა.

ნაპირზე დარჩენილ მენავე ბიჭებს უცნობი ქალ-ვაჟის ნავით ვასიერნებამ თავიდანვე ეჭვი აღუძრა.

ნავი რომ ძალიან შორს წაიდა და თვალს მიეფარა, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს, სათვალთვალოდ კომკზე ავიდნენ და ქოგრიტით დაუწყეს ცქერა.

ნავში გულამბა გაწოლილ ქალიშვილს თვალს ვერ ამორებდნენ, ერთიმეორეს ქოგრიტს სტაცებდნენ და ხარბად, დაეინებით მიჩერებოდნენ ესოდენ მიმზიდველ სიშორეს.

ბიჭები ლამის ქოგრიტში გაძვრნენ, ზედ მიეგრნენ და ხედავდნენ იქცია.

ვაჟმა ნიჩბებს ხელი უშვა, ზეზე წამოდგა და მშვიდად მიჰქროლავი ნავა შეიჩხა.

ვატი ქალისკენ წავიდა.
თითქოს ძლიერმა ტალღამ დაჰკრაო,
ნავი შეირყა და შეტორტმანდა.
ვატი უცებ მოსწყდა და ქალის მუხ-
ლებთან დაეკრდა.

— იწყება!
დაიყვირეს ბიჭებმა, ჭოგრიტი მოიშო-
რეს და ერთმანეთს გაუღიმეს.

მერე სიტყვის უთქმელად კოშკიდან
დაეშენენ, მოტორიან ნავში ჩაჩადნენ
და სწრაფად გააქროლეს.

ნავის უეცარმა შერხევამ შეაკრო
ციცო.

სამღერა შეწყვიტა და გაიტრუნა,
თითქოს ზრდაც შორეულ ხმას უგდებს
ყურსო.

ნავი რომ შექრის მძიმე ნაბიჯებმა
მძლავრად შეატორტმანა, ქალიშვილი
ოდნავ წამოიწია.

შეშლილივით სახეარეულ, დამშეუ-
ლივით მიშტერებულ შექრის ჩინები
ხელოდან გაეგდო, ფეხზე წამომდგარი-
ყო და ქლოშინით ციცოსკენ მოდიოდა.

— მასწავლებლო!

შესძახა შემფოთებულმა ციცომ,
მუხლებზე წამოიწია და კიჩოსკენ და-
ინია.

შექრის აღარაფერი აღარ ესძოდა.

იმოდენა კაცი მოცელილივით დაეცა
ქალის ფეხებთან და თავი და მუშტები
ნავის ფსკერს დაუშინა.

ქალი გაოცებული შეჰყურებდა, გუ-
ლი უტრიალებდა, მაგრამ აზრი ვერ მო-
ეკრიფა და არ იცოდა, რა ექნა.

ვაჟმა უცებ ასწია თავი, ცრემლით
საესე, დაწითლებული, საცრისოდენა
თვალები ციცოს მიაპყრო და შეზმუე-
ლა:

— ხომ ხედავ, მეტი აღარ შემიძ-
ლია!..

გაფიქრებული ციცო კანკალმა აიტა-
ნა, ნავის კიჩოსთან კიდევ უფრო მი-
იკუჭა და ენაზავარდნილი მიაჩერდა გა-
ოგნებულ ვაჟკაცს.

— რატომ მაწამებ... რა დამიშავე-
ბია?!..

შეპღრიალა შექრიმ. ნავის კიდეს ხე-

ლი ლონივრად დაჰკრა და კინაღამ გადა-
აბრუნა.

ციცოს შიშისაგან ცული გაუსცდა,
მაგრამ ხმის ამოდება მიინც ვერ შეს-
ძლო, მუშტისოდენად მოიკუჭმა. დააბ-
ტარავდა და უფრო დიდი საშინელებ-
ის მოლოდინმა ცახცახი დააწყებინა.

— თუ ახლავე არ მეტყვი პასუხს,
თუ ახლავე არ მომცემ თანხმობას,
ზღვაში გადავეარდები და თავს დავიხ-
რჩობ.

ჰყვიროდა შექრი და გულში მჯიღს
იკემდა.

ციცო გაგიჟებულ ვაჟკაცს მონუსუ-
ლივით თვალს ვერ ამორებდა, მაგრამ
ხმასაც ვერ იღებდა და უმწეოდ, მთე-
ლი სხეულით თრთოდა.

— არა, ხომ! არ გინდევარ, ხომ! შენ
მოგეკითხოს ჩემი დედ-მამის საცო-
დაობა!

შეპღმუელა შექრიმ, სახეშეშლილი-
წამოვარდა და ციცომ დაყვირებაც ვერ
მოასწრო, რომ ნავიდან გადახტა,
თავდაღმა გადამატარი შექრი ისარი-
ვით წავიდა წყლის სიღრმისაკენ.

— მიშველეთ!

ერთი შეჰკივლა ციცომ და გულწასუ-
ლი წაიქცა.

გონს რომ მოვიდა და თვალი ოდნავ
გაახილა, შეერთა.

თავს მენავე ბიჭები ადგნენ, წყალს
აპყურებდნენ და საფეთქლებს უსრეს-
დნენ.

თავი ოდნავ გაიქნია და ღრმად ამო-
იხზრა.

ბიჭებმა შევებით ამოისუნთქეს.

ციცო უღონოდ წამოიწია. მიიხედ-
მოიხედა: მოტორიან ნავში იყო.

იქვე შექრი გაეწვინათ.

სხეულდაღურჯებელი ვაჟკაცი ძი-
ლადმივარდნილივით მძიმედ სუნთქავ-
და.

მოტორი ჩართეს და ნავი ნაპირისა-
კენ გაექანა.

— შენ გადაავდე, თუ თვითონ ვა-
დახტა?

ეშმაკური ღიმილით ეკითხება ციცოს.

პირისპირ მჯდარი. ოდნავ თვალმოკუტული მენავე ბიჭი.

ციცომ არაფერი უბასუნა, თვალი მძინარ შუქრის მიამტერა და ჩურჩულით იკითხა:

— გადარჩა?

— გადარჩა, საწყალი... ბლომად კი ჰქონდა ნაყლაპი!

თქვა ისევ იმ ბიჭმა.

საქვს რომ ბიჭი უჯდა, წამით თავი მოიბრუნა და იკითხა:

— თქვენი რა არის?

ციცომ ხმა არ გასცა.

— თუ თქვენი არაფერია, — განმარტა საქვეთან მჯდარმა ბიჭმა, — ნაპირზე რომ მივალთ, ჩემად გაიპარეთ, სანამ ოქმის შედგენა და დაკითხვა დაიწყება. გამოძიება და მილიცია უსიამოვნების მეტს არაფერს ნოგაყენებთ.

— ნამდვილად გადარჩენილია? აღარაფერი გაუჭირდება?

ხმადაბლა იკითხა ცოტახნის შემდეგ ციცომ.

— გადარჩენილია! გამოიძინებს და ჩიტივით წამოფრინდება.

დაამივდა პირისპირ მჯდარმა ბიჭმა.

— ძალიან კი გვაწვალა, — თქვა მე-საქვმ, — ძლივს ავათრით ნავზე, ნამდვილი გოლიათია. სამი კაცის წონა მაინც ექნება.

ნავი ნაპირს მიუახლოვდა.

ნაპირზე სასწრაფო ღაჩარების თეთრხალათიანი ექიმიც მოსულა.

ორი მენავე ნაპირზე მომდგარ ნავში ჩახტა.

შუქრი სამმა კაცმა ასწია და ნაპირზე გადაიყვანა.

ნაპირზე თავმოყრილი ცნობისმოყვარე ხალხი შუქრის მიაწყდა.

— ახლავე წადი... ჩემად გაიპარე!

უთხრა ციცოს მესაქვე ბიჭმა, ხელი ჩაჰკიდა და ნაპირზე გადაიყვანა.

ციცო ფეხს იორევდა, შუქრისკენ იხედებოდა და ყოყმანობდა.

— წადი, ამას აღარაფერი უჭირს, ჩვენ მივხედავთ!

უთხრა იმავე ბიჭმა, იდაყვზე ხელი ოდნავ ჰკრა და უბრძანა:

— ახლავე წადი აქედან!

ციცო დამორჩილდა.

ჭერ ხელი, გაუბედავი ნაბიჯით წავიდა, მერე ფეხს აუჩქარა და თვითონაც არ ესმოდა, უცებ როგორ და რატომ გაიქცა.

შინ გულამოვარდნილი მივიდა.

მიიხედ-მოიხედა. მამიდა ბაბო არსად ჩანდა.

ოთახში ფეხაქრეფით შევიდა.

ჩემოდანი მოძებნა, შიგ კაბა და წიგნები ჩაჰყარა, დაჰკეტა და გარეთ ქურღივით ჩემად გამოვიდა.

მპარავივით აქეთ-იქით იხედებოდა, ფრთხილი ნაბიჯით კიშკრამდე მივიდა. კიშკარს გაცდა თუ არა, ნაბიჯს აუჩქარა და უკანმოუხედავად მოჰკურცხლა.

იოსებნის ბაქანზე ჩამოხდა მატარებლიდან ციცო. ერთადერთი ჩემოდნის პეტი სხვა ბარგი არა ჰქონდა რა.

თავჩაღუნული მარტოდმარტო გაუდგა ვზას.

შინისკენ მიდიოდა, მავრამ გული არ მიუწყედა, რადგან თავისივე ფეხით მასთანვე ბრუნდებოდა, რასაც გუშინ გამოექცა.

არც მამილისა და არც მისი მღვმურის წინაშე ბრალი არა მიუძღოდა რა, და რატომ უნდა გამოქცეულიყო ასე ქურღივით. მოეცადა, მამიდა ბაბოსთვის ყველაფერი ეამბნა! მამიდას ციცოზე ამოდის მზე, მისთვის მხოლოდ კარგი სურს; დარბაისელი ქალი ყველაფერს აწონ-დაწონიდა, მოიფიქრებდა და ციცოსათვის უმჯობეს ვზას დაადგებოდა: შუქრის ან კალაპოტში ჩააყენებდა და ან სულაც გულა-ნაბაღს აუქრავდა თავისი სახლიდან.

მავრამ ეგებ ეს სჯობდეს, რაც გულმა უცებ უკანახა და გონების განუწყვლად გააყეთა.

შუქრი აღბათ თავისას მაინც არ დაიშლიდა, ან ციცოს გადაჰყრიდა ფათე-

რაც, ან ისევე თავისთავს დაატებდა უბედურებას.

რაც მოხდა, მოხდა. უკან დაბრუნებას აზრი და გამართლება აღაოა აქვს.

მაგრამ შინისკენაც გული არ მიუწევს ციციოს, უხალისოდ მიაბიჯებს და სხვა გზა, მესამე გზა რომ კიდევ იყოს სადმე, სიამოვნებით გადაუხვევდა, აღარც დედის სახლისკენ წაედიოდა, არც მამიდასთან დაბრუნებაზე იფიქრებდა, იმ მესამე გზას უყოყმანოდ დაადგებოდა და უკანმოუხედავად გაჰყვებოდა.

მაგრამ მესამე გზა არ იყო და ციციო უგულოდ მიაბიჯებდა შინისაკენ.

ტანი არ მიჰყვებოდა, გული ცუდს უაზრებდა, მაგრამ სხვა გზა რაკი ვერ მოეფიქრნა, რა ჯანი ჰქონდა, ნაბიჯი ნაბიჯს თავისთავად მოსდევდა და არც ისე დიდხინის წინათ მიტოვებულ სოფელს აახლოებდა.

ჩაის პლანტაციების უნაპირო მწვრივებში აქა-იქ მკერფავი ქალების ჰილის ქუდები ფარფატებდნენ და ფერად-ფერადი მანდილები ელავდნენ.

კვირა დღე იყო. სოფელი იკვებებდა.

მზე ჩასასვლელად გადახრილიყო.

ციციო სოფლის მთაველს მიუახლოვდა.

კოლმეურნეობის კანტორასთან არავინ ჩანდა. არც კულტურის სახლის წინ ირეოდა ხალხი ჩვეულებრივ.

კოტა არ იყოს ეოცა ციციოს, სოფლის მთაველი რომ ასე დაცარიელებული დახვდა.

მთავარი გზიდან გადაუხვია და თავ-ქვე დაუყვა.

ძველ საყდარს რომ გაუსწორდა, უცებ გული შეუქანდა: სასაფლაოს გრძელი პროცესია უახლოვდებოდა.

თავდახტრული კუბო მალააწეული მიჰქონდათ, ქალების მოთქმა და კივილი შორს ისმოდა.

პირველმა ელდამ ის აფიქრებინა, ვაი თუ დედამიაო. მაგრამ ეს ფიქრი მამინვე უკუაგდო. დედას რომ რამე მოსვლოდა, როგორ არ შეატყობინებდნენ! ნაბიჯს აუჩქარა და პროცესიას წამოეწია.

— გამარჯობათ, — მისალმა პროცესის კულში მიმავალ ქალებს. ქალებმა პირდაპირ მისალმებულს რატომღაც თვალის არიდება ამჯობინეს, დამადლებული სალამი დაუბრუნეს და ფეხს აუჩქარეს.

ციციო თავის კარის მეზობელს გვერდში ამოუდგა და ჩურჩულით იკითხა:

— ვის ასაფლავებთ?

— იონა ტრაქტორისტს...

ჩურჩულითვე უბასუხა მეზობელმა.

ნათქვამი გულში მწარედ მოხვდა ციციოს და უნებურად გაწითლდა.

— რა მოუვიდა?... რით...

— ნასვამი მდინარეში ჩასულა საბანაოდ... თავი დაუკრავს ქვაზე.

ციციო ამჩნევდა: ქალთაგან ზოგი დამცინავად, ზოგი ეჭვიანად, ზოგიც გაბოროტებული თვალით უყურებდა.

უხერხულობას თვითონაც გრძნობდა, თავჩალუნული მიაბიჯებდა და თავისი უბედურება აღარ ახსოვდა.

იგი ახლა იონაზე ფიქრობდა. ეცოდებოდა ალალი გულით ბავშვურად შეყვარებული ქაბუცი.

კარის მეზობელი უცებ შეჩერდა, ციციოს მოხედა და მკაცრად უთხრა:

— ნუ მოდინხარ, ჰირისუფლებმა არ დაგინახონ!..

ციციომ თავი ასწია და გაოცებით შეხედა.

— ჯობია წახვიდე... ხომ იცი, შენ გაბრალებენ.

ციციოს ფერი ეცვოლა. მეხდაცემულით გაქვავდა. გაშრა ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა, თავი კიდევ უფრო ჩაღუნა და ლამის მიწაში ჩაძვრა, ისე მოიკუნტა.

პროცესია წინ წავიდა.

ციციომ ცრემლმომდგარი თვალი გააყოლა მალააწეულ კუბოს და უცებ პოეჩენა, რომ კუბოს კი არა, მის ბავშვობას, ჯერ კიდევ გაულვიძებელ მის ახალგაზრდულ გრძნობას მისაცენებდნენ საღდაც შორს, ჩამავალი მზით გაბრწყინებული ლავჯარდის დასალიერში.

ცრემლი ღაპა-ღუპით წამოუვიდა. გულმოკლული ნელა შემობრუნდა და ბილიკს დაადგა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და რომ დარწმუნდა, არავინ მიუყურებსო, თავქვე სარბილით დაემშვა.

ქიშკარი ფრთხილად შეაღო. ეზოში მანქანა არ ჩანდა. იმ უსიამოვნების შემდეგ, ტიტეს დანახვა აღარ შეეძლო და ცოტა გულს მოეშვა, გაეხარდა, შინ რომ არ დაეღებოდა.

კბეზე ფეხაკრფით ავიდა. კარლია ოთახიდან კენესა მოესმა. შემკრთალმა იმ ოთახში შეიხედა. ლოგინში ვენერა იწვა და ახველებდა ავადმყოფს ფეხისხმა ჩაესმა, ხველებდა დაიოკა, თვალი ჭერს მიამტერა და რაღაცის მოლოდინში გაინაბა.

— ტიტე ხარ?

— მე ვარ, დედა...

გამოეხმაურა ციცი, ლოგინთან მიიჭრა, ჩაეხვია და ჩაჰკოცნა.

ვენერას, ეტყობოდა, შვილის მოსვლა გაეხარდა, მაგრამ იმის მოსვლა ერჩივნა, ვინც იკითხა.

ერთხანს ისევ უაზროდ იყურებოდა სადღაც, შვილის ხვევნა-კოცნას თითქოს ვერც გრძნობდა, იწვა უძრავად და ხმას არ იღებდა.

— როგორ ხარ, დედიკო?

სლუტუნით იკითხა ციციმ, ალერსით რომ გული მოიჭერა.

— როგორ ვიქნები?.. ყველასავე მიტოვებული და მოძულეებული... აგერ, რახანია, ლოგინად ვარ ჩავარდნილი... ხმის გამცემი და წყლის მომწოდებელი არავინა მყავს...

ვენერას თავისავე უბედურებაზე გული აუჩუყდა და ცრემლები გადმოჰყარა.

— თან გადაყვევით, ჩემი ჯანი და ახალგაზრდობა შეგალიეთ და ასე გადამიხადეთ, ყველამ მიმატოვეთ...

ვენერა უკვე ტიროდა და საოქმელს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ზღუტუნით ამბობდა.

— მეგონა, შვილი წამოვჭრდებოდა, მხარში ამომიდგებოდა, ჩემს ჰირსა და ლრინს გაინაწილებდა, მაგრამ ახლანდელ შვილებს დედა სადღა ახსოვთ! მართო თავიანთ ბედნიერებაზე ზრუნავენ და იმას კი არ ფიქრობენ, რომ დედებიც ადამიანები არიან, მათაც ცხოვრება უნდათ და მათაც ისეთივე მოთხოვნილება აქვთ, როგორც შვილებს.

ვენერა აღარ ტიროდა, ცრემლშემწრალი, გაანჩლებული ჰყვიროდა და თვალთავან ცეცხლს ჰყრიდა.

— ეს არი შენი შვილობა? ქმარი სახლიდან გამივადე, ყველაფერს წიხლი მიკარი და აქედან გადაიკარგე...

— ქმარი მე როგორ გაგივადე, დედა?

— შენ გამივადე... ვიცი, ვერ იტანდი მამინაცვალს, ერთს არ გაუციანებდი, ერთხელ ადამიანურად არ დაიღაპარაკებოდი.

ციციმ თავი ჩალუნა.

— იმ დღეს თქვენ შორის რაღაც მოხდა. ალბათ ცუდად მოექცეო... იმ კაცმა ითმინა, ითმინა... შენს ტუქსვას და ყვედრებას მეტი ველარ გაუძლო, დაჰკრა ფეხი და წავიდა. ის დღე იყო და უკან აღარ მოუხედავს.

ვენერამ სული მოითქვა. ციცოს თვალთვალში გაუყარა და მკაცრად ჰკითხა:

რა მოხდა იმ დღეს თქვენ შორის?

— არაფერიც არ მომხდარა!

ცივად თქვა ციციმ.

— თუ არაფერი არ მომხდარა, ის კაცი გიყი ხომ არ იყო, რომ უპიზნოდ სახლი მიეტოვებინა და გაქცეულყო. განა არ ვგრძნობდი, სულ აყვედრიდი ამ ჩემს ნაოფლარ ლუქმას, გეგონა, ჩვენთან იმისათვის ცხოვრობდა, და მადლებული პური ეჭამა. აგერ, წავიდა ჩვენგან და კიდევ უკეთ ცხოვრობს. რა სჭირს ჩვენი დასამადლებელი, ჯანი აკლია, თუ სწავლა-განათლება, რომ თავისი თავი ვერ შეინახოს?!

ციცო ხმას არ იღებდა და დაუმსახურებელ საყვედურს იტანდა.

იცოდა, სიმართლე რომ ეამბნა; ავადმყოფ დედას კიდევ უფრო ააფორიაქებდა და ცუდად გახდიდა.

რაკი სიმართლის გამხელა და თავისმართლება არ შეეძლო, ჭავრი ყელში აწვებოდა და ბოლმა აბრჩობდა.

— რას თხოულობ ჩემგან, — შეუტია უცებ ვენერამ, — ამოდენა ქალი გაგზარდე და ზრუნვას არც დღეს გაქლებ. შენხელა რომ ვიყავი, მუშაობით წელი მქონდა მოწყვეტილი. ყოველგვარ საჭაფო საქმეს გარიდებ, სწავლის შეტს არაფერს ვთხოვ და აღბათ გგონია, რომ მე მხოლოდ ყველას მაგივრად მუშაობა მევალება, არც გული მაქვს და არც საცოცხლისა და სიხარულის სურვილი. ვენერას ისევ გული ატუნუყდა და ატირდა.

— გაიგე, რომ მიყვარს ის კაცი. დედის პატივისცემით ცუდ მაშინაცვალსაც აიტანს გერი, შენ კი თვითონაც ხედავ, რომ კარგი კაცია და მაინც თვალში ექლად გესობა, დასანახად გძულს. მაპატიე ეს ერთი ადამიანი, ჩემი ხათრი, ჩემი საყვარული თუ გაქვს, მიიღე და იწამე. თქვენი გულისათვის არ ვიზოგავ თავს და გარჯით წელში ვწყდები, ცოტა სიხარული ჩემთვისაც გაიმეტეო. მეც ზომ მაქვს საყვარულის უფლება, მეც ადამიანი ვარ, ქვა ზომ არა ვარ!.. ამოდენა ქალი ხარ და რატომ არ გინდა გაიგო, რომ მიყვარს ის კაცი და უმისოდ ცხოვრება არ შემიძლია...

ვენერას გული ამოუჭდა. თავისი თავი უპატრონო, უმწყო ბავშვივით შეეცოდა. გატყუდა და მოღობა. აღურსი და ნუგეში მოუნდა. შვილი თავისკენ იზიზიდა, მოეხვია, მკერდში ჩაიკრა.

— მარტო უმისოდ კი არა, უშენოდ სიცოცხლაც არ შემიძლია მე უბედურს და რატომ არ გინდათ გაიგოთ...

ვენერა გულწრფელად ტიროდა და კი აღარ ტუქსავდა თავის ერთადერთ ქალიშვილს, ეფერებოდა, კოცნიდა და ევედრებოდა, რომ გაეგო მისი გულის-

ნადები, ცოცხალ ადამიანად საეთვალა ისიც და მისთვისაც მიეცა ის უფლება საყვარულისა და ბედნიერებისა, რაც გაჩენის დღიდან ჰქონდა მომადლებული ყველა ადამიანს.

ციცოს შეებრაღა ბედისაგან დაჩაგრული დედა.

რაკი მისთვის სიმართლის თქმა არ შეეძლო, გადაწყვიტა ისევ თვითონ შეგუებოდა ბედს, უღრტვინველად აეტანა ყოველგვარი განსაცდელი და ცოტათი მაინც ხელი შეეწყო დედის მოსაჩვენარი ბედნიერების გაგრძელებისათვის.

— რომ თხოვო, არ მოვა ტიტე?

იკითხა უკვე გატეხილმა ციციო.

— ათასჯერ ვთხოვე, ხალხიც მიფუგუნენ, მაგრამ არ მოდის, შენ შეილს არ ვუნდივარო.

„შენს შეილს არ ვუნდივარო“ — ეს სიტყვები ისევ ლახვარივით მოხვდა გულში ციცოს და უსიამოდ გააყრცოლა.

— შენ თუ არ თხოვ, არ დაბრუნდება... არაფრის გულისთვის არ დაბრუნდება. — ხელების მტვრევით თქვა ვენერამ, შეილს თვალი თვალში გაუყარა და უსიტყვოდ, ცრემლით შეევედრა, წასულიყო ტიტესთან და ეთხოვა უკან დაბრუნება.

ციცოს თავის დღეში დედისათვის წინააღმდეგობა არ გაუწყვეია. პატარაობიდან მარტო ყოფნას მიჩვეულს, თვალი სულ მუდამ ჭიშკრისკენ ჰქონდა; მისი ყველაზე დიდი სიხარული ჩაიდან დედის მობრუნება იყო. ვენერა დღის განმავლობაში ქალიშვილს ვერ ხედავდა და გოგონა, თითქმის დედის თვალყურსა და მუდმივ ზრუნვას მოკლებული იზრდებოდა.

ვენერა შეილს იშვიათად უწყრებოდა, თავის ერთას ტოლსწორსაგით ექცეოდა და ერთამეორისა უსიტყვოდ ესმოდათ.

დედის სიტყვა შეილისათვის კანონი იყო. ციციო ვენერას სურვილს უთქმე-

ლად ხვდებოდა და მუდამ მისი ასრულების მოსწრაფე იყო. ახლაც მონურად დამორჩილდა და ტიტეს მოსაყვანად ისე წავიდა; დედისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე. თუ როგორ ძნელი იყო მისთვის ეს ნაბიჯი.

მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა; მიდიოდა იმ კაცის აუხსნელი სიჭიქტით, რომელმაც იცის, რომ თავის დასაღუპავად მიდის, მაგრამ შეჩერება, უკან გამობრუნება არ შეუძლია. თითქოს გაუგებარი აუცილებლობა კარნახობს ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმასო, ერთხელ არ შეყოვნებულა და თავისი თავისთვის ერთხელაც ანგარიში არ მოუთხოვია.

ტიტესთან შეხვედრის მოლოდინში ციციოს გული ერეოდა. უბედური გოგო თავისი ფეხით მიდიოდა იმ კაცის მოსაყვანად, რომელმაც დედის მოტყუება არ იკმარა და გერს გაუპატიურება მოუწოდებდა.

ამ ცოტა ხნის წინათ მის მიერვე შეურაცხყოფილი გერის რისხვას, ცოლის შურისძიებასა და საქვეყნო სკანდალს თვითონ გაეჭვა ტიტე. ციციომ ქვეყნის შეყრას, დედის გულისტკენასა და საკუთარი სახელის გალანძღვას შინიდან წასვლა არჩია.

სულ რაღაც რამდენიმე თვემ გაიარა და გერი ახლა თავისი ფეხით მიდის მამინაცვალთან, მიდის; რომ შინ დაბრუნება, ავადმყოფ დედასთან შერიგება თხოვოს. ტიტეს ვენერას ავადმყოფობა სულაც არ აღარდგებს და თუ მის სახლში ისევ დაბრუნდება, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ციციოს გერდით იყოს და თავისი სურვილი ასრულოს.

ტიტესთან ციციოს მიხვლა, პატივებასა და შერიგებას უღრის და მამინაცვალს ხელ-ფეხს უხსნის; თავისი პირუტყვული ყინის, ცხოველური ნდომის დასაყმაყოფილებლად.

ციციომ ეს კარგად იცის და მაინც წინ მიდის.

საკმაოა ერთ წაშს შედგეს; დედას

მოუშროუნდეს და ყველაფერი უამბოს.

მაგრამ ციციო ამას ვერ შეერგება; რაღაც აუხსნელი სირცხვილია შინით, თუ დედის საბრალულოთ.

ციციომ იცის, გზის გაგრძელება გაცილებით მეტ უსიამოვნებასა და უბედურებას მოუტანს. მასაც და დედამისსაც, ვიდრე ერთი წუთით შეჩერება და დედისათვის აღსარებას განდობა.

იცის, მაგრამ ბავშვური სიკერზე თუ დაუძლეველი კდემამოსილება ისევ წინ ერეკება და აუხსნელი აუცილებლობის კარნახით უფსკრულისაკენ მიაქანება.

დილაადრიან ჩიტივით წამოფრინდა ლოგინიდან ვენერა. ქმარი და შვილი შინ ჰყავდა, ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩამდგარი ეჩვენებოდა და ამ ქვეყნად მეტიც არა უნდოდა რა.

ამდენი ხნის სატყეობარი ერთ ლამეში მოეშვა, თითქოს აგად არც ყოფილიყოს, სნეულება სადღაც გაქრა და ბედნიერებით ფრთაშესხმული ქალი კი არ დადიოდა, დაფრინავდა.

ვენერამ მძინარე ქმარს კმაყოფილებით დახედა; ტიტეს წესად ჰქონდა ნაბაბუხეზე, დილით „გამოსაკეთებლად“ მღორჭომის დაღვევა. ვენერამ საწოლთან აბარა, მაგიდა მიუდგა, საუზმე და მღორჭომი დაუწყო და ოთახიდან ფეხმარეფათ გავიდა.

მერც ციციოსთან შეიხებდა.

ციციოს მშვიდი ძილით ეძინა.

ვენერამ ქილია ჰფხს დაავლო სულ და, ახალი ჩემი ღიღინით დასტოვა.

მჭინარე ტიტეს ჰიმყრის ხმაური ჩაესმა და თვალი გაახილა. ჯერ კიდევ გამოუფხვნილბეღელმა თვალი გაოცებით მოავლო იჭაურობას.

თანდათან გაიხსენა გუშინდელი დღე: ციციოსთან შეხვედრით გაოცნება, მანქანის ფარგბის დამსხვრევა, შემდეგ გერთან ერთად ვენერას სახლში დაბრუნება და ცოლთან შერიგებას აღსანიშნავად გამართული ქვიფი.

ტიტე გუშინდელი დღის ყველა

წერილში იტანებდა: „გულს ლოგინში აღარ უღვებოდა და მოსალოდნელს გამოჩვენების სიხარულს წინასწარ ზეიმობდა და...“
 ბოროტობა ვახსნა და ცალსახა ზღაპრით დაყრდნობილი ნელ-ნელა შეუდგა მშისთავი უბრუნოდა და სტკიუნდა...
 ნაქეიფარი, ლოგინში დიდხანს ავტორი აღებდა, მაგრამ ახლა ჩვეულებას უღალატა.

სამანი ვადაიძრო. ტანს სწრაფად ჩაიკვა. აწეწილი თმა სარკეში, როგორც იქნა, დაილაგა. მელიოტი ოსტატურად დამალა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

ფვალები უბრწყინავდა და ტუნს კატასავით ილოკავდა.

აივანზე ფრთხილად გაიარა-გამოხარა, სამხადში შეიხედა და ეზოც მოათვალიერა.

ვენერა წასული ჩანდა.

გულდაარბევებულმა კიბე ისევ უხმოლ აიარა და ციციოს ოთახს შეუბნო.

სარკმელში შეიხედა. ციციოს საწოლს მზე მიდგომოდა.

მიძინარ ქალიშვილს ქათქათა მკლავები საბნის ზემოთ ეწყო. ის მკლავები თეფრი კრავებებით თავთავისთვის იწვენენ და თავისი საკუთარი ძილით ეძინებ.

საბანქვეშ ოფნავ შემოდუნული მკერდი მშვიდად აუღ-ჩაუღიროდა.

სარკმლის მინას აკრულ ტიტეს თავბრუ ესხმოდა და თვალები უძნელდებოდა. ყველაფრისაგან გამოთიშული მისი გონება იმ წუთს ლოგინზე შებვივად გაწოლილი ქალიშვილით იყო შემოზღუდული. იმ ქალის იქით იმ წუთს ტიტესათვის აღარაფერი არსებობდა, აღარც სახლი, აღარც ვენერა, აღარც სოფელი და აღარც ქვეყანა, საერთოდ.

ვენერა კი არა, მთელი სოფელი რომ თავს დადგომოდა, ტიტეს სარკმლის მინას ვერ ააგლეჯდნენ და იმ ცხოველური გაოგნებიდან ვერ გამოიყვანდნენ.

ციციომ გვერდი იცვალა და ვადაბრუნდა.

ტიტე სარკმელს მოსწყდა: მთავრობისაკენ მიპარვით მიმავალ...
 ვითარცა ფრთხილად შეხლო...
 მოხუცა და ვასალება გადაატრიალა.

კლიტის გაჩხაკუნება და ციციოს ვადავიძება ერთი იყო. ლოგინზე შემოინებულს წამოიწია და კარისაკენ მობრუნდა. ის იყო, ტიტეც მიბრუნდა და ქალმა სასოწარკვეთით შეჰკვილა:

— აქ რა გინდა... ახლოს არ მომეკარო... ახლავე გადი...

ტიტეს აღარაფერი ესმოდა. გონება ნელბული ციციოსაკენ შურდულუნით დაიძრა და სწორედ ამ დროს გაისმა მხილი:

— ვენერა!

ვაოგნებული კაცი ტყვიანაკრავივით წამით შედგა.

ალბათ იფიქრა, მომეყურაო და სწრაფადვე დაიძრა ბირგამეხებული ქალისაკენ.

— ციციო! ტიტე!

უკვე სულ ახლო გაისმა მხილი.

— მიშველეთ... ვინა ხართ...

განწირულვით, დაიკვილა ციციომ და ტიტე უმაღ გამოერკვა.

აივანზე ვილაც დადიოდა.

— სადა ხართ, ხალხო, რა ამბავია?

სად ხარ, ციციო?

შეშფოთებულმა ხმამალა კითხულობდა ვილაც.

ტიტე უკებ მოეგო გონს. ციციოს წყალგადასხმული შემოტრიაალდა, კარი გააღო და ოთახიდან შურდულვით გავარდა.

აივანზე მოულოდნელობისაგან გამტრებული მარინესთვის ზედაც არ შეუხებია. კიბე კისრისტეხით ჩაიბრინა, მანქანაში ჩაჯდა და სწრაფად მოსწყდა ადგილიდან.

— ბატონო ტიტე! თავმჯდომარე გთხოვთ კანტორაში... ამხანაგები ჩამოვიდნენ რაიონიდან.

მისძახოდა დაბნეული ჭერ კიდეე ხეირიანად გონსმოუსვლელი მარინე, მაგრამ ტიტეს მისი აღარ ესმოდა, მან-

ქანა ეზოდან დაიძრა და ორღობეში გაქროლა.

თმაგაწეწილი, აფორიაქებული ციცი ლოგინზე მოჭრილივით დაეცა და გულამოსკენილი ატირდა.

სახტად დარჩენილმა მარინემ ერთი მიიხეღ-მოიხედა და მიხვდა, რომ უდროოდ დროს იყო სხვის ოჯახში შემოჭრილი.

ქალის ტირილი რომ ესმოდა, ცნობის-მოყვარეობა კლავდა, მაგრამ ოთახში შესვლას ჩუმადვე გაპარვა არჩია და კიბეზე სიარბილით დაეშვა.

როგორც იქნა, ციცი დაწყნარდა.

სხეული ძლივს აითრია. ტანთ ჩაიცივა. ჩემოდანი ჩაალაგა.

მაგიდის უკრაში დამალული გასაღები მოძებნა. კარადა გააღო. ზეწარსა და ზეწარს შუა დასტებად შეკრული ასმინეთიანები იღო. ერთი დასტა ამოიღო. კარადა ისევ დაკეტა, გასაღები თავის ადგილზევე შეინახა, დაჯდა და მოკლე წერილი დაწერა:

დედა!

ჩემი წასვლა აუცილებელი შეიქნა. მიზეზს ოდესმე შეიტყობ. მივდივარ სამუშაოს საძებნელად. შენს დაუკითხავად ათასი მანეთი მოვაკელი შენს ფულს. როგორც ვიშოვნე, უკანვე დაგიბრუნებ.

მაპატიე უკანასკნელი შეწუხება.

შენი ციცი.

წერილი დაკეცა. ვენერას ბალიშზე დადო, ჩემოდანი აიღო და სახლიდან წავიდა.

რკინიგზის ბაქანზე, ვიდრე საბილეთო სალაროს მოძებნიდა, გაზეთების კიოსკს მიაღწა.

ახალი გაზეთები არ იყო წინადღის „ახალგაზრდა კომუნისტი“ იყიდა და მოსაცდელ დარბაზში შევიდა. გრძელ სკამზე ადგილი არ აღმოჩნდა, ჩეიოდანი ძირს დადო, ზედ ჩამოჯდა და ვაზეთი გაშალა.

სამი გვერდი უინტერესოდ ჩაათვალიერა.

მეოთხე გვერდზე თეატრისა და კინოს ამბებს გადაჰკრა თვალი.

გვერდის ბოლოში შავი, მსხვილი შრიფტით აწყობილი კლდეეთის რაღართა სამმართველოს განცხადებას წააწყდა:

კლდეეთის შალართა სამმართველოს ესაქიროება მწგრველი და ამწმენდი მუშები, მოსამსახურეები — აღმრიცხველები, დამლაგებლები, მიმტანები, მრეცხავეები. პირობების გასაგებად მიმართეთ სამმართველოს კადრების განყოფილებას ან კომკავშირის საქალაქო კომიტეტს.

ციცოს გონება უცებ გაუნათლა. რალაც გადაწყვიტა და ფეხზე წამოხტა.

მან უცქერ იცოდა, სად უნდა გამგზავრებულყო და საბილეთო სალაროს მიაშურა.

კლდეეთის ბილეთი აიღო და რამდენიმე წუთში მატარებელიც ჩამოდგა. მაგარ ვაგონში ავიდა, ფანჯარასთან მოთავსდა და ისევ გაშალა გაზეთი.

ციცოს გარდა კუბეში პატარა ბავშვიანი ქალიც იყო. დედამ ბავშვს ლოგინი დაუგო, თვითონაც გვერდით მიიწევა და ორავემ ჩაიძინა.

დაღლილმა ციციმ კოტახანს გაზეთი იკითხა. მატარებლის რწყევამი ძილი მოერიო, თავი ჩემოდანზე მისდო და თვალი მილულა.

მხატვრის იპაროსი

ახლოს შედაზნის ტყეებია
და ლურჯი ნისლი — სუნთქვა არაგვის.
(ახლა ზაფხულის დღეებია
სააგარაკო.)
და მტკვრის ტალღებში სიზმარივით კრთის
ჩემი მცხეთა — რუხი ქალაქი.
აქედან გზები ვარსკვლავთ ლურჯი
ქვეყნისკენ მიდის
ხვევებზე გავლით,
და ხვევებიდან რბილი ბინდი
გამოდის მალვით —
მუქდება არე!
ირინდება, შეშდება ელვა
სიჩუმის რიდით...
მდინარებს წყალი
და „წყნარზე წყნარი“
ამოდის მთვარე!
ვართ სასწაულის მომლოდინე და
მთვალთვალე.
ეს მერამდენედ,
ო, მერამდენედ,
არმაზის ძველი კოსმოდრომიდან
ამოდის მთვარე!

უეცარი თქემი, ცა მუქი და გალა,
— ჩქარა! ჩქარა! აივანზე გამო!..
სველ მინდორზე დიდხანს არ ირბენდი განა,
სულ პატარა სიხარულის გამო?

მოვარდნილი ღელე, დარგკილი თუთა,
— გეჭვწები აივანზე გამო!
ღბილ ბალიშზე ცრემლებს არ დაღვრიდი ნუთუ,
სულ პატარა მოგონების გამო?

სივი პეიზაჟი

საქართველო
საბჭოთაო

ქარი ამშრალებს ფაიფურის მომთვარულ სინებს
და ვერცხლის თასებს,
მტკვარი ნაპირებს გათოშილი თითებით სილავს...
და სამარხიდან ამოსული,
გვიანი სული,
ძლივს მილასლასებს ყინწვისისკენ მიმავალ გზაზე.

ს ა ლ ა ჯ ო

წვიმს...
და ქურქივით ინამება, ივსება ბინდით
დღე ნაცრისფერი.
ქუჩაში მიდის
მოწყვნილი, მაღალი გოგო
და ვგრძნობ, რომ სადღაც, ქალაქს იქეთ იზრდება სოკო
გლუვი და სველი!

ნუთუ ოდესმე შრილებდა ამ ქვეყნად ჩალა
მშრალი, მზისფერი?!

გიტოვებული აბარაჟი

ნაწვიმარზე დღე სუნთქავს საკვირველი,
თითქოს ცრემლს იმშრალებს ჰავეფერი...
ქარი არხვეს ტოტზე საქანულას,
ჩამავალი მზის სუსტი ლანდები დადიან ბაღში.

მე შენი თვლებით ვუცქერი ღრუბლებს,
დაისის ღრუბლებს, მოღლილ ღრუბლებს,
ღრუბლებს ფერადებს...
ნაწვიმარ შარას; მონაცრისფრო, შიშველ ალუბლებს;
გადახრილ მესურს; გაძარცვულ ჩრდილს;
შემკრთალ ვერანდას!

ზაფხული გაჰყვა მატარებლის შორეულ კივილს,
ბალებში ჩადგა სიმყუდროვე — სული სოფლისა!?
რომელს გაუძლო:

უშენობის მშვენიერ ტკივილს,
თუ უტკებეს სურვილს შენთან ყოფნისას?!

ორი ნილაჟი

(სახუბარი პირველი ჰეპა-ჟუნილის დროს.)

შე (გაჯავრებული)

— შენ ჩემს უწუმრად გაგიღია ჩემი კარები
და ჩემს ზვინებში შეგვიშვია შენი ქარები



შენს ქარებს ტყისკენ გაულალავთ ჩემი ტყვეები
 და შწვანე თმებში გაუბურდავთ ჩემი ტყვეები
 ხმებით, მყვარით, დაუფრთხიათ ჩემი ტახები
 და მღვრიე წყლებით აუვსიათ ჩემი არხები

ველებზე ლახტი გაუმართავთ წვიმის ქამართა
 და სულ უმიზნოდ უსროლიათ ჩემი ქამანდა!

შენ: (ატირებული გაზაფხულის სახით)
 — ღიად შენ განგებ მიატოვე შენი ქარები
 განგებ შეუშვი შენს ზეინებში ჩემი ქარები
 ჩემს ქარებს განგებ დაადევნე შენი ტყვეები,
 ჩემს თმებში განგებ გაახვიე შენი ტყვეები
 განგებ დაიფრთხე ხმით მყივარით შენი ტახები
 განგებ შებოროკე ჩემი წყლები შენი არხებით

განგებ გამართე ველად ლახტი წვიმის ქამართა
 და აი ყელზე მომახვიე შენი ქამანდა!

მდინარის ბავშვი

მდინარის ჩრდილში, ხეთაგან შავში,
 მზე — განართხული წითურ ქვიშაში,
 როგორც ასპირი დანა ნიშანში!
 ...თევზს უხმობს ბავშვი!
 ლოდთან უაზრო მიმორბის წყალი,
 თითქოს ბრმას ცოდვილს თანმდეველი
 ცაცხლი აწვალეს...

და უცებ წყნარი,
 უნდინების ძილივით წყნარი,
 ბავშვი გაიშლის ოქროს ნაწნავებს!

მზე ტოვებს გვირგვინს,
 თვით მზე ტოვებს მზეობის გვირგვინს!
 მზეს ვით სასწაულს ბავშვი მოხვევს თავის
 წრფელ ხელებს

და სიხარული ტანშიშველი დაირბენს ველებს:
 თავისუფლება!
 თავისუფლება!
 თავისუფლება!

და მთა-ლოდებზე შემომსხდარი ნაზი დევები
 კმალავენ ცრემლებს

და სალამოის სიმრუმეში უნებოდ აშლილ,
მხურვალე ვენებებს, როგორც ცოდვებს განუტყვებენ!
მზეს, ვით თოჯინას, წყლის სარკეში აძინებს
ბავშვი!

მარტვილი.

მე მახსოვს ვაგებდი პატარა სასახლეს
ფიჩხით და აგურით,
სულ ერთი კრამიტი ყოფნიდა სახურავს!..
და სამი ფოთოლი ჩემს მიერ დარგული,
ტყე იყო ულრანი!
და ჩუმად ვამზობდი:
ეს არის ფანჯარა...
ეს არის ბუხარი...

და მერე: ძილისპირს ღამაში ფიქრები
და ძილის მარყუევი იკვრება...
— სასახლე?!..
— სასახლე? ...სასახლე გაქრება,
ულრანიც გაქრება!
მე მუდამ ვიქნები!..

და ბოლოს ზამთარი მოვიდა ფიფქებით:
მილულა ფანჯრები,
ვაათბო ნაცარი.
მიმორგა იჭეუბი — შენს ირგვლივ რაც არი
კვლავ ასე იქნება
და შენ არ იქნები!

მე მზით ავსებულ სილაში ვვადე,
ზღვა რომ იწყება
და მზის ურიცხვი ზარები რეკდნენ
თავდავიწყებით...

და უნდინები მზეს კპარავდნენ
ოქროს სარკეებს!

წელიწადის სიბღერა

ხან ვარ სირბილი — ნაკადულები;
ხან ვარ ცეკვა — წვიმა;

ხან ვარ სიჩუმე — ბალი;
და სამფერი კაბა მაცვია სამი:
მწვანე, იისფერი, წყლისფერი.

მერე ფრენა ვარ მე — ნიავეი
მერე ჩურჩული ვარ მე — ფოთოლი
მერე გარინდება ვარ მე — საღამო.
და სხვა კაბა მაცვია სამფერი
ლილისფერი, იასამნისფერი, მზისფერი...

და კიდევ დაღლა ვარ მე — ტბა.
და კიდევ თვლენა ვარ მე — ფოთოლცვენა.
და კიდევ სინანული ვარ მე — ბილიკი.
და სულ სხვა კაბა მაცვია სამფერი სამი.
თუთუნისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი...

და ბოლოს მწუხარება ვარ მე — ქარი;
და ბოლოს ძილი ვარ მე — თოვლი;
და ბოლოს სიზმარი ვარ მე — ვარსკვლავები...
და კვლავ სამი კაბა მაცვია სამფერი:
თეთრი, შავი, არაფრისფერი...



იღამ — ნსეჲიძ მაც მამ
ინამ იდეკან ანაც იბეფნამ მე
იბეფნამილეჲ იბეფნამი კემდეჲს



თეატრი გომორაქი

იღამ — ნს მაც ამბოფ ნებენ
ილეთოფ — ნს მაც ილეჲმბეჲ ნებენ
ონელ — ნს მაც ანეფნამიბეჲ ნებენ
იბეფნამ იდეკან ანაც ადამ მე
...იბეფნამიჲს იბეფნამიჲსაჲი იბეფნამილე

მარადიული ფყაროს სიმღერა

ანტ — იმ მაც ილეჲფ ნეჲფ მე
ამეჲჲლოთოფ — ნს მაც ილეჲფ ნეჲფ მე

მოთხრობა

ომში დაღუპულთა ხსოვნის ობელისკი აღმართეს სოფელში. ობელისკთან კედელი ააგეს. კედლის ცალ მხარეს შინმოფსავლეულთა სურათები გამოაფინეს, მეორე მხარეს ოთხმილიანმა წყარომ იწყო ჩქეჲა მარადიული ცეცხლის სანაცვლოდ.

კედელზე სამასი სურათი ჩაურეგებიათ. სამასიდან ერთი მინც ყველაზე უფრო ძალიან მიკლავს გულს. სურათში ისეთი ჩანს, თითქოს სიკვდილი არ ეწერათ. ოცდასამი წლისამ ყველაფერი დაამთავრა. იმ სურათში კი ცხრამეტისა იყო. ჯარში წასვლის წინ გადაიღო და დედას სამახსოვროდ დაუტოვა. ეს სახსოვარი ახლა სოფლის საკუთრება გამხდარიყო.

ერთი ცოცხალი, კაფანდარა ბიჭი იყო, ხუჭუჭა თმის კულულები ნიადაგ შუბლზე უყარა. ისეთი ნათელი თვალები ბევრს არა ჰქონდა. ყელში სალამური ედგა. ის რომ სიმღერას დაიწყებდა, გული სვედანარევი სიხარულით აკენესდებოდა, ის რომ მღეროდა, სიცოცხლე უფრო ტკებოდა, ერთი უბრალო, გლეხის ბიჭი მიღეთის ხალხს სიხარულით ატირებდა.

მერედა, როგორ უყვარდა სიმღერა! სიმღერას როგორ დაგამადლიდათ! ერთი გეთქვათ და, მაშინვე ყელს მოიდერებდა. მის გვერდით მუშაობა ყველას უხაროდა, იმიტომ რომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, სათხარაში თუ რთველში, დღეობაში თუ ქორწილში, შინ თუ გარეთ — მღეროდა. ზოლო სოფელში თუ ვინმე მოკვდებოდა, მაშინ ერთ ხანს დადუმდებოდა. მერე, როცა მეზობლების გლოვის ხმა მიწყდებოდა, ისევ

მისი სიმღერის მადლი ეფინებოდა გარემოს. ის არ იყო სახელგანთქმული მომღერალი. ჩვენი სოფლის გარეთ არც კი იცნობდნენ.

არა, იმ წელს უბედურების დაწყებას არც არავინ ფიქრობდა. ჩვენი სოფელი მოაგარაკებებით გაივსო. მერე რა ხალხი მოვიდა! ჩვენი სახლის მეორე სართულზე საქვეყნოდ ცნობილი მსახიობი ელენე წერეთელი დაბინავდა თავისი ქალიშვილით.

მშვენიერი საღამოები იდგა. ჩვენი სახლის აივანი აღმოსავლეთით იყო პირმიქვეული და მთვარევე მთლიანად შუქით ავსებდა.

ელენე წერეთელს ბევრი მეგობარი მოსდიოდა. დასხდებოდნენ აივანზე და მხიარულობდნენ. ერთი იმათგანი დიდებული მომღერალი იყო, ოპერის თეატრის სული და გული, თომა ალადაშვილი.

ეს მსახიობები კლუბშიც არ მიდიოდნენ, სადაც მოხედებოდათ სოფლელებისთვის კონცერტს იქ მართავდნენ. ელენე ლექსებს კითხულობდა, თომა მღეროდა...

— შენ გაიხარე, ქალო, რა მშვენიერი რამა ხარ! — შენატროდნენ სოფლელი ქალები ელენეს.

ერთხელ, ელენეს სტუმრები რომ წავიდნენ, ჩვენი მდგამრები ეზოში ფარდაგზე წამოწვენენ. დედაჩემი მიიხმეს. იგი მორიდებით მოკალათდა ფარდაგის კიდეში, ბალახზე. ელენემ შეიცხადა და გვერდით მოისვა. მე კაკლის ხის ქვეშ სკამზე ვიჯექი. მთვარე ამოდიოდა. როცა გორაკის თხემზე შემოჯდა, ჯერ ცოტა ნათება ჰქონდა, მერე ცაცხვის ტოტებს აჰყვა, ალვის კენწერობებს

მოქცა... რაც უფრო მალა წავიდა. შუქი უფრო მოემატა. ვასაკები კრულობდნენ. წყნარი დამე იყო, ნიავეც არ იტვროდა.

მამაჩემი საიდანღაც დაბრუნდა, ყველას მშვიდობის საღამო გვისურვა და მოღლილი ჩემს გვერდით ჩამოჯდა. დედაჩემი მაშინვე წამოხტა და შინისკენ წავიდა, მამაჩემისთვის ვახშამი უნდა გავცხელებინა.

შორიდან სიმღერა შემოგვესმა, ტკბილი და მგრძობიარე. შორს იყო ის დალოცვილი მომღერალი. ალბათ ამ ღამის მშვენიერებით მოიხიბლა ისიც და ვერ აიტანა დუმილი.

ილიკო მღეროდა.

ელენე წერეთელმა სიმღერის გაგონებაზე თავი შეშარტა.

— რა გულში ჩამწვდომად მღერის ვილაცა! — თქვა მან.

— ჩვენებური ბიჭია, ილიკო იაგორაშვილი, აი, მისი ამხანაგი, — მამამ ჩემზე მიუთითა.

მერე ისევ გავისუსენით. ეტყობოდა, ილიკო საღღაც მიდიოდა, რომ მისი სიმღერაც დაგვეშორდა, თანდათან გაქრა და გული დაგვეწყვიტა.

— აი, ასე დადის ეს ჩვენი ბუღბული, ჩვენი სოფლის გარემოს უმღერის... იქნებ როგორმე დაეხმარო, პატივცემულო ელენე. მაგ ბიჭმა მთელ ქვეყანას უნდა უმღეროს, ამისი ღირსია. განა ტკბილი არ იყო, რაც გაიგინეთ!

— მშვენიერი ხმა აქონია, ხვალვე ეტყვი თომას. ერთად მოვუსმენთ. რა ხნისაა?

— ჩემი დათიკოს კბილია, — მამამ ისევ ჩემსკენ გამოხივდა.

მთა ვაჭაკი ყოფილა, კონსერვატორიაში მივადებინებთ. უკეთესს, ვის მიიღებენ! უნაზოთ ხვალ. რას გვიმღერებს?

გვიან იყო, მაგრამ იმავე ღამეს გავიქვიცი ილიკოსთან. ის იყო დასაძინებლად წვეტი და დედამისს, მამოს, გაუკვირდა აქაქანებული რომ მივვარდით სიბარულს ვერ ვმადღავდი. ილიკომ იმდენი თინოსმად...

ილიკო, ხვალ მსახიობებმა უნდა გავმოგვადონ, ბიჭო. — წამოვიწყებ, როცა გული საგულეს ჩავიბუდე. დიდი ხნის გამიცდა, რა გამიცდა!

— უნდა გამღერონ.
— ი, მე თუ სიმღერა მაკლავ! მამღერონ რა! მაგას რა უნდა!

— მერე ისინი კონსერვატორიაში მოაწყობენ და ნამდვილი მომღერალი გახდები.

— კარგი ერთი! — შვილის მაგივრად თქვა დედა მამომ და ხელი ლოყაზე მიიღო, შვილს ისე შეხედა, თითქოს ევედრებოდა, უარი არასეზით არა თქვაო.

— როცა უნდათ და სადაც უნდათ იქ ვუმღერებ! — თქვა ილიკომ ღიმილით.

— ჰოდა, ვერე! მე მეგონა, უარს იტყოდი.

— უარი როდისმე მითქვამს? უარი რად უნდა ვთქვა!

მგონი მე უფრო მიხაროდა, ვიდრე ილიკოს. არხეინად დამთანხმდა გამოცდაზე, მაგრამ, როცა მეორე დღეს დაბრუნდნანთ აივანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

თომა ალადაშვილს დაბრუნდაშვილებთან აქონდა დაქირავებული ბინა. გამოცდაც იქ მოეწყო.

არ ვიცი, სოფლის ახალგაზრდებს, ბიჭბუჭებს, გოგოებსა და ვაჟებს საიდან გაეგოთ ილიკოს რომ საგანგებოდ უნდა ემღერა. დაბრუნდნანთ დაბალი და დიდი აივანი მთლიანად გაავსეს და მსმენელები ეზოშიც ჩამოდგნენ.

ცოტა შეგვიანებით მოვიდა ელენე წარეთელი თავისი გოგონათი. ის რომ ჭიშკარში გამოჩნდა, უმალ ყველა განზე ჩამოდგა. იგი ღიმილითა და თავისდაკერით მიესალმა სოფლელებს და აიენისაკენ წავიდა. თომა დიდის ამბით შეეგება. ოპერის სოლისტთან სხვა ორიოდე თბილისელიც მოსულიყო, მათაც აინტერესებდათ სოფლელი ბიჭის მსმენა. ის კი აიენის კუთხეში იდგა და დეღავდა.

— მოლი, ბიჭო, აქეთ გამოიწვი, მიმართა ელენემ. შინაურულადა, როცა უთხრეს, აგერ, ის ყმაწვილია ჩვენი მომღერალიო. ილიკო მიუახლოვდა ელენეს. ჩვენმა მდგმურმა ხელი ჩამართვა და გასამხნევებლად უთხრა: — მწებობაში ვინ მიყვები?

— ჩვენც ასე ვღელავთ. სოლმე ყოველ გამოსვლაზე. გული გაიმაგრეს. ილიკომ მორცხვად დახარა თავი. ზაფხულის თაკარება იყო, მაგრამ დაბ-

რუნდაანთ აივანზე გრილოდა. სახლის წინ ბალი იყო ფერდობზე ნახარები. ვეება ხეებს დაწრდილათ სახლი და მისი გრძელი, საკმაოდ განიერი აივანი.

— დაიწყით, არა? — დაიძახა თომა ალადაშვილმა და ილიკოს შეხედა.

ილიკომ კაკლის ხის ტოტებს მალა გახედა. ნეტავ რა იფიქრა?

დაიწყო. ჯერ ჩუმად, გაუბედავად წამოვიდა, თითქოს მეზობელ სოფლიდან მოდის და ჩვენი სოფლის ორღობის თავში შემოდგა ნაბიჯით.

ხან ილიკოს ვუყურებდი, ხან მსახიობებს, აბა, როგორ განიცდიან-მეთქი. თომა დიასახლისის მიერ მორთმეულ ბაღს ხამუშ-ხამუშ მიირთმევდა, ილიკოს თვალს არ აშორებდა. მერე, როცა ილიკომ ხმას აუწია, თომამ ბლის კალათი განზე გადადგა და მხრები გაშალა.

ილიკომ უფრო აუწია. ხმას ფრთა შეასხა და ასე-მეგონა, მეცხრე ცაში მარტო თვითონ კი არა, ჩვენც აგვიყვანა.

უნებურად ჭერს აესხედე, ჭერიც სომ არ აიწია-მეთქი.

ასე უშხიანად და მონდომებით ჯერ არასოდეს არ ემღერა. მონდომებული იყო. სიმორცხვე და მორიდება დასძლია. თავის გამოჩენა მასაც უნდოდა. უბრალო ბიჭი იყო, მაგრამ თავს იწონებდა. თვალმინაბული მღეროდა.

ნეტავ ის სიმღერა არ გათავებულყოფო, ნეტავ კი ახლაც გამაგონა!

ირგვლივ ყოველივე გასუსულიყო, თითქოს ქვასაც ყური გამოსხმიაო. ნიავეიც არ იძვროდა.

— შენ აგაშენა ღმერთმა! — წამოიძახა თომამ, როცა ილიკომ უკანასკნელი ბგერა ამოკვნიესა და სული ღრმად მოითქვა.

ტაში დაეცხეთ, მივულოცეთ, მადლობა ვუთხარით და სიხარულის ცრემლი მოვიწმინდეთ.

თომამ ხელი ჩამოართვა და შუბლზე აკოცა. ელენეშაც მიულოცა, სხვებიც დაესივნენ. მერე მსახიობებმა შუაში ჩაისვეს ილიკო და ერთმანეთში საუბარი გააბეს.

— ვანოს ხმა ხომ გახსოვს, თომა? — ჰკითხა ელენემ.

— რა დამავეიწყებს!

— ამ ბიჭის ხმა არ გაგონებს იმის ხმას?

— ვანო სარაჯიშვილისა და სანდრო ხანაშვილის მადლი სწორედ ამ ბიჭმა უნდა გააცოცხლოს. გულგატეხილები ვიყავით, ერთ ხეირიან ტენორს ველოდით და აბა, მადლობა ღმერთს! — თქვა ალადაშვილმა და ილიკოს მიუბრუნდა, — შენს გახარებას, ერთი კიდევ გვიმღერე. რაც გინდა ის იყოს, ოღონდაც კი იმღერე!

დიდი მომღერალი სიმღერასა სთხოვდა, ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა ყოფილიყო ილიკოსათვის.

როცა ილიკომ კიდევ იმღერა, თომამ ტაში შემოჰკრა და დაიძახა:

— არის მეორე ვანო! — ელენესაკენ გადიხარა და უთხრა, — ეს აღმოჩენა ჩვენ გვეკუთვნის და რიგიანადაც უნდა მივხედოთ. გარეგნობაც რომ მომხიბველელი აქვს! ამას ჩემს კლასში ავიყვან.

ყურებამდე აწითლებული ილიკო იდგა და გული სიამით უძგერდა. იქ დამსწრენი ახლა სულ სხვა თვალთ ვუყურებდით მას. ყველანი კარგად ვგრძნობდით მის დიდ მომავალს. მე კიდევ წარმოვიდგინე იგი ოპერის თეატრის სცენაზე... მქუხარე ტაშის გრიალში ენთება ლამპიონები და სცენაზე ცვივა უამრავი თაიგული... ილიკომ მოხიბლა თბილისი, მთელი საქართველო... ილიკო მიემგზავრება საგასტროლოდ მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, მილანში...

მილანში!

ის მართლაც მოხვდა იტალიის ამ ქალაქში...

ის დღე იყო და ის დღე! თომა ალადაშვილმა თავად დაუწყო მზადება ილიკოს.

იმ ხანად პიანინო ძალზე იშვიათი მისაგნები იყო სოფელში. კლუბში ერთი ძველისძველი პიანინო იდგა. სასიამოვნო ხმა არა ჰქონდა, მაგრამ არც ისეთი იყო, რომ გადასაგდებად გაემეტებინათ.

სალამობით ბიჭები მოცლილები ვიყავით. როგორც კი ალადაშვილი და ილიკო კლუბს მიაშურებდნენ, ჩვენც ავეტორლიალებოდით, კლუბში შეყვებოდით, გასუსულები ჩამოვსხდებოდით მორყეულ სკამებზე

და გუყურებდით, როგორი მამობრივი მზრუნველობით ავარჯიშებდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ჩვენი სოფლის ბუღბუღს.

ილიკოს არაჩვეულებრივი სმენა აღმოაჩინდა და ამან კიდევ უფრო მოხიბლა ალადაშვილი. ილიკო მაღალ ნოტებს ისე იღებდა, გვეგონებოდათ უკვე დასრულებული მომღერალიათ. ის რომ ხმას აუწევდა, კლუბი ზანზარებდა ხოლმე.

მერე ერთად ვბრუნდებოდით შინ.

ილიკო წინა წელს საექიმოზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ რაღაც მიზეზით უმაღლესში ვერ მოუწყო. თომამ ეს რომ გაიგო, ექიმობის სურვილი ჰქონიათ, გაუკვირდა და ბევრიც იცინა.

— ბუნებას სულ სხვა ვარსკვლავზე გაუჩენხარ, ექიმობა რამ გაფიქრებინა?

— აბა, რა ვიცი, დედაჩემის ბრალია. ერთი წელი დამაგარგვინა.

— ახლა რას ამბობს დედაშენი?

— რა უნდა თქვას! მთელი წლის განმავლობაში ხეირიანად ვერ მოვემზადე და წელსაც სოფელში ვაპირებდი დარჩენას. ვიცოდი, ახლაც არაფერი გამომივიდოდა. ახლა კონსერვატორიაშიც რომ ჩავიჭრა?

— მაგ ხმის პატრონს სად გაგიშვებთ, რას ამბობ!

— ხმა რომ დაკარგო, მერე რა ვიქნები? — შებედა ილიკომ სახალხო არტისტს.

— ხმა რომ დაკარგო? ეგ რამ გაფიქრებინა? ამ ხნის კაცი ვარ და ეგ ფიქრი არასოდეს არ გამივლია გულში. ასეთი რამ მეორედ არა თქვა! — თბილად შეუწყრა ალადაშვილი, თმაში სწვდა და ქოჩორი აღერხით მიუწეწე-მოუწეწა.

კვირა დღე იყო. კლუბში ვიყავით. თომამ ალადაშვილი პიანინოს უკდა. ჩვენი სოფლის მომღერალი იქვე გვერდში ედგა. ილიკო მაღალ ნოტებზე ვარჯიშობდა.

უცებ კარის ჯახუნი გავიგეთ. დარბაზში კლუბის გამგე შემოვარდა.

— ომი დაიწყო! — დაიძახა მან შემოსვლისთანავე და ალადაშვილს შეხედა.

ის იყო და ის. ყველაფერი ჩაიშალა.

მაღე ჩვენი ყურით მოგუსმინეთ მოსკოვს.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა. მოაგარაკეთა უმრავლესობა იმავე დღეს აიბარგა. სააგარაკოდ უკვე აღარავის სცხვლოდნენ.

თომამ ალადაშვილმა ვერაფერი სანუგეშო ვერ უთხრა ილიკოს. გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ აღერხით მიუწეწე-მოუწეწა ხუჭუჭა ქოჩორი და ხელი სინანულით ჩაიქნია.

ჩვენი მდგმურიც აიბარგა.

ჰაბუკები ჯარში გაიხმეს. მე და ილიკოც ცხრამეტ-ცხრამეტი წლისანი ვიყავით და ჩვენც დაგვრია ხელი ომმა. ავიკარით გულა-ნაბადი და ჯარში წავედით. ჩვენი სოფლის საშუალო სკოლის დიდ ეზოში შეგვკრიბეს. ახლომხლო სოფლებიდანაც აქ მოვიდნენ წვევამღლები. ამდენი თუ მოვიყრიდით თავს, არავის ვგონა. სულ ჯანიანი, რჩეული ბიჭები ვიყავით. ასეა, ყველა საქმეს ლამაზი და ჯანიანი სჭირდება თურმე. ზოგმა გარმონი მოიტანა შინიდან, ზოგმა დოლი და ფანდური. ილიკომ იქაც მოიღერა ყელი და საომრად ეინმორეულ ბიჭებს თავისი სიმღერით უფრო მეტი ცეცხლი წაუკიდა. ილიკოს შემყურე და მისი ხმის გამგონე, სიმღერას ვერავინ ბედავდა.

სკოლის ეზო ნამდვილ სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. შინ ვიყავით და თანაც არ ვიყავით. იქვე, სახლის გვერდით დავბანაკდით, შინ კი არ გვიშვებდნენ. ღამით ერთიერთმანეთზე მიყრილებს გვეძინა ცარიელსაკლასო ოთახებში, შინ კი ჩვენი გაფუძმულელებული ლოგინი გაუმღელი იყო. დილდობით ჩვენიანები სკოლის ტიშკართან აიტუზებოდნენ.

კიდევ კარგი, რომ ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელდა. ერთ დღეს მოგვაწყვეს და გრძელ გზაზე დაგვაყენეს. სადგურისაკენ წავედით. სადგურზე უკანასკნელად ღზინი გავარადეთ, დოლი ავაბავუნეთ, სალამური ავაკენეკეთ, გარმონი გავწულეთ, მკლავები გავშალეთ და ცეკვისას მუხლებში ცეცხლი წაეკიდეთ. მერე ილიკოც ვამღერეთ.

მაშინ კი, როცა ღზინი დავამთავრეთ და ვაგონებში უნდა შევსულიყავით, ვნახე სერი. გამომშვიდობებისას სამი, მოუკრეფავი ატამივით მწიფე და ბუსუსიანი გოგო ბაღლივით აზლუქუნდა, სამივემ გრძნობას ფარდა ახადა, ილიკოს მოგებვივნენ და დაკოც-

ნეს. ერთმანეთს არ მოერიდნენ. სამივეს ძლიერ ქყვარებოდა. ან კი რაღა დროს მორიდება იყო!.. იქნებ უკანასკნელიც იყო მათი ტრფიალი! ეს ამბავი მე და ილიკოს დედამ, მამომ, შევინიშნეთ. მამომ მუხლზე დაიკრა ხელი და ჰქვედა ყბა აუთრთოლდა:

— შეიღებო! შეიღებო! — ამასღა იმეორებდა საცოდავი ქალი და დაბნეული ტრიალებდა გამოთხოვების ორომტრიალში.

წავედით. ცრემლით დამბალი ხალხი კი სადგურის ბაჰანზე დაეტოვეთ.

...არ ვიცი იმ გოგონებმა როგორ გაინაწილეს მამინ ილიკოს ის დიდი სიყვარული. დღეს კი სამივეს ქმარ-შვილი ჰყავს. ალბათ გულის სიღრმეში ჩამარხული მოგო-

ნება ხანდახან თავისას აკეთებს და ქალთა გონებას სევდის წამიერ ბურუსში ჰყვებს.

ბედმა გამყარა ილიკოსთან. სულ მალე დაეშორდით ერთმანეთს. მერე აღარაფერი მსმენია მისი. ომმა რომ გადაიქუხა, მე შინ დავბრუნდი. დარდით დამძნარი საწყალი მამო მიწას მივაბარეთ.

როდის-როდის ილიკოს დანარჩენი ამბავი ძლივძლივობით შეეგაკოწიწე. ზოგი რამ ხევნმა მეზობელმა ჭაბუკა აბრამიშვილმა ძიამბო. ჩემი ნააზრევიც მოვაშველე, მაგრამ ილიკოს ამბავი მაინც ბურუსით იყო მოცული. გვიან, სულ გვიან სოფელში მოვიდა იტალიელი პარტიზანის ჯუხუზე მანიაჩის წერილი... იმ წერილმა კი ბურუსი გააჭანტა.

1. ჭაბუკ აბრამიშვილის ნაამბობი

...მერე სად არ ვვითრით. ერთ პატარა ქალაქში მოვხვდით. ბედმა არ მიმუხთლა და ილიკოს არ დამაშორა. სულ ერთ ნაწილში ვიყავით. ილიკოს ხმამ მთელი ლეგიონი მოხიბლა. ახლა რუსული სიმღერებიც რომ დასძახა! თათრები პირდაღებულები უყურებდნენ, როცა მათი გულისწამლები ბაიათიც გასჭიმა. შენ კარგად იცი, სიმღერის ბოლომდე გაგონებაც არა სჭირდებოდა. ნიჭი და ალღო როგორ შევლოდა, ყოველნაირ პანუს ხელად აიტაცებდა. მთელი მისი სიცოცხლე სიმღერა იყო და ასე გვეგონა ომის გაგარვარებულ გზებზე სულ სიმღერით ივლიდა.

ხშირად მარტონი დაესხდებოდა. ნაღვლობდა თავის მშობლიურ მხარეზე, ჩვენს სოფელზე, დედაზე. მერე სიმღერით ერთს ისეთს ამოიკენესებდა, გვეგონებოდათ გულსაც თან ამოაყოლებსო.

გაგვეწრთნეს და ფრონტზე გაგვიშვეს. აქ ხომ სიცოცხლე აღაღებდნენ? ჯერ კიდევ ფრონტის ხაზზე არ ვიყავით მისულნი, ჩვენი ლეგიონი მტრის თვითმფრინავებმა დაბომბეს. მიწას ისეთი ბური აადინეს, მეგონა ჰქვეყანა სულ ამ ჯოჯოხეთში იქნებამეთქი. მაგრამ, როცა ჭუხილი მიწყდა, გარემო ისევ გაიღურსა და მიყურდა ილიკო-

სოვნახე. საღ-სალამათი იყო. ჩემსავით მასაც შეშინებოდა. ქვეყნის დასაცავად ამხედრებულ ჯარისკაცს ხომ გმირობის ჩადუნის ჟინი უნდა ჰქონდეს. ჩვენ კი მტრისათვის თითო ტყვეიც არ დავგვხალა, უსახელოდ როგორ უნდა დავცემულიყავით!

დაჭრილები დავაბინავეთ, დახოცილებს სამარე გავუთხარეთ. მშვიდი ღამე დადგა. მთვარეც ამოვიდა, სწორედ ისე გადმოგვეცადა, როგორც ჩვენს სოფელს გადმოხედავს ხოლმე. ამ დროს ილიკოს სოფლის ორღობეში რომ არ ჩაველო სიმღერით, როგორ იქნებოდა! ახლა კი მოღუშული იჯდა და მთვარეს უყურებდა.

მეორე დღეს დილიდანვე ჩავებით ბრძოლაში. ვისროდით და მტერიც გვესროდა, ვხოცავდით და გვხოცავდნენ, მოდიოდნენ და უზუხვებოდით, მივდიოდით და გვიხვდებოდნენ. ვერც ჩვენა ვძლიეთ და ვერც იმათ. რაც შეიძლება მეტსა და მეტ ცეცხლს ვაყრიდით ერთმანეთს. ბოლოს ეშმაკობით გვაჯობეს, ზურვით დაგვიარეს, ალყა დაგვიარტყეს და ვინც კი საღ-სალამათი, ან მსუბუქად დაჭრილები ვიყავით, ტყვედ წაგვიყვანეს.

— ასე უცებ ეს რა უბედურება დაგვიმართა, ბიჭო! — კბილებში გამოსცრა

ილიკომ, როცა გერმანელმა თოფი წაართვა. გაოგნებული და თავრეტდასხმული ვიყავი.

ბედმა არც საკონცენტრაციო ბანაკში გამყარა ილიკოსთან. დადუმდა და ჩამოხმა ჩვენი სოფლის ბუღბუღი. ჩემ თავს აღარ ვჩიოდი, მისი ცქერა მტანჯავდა. თვალები ჩაუცივებდა, ლოყა ლოყაზე მიეკრა, აჩრდილს დაემსგავსა. სადღა იყო მისი ხუჭუჭა ქონორი. ილიკო ილიკოს აღარ ჰგავდა. სულ იმას ვცდილობდი, რომ არ დავარდნილიყო. ის რომ დაცემული ენახათ, მაშინვე მოკლავდნენ. განა ცოტანი ვნახე ასე დასჯილები. ვამხნევებდი, იმედს არ ვკარავდი და მუდამ იმას ვცდილობდი, რომ სულიერად არ დაცემულიყო. რა ნაზი, რა გულჩვილი ყოფილა თავის ხმახვით ანკარა ბიჭი. იქ გამოვცადე, რა შესძლებია.

პოლონეთის ერთი პატარა ქალაქის გარეუბანში ვიყავით. რიჟრავაზე წამოგვრეკადნენ და სამუშაოდ წაგვიყვანდნენ. ვთხრიდით და ვთხრიდით. მაგრამ რას ვაკეთებდით, არავინ იცოდა. დაღამებისას ბარაკში დაოსებულნი ვბრუნდებოდით.

არც ისე მოზრდილ ბარაკში ვიყავით გამომწყვდეულნი. მეთვალყურედ ერთი შუშურბეკია ეფრეიტორი გვყავდა. ჰენრიხ ვულფს ეძახდნენ. ბარაკის შემოსასვლელში ერთი ციცქნა ოთახი ჰქონდა. როცა ესოში სეირნობას მოიყრიჭებდა, ოთახში დაჯდებოდა და კარგა ხანს პირის გარმონს უკრავდა. უკრავდა ერთსა და იგივეს. ეტყობა, მოსწონდა ეს მელოდია. გვეკითხებოდა, როგორი მუსიკოსი ვარო. რა ძალა გვქონდა, რომ არ გვექო! ხანდახან მღეროდა კიდევც მისი სიმღერის გაგონებაზე ილიკოს შევეხედავდი ხოლმე. ამ ჩვენ ბიჭს სახე ისე დაემანჭებოდა, თითქოს აღრჩობდნო. მერე მკერდზე მიიჭერდა ხელს. იქნებ სიმღერა ეძალეობოდა და არ უშვებდა? მაგრამ აბა, რა ემღერებოდა!

და არც უმღერია. სიმღერა სვედის წამალიაო, სიმღერა გაბზარულ გულს ამთელეხსო, სიმღერა ტანჯვას დაგავიწყებსო, გამოიკონია. სიმღერას მართლაც დიდი ძალა აქვს, მაგრამ ილიკო ტანჯვის შესამსუბუქებლად არ იყენებდა თავის მომზიბლელ ხმას. მაგრამ ახლა, ამ ტანჯულ მკერდიდან ამოვიდოდა კი ის ძველებური? ვინ იცის!

6. „მნათობი“, № 10.

სალამო იყო. სამუშაოდან ქანემილულები დავბრუნდით. თითო კოეზი წყალწყალა ფაფა შეეხვებოდა და დასაძინებლად მივეყარებით. იმ დამეს ისეთი რამ მოხდა, რასაც არც ერთი ტყვე არ მოველოდით.

სიმღერის გუნებაზე იყო ჰენრიხ ვულფი. რომელიდაც არია წამოიწყო. ეტყობა აზარტში შევიდა, ხმას აუწია და აუწია. ჩვენ სულგანაბლები ვუსმენდით. უცებ ხმა ჩაუწყდა, ჩაებრინწა, მამლის ყვილივით გააბა. გამწარებულ ბიჭებს ამის გაგონებაზე გაგვეცინა.

ილიკომ გადააფურთხა.

როცა ჰენრიხმა ხელახლა ასწია და კვლავ არ გამოუვიდა, მაშინ ილიკო წამოჭდა, კარს შეხედა და უცებ ერთი ისეთი აუწია ხმას, გული სიხარულით ღამის საგულედან ამომივარდა. ამ გაძვალტყავებულმა და მივარდნილმა, სიმღერის ეშხი კვლავინდებური ღაზათით დაანთო. დაანთო და უმაღვე დადუმდა.

ტყვეებს არ ვგონათ თუ ილიკოს ასეთი ძლიერი და ტკბილი ხმა ექნებოდა. ყველა მას მიაჩერდა. უნდა გენახათ მათ თვალეში როგორ უცებ ჩაიწერა იმედი, მომავლის რწმენა, სიხარული. ო, როგორ სწყუროდათ სიმღერის კიდევ ერთი გაგონება! ილიკომ კი ხელი ჩაიჭინა და თავი სევედიანად ჩაჰქინდა.

კარმა გაიჯახუნა და გამოჩნდა ჰენრიხ ვულფი.

— რომელი იყო? — იკითხა მან ცივად.

ილიკომ ტანი ძლივს აითრია, წამოდგა და ვულფს თვალი თვალში გაუსწორა.

— წამოდი ჩემთან! — უბრძანა ეფრეიტორმა.

— ბიჭო! — წამოვიძახე და მაშინვე წაშოვდექი. შემეშინდა, ეფრეიტორმა რამე არ დამართოს-მეთქი. მართალია, რბილი კაცი ჩანს, მაგრამ გვარი მგლისა აქვს და იქნებ გულში რა სიბვე უძევს!

ისე გავიდნენ, ილიკოს ჩვენსკენ არც მოუხედავს. მაგრამ ვიდრე იგი არ დაბრუნდა, ვერ მოვიხვენივ.

შემოვიდა. ცალ ხელში პურის მოზრდილი ნაჭერი გჭირა.

— რა იყო, ბიჭო? რად დაგიძახა, რა გითხრა? — მივცვივდიოთ მაშინვე.

ჯერ ის პურის ნატეხი გაგვიყო ყველას, მერე ორიოდ სიტყვით გვიამბო. ქენრიხ ვულფს უთქვამს ილიკოსთვის, ძალიან გულით მინდა მაგ ხმის პატრონს მოგისმინო, მაგრამ ვწუხვარ რომ აქ ამისი საშუალება არ არისო. მერე პური მიუცია და გამოუშვია.

ერთ დღეს ქენრიხ ვულფი ჩვეულებრივ გამოჩნდა ბარაკის კარში. მას ორი ფაქიზად ჩაცმული მოჭალაქე ახლდა. ერთი ხნიერი იყო, მეორე შედარებით ახალგაზრდა. ორივეს სამხრეთული, ჩვენებური იერი დაკრავდა.

ქენრიხ ვულფმა ბარაკიდან მხოლოდ ქართველები გაგვისმო. ათამდე კაცი ვიყავით. როცა ეს ათი კაცი ბარაკის კომუნდანტსა და მის თანმხლებთ მივუახლოვდით, უცნობებმა გაგვიღიშეს და სალამი ქართულად გვითხრეს. მე უცებ ვერ მივხვდი, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

მალე ჩვენთან მოვიდა საკონცენტრაციო ბანაკის კომუნდანტი, უფროსი ლეიტენანტი კუცი. მას სხვა ბარაკებიდანაც გამოეყვანა ქართველები. ყველანი ერთად ჩავვაშვკრივეს.

იმ მოჭალაქეებს, რომელთაც აშკარად ეტყობოდათ ქართველობა, ჩვენთვის მცირე საჩუქრები მოეტანათ. ზოგს პაპიროსი შეხვდა, ზოგს ორცხობილა, ზოგს შოკოლადისა და კამფეტის ნატეხი.

ხნიერმა მამაკაცმა თვლებში მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და მოგვმართა:

— ჩემო შვილებო, მე ვწუხვარ, რომ თქვენ ამ დღეში ხართ. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ სულ მალე გაათავისუფლდეთ. ჩვენ ახლა ვადგენთ ქართულ ნაციონალურ ლეგიონს, რომელიც თავისი სამშობლოს გასათავისუფლებლად მიეშველება გერმანელებს.

ყველანი ვდუმდით. გულისფთქვა ყელში გვებჯინებოდა.

— ვის გსურთ ჩაეწერთ ამ ლეგიონში? — მოგვმართა მოხუცმა.

ხმას არავინ იღებდა.

— კარგით, — დაგვითმო მოხუცმა ცოტა აღელვებით, — არ დაგაჩქარებთ. ხვალ,

შუსტად ამ დროს, ამავე ადგილზე შევკრებთ. მანამდე კარგად მოიფიქრეთ.

იგი მიუბრუნდა თავის თანმხლებ ქართველ ემიგრანტს, ჩვენს ჩუმად რალაც უთხრა, მერე უფროს ლეიტენანტ კუცს გერმანულად გამოელაპარაკა. კუცმა გვიბრძანა დავშლილიყავით. ჩვენ ჩვენს ბარაკებში დავბრუნდით.

— უნდა ჩაეწერთ ამ ლეგიონში, — თქვა რამდენიმე ბიჭმა, — გაქცევა უფრო გაგვიადვილდება.

— რატომ მაშინვე არ დავეთანხმეთ? ვაითუ ხვალ აღარ მოვიდეს!

— ხვალაც მოვლენ.

— ვჭირდებით და მოვლენ.

ილიკო ხმას არ იღებდა, ვატყობდი, რომ ძალიან ღელავდა.

სალამოს ქენრიხ ვულფი შემოვიდა ბარაკში და ილიკო სადღაც წაიყვანა. ამ კაცს ენდობოდით და ცუდი არა მიფიქრია რა, მაგრამ ილიკოს დაბრუნებამდე მაინც მოუსვენრად ვიყავი.

ბიჭები გვგმას აწყობდნენ:

— ლეგიონიდან გაიქცევით, მაგას ლაპარაკი არ უნდა. იარაღს მოგვცემენ და იმ იარაღს პირველად ამით დავახლით!

— დედას ვუტირებთ!

— მალე დადექ ხვალინდელი დღეო!

უცებ პირის გარმონის ხმა შემოგვესმა. ქენრიხ ვულფი უკრავდა. ილიკო კი არ ჩანდა. გული გამებზარა, ავწრიალდი. ამდენ ხანს სად დაიკარგა, იქნებ არც დაბრუნონ ბარაკში!

გვიან ღამით ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა საიდანღაც მოიყვანა იგი. ქენრიხ ვულფმა შემოაცილა ბარაკში. ეფრეიტორმა თვალი გადმოგვაგლო და გაბრუნდა.

მე ილიკოს მივფარდი;

— სად იყავ, ბიჭო?

— ქალაქში, იმ ბებერთან ლეგიონში რომ უნდა ჩაგვწეროს. მანქანით წამიყვანეს. ეტყობა, ამ ჩვენს ეფრეიტორს უთქვამს ჩემზე, კარგი ხმა აქვსო. ჰოდა, იმ ბებერსაც მოსდომნია ქართული სიმღერის მოსმენა. სასტუმროს პატარა ოთახში ორი გერმანელი ჯარისკაცი თავზე მადგა, ის ბებერი კი სიმღერას მთხოვდა. თვალები ამიჭრულდა. ენა მუცელში ჩამივარდა, გულს ვედარ მო-

ვერიე. ის კი მეხვეწებოდა. ჯარისკაცებს უთხრა, ოთახიდან გასულიყვნენ. ისინი მაშინვე დაემორჩილნენ, მაგრამ მე მაინც ვერ ვიმღერე. რას არ შემპირდა, იტალიაში გაგვზავნი სასწავლებლადო, მილანიო, „ლა სკალას“ საოპერო თეატრიო... მერე მოაგონდა, რომ შვიერი ვიყავი. მაჭამა, მასვა. მაშინ თვალთ უარესად დამიბნეულა და უფრო მეტად წამერთვა ღონე. თქვენი ჭირიმეთმეთქი, შევეხვეწე, სხვა დროს ვიმღერებ, ახლა ცრემლი მახრჩობს-მეთქი. ცოტას გაწყდა არ ვიტყვი. იმ ბებერმა კი იტირა. რაღაც-რაღაცები მომცა და გამომისტუმრა. აპაანდეთ, გაიყავით!

სასუსნავი გავიყავით. თითო ლუკმა ყველას შეგვხვდა.

გული საგულეს ძლივს ჩავიგდე. ილიკოს ვუთხარი, ყველანი ლეგიონში ვეწერებით-მეთქი. იგიც დამთანხმდა და მერე ხმადაბლა თქვა:

— იტალიაში რა მინდა, ბიჭო! ჩვენი სოფლის ორღობეში რომ სიმღერით ჩავივლიდი, აი, სიცოცხლე ის იყო!

მერე ღრმად და დარდიანად ამოიხხრა.

მეორე დღეს კვლავ გამოგვიყვანეს. რამდენიმე ქართველი ვიღაცამ გასცა, კომუნისტები არიანო. ისინი მაშინვე ჩამოგვაშორეს. დანარჩენები ლეგიონში ჩავგრიცხეს, საკონცენტრაციო ბანაკს მოგვაშორეს. მაშინ ის მოხუცი ემიგრანტი აღარ მოსულა, მის მაგივრად სხვა იყო.

ღია მანქანებით წავგიყვანეს. გზაში შემოგვაღამდა.

გერმანელი მცველები თავს გვადგენენ. ისინი მანქანის ძარის კუთხეებში იდგნენ ავტომატებით. მანქანები ნელა მიდიოდნენ და ღამის მყუდროებაში მხოლოდ მოტორების ღუღუნის ისმოდა.

დატყვევებულ ჩიტს გაუხსნეს გალიის კარი: ჩიტს იქ რაღა დააყენებს!

ილიკო ჩემს გვერდით, ზედ მანქანის კიდურთან იჯდა. ვატყობდი, როგორ მარწოდა. აჩქარდა და ამჩქარა: *მეზღერებოდა*

— ახლავე ან არასდროს! — თქვა მან ჩუმად.

მივუხვდი.

— მოგველავენ, ბიჭო!

— მომეცე! ღამე ჩვენითვისა დგას.

ესა თქვა და ძარიდან გადახტა. მიმეტოვებინა? დამეგარგა? მეც უმაღ გადავეყ და სადღაც თხრილში ჩავიჩიხე. ავტომატების ჯერმა ბურქები გასხიბა და დაპვლიჯა. რაღაც ძალამ ფეხზე დამაყენა, წავიხარე და ტყისაკენ გაქცეულ არდილს დავედევნე.

მივბოდი, ბურქნარს ველეწებოდით, თავს არ ვზოგავდით. რამდენიმე ფაშისტი სროლით მოგვდედა. თავისუფლების წყურვილი უხუნაუსი რამ ყოფილა გაჭირვებული კაცისათვის. მანათობელი ტყვიები სიბნელეს გლეჯდა, ფოთლებს სხეპავდა.

როცა განემარტოვდი და მიწაზე ქანცმლეული დავეცი, ტყეში საოცარი სიჩუმე სუფევდა. სადღაც მიყრუვდა და მიწყდა სროლა. აღარავინ მომდევდა. მდევარსაც ალბათ ჩემსავით გაუწყდა ქანცი. ერთ ხანს ვვგდე ასე ნახევრად გონებაწართმეული. თავს უკუნი სიბნელე მადგა. როდის-როდის, გონს მოვედი. წამოვჯექი. ილიკო-მეთქი, დავიყვირე, მაგრამ სიტყვა ალბათ პირს იქით არ გამცდენია.

— ილიკო! ილიკო!

არავინ გამოხმაურებია. დილის იმედით გული არ გამტებია და ირიყრაფა თუ არა, გრძელი ღამით გაწამებული, მაშინვე ბურქნარს გადავერიე, რომ ილიკო მეპოვნა ან ცოცხალი ან მკვდარი. ცრემლი მახრჩობდა. ვტიროდი და ისე ვეძებდი.

ვერ ვიპოვნე.

2. იტალიელი პარტიზანის ჯუშამ მანიანის წერილი

ძვირფასო მეგობრებო!
26 აპრილს, გაზაფხულის იმ მშვენიერ დღეს, როცა ჩემი შობილიური მილანისათვის ნამდვილი გაზაფხულის პირველი დღე

დადგა, პარტიზანებმა ბევრი ძვირფასი ამხანაგი დაგვარგეთ. მათ შორის იყო თქვენი თანამემამულე ილიკო იაკორაშვილი. ყველაფერს თავიდან გიამბობთ.

ორმოცდაათი წლის ზამთარში ჩვენი პარტიზანული რაზმი ოციოდე კაცს ითვლიდა. თავგანწირულად ვესხმოდით თავს ტაშისტებს და მუსრს ვაელებდით. ბიჭები ჩვენც გვეხოცებოდნენ, მაგრამ ყოველი ბრძოლის შემდეგ უფრო მეტი ვჩანდით.

ერთხელ, ტყვეთა ეშელონს დავეყვით. ეშელონი ბელინცანადან მილანისაკენ მიდიოდა. მცველები გავვლიტეთ, ტყვეები კი პარტიზანულ ბანაკში წავიყვანეთ. საცოდავი ხალხი! უსმელ-უჭმელობით ყველა ისე იყო დაგარდნილი, სიარულის თავიც არა ჰქონდათ. ასეთი ხალხი ბრძოლაში როგორ მოგვეშველებოდა. მერე არც ისე ცოტანი იყვნენ. ას ოც კაცს მოვლა-პატრონობა და ამავ დროს დაცვაც სჭირდებოდა. მართლაც საცოდავი სანახავი იყო ეს ამდენი პირუტყვადაქცეული კაცი. ისინი გვაღვივით ჩამომხმარ მცენარეებს ჰკავდნენ, მორწყვის შემდეგ რომ მოცოცხლდებიან და ისევ ლაღად გაშლიან რტოებს. მაგრამ სანამ მათ მოვაცოცხლებდით, დიდი ჯაფა დაგვადგა. ორმოცდახუთის გაზაფხულის პირვე ძნელი საშოვნელი იყო ლუკმაპური, მაგრამ მაინც რაღაცას ვახერხებდით.

ჩემს ოცეულში მოხვდა ილიკო იაგორაშვილი. დატანჯული და გამხდარი იყო, მაგრამ მის შუქიან თვალებს კარგი ვაჟკაცის ცეცხლი ეტყობოდა. თვალში მომივივდა ეს ბიჭი. არც მოვტყუებულვარ. როცა ფერი და ზორცი მიემატა, როცა პირველ ბრძოლაში გავიყოლე, დავრწმუნდი, რომ იგი მამაცი მებრძოლი იქნებოდა. შურისგება ამამაცემდა. ეტყობოდა, ფაშისტებს მაგრად ყავდათ ნაწამები.

იტალიელებს ძალიან გვიყვარს მუსიკა და სიმღერა. ჩვენს ქვეყანას ტყუილად როდი ეძახიან მუსიკისა და მომღერლების ქვეყანას. თავისუფალ წუთებში, ვისაც როგორ შეგვეძლო ისე ვუმღეროდით იტალიის მთებს. მე სმენა კარგი მაქვს, მაგრამ ხმისა რა მოგახსენოთ! აბა, ჩემი ქვეყნის სახელგანთქმულ მომღერლებს როგორ შევედრები! მაინც ვახერხებ რაღაცას. პარტიზანულ კოცონთან ხშირად მამღერებდნენ. ვმღეროდი გატაცებით და ვგრძნობდი, რომ სიმღერით გულის ყინულს ვულხობდი მეგობრებს.

რა ვიცოდი, რომ იქვე ჩემს გვერდით დიდებული მომღერალი გვყავდა. ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, სანდანდაც მომესმა ნეაპოლიტანური სიმღერა „სანტა ლუჩია“. გაოცებული შევედექი, არა იმიტომ, რომ ეს სიმღერა გავიგონე. იტალიაში ვინ გინდათ, რომ „სანტა ლუჩია“ არ მღეროდეს. მაგრამ მე ხმამ, ხმამ გამოცა. რამდენიმე ჩემი იტალიელი მეგობარი მომიახლოვდა და მათაც გაოცებით მიუცდეს ყური.

— ბელ-კანტო! ჩვენებური ტკბილი ბელ-კანტო.

ერთხილად მივუახლოვდით მიწურს, სანდანაც ხმა გამოდიოდა. პირველი მე ჩავედი კიბეზე. მიწურის კარი ჩუმად შევაღე და სიმღერა მამინვე შეწყდა.

ნახევრად ბნელში მარტოდმარტო იჯდა ილიკო იაგორაშვილი. ცალ ხელში დაშლილი ავტომატის საკეტი ეჭირა, მეორეში ჩვარი. ეტყობოდა, იარაღს წმენდდა. ჩემს დანახვაზე მამინვე ფეხზე წამოდგა. შემკრთალივით მიყურებდა. მე კი გაოცებული მივანერდი.

— ვინ მღეროდა? — ვკითხე, რადგან ამ ბიჭისაგან ისეთ ხმას არ მოველოდი.

— მე ვმღეროდი, — მომიგო და თვალი არ მომაშორა.

— ბრავო, ილიკო! — ტაში შემოვკარი და მიუახლოვდი.

— დიდი ხანია არ მიმღერია, — მითხრა მან დამტყრეული იტალიურით, — ხალხში ვერ ვებედავდი.

— ბრავო! — სხვა სიტყვა ვერ გამოვძებნე, ერთხელ კიდევ შევძახე ალტაცებით და მოვეხვიე.

მიწურში ჩემი მეგობრებიც ჩამოვიდნენ და ისინიც შემოეხვივნენ შორეული ქვეყნიდან მოფრენილ მგალობელს, რომელიც მანამდე თურმე სულგანაბული ჰკრეფდა იტალიური სიმღერის ტკბილ ბგერებს, მერე ველარ მითმინა და დაჰკვნესა.

ვამღერეთ. ეს იყო არაჩვეულებრივი პატარა კონცერტი, რომლის მსგავსი მე არ მახსოვს.

— სულ ახლოსაა მილანი, „ლა სკალა“... შენ ალბათ ბედმა გადმოგაგდო, რომ აქედან გაითქვა სახელი...

— არა, შენ „ლა სკალას“ იქით გზა არა გაქვს...

— სულ მალე გავათავისუფლებთ მილანს და ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე შენც გამლერებთ.

ვეუბნებოდით იტალიელები. იგი კი მორცხვად იღიმებოდა.

ამის შემდეგ მომღერალთა ქვეყანას ქართველი ბულბულიც თავდავიწყებით შეკვენესოდა.

პარტიზანებმა მართლაც დაედეთ პირობა, შევიდოდით თუ არა მილანში, „ლა სკალას“ სცენაზე ვამლერებდით ილიაკო იაგორაშვილს, იმ დიდებულ სცენაზე გამოვიყვანდით, სადაც ენრიკო კარუზოს, ტიტო რუფოს, გალი კურჩისა და თქვენს ვანო სარაჯიშვილს უმღერია.

გადაწყდა, მილანის ალებისთანავე „ლა სკალაში“ შედგებოდა პირველი კონცერტი პარტიზანებისა და ქალაქის აჯანყებულთათვის. დარბაზში ვისხდებოდით მხოლოდ ჩვენ, ვინც სისხლით დავიბრუნებდით მშობლიურ ქალაქს.

აჯანყება გულდასმით მზადდებოდა. მთებიდან ბარში გადმოვიწვევდით და მილანზე შეტევისათვის გულს ვიკაეებდით, ილიაკოს იმ უჩვეულო კონცერტისათვის ვამზადებდით.

26 აპრილს მილანში შევიჭერით. ქალაქის ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა, მაგრამ პარტიზანებმა და აჯანყებულებმა სულ მალე ვძლიეთ მტერი. საღამო ხანს სროლა კანტიკუნტადლა ისმოდა.

მზე ჩადიოდა. ნიავმა დაუბერა და ბრძოლაში დაღლილ-დაქანცულებს შვება გვაგრძნობინა.

კიდეც ცოტაც, სულ ცოტაც და ყველაფერი დამთავრდებოდა.

მოედანზე გადავბრბოდით.

აგერ „ლა სკალას“ სახელგანთქმული თეატრიც. ილიაკომ ამ შენობის დანახვაზე ისე შემომხედა, თითქოს შენობასთან ერთად მის შესაგებებლად გამოსულ მომღერალ ვარსკვლავებსაც ხედავსო. ეს იყო მისი უკანასკნელი და ბავშვური აღტაცება. რა ვიცოდი, რომ ამ დროს გასროლილი ტყვია სწორედ მას მოსძებნიდა. ეს რომ მცოდნოდა, მკერდს პირველად მე დავახვედრებდი ტყვიას, ოღონდ მას ეცოცხლა: ბოლოს და ბოლოს, კაცნი მარტო ჩვენი თავისთვის ხომ არა ვცოცხლობთ ამ ქვეყანაზე.

როცა იგი შებარბაცდა, მე თვალთ დამიბნელდა. ჩემსკენ შემოტრიალდა. რაღაცის თქმა უნდოდა, ვერ მოასწრო. არასოდეს არ დამაეიწყებდა მისი სვედიანი, დამცინავი ღიმილი. არ ვიცი ისე მწარედ და აგდებით ვის და რად დასცინა. შეტრიალდა და მიწაზე პირქვე დაეცა.

პარტიზანთაგან აღარავინ შესულა „ლა სკალაში“.

იმ საღამოს ცრემლითა და სიმღერით ჩვენს ძმებს ვმარხავდით.

...მარადიული წყარო კი სვედიან სიმღერას ტბილად ლუკლუკებს, დაკარგული ბიჭების მაგივრად მღერის და მიწაში წასულთა ამბავს იდუმალად ღუღუნებს.



პატრიარქის კანცელაქი

ბ ა ლ ბ ი ნ ი

სატელევიზიო კიხსა

მოკმედი პირები:

მერი
ბიძინა
იგნატიუსი
ვალერია

ეზონი ჩასახვლელი რეინის კომიარის მონანს. ქვის
ლობესთან ქვის ძვლსკამზე ბიძინა ზის, ხელებში თა-
ვი ჩაურგავს. ძვლსკამის მეორე კიდულზე მერი ჩამომ-
ჯდარა, ნაბიჯების სმა შემოესმა, მიწვდა. მუსიკაც
შეწყდა.

მერი — რას ფიქრობ, ბიძინა!.. შენ გეუბნები.

ბიძინა — მძინავს.

მერი — ფიქრობ!..

ბიძინა — (სხაპასხუპით, გამომწვევად) პირველი
ინკუბატორი ვევატეში გამოიგონეს, ჩვენს წელთ-
აღრიცხვამდე. შეიდასი კვრცხი თავსდებოდა შიგ,
ღვრწამით აბობდნენ.

მერი — (გამომწვევად) მერე?

ბიძინა — ცერკამ პირველი წიწილა მეთვრამე-
ტე საუკუნეში მიიღო.

მერი — (განმარტებით კილოზე) პირველი ობო-
ლი წიწილა!

ბიძინა — გავიდა კიდეც ორი საუკუნე და დედა-
ჩემმა შექმნა ინკუბატორი, საიდანაც გამოვირევე მე!
მერი — მამაღვინწა!.. გულსადავი, ჩვენი ეზოს
გოლიათი!..

ბიძინა — (ქინოპით) წი-წი-ლა!..

მერი — წი, წი, წი, წი, წი, წი, წი... (ბიძინა
მოსახლბს ეუბნება, მამალს ბაძავს) გეუოოა!.. კიდეც
დიდხანს დაელოდები?!..

ბიძინა — შენ რას იზამდი?

მერი — (დაუყვავებს) სახლში წავიდეთ, ცივა...
ბიძინა — გინდა ვიცევოთ, გათბები.

მერი — შტერი!.. ნეტავი აუ შართლა ელოდები?

ბიძინა — გამონდება. (მერის თმამი ბელი წაე-
ლო, შეანჯღრია)

მერი — აა!.. (ბიძინამ ბელი გაუშვა) აღარ გიყ-
ვარვარ, გბულვარ...

ბიძინა — ადამიანის შექმნება არც ისე აბ-
ვილია.

მერი — ბიძი...

ბიძინა — ვიცევოთ.

მერი — ის საშინელი კაცი გამიჩნდა, ლოთი. აბ-
ლაც ფულს ავწკაპნის.

იგნატიუსი — (შემოდის. პიჯაკი მხარზე გადა-
იგდო) შორს იყურებით, ელოდებით?

ბიძინა — დიახ, ელოდებით.

იგნატიუსი — ვის ელოდებით?

მერი — მამას, გუშინაც ასე იყო.

იგნატიუსი — ეს ქალიშვილი რა არის შენი?

მერი — რაც გუშინ ვუყავი.

იგნატიუსი — და-ძმა?

მერი — პო.

იგნატიუსი — მამასადამე, მამას ელოდებით.

მერი — ეს ელოდება.

იგნატიუსი — რატომ ეს, და არა — ორივე,
ერთად.

მერი — მამაჩემი სახლშია.

იგნატიუსი — გველის ჭეუა რომ მქონდეს, მა-
ინც არ მესმის.

მერი — რა არ გესმით. ამის დედამ მოიყვანა ეს.
მე და მამაჩემი სახლში დაეხვდით. სულ ეს არის.

ბიძინა — შაყრები ვართ.

იგნატიუსი — (გამოცოცხლდება) მყარები!..
მშობლების ქორწილში?! ნაღდი საქმეა, ერთმანეთიც
იქ გაიყვანით.

მერი — (გამხიარულდა) მაშინაც თმამი წამაელო
ხელი, ძლიერ გაგავშველეს. ასე გამრავლდა ჩვენი
ოჯახი.

იგნატიუსი — (ციინის) ბრწყინვალეა!.. გამ-
რავლების ახალი წესი. (მერის ჩაბედა) გოგო, შენ
გიყვარს ამ ბიჭის დედა?

მერი — ძალიან.

იგნატიუსი — შენ ვამაწვილო, ამ ქალიშვილის
მამა თუ გიყვარს?

ბიძინა — ამის მამა ლაშარია.
 იგნატიუსი — ჰა?...
 ბიძინა — ერთხელაც არ უკითხავს ვისი შვილი ვარ.
 შერი — იქნებ არ აინტერესებს.
 ბიძინა — როგორ არა... მხოლოდ შეეითხვა ვერ გაუბნდა.
 იგნატიუსი — მამაკაცის მოდგმა დაქინდა. აი სიცილი... გარდაცმული ყველაფერი თავის რიგზეა, ტუტ-რუტანაში თუ შეიხუდავ — მაყრები, ჰა? ყურანამოყრელი მადრები.
 ბიძინა — შენ იგნატიუსს გეძახიან, გუშინ მითხარა.
 იგნატიუსი — როგორ არ გეტყვდი. გუშინდელი შენი გროშებით ნახვარი ლიტრა მგრესო.
 ბიძინა — აჰა, ოღონდ კი წადი, ახლა შენი თავი არა მაქვს. (ფული მოსცა)
 იგნატიუსი — (ქალადის ფულს დახვდა) გუშინდელი შუა გაყავი?
 ბიძინა — ისე ანგარიშობ, ვითომ შენი რამე მემართოს. აღარ მოხვდევ.
 იგნატიუსი — გეტყვობა, წყნადი ბიჭი ხარ, სწავლობ და არ სვამ.
 ბიძინა — არა, არა ვსვამ.
 იგნატიუსი — სტილიაგები სვამენ. პროვინციის მოდერნისტები. კონიას დიდი გასავალი აქვს. ხაში ბიჭები გოტუბიფიკი ტყვიანია.
 (პირიდან ველურ ხმას ამოუშვებს, დაიგრძობება, ცუცავს, პევირის და იმანება. დაილაღა, სკამზე მივდო) ლაწირაკებს ძველი ბაიათი ახალი პტონითა. თუ დალოდ დაეძვკადე. უნდა იტყვირონ. გაგლეიანი მამა რომ გყავდეს სხვა საქმეა, შენც იტყვირებდე.
 ბიძინა — (შერის) ამისთანა კაცს რად გაანდვ ჩემი წუხილი.
 შერი — რასაც ფიქრობს იმას ლაშარაკობს.
 იგნატიუსი — ყმაწვილი, წვრილმანებით თავს ნუ იტყობ. აჰა, რა საინტერესოა ვინ გაგაჩინა. ისიც გეყოფა, რომ კარგი ბიჭი ხარ.
 ბიძინა — აღარ წახვალ.
 იგნატიუსი — იმას ვამბობდი, შეშვედრების სასუენე მორჩა, დამთავრდა. რა მამასაც არ იპოვი სულერთია. სამეშვედრეო აღარაფერი აქვს.
 ბიძინა — ოგნატიუს, მომშორდი.
 იგნატიუსი — ხარკი გაიფიქვია, უფრო თავაზიანად მომპყარი. ცოტას დავედვ, კვლავ დაგბრუნდები.
 შერი — რატომ არ მუშაობთ, იგნატიუს?
 იგნატიუსი — რაზემ მომამტერივს, ნუთუ არაფერი მტყვობა?... მილონობით კილომტერი გავიარე ფუტით, პეტით. (წაუშვრებს) „სულ მაღლა, სულ მაღლა!“ მიწას გაქონდა ზანზარი. პეტითა და სოლიგით დავეშვი, ფრთაში მომარტყეს.
 ბიძინა — აჰა, კიდევ მანეთი.
 იგნატიუსი — კარგი ბიჭი ხარ, პარლონ. (წასვლა დააპირა)
 ბიძინა — (ირონიით) მუსიკ, იქნებ ფრანგებთან იბრძობდი?

იგნატიუსი — (გაქონება) ეჭვით კბილი შეგწინე ფრანგებს. რკინის ჯვარი მტრეკონამდელი რკინის, ჯიბით დავათრევ. (ქიბევი მოიწმინდა) წყნეშული კაცის სიმბოლო, შგონი დავაფირავე. ერთი სიტყვით, შენ სულიერი მამა ექნებ.
 ბიძინა — (მევახვდ) სულიერი... (წაუშვრებს, შერი მოძახლს ამოშობს) „უფალო შევეწყვალე!“
 იგნატიუსი — ნაღდი საქმეა. როცა ვფრინავდი ამისთანა გოგობს ჩემს დანახვანე ველომელოთი მოსდიოდათ. მე გადმოვფარე ღმერთები ციდან.
 ბიძინა — მერც, რაღა ღმერთი გწამს?
 იგნატიუსი — ბაჰუსი. ვაჰო კი არა — ნაღდი, დადუღებული, ერთს რომ თრად ამრავლებს. მიწიდან ამოშრდილი ღვთაური თესლი, მარტობასაც რომ გააპარებს. შენ რა გწამს, აჰა, უცებ მითხარი.
 ბიძინა — რას მახვლები...
 იგნატიუსი — გაქმედ?
 ბიძინა — ტეშმარტება.
 იგნატიუსი — მამა!
 ბიძინა — კო.
 იგნატიუსი — მამა იესო მაცხოვრასაც არ უბეზია, დედა იქამა. (იგნატიუსი გაღის, თავის სიმულრას ღიღინებს)
 ბიძინა — ლოთი მთელ ქვეყანას ხუმრობით უმზერა... აქედან ყველაფერი ჩანს, ქალი და კაცი, მთელი ქალაქი, ისიც გამოჩნდება. ჰა, შერი, შენ გეკითხები, დავგინა?
 შერი — ჩამთვლია.
 ბიძინა — როგორ ფიქრობ გამოჩნდება?
 შერი — დედაშენს კეთობ.
 ბიძინა — ჰეერეკრ შევეკითხე.
 შერი — როდის?
 ბიძინა — როცა ზაგმევი ვიყავი.
 შერი — რაო?
 ბიძინა — გამოჩნდებაო.
 შერი — მერც?
 ბიძინა — მერც თქვა, ომში დაიღუპათ.
 შერი — სხვა რაღა გინდა, დადუღუღა.
 ბიძინა — დედაშენს ერთხელაც არ დაუკენესია.
 შერი — ყველას არ შეუძლია კენესა.
 ბიძინა — გვარი ვიცოდევ, აღარაფერს არ ვინაღვლებდი.
 შერი — ასეა, ადამიანები იმას დაეძებენ რაც არ იციან.
 ბიძინა — ბოლოს იმასაც მტყვობ: — ასეთია წუთისოფელი.
 შერი — ტეხილი სიტყვა მოგეხატარა?
 ბიძინა — ძალიან. გინდა ვიყვეყო?
 შერი — არა.
 ბიძინა — ნუ მოიწვევ. შერი, მამარეში გამოჩნდება, რადგან ვარტობობ. ისიც არსებობს. მოვა! სულ მაღვ, სულ უზარაოდ გამოცხადდება.
 შერი — დედაშენს მე ჩავკითხავ, ზავაკედები.
 ბიძინა — დედაშენს მხრებზე მამაკაცის თავი აბია.
 შერი — ლამაზია, სათნო, იმის სახეზე ერთი ნაოტივი კი არ ზის.
 ბიძინა — მამაკაცის თავი აქვს.

მერი — როგორ მიწა დედას ვეძებდე.
 ბიძინა — დაუბახე გაეხარებო.
 მერი — შენც ხომ გიყვარს?..
 ბიძინა — (იფიქრებს) რა თქმა უნდა... თქვენ ყველანი უნდა მძულდეთ... რას ვამბობ. მერი, შენ ცხეა (მერის ხელი გაუწოდა, წაოაყენა. წელი სა-საყვარო მუსიკა. ისინი ცეცხავენ. სეველიანად, ცალ-ცალკე).
 იგნატიუსი — (გამოჩნდა. ენერგიულად) გე-ყოფათ!.. (მუსიკა შეწყდა) აი თურმე ვინ ყოფილ-ხარ, ლუდის გამწვანებულმა სულ ასობით ჩამიკაკლა. ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ქირურგი დედაშე-ნია?.. შენ გვიტყობი, საავადმყოფოს მთავარი ქი-რურგი დედაშენია?
 ბიძინა — დედაჩემია.
 იგნატიუსი — სწორედ იმის ნახვა მურს.
 ბიძინა — შენ იმასთან რა გესაქმება?
 იგნატიუსი — საავადმყოფოში ვშეშაობდი.
 ბიძინა — დედაჩემთან?
 იგნატიუსი — საავადმყოფოში თუ ვშეშაობდი, ცხადია დედაშენთან ვშეშაობდი.
 ბიძინა — გაყნობს.
 იგნატიუსი — რა კვიცი. იქნებ არც კი გაუგია ჩემი იქ ყოფნა. უფროსმა მწემ გამომავდო. ერთ კვი-რამი დაგამთავრე ჩემი კარიერა.
 ბიძინა — რა თანამდებობაზე მუშაობდი?
 იგნატიუსი — პროსექტორში, სანიტრად!
 ბიძინა — კაი თანამდებობა დაგიკარგავს.
 იგნატიუსი — ნუ იღრინები.
 ბიძინა — დათვრებოდი.
 იგნატიუსი — ბუნებრივია, კაცი მვედრებში ვმუშაობ. მიცვალელებს რა ენაღებებთ — გინდ დათვრე, გინდ იფიზელე. იმ სულელ მწემ ვერ შე-ვასმინე, კომპარტების არაფერი ვაგებო. პროსექ-ტორი ჩემთვის მისწრება იყო. მიცვალელების პატ-რონები ცოტა ფულსაც იძლევიან. ესეც არ იყოს, საერთო საბუნებრივად უნდა დაგვალო. ბოლო თავ-შესაფარი სხვას ვცვლას სჯობს, დიდებულად მოწყო-ბილია. ვთვალე შაბათ საღამოს ახალ შეწყობს იძ-ლევიან, შედ სუფთა ბალიშისპირი, ცოტაა ვანა?
 ბიძინა — ბალიშისპირი?
 იგნატიუსი — სუფთა ბალიშისპირი... შენ რა გესმის ბაღლო, როცა სუფთად სუნთქე, თავშიც სუფთა აზრები ტრიალებენ! შენ თუ დედაშენის შეი-ლი ხარ, და ის შენი დედა, უარს არ მეტყვი. პრო-სექტორში დამაბრუნებს.
 ბიძინა — მაინც დათვრები?
 იგნატიუსი — მიცვალელებს რა ენაღებებთ. ცნობილი ქირურგი ამას მიხედება (სხვა კილოზე) შენ იმის დროს დაბადებულხარ, ლუდის გამწვი-ველმა სულ ჩამიკაკლა. იმ დროსაც ლუდით ვატრობ-და. დედაშენი ფეხმძიმე ასობით. რა ბევრი გავაკი-ბანური, ახლა შე შემიძლია ყველაფერი დავწვრილე-ბით გიბობა. შენი შეკითხვები და ჩემი პასუხები, დაიწყე.
 ბიძინა — მამა ვინ არისო, რა თქვა?
 იგნატიუსი — შოლოდ ეს კი არ იყოს.
 ბიძინა — მთავარი არ სცოდნა. ენაგაქრული

ლაპარაკის ხალისს წაუხდენ.
 იგნატიუსი — მოიცა. სწორედ მთავარი იყოს. დედაშენი მოელ ქალაქში ყველაზე ჩინსული ქალი-შვილი იყო მამინ.
 ბიძინა — მერე, ეს არის მთავარი?
 იგნატიუსი — უფრო მეტიც, დედაშენს ვერა-ვინ გაუბედა კეთილა — ვინ იყო მამა იმ ბავშვისა. რომელიც დაბადებოდა.
 ბიძინა — ეს რა ღირსებაზე შეგანაწმებს?
 იგნატიუსი — ქალიშვილს როცა ვერ გაუბე-დავ შევიყიბო დანაშაული, მამასადავ დანაშაულად არც ჩათვალეს.
 ბიძინა — მერე?
 იგნატიუსი — როგორ თუ „მერე“? შენი გაჩე-ნისათვის რისი გასწია! (სხვა კილოზე) კვიშა შე-ეწლო ჩანასახშივე მოესმა და ლუდის გამწვივების ვაშში თავი არ ჩაეღო. ან იქნებ გგონია, ვერ მოი-სახზრებდა, შენთვის ვინმე გარდაცვლილის გვარი მო-ეცა. ბღარტი! წმინდა ადამიანებს ამდენ „მერე, მერე“ გაუბედავენ?
 ბიძინა — ლუდს გამყიდველს, იმ არაშადას ილიც გასართობი მოუტებნია.
 იგნატიუსი — იმიტომ რომ ტუტუცი ხარ. ყბე-დი! ენას კბილი დააჭირე.
 ბიძინა — არ გაგზუმდები!
 იგნატიუსი — შენ თუ არ გაჩუმდები, სხვებს რაღას ერჩი, ორმაგი ყბედობით თანაგვრებოხენ..
 ბიძინა — იგნატიუს, ლოო, უნაზაგ, ნეტავ შენ იყო მამაჩემი.
 იგნატიუსი — ახლა კი მყეოდები. მე, მამა-შენი!?, რა ძალიან გდომებია მისი სახელი, (იფ-ეთქებს) ეგე, გადაკარგული, ქვის თავიანთ მორც-ნებაგ, ვროხელ მაინც გამოჩნდი!.. (უსასოღო მი-ეგლო)
 ბიძინა — აა, იგნატიუს, კიდევ დაღვი. (ფულს აწვდის)
 იგნატიუსი — აა, აღარ მურს. სპირტის სუ-ნი მყეოდა და გადაკრა გადამავიწყდა, მამასადავ შენმა ღმერთმა აჯობა ჩემსას. კიდევ ცოტა და აღ-არც კი დაგლე. (მერის) „სულ მაღლა, სულ მაღ-ლა!..“
 მერი — (თავისთვის) დედა...
 ვალერია — (გამოჩნდა) რას გაჩუმდით. განაგ-რბეთ.
 იგნატიუსი — ქალბატონო, ყოველი სიზღერა თავიდან იწყება და ბოლოში მთორდება.
 ვალერია — კარგათ მღეროდით.
 იგნატიუსი — დიამ, რა შეიტლება ამასვე უკე-თესი, ქვეყანას ლოთის თაღლით უმუხრ და ერთი ორად გერქვება, შედ სიმღერასაც თუ დაუბატებ ერთი ოთხად გამრავლებს. სიმრავლეა თავი თავი. (ამომღერებს) „სულ მაღლა, სულ მაღლა!..“
 ვალერია — ფრინადიო?
 იგნატიუსი — ოფესოაც. (გაიჭიმება) 342 აგიომენარტის ყოფილი მფრინავი.
 ვალერია — 342?...
 იგნატიუსი — პროსექტორიდან გამომავალ-რას.



ვალერია — როდის ფრინავდით?
იგნატიუსი — რა კეთილი ხართ, ქირურგო, იმის მაგიერ, რომ შვითხოთ, „ნათუ ფრინავდით“, მკითხვებით — „როდის ფრინავდით“, საავადმყოფოს მხე ნამდვილი ბრყვია.

ვალერია — როდის ფრინავდით?
იგნატიუსი — რიცა ხმელეთი უკან იხევდა, ავიაცია წინ ისწრაფოდა. ფრთაში მოძარტევეს. გერმანელებს ქვაბში დავეშვი. თქვენმა მხემ გამომაგდო, ის ბრყივი ვერ დაეარწმუნე, რომ მიცვალბეულებს სპირტის სუნი ფეხებზედაც არა კაიდიათ.

ვალერია — 342 ესკადრილია, სად იყო განლაგებული?

იგნატიუსი — რაც იყო ის აღარ არის. ამ ბლარტებს გაფიცვით, ერთს საკუთარს და მეორეს შუქენილს, პაროვეტურაში აღმადგინეთ. საჩემოა. ვის შევაწუხებ?

ვალერია — 342... სანიტარული ბატალიონი რომელ მხარეს იყო განლაგებული?

იგნატიუსი — მდინარის პირას, მითს კორტობხზე, კარვებში.

ვალერია — იმ კარვებს ხუმრობით რადაც სახელი შეარქვებს...

იგნატიუსი — პო, ეს კი ნამდვილად მახსოვს — „ბემთაუ!“

ვალერია — დიახ, „ბემთაუ!“ თმის პირველ წელს სწორედ „ბემთაუზე“ მოვდი.

იგნატიუსი — კარგია რომ პირველ წელს, თმის მეორე წელს ევროპაში უხეტიალობდი. ერთი სიტყვით, საავადმყოფოს მხე ბრყვია.

ვალერია — თქვენი მფრინავი მეგობრები სად არიან?

იგნატიუსი — ისე მახსოვს ისინი, როგორც მე ვახსოვარ თქვენი საავადმყოფოს მხეს. იმას ჰგონია — მიცვალბეულებს სპირტის სუნი აწუხებთ.

ვალერია — ცოცხლები ვინ დარჩა?

იგნატიუსი — აბა რა მახსოვს. ზოგი ცოცხალა და ზოგი მკვდარი. მხოლოდ „ბემთაუ“ მახსოვს, რომელიდაც ენახე „ბემთაუ“ ხუთია.

ვალერია — სახეზე ეს იარები როდინდელია?

იგნატიუსი — ხომ მოგახსენეთ, გერმანელებს ქვაბში ჩავეშვი. ერთი სიტყვით, ყველგან ვიყავი. (ბიძინასა და მერის) რას დამუნჯადით? ჩემს ლაქლაქს შენი სლოკინი უკობს. (ვალერიას მიუბრუნდა) ყოველ მამათ სიღამის ბალირისპირებს ცვლიან, როგორც იქნა სული მოფოქვი.

ვალერია — სკამზე დაბრძანდით.

იგნატიუსი — ნეტა, ვინ თუახპორმა გამოიგონა სკამი. ადამიანი შუაზე გაწყვტილი ზის. (დაჯდა. ყველას სათითაოდ ათვალერემს)

ვალერია — თქვენ არ ხუმრობთ.

იგნატიუსი — აბა ეს რა ხუმრობაა, მცენერების საუკუნეში ადამიანი შუა გაწყვტილი ზის, სისხლის მიმოქცევა მოდუნდა. დაღბურის უშმაკმა, ჭვიმებმა მანც იფოქრეთ.

ვალერია — (ბიძინას და მერის) წადით, რას ელოდებით, არ გესმის?

მერია — ბიძინას ველოდები.

ვალერია — შენ რაღას ელოდები?

ბიძინა — მე... მამას ველოდები!

ვალერია — (მიუბლოვდა) მამას ელოდები?!

ბიძინა — ლენის ვეფრა, სულელს, მამას სახელზე კი რომ არ ვიცი.

ვალერია — შე ვარ მამაშენი.

ბიძინა — შენ დედა ხარ...

ვალერია — თრყე ერთად! მე, ერთმა ვითავე შენი გაზენა.

ბიძინა — (ურისამართო დაყინვით) იესო მაცხოვრის ბედი მეწვია, წმინდა მარიამმა მშვა!

ვალერია — (სიღა გააწნა ძლიერად) ოცი წლის შემდეგ მსაჯულებით წინ დამიდგვი!

ბიძინა — (მტყიცედ გამოცრა) მანც მოგებნინ!

ვალერია — სად?!

ბიძინა — ყველგან.

ვალერია — ვერსად მოიძეე, მოლოდინში მიზანს მორდები! არ არსებობს ის ქუჩა, სახლი, სივრცეში გაქრა, უკვალოდ გაქრა!... წადი აქედან, იქნებ გაგებსნას შუბლის ფარდები.

მერია — გვაპატიე, დედა. (ბიძინა და მერია მიდიან)

იგნატიუსი — ქირურგო, როგორც ჩანს ეს ყმაწვილი არც ისე ხუმრობით გაჩენილია.

ვალერია — რას ამბობით?

იგნატიუსი — ასეც ხომ ზღება, ისუმრებენ და ცაცი გაჩნდება.

ვალერია — პირიქითაც ზღება, ცეცხლში გაჩენილი ხუმრობით ცხოვრობს.

იგნატიუსი — ექვ, რამდენი თავსამტვრევია. (იყინის, ვალერია სკამზე დაჯდა, ზურგით ღობე მიაწვა, ცაში იშორება)

ვალერია — დაგითხოვეს, მფრინავი პაროვეტურაში.

იგნატიუსი — რატომ სვამო.

ვალერია — (მეწანიურად) რა უპასუხე?

იგნატიუსი — ხომ მოგახსენეთ, ერთი ორად ჩანს.

ვალერია — მფრინავები ზეცაში კვდებიან. (გამორკვია) პაროვეტურაში რამ მოციყვანა, ადამიანი?!

იგნატიუსი — ესეც მოგახსენეთ, პირდაპირ გერმანელების ქვაბში დავეშვი. ერთი სიტყვით, შივლ ქვეყანაზე ვინცთილავ. ყველა პროფესია მოვსინჯე, ბოლოს უწებელი ხელობა შევარბიე. მკვდრებთან...

ვალერია — სამოცის იქნებით?

იგნატიუსი — არა, მანამდე თითქმის თორმეტა წელი წინ მიდევს.

ვალერია — ბებერი მფრინავი მეგონეთ, ძველად აეროპლანს რომ აფრინდნენ, იმ დროინდელი.

იგნატიუსი — მთავარია როგორ იცხოვრებს. ზოვიერთმა მეოხხედი საუკუნეც იმყოფინა.

ვალერია — მათ უკვდავევს თავისი სახელი.

იგნატიუსი — რა საჭიროა ველოს შეტყობინო შენი არსებობა, მე თავმდაბალი ვარ.

ვალერია — ყოფილი შეჟარდენი...

იგნატიუსი — სისულელეა. არჩივები ცაში კვდებიან. რა უნდა გეოქვათ.

ვალერია — ვინ გიყვარს მეტო, უნდა მგეითხა, მაგრამ ღვიროს, მიპასუხებ.

იგნატიუსი — გულმისინი ხართ, ზუსტად ასეა.

ვალერია — ქალიშვილებს თუ უყვარდით?

იგნატიუსი — სიზმარ-ცხადში.

ვალერია — გულახდილი არ ხართ.

იგნატიუსი — მესხიერების ბრალა. არ მახსოვს. მაინც რატომ შეკითხვით?

ვალერია — ვისაც სიყვარული განუცდია, ისინი იშვიათად რომ გალოთდნენ. არ ლოთდებიან!

იგნატიუსი — (იფეთქება) ძალღმობილები, მაშინ გამოგეცლებიან ხელიდან როცა მარტო ხარ. როცა ადამიანს უნდა უშველო. (დამშვიდება) ერთ-სხელ ცოლად შევიერთო, შევიერთო როცა აღარაფერ მიყვარდა, ის კი დამიპასუხდა, ქალა უნდა გათხოვდე, ჰოდა, აღარაფერი გამოვიდა, ლოთობის მეტი არაფერი.

ვალერია — შენ ალბათ წესიერი ქალიშვილი არ შეგებდვარია... (ვალერია თავის უჩივრებში ჩაიჭურსა, ამჟამად ჩანს, რომ აღარ უსმენს)

იგნატიუსი — რამდენიც გნებათ, ყველა იმას ამბობდა წესიერი ვარო. თუმცა წესიერი ქალიშვილები ცოტას ლაპარაკობენ. ყველას რაღაც საკუთარი ზნე სჭირს... ერთი კი ნამდვილად მახსოვს. ხმა არ ამოუღია, არც ერთი სიტყვა. დილით, უთვინია, მტრის იბიექტზე მიფრინავდა. კნობს ხელი დავაპტირე. ვუმარებო დაეყარე. თავში ერთი აზრი მიტრიალებს — რატომ შემოვიწირა თავი. ჩემი სახელიც კი არ უკითხავს. თავისი რომ ვკითხე, მგონი გაცინა კიდეც — რა მიმწვლვობა აქვსო, თუ დაბრუნდები გაიგებ. სანამ ფრთაში არ მომარტყეს სულ ამას ვფიქრობდი — რატომ, რისთვის?... ეშვამა უწყისი. თუმცა რას ვამბობ. ქვეყანა იქყოფა, როცა ქვეყანა იქვეა მაშინ აღარაფერზე არ ფიქრობენ. იმ დამეს ის ალბათ პირუტყვი იყო.

ვალერია — პირუტყვი?

იგნატიუსი — კი, ალბათ პირუტყვი.

ვალერია — ადვილად გადარჩენილხართ.

იგნატიუსი — ღმერთო ჩემო, აღარ მისმენდიო.

ვალერია — რატომაც არა, ფრთაში მომარტყენ, მზეცი მგონა, პირუტყვი იყო... დღეს თქვამის ვაკეთებ, გულის არემი. ნერვებმა მიმტყუნეს, რატომ ვაგარტყი.

იგნატიუსი — ერთი სიტყვით, ჟანდაბას ჩემი თავი, ღლაპი ვთავი.

ვალერია — აკარბება.

იგნატიუსი — მოტორები იყინებიან როცა ისინი უმოძრაოდ დგას. დადლიოთ.

ვალერია — რა დავლიოთ?

იგნატიუსი — ბოდიშს ვიხდი. ეს ისე, ღლაპსუ — ლინგვა.

ვალერია — წინები გიყვართ? (კვლავ გამოუთხია)

იგნატიუსი — ერთი ჩვეულება მქონდა, წინში რასაც კი ვნახავდი ფანქრით ვახაზულს — წავიგებოდა. ასე ადვილია, ჭკვიანი კაცის წანაკითხი

წინი ფეხზე დამდგარსაც წავიგებდა. ისინი მთავარ აზრებს ფანქრით ხაზავენ.

ვალერია — რა წაგივითხეო, როგორ ხარ? იგნატიუსი — მწუხარებას ტყიფილი დაუწამტო, არ უნდა გავყენათ.

ვალერია — რა მწუხარებას?

იგნატიუსი — მას, მაშის სახელი უნდა. სი-მართლე...

ვალერია — თუ არ ვიცი.

იგნატიუსი — ვინ დაიჭურებს?

ვალერია — ანადენ.

იგნატიუსი — თქვენც ისე უთხარით, რომ და-არწმუნოთ.

ვალერია — ვერ მიხვდებო.

იგნატიუსი — ისე უთხარით, რომ მიხვდეს.

ვალერია — ამიტომ შეუბღს ჭკვიან კვლას ცხრა ფარდა ღია უნდა ქონდეს.

იგნატიუსი — მერე, თქვენ ამბობთ, შეუბღს ჭკვიან ყველა ცხრა ფარდა დახურული აქვს.

ვალერია — ასე რომ იყო სახლამდე გზას ვერ გაგანებდა, ვერც ისწავლიდა. იგი პატივმოყვარეობით გატყობილია.

იგნატიუსი — გაიფიქ, სულიერი სიმწიფე აკლია.

ვალერია — ღრო მოიტანს, ჯერ 20 წლის არც კია.

იგნატიუსი — მერე?

ვალერია — შენე მიხვდებო. აი ის, მესხე ფარდა რომ გაეხსნება.

იგნატიუსი — მაშასადამე არ ხუმრობთ, თქვენი პირმშოს მაშის სახელი არც თქვენ არ იცით?

ვალერია — კაი ხუმრობა. „ბუშთაუ“ კარავი ვახსოვთ? დატორილებს ვემერნალობდი. იქ ყოფნაში თითი მაინც არ გავიკარავთ?

იგნატიუსი — სამწუხაროდ — არა.

ვალერია — რომ გავეკარათ მე შეგობვდი... ერთხელ შუალამე ვაგასული იყო, როცა დასაძინებლად წავიდი, „ბუშთაუდან“ ნახევარ კილომეტრზე თეთრი სახლები ვახსოვთ?

იგნატიუსი — დაახლოებით.

ვალერია — სიზმარი ვნახე: ბრვე ვაყვამა, ახოვანმა, ჩალისფეროშიანმა ხელი მომხვია და თვითმფრინავით გამიტიკა. სადღაც უსასრულოდ მალდა, სხვა უცხო პლანეტას, რომ მივადრეოთ თვითმფრინავს ხანძარი გაუჩნდა. მთელი თვითმფრინავი შიგ გაეხვია. ამ შლარის გემრმა თავისი პარამუტო მოიხსნა, დღეებში სასწრაფოდ გადავიდა და ღიმილით მიმხრა, — ვალერია მშვედობით, კვლავ დღემო-წაზე წადი, იქ არის შენი სახლი და ბინა. ცეცხლ-მოღებულმა გააღამოქნა და თვითმფრინავიდან გად-მიმიშვა. ჩემი პარამუტო გაიშალა, მოფრინავდი ნე-ლა, აუჩქარებლად, ოქროსფერ პლანეტებს შორის მოფრინავდი. სათამაშოდ მთამაჭულ ბურთებივით ბრუნავდნენ მნათობები. ჩვენს მწკანე პლანეტას უ-ახლოვდებოდი. მე მთელი სამყარო ვნახე. — ვალე-რია, ხომ არ მოგწყინდა, შენ, ახლა შენ ხარ! — კვლავ მიმხმა ხმა. ცეცხლმოღებული თვითმფრინა-ვი გარშემო მივლიდა. — ვალერია, მშვიდად, გე-ნაცვალე! — ჩალისფეროშიანი ვაყვანი დაიფრულა.

პირდაღებულმა სილაგვარდემ შთანთქა. ზღაპრის გმირი დაიღუპა, რომლის მსგავსი სხვა დროს არსად მენახა. თვალსწრეობის გამქვავიდა, სანამ შუკს აუანთებდი, ნამდვილი სატრუო დავკარგე მეგონა, ის იყო ჩემი პირველი სატრუო.

სიზმარი ვის არ უნახავს, ვის არ უტრიაა სიზმარში. მაგრამ საოცრება მეორე დღეს იყო, როცა „ბეშთაუხ“ კარავში ნამდვილი, გაცოცხლებული ვაგყავი შემოვიდა, სიზმარში ნანახი, გაცხადებული, ავიოქვედნაყოფის მფრინავი, სიზმარში ნანახი ჩალისფერი თმით. იმ დროს შემოვიდა, როცა ჩვენ, სამედიცინო სამსახურის რამდენიმე ოფიცერი ზღოში მომვრო ტიქტი გვეჭირა და სამ მფრინავს გაფრენის წინ გზას ველოცავდით. — სამი კი არა, ოთხი მიფრინავო, ოთხი არწივო! — სიქვა მან. გულის სიღრმიდან გმინვა აღმოხდა, თავი ვერ შევიკავე. ვველამ მოხსნა. ეს ვაგყავი მომიხლოვდა და მიხიხრა, — ნუ გეშინია, გოგონა, ფენიქსი ვარ, სამჯერ რომ ფურცლად მაქციონ, სამჯერ მკვდრებით ავადგები. მე ცრემლი წამსკდა. კვლავ დამამშვიდა. შუბლზე მაკოცა. მე ვიყოფი, იგი ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა. სიზმარში ცხადად ვნახე, იგი დაიღუპებოდა, ო, რა ვაგყავი იყო. მე დავიჯერე — იგი დაიღუპებოდა. მე ვიყოფილებდი, ის არა. სიზმარი ვერ გაპაშვილდ დაიშინებდნენ. ყველას ჩავაშამებდი. ომი და სიზმარი ერთმანეთთან არაფერ კავშირშია.

ჩვენ კიდევ რამდენიმე ტიპი დაელოთ, თვლი ცრემლით მივსებოდა. ვუკურებდი ვაგყავს, რომელიც სადღაც გაფრინდებოდა, მისი ფურცლი ცის ლავარდში გაიფრინებოდა. ჩვენ მალე დავეშველეთ. იგი კარავთან გამოვიყავ. სამინელი დამე იყო. ბნელი ზღვაჟ კი არ ხუნთქავდა. ვარსკვლავებს სინათლე გამოლეოდა. ვაგყავის მთებს გადაღმა, ჩრდილოეთში, ვრცელ ქვეყანაზე სახაყლაოს ვრე ვენება ისმოდა მხოლოდ. მომგება წინა ლამის ზღაპრის გმირი, სულ ცოტადა დარჩა, ცისკრის ვარსკვლავზე გაფრინდებდა და დაფერულება კიდევ. დამთავრდება მისი სიყოფნე, ჩალისფერი თმაც დაიფურცლდება, ამ ქვეყანაზე მისი აღარაფერი ღარჩება. მე ვიცრემლებოდი. ვაგი მიხვდა. ხელისუფლით ცრემლი მომწმინდა — იგი არ უნდა მოკვდეს! — გადამწვრივტი მე მდენარე იყო დამე და ვღუპარებდით ჩვენ. მე რე აღარაფერი ისმოდა, მთელ ქვეყანაზე ჩვენი ხუნთქა ისმოდა, სხვა არაფერი.

იგნატოუსი — ო, დმერთო დადებულო, სახელი არ ჰკიხებო?

ვალერია — რად მინდოდა.

იგნატოუსი — მან არ კვიობათ?

ვალერია — არ ვუთხარი. ჩვენ სახელი არ გვპირდებოდა. ისიც გვეოფინდა, რომ აღამიანები

ვაყავით, ერთი მეორეს ცხოვრებას გააგრეველბდა. ჩვენ ზომ ვეღარასოდეს შევხვედებოდი. იგნატოუსი — რომ შეხვედრადი? ვალერია — მე წმამდა იგი მოკვებოდა, მინი მაგელო ამ ქვეყნად უნდა დარჩენილიყო. ეს იყო სულ.

იგნატოუსი — ქალბატონო, თქვენი შვილი ამას ვაიგებს. ამას ვინ ვერ მიხვდება. მიბრძანდით, უთხარით, რომ ქვეყანაზე მუდამ იყოცხლებენ. სიცოცხლე შედმოვი წრეა, ზეღამავალი წრე. წადით, გთავა, უთხარით, ამას ვინ ვერ მიხვდება, მთელი ქვეყნის სინდისი თქვენს მარჩევა. წაპარანდით გთავა. დამშვიდდით, სხვებიც დამშვიდდით. თქვენ თქერაცა გელოდებათ, მამასადამე, კვლავ სიყოფნე ველოდებათ... ო, დმერთო დადებულო, ნეტავ კი სადმე იყო, ამ ქალს დაუთმობდი ტახტსა და გვირგვინს. წაბრძანდით, გთავა.

ვალერია — (ადგება) ნახეამდის.

იგნატოუსი — მშვიდობით. უკავრავად, ქალბატონო, იმ უსახელო ვაგყავს გამომშვიდობებისას არაფერი ვისახსოვრათ? უბრალო...

ვალერია — რატომ მეკითხებით?

იგნატოუსი — მფრინავების წესია, საბრძოლო გაფრენის წინ მუდამ ცდლობენ მიწაზე რამიმ სასოვარი დასტოვონ.

ვალერია — მისახსოვრა...

იგნატოუსი — ვერცხლის ბეჭედი?

ვალერია — დის. ვერცხლის... (ხელი გაუშვინა, იგნატოუსმა ბეჭედს აღამაყვრად დახვდა, ვითომ სხვათამორის) თქვენ რა იყოთ?

იგნატოუსი — არაფერი. ერთი ბეჭედანი ბიჭი მახსოვს, ვაგყავობას უკვებდნენ, წარმოსადგევი იყო...

ვალერია — იქნებ ამ ბეჭდით აღადვიროთ იმის სახე ან სახელი.

იგნატოუსი — (კვლავ ირბად დახვდავს) არა...

ვალერია — მოდით ხვალ, პროტექტორაში დაგაბრუნებენ. მოიმიწიეთ, იქნებ ფული არა გავქვთ, მანამდე... (საფულე მომჩრია)

იგნატოუსი — ვმადლობთ, გთავა, მე არც მათხოვარი ვარ, არც ლოთი.

ვალერია — მაპატიეთ. ხვალ მიბრძანდით.

(ვალერია წავიდა)

იგნატოუსი — აღარასოდეს... (პიჯაკი ძელსკამზე დაავლო) 342-ე ესკადრილია სმენა!.. ლამიარკობს ჩალისფერთმანი სერგანტი გნატ იგნატოუსი, ბიჭებო, მე ცოცხალი ვარ, მე ფენიქსი ვარ! ჩემი თვითმფრინავი მწყოზრმია, მოტორი ჩავითი. მარტო არა ვარ!.. სტარტზე ვარ, მიფრინავ!.. (მთელი ხმით მღერის) „სულ მაღლა, სულ მაღლა!..“ (ჩაბნეღდა. სინათლის სხევი პიჯაკს დაეცა)



მიჩანს მიჩნაღი

გადმოიარეს მთა და ველი ქარებმა გრგვინვით,


დახვდათ თელეები, აშოლტილი ცამდე ალგები,
გზადაგზა ისევ გადაუდგა მუხუბის რიგი,
შედრკნენ ქარები —
ხეებს მალღებს
თავი ანებებს.

შეყოვნდნენ წამით,
მერე პირი იბრუნეს ზღვისკენ,
საასპარეზო,
სანაგარდო
უცებ მოძებნეს
და, ჰა, ბურქებზე გადარბიან ქარები ისე,—
როგორც ჩვენ ხშირად გადავდივართ
დაბალ
ღობეზე.

ღიღი ქაღალის ქუჩებში

თითქოს ესროლეს მალღ შენობებს
ელექტრონული ელვის ქამანდი...
და საოცარი ნაირფერობის
ტალღებს გემივით შეჰყვა ქალაქი.
ბორგავს,
გუგუნებს,
დიდი ქალაქი —
მარადისობის ღია კიშკარი,
და იწვის ჩემი წილი ჟანგბადი
თავბრუდამხვევი ქურჩის სიჩქარით.
ფერებს მეწამულთ
ხელით ვესები
და ლურჯ ტბორებში ვცურავ ყელამდი...
მგზავრებს, რომღებიც ერთი შეხედვით
არაფრით მგვანან, ვგავარ ყველაფრით.
ვივსები დიდი ღამის სიცილით,
რომღელიც სადმე კოცონს დამიგზნებს,
და, რა თქმა უნდა, აღარ ვიციღებ

ფიქრებს, რომლებიც სულს აფაქიზებს.
 არც მოჩვენება
 და არც მირაჟი,
 არამედ როგორც გაციკროვნება,
 გადის სურვილთა ფერად გვირაბში
 ღერძი, რომელსაც ჰქვია ცხოვრება.
 თეთრი თაღების მიპყრობს ცთუნება
 და შემდეგ, როგორც წესი, ყოველი
 საპირისპირო მიმართულება
 თავს იყრის ერთგან დაუყოვნებლივ. —
 ვილტვი იქითკენ ახლა თვითონაც
 და ძნელ მგზავრობას უფრო ვართულებ,
 და უხილავი ქსელით თითქოსდა
 თხემით ტერფამდე ვარ დახლართული...
 ბორგავს,
 გუგუნებს
 დიდი ქალაქი —
 მარადისობის ღია ჭიშკარი,
 და იწვის ჩემი წილი ჟანგბადი
 თავბრუდამხვევი ქუჩის სინჯარით.
 მე ეს სინჯარე მახლავს მგზურად
 სულში რეკავენ ზარები გზნებით...
 და მე — სამყაროს ერთ მოლგკულას —
 ნება მეძლევა განვაგრძო გზები.



ახალი პარსკვლავი

მოთხრობა

I

ამ დილითაც ჩვეულებრივ შეიდ საათზე მეღვიძება, მაგრამ ადგომას სრულებითაც არ ვჩქარობ. თერთმეტი წლის განმავლობაში პირველად, რომ ამ დროს ასე უზრუნველად ვწევარ ლოგინში. წინათ, არდადეგების დროსაც კი, გამეღვიძებოდა თუ არა, ფეხზე უნდა წამოვმხტარიყავი, სწრაფად უნდა მევარჯიშა, ცივი შხაპი მიმელო, მესაუზნა, ამხანაგებისათვის დამერეკა და მათთან გავცეულოყავი ან ისინი მოდიოდნენ ჩემთან.

ახლა სხვა გუნებაზე ვარ. ხელები თავქვეშ მაქვს ამოღებული და ღია ფანჯრიდან არხეინად გავყურებ მზით განათებულ ქალაქს.

მზით გაბრწყინებულ შენობათა სახურავებს იქით ქალაქის შუაგული მოჩანს, აქეთ — ღრმა-ღეღე, დიდებუ და ღიღის მასივის მაღალი, ფერადი კორპუსები. ჩვენი სახლის უკან კი საბურთალოა.

ისე მეჩვენება, თითქმის წინათ არ მქონდა ამის საშუალება, დღეს კი სრული უფლება მაქვს, შემიძლია გინდაც შუადღემდე ვიწვე და ვიოცნებო, ვიფიქრო ყველაფერზე, რაც ამ თერთმეტი წლის განმავლობაში მინახავს, მიგრძენია და განმიცდია. ხელსაც არავინ შემომლის.

ჩვენს ბინაში ყველაზე ადრე დედა დგება საუზნის მოსამზადებლად. შეიძლება, ჩვეულებისამებრ ერთხელ კი გამომძახოს, აღუქი, გურამ, დროაო, მაგრამ მოაგონდება, რომ არსად არ

მეჩქარება და მომეშვება. მერე ჩემო და-თინიკო გამოანათებს თავის ოთახიდან. ჩემსა და მის ოთახს ერთი კედელი ჰყოფს. ხშირად საიდუმლო ნიშნებით ველაპარაკებით ერთმანეთს. თუ თინიკო ორჯერ დააკაკუნებს კედელზე, ეს ნიშნავს:

- გურამ!
- მე სამჯერ მივაკაკუნებ.
- რა გინდა?
- ადუქი.
- ვღვებო.

ლამაზი დაიკო მყავს, მზიარული და კეთილი. ვინ იცის, მამას რომ ნება დაერთო მისთვის და თეატრალურ ინსტიტუტში ესწავლა, ახლა ცნობილი კინო-ვარსკვლავი ყოფილიყო. თუმცა რა თინიკომ შარშან წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ახლა ბავშვთა პოლიკლინიკაში მუშაობს პედიატრად. კმაყოფილია, თავის საქმეს აკეთებს. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ მოკლე ხანში უნდა გათხოვდეს — ბედნიერიცაა. მე კი, ყოველთვის როცა მის გათხოვებაზე ლაპარაკი ჩამოვარდება, გული მწყდება. ალბათ ყველა ძმა ჩემსავითაა.

თინიკოს მერე მამას ეღვიძება, წინასწარ წარმოდგენილი მაქვს მისი შეყრილი წარბები, უღვაშებმოპარსული ოდნავ მოგრძო სახეე სახე. ვაბრაზება რომ სულ არ უხდება. მიუხედავად ამისა, გივი ხუბულურზე მაინც სასტიკად იქნება გააფერებული წუხანდელი ღრინცელის გამო. დარწმუნებული ვარ ადგომისთანავე დაიწყებს ბუზღუნს და ასევე, აბუზღუნებული გასწევს საპროექ-

ტო ინსტიტუტისაკენ, სადაც აქამად მუშაობს. მართალიც იქნება!

ეს გვიჩვენებდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია. ის და დედამისი ამ რამდენიმე თვის წინათ გადმოვიდნენ ჩვენს მეზობლად ერთთათხიან ბინაში. დედამისი შევებულეებით სადაც გაემგზავრა და გვიმაცა აიშვა. გუშინ მორეკა ამხანაგები და შეუღამემდე ისეთი ამბავი ჰქონდათ! — ბოლომდე ხმაწყული მავნიტოფონი, სკამების ხრიფინი, სიმღერა — ყურთასმენა აღარ იყო. ბოლოს მოთმინებიდან გამოსული სახლმმართველი — ვარლამ ზარიძე აივანზე გამოვიდა და ისე დაუცაცხანა, ხმა ჩაიწყვიტეს. რომელიღაცამ, გვიან ამხანაგთაგანმა, ბოდიშიც კი მოხიხა. ბოდიში არ შევლის საქმესო, თქვა ვარლამ ბიძიამ და მტკარით გაბრუნდა: მეორედ არ გამომიყვანოთო!... მამამ ბუზღუნით იცვალა გვერდი. ცოტა ხნის მერე თინიკომ მომიკაუნა, ალბათ, თუ გზინავსო. მე ხმა არ ვავეცი. მერე სიჩუმე ჩამოვარდა...

გუშინ ოცდახუთი მაისი იყო და სკოლიდან დაგვიბოძვეს. მართალია, ექვსივე გაცვეთილზე კლასში სხვადასხვა მასწავლებელი შემოვიდა, მაგრამ ერთი რამ კი ყველას საერთო ჰქონდა: საუბრის მეგობრული კილო. სასიამოვნოა არა? — სულ რაღაც ერთი, ორი დღის წინ მრისხანე, თუმცა კეთილი, ჩვენს გასაკიცხად და ზომიერი ქებისათვის მუდამ მზად მყოფი მასწავლებლები მეგობრულად რომ გველაპარაკებოდნენ, როგორც ტოლი — ტოლს. არასოდეს ასე მშვიდად არ უსაუბრიათ, არასოდეს არ ჰქონიათ ასე კმაყოფილებით სავსე მოციმციმე თვალები, რომლებიც გვეუბნებოდნენ:

— აი, ჩვენ, რაც ვიცოდით, ყველაფერი მოგვცით, აწი თქვენზეაო!

ეს კი ჰგავდა მხიარულ ნიღაბებზე დაფარულ გულდასაწყვეტ გამოთხოვებას და მე ვიგრძენი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ერთ კვირაში გამოცდები დაიწყება, ივნისის ბოლოს კი, სიმწიფის

ატესტატების მისაღებად მივალთ და მორჩა. მშვიდობით სკოლაში მშვიდობით დიდად პატივცემულ მასწავლებლებო! გული შემეკუმშა. დამრიგებელს ვავხედე. არჩილ მენაბდე იდგა კათედრასთან და ღიმილით შემოგვეცქეროდა. რატომღაც გალაკტიონის სიტყვები მომავლდა: და განშორება მწევას და მაწვალებს...

— ბანკეტი როდის მოეწყობა! — წამოიძახა ამ დროს ალექომ.

ამხანაგებს გაეცინათ, მერხები აახმაურეს.

— ბანკეტი გამოცდების შემდეგ!

— რა თქმა უნდა, გამოცდების შემდეგ!

მერე ზარიც დაირეკა...

ეტყობა დედა ადგა. სამზარეულოს კარი ღიაღებდა. წყლის ჩხრიალი და გუზის ქურაზე ჩაიდანის დადგმის ხმა მესმის. მერე დედა აივანზე გადის. ეზოში ვიღაცას ელაპარაკება, ხმაზე ვცნობ, დეიდა დარეჯანია — მაიას დედა. დღესაც დილის ცვლაში მუშაობს, ესეც არ იყოს, აბრეშუმის ფაბრიკაში სართავი საამქროს უფროსია და ყოველთვის აღრიანად მიდის ხოლმე სამსახურში. ბუნდოვნად მესმის, დეიდა დარეჯანმა რაღაც ქეები ახსენა. მერე დედა ისევ სამზარეულოში ბრუნდება. დეიდა დარეჯანი კი მაიას ეძახის. ბოლო ხანებში ძალზე გულმავიწყი ვახდა. ხშირად, სახლიდან რომ გამოვა, მერე ვახსენებდა, რაღაც საქმე ჰქონდა, რაღაც უნდა დაეხარებინა. მაია ახლა ალბათ ფანჯარასთან დგას ან აივნის მოაჯირს ეყრდნობა და უსმენს დედამისს. ვიცი, რომ ქერა თმის ერთი კულული შუბლზე ექნება ჩამოწეული, წარბები ოდნავ დატეხილი. უკანასკნელ ორ წელიწადში შინც ძალზე დასერიოზულდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სასახლეში ცვეკვს თავი დაანება და ცურვაზე დაიწყო სიარული. პირველივე დღეს, აუზთან რომ გამოჩნდა, ბიჭებმა თვალეები დააჰყვიტეს. ერთ ახმახს კი, წრიალი აუტყდა: რა ჰქვია? რომელი სკოლელია? — აწყლებოდა აქეთ-იქით. მეცა-

დინეობის დამთავრების მერე გამოჰყვა კიდევ. მაშინვე მივეუბლოვდი მათ, როცა ახმახმა მორიდებულად შესთავაზა მაიას, თუ შეიძლება გავაცილებთო, მაიას მისთვის არც შეუხედავს, ვითომ, რა თქვა, არც ეს გაუგონია. გამიღიმა და მითხრა:

— გურამ, მგონი შენი ჩემოდანი იხსნება.

— არა, — მივეუბე, — საკეტი თავიდანვე ასე ამოწეული იყო.

— ააა, — ჩაილაპარაკა ახმახმა და თავი ისე დაიქნია, თითქოს რალაცას მიხვდაო.

მას მერე ახმახი აღარ გავგვარებია.

— კარგი, დედა, — მესმის მაიას ხმა. დეიდა დარეჯანი მიდის. მაია ალბათ თვალს აყოლებს, მერე ღრმად ამოიხსუნტავს და ხოთახში შებრუნდება.

ნეტა აქეთ თუ გამოიხედა? — ვფიქრობ და გული მეკუმშება. უნდა მოესულიყავი გუშინ, ალექსთან და მეგისტან ერთად რომ მიდიოდა და გამოვლაპარაკებოდი. სულ ხუთი ნაბიჯი იყო საჭირო, სულ ერთი სიტყვის თქმა — მაია... და ყველაფერი ძველებურად იქნებოდა. მაგრამ ვერ მოვახერხე. ასე ბითური როგორ უნდა იყო კაცი, გოგოსთან შერიგება გინდოდეს და ენაც ვერ დასძრა. მერე და რატომ? სულ ამ ოხერი თავმოყვარეობის გამო. ფუი!

ნეტა იმ დღეს შეჯიბრზე სულ არ წავსულიყავი.

ჩვენი სკოლის ნაკრები საქალაქო პირველობაზე გამოდიოდა. თამაშები კაროვის პარკში ტარდებოდა. მე, მაია და ალექო აღმოსავლეთის ტრიბუნაზე ვისხედით.

— ზომ კარვად თამაშობს ოთარი? — მითხრა მაიამ.

— ისე რა.

ოთარი ჩვენს სკოლაში სწავლობს, მეთუ კლასშია. შარშანს მერე, რაც ქალაქის ნაკრებში შეიყვანეს, თვითდაჯერებული კაცის ნაბიჯებით სიარული დაიწყო, ვითომ და მეორე ჩემბერლენი ვარო. არ მომწონს ასეთი ბიჭები და რა ვქნა, საშინლად ვლიზიანდები...

— რას ამბობ, გურამ, ეს უკვე შეოცედ ჩააგდო!

— მაღალია და ჩააგდებს! — ჩაიქნება!

— უცნაური ბიჭი ხარ, გურამ! გავბრაზდი. კალათბურთის რა ესმის რომ მეკამათება მეთქი.

ესეც ოცდამეერთე! — წამოიძახა მაიამ.

— დიდი ამბავი! ყირაფივითაა და სირცხვილიც კია, რომ... ერთი ჩვენი სიმაღლე იყოს და მაშინ ნახავ, თუ ასე პანტაპუნტით ჩაყრიდა! — ვთქვი და ალექოს გადავხედე. ალექოს კედლის გაზეთისათვის წერილი უნდა დაეწერა და თამაშის ყურებით იყო გართული.

— არ გრცხვენია, გურამ! — მითხრა მაიამ.

— რისი?

— ეს ხომ შურიანობაა!

— რაო?

— შურიანობაა-მეთქი! — გაიმეორა მაიამ. საშინლად მეწყინა. რამდენიმე კაცმა, ჩვენს წინ რომ ისხდნენ, ისე ამოხედეს, თითქოს მამოწმებდნენ, მართლა ასეთი ვიყავი, თუ არა და ამან მთლად ამრია. გაცეცხლებული ფეხზე წამოვარდი.

— იცი, რა გითხრა?

— კარგით ახლა, არ იჩხუბოთ! — იცინოდა ალექო და ხალათის სახელოში მექაჩებოდა, დაჭეკი ხალხს ეფარებო.

ჩვენ მაინც ვიჩხუბეთ. ავდექი და გასასვლელისაკენ გავემართე.

გაიარ-გამოიარე და მერე შემოდიო, დამადევნა ალექომ.

— ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი! — და სტადიონიდან უკან მოუხედავად გამოვედი...

კარი იღება და ოთახში თინიკო შემოიხედავს. ხელებით თმას ისწორებს, ამოქნარებს.

— რა მოხდა! — ისევე ამოქნარებს და იზმორება, — ვის უყვიროდი?

— არავის, — მეც ვიზმორები, ვითომ ახლა გამოვიღვიძე.

— დაგესიზმრა რამე?

— ჰო, ჰო დამესიზმრა, ვითომ ქართული წერის გამოცდაზე ჩავიჭერი.

— კარგია! ხუთიანზე ჩააბარებ! — თინიკო თვალებს ისრებს და კარს გაიხურავს. მერე ოთახიდან დედას სიცილი მესმის, რაღაცას ეუბნება მამას.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! — ამბობს მამა და საწოლს აკრაპუნებს, — სად გადაიკარგა ეს ოხერი!

— საწოლის ქვეშ იქნება. ნახე?

— ჰო, ვნახე, — მამა ფლოსტების ფლარტუნით დერეფანში გადის.

„დიწყო“ — ვფიქრობ მე და მეცი-ნება. ბოლო დღეებში მამა ძალზე ნერვიული გახდა. სასტუმროს პროექტის, რომლის ერთ-ერთი ავტორი თვითონ არის, საფუძვლიანი შეცვლა მოსთხოვეს და მთელი დღე გაწამაწიანია. შინ დაღლილი ბრუნდება. დასაძინებლად ადრე წეება. ოთახში ფეხის წვერებზე დაედივართ. თუ გაეღვიძა, მერე დიდხანს არ დაეძინება — ვფრთხილობთ. წუხელ კი ალბათ, მთელი დამე გაათენა. გუშინ ამბობდა, მე მგონი ორ-სამ დღეში ყველაფერს მოვრჩებითო. ნეტა მართლაც დაამთავრონ! ერთი თვეა ჩვენს ბინაში თერამეტი საათის შემდეგ „საკომენდანტო“ საათები ცხადდება. ეს თითქოს ბუნებრივიცაა, მაგრამ ზოგჯერ მოთმინების დამკარგველიც. საშინლად ებრაზდები ხოლმე. რატომ ცდილობს მამა ყველაფერი თავის ნება-სურვილს დაუმორჩილოს? აქ ხომ იგი მარტო არ არის? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დღეს თინიკოს წინაშე მაინც არ იყო მართალი... თორმეტ საათზე დაბრუნდა კინოდან. ალბათ დაეიწყება და ზარი ზედინედ ხმამაღლა ააწყრილა. ვეღარ მოვასწარი ვერც მე, ვერც დედამ, კარი მამამ გაუღო. მამას ხმა არ ამოუღია, მაგრამ კარი ისე მიაჯახუნა, ეტყობა ვაბრაზდა. ვერ ვიტან ასეთ რაღაცას. ბოლოს და ბოლოს ამ პროექტს თან ხომ არ ვადაყვევებით! ხშირად ვფიქრობ ხოლმე: ვინც იმ სასტუმროში პირველ დამეს გაათევეს ეს ამბავი რომ გააგებინა ტყბილად თუ დაეძინება-მეთქი!

სააბაზანოდან წყლის ძლიერი ჩხრიალის ხმა მესმის. წელან ყური ნოვკარი მამას ნათქვამს, თვალები მეწვესო, და

ახლა „გამოსაფხიზლებლად“ ცივ შხამს ლებულობს.

მე მავთულებზე შემომხსნდარ შერცხლებს გავყურებ და ფიქრს განევადრძობ:

ისე ყველაფერი ჩემი ბრალი კია! არ უნდა ნეთქვა ისეთი რამ, მაგრამ ვეღარ მოვიტომინე, ყელში ამოვივიდა იმ ოთარის ტყლარქვა... თუმცა, მერე ხომ შეიძლებოდა, რომ ასე არ გამეზვიადებინა მაიას ნათქვამი, თავი უქიდურესად შეურაცხყოფილად არ მეგრძნო, მეორე დღეს კი, ჩვეულებრივად ტროლინებუსში ნისთვის ბილეთი ამეღო და თუნდაც ერთი სიტყვა მეთქვა, დარწმუნებული ვარ ასეც არ მოხდებოდა. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება მერე მეგი სარჩველამესავით მთლად თავს გასულიყო, ჭკუის სწავლება და მორალის კითხვა დაეწყო. ალექო საერთოდ არაფერს მიმაღავს, თუმცა, ინტიმურ საკითხზე ლაბარაკს ყოველთვის თავს არიდებს. ეშმაკმა იცის, ალბათ უყვარს ლოყაწითელა მეგი. ჰო, ალბათ უყვარს და ამიტომაც უთმობს ყველაფერს...

გუშინ როგორ გამოვმეტერდი! იმანზე უკეთეს მომენტს ვერც ვინატრებ. სწავლა დამთავრდა, ყველანი კარგ გუნებაზე ვიყავით... მაგრამ რა მეთქვა?

გუშინ რომ ნავსი გამეტეხა და მივსულიყავი ამას არაფერი აჯობებდა. კი მაგრამ თვითონ? თვითონ რატომ არ მაგრძნობინა, რომ... ალბათ ისე გავიქებული ვჩანდი, ვეღარ გაბედა... რა კარგი იქნებოდა, მამამისი დეკემბერში კი არა, გუშინ რომ მომკვდარიყო! — ვინატრობ ხმამაღლა, — მაშინ ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა. მწუხარების მონაწილე ვარ-მეთქი, ვეტყობდი და ხელს ჩამოვართმევდი... უცებ გული მეკუმშება, ელგუჯა ბიძიას სიკვდილის გამოყენება რომ ვიფიქრე, და ელდნაცემი საწოლიდან წამოგვარდები. ედგავარ ფარდაზე და ყურს ვუგდებ, ვინმემ ხომ არ გაიგონა ეს სისულელემეთქი.

თინიკო ტელეფონით ვიღაცას ელა-

პარაკება. მერე ყურმილს დებს და მე-
ძახის:

— გურამ, მათხოვე რა შენი სვანური
ჭული! — ვგრძნობ, რომ თინიკო კარს
უახლოვდება და სწრაფად ვწვები.

— მათხოვებ, გურამ? — იგი ოთახ-
ში შემოდის, მილიმის და თვალეზი ვედ-
რებით ავსებია. ჩითის ლილუბიანი კაბა
ჩაუცვამს, თმაც დაუვარცხნია, მზადა
სამსახურში წასასვლელად.

— რად ვინდა? — ვეკითხები.

— რად უნდა მინდოდეს, დავიხურავ!
ნოდარის ამხანაგის მანქანით ვარძიაში
მივდივართ და დავიხურავ.

— მართლა?

— დიდი ამბავი, თუ მათხოვე!

— როდის მიღიხართ?

— ზეგ, ე. ი. შაბათს, — თინიკო კა-
რის ჩარჩოზე მიმაგრებულ საკიდიდან
ჭულს ჩამოიღებს და იხურავს.

— ხომ მიხდება?

— გხატავს, დაღეშქელიანის ასულს
გავხარ.

თინიკო სარკეში იყურება და ამ-
ბობს:

— ნახე, როგორ მიხდება! ნოდარს
თან აპარატიც მოაქვს, სურათებს გა-
დავიღებთ.

ნოდარი ჩემი დის საქმროა. ფსიქო-
ნევროლოგიის კათედრაზე მუშაობს. სე-
რიოზული და ემოციური ახალგაზრ-
დაა. ეს მამას სიტყვებია. ძალზე უყ-
ვარს მოგზაურობა და ასეთი რაღაცე-
ები. შაბათი და კვირა ისე არ ჩაივლის,
სადმე არ წავიდნენ. წინა შაბათს გურ-
ჯანში იყვნენ, მეც თან ვახლდი. იქვე
მთაში, გურჯაანთან ახლოს ორგუმბა-
თიანი ეკლესია ვნახეთ. მეთორმეტე სა-
უკუნის ძეგლია, მაგრამ ღირსშესანიშ-
ნავი მაინც მისი ორგუმბათიანობაა.
დღეს თურმე მთელ მსოფლიოში მარ-
ტო ორი ეკლესია ყოფილა ასეთი. ერთ-
თი რომში მეროე კი ეს. არ ვიცი, რამ-
დენად მართალია, გურჯაანელები კი
ასე ამბობენ...

— მე თუ წამიყვანთ? — ვეკითხები
მერე.

— ადგილი რომ არ გექნება? ხუთნი

მივდივართ. ესეც არ იყოს შენ ხომ გა-
მოცდები გაქვს. მათხოვე რა გურჯიკო!

— ტყუილად მეგვეწვები, ხომ იცი,
რომ ძლივს შევეჩვიე.

— რანაირი ხარ იცი?

— ვიცი, აი, ასეთი. — შუბლს ვიკ-
რაე, მერე მეცინება.

— რა მოხდება, ერთი დღით რომ
მათხოვო?

— ნუ გიყვარს გადაკიდება!

— კარგი, ბატონო, — თინიკო ჭულს
მაგიდაზე დებს და ცხვირჩამოყვებული
ოთახიდან გადის.

— რა მოგივიდა, შაბათამდე ჯერ კი-
დეც დიდი დროა, ვნახოთ! — ვთქვი მე,
მაგრამ ალბათ ვერ გაიგონა. ცოტა ხნის
მერე გარეთ გასასვლელი კარი იღება
და თინიკო და მამაჩემი სამსახურში
მიდიან. დედა სამზარეულოში ფუსფუ-
სებს. იგი საავადმყოფოში მუშაობს და
ყოველ მეოთხე დღეს გადის სამორი-
გეოდ...

ფირფიტების მალაზიიდან ფეხბურ-
თის მარში მესმის. ეს ერთი ხანია სათ-
ვალეზიანი სექციონერი, როგორც კი
მალაზიას გააღებს, პირველად „ოქროს
ბიჭებს“ უკრავს ხოლმე. ეს ფირფიტა
მეცა მაქვს, მაიამ მაჩუქა თხუთმეტი აპ-
რილს, დაბადების დღეს.

გასული წლის ოქტომბერი იყო. ქარ-
თულ ლიტერატურაში ტაბიძის შემოქ-
მედებს გავდიოდით. მასალა თავიდან-
ბოლომდე გავიარეთ და იმ დღეს შე-
მაჯამებელი გამოკითხვები გვეკონდა.
ფიზკულტურის გაკვეთილი ცდებოდა-
და ორი საათი შესვენების გარეშე ვიჯე-
ქით კლასში. არჩილ მენაბდე, ჩვენი
მოხუცი მასწავლებელი, თავს ცოტათი
შეუძლოდ გრძნობდა. შუბლშეკმუნენი-
ლი, ბაგემოკუმული იჭდა კათედრაზე.
მაინც ყურადღებით გვისმენდა. ყველა-
ზე ბოლოს მაია გამოიძახა. მაიამ ისე-
თი სასიამოვნო ლაპარაკი იცის, ისეთი
შთაბეჭდავი, ემოციური ხმა აქვს, შე-
უძლებელია რომ არ მოუსმინო. იმ
დღეს მაინც შეუდარებელი იყო. ლექ-
სები, რა თქმა უნდა, ზეპირად იცოდა,
თან ისე შთამაგონებლად, დინჯად და

განცდით კითხულობდა, მხატვრული კითხვის ოსტატი გეგონებოდათ. მასწავლებელი ფეხზე იდგა, თვალები უციმციმებდა, ალბათ ტკივილიც მიუყუჩდა.

დაამთავრა მიაიმ და მენაბდეს შეხედა. მასწავლებელი მიუახლოვდა, თმზე ხელი გადაუსვა სიყვარულით და შუბლზე აკოცა.

— გმადლობთ, მიაია, იმ სიამოვნებისათვის, რაც ახლა განმაცდევინე. ეს მე არასოდეს დამავიწყდება, — თქვა მენაბდემ და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— აი, ყველაზე კარგი ქალიშვილი დღეს კლასში. გმადლობთ, მიაია!

და ჩვენ ტაში დავუქართო...

— ყველაზე კარგი ქალიშვილი! — ჩურჩულით ვამბობ და მედიმება. ნეტა ახლა რას აკეთებს? მოდი, მივალ და რაიმეს ვთხოვ! ვთქვათ, რომელიმე საწერ თემას. მაგრამ მიაიმ იცის, რომ მე ყველა თემა მაქვს, არცერთი არ მაკლია. ახალი მოთხრობა წამაკითხე-მეთქი რომ ვუთხრა? ალექო მიაიმობდა იმ დღეს, „ჭრელი ბურთები“ ჰქვია თურმე.

მშვენიერ მოთხრობებს სწერს მიაია. ეს რა თქმა უნდა, თვითონაც იცის და კიდევაც აბირებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შესვლას. ამ უკანასკნელი მოთხრობის გარდა, ყველა წაკითხული მაქვს, მოდი მივალ ა? მაშინვე მიხვდება, რომ შესარიგებლად მივედი. დიდი ამბავი ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასე გაფუყულები რატომ უნდა წავიდეთ სკოლიდან?

ისევე შეკუმშება გული, ცუდ გუნებაზე ვდგები.

ტელეფონის ყრუ, წყვეტილი წარუხნის ხმა მესმის. ეტყობა გივი ხუბულურს გაღვიძებია და ნომრებს კრეფს. ჩვენ და იმას ტელეფონის ერთი და იგივე ნომერი გვაქვს. ჩვენი სახლი რომ ააშენეს ეს მაშინდელი ამბავია: მეზობლებს ზიარი ტელეფონები დაუდგეს. ამ ერთი თვის წინად ტელეფონების სამმართველოში ცალკე ნომრის მოცემას შეგვპირდნენ, მაგრამ ჯერაც არავინ მოსულა. გუშინ მამა ჯავრობდა: თავზე თუ არ დაადექი არაფერი გამო-

ვა, ხვალ აუცილებლად უნდა მივიდე და ერთი ვნახოთ, რას იტყვიან!

— გურამ, მე ბაზარში მივდივარ და შენც მიმავალს დაელოდები, — გავხედე მისი და დავდი გამოსახარმად, ყურადღება მიაქციე, წყალი არ გადმოვიდეს.

— კარგი დედა!

— მე მალე დავბრუნდები.

— ჰო...

ვდგები, ვიცვამ, პირს ვიბან და აივანზე გამოვდივარ. დედა უკვე ეზოშია. აჩქარებული ნაბიჯებით მიდის ქუჩაში გასასვლელისაკენ, თან ქოლგას შლის ბოლო ხანებში საკმაოდ გასუქდა დედა. აღრე სულ გამხდარი მახსოვდა. შავჯერმანი ქალია და სიგამხდრე არ უხდებოდა. ეს ორი წელია კი, საკმაოდ სასცედ გამოიყურება. ძალიან უხდება საფეთქლებთან შეჭალარავებული თმა. ალბათ ამის გამოც არ იღებავს. რამდენს არ ეხვეწება თინიკო შეიღებო, მაგრამ არაფერი გამოსდის. „კინოში ან საღმე რომ წავალთ, ხალხს მეგობრები ვეგონებთო“, — ეუბნება იგი. დედა კი იცინის და თავს აქნევს: ასე უკეთეს მეგობრობას გაგწევო, და მამას გადახედავს. მამას ვითომ არაფერი არ გაუგონია, ჩაახველებს, კარადის წინ დგას ან იქვე სავარძელში ზის და წიგნს ფურცლავს.

ოთახის ფანჯარას გივი ხუბულური მოადგა, თმას ივარცხნიდა და აწითლებულ თვალებს ახამხამებდა. გივი მალაღლი ბიჭია, ჩემზე ოდნავ მაღალი. სიარულის დროს ხან ერთ მხარს ათამაშებს, ხან მეორეს, კისერს კი, უკან სწევს — უფრო მსხვილი რომ გამოუჩნდეს. ზოგჯერ სასაცილოდ მეჩვენება ხოლმე ასეთი ხალხი — ბრეჭები! ჩვენს პარალელურ კლასშიაც არის ერთი ბრეჭია — ბონდო ბურღული. ამასწინათ ისე მაგრად მიადეს, არა მგონია კიდევ დაიწყოს ქაჩვა, ათი დღე ორივე თვალი ჩაშავებული ჰქონდა.

— სად იყავი წუხელ? — მეკითხება გივი და სავარცხელს ფანჯრის რაფაზე ადებს, — რა დაჯორტყით ბიჭო!

— მაგრად იჭიფეთ არა?

— უჰ! გიკითხე და შინ არ არისო, მიიხრეს.

— კინოში ვიყავი.

— სამ-სამი ბოთლი დავლიეთ!

— გეტყობა, „რა ამბავში იყავით-მეთქი“, დავაპირე თქმა, მაგრამ გადავიფიქრე. თვითონ უნდა მიხვდეს.

— გლუჯვაზე ვიყავი! რა გგონია, ახლანდელი თამადები სამ ბოთლზე მეტს კი ვერ სვამენ!

მოჰყვება ახლა! ცუდი ბიჭი არ სჩანს, მაგრამ ცოტა ზედმეტები კი უყვარს. კიდევ კარგი მამაჩემი არ არის სადმე ახლო-მახლო, რას იფრენდა!

— აუჰ, ბიჭო, რა გოგოა! — გივი თავს აქნევს, თვალებს წყურავს.

— ვინ?

— ნეტავ სულ არ მენახა, — დიღინებს გივი, მერე მხარზე ხელს წამოშარტყამს და იცინის:

— ეჰ! ქაჯი ხარ, ძმობილო — სარკისკენ მიბრუნდება და ხალათის საყელოს მალა იწევს.

რალაც ხმა მესმის და სამზარეულოსაკენ გავრბივარ. ქვაბი გარედან სველია, ალბათ წყლის წვეთები დაეცა ცეცხლს, სარეცხს ჭერჭერობით ორთქლიც არ ასდის. თავსახურს ნახევრად გადახდილს ვტოვებ, გახს ოდნავ ჩავუწევ ყოველი შემთხვევისათვის და ისევ აივანზე ვბრუნდები.

გივი ზუბულური სტეწით მიდის ქუჩაში გასასვლელისაკენ, თან აქეთიქით იყურება. ფანჯრებიდან სახლმშენებლის ცოლის დეიდა ეკას გარდა, რომელიც სარეცხს ჰფენს, არავინ იხედება. გივი ტატიტ მიაბიჯებს და სახლის კუთხეს ეფარება.

მაიას ბინის ფანჯრებისკენ ვაპარებ თვალს. ლოჯის ფანჯრები ღიაა. ნეტა შინ არიან? თუმცა, დეიდა დარეჯანი სამსახურში წავიდა. მაიას უმცროსი ძმა—გივი კი, ამასწინათ კიკეთის პიონერთა ბანაკში ვაგზავნეს. მაია იქნება შინ, საღ წავიღოდა. ოთახის სიღრმეში ვილატამ გაიარა სწრაფად. მაია შინაა.

ეზოში ტაქსი შემოდის და ელგუჯა ბიძიას გარაჟის წინ ჩერდება. მანქანი-

დან მოხუცი მეზობელი გადმოდის, შინ აჩქარებული შედის, ორი ჩემოდანი: გამოაქვს და ისევ მანქანაში ჯდება! — სალბათ მატარებელზე აგვიანდება ან ავტობუსზე.

უცებ წარმოვიდგენ: ის ტაქსი კი არა, ელგუჯა ბიძიას მანქანა იყო. როგორც იცოდა ხოლმე, ერთი წუთით მოიბრინა სამსახურიდან და ისევ უკან გამობრუნდა-მეთქი. ტაქსი ქუჩაში გადის და გონს მოვლივარ. ეჰ, მისი მანქანა ახლა გარაჟშია ჩაეკტილი, ვინ იცის დამტვერილიც კია. სანამ ცოცხალი იყო როგორ უვლიდა! ყოველ საღამოს გამოიტანდა რეზინის მილს და რეცხავდა, საბურავებს ბერავდა, თავსახურს ახდიდა და რალაცს უკირკიტებდა, ამოწმებდა, მეორე დღისთვის ამზადებდა მანქანას.

ახლა კი...

მაინც რა მოულოდნელად და საოცრად მოკვდა ეს კაცი! წინა წელს ინფარქტი გადაიტანა, რის შემდეგაც ექიმები კატეგორიულად უკრძალავდნენ საქვსთან დაჯდომას. მაინც არ იშლიდა, არ ეგონა, თუ მოკვდებოდა... იმ დღილით კი, უთქვამს: ცოტა შეუძლოთ ვარ, მაგრამ არა უშავს, სამსახურში მივალ, გადაუღებელი საქმე მაქვს და მალე უკანვე მოვბრუნდებიო. ეხვეწა თურმე დეიდა დარეჯანი. დაწეკი ნუ წახვალ, მაგრამ ყურცი არ უთხოვებია მისთვის: რომ არ მივიღე არ შეიძლება, მალე დავბრუნდებიო. დამჭდარა მანქანაზე და წასულა. ორიოდ კილომეტრი არც კი ჰქონია გავლილი, რომ ცუდად გამხდარა და საქვზე თავი ჩამოუდგია. ალბათ იგრძნო, ცუდადაა ჩემი საქმეო და საქვე მარჯვნივ გადაუხრია, მოტორიც გამოუერთავს. ინერციით წასული მანქანა საგაზეთო კიოსკს დასჯახებია... საქვზე დამოხილა რომ უნახავთ, საწყალი, მთვრალი ჰკონებიან და უცემიან. შეიძლება გადარჩენილიყო კიდეც, რომ არ ეცემათ. გვიან მიმხვდარან. მერე კი, რალას უშველიდნენ...

ფანჯარაში თავსაფარწყარული მაია იხედება. ცხვირწინ ხელს იქნევს. ალბათ იატაკს ჰვეის და მტვერს იგერიებს.

პირდაპირ აქეთ იხედება. მგონი შემამჩნია. საშინლად ავირიე, დავიბენი და იმის მაგიერ, რომ მისთვის თვალი გამესწორებინა, თავი ჩავლუნე და შარვალს დაუწყე ფერთხვა. ფეი, ქაჯი ვარ და მეტი არაფერი! ვაბრაზებული თავს მალა ვწევ, მაგრამ მათა ფანჯარასთან აღარ დვას... ნეტა დღეს ცურვაზე არ წავა? ვითომ რატომ არ უნდა წავიდე! ჰოდა, ავდგები და... ასეთი ქცევა, ბოლოსდაბოლოს, სირცხვილია და უფრო მეტიც! ეშმაკმა იცის. რა მომდის!

ფოსტალიონი შუა ცხოში აჩერებს მოტოროლოგს. ჩანთას მხარზე ვადაიკედებს და კიბისკენ მოემართება. მეხუთე საათულამდე როდის ამოაღწევს, თუთმეტი წუთი მაინც დასჭირდება.

მოდი ჩაის დავლევ, ამასობაში ვაზეთებსაც აპირებან ფოსტალიონი, წავიკითხავ და მერე ალუკოსთან წავალ, — ვფიქრობ და ოთახში ებრუნდები...

2

— აი, აქ მომიწერე ხელი! — ბეუბნება ფოსტალიონი და პატარა ქალაღს მაწვდის.

— ეს რა არის? — ვეკითხები.

— „იზევემჩენიე“.

ხელს ვაწერ და ოთახში შევდივარ. გამოძახება ჩემს სახელზეა. სასწრაფოდ მიბარებენ კინო-სტუდიაში. რაშია საქმე? ალბათ იმ როლზე მე დამამტიცეს. ნამდვილად ასეა! ტყუილად ხომ არ დამიბარებდნენ! თანაც საჩქაროდ, სწერია ამ ქალაღზე. რა ბედნიერება! ეგრძნობ, რომ მთელი სახე მიხურს, თვლებიც მეწვეის სიხარულსაგან. შუა ოთახში ვდგევარ და თმას გამწარებით ვიჩეჩავ. როცა რაიმე ძალზე გამიხარდება ან მეწყინება, მაშინ ამიტყდება ხოლმე თმის ჩეჩვა... უნდა წავიდე! ჩემს ოთახში შევრბივარ. სენაურ ქელს, რომელიც კინო-სტუდიაში სასინჯი ვადლების შემდეგ რეჟისორის რჩევით ვიყიდე, ვიხურავ და გამოვრბივარ. სარკის წინ ვჩერდები: ბეჭებგანიერი, ქერათმიანი და მსხვილწარბება ბიჭი მიყურებს.

თვლები სიხარულით ავსებია, უბრწყინავს. აწითლებულ სახეზე ზედმეტი სიხარულე ეტყობა. არა, ისე ნახად არ უნდა გამოიყურებოდეს ის, ვისი როლიც მე უნდა ვითამაშო. ის, ესე იგი მე, უფრო სხვანაირი უნდა ვიყო... წარბებს ოდნავ, ეიკმუნხი, ბაგეს ვკუნეავ. ახლა უკვე გოროზი, უფრო ვაკაკური შესახედაობა მაქვს. აი, ეს კი მესმის! პირველად ასეთი უნდა იყოს იგი, პირველად, სანამ თბილისში გამოემგზავებოდეს. შეიძლება, ეს მთლად ზუსტი არ არია. მაგრამ ჭერჭერობით მე ასე წარმომიდგენია. თუმცა რატომ! არჩილ მენაბდეს რამდენჯერ უთქვამს: ადამიანი გარეგნულად ისე გამოიყურება, როგორ ბუნებრივ პირობებშიც გაიხარდაო. რა თქმა უნდა, მართალია. ჰოდა, ესეც ასე!

ქელს შუბლზე ჩამოვიწვევ, თმას ვიფარავ, რადგან ასე უფრო ვგავარ იმას და სარკისკენ ისე ვიხედები, თითქოს კინოაპარატი იყოს. ნეტა ვადაღება როდის დაიწყება? ვაი, თუ ახლა აპირებენ! გამოცდებს რა უნდა ვუყო? რაღა მაინცა და მაინც ახლა დაიწყებენ. როგორ შეიძლება. ხომ იციან, რომ წელს ვამთავრებ!

რა კენა ახლა? თანდათან ვკარგავ მოთმინებას. სასწრაფოდ გამოცხადდით და მე კი ისეე შინ ვარ ფეხიც არ მომიცვლია ამდენი ხანი მაინც რატომ დაავიანდა დედას? ეს ქვაბი რომ არ დაეტოვებინა, რალს დაუუცდიდი, ავღგებოდი და მოვუსვამდი. უკვე თერთმეტი საათი ხდება.

აივანზე ვავდივარ, ისეე ოთახში ებრუნდები. ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი... მოდი გახს კიდევ უფრო ჩავლუნე და წავალ! საშხარეულოში შევრბივარ... არ ღირს, ვფიქრობ და ინსტინქტურად ქვაბის სახურავზე ვადებულ ჯოხს ხელში ვიღებ, სარეცხს ვუარევ. ცხელი ორთქლი პირდაპირ ცხვირში მცემს, თავს გვერდზე ვწევ და განვაგრძობ სარეცხის რევას. ვაი, თუ მაღაზიებში გამოიარა! ხანდახან ბაზრიდან მომავალი მაღაზიებში გამოივლის ხოლმე რაღა მაინცა და მაინც ახლა გამოივ-

ლის მალაზიებში. რაღა მაინცა და მაინც დღეს... თუმცა საიდან უნდა გაეგო, რომ მე ასე მეჩქარება, რომ სკოდნოდა. თავის საქმეს თვითონვე მოუვლიდა... მგონი საქმარისია, მეტი არევა რაღად უნდა, კარტოფილი ხომ არ არის რომ დაიწვას!

ჭოხს ქვაბის სახურავზე გარდიგარდ-მო ვდებ და აივანზე გამოვდივარ. აჰა, დაადგა საშველი!

— სადა ხარ ამდენი ხანი, დედა! — ვეძახი გახარებული. დედას ორი პირ-თამდე სასვე ბადურა უჭირავს ხელებში და საღარბაზოსთან ჩერდება, მაღლა იხედება.

— რა მოხდა?! — მეკითხება იგი.

აღარ ვპასუხობ, გარეთ გამოვრბივარ შესაგებებლად...

— კინო-სტუდიაში ვარ გამოძახებუ-ლი, — სანოვაგეს სამზარეულოში მაგი-დაზე ვალაგებ, — წელან სასწრაფო გამოძახება მივიღე.

— მართლა! — დედას თვალები უციმციმებს, — მერე და რაო?

— ჭერ არაფერი ვიცი, სასწრაფოდ ნიბარებენ, — მივუგე, — რა უნდა იყოს, ალბათ დამამტკიცეს.

— ჰო, ალბათ.

— გავრბივარ! — ვკოცნი და კიბეზე ვეშვები...

ქუჩაში გამოვდივარ და მაშინ მაგონ-დება, ნეტა დედასათვის ტაქსის ფული გამომერთო-მეთქი. უკან რომ მივბრუნ-დე ათი წუთი მაინც დამეკარგება. დედა როდის ამოიღებს ფულს, როდის... შეი-ძლება ხურდაც არ ჰქონდეს. საათს ვუყურებ, თორმეტის ხუთი წუთია. ტროლეიბუსი არ ჩანს, არც წითელი ავტობუსი. სადგურისკენ ასეთი ფერის ავტობუსი დადის, შორიდანვე ვცნობ. ერთ ადგილზე ვეღარ ვისვენებ. ნომდე-ნო გაჩერებამდე მივალ და იქ დავეუცდი-მეთქი, ვფიქრობ და აჩქარებული მივა-ბიჯებ. ისე კარგი კია, რომ ფეხით წავი-დოდე. სტუდიაშივე ექვსი გაჩერებაა. სპორტის სასახლესთან ჩავუხვევ და მოკლე გზით წავალ. სიარულში ცოტათი დავმშვიდდები კიდევ. რეჟისორმა რომ

ასე აცმუტებული მნახოს, რაღაც უხერ-ხულია. ცანცარა ყოფილა, იფიქრებს.

საბავშვო ბაღის შენობას გავციდი და ჩვენმა მეზობელმა საქონელმცოდნემ ჩამიარა „მოსკვიჩით“, ბუსავით გადმო-ხედა და თავი დამიქნია — გამარჯობაო. დიდი უცხვირპირო ვინმეა. დედა მარ-თალს ამბობს მაგაზე, უნახავმა რა ნახაო... საწყალი ელგუჯა ბიძია! რა კეთილი კაცი იყო! აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ ვმჯდარვარ მის მანქანაში.

ეს კი დიდი უცხვირპირო ვინმეა! იქნებ, სახლი გეწეება, იქნებ გამოუვალი მდგომარეობა გაქვს და მისი მანქანა ვიხსნის, თუ არ უთხარი, გაგიგონია, თვითონ როგორ იკადრებს მანქანის გაჩერებას.

მოდი, ბარემ, ალეკოს დაეურეკა-ვ-მეთქი და საპარტიკანტროს შესასვლელ-თან კედელზე ჩამოკიდებული ავტომა-ტისაკენ გაუხვიე. ის იყო ნომრები ავკრიფე, რომ მოპირდაპირე მხარეს, ავტობუსის გაჩერებასთან გივი ხუბუ-ლურს მოვკარი თვალი, ვილაც ქარვის-ფერთმიან ქალიშვილს ელაპარაკება. ხელს ჭერ წინ იშვერს, მერე მაჯას მარ-ცხნივ ხრის, ქალიშვილს რაღაცას უხსნის, ასწავლის...

— რაო? — მეკითხება ალეკო. ეტ-ყობა ვერ გაიგო, რაც ეუთხარი.

— სად გამოგიძახეს?

— ძირს ჩამოდი და გეტყვი.

— კარგი, გაჩერებასთან დაგელოდე-ბი.

ყურმილი დავეიდე და გავიქეცი...

ალეკოს შორიდანვე ვამჩნევ, „სოიუზ-პეჩატის“ კიოსკის წინ დგას... ხუჭუჭი თმა აბურძგენია, ამოშვებული ხალათი აცვია და გაცილებით მსუქანი მეჩვენე-ბა, ვიდრე სინამდვილეშია. გავაციცე-ბული ტროლეიბუსიდან ჩამოსულ ხალხს ათვალეერებს.

ალეკო ჩვენს სკოლაში პირველ პოე-ტად ითვლება. დიდი ხანია რაც ლექ-სების წერა დაიწყო. პირველი ლექსი რომ წავგიკითხა ის დღე გამახსენდა ახლა. მეოთხე კლასში თუ მეხუთეში ვიყავით. იმ დღით ალეკო გახარებული

მოვიდა სკოლაში, ლექსი დაეწერეო. გაკვეთილზე მოუსვენრად იჯდა. დასვენებაზე ადგა და საჭაროდ წაგვიკითხა. ლექსი არ იყო მთლად გამართული, მაგრამ ცუდიაო მინც არავის გვითქვამს. თვითონ კი მიხედა ტაში რომ არ დაუეკარიო და ლექსის დამუშავებას მოთმინებით შეუდგა. მთელი ორი თვე, როგორც კი დროს მოიხელთებდა, დასვენებაზე თუ გაკვეთილზე, უკირკიტებდა, ასწორებდა. ჩვენ თანდათან ვკარგავდით მოთმინებას და ბოლოს ვუთხარით: — „რას გადაყვივ მგ ერთ ლექსს!“ — ადექი და სხვა დაწერე! — „ალბათ არ შეუძლია!“ ალეკო ყურადღებას არავის აქცევდა, ჯოტად განაგრძობდა მუშაობას და ერთ დღეს ლექსებით საესე რვეული მოიტანა: აი თუ არ შემოიღია დაწერაო!

ალეკომ წელს სამი ლექსი განოაქვეყნა. ეს ლექსები ცნობილ პოეტებთან შეხვედრაზე წაიკითხა, მოეწონათ, წაიღეს და დაუბეჭდეს კიდეც. ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ძალზე თავისებურიც! აი, თუნდაც ეს ამბავი: მოკალი, ოღონდაც ქართულის თემებს ნუ დააწერინებთ, არ უყვარს თემების სახლში დაწერა. ციტატებს ამოიწერს ხოლმე და საკონტროლოებსაც ამის მიხედვით ასრულებს. არჩილ მენაბდეს სულ ამბზე ჰქონდა მასთან უთანხმოება. ბოლო მეოთხედში ძლივს მოარჯულა. როგორც იქნა დაწერა რამდენიმე თემა.

— რა მოხდა? — მისვლისთანავე შეკითხება ალეკო.

— აბა წაიკითხე! — გამოძახების ფურცელს ხელში ვაჩვენებ.

— ესე იგი დაგამტკიცეს, არა? — შესძახებს გაბარებული.

— ჰო, ალბათ. აბა, ასე საჩქაროდ რაზე გამომიძახებდნენ.

— რა თქმა უნდა! წედან რატომ არ მითხარი.

— აჟი გითხარი, განომიძახეს-მეთქი.

— ჰო, მაგრამ კინო-სტუდია არ გიხსენებია, მე მეგონა სამხედრო კომისარიატში გამოგიძახეს.

— ჰა, ჰა, ჰა, რა ტიპი ხარ!

... საშვს ვიღებ, მეკარეს ვაჩვენებ და ვეკითხები: „სვანური რვეულის“ რევისორი აქ თუ არის-მეთქი. როგორ არა, დილას შემდეგ ვილატას ელოდება, წელანაც გადმოიხედა თავის ოთახის ფანჯრიდანო, — მომიგო მან. სად არის მისი ოთახი? — მოუთმენლად ვეკითხები მე. მესამე საათულზე, კიბიდან ხელმარცხნივო. გმადლობთ-მეთქი.

— ჩქარა გამოხვალ? — მადევენებს ალეკო.

— გავიგებ ყველაფერს და გამოვალ! შესასვლელში მაღალი, ცისფერკაბიანი გოგონა შემეფეთა. უცებ მაიას მივამსგავსე და მოუხედე. გოგონამაც მომიხედა და ჩაიცინა. ალეკომ თავი გადააქნია და ხელები ასწია. ასე იცის ხოლმე, როცა ვინმე მოეწონება, თავს გადააქნევს, ხელებს მაღლა ასწევს აღფრთოვანების ნიშნად — ეს რა ვნახეო! გოგონასთვის კარგად არც კი შემიხედავს, ნეტა ასეთი რა იყო!

კიბეს აჩქარებული მივყვები. მესამე საათულზე ავდივარ და იმ ოთახისაკენ ვაპირებ წასვლას, რომ დერეფნის სიღრმეში თეთრხალათიან ახალგაზრდას ვაჩნევ. იგი ვილატ ქალს ელაპარაკება და მერე აქეთ მოდის, თითქმის გამორბის. შორიდანვე ვცნობ, ის არის. სასინჯ გადაღებაზე რომ ვიყავი, თმა გადააარსული ჰქონდა და მის მერე აღარსად შეხვედრია. მიუხედავად ამისა, მაშინვე ვიცანი, ადამიანი თუ ერთხელ ვნახე, აღარასოდეს დამვიწყდება. თავმოპარსული მოწაფეს ჰვავდა და ვფიქრობდი: ამაჩ რა სურათი უნდა გადაიღოს-მეთქი! თუმცა ვიცოდი: შარშან გამოსული საბავშვო ფილმისა და რამდენიმე საკმაოდ პოპულარულ მოკლემეტრაჟიანი სურათის ავტორი იყო. საქმე ის გახლდათ, რომ მე რეჟისორებზე რატომღაც სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა.

ისეთი მხიარული და თავისუფალი ახალგაზრდაა, რომ სულ არ გამჭირვებია იმ დღეს, ოდნავი უხერხულობაც კი არ მიგრძნია აპარატის წინ რომ დამაყენეს.

დამინახა და ჩემსკენ გამოემართა.

— ოო, გამარჯობა, გურამ! — ხელი მაგრად ჩამომართვა და თან გამიყოლია, — კიდევ კარგი რომ მოხვედი, სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას.

ამომხედა და გაეცინა.

— შეეჩვიე ხომ სვანურ ქულს?

— დიახ.

— კარგია, — ამათვალეირ-ჩამათვალეირა, — ხუთი წუთის წინ რომ მოსულიყავი, შენს პარტნიორს ვაგაცნობდი.

— ის ხომ არ იყო? ცისფერკაბიანი, მალალი...

— ჰოო, სწორედ ისაა. მშვენიერი გოგონაა...

იმ კართან ვჩერდებით, რომელსაც „სვანური რვეულის გადამღები ჭგუფი“ აწერია. ოთახში შევდივართ. რეჟისორი პაპიროსს უკიდებს და განაგრძობს:

— შენზე ცოტათი უფროსია, შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ ეს არაფერი. საკმაოდ გულუბრყვილო, ბავშვური სახე აქვს.

უცებ მომაგონდა: ამ დღით რომ სარკის წინ ვიჭაჩებოდი. წარბებს ვიჭმუნხიდი, რათა მეტი სერიოზული იერი მიმეცა ჩემი სახისათვის და რეჟისორს გაკვირვებულნი ვეკითხები:

— ბავშვური სახე?!

— რა თქმა უნდა! ჭერ ერთი, რომ იგი მეცხრე კლასშია.

— ჰო, ეს კი.

— მეორეც — მე მინდა გადავიღო მიაშიტი, თვალუმოციმციმე კეთილი გოგონა... შენ კი, დასაწყისში პირიქით უნდა იყო.

— დიახ, დიახ, მეც ასე მქონდა წარმოდგენილი.

მაგიდაზე გაშლილ მაკეტს დავცქერი. აი, სვანური სოფელი ვიწრო გზებით, მალალი, სათოფურებიანი კოშკებით. სოფლის გარშემო სათიბი ფერდობებზე, ირგვლივ კი მთები, სულ მთები და ზეიადი უშა...

3



— დიდი ხანი დამავლიანდა შენს ვეუბნები ალექოს.

— რაო, რა გითხრეს?

— დამამტკიცეს, მაგრამ იცი რა?

— რა?

— ორშაბათს გადაღება იწყება, გამოცდებიდან მათავისუფლებენ.

— მართლა?

— ასე მითხრა რეჟისორმა. ორშაბათს ყოველ მიზეზ გარეშე უნდა დაიწყოს გადაღება.

— გამოცდებიდან თუ გათავისუფლებენ მაგას რა ჯობია, — ამბობს ალექო. — ვაპ, შენი ჭირიმე!

— სულ კი არ მათავისუფლებენ!

— აბა, ნახევრად?!

— პირველ სამ გამოცდას გადამიტანენ და ბოლოს ჩავაბარებ.

— რა მოხდა მერე! შენ მაინც არ გაგიჭირდება ჩაბარება.

— ზეალ დღით უნდა დავრეკო.

— რატომ?

— ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ.

— როდის მიღიხართ?

— ზეგ აპირებენ.

— შენ რა, დარწმუნებული არა ხარ რომ გავათავისუფლებენ?

— როგორ არა, სამინისტროში უკვე მოელაპარაკენ ჩემს შესახებ.

— აბა რაღა გაწუხებს!

— არაფერი! — ვეუბნები, — საიდან დაასკენი, რომ ვწუხვარ?

მზე პირდაპირ აჭერს და ჭადრების ჩრდილში მივაბიჯებთ. პროსპექტზე სპორტულ სიარულში შეჭიბრების ოფლად გახვითქულმა მონაწილეებმა ჩაიარეს. თვალს ვაყოლებთ. მერე ალექო ამბობს:

— წელან, შენ რომ გელოდებოდი, მაიამ გაიარა ტროლეიბუსით, ცურვამუ მივდივარ დამიძახა.

— აქეთ რა უნდოდა? — ვეკითხები დაეჭვებული.

— დეიდამისთან ყოფილა.

— ააა...

— რა ტანი დაუდგა, არა? — მეკითხება ალეკო.

— ჰო-მეთქი — და ჩავლილი ავტობუსისაყენ ისე ვიხედები, თითქოს იქიდან ვილაღ მომესალმა, მე კი ვერ ვიციანი.

— შევლივითა! ნეტა მეც მევლო ცურვაზე.

— შენ ლექსები წერ.

— შე კაი კაცო, ბაირონი რომ ახლა ცოცხალი იყოს, ნაღდად მსოფლიო ჩემპიონი იქნებოდა, — მეუბნება ალეკო, — გენიალურ ლექსებს წერდა და ბრწყინვალე მოცურავეც იყო.

— მერე და შენ რაღამ შეგიშალა ხელი, გევლო ცურვაზე.

— ჩემმა სისულელემ!

— კარგია რომ ხვდები.

— ახლაც არ არის გვიან, უნდა ვიარო!

ხილზე ნიავე უბერავს და შედარებით გრილა. მარჯვენა ნაპირზე, მანქანების მოტანილ მიწას ექსკავატორები ასწორებენ. უფრო იქით, რკინა-ბეტონის ჯე-ბირზე ბიჭები ჩამწკრივებულან და რიგრიგობით ხტებიან წყალში.

— ახლა მტკვარში ბანაობა ჯობია; — ეუბნები ალეკოს, — წყალი უფრო გრილი იქნება, წამო, ვიბანათო!

— დავიხრჩო ვინდა?

— რა დავახრჩობს, ნაპირზე იქუცმპალავე, — მეცინება.

— არ მინდა, ძმაო, დასაბრჩობი თავი სადა მაქვს, საცურაო აუზში წავიდეთ! ვხედები, რატომაც იჯინებს საცურაო აუზში წასვლას. რატომღაც გული არ მიმიწევს იქით. რა მომდის? აქი ამ დილით გადავწყვიტე, ცურვაზე წავალ და მაიას შევხედები-მეთქი. ახლა რაღა მომივიდა? ვგრძნობ, ისე აღარ მაწუხებს შერიგების ამბავი, როგორც ამ დილით, თითქოს ჩემთვის მნიშვნელობაც კი დაჰკარგა. რატომ ხდება ასე? ნუთუ დღევანდელი სიხარული მავიწყებს ყველაფერს. იქნებ ალეკოსი მრცხვენია!

— რას შერები, არ მოდიხარ? — მეკითხება ალეკო.

— სად?

— საცურაო აუზში.

— შინ უნდა წავიდე, მოსამზადებელი ვარ.

— მოსამზადებელი?

— ჰო, ათასი რამე მჭირდება წასაღებად!

— ნუ გააწყალე გული! — ალეკო ხალათის ღილებს ბოლომდე იხსნის და ინიავებს, — წამოდი და ნახე, რა ილეთები გაჩვენო.

— ვერ წამოვალ! — მივუგებ, — დედა ჩემი ალბათ მოუთმენლად შელოდება...

— კარგი, ბატონო, — ალეკო მხრებს აიწურავს და განაგრძობს: — მეც შინ წავალ, არჩილ მენაბდე სულ თვალწინ მიდგას, ბარემ თემებს მივხედავ.

— გაზიანი წყალი არ გინდა?

— უსიროფო დაეღიოთ!

გაზიან წყალს ვსვამთ. ამასობაში ტროლეიბუსიც მოდის და ვსხდებით...

4

ყველაზე მეტად მაინც თინიკოს ახარებს ჩემი ამბავი. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ დედას ან მამას არ გაეხარდათ. პირიქით, ორივე კმაყოფილია და ბედნიერი მშობლების ღიმილით შემოგმკერძიან. გულით ახარებთ ჩემი გამარჯვება. მხოლოდ ესაა, რომ გამოცდების გადატანა მაინცა და მაინც არ სიამოვნებთ. ვახშამდე და ვახშმის მერე, მამა სამ-ოთხჯერ უბრუნდება ამ საკითხს, უკანასკნელადაც იმას ამბობს, რაც პირველად თქვა:

— ძალზე სასიამოვნოა, რომ კინოში ვიღებენ, მაგრამ, — მამა მხრებს იჩეჩავს, — გამოცდების მერე რომ მომხდარიყო, სულ სხვაა...

— ჩამოვალ და ჩავაბარებ, — ეაწყვეტინებ, — გამოცდების სულ არ შეშინია!

— რა-თქმა უნდა, — მხარს მიბამს თინიკო, — ჩამოვა და ჩააბარებს!

— აბა, შენ იცი, გურამ! — მეუბნება დედა, — ინსტიტუტის გარეშე არ დარჩე, შეილო.

— რას ამბობ, დედა!

— ბიძაშენის იმედი ტყუილად არ

იქონიო, — ამბობს მამა, — ხომ იცი რომ არ მიყვარს ასეთი რაიმე.

— ფიქრი ნუ გაქვს, მამა!

— რაო? — შეკითხება თინიკო, — სკანეთში როგორი ამინდებიაო?

— შესანიშნავი! ეს ერთი კვირაა გამოიდარა თურმე, ამიტომაც ჩქარობენ! მამა იცინის და გაზეთს გადაწვდება, რომელიც ვახშმის დაწყების წინ სკამზე გადადო.

თინიკო და დედაჩემი სუფრას ალაგებენ. მე ჩემს ოთახში შევდივარ, ფანჯარასთან ვჩერდები და ნათურებით გაჩახახებულ ქალაქს შევყურებ. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედული. ალგო კარგა ხანია ფიქრობს, ვასკვლავებით მოჭედულ ცას რაღაც ორიგინალური შედარება მოუძებნოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ჩემი აზრით ძალზე ძნელია ასეთი შედარების მოძებნა. ცა მაინც სხვაა... ძალიან მაინტერესებს ცა. იგი განსაკუთრებით ღამითაა მომზობლავი, როცა ვარსკვლავებით აივსება და ჩვეულებრივი თვალსათვის უხილავი სინათლის ძაფები განუწყვეტლივ მისწრავიან ერთმანეთისაკენ. ამ დროს ყოველთვის ჟრუნტელის მომგვრელი იდუმალება და სურვილი მეუფლება. ვინ მოსთვლის რამდენი ვარსკვლავია ცაში, რამდენი შესწავლილი და ახალმოკვლევული. პირდაპირ რომ ვთქვა, მეც მინდა აღმოვაჩინო ახალი ვარსკვლავი. აღმოვაჩინო და შევისწავლო. ეს ჩემი დაუოკებელი სწრაფვაა! მეცნიერებსაც ხომ უნდოდათ რაკეტის გაფრენისათვის მიეღწიათ და მიალწიეს კიდევ! ღიახ, მე გავხდები ცის მკვლევარი და დარწმუნებული ვარ ვიპოვი კიდევ იმ ახალ ვარსკვლავს, აუცილებლად ვიპოვი! მამას კი, ტყუილად ეპარება ჩემში ეჭვი.

როგორ თქვა? — ბიძაშენის იმედი არ იქონიოო. მოდი და ნუ ვასკდები გულზე! ბიძაჩემს ყველაფერი შეუძლია. ჯერ ერთი იმ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს, მეორეც — ასტრო-ფიზიკური ლაბორატორიის უფროს მეცნიერთანამშრომლად მუშაობს და ინგლისის ჟოდრენ-ბენჯის ობსერვატორიის თანა-

მშრომლებთან მიწერ-მოწერაც აქვს. როგორც ხედავთ, ცნობილი ვაქვია, მაგრამ მე საკუთარი თავის იმედი მაქვს. ბიძაჩემის იმედი ადრე მქონდა, როცა პირველად მივედი ლაბორატორიაში და შიგ არ მიშვებდნენ. ახლა იქ ყველა მიცნობს ... ერთი ახალგაზრდა ლაბორანტი კი, დამიმბაკცადა კიდევ, ავთო პქვია. დაბალი ბიჭია, მკვირცხლი და ღონიერი, წინათ ჭიდაობდა თურმე. მივალ და გაუხარდება ჩემი დანახვა. ხელს მაგრად ჩამომართმევს. ერთხანს ფეხბურთზე გამიბამს საუბარს, გულს რომ მოიჭერებს, მეტყვის:

— რას იტყვი, ვნახოთ? — თავს მალა გაიქნევს.

— წავიდეთ! — მეორე საათულზე ავდივართ, სადაც უზარმაზარი ტელესკოპები ქვემეხებზეით აღმართულან ცისკენ და ავთანდილი სინათლეს რთავს...

მამას რომ ჩემი არ ესმოდეს, არც შენს კინოსტუდიას დაგიდევდა, არც არავის, უბრალოდ უარს გამომიცხადებდა სვანეთში გამგზავრებაზე და ვაათავებდა.

ტანსაცმელს ვიხდი და ეწვეები: უცებ თინიკოს გახარებული სახე წარმომიდგება და მეღიმება. საოცარია, რატომ ხდება ასე? შენს ირგვლივ გამართულ კამათის შერე, როცა ყველაფერი წყნარდება და მშვიდად დაფიქრების საშუალება მოგეცემა, პირველად იმ ადამიანის სახეს ხედავ, ვინც თავგამოდებით გიცავდა, შენი მხარე ეჭირა. შეიძლება ასე იმიტომ გგონია, რომ მე და თინიკო გაცილებით იოლად ვუგვებთ ერთმანეთს, ვიდრე ვთქვით, მე და მამაჩემი. ეს ბუნებრივიცაა.

ნიავი ფარდებს აფრიალებს. სწრაფად ვდგები, ფანჯრის დასამაგრებელს ვსინჯავ, ამოვარდნილი არ იყოს-მეთქი და ფარდას ლურსმანზე ვამაგრებ, ღრპალელის მხარეს ალბათ ტრამვაიმ გაიარა, ცისფრად სხვას რას უნდა გაეყვსა! სადგურიდან ელმავლის ხმა ისმის. გმირთა მოედნის აღმართზე ტროლეიბუსი ამოდის. ჩვენი სახლის მოპირდაპირედ,

გასტრონომიულ მაღაზიაში აღწერაა — შემცველები საქონელს იბარებენ.

ჰაერს ღრმად ვისუნთქავ და უკან-ვე ვბრუნდები. ვწვები.

მაშ ასე, ზევ მივემგზავრები... როგორ გაუქვირდებით ამხანაგებს პირველ გამოცდაზე რომ არ მივალ! ატყდება ერთი წრიალი, გამოკითხვა, გამოძიება, სად წავიდა, რა დაემართათ! ბოლოს კი, ან ალეკო იტყვის ან მასწავლებელი, რაშიცაა საქმე და ისინიც დამშვიდდებიან. ოთარ მიმინოშვილი კი წინასწარ ვიცო, ხმამაღლა წამოიძახებს: აუჰ! — და თავს დაიქნევს, სახეზე ოდნავი სინანული მაინც გამოეხატება: ნეტა მეც გავეთავისუფლებინე გამოცდებიდანო. ოთარს, როგორც ამბობენ ხოლმე, გაქირვებული სამიანები აქვს და ეშინია გამოცდებზე არ ჩაიჭრას... უცებ გულო მწყდება. მეჩვენება თითქოს რაღაც მჩიება მოუგვარებელი. ნეტა წავყოლოდი ალეკოს საცურაო აუზში! რატომ უნდა იყოს კაცი ასეთი ამაყი? — ვეკითხები საკუთარ თავს, — მაგრამ ეს სიამაყეა, დარცხვენა, თუ მორიდება? ეშმაკმა იცის, რა არის! ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ერთიდან მეორე გამოდის, მეორედან — მესამე და ასეა. თავიდანვე ინდაურივით არ გავფხორილიყავი... გუშინდელ დილას რომ თავი დავანებოთ, რამდენჯერ შემეძლო შევრიგებოდი! აი, თუნდაც ამ ორი კვირის უკან, მათემატიკის გაკვეთილზე... ესტაფეტა გვექონდა. ესტაფეტას ირაკლი ჩიქოვანმა მეცხრე კლასიდანვე შეგვაჩვია, რასაც იგი სწრაფი აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებად თვლის, დაწერს დაფაზე მოზრდილ ამოცანას და ამოხსნაში მთელი კლასი რიგრიგობით მონაწილეობს. „გურამ, გააგრძელო“ — მითხრა ჩიქოვანმა და წამოვდექი. დაფასთან მიაიღგა ცარკით ხელში, როგორც მომეჩვენა, იგი დაბნეული იყო, არ იცოდა, რა ექნა, ცარკი ჩემთვის მოეცა, თუ იქვე დაედო. ნელი ნაბიჯით გავემართე დაფისაკენ. დაფას თვალს არ ვაშორებ,

ვითომ ამოცანაზე ვფიქრობ... მიაიციარც მერხზე დებს და ჯდება.

მამთქნარებს და ფანჯრისაკენ ვიხედები. ცას მუჭი ფერი დაპკრავს, ვარსკვლავებს სიკაშკაშე მომატებით. ისევ მამთქნარებს და თვალებს ვხუჭავ... მერე ცისფერკაბიანი გოგონა მაგონდება. მართლა ჰგავდა მაიას, თუ მომეჩვენა? ნეტა სახეზე დაეკვირვებოდი. ალბათ ცისფერი თვალები აქვს. რატომ მაინცა და მაინც ცისფერი იმითომ, რომ ცისფერი კაბა ეცვა? შეიძლება...

ჩამეძინა. მერე ასეთი სიხნარი ვნახე: ...თეთრი სკაფანდრა მაცდია. ხელებს მსუბუქად ვამოძრავებ და საღდაც მივფრინავ. მივიწვევ მაღლა და გული მიფრთხილებს, რა მაღალზე ამოვფრენილვარ-მეთქი. ქვევით ძლივს ჩანს დედამიწა, თოვლიანი მთები. სიჩქარეს თანდათან ვუმატებ, ახლა უკვე რაკეტასავით სწრაფად მივფრინავ და უცებ სრულიად უცნობ ვალაქტიაში შევდივარ. შიში, მიპყრობს, აქ სად მოვხვდი-მეთქი! მაგრამ აქაც ისეთივე ვარსკვლავებია, როგორც ჩვენს ცაზე, აქაც ისე ბრჭყვიალებენ... ნეტა ის რა ვარსკვლავია, ყველაზე დიდი და ნათელი რომ არის? ის ხომ არ არის, მე რომ დავეძებდი? ჰო, ის არის, ის! აჩქარებული ვარსკვლავის სხივს მივსდევ. სხივი თანდათან გრძელდება, იგრძობა, თოკად იქცევა და ხელს ვუბოტინებ, ვეჭიდები... ახლა აღარ მივფრინავ, თოკს მივყვები იმ ვარსკვლავისაკენ. როგორი ვახარებული ვარ! ხმამაღლა ვიციხი: ხა, ხა, ხა, ხა, ხა... მივყვები თოკს და ვარსკვლავი თანდათან ახლოვდება, ბაცდება და მონაცრისფროდ გამოიყურება, როგორც დედამიწა... მერე ჩემს ოთახში ვარ. მიკვირს. ასე უცებ აქ როგორ მოვხვდი-მეთქი. მაგიდა „სევანური რვეულის“ ფოტოკადრებითაა სავსე. სწრაფად ვარჩევ ყველაზე უკეთეს მომენტებს და კედელზე ვაკვრას ვიწყებ. ზარი ზედიზედ დარეკეს. კარს ვაღებ — მიაი ყოფილა. ცისფერი კაბა აცვია და მილიმის.

მიაი ორ ნაბიჯს გადმოდგამს და იქვე

ჩერდება. სურათებით აქრელებულ კედელს უყურებს.

— მომილოცავს, გურო, — მეუბნება მერე, — ძალიან კარგად თამაშობდი.

— ჰოო?

— ყველაზე კარგად თამაშობდი!

— მადლობთ, მაია! აქამდე რატომ არ მოხვედი?

— არ ვიცო... წავედი, გურო, გამოცდაზე მაგვიანდება! — მაია კარს გაიხურავს...

5

— ძილის გულად! — მესმის თინიკოს ხმა. თვალებს გაოგნებული ვახელ. კიბეზე მამა ჩადის, ფეხის ხმაზე ვცნობ. კარი ალბათ მან გაიხურა. თინიკო სარკის წინ დგას და თმას ისწორებს.

— წახვალ დღეს ფეხბურთზე? — მეკითხება მერე, — დაუტრეკო ნოდარს?

— რას მგკითხები?! — ვეუბნები და ვდგები, შარვალს ვიცვამ.

— ალექოსთვისაც ვუთხრა?

— რა თქმა უნდა! ალექო რომ არ წავეყვანო, გადამასახლებს კიდევ.

თინიკო იცინის და ოთახიდან გადის.

ცხრა საათზე ტელეფონით ვრეკავ. მერე ტანსაცმელს ვიცვლი და კინო-სტუდიაში მივდივარ. ხელშეკრულებას ვაფორმებთ და მეუბნებიან: ავანსს ხვალ, თორმეტ საათზე მიიღებთო. სტუდიიდან თინიკოსთან მივდივარ ფეხბურთის ბილეთების გამოსართმევად...

ჩვენებმა მოიგეს! სტადიონიდან მე და ალექო ფეხით ვბრუნდებით და შინ გვიან მივდივართ. დღეს მამაჩემი შესვენებაზე გახარებული მოვიდა. მისი პროექტი მოსწონებიათ და, — ამოვისუნთქეთო, — ამბობდა. მამამ არ ვიცი და ჩვენ კი ნამდვილად ამოვისუნთქეთ!

რამდენიც არ უნდა ვინერვიულო სტადიონზე, თუ ჩვენებმა კარგად ითამაშეს და მოიგეს, დაღლას სულ ვერ ვგრძნობ, საოცრად კარგ გუნებაზე ვარ,

ფეხით თუნდაც ქალაქის მეორე ბოლოში გავალ. თუ წააგეს, ნულარე მგკითხავ! კისერმოწყვეტილი გამბრუნდნარ! სტადიონიდან, ლაპარაკის გუნებაზედაც აღარა ვარ.

ალექოს სპორტის სასახლესთან ვშორდები და ტრანსპორტისკენ არც კი ვიხედები, გახარებული არხინად მოვაბიჭებ... უცებ თინიკო მაგონდება. დღეს ერთ თანამშრომელს ელაპარაკებოდა: ვარძიაში აღარ მივდივართ, შეიძლება კვირას ბეთანიაში წავეიდეთ ან ჭვარზე ავალთო. მაშინ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. ნეტა რატომ შეცვალეს გეგმა? ალბათ ნოდარს რაღაც საქმე გამოუჩნდა.

ეზოში შევდივარ და გაბუებული საქონელმცოდნის მანქანა წამომეწია. გზას ვუთმობ.

— რას თამაშობდნენ! — ამბობს საქონელმცოდნე, — მესხმა დახია ყველაფერი.

— აბა-მეთქი! — მივუგებ.

სიჩუმეა, სახლმმართველის ბინიდან ნარდის ქვების ქაბაჭუნის ხმა გამოდის. ვარლამ ბიძია სიცილით ემუქრება ვილაცას — ახლა კი ავიგე წესიო... ხო, ხო, რა ხმა აქვს! ამასწინათ თინიკომ მთხოვა, სახლმმართველობაში გამეელო, პასპორტის გამოსაცვლელად ცნობა სჭირდებოდა. ის იყო შესვენება იწყებოდა მე რომ მივედი. საქმეთა მმართველმა საათს დახედა და მითხრა: ცნობას შესვენების შემდეგ დაგიწერო. თინიკოს კი სასწრაფოდ სჭირდებოდა. დილით მითხრა, ორისნახევარზე მილიციის წინ დაგელოდებო. სულ ერთი წუთის საქმე იყო ცნობის დაწერა. ვეხვეწე საქმეთა მმართველს, აქეთ, იქით, არაფრით არ ქნა. მიღვა ფანჯარასთან და ვილაცას ლაპარაკი გაუბა. ახალგაზრდა ქალია, ჩემზე ორი თუ სამი წლით უფროსია. მეწყინა არაფრად რომ არ ჩამაგლო, გამოვბრუნდი და ვარლამ ბიძიასთან შევედი. „ახლავე დაუწერეთო!“ — სახლმმართველმა ისე დაიგუგუნა კაბინეტში, მეგონა ჰერი ჩამოინგრეოდა... იმ ქალმა ცნობა მაშინვე გამიშვადა.



6

„პადუმაეში“ — ჩაილაპარაკა გარეთ რომ გამოედოდი. არაფერი მითქვამს, გამეცინა და წამოვედი.

კარგი კაცია ვარლამ ბიძია! მის ხმას რომ გავიგონებ, როგორღაც ძალა და სიხალისე მემატება ხოლმე.

ჰე, ჰე, გუშინ რა მაგრად დაუცაცხანა გივი ხუბულურსა და მის ძმაკაცებს!

— მაია! — უცებ დეიდა დარეჯანის ხმა მესმის და ვჩერდები, — გივისთან შენ წადი ხვალ, შვილო.

ლოჯიის ღია ფანჯრიდან კარგად ჩანს: დეიდა დარეჯანი მაგიდაზე რალაცას აუთოებს. მაია სადღაა?

— მე ბარემ სასაფლაოზე გავალ, — განაგრობს დეიდა დარეჯანი, — მოხელეებს მოველაპარაკები და დავაწყებინებ საქმეს.

— კარგი, დედა, — მაიას ხმა გარკვევით მესმის, ფეხის წვერებზე ვიწევი და ვხედავ: იგი ოთახის კარის იქით სკამზე დგას და ფარდას ჰკიდებს.

— თორმეტი საათის ავტობუსს რომ ვაპყვე, ორ-სამ საათში უკანვე დაბრუნდები.

— ჰო, თორმეტი საათისას ვაპყვები ან ორისას...

მეორმოცე დღეს, როცა ელგუჯა ბიძიას პანაშვიდი გადაუხადეს, დეიდა დარეჯანი ძალიან სწუხდა: საფლავის გასაკეთებელი ქვების გამოგზავნა დამიგვიანესო. ეტყობა ქვები მიუღიათ.

მაია ფარდას ჰკიდებს, სკამიდან ჩამოდის და ოთახის სიღრმეში უჩინარდება. კარგა ხანს ედგაფარ. მაია არ ჩანს. უცებ შემრცხვა ხომ არავინ მიყურებს-მეთქი და მივიხედ-მოვიხედე. გარეის კედელთან ვილაცა დგას. საკმაოდ ბნელა ვეღარ ვცნობ ვინ არის. ტანით გივი ხუბულურს ვამსგავსებ.

— გივი! — ვეძახი. იგი აქეთ არ იხედება, წელში იხრება და შარვალს იფერთხავს. გივის იქ რა უნდა, ვილაცა მოვრალი იქნება, საპირფარეოსს ვერ მიაგნებდა-მეთქი, და სადარბაზოსაკენ მივდივარ...

შუალამემდე წიწვიებს ტელეფონი. ჩემს მერე, ეტყობა, გივიმ აიღო ყურმილი. ვილაცას ურეკავს, ვეღარ დაუკავშირდა. ერთხელ კიდევ დარეჯა და მერე ისე დაახეთქა ყურმილი, მგონი დაამსხვრია კიდევ. უცებ კაკუნით ხმა მესმის. თინიკო ხომ არ „მელაპარაკება“? ყურს ვუგდებ. ჩქამიც არ ისმის. ალბათ გვერდი იცვალა და ხელი კედელს მოახვედრა.

დილით დედა თინიკოსა და მამას სამსახურში ისტუმრებს და მერე მე და ის ბაზარში მივდივართ. თუ გინდა რომ სერი ნახო დედაჩემს უნდა წააყვე ბაზარში. განსაკუთრებით მწვანილის გამყიდველებს არ „ინდობს“, სანამ ნახევარ ფასად არ დაიყაბულებს, არ მოეშვება.

თერთმეტ საათზე ძლივს გამოვალწიეთ ბაზრიდან. თორმეტ საათზე სტუდიაში უნდა ვიყო. დედა კი არ ჩქარობს, ახლა გასტრონომიულ მაღაზიაში შედის და მეუბნება:

— შედედებულნი რძე ვიყიდოთ, თან წაიღე.

— რალა აქედან ვათრიო, დედა, იქაც იქნება და ვიყიდი. დედა მაინც ყიდულობს რამდენიმე ქილას და როგორც იქნა, ვბრუნდებით შინ.

გივი ხუბულური აივანზე დგას და პაპიროსს ეწევა.

— როგორა ხარ? — მეკითხება იგი.

— კარგად. რა ააშინლად ცხელა, არა?

— ჯერ სადა ხარ! — იცინის გივი, — ცოტა ხნის მერე ნახე, როგორ დააჭერს.

— არ მიღიხარ?

— სად?

— ზღვაზე არ აპირებდი წასვლას?

— ჰოო. წავალ ამ დღეებში.

— გამოცდებს მორჩი?

— ერთ საგანში გავიჭედე. — თავს მოიქეპავს, მერე ხმადაბლა მეუბნება: — თქვენებთან არაფერი წამოვცდეს, დედაჩემს არ უთხრან.

დედამისმა რომ გაიგოს ყურებს ააგ-
ლეჟს, ერთხელ, რა სწვდა ყურში! აიგა-
ნზე გავიარე და დავინახე. მის მაგიერ
მე შემრცხვა, თავი გვერდზე მოვიბრუ-
ნე და გავიქეცი, დაბნეულმა ვარლამ
ბიძის ბინის კარზე მივაკაკუნე — ჯა-
ნო ვიკითხე—საქმე მაქვს-მეთქი. შინ
არ იყო და გამეხარდა...

— იჩქარე, მიაი, არ დაგაგვიანდეს!
— მესმის დეიდა დარეჯანის ხმა. მიაი
აღბათ თორმეტი საათის ავტობუსს
მიჰყვება...

აბაზანაში შეედივარ და წელს ზევით
ცივი წყლით ვიბან. მერე თმას ვივარ-
ცხნი, ქუდს ვიხურავ და აივანზე გამოვ-
დივარ. უცებ მახსენდება, ალექსათვის
რომ უნდა დამერეკა, სწრაფად ვბრუნ-
დები ოთახში და ყურმილს ვიღებ.

— სად ბრძანდებოდი წუხელ! — მეს-
მის გივი ხუბულურის ბრანზორეული
ხმა, ნეტა ვის ელაპარაკება?

— რა იყო? — პასუხობს ვიღაცა.

— შეუღამებდე გირეკე, კინალამ დავა-
მტვრიე ტელეფონი!

— ჩვენებთან ერთად წყნეთში ვიყავი,
პირველ საათზე დავბრუნდი! — მჭახე
ხმაზე ვცნობ — რეზოა გივის ძმაცაი,
დაბალი, მსუქანი და ჭროლათვალბიანი
ბიჭი. მამამისი ფილიციის პოლკოვნიკია.
რამდენიმეჯერ დავინახე ყავისფერ „ვო-
ლგაში“ რეზოსთან ერთად. სტადიონზე
კი, ყოველ თამაშზე ვხედავ ხოლმე, თავ-
ის ჭგუფთან ერთად წესრიგს ამყარებს.

— რა გინდოდა? — ეკითხება რეზო.

— ნაღლია...

— რა არის ნაღლი? — აწყვეტილებს
რეზო.

— მერე გეტყვი, მანქანა უნდა გამო-
იყვანო!

— რატომ?

— ქალაქგარეთ მიღის!

— ვინ?

— ვინ და ბებიანემი!

— აზრზე ვერ მოვდივარ, იცი?

— რამ გამოგათაყვანა!

— ის ხომ არა? — უცებ წამოიძახებს
რეზო.

— ხო!

— სად მიღის?

— დამიწყე ახლა!

— რა მოგივიდა!

— მანქანას გამოიყვან, თუ არა!

— ჰო, მაგრამ რომ არ ჩაჯდეს?

— აქეთობისას მაინც ჩაჯდება, მე
მოვახერხებ, შენ რა გინდა!

— კარგი, მანდ მოვიდე?

— არა, სანაპიროზე, ხილთან... პა-
ტარა ბალის გვერდით დამიცადე, გვი-
გე?

— ჰო.

გივი ყურმილს დებს.

ვერაფერს ვხვდები: ვინ მიღის ქა-
ლაქგარეთ, ან ამით რა უნდათ! რა ჩემი
საქმეა, უბრალოდ არც მაინტერესებს.
ყურმილი იმიტომ არ დავდე, რომ გივი
მიხვდებოდა, მისმენდაო, იფიქრებდა.
სად მცალია მაგის მოსასმენად! ყურმი-
ლი მე ჩემი საჭიროებისათვის ავიღე
და საცობს ხომ ჩავიდებდი ყურებ-
ში! თორმეტს ოცდა ხუთი წუთი აკლ-
ია. მოვასწრებ დარეკვას? ან რა აუცილ-
ებელია!

— დედა, მივდივარ! — გამბობ მე და
კისრისტებით ვეშვები კიბეზე. სადარბა-
ზოდან რომ გამოვდივარ, ეზოს ბოლო-
ში გივი ხუბულურს ვხედავ, აჩქარებუ-
ლი მიაბიჯებს.

— სად მიდიხარ, გივი? — ვეკითხე-
ბი ინსტინქტურად.

— ნათესავი ჩამოდის მოსკოვიდან,
მატარებელს უნდა დავხვდე, — მპასუ-
ხობს გივი და სახლის კუთხეს ეფარება.

გულმა რეჩხი მიყო! რატომ იცრუა?
რის ნათესავი, რა მატარებელი! რასაც
წვლან ლაპარაკობდნენ ყველაფერი მა-
გონდება... კარგ საქმეზე რომ მიდიო-
დეს, რატომ მომატყუილებდა? ვინ მი-
ღის ქალაქგარეთ? მიაი? მერე ამით რა
უნდათ მიაასთან?

უცებ წარმოვიდგინე: ბეთანიის იქით-
ხშირი ტყე, უკაცური, მშვიდი ხეები
და ვორაკები.

რამდენჯერ ვყოფილვართ იქ მე, თი-
ნიკო და ნოდარი. შარშან კი ამხანაგებ-

თან ერთად ექსკურსიაზე წავედით ბეთანიის მონასტრის დასათვლიერებლად... ახალი ნაწვიმარი იყო. ტყეში სოკოები დაკრიდეთ.

გორაკზე ცისფერკაბიანი გოგონა არბის. საიდანღაც ტირილის ხმა მესმის. ცისფერკაბიანი გოგონა მაიას გავს. მაგრამ ის ვინ არის, რომ ტირის? ვინ ტირის, სად ტირის...

ყურის ბიბილოები მიხურს. თითქოს რაღაც მტკიცე და ტკივილისაგან ვიჭმუხნები. სანამ ოპერაციას ვაიკეთებდა, მენაბდემ იცოდა ასე. არ უნდოდა რომ ჩვენ შეგვემჩინა, მიდგებოდა ფანჯარასთან და სიმწრის ოფლში იწურებოდა...

სადარბაზოდან დეიდა დარეჯანი ჩქარი ნაბიჯებით გამოდის.

— გამარჯობა, დეიდა დარეჯანი! — ვეუბნები.

— ვაგიმარჯოს, გურამ! — მიღიმის დეიდა დარეჯანი. ექვსი თვეა გაღიმებული არ მინახავს. ვაკვირებულნი თვალს ვაყოლებ, ალბათ ქვეების მიღებამ გაახარა. რა თქმა უნდა, გულზე აწვა გადაღებული საქმე, ძლივს დამშვიდდა.

უცებ ისევ ის მაგონდება, რასაც წყლან ვფიქრობდი და მაერყოლებს. არა, ეს შეუძლებელია! რა არის შეუძლებელი! ვივი ხუმბულურს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი. იმ დღეს ბოდიშიც კი არ მოუხდია. ხალხს მთელი დამე გაათენებინა და ვითომც არაფერი! იქნებ მოსწონს მაია? კიკეთში გამოდევნება რაღა? არა, არა! გული რაღაცას ცუდს მეუბნება, უნდა წავიდე! სად? — ავტოსადგურთან! კი მაგრამ... ჯანდაბას ყველაფერი!

...ქუჩა. ტაქსი. ოთხმოცი კილომეტრი სიჩქარე. გმირთა მოედანზე მძლოლს ვეუბნები: სანაპიროზე ელბაქიდის დაღმართის ვავლით მიმიყვანეთ-მეთქი.

მახსენდება: ვივი რამდენიმეჯერ ვაკეთილებს დამთავრების დროს, ჩვენი სკოლის წინ დავინახე, წრიალებდა. ახლა ვხვდები ყველაფერს... ჰე, გუშინწინ კი... მართლა ქაჯი ვარ და მეტი არაფე-

რი... მაგრამ თუ მოსწონს მაია აქ ვერნახა სალაპარაკო ადგილი? კიკეთში? გამოდევნება რაღა? თანაქ... ჩქედრბისას, მე მოვახერხებ მის მანქანაში ჩაჯდომასო*.

ფუი, ქართულიც არ იცის ხეირიანად — აქედმობისასო!

— გაჩერეთ!

მძლოლი ტროლეუბუსის გაჩერებასთან ამუხრუჭებს ტაქსს და გადმოვდივარ. სუნთქვა ამჩქარებია, თითქოს ტაქსით კი არა, სირბილით მოვედი.

— მგონი ვაგვიანდება, — მეუბნება მძლოლი, — ბარემ მიგიყვანდი.

— არა, მაღლობთ...

ავერ მაიაც! ავტოსადგურისკენ უხვევს. მე ვერ მამჩნევს. მიაბიჯებს არხეინად, ხელში ხილეულით სავსე ბაღურა უჭირავს. ჩითის კაბა აცვია. ცისფერი კაბა რატომ არ ჩაიცვა-მეთქი, გული მწყდება. ასე ნელა რომ მიდის, არ დავვიანდებ? — საათს დავყურებ, თორმეტს შვიდი წუთი აქლია. თუმცა, ავტობუსის ბილეთს წინასწარ აიღებდა, სამქარა რაღა აქვს.

პირდაპირ, ქადრების მრდლიში მანქანები დგას. ყავისფერ „ვოლგაში“ ვივის ვამჩნევ. უკანა ფანჯრიდან აქეთ იხედება. მაია მანქანას უახლოვდება. ვივი თავს დახრის და იძალდება.

ყველაფერი ნათელია. რა უნდა ვქნა? ცახცახი მიტანს. რა უნდა ქნა! დააღე პირი და უყურე სეირს, — ვუჯავრდები საკუთარ თავს და მაშინვე ქუჩას გადაეჭრი, მანქანასთან მივდივარ.

— ოჰ, ვივი, აქა ხარ? — ვეუბნები, — ჩამოვიდა შენი ნათესავი?

ვივი შეკრთება. აშკარაა, არ სიამოვნებს ჩემი დანახვა.

— არა, არ ჩამოსულა, — ნაძალადევად იღიმება იგი.

— აქ რას ელოდებით?

— ერთ კაცს, — ვივი რეზოს მიუბრუნდება, — წავიდეთ, ეტყობა აღარ მოვა, რამდენი ხანი ვიცადოთ!

რეზო გასაღებს ატრიალებს.

უცებ გადაწყვეტ: მანქანის კარს ვაღებ და ვჯდები.

— ცირკაზე მივდივარ ცირკამდე წა-
მიყვანეთ! — ვამბობ და მანქანაც იძე-
რის.

— ცირკამდე? — გივი იშმუშნება.

— ჰო, ცირკთან ჩამოვალ, ცოტა აქე-
თაც.

— გურამ, ჩვენ საქმე გვაქვს და...

— მე ცირკთან ჩამოვალ თქვენ კი წა-
დით მერე.

— იცი, — განაგრძობს გივი, — ჩვენ აქ-
ვე, ტაქსების სადგომთან გავჩერდებით,
იქნებ აქ მოვიდეს ის კაცი. ასე თქვა,
არა, რეზო? ახლა ვამახსენდა.

რეზომ რაღაცა ჩაილაპარაკა.
ავტო-სადგურს გავცდით.

— შობაბრუნე, — ამბობს გივი და თან
უკან იხედება.

— აქ არ შეიძლება ცოტათი იქეთ, —
პასუხობს რეზო.

ავტო-სადგურის ეზოდან კიკეთისაკენ
მიმავალი ავტობუსი გამოდის.

„იქნებ ჯობდა ავტობუსში ჩავმჯდარი-
ყავი? — ვფიქრობ მე, — ახლა რაღა დრო-
სია!“

— ?ობაბრუნე-მეთქი, არ გესმის? უკ-
ვე წავიდა!

— ვინ? — გივის დამკინავად გადაეხე-
დავ: — მაია?

— რას მიედ-მოედები! — გივის თვალე-
ბი ენთება.

— არა ხარ კარგი კაცი!

— ბიკოს! შენ რა, ცხვირი ხომ არ
გექავებს!

— არა ხარ კარგი კაცი! — ვიმეორებ
და თვალს თვალში ვუყრი.

— ენა დაიშოკლე და ძირს ჩადი! — მი-
ბრძანებს გივი. მანქანა ჩერდება.

— შენც ჩამოდი, ისე არ ჩავალ!

— წადი, შე... — გივი სწრაფად აღებს
მანქანის კარს, ცალ ფეხს გარეთ ღვაძს
და თვალებით მკვამს — გადმოდიო!

— არ გინდა, გივი, — აფრთხილებს რე-
ზო და დაფეთებული თვალებს აქეთ-იქ-
ით აცეცებს.

— გადმოდი-მეთქი! — ხმას უწევს გივი
და ხელს მაჯაში მკიდებს, მეწევა. ხელს
ვითავისუფლებ და გადმოვდივარ.

გივი გაფითრებულია.

— სანამ არ მიმიბერტყიხარ, წადი! —
კბილებში სცრის გივი, ზეღუპილად.

— მოეშვი! — ეძახის ბრუნოვანი დაწყეტი,
წავიდეთ!

გივი მანქანისკენ მიდის.

— მოიცა! — უკან მოეყვები, — ნუ წაბ-
ვალ, გივი!

— მომწყდი თავიდან! ხელს ისევ
მკრავს. თვალებს მიბრიალებს, — ხმა
არსად დასძრა, თორემ!...

ამის მოთმენა კი აღარ შემიძლია. გა-
ვუქანე და მთელი ძალით ვხეტქე — გივი
ტროტუარზე გაიშლართა. „რა მოგივი-
დათო“ — ამბობს შემინებული რეზო და
მანქანას გააქროლებს.

გივის ცხვირიდან სისხლი სდის
ძლოეს-ძლივობით წამოდგება, ხელს რა-
ღაცას წამოაღლებს — რკინის მოგრძო მი-
ლია. სწორედ მის ბეღზე დარჩენიათ ბა-
ვშეებს, ჯართად რომ არ წაიღეს. რას
იზამ! ადგილიდან ფეხს მაინც არ ვიცვ-
ლო, მოხდეს, რაც მოსახდენია-მეთქი.
გივი რკინამომარკვებული მიახლოვდე-
ბა, — ჰ, შენო, და... თავის გვერდზე
გაწევას ვასწრებ, მაგრამ... მარცხენა ხე-
ლის მაჯაში ძლიერმა დარტყმამ კინაღამ
გული შემოწეხა, ქადრის ძირას ვეშვები.

— დაგაბრზობ ახლა! — გივი რკინას
აგდებს და ჩემსკენ იხრება. ზევიდან
უნდა რომ მომეჭკეს და „დამაბრზოს“.

ჩემს „დაბრზობას“ ველარ ასწრებს,
წამოვდექი და თავი პირდაპირ კბილებ-
ში ვაჭახე... არ დაცემულა, კისერმოწყ-
ვეტილივით კლდეს მიეყუდა. მერე სახე-
ზე ხელი მოისვა და ხმისამოუღებელი
წყლის ონჯანისაკენ წალასლასდა...

იმას ხომ არ მოგუცდილი, ავდეტი და
გამოვბრუნდი. მაჯა როგორ გამსიებაა!
საშინლად მტკიევა, პირდაპირ გულზე
მხედება, ისე მტკიევა. მოდი ხელს ქამარ-
ზე ჩამოვიკიდებ, — ვფიქრობ. ქამარი
მოვიხსენი, კისერზე ჩამოვიკიდე, ხელი
გავუყარე და ტყვილიც ოდნავ დამიამ-
და. თითებში ალბათ სისხლი მაწვე-
ბოდა.

ცირკის წინ ვერდები. მოედნის შუა-
გულში მილიციელებს ვხედავ. კიდევ
კარგი, რომ იქ არ იყვნენ მილიციელები,

თორემ ორივეს დაგვიჭერდნენ. დამი-
ჭერდნენ და დაეჭვირე მერე! მაგრამ რა
უნდა მეთქვა, რისთვის ვინხუბე-მეთქი?

ტროლეიბუსი მოდის. სწრაფად ავლი-
ვარ და ფანჯარასთან ვჯდები. სად მივ-
დივარ? სახლში? დედამაძე რომ ასე
ხელგარუშებული მნახოს, ნამდვილად შე-
იცხადებს, ერთ ამბავს ასტეხს! მოდი
თინიკოსთან წავალ, იმასთან ლაპარაკს
ახლა უფრო შევძლებ, თან ხელსაც შე-
მიხვევს...

კარი ღიაა, თინიკო მარტო ზის ოთახ-
ში და რაღაცას სწერს. ჩავახველ.

თავს ასწევს და მილიმის.

— მოდი, გურამ, სად იყავი?

— ვაკეში, ფიზკულტურის ინსტი-
ტუტში მქონდა საქმე.

— ეს რა არის, ხელზე რა მოგივი-
და?!— ამჩნევს, რომ ხელი ქაპარზე მაქვს
ჩამოკიდებული და გაფითრებული მომ-
ვარდება.

— არაფერია, შემიხვევ?

— ღმერთო მომკალი, როგორ გაგსიე-
ბია! მითხარი რა დაგემართა?

— ქვა დამეცა!

— ქვა? სად? როგორ?

— ვაკე-საბურთალოს გზაზე ფეხით
მოვდიოდი, მოწყდა კლდიდან და დამე-
ცა...

— ოი, ღმერთო ჩემო!— თინიკო სა-
ხეს ხელებში იშალავს, — კიდევ კარგი,
რომ თავში არ მოგხვდა, გადარჩენილ-
ხარ!

— აბა, — თავს ვაქნევ, — რაღას უყუ-
რებ, შემიხვიე.

— ახლავე, ახლავე, — თინიკო კარა-
დისკან მიდის, ზამბისა და სახვევის გა-
მოსალებად, სკამს ფეხს წამოსდებს, გა-
დააყირავეებს.

— ნელა, — ვეუბნები, — წინდა არ გაი-
ხიო...

— წინდის თავი მაქვს! აღარ დააყენეს
შინც იმ კლდეს სამველი... ან სულ და-
ანგრიონ ან რაღაცა ჰქნან, — ამბობს თი-
ნიკო და თან ხელს მიხვევს. ცრემლები

თვალებზე აქვს მომდგარი, სადაცაა ატ-
ირდება.

— ახლა რა უნდა ქნა? — შეკითხება
მერე.

— რა უნდა ვქნა, არაფერი! — ვიცი. ნი-
ხელის შეხვევა ტყვიულს საგრძნობლად
მიამებს.

— გადაღებაზე ვეკითხები.

— არ ვიცი, — მხრებს ვიჩეჩავ მე.

— როგორ მიხაროდა... — და თინიკომ
პატარა ბავშვივით გააბა.

— ჩუმაღ! რა მოგივიდა! სირცხვილია!

— ახლა სად მიდიხარ? — ცვირსახო-
კით ცრემლიან თვალებს იწმენდს.

— სტუდიაში.

— მოიცა გამოგყვები!

— რად მინდა შენი გამოყოლა, ფეხ-
ხომ არ მტკიავ!

რეჟისორი სტუდიაში არ მხვდება. სა-
დაც წავიდაო, მეუბნებიან. ეზოში
„სვანური რეჟულის“ მთავარ ოპერა-
ტორს ვხვდები. უცნაური გვარი აქვს.
ვერაფრათ ვერ დავიმახსოვრე. ვეუბნე-
ბი: ასეა და ასე ჩემი საქმე-მეთქი. ძალ-
ზე სწუხს. რეჟისორი რომ მოვიდეს გა-
დაეცი-მეთქი...

მოკლე გზით ამოვდივარ სპორტის სა-
სახლესთან და სკამზე ვჯდები. ალექოს
სახლი პირდაპირ დგას. მოდი, ალექოს-
თან მივალ? მაგრამ საშინელ დაღ-
ლილობას ვგრძნობ და ადგომა მეზარე-
ბა. შეიძლება სახლშიაც არ იყოს, მე
რომ აღარ გამოვუარე, ვინ იცის, ჩვენ-
თან წავიდა.

ნეტა რას იტყვის რეჟისორი? რა
უნდა თქვას, თავს ხომ არ მოიკლავს.
ადგება და სხვა ვინმეს აიყვანს იმ როლ-
ზე. მე ახლა რაღად ვუნდივარ. ტყუი-
ლად თუ წამიყვანს არ ვიცი, თორემ
ამ გარუშებული ხელით რაში უნდა გამო-
ვადგე.

..მზიანი დღეა. უშუა სპილენძისფრად
ლალააებს. ქვემოთ, სოფელს გაღმა
სათიბებია. კოლმეურნეები სათიბად
გამოსულან. სიჩუმეა. ისმის მხოლოდ

ოქტომბერი და ქართული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა

შეგის რუსეთი ხალხთა ნამდვილ საპყრობი-
ლეს წარმოადგენდა. ცარიზმის მთელი ისტო-
რია, განსაკუთრებით პოლიტიკური ბრძოლის
ასპარეზზე პროლეტარიატის გამოსვლის შემ-
დეგ, იყო უმკაცრესი ეროვნული ჩაგვრისა და
ექსპლუატაციის, ხალხთა სამეურნეო და კულ-
ტურული განვითარების ყოველმხრივი შეფერ-
ხების, ერებს შორის ზღოვანრად შუღლის
გაღვივების ისტორია.

ცარიზმის დამხობას თებერვლის რევოლუ-
ციის შედეგად და ბურჟუაზიისა და გაბურჟუე-
ბული მემამულეების მოსვლას ხელისუფლების
სათავეში ეროვნული ჩაგვრის მოსპობა არ მო-
ყალიბდა.

მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურ-
მა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა რუსეთის
იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნება-
თა შრომული მასების განვითარების და ცხოვ-
რების პირობები.

ესეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის დო-
კუმენტი, როგორც იყო 1917 წლის 2 (15)
ნოემბერს გამოქვეყნებული „რუსეთის ხალხ-
ების უფლებათა დეკლარაცია“ კანონმდებლო-
ბის წესით განმტკიცდა ლენინური ეროვნუ-
ლი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. დეკლარაცია
საქვეყნოდ აცხადებდა რუსეთის ხალხ-
ების თანასწორუფლებიანობასა და სუვერენუ-
ლობას, ერთა უფლებას თავისუფლად გამო-
კვეთაზე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწი-
ფოს შექმნამდე, აუქმებდა ყოველგვარ ეროვ-
ნულ და რელიგიურ პრვილეგიებსა და შეზ-
ღუფლებს.

მაგრამ ერებისა და ხალხთა პოლიტიკური და
უფლებრივი თანასწორობის ეს დიდი პრინ-
ციპები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის პირველსავე წლებში ამიერკავკასიაში
კრძოლ საქართველოში, ვერ განხორციელ-
და.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ ნაციონალის-
ტურ პარტიათა პოლიტიკის ლოგიკურ შედეგს
წარმოადგენდა მხარის ჩამოცილება საბჭოთა

რუსეთისაგან და მისი დანაწილება ცალკეულ
ბურჟუაზიულ სახელმწიფოებად, რამაც შეასუს-
ტა მხარის მუშათა კლასის ინტერნაციონალური
ერთიანობა. ეს გარემოება, ცხადია, მნიშვნელოვ-
ნად აფერხებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის
ბრძოლას ამიერკავკასიაში.

აქლიერებდნენ რა ბრძოლას ბურჟუაზიულ-
ნაციონალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ საბ-
ჭოთა ხელისუფლებისათვის, ამიერკავკასიის
ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას
უთმობდნენ ეროვნულ საკითხს, რომელიც უაღ-
რესად აქტუალური იყო მრავალეროვანი მხა-
რის პირობებში.

რკ (ბ) კავკასიის საზმარეო კომიტეტის
პირველ პლენუმმა (1919 წ. მაისი) მთავარ იმო-
ცანად ჩათვალა არსებული რესპუბლიკების
ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა
დამხობა და აზერბაიჯანის, სომხეთის და საქარ-
თველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-
კების შექმნა, მათი ნებაყოფლობითი გაერთი-
ანება რსფს რესპუბლიკასთან სამხედრო და
ეკონომიურ სფეროში.¹

პლენუმმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია
„საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის ფორ-
მების“ შესახებ კავკასიაში, რომელშიც მხარი
დაუჭირა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების
დამოუკიდებლობას და რსფს რესპუბლიკას-
თან მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებ-
ლობას. ამ კავშირის როგორც ფორმა, ისე ში-
ნაარსი, განსაზღვრული იქნებოდა განსაკუთრე-
ბული დადგენილებით.

კავკასიის საზმარეო კომიტეტის მეორე პლენ-
უმმა, 1919 წლის ივნისში, გამოუშვა განსა-
კუთრებული დეკლარაცია „კავკასიის მშრომე-
ლებისადმი“, რომელშიც მიუთითა, რომ კომუ-
ნისტური პარტია ყოველ ღონეს იმხარს აზერ-

¹ იხ. სკვპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინ-
იზმის ინსტიტუტის პარტარქივი, ფონდი 464,
საქმე 4228, ფურც. 5.

ბიჭინის, სომხეთისა და საქართველოს გადამწყვეთის საბჭოთა რესპუბლიკებამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში შრომელი მასების უდიდესი მონაპოვარი იყო. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სტერეოტელ უფლებათა უზრუნველყოფაში უდიდესი როლი ეკუთვნის ვ. ი. ლენინს. იგი აძლევდა სახელმძღვანელო მითითებებს და რჩევას ქართველ კომუნისტებს. ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა რუსეთის ყოფილი განაბირა მხარეების, კერძოდ საქართველოს კომუნისტებს, თვითელი ხალხს ეროვნული განსხვავებანი დაუმორჩილებინათ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის, შრომელთა ინტერნაციონალური დარაზმვის ამოცანებისათვის.

ქართული საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა განხორციელდა არა იზოლირებულად, არამედ მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირში სხვა მოამე რესპუბლიკებთან, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველა ხალხთა განუხრელი მეგობრობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის საფუძველზე.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფორმით. საქართველოს შრომელთა მასებმა პირველად მიიღეს ფართო შესაძლებლობა შეექმნათ შობლიურ ენაზე მოქმედი სკოლები, პრესა, ხელისუფლების ორგანოები, ადმინისტრაცია, სასამართლო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

საქართველოს საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა უმთავრესად განპირობებული იყო ქართველი ხალხის ეროვნული და ისტორიული თავისებურებებით. ამიტომ ცხადია ამ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე შექმნილი იყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და მისი შენარჩუნება. ეს წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას საქართველოში.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე ხანებში კომუნისტების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა კონტრარევოლუციური პარტიების ბატონობისაგან შემეკიდრებით დატოვებული ნაციონალიზმის მაკენ ფესვების ამოძირკვა, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაწყვეტა ყოველივე ეს კომუნისტური პარტიისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ ზრუნვას ხალხთა შორის ურთიერთობის საკითხებისადმი, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი აღმოსავლეთის ხალხთა ყურადღების ცენტრში იყო, რომელთა სიმშათის

მოპოვებას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და განმტკიცების კონკრეტული პროგრამა შემოწავებული იქნა ვ. ი. ლენინის მიერ. ვ. ი. ლენინმა შესანიშნავად იცოდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების სპეციფიური პირობები. იგი ითვალისწინებდა საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნულობას, სიმრევვებს, რომლებიც დაკავშირებული იყო იმპერიალისტების ხრიკებთან, მემწიფეურ ემიგრაციასთან. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ საქართველოს სოციალისტური შშენებლობის ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ადგილობრივ კომუნისტთა თავისებური ტაქტიკა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ვ. ი. ლენინმა გარკვეულთა და მთელი სიზუსტით განსაზღვრა ასეთი ტაქტიკა თავის წვრილებსა და დირექტივებში საქართველოს კომუნისტებისადმი.

თავის ისტორიულ წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინი ნათლად განმარტავდა თუ რაში უნდა მდგომარეობდეს შიით ტაქტიკის თავისებურება, აუფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სხს რესპუბლიკისაგან განსხვავებით. აი რა უნდა შეიფეროს და რისი განხორცილება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით¹.

თუ რა დიდ უკრადლებას უთმობდა ვ. ი. ლენინი ქართველ კომუნისტთა მიერ განსაკუთრებული ტაქტიკის გამოიმუშავებას ეს ნათლად ჩინს აგრეთვე მისი პირადი საუბრებიდან ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკეთათ.

ვ. ი. ლენინის შიით ებათა საფუძველს, დედობის წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს კომუნისტებს მოფიქრებულად, გონიერულად შეეფარდებინათ საბჭოთა რუსეთის გამოცდილება ადგილობრივი პირობებისათვის, გამოიყენებინათ „1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაცვეთილები“².

საქართველო უფრო გლეხური ქვეყანა იყო ვიდრე რუსეთი. საქართველოს მოსახლეობის 70-80 პროცენტი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. საქართველოს გლეხობა წლების მანძილზე იმყოფებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იდეური გავლენის ქვეშ და ერთბაშად არ შეეძლო მისგან განთავისუფ-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 399.

2 იქვე.

ლება. ეს გარემოება მოითხოვდა თავისებურ ტაქტიკას გლეხობის მიმართ.

თვალისწინებდა რა საქართველოს აგარულ-გლეხურ ხასიათს და ეროვნებათა შორის ურთიერთობათა სირთულეს, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მშრომელთათვის ყურადღებობა და მოთმინებით განემარტათ რუსი ხალხის ინტერესებთან მათი ინტერესების ერთიანობა, ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ხალხის თავისებურებებსა და გრძობებისადმი ფრთხილ და მზრუნველობით მიდგომის აუცილებლობას.

ნაციონალიზმისა და შოიენიზმის გადმონათების აღმოფხვრაში, რომლებიც მენშევიკთა ბატონობის შედეგად დარჩა საქართველოში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთის საკითხის მოგვარებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქირთ იყო გარკვეული დრო, რათა აღმოფხვრილიყო ეროვნული მტრობისა და უნდობლობის გადმონათები. ასეთი პოლიტიკა მთლიანად გამართლებული აღმოჩნდა. აფხაზეთის მშრომელნი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მტკიცედ დარქმუნდნენ, რომ მათი მომავალი მჭიდროდაა ქართულ ხალხთან დაკავშირებული და ერთმანდას განაცხადეს თავიანთი სურვილის შესახებ, რათა აფხაზეთი შესულიყო საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიის საფუძველზე.

ცნობილია, რომ აჭარა, რომლის მკვიდარ მოსახლეობას ქართველები შეადგენენ, სამი საუკუნის მანძილზე იმყოფებოდა თურქეთის მონობაში. მძიმე იყო აჭარელი მშრომელების ხვედარი ცარიზმის დროსაც, ხოლო შემდეგ მენშევიკებისა და უცხოელი იმპერიალისტების ვაბატონების პერიოდში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ძირეულად შეიცვალა აჭარელთა ბედი. 1921 წლის 16 ივნისს საქართველოს რევკომის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

აჭარის სახელმწიფოებრივი მოწყობის აუცილებლობა ავტონომიის საფუძველზე ნაყარანხევი იყო კეთხის ზოგიერთი კონკრეტული-სტორიული პირობებით. ამ თვალსაზრისით საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებით მხედველობაში მიიღო აჭარის მოსახლეობის რელიგია, ზნე-ჩვეულებანი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა ვაპირობებულ თურქეთის ბატონობით. ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შედეგად აჭარელმა მშრომელებმა მთლიანად დაამსხვრიეს თურქეთის ბატონობის ნაშთები, განავითარეს თავისი ქართული ეროვნული თვითშეგნება.

ფართო უფლებები მიეცა სამხრეთ ოსეთის

ხალხს. 1922 წლის 22 აპრილს სრულად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში.

საქართველოში საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა მიმდინარეობდა არა მხოლოდ განსაკუთრებულ სპეციფიურ პირობებში, არამედ სხვა კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაშიც. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლებას ანხორციელებდნენ რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის თავისებურ დროებით ორგანიზებს წარმოადგენდნენ. რევკომების შექმნის აუცილებლობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ პერიოდში განაპირობა იმ გარემოებამ რომ კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გატეხილი, ხოლო გლეხობა სათანადოდ არ იყო მომზადებული ადგილობრივ საბჭოებში არჩევნებისათვის. ეს კი მოითხოვდა შედარებით ნაკლებ დემოკრატიულ ორგანოთა შექმნას, რომლებიც სწრაფად და ოპერატიულად უზრუნველყოფდნენ რევოლუციური წესრიგის დამყარებას ქვეყანაში. რევკომები საბჭოებისაგან განსხვავებით კი არ იზრუნოდნენ, არამედ ინიშნებოდნენ. ისინი რიგობადა პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო ორგანოები ახორციელებდნენ მუშათა და გლეხთა პოლიტიკურ ძალაუფლებას, ხელმძღვანელობდნენ რუსეთში საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის მდიდარი გამოცდილებით.

ხელისუფლების დროებით ორგანიზების შექმნა ნაყარანხევი იყო აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ პროლეტარულმა რევოლუციამ საქართველოში გაიმარჯვა მაშინ, როდესაც საბჭოები ფაქტიურად არ არსებობდნენ და მათი შექმნა მაშინდელ პირობებში საქართველოს მუშებსა და გლეხებს ერთბაშად არ შეეძლოთ. საჭირო იყო პროლეტარული ხელისუფლების განმტკიცება რევკომების გზით და მხოლოდ შემდეგ შეიძლებოდა საბჭოების შექმნა.

თავისთავად ცხადია საბჭოების არ არსებობა მნიშვნელოვნად ათუფლებდა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას საქართველოში. მაგრამ საბჭოთა რუსეთის გამოცდილების გამოყენებამ და რუსი ხალხის მიერ გაწეულმა უანგარო დახმარებამ საშუალება მისცეს მშრომელ მასებსა და რევოლუციური ხელისუფლებას მნიშვნელოვნად დაეწაბებინათ ძველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელმწიფოებრივი აპარატის მსხვერვა და ახალი პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა.

იყალიბებდნენ და განამტკიცებდნენ რა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზებას საქართველოს პარტიულმა ორგანიზებმა და რევოლუციურმა მთავრობამ მოსპეს ძველი ბურჟუაზიული-კაპიტალიზატორული წყობილების ნაშთები. წარმოიქმნენ სახელმწიფოებრივი მმართველობის ხალხის ორგანიზები, სახალხო კომისარიატები. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზებებს წარმოადგენდნენ სამხროსაქალაქო, სათემო და სასოფლო რევკომები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში საქართველოს რევკომს ემორჩილებოდნენ.

ასეთი ღრნისძიებების გატარებით საქართველოს რევკომი გახდა რესპუბლიკაში საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო. მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს, რომელშიც განსაზღვრა საქართველოს სსრ უმაღლესი ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს რევკომის ფუნქციები და სტრუქტურა წარმოადგენდა 1921 წლის 21 აპრილს გამოცემული დეკრეტი „ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ“. დეკრეტის პირველ პარაგრაფში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ რევოლუციური კომიტეტი წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო, განმაკარგულებელ და საკონტროლო ორგანოს. დეკრეტის მეორე პარაგრაფით რესპუბლიკის რევკომს ევალებოდა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის მოწვევა, რომლისათვისაც უნდა წარედგინა ანგარიში თავის მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე მოხსენებები საერთო პოლიტიკასა და ცალკეულ საკითხებზე. დეკრეტებისა და დიდგენილებების გამოცემის უფლება, რომელთაც კანონის ძალა ექნებოდათ, ჰქონდა მხოლოდ საქართველოს რევკომს.

ქმნიდა რა რევოლუციური კომიტეტებს, კომუნისტურ პარტიას მიზნად ჰქონდა დასახული პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და ნიადაგის მომზადება საბჭოებზე გადასასვლელად. ცხადია რევკომები პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების გარდამავალ ორგანიზებს წარმოადგენდნენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, რომლებიც საბჭოებში არჩევნებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ საქართველოში 1921 წლის ბოლომდე საბჭოების როლს რევოლუციური კომიტეტები ასრულებდნენ, ვინაიდან შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან არ იძლეოდა საშუალებას პროლეტარიატის დიქტატურის არჩევით ორგანიზებზე — საბჭოებზე გადასასვლელად.

საბჭოების სრულიად საქართველოს პირველმა ყრილობამ კანონმდებლობის წესით განამტკიცა მუშათა, ქარსიკეთა და წითელარმიულ-

თა საბჭოების ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური საფუძველი, გააფორმა საქართველოს საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. [1] [2] [3] მობლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მისი შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, ქვეყნის მმართველობისათვის შეიქმნა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატა საბჭო, 12 სახალხო კომისარიატი.

სწორედ საბჭოები, როგორც ხელისუფლების ყველაზე დემოკრატიული და მშრომელთა მისობრივი ორგანიზაციები, იქცნენ ამ გადაწყვეტ პირობად ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, რომელშიც საშუალება მისცა საქართველოს მშრომელ მასებს ჩაბმულყვენენ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მხოლოდ საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების გზით გახდა შესაძლებელი ხალხის მასების შემოქმედებით აქტიობის გაშლა და შეგნებლობის ამწვდება საკუთარი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. განსაზოგადოებდა რა საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის გამოცდილებას პირველი ოთხი წლის მანძილზე ე. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეროვნული მშენებლობის დარგში მივაღწიეთ უმნიშვნელოვანეს შედეგს ჩვენ ყველა არარეს ეროვნებას მათი საკუთარი რესპუბლიკა თუ ავტონომიური ოლქი მივეცთა¹.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით საქართველო გახდა სუვერენული საბჭოთა ეროვნული სახელმწიფო და მოიპოვა ეროვნული განვითარების სრული თავისუფლება. ეროვნული სუვერენიტეტის საფუძველს წარმოადგენდა ერთა თვითგამორკვევის უფლების, მათ გამოყოფამდე და დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნამდე კომუნისტური პარტიის პროგრამული მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელება. ცხადია, ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერის სრულ თავისუფლებას გამომარკვევის თავისი ბედი საკუთარ ტერიტორიაზე.

ქართველი ხალხის სუვერენულმა უფლებამ თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ნამდვილ დამოუკიდებლობაში. ეს კი იმის ნიშნავდა, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავის საქმიანობაში იყო დამოუკიდებელი და შეუზღუდველი, ითვალისწინებდა სრულ თავისუფლებას, როგორც რესპუბლიკათა მიმართ ის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში.

საბჭოების პირველ ყრილობაზე მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში

¹ ე. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 40.

გამოცხადდა ქართველი ხალხის ეროვნული სახელმწიფოებრიობა სუვერენულ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფორმით. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პირველ პუნქტში ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის შრომელები აყარებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავიანთ სუვერენიტეტსა და პარლტარიატის დემოკრატიის ცენტრსა და ადგილებზე მუშათა, გლეხთა და ჭარბსაყვამე დემუტატების საბჭოების ფორმით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამაჩვენების პირველსავე დღეებიდანვე აღმოცენებულ სოციალისტურ რესპუბლიკას გააჩნდა სუვერენულ სახელმწიფოს ყველა აუცილებელი ნიშანი. ერთერთ ასეთ არსებით ნიშანს წარმოადგენდა საკუთარი სახელმწიფოებრივი ტერიტორიის არსებობა. კონსტიტუციური წესით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული ზღვრუბრების პრინციპის განმტკიცება მნიშვნელოვნად განაპირობებდა სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობას.

საქართველოს საბჭოთა ეროვნულ სახელმწიფოებრიობის შექმნასა და განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლესი ორგანოების შექმნამ, რაც კონსტიტუციური წესით განმტკიცდა (და, ცხადია, თვით საკუთარი კონსტიტუციის არსებობამ). რევოლუციის შემდეგ საქართველოში უმაღლესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორცილება იყო მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დემუტატების საბჭოების ყრილობებმა, ზოლო ყრილობათა შორის კი ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლებიც წარმოადგენდნენ უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგებელ და საკონტროლო ორგანოებს საქართველოს რესპუბლიკაში.

ქართველი ხალხის საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნასა და განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა რუს ხალხთან მტკიცე მეგობრობამ.

რუსი ხალხისაღმი საქართველოს შრომელთა მეგობრული ურთიერთობის ერთერთ გამოხატულებას წარმოადგენდა 1921 წლის 21 მაისს ზელშეკრულების დადება რუს რესპუბლიკასა და საბჭოთა საქართველოს შორის, რომელზეც უზრუნველყო ორი მთავრე რესპუბლიკის საერთო ძალებს ვაერთიანება სამხედრო და სამეურნეო კავშირში. გამოდიოდა რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპებიდან ზელშეკრულებამ სპეციალურად გაუსვა ხაზი ორივე მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულ უფლებათა შენარჩუნების აუცილებლობას. ამ ზელშეკრულებამ დიდი როლი ითამაშა, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და საქართველოს სსრ-ის

სუვერენულ უფლებათა უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველო

დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებში და რუს რესპუბლიკას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობათა პერიოდში გააღვირდა ამიერკავკასიის შრომელთა მისწრაფება მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ რუს რესპუბლიკასთან. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოების სრულად რუსეთის IX-ყრილობის გადაწყვეტილებას რუს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეყვანის შესახებ. 1921 წლის 27 დეკემბერს საბჭოების სრულად რუსეთის IX ყრილობაზე ა. მთასნიკოვი გამოვიდა განცხადებით ამიერკავკასიის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელით. ყრილობა მიესალმა ამიერკავკასიის თავისუფალ რესპუბლიკათა განცხადებას და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სრულად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის შემადგენლობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების შეყვანის შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და განმტკიცების შესაძლების თანდათანობით ყალიბდებოდა მათ შორის სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფორმებიც.

ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც სუვერენული რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის ერთერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა ემყარებოდა ნებაყოფლობისა და მის წევრთა სრულ თანაწირუფლებიანობის პრინციპებს.

ამიერკავკასიის ფედერაცია მხარეში ეროვნული საკითხის თანმიმდევრული გადაწყვეტის საუკეთესო ფორმა აღმოჩნდა. ფედერაციამ შეამჭიდროვა ამიერკავკასიის ხალხები ერთ ძმურ ოჯახად. საბჭოთა ფედერაციის ვ. ი. ლენინი მიიჩნევდა მშრომელთა შეგნებულ ერთიანობაზე გადასვლის საუკეთესო საშუალებად.

ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომელმაც 1936 წლამდე იარსება, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეში. ფედერაციის გარეშე შეუძლებელი იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება, ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობის დამყარება. ფედერაციამ ბოლო მოუღო საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებულ და კარჩაკეტილ ცხოვრებას, უზრუნველყო მათი პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებების გაერთიანება სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექ-

ტივიზაციის განხორციელებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პირველსავე წლებში შესამჩნევად გამოცოცხლდა მასში შემაჯალ საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრება.

ლენინერმა ეროვნულმა პოლიტიკამ შეამკვიდრა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი გაერთიანებული სახელმწიფოს ჩარჩოებში. საკავშირო სახელმწიფოს შექმნამ უზრუნველყო ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელება, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშათა და ინტელიგენციის კადრების მომზადება და აღზარდა ყველა ეროვნებათა შორის.

კომუნისტური პარტიის ლენინური ერთგული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში მაღალგანვითარებული მრეწველობის, მრავალდარგოვანი მოწინავე სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის რესპუბლიკა გახდა. საქართველოში ფართოდ განვითარდა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები.

უდიდეს წარმატებას მიაღწია ქართულმა კულტურამ.

ლენინერმა ეროვნულმა პოლიტიკამ თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა ახალ ხუთწლეულში, რომელიც ითვალისწინებს სსრ კავშირის ხალხთა ყოველმხრივ ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. ახალი ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს იმ წვლალს, რაც თვითებულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, მათ შორის საქართველომ უნდა შეიტანოს კომუნისმის მშენებლობის საერთო საქმეში. ხუთწლიანი გეგმით თვითებულ საბჭოთა რესპუბლიკაში უნდა განვითარდეს უწინარეს ყოვლისა მეურნეობის ის დარგება, რომელთათვისაც ყველაზე ხელსაყრელი ბენეფიცი

რები და ეკონომიური პირობები არსებობენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი და საერთო-საკავშირო ინტერესების სწორი შეხამება.

პარტია ყოველმხრივ უწყობს ხელს და აეთხარებს საბჭოთა კავშირის ხალხთა საწარმოო და კულტურულ კავშირთაერთობას. ტრადიციული ვახდა ქიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელთა, რუსთავეისა და სუჭვათის მებრუნეობა, ტყუარჩელისა და ღონაბასის მემკვიდრეობა, ქუთაისის, კიროვანადისა და ლენინაქის ფეიქართა და მრავალ სხვათა სოციალისტური შექიბრება.

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ებრძვის ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. სკკ პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტია მიზნად ისახავს „ყველაეც თანმიმდევრულად განახორციელოს ინტერნაციონალიზმის პრინციპები ეროვნული ურთიერთობის დარგში; განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა, როგორც სოციალიზმის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი; შეუერივებლად იბრძოდოს ყოველგვარი ნაციონალიზმისა და შოენიზმის გამოვლინებებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ“¹ ამასთან ერთად კომუნისტური პარტია იბრძვის ყველა-იმათ წინააღმდეგ ვინც ეგულეებელყოფს ცალკეული ერების განვითარების მნიშვნელობას და აბუჩად იკვდებს საბჭოთა ხალხების ეროვნულ გრძნობებს, „რადგან არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განამტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა“².

ქართველ ხალხს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961 წ. გვ. 128

² ე. ი. ლენინი, ტ. 36, გვ. 693.

მარქსის „კაპიტალი“ და ქართული საზოგადოებრივი აზროვნება

(„კაპიტალი“ გამოცემის 100 წლისთავის გამო)

საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც მარქსიზმის გავრცელება ადრე დაიწყო. საკითხავია, რით აიხსნება ქართველ მოღვაწეთა და რევოლუციონერთა აქტიური ინტერესი მარქსიზმის მიმართ. ეს ინტერესი გამოწვეულია საქართველოს ისტორიის მთელი რიგი თავისებურებებით. ქართველ ხალხს დაძაბულ ისტორიულ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება, ის აწარმოებდა გამუდმებულ ომებს თავისი დამოუკიდებლობის, თავისი ტერიტორიისა და ეროვნული სოციალურ-პოლიტიკური წყობის შესანარჩუნებლად. ქართველი მოღვაწენი დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხო ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრებასადმი, რათა მსოფლიო-პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის მიღწევათა გაცნობის შედეგად გაეცათ პასუხი თავისი სამშობლოს ისტორიის მტკივნეულ საკითხებზე. საკუთარი ქვეყნის წარმატებისათვის მეზობელ და უცხო ერთა დაწინაურებული კულტურის გაცნობას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ ხალხისათვის, ეს ჯერ კიდევ კარვად იცოდნენ ძველ საქართველოში. ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ თავიანთ გამოკვლევებში ცხადვეს, თუ როგორ ინტერესს იჩენდნენ იმთავითვე ქართველი მოღვაწენი უცხო და მეზობელ ერთა ვონებრივ-კულტურული მოძრაობისადმი. ეს

ეროვნული ტრადიცია არც XIX საუკუნეში დარღვეულა. XIX საუკუნის საქართველოში არა თუ შენედა, პირიქით გაძლიერდა ინტერესი ევროპისა და რუსეთის ვონებრივი მოძრაობისადმი. ქართველი პოეტი და მეცნიერი, ფილოსოფოსი და ლიტერატორი პირველ რიგში ცდილობდა დაუფლებოდა ევროპულსა და რუსულ ენებს. XIX საუკუნის დიდ გამოჩენილ ქართველთა შორის ძნელია დავაახელოთ ძეგთი მოღვაწე, რომელიც არ ფლობდა რუსულსა და უცხო ენებს. XIX საუკუნის როგორც პირველი ნახევრის, ისე მეორე ნახევრის ქართული კულტურის მოწინავე წარმომადგენლებს ფართო განათლება ჰქონდათ, რაც მათ საშუალებას აძლევდა გარკვეულიყვნენ ევროპისა და რუსეთის ეკონომიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის მიმდინარეობებში, კერძოდ, მარქსისადმი ინტერესს საქართველოში ის აღვიძებდა, რომ ბატონყმური წყობილების კრიზისთან დაკავშირებით აქტუალური გახდა სოციალური კითხვა, მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური ჩავგრისაგან განთავისუფლების პრობლემა. საქართველოში მუშათა კლასის ისტორიულ ძალად გადაქცევამ კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი მარქსისადმი და დაბადა შესაძლებლობა ჩვენში მარქსიზმის გამოყენებისა.

მარქსისადმი ინტერესი იწყება გასუ-

ლი საუკუნის 60-იან წლებში. ერთ-ერთი პირველი მოღვაწე, რომელიც მარქსს იცნობდა, თვალს ადევნებდა I ინტერნაციონალის მოღვაწეობას და იცნობდა მის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლებს, განსაკუთრებით ბრძოლებს ანარქისტებსა და მარქსისტებს შორის, იყო დიდი ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი ნიკო ნიკოლაძე. ახლა საკითხავია, როდის და ვინ გაეცნო პირველად „კაპიტალს“ და როგორი დამოკიდებულება გამოიჩინა „კაპიტალის“ იდეების მიმართ. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსულად თარგმნამდე, „კაპიტალს“ გერმანულ ენაზე იცნობდნენ ან იცოდნენ მისი არსებობა, როგორც ისეთი წიგნისა, რომელშიაც სოციალიზმმა პოვა ახალი დასაბუთება. ის ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატები, რომლებიც I ინტერნაციონალთან იყვნენ დაკავშირებული, მუშაობდნენ მის სხვადასხვა სექციებში გერმანიასა და შვეიცარიასში, და, როგორც ახლა დადგენილია, ეწეოდნენ ევროპაში არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობას. ქართული განმთავისუფლებელი მოძრაობის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა „კაპიტალის“ შესწავლა დაიწყეს რუსული თარგმანის გამოცემისთანავე. უნდა შევნიშნოთ, რომ იმთავითვე მარქსსა და მის „კაპიტალს“ უდიდესი ინტერესით ეპყრობოდნენ გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველი ხალხოსნები. ისინი ფიქრობდნენ, რომ საქართველოსა და რუსეთს გააჩნია სოციალიზმისაკენ მიმავალი განსაკუთრებული გზა და უარყოფითად ეკიდებოდნენ „კაპიტალის“ იდეების გამოყენებას საქართველოში. მიუხედავად ამისა, რევოლუციონერი ხალხოსნების ჯგუფმა მაინც გადავიდა ინტერესი მარქსისა და მარქსიზმისადმი, ხელი შეუწყო მარქსის „კაპიტალის“ გავრცელებას.

„კაპიტალის“ რუსულად თარგმანსა და გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული რევოლუციური მოძ-

რაობის აღმავლობისათვის, სწორ გზებზე მისი გადაყვანისათვის, საქართველოს უახლოეს ისტორიულ-სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა, კლასების როლისა და კლასების დამოკიდებულების სწორად გაგებისათვის. ქართველ რევოლუციონერ ხალხოსნებს არ ესმოდათ საზოგადოებრივი განვითარების კანონები; ისინი ფიქრობდნენ, რომ ევროპასა და რუსეთს, მათ შორის, საქართველოსაც, გააჩნიათ სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა გზები. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სოციალიზმზე გადასვლა ისტორიის მიერ დღის წესრიგშია დაყენებული მთელს მსოფლიოში. ევროპა, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები, — ამტკიცებდნენ ისინი, — სოციალიზმზე გადავლენ მუშური რევოლუციის, ზოლო რუსეთი და საქართველო კაპიტალიზმის გაუვლელად გლუხური რევოლუციის გზით. არა მარტო 70-იანი წლების ხალხოსნები, უფრო გვიანაც, 80-იან წლებში ზ. ჭიჭინაძე, რომელიც მაშინ ახლავს იდეა ხალხოსნებთან, „კაპიტალის“ II ტომის გამოცემისადმი მიძღვნილ რეცენზიაში ამტკიცებდა, რომ ქართულ სინამდვილეში „კაპიტალის“ იდეები გამოუყენებელია. მიუხედავად ამისა, 70-იანი წლების რევოლუციონერ ხალხოსნებს მარქსი მაინცდათ უღიადეს რევოლუციონერ მოაზროვნედ, ზოლო „კაპიტალი“ — ეპოქის შემქმნელ გენიალურ ნაწარმოებად-

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მარქსისა და „კაპიტალის“ იდეების გავლენა ქართულ საზოგადოებრივ აზრზე ბევრად აღრე იწყება, ვინემ ამას დღემდე ვარაუდობდა ქართული ისტორიოგრაფია. „კაპიტალის“ იდეები შემოჭრას იწყებენ 60-იან წლებში და გავლენას ახდენენ ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატების პირველი თაობის ზოგ წარმომადგენელზე. ეს გავლენა ფართოვდება შემდგომ პერიოდში, როდესაც იწყება

და ვითარდება ქართული რევოლუციური-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი საფეხური, ისახება და ვითარდება ქართული რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობა 70-იან წლებში. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ი. ჯაბადარი, გ. მაიაშვილი და სხვები. ამ დროს მნიშვნელოვნად ფართოვდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სწავლობენ „კაპიტალს“ და განიცდიან მისი იდეების გავლენას. ახლა უკვე იშვიათია შემთხვევა, რომ მარქსის ნაწერები და „კაპიტალი“ არ გააჩნდეს რევოლუციური წრეების არაღვალურ ბიბლიოთეკებსა და ცალკე გამოჩენილ რევოლუციონერ ხალხსნებს. ძინი მარქსს სწავლობენ ციხეებსა და გადასახლებაში. ჩვენი რევოლუციონერი მოღვაწეები „კაპიტალს“ ეცნობიან როგორც რუსული თარგმანის სამუალებით, ისე გერმანულ დედანში, და სავარაუდებელია — ფრანგულად. ქართულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში იდეური ბრძოლები პრუდონიზმისა და, კერძოდ, ანარქიზმის წინააღმდეგ გაჩაღდა მარქსიზმის გავლენით, „კაპიტალის“ იდეების გავლენით. 70-იან წლებში ძე, როგორც 60-იანში, „კაპიტალმა“ ხელი შეუწყო ქართული რევოლუციური პოლიტიკური აზრის აღმავლობას, განამტკიცა რწმენა რევოლუციური მოქმედებისადმი, განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეაფიქროვა რეფორმისტული სოციალიზმი და ხელი შეუწყო პოლიტიკის როლის გაგებას ისტორიული განვითარების პროცესში. მარქსის „კაპიტალზე“ დაყრდნობით ქართველმა ხალხსნებმა აწარმოეს კაპიტალიზმის კრიტიკა. მარქსის „კაპიტალის“ გავლენა ქართველ რევოლუციონერ ხალხსნებზე გამოიხატა კაპიტალიზმის ექსპლოატატორული არსის გაგებითაც, იმის მტკიცებით, რომ კაპიტალიზმი ძეითივე ექსპლოატატორული წყობის და ანტიხალხური ბუნებისაა, როგორც ფეოდალიზმი. თუ ქართველი ხალხსნები საზოგადოდ ინტერნაციონალური იდეების მქადაგებლად გამო-

დიოდნენ, თუ მათ ესმოდათ რევოლუციური მოძრაობაში ერთიანობის ძალა და ზოგ ორგანიზაციულ საკითხს განმათავისუფლებელი ბრძოლისას სწრაფ წყვეტდნენ, უდავოა, ეს უნდა მიეწეროს მარქსის გავლენას. ქართველმა რევოლუციონერმა ხალხსნებმა, მართალია, ვერ გაიგეს მარქსიზმის არსი, მაგრამ გაიზიარეს „კაპიტალში“ განვითარებული ღირებულების შრომითი თეორია და მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია. ქართველ რევოლუციონერ ხალხსნებზე ღრმა გავლენა მოახდინა „კაპიტალის“ იმ თავმა, რომელიც კაპიტალის დაგროვებას განიხილავს, და გარკვეული აზრით ისინი შეიქმნენ გაღატაკების თეორიის პროპაგანდისტები. საზოგადოდ ქართული რევოლუციური-დემოკრატიული აზრის მიერ კაპიტალიზმის კრიტიკის მიზნებისათვის გამოყენებული იქნა განსაკუთრებით იდეების ის ჯგუფი, რომელიც წარმოადგენილია „კაპიტალის“ I ტომის იმ თავში, სადაც კაპიტალის პირვანდელი დაგროვების შესახებ არის მსჯელობა.

აზერბაიჯანულ, სომხურ, სპარსულ, რუსულ და კავკასიის ხალხთა მეცნიერულ ლიტერატურაში ცხადყოფილია, თუ ქართველებმა რა დიდი როლი ითამაშეს მარქსიზმისა და „კაპიტალის“ იდეების გავრცელებაში არა მარტო ამიერკავკასიაში და კავკასიის ხალხებში, არამედ მეზობელ ქვეყნებში. გასული საუკუნის 90-იან წლებიდან ქართველებმა მოგვეცეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კადრები მარქსისტი პროპაგანდისტებისა. ჩვენში „კაპიტალის“ იდეები სწრაფად გავრცელდა. საქართველო თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ იმ მოწინავე ერთა რიცხვს, რომლებშიც მარქსიზმმა ჰპოვა ფართო გავრცელება და განხორციელება. უაღრესად დადებითი როლი ითამაშა იმან, რომ ჩვენ შევდიოდით რუსეთის იმპერიაში და ჩვენთვის ძნელი არ იყო თვალი გვედგინებინა საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის და ჩვენი ინტელიგენცია ყოფილიყო რუსული რევოლუციური

აზრის კურსში. „კაპიტალის“ იდეების შემოკრამში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსულმა თარგმანმა, „სემდეგ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა და ლენინის მოღვაწეობამ. მარქსისადმი ინტერესი და „კაპიტალში“ გაცნობარებული იდეების გავრცელება გახაზრობა თვით საქართველოს ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. ფეოდალიზმის გადმონაშთების პირობებში რეფორმის შემდეგ, კაპიტალიზმის აჩქარებული განვითარება, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, ეროვნული ჩაგვრა მეტად აქტუალურს ხდიდნენ ეროვნულ და ეკონომიურ პრობლემებს, რაც უაღრესად დიდ ინტერესს ბადებდა მარქსისა და „კაპიტალისადმი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ „კაპიტალის“ გამოცემამდე საქართველოს გააჩნდა არალეგალური რევოლუციური წრეების არსებობისა და რევოლუციური ლიტერატურის არალეგალური პროპაგანდის დიდი ტრადიცია. ბოლო 90-იან წლებში ჰყავდა კვალიფიციური ინტელიგენციის მნიშვნელოვანი კადრები, რომლებმაც მარქსისტული მსოფლმხედველობა გაიზიარეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობა ქართველ რევოლუციონერ მარქსისტების მიმართ. ერთი პირველი მარქსისტთაგანი იყო ფილიპე მახარაძე, რომელმაც პოლონეთში 90-იანი წლების დასაწყისში შეისწავლა მარქსის „კაპიტალის“ I ტომი. მარქსის სხვა ნაწერებთან ერთად და იწყო საქართველოში მარქსიზმის არა თუ პროპაგანდა, არამედ „კაპიტალის“ იდეების გამოყენება ქართულ სინამდვილეში. „კაპიტალის“ რევოლუციური იდეების შესწავლის საფუძველზე ფ. მახარაძემ შეძლო ემზადებინა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია და შეეერთებინა მეცნიერული სოციალიზმი მუშათა მოძრაობასთან. ამჟამად მისი ერთ-ერთი დიდი დასახურება ქართული რევოლუციურ მოძრაობის წინაშე. „კაპიტალის“ იდეებით შეიარაღებულმა ფ. მახარაძემ

შეძლო სწორი მეცნიერული ანალიზი ქართული ეკონომიური სინამდვილისა. მან პირველ რიგში გააკრიტიკა ძირითადი კონცეფციები ქართველი ხალხისგან. მან გვიჩვენა, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი, ვიფიქროთ სოციალიზმის განხორციელებაზე კაპიტალისტური გზის გავლის გარეშე. მან, კაპიტალიზმის არსება და ძირითადი ნიშნების შესახებ „კაპიტალის“ მოძღვრებიდან გამოსულმა, დაასაბუთა, რომ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობანი ვითარდებიან, რაც ქმნის პირობებს სოციალიზმის განხორციელებისათვის. „კაპიტალის“ იდეებზე დაყრდნობით ფ. მახარაძემ სწორად გაიგო ჩვენში კლასობრივი სტრუქტურა, კლასთა შორის დამოკიდებულების ხასიათი და ცალკე კლასების როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე. მან დაასაბუთა, რომ საქართველოს სინამდვილეში ყალიბდება დავითარდება მუშათა კლასი, რომელსაც ისტორია ამზადებს როგორც თანმიმდევრულ რევოლუციურ ძალას და რომელიც საქართველოს ისტორიაში ითამაშებს კაპიტალიზმის შესაფლავის როლს. რეფორმისტულმა სოციალიზმმა 90-იან წლებში მიიღო წვრილბურჟუაზიული კოოპერატიული სოციალიზმის სახე, რომლის მჭადაგებლად გამოდიოდნენ მთელი რიგი ქართველი ხალხისგან, მათ შორის დ. მახარაძე და სხვები. მარქსის „კაპიტალზე“ დაყრდნობით ფ. მახარაძემ ცხადყო, რომ მშვიდობიანი რეფორმების გზით საქართველოს პირობებში არ შეიძლება გადაწყდეს სოციალური პრობლემა და კოოპერაციის საშუალებით განხორციელდეს სოციალიზმი. ქართველი ხალხისგან წინააღმდეგ, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ფ. მახარაძის შრომებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მუშათა კლასის პოლიტიკური შემეცნების ამაღლებისათვის. მის ამ ნაწერებს მაშინ ფართო გასავლდა ჰქონდა ქართველ ინტელიგენციასა და მუშათა წრეებში. ფ. მახარაძე ბოლომ-

დე დარჩა რევოლუციონერი მარქსისტი, ის გახდა ცნობილი მოწაფე ლენინისა და დიდი როლი ითამაშა საქართველოში ლენინის იდეების გავრცელებასა და განხორციელებაში, სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებასა და სოციალიზმის მშენებლობაში.

დიდი რევოლუციონერი მარქსისტი, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „კაპიტალის“ იდეების პოპულარიზაციაში, იყო ალ. წულუკიძე. მან „კაპიტალის“ დიდი იდეების პოპულარიზაციას მოუძღვნა თავისი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“. ალ. წულუკიძე რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის მიზნით ფრიად სერიოზულ ყურადღებას აქცევდა „კაპიტალის“ შინაარსის პოპულარიზაციას ჩვენს მოწინავე ინტელიგენციასა და მუშათა წრეებში. მას „კაპიტალი“ მიანდა გენიალურ შრომად, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის ძირითად ინტერესებს და ამასთან გზას უჩვენებს ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობასაც. მსოფლიო მუშათა მოძრაობას რომ ჰყოლებოდა „კაპიტალის“ იდეების პოპულარიზატორების ღრმად განსწავლული კადრები, რომელთა მოღვაწეობის ერთ-ერთი უძირითადესი საზრუნავი იქნებოდა „კაპიტალის“ რევოლუციური შინაარსის გასაგები პროპაგანდა, „კაპიტალის“ იდეების შეტანა მუშათა მასებში, ეს მსოფლიო მუშათა მოძრაობის დიდ სერიოზულ, ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა, რადგან მუშათა მოძრაობაში მეცნიერული სოციალიზმის გამარჯვების, პროლეტარიატის მძლავრ ისტორიულ ძალად გადაქცევის ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანი იყო. მართლაც, ევროპისა და რუსეთის მოძრაობას მარქსის „კაპიტალის“ იდეების სახალხო პოპულარიზატორების სახელოვანი კადრები გააჩნდა. ერთი მათგანი და ისიც ბრწყინვალე ალ. წულუკიძე იყო. ალ. წულუკიძის კარგად ესმოდა რევოლუციური მნიშვნელობა იმ მოღვაწეობისა, რომელსაც „კაპიტა-

ლის“ იდეების სახალხო პროპაგანდა ეწოდებოდა და რომელიც მრითხავდა მარქსის „კაპიტალის“ სერიოზულსა და ნათელ ცოდნას. ალ. წულუკიძე ეკუთვნოდა იმ რევოლუციონერ მარქსისტთა ავანგარდს, რომელსაც ღრმა ცოდნა გააჩნდა „კაპიტალისა“ და ბრწყინვალე უნარი მისი პოპულარიზაციისა. ალ. წულუკიძის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ ის საინფუზო წიგნია, სადაც გასაგებად და ზუსტადაა გადმოცემული „კაპიტალის“ რევოლუციური იდეები. ამ მხრივ იგი თავისუფლად ამოუდგება გვერდში მსოფლიო კომენტატორული ლიტერატურის ნიმუშებს. მარქსიზმისა და „კაპიტალის“ შინაარსის ბრწყინვალედ მცოდნე, გამოჩენილი პუბლიცისტი ალ. წულუკიძე არა მარტო მარქსისტული იდეების პროპაგანდას აწარმოებდა, არამედ მარქსიზმს და „კაპიტალს“ უფარდებდა ქართულ სინამდვილეს. მან ი. სტალინთან, ფ. მახარაძესთან, მ. ცხაკაიასთან და სხვა ქართველ მარქსისტებთან ერთად გამოიყენა მარქსიზმი ქართული სინამდვილის ასახვად და ბრძოლის სწორი გზები უჩვენა ქართველ მუშათა კლასს. ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე მარქსისტული იდეების გამარჯვებაში ალ. წულუკიძემ ითამაშა დიდი როლი. მაგრამ, თავი რომ დავანებოთ ყოველსავე ამა, მარქსის „კაპიტალის“ იდეებით შეიარაღებულმა ალ. წულუკიძემ შეძლო არამარტო ქართულ სინამდვილეში გარკვეულიყო, გაერკვია სხვადასხვა კლასებისა და პარტიების პოლიტიკური პოზიციები და ყოფაქცევა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფეხურზე, ამასთან ერთად შესძლო გარკვეულიყო მის თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების რიგ თავისებურებებში, ეჩვენებინა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების აუცილებლობა. საქმე ისაა, რომ ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, სოციალდემოკრატიულ პარტიებში განვითარდა რეფორმისტული ტენდენციები იდეო-

ლოგიაში. მთელი რიგი მოღვაწეებისა, რომლებიც თავის თავს მარქსისტებად თვლიდნენ, დაადგა რევოლუციონერული რევოლუციონისტულ ვაზს იმ საფუძველზე, თითქოს მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, შეიცვალა კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციები და რომ იგი ვითარდება კლასობრივ წინააღმდეგობათა შერბილების გზით. ალ. წულუკიძის დამსახურება ქართულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო ასეთ ვითარებაში დამოუკიდებლად გაკვეთილიყო მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციებში, დარჩენილიყო რევოლუციონერ მარქსისტ მოაზროვნედ და ცხადყო სიყალბე რევოლუციონერული, ოპორტუნისტული თეორიებისა მის თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა შესახებ. ამას ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისათვის. ალ. წულუკიძე აკვირდებოდა რა XX საუკუნის დამდეგის მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარებას, ეყრდნობოდა რა მარქსის „კაპიტალის“ კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის თეორიას, აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმში წარმოების გამსხვილებამ, შრომის გამსაზოგადოებამ მალაღონეს მიადწია; წარმოების კონცენტრაცია, რასაც ზედმეტი ღირებულების გამოდევნება იწვევს, საფუძვლად დაედო კაპიტალისტურ გაერთიანებათა წარმოქმნას და მათი როლის ზრდას კაპიტალისტურ ეკონომიკაში. მაგრამ ქართველი წერილობურუბანი, ბურჟუაზიის იდეოლოგთა და სხვა ქვეყნების ოპორტუნისტთა წინააღმდეგ ალ. წულუკიძე შეინიშნავდა, რომ მონაპოლიათა ზრდა კი არ არბილებს კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს, არამედ ამწვავებს მათ; პირველ რიგში, ამწვავებს წინააღმდეგობებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. მისა სანაართლიანი აზრით, მონაპოლიები კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარებას კი არ იწვევენ, არამედ აღრმავებენ მისთვის

დამახასიათებელ ანარქიულობას და კრიზისებს. მონაპოლისტურ გაერთიანებებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დაწესონ მუშებისათვის დაბალი ხელფასი, ერთობლივად გააძლიერონ კაპიტალიზმი და სხვა.

„კაპიტალის“ იდეების ოსტატურ გამოყენებას წარმოადგენენ ცნობილი „პროკლამაციები“ ალ. წულუკიძისა, რომლებიც XX საუკუნის დამდეგს ბათუმში გამოიკა არალეგალურად. ამ „პროკლამაციებში“ ალ. წულუკიძის მიერ დახასიათებულია კაპიტალიზმი, განალიზებულია რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობა; ნაჩვენებია ცარიტული სახელმწიფოს კლასობრივი ბუნება, მეფის არმიის დანიშნულება; გამოაშკარავებულია მონარქიული რუსეთის დინამიკის, ვადასახადების კლასობრივი მიმართულება და მოხაზულობა ის პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატების წინაშე იდგა გადასაწყვეტად. „კაპიტალში“ მოცემული წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კანონზე დაყრდნობით ალ. წულუკიძემ სწორად გაარკვია საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებანი და ფაქტური მასალებით ცხადყო, რომ კაპიტალიზმი სოფლად სწორედ მარქსის მიერ დადგენილ კანონზომიერებათა გზით ვითარდება. საქმე იმაში იყო, რომ XX საუკუნის დამდეგა წერილობურუბანი და ბურჟუაზიული იდეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ „კაპიტალში“ განვითარებული მარქსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოფლად მოქმედებს წარმოების გამსხვილების კანონი, რომ სოფლის მეურნეობაშიც მსხვილი წარმოება აწინავეებს წერილ მეურნეობასო, საქართველოს მაგალითზე არ მართლდებო. აქედან გამოსული ისინი ასკენდნენ, რომ მარქსის „კაპიტალის“ იდეები საქართველოს პირობებში გამოუყენებელიაო. „კაპიტალის“ შინაარსის ღრმად მცოდნე ალ. წულუკიძემ ცხადყო არამეცნიერულობა წერილობურუბანისა და ბურჟუა-

ზიის ქართველ იდეოლოგთა თეორიისა წვრილი მეურნეობის სიმტკიცის შესახებ. სოფლად აგრარულ ურთიერთობათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, მან სწორად მოხაზა ის ამოცანები, რომლებიც ქართველ რევოლუციონერ მარქსისტ-ლენინელთა წინაშე იდგა გადასაწყვეტად.

ამავე დროს ალ. წულუკიძემ, ემყარებოდა რა მარქსის ლიტერატურულ შეხედულებებს, რომელმაც ნაწილობრივ გამოსახულება პირობა „კაპიტალიზმში“, გამოიყენა მარქსის მოსაზრება ლიტერატურის დანიშნულების შესახებ, როგორც ლიტერატურის კრიტიკისა, რითაც ხელი შეუწყო რეალისტური ტენდენციების განვითარებას ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, და ჰაღალ საფუძვრზე აიყვანა ქართული მარქსისტულ-ლიტერატურული კრიტიკა. XX საუკუნის დამდეგს, რუსეთის პირველი რევოლუციის მკვლელობაში, განსაკუთრებით, მისი დამარცხების შემდეგ, გამოდგინდა იდეოლოგიური ბრძოლები „კაპიტალის“ ირგვლივ. ამ ხანებში მარქსისა და მისი „კაპიტალის“ შეურთებულ მტრებად გამოდიოდნენ ქართველი ანარქისტები, მათ შორის, გამოირჩეოდა მსოფლიო ანარქიზმის ერთი ბელადთაგანი, ცნობილი ვარლამ ჩერქეზიშვილი და ძმები ცოცველიები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ევროპის ანარქისტულ მოძრაობაში (ვ. ჩერქეზიშვილი რედაქტორობდა ანარქისტების ორგანოს ლონდონში). ძინი საქართველოში და მსოფლიო ასპარეზზე ებრძოდნენ მარქსის „კაპიტალს“, მის ეკონომიურ მოძღვრებას, დიალექტიკურსა და ისტორიულ მატერიალიზმს. ვ. ჩერქეზიშვილი იყო შეურთებელი მტერი მარქსიზმისა და შეუნელებელი ენერგიით იბრძოდა ევროპაში თავისი საჯარო ლექციებსა და პუბლიცისტიკაში „კომუნისტური მანიფესტა“ და „კაპიტალიზმში“ განვითარებული ღირებულებებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიების წინააღმდეგ, მარქსის ძირითადი პოლიტიკური დასკვნების წინააღმდეგ. რუ-

სეთისა და ევროპის რევოლუციურ წრეებში ვ. ჩერქეზიშვილი სარგებლობდა ავტორიტეტით და ამიტომ იყო, რომ მის წინააღმდეგ საჯარო დისკუსიებში საფრანგეთში და სხვაგან გამოდიოდა გ. პლუხანოვიც კი. ანარქისტებმა რუსულ ენაზე და საზღვარგარეთ გამოცეს ვ. ჩერქეზიშვილის ბროშურებზე, მიმართული „კომუნისტური მანიფესტისა“, „კაპიტალისა“ და მარქს-ენგელსის წინააღმდეგ. ამ ბროშურებში, რომელთაც მსოფლიო რევოლუციონერები, ვ. ჩერქეზიშვილი ცდილობდა სახელი გაეტეხა მარქსიზმისათვის, დიდი დამსახურება გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი მარქსისტებისა, ლენინის მოწაფეებისა, განსაკუთრებით ი. სტალინისა იმაშია, რომ მათ გამოამჟღავნეს სიყალბე და მავნებლობა არამარტო ქართული ანარქიზმისა, არამედ ანარქიზმისა საერთოდ, რითაც საშუალება მოეპოვა ანარქისტულ პროპაგანდას ივალენა მოეპოვებინა მუშათა კლასის დიად განმთავისუფლებელ მოძრაობაში. ამასთან ერთად, საქართველოში ამ პერიოდში თავი იჩინა „კაპიტალის“ იდეების მენშევიკურ-ოპორტუნისტული გაგების ცდებში (ნ. ყორდანი და სხვ.) ქართული მენშევიზმის ამ სიყალბეთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი ბოლშევიკები, დიდი ლენინის გამოჩენილი მოწაფეები, რომლებიც განსაკუთრებული ენერგიითა და თავდადებათ იცავდნენ „კაპიტალის“ რევოლუციურ იდეებს ოპორტუნისტულ დამახინჯებათაგან. უნდა აღვნიშნოთ, რომ შემდგომში ქართველმა რევოლუციონერმა მარქსისტებმა და გამოჩენილმა მოწაფეებმა, „კაპიტალის“ იდეებით შეიარაღებულებმა, დიდი როლი ითამაშეს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, პირველ რიგში, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში. „კაპიტალის“ იდეების საფუძველზე გამოიკვლიეს მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტებისა იმპერიულიზმის პირობებში, რითაც წინ წას-

წიეს მარქსიზმი და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა.

მარქსის გენიალურმა ნაშრომმა, რუსულად თარგმნილმა „კაპიტალიზმის“ დადამდ შეუწყო ხელი საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციას გამხდარიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთი მოწინავე რაზმთაგანი. „კაპიტალის“ ქართულად თარგმნამ, რაც 1930 წელს განხორციელდა, გააძლიერა მშრომელთა მასებში მარქსისტული იდეების გავრცელება, აამაღლა რევოლუციურ-დემოკრატიული და პოლიტიკური აზრი. „კაპიტალის“ ქართულად თარგმნა გერმანული დედნიდან უაღრესად დიდი მოვლენა იყო ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. ქართულ ენაზე მარქსის „კაპიტალის“ ოთხივე წიგნის თარგმნა ჩვენი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების სიმწიფის მანიფესტებული იყო. „კაპიტალის“ ქართულად თარგმნის შედეგად, რამაც მეცნიერთა და მთარგმნელთა კოლექტივის საკმაოდ დიდი დრო წაიღო, დაიხვეწა ქართული მეცნიერული ენა და მეცნიერების მრავალ დარგში ჩამოყალიბდა ზუსტი ტერმინოლოგია, პირველ რიგში, ეკონომიკური, ფილოსოფიური, იურიდიული, ლიტერატურულ-ტექნიკური და სხვა. ამა-

ვე დროს შეიქმნა ქართველი მოსახლეობის მიერ „კაპიტალის“ იდეების დრმად გაცნობის მასობრივი შესაძლებლობა. „კაპიტალის“ თარგმნის პირველ გამოცემას სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი-მარქსისტი მალაქია ტორიშელიძე. მალაქია ტორიშელიძესთან ერთად ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ ქართველ ეკონომისტს, განსვენებულ პროფესორს ფილოპე გოგიჩაიშვილს, მარქსიზმის კლასიკოსების მთარგმნელს, ცნობილ ფილოლოგსა და ეკონომისტს დოც. პავლე იაშვილს, ბ. რამიშვილს და სხვებს. ქართული თარგმანი ნაწილობრივ იმით გამოირჩეოდა რუსულისაგან, რომ მასში გასწორებული იყო ის შეცდომები, რომელიც ცნობილ რუს მოღვაწეს სტეპანოვ-სკვორცოვს გაეპარა რუსულ თარგმანში.

მარქსის უკვდავ ჭმნილებაში „კაპიტალიზმში“ განვითარებული იდეები წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეცნიერულ საფუძველს და შორს არ არის ის დრო, როდესაც „კაპიტალის“ იდეები მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებენ, როგორც გაიმარჯვეს და განხორციელდნენ დიადი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა კავშირისა და საბალხო დემოკრატიის ქვეყნებში.



„მთვარის მოტაცების“ მედიტაცია

1. პოეტის სიკვდილი

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი ამბები ძირითადად ერთი წლის მანძილზე ხდება — 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე. ზოგიერთი რეტროსპექციული უკანდახევა (მაგალითად, თარამ ეშვარის დღიურში ნაამბობი) არ ცვლის დროს საკითხს. მართალია, ამ დროს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა უკვე ამ წელს ითვლიდა, მაგრამ დამარცხებული ეპოქის სიკვდილი ვრძელდებოდა. როგორც ვიცით, დამარცხება ჯერ კიდევ არ არის სიკვდილი. დამარცხებულს, თუკი მას სასიცოცხლო ენერჯია კიდევ აქვს შენარჩუნებული, ისე შეუძლია ძალია მოიკრიფოს და გამარჯვებულს ხელმოერედ შეეხას. ვინ იცის, ამ მეორედ შერყინების დროს, დამარცხებულმა შეიძლება გამარჯვოს და გამარჯვებული დამარცხდეს. მაგრამ 30-იან წლებში საქმე ასე საკომპანოდ უკვე აღარ იყო: 1921 წლის თებერვალში დამარცხებული ეპოქა საბოლოოდ სულს დაფარდა. მეორედ შეპრაღების თაგი და ვნერჯია მას უკვე აღარ ჰქონდა. ურთადერთი, რაც დამარცხებულ ეპოქას დარჩენოდა, სიკვდილი იყო და ისიც კვდებოდა.

მაგრამ ეპოქა განეწინებული, ცარიელი ცნება არ არის. ეპოქა ადამიანებია, საგნებია, შექედვლებათა სისტემაა, ადამიანთა შორის კავშირია. და როცა ეპოქა კვდება, მასთან ერთად ირდევება და კვდება ვველაფერი ეს. სიკვდილი კი ყოველთვის აღიქმება როგორც ტრაგედია, რადგან არყოფნაში გადადის ის, რაც ცოცხალი იყო, რაც არსებობდა თავის ავითა და კარგიით, რასთანაც დაკავშირებული იყო ადამიანთა ბედი. ეპოქის სიკვდილი ტრაგიკულია მით უმეტეს, რომ კვდება არა მარტო ის, რაც უკარგისი და მახინჯია, არამედ მშინად ისიც, რაც კარგისი და მშვენიერია.

ეპოქის სიკვდილი გრძელი, რთული და მრავალფეროვანი პროცესია. ამ პროცესის გადმოსაცემად „მთვარის მოტაცებაში“ მრავალი ადამიანის სიკვდილია აღწერილი. როგორც სხვადასხვაგვარი იყო მათი ცხოვრების ფორმები, ასევე სხვადასხვაგვარი იყო მათი სიკვდილიც.

გულმწიფად თავმოდრეკილი შეეხება სიკვდილს მათი უშვარი. „მათი ოქტომბერში გაყავდა. შამათ

სადამოს ილოცა, ჩაწვა ლოვინში და მეორე დღეს მკვდარი იპოვნა ცირუნიაში იგი“ (III, 51. ქვემოთ ყველა ციტატა მოტანილი იწებება „მთვარის მოტაცების“ 1936 წლის „შედგრაიისეული“ გამოცემიდან. რომელიც ციფრი ტომს აღნიშნავს, არაბული — გვერდს). „მივედი დილით, დიდხანს ვაღვიძე, ადექი-მეთქი სულ, ხმა არ გაიღო, ნათელი დაადგა მის სულს, ისე სატყაყად და კობხად ეძინა, როგორც მას სჩვეოდა, ნათელი დაადგა მის სულს“ (III, 177).

მათი ეშვარს არც ძალია შესწევდა და არც სურვილი ჰქონდა თავის კლასის გადარჩენისათვის ებრძოლა და ეხრუნა. მას უცხოეთში გადასვნილი ქმრისა და შვილის ბედი აწუხებდა. თუკი მისი თარამი ბედნიერი იქნებოდა, იგი არას დაიდევდებოდა ვარდანიძე-ეშვარების ვეარის კლასობრივ ტრაგედიას. მისი არსება შვილის სიყვარულით ცხოვრობდა და არაფერი აკავშირებდა — არც მტრობა, არც სიძულელი, არც მოყვრობა და არც სიყვარული — იმ სოციალურ ძვრებთან, რაც 20-იან წლების საქართველოში მოხდა. იგი, დადინის ასული და ეშვარის ცოლი, ლოპინარის წყენით ირწმუნდა თავს, იღონდ მისი თარამი კარგად ყოფილიყო. და, როცა თარამი ეშვარის სიციცხლის გზა გაურკვევლად დაინისდა, მათი ეშვარს უკვე ამ ქვეყანასთან აღარაფერი აკავშირებდა. უღრტყენველად მიიყვალა ბიძია ქაიხოსროც: „ძია ქაიხოსრო ფერისცვალების დღეს მოთუღიყო მათის ხანხანავად. ცირუნისას ატად ნაყოფითი ყურძენი მიერთამა. სადილობისას ქათმის ერთი ბარკალი შეუტამა მითია ქაიხოსროს, ერთი ჰიკა ლეინო დაუღვეია, ერთი მარცვალი უგვინია მწიფე ვურძინსა... მერმე ემანდ მუთაქანზე მიეძინა ბედმავე და სულე ზედ არ აყოლია უკანოს“ (II, 239). ეს ითი ადამიანი ლანდითი უკავდა თავის ეპოქას, რადგან სხვა ცხოვრებას მათთვის დანიშნულება და აზრი არ ჰქონია.

რომეფან ფარჯანისანი დამარცხებას შევეუბოდა, რადგან დამარცხება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ღირსებას. ჩამორთმევას. ამასთანავე ღირსებას იგი მწარე იუმორითაც იწარჩუნებდა. იუმორით იგი უპირატესობის შეგნებას არ კარგავდა, მაგრამ მისთვის ყვე-

ლაფერი გათავდა, როცა დაამყირეს, როცა მისი ქალი ანული უფრო მანჯალაძეს მისხმოდა. დამარცხება და დამყირება ბერიკაცმა ერთად ვეღარ აიტანა და თავი მოიკლა (II, 231), რადგან ბრძოლასთვის არავის მოუშადათა იგი და მასაც არამოდეს უფიქრია ამაზე. მისი სიკვდილი უძღურების პროტესტი იყო.

ასეთვე უძღურების მაწვენებელია ქორა მახვმის სიკვდილიც. არამარტო ხასიათი და თვისება ქორა მახვმისა, არამედ მისი გარეგნობაც გარკვეული ეპოქის გამოხატულებაა. „იგავნიწვედნელი დიდებულება გამოკრთოდა მის პატრიარქალურ წვერებსა და მღვეურ გარეგნობაში. აღმოსავლეთში წარმოუდგენელია ამ ომამიანობის გარეშე რომელიმე ტომის, ფენის, ან გვარის მეთაურობა. ღრმა მიწარწილებასი მასხელ მოზუეს საიერად მოვლილი თან-წვერი მოსავდა. ეს იყო წვერ-ულავში ტურპირის გარშემო შევიდოლებოდა. დამწვარი ვერცხლით შეშკული სატყვარი ორი ზღლის დადგმა იქნებოდა. ხოლო ქაშარი, ქაშარს ნულარ იეთხავთ. ზღვის კაშილებსდარა ვერცხლის ფიგურები მიკრთო მიწყობილად, გარს ვეღვობდა ქაშარს და გვერდებში საქონებზე და სულეკურ ვეიდა. თავებისფერი ჩოხა კვება მახვმს და ამავე ფერის საჭიჭები სენარ ჯამბარლებამდის სწედებოდა“ (III, 37).

ქორა მახვმი განუერვლად, როგორც სულიერად ისე ფიზიკურად, შერწყმია თავის დროს. ცხადია, როცა დრო გამოიცილება, დაწყდება და მოკვდება ქორა მახვმის ყველა სასიცოცხლო ძარღვი. დროს გამოიცილა არ ნიშნავს სოციალიზმის სიტყვიერ აღიარებას. ამიტომ მახვმი ვულწინებდად იტანს ორ კომპაგნირებს — შვილიშვილ საურის და სტუმარ არხაყს ზეამიანის. ამით არსებობა ჯერჯერობით ნომინალურად ნიშნავს ახალ დროს. მაგრამ როცა მოვა გზა, მაშინ კი შევიცლება დრო, რადგან გზას მოყვება სხვა რწმენა, სხვა საგნები, სხვა ზნე-ჩვეულებები, სხვა წესი ცხოვრებისა. ამას საოცარი გამჭრიახობით გრძობს ბერიკაცი: „როდესაც გზა რემ კომპამდის მოვა, მე აღარ მინდა ვიცოცხლო“ (III, 90). იგი ბიბლიური სიმშვიდით ელას სიკვდილს, რადგან მისთვის სიკვდილი შეგება გარდაუვალის წინაშე იგი მართლაც იმ დღეს მოკვდა, როცა გზის მშენებლებმა ნადებმა ნაწილკვილართან ააფეთქეს და ლაფარიანების კომეს მიაღწინ (III, 156-157). ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ქორა მახვმს სურვილი და წინასწარმეტყველება აუბნა, არამედ იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სიმბოლურად იმდღესვე მოკვდა ძველი ეპოქის სენაქონი და მეორეც, ქორა მახვმში ადამიანი და დრო შერწყმულიყო და ერთარსებად ქვეყლიყო. მათი გათიშვა შეუძლებელი იყო.

ქორა მახვმის სიკვდილი ტრაგედიაა იმ კაცისა ვისაც სიკვდილი დაუვებანდა, რადგან თავის დროზე სიკვდილი ზედწიერების ერთერთი სახეობა ყოფილა. ლაფარიანების მახვმსა მისთვის განკუთვნილი ეპოქის სამაშას გადააბიჯა და სიყაროვეში აღმოჩნდა. ყველაფერი, ჩოთაც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, რასაც შექვევლია იგი, იქნება ეს თვითიფრი-

ნავი, გზა, გემი თუ სხვა რამ, მიშის ზარს სცემს ბერიკაცს. მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები მარადიული შიშის მისთვის უნაერას. შეუწვედნელია და შეუწებობის წინაშე. ამ შიშში დალია მან სული. მიწა თავისას მოითხოვს და ქორა მახვმს დაუვებანდა მიწისებენ მიზრუნება, რამაც განამირობა მისი აღსასრულის ტრაგედია.

ის ადამიანები, რომელნიც უკვე მოვისენიები (მაია, ქაბობრო, ნომრევან ფარჯანიანი, ქორა მახვმი), ეპოქის სიკვდილის მახვერბლნი არიან. მათ აქტიური ბრძოლა არ ვუხმართავთ არც ეპოქის დასაცავად, არც საგუთარი არსებობის შეანარჩუნებლად. ეს ბრძოლა მიზანდაკარგული იყო. ქვეშევრულებად მათ ეს გაიგეს და ამდენად ნებაყოფლობით ერგოთ ზეარაკის როლი. მათი ზედი ტრაგედულია, როგორც, საერათოდ, ყოველი ზეარაკის ზედი. ერთი შეხედვებით, მათ სიკვდილი არ მომხდარა ფიზიკური ძალდატანებით, მაგრამ არც ბუნებრივი, თავის დღით სიკვდილია მათი განდაცვალება. რადგან მათი სულიერა სიწყაროს შერყევა მოხდა ძალდატანებით. ისაღა იმპორს მათი სულის გარდაქმნისათვის, მათთვის ახლოზელი და შეჩვეული ყოფის შესაცვლელად. ამ სულიერი ტრაგიკის გადატანა ვერ მოახერხეს და მას ემახვერბლენ კიდევ, არცერთ მათგანს რომანში დიდი როლი და ადგილი არ უჭირავს, მაგრამ ზუსტად ქმნიან ეპოქის ატმოსფეროს, საერთო ტრაგიკულ განწყობილებას, ფერსა და ცხოველყოფილობას ანიჭებენ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ატმობილი ბრძოლის მარად ძველსა და მარად ახალ ამბავს.

პერსონაჟს ამ რიგს ვუთმობს ლომკაც ქვანჯიაც, თუმცა იგი ბევრად აქტიურია მათზე და თავისი პოზიციებიც ნებით და უბრძოლველად არ დაუშობია. ლომკაც ქვანჯია ღვიძლი შვილია სოციალურად თავდაზნაურულ-ბურჟუაზიული საქართველოსი. არავინ და არაფერი გაამნდა ლომკაც ქვანჯიას: „არამც თუ ნათესავი, თანაგბილაც არ შერწნოდა 120 წლის მოხუცს. თიღუშის ასი წლის მანძილზე გიორგობის წინა დღეს ილორის ტაძარში ამწვედვედნენ ლომკაც ქვანჯიას. მეორე დღეს დაგარდებოდა და „ამცობდა“ ხალხს წმინდანის ნებას. დიდუხის ქურთვიც ქვანჯია იყო, დარისა და ავდრის უშუალო მაცნე... ქვამამიაც იგი იყო, ბალახებით მკურნალი, შესანიშნავი დისტაქარი და შემოლოცული. თანამარად ებრძოდნენ ლომკაც ქვანჯიას, როგორც ძველი დროის ქრისტიანი მისიონერები, ისე ახალი დროის ექიმები, კომუნისტები და მახვმელები. საოცარი ის იყო, წმ. გიორგისა და მუხის ეკლესიის დიდი ქურთვი ქრისტიანობაშივე ეთიბრებოდა ძველსავე ყველაზე „მართალიდებულ“ დეკანოზებს და ეს სატყვიანი მოგვი ჰრასტესა და წმ. გიორგის ნების მერვედ სოფლიდა თავის თავს ამ „ყოფილ მიწაზე“ (III, 196).

ზოგჯერ ყველაზე გამჭრიახი, ქვეიანი და გვილი-გორიერი ადამიანიც კი ებღვეება ანსებობის იმ

ფორმას, რომელიც ღრმად განწირა. ეს ხდება არა იმიტომ, რომ ამ ადამიანს განწირვის პროცესი არ დაუნახავს ან ვერ შეუღწია, არამედ იმიტომ, რომ არსებობს იმ განწირულ ფორმასთან არის დაკავშირებული მთელი მისი შეფენებული ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში არსებობის განწირულ ფორმაზე უარის თქმა უფროს საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმას, რადგან სხვა სიცოცხლე მას არ ჰქონია, მით უმეტეს, თუ ადამიანი ხანდაზმულიც არის. ხანდაზმულობაში ახალი ცხოვრების დაწყება შეუძლებელია. ამისთვის აღარც ფიზიკური ძალებია საკმარისი და აღარც სულიერი. ადამიანი უბაღუტება მიჩვეულსა და ნაცნობს, თუმცა ამ მიჩვეულ და ნაცნობ ცხოვრებას მისთვის დიდი სიკეთე და ზედნიერება არ მოუტანია. ასეთ მდგომარეობაშია ლომკაც ესეანჯია. 120 წლის მოხუცს აღარ შეუძლია ახალი ცხოვრების დაწყება, თორემ კომუნისტებისთვის დასავალი მას არაფერი აქვს. ქონება არ გააჩნია, ოჯახი არ ყავს და თანამდებობა არასოდეს ჰქონია. ერთადერთი რითაც სულდგმულობდა, რწმენა იყო — ნახევრად წარმართული, ნახევრად ქრისტიანული რწმენა. მას ამ რწმენისათვის ძველ დროშიც გერძოდნენ და ახალ დროშიც ებრძვიან. ასე რომ განსხვავება აქ თითქმის არ არის. ამიტომ მთელი მისი ბრძოლა შეჩვეული უკუღმართობის დაკვაა. მაგრამ ბერკაცს დიდხანს აღარ ეყო ძალა მის დასაცავად: იგი მიიყვალა ტვინში სიხზლის ჩაქცევათ (111, 233).

ლომკაც ესეანჯიას ცხოვრება ტრაგედია იმ კაცისა, რომელიც იბრძვის იმის დასაცავად, რაც მას არსებითად არასოდეს ჰქონია, მაგრამ უმძიმს არსებობის შეჩვეული ფორმის დათმობა.

არიან ადამიანები, რომელთა მიმართ თანაბრად უსამართლონი არიან ღმერთი, ბუნება, სოციალური სინამდვილე და ადამიანები. მათ უარი ეოქნათ ამქვეყნიურ ვეღვა სიამეზე. შოლოდ უსამართლობა, დამცირება, დაპატივება გამადარა მათი ზვედრი. მიუხედავად ამისა, ისინი არიან ვეღვაზე ერთგულნი მოყვარულნი მწაგვრელისა. მათ არასოდეს გაუღლიათ გულში მტრობა და სიძულვილი. ისინი წმინდანის მოთმინებით იტანენ მათზე დაკისრებულ კართებას. ისინი მუდამ უარესის მოლოდინში არიან და უკეთესის იმედი სამუდამოდ წარკვეთილი აქვთ.

ასეთ ადამიანებს გუკეთნის ლუკაია ლაბახუა.

გიორგობის დღეს მას ილირის ტაძრის კარებში დაამხოზდნენ და დიდი და მცირე გადაჯვავდა და ისე შედიოდნენ ტაძარში (1, 219) მაგრამ ლუკაიამ სიკვდილის დღემდე შეინარჩუნა სიყვარული და ერთგულება ქრისტიანული ჯგუფის მიმართ.

ბუნებაში იგი მასინჯი გააჩნია: „ტანად გოჯა იყო ლუკაია. ძვალმსხვილა, გრძელწვერა, კისერმოკლე, ლაწმალადი, გრძელხელა და მოკლეხეხება. მარჯვენა ფეხი მოქცეული ჰქონდა, მარცხენა მხარი ამოყარდნილი“ (1, 44). მაგრამ ლუკაიას არასოდეს უთქვამს საყვედური ბუნების მიმართ — ეგზომ მასინჯი რად გამჩინეო. იგი სიყურაქეაყ მოწამებრივი მოთმინებით იტანდა.

ღედა გაუყიდეს ლუკაია ლაბახუას. თავად ვი მს-

ხარად და გასართობად ყავთ ადამიანებს (1, 153-154; 1, 217; 1, 241; 11, 249). არეინ არის მისი მომწერებელი, არეინ ეუბნება მას ტყბილ სიტყვას (შოლოდ ორ კაცს ეყოლება იგი—თამარ, მარგარიტა და თარამ ეშვარს), არაგის აწუხებს მისი ზედი. მაგრამ ამასაც მოთმინებით იტანს და არც ამის გამო ამბობს საყვედურს.

მთელი სიცოცხლე ტარიელ შარვაშიძის ოჯახის სამსახურში გაატარა. მადლიერების მაგიერ ურტყამდა, სცემდა ნახუცარი, მაგრამ შარვაშიძეების ოჯახს არ ჰყოლია ლუკაიაზე უერთგულესი კაცი. მას არც შარვაშიძეების ოჯახის მიმართ დასყდენია რაიმე საყვედური.

ყველა ბოროტების მიმართ დამუნჯებულმა კაცმა ერთადერთიხელ საკუთარი სიცოცხლე დასაწყველა შიშოლოდ.

და ეს მოხდოდა ლუკაია ლაბახუას არა იმის გამო, რომ იგი შლე და ლენში იყო, არამედ ზედამწერისადმი უკიდურესი შორჩალების შედეგად, თორემ თავისი მფლობარობა ლუკაია ლაბახუას ისე ნათლად და შეგნებით აქვს წარმოადგენილი, რომ გვერნებთ მისი გონება მასტიკურად ნათელმზილველია. ამა, ვის შეეძლება, თუ არა ნათელმზილველს, ასე გამოეტირა თავისი ზედამწერი ცხოვრება?

„არ მისულიყო ამ ქვეყნად სინათლე ნეტავი, სიცოცხლე ლამის ჰყოლიდა უბნში...

ასე ერჩინა ლუკაია ლაბახუას.
ამიტომაც მორგავდა.

როკავდა.
რეკავდა.
აქ გაიარა მისმა სიჭაბუკემ, ამ ცაყცეებისა და ჭადრების რძილიში.

ილორში ცხოვრება მოაგონდა, მოსაწყენი და ვრძელი, როგორც თორმეტი საბარების კიბობა ვნების გონაში.

ახლა ოქნეი...
დეკანოზის ჰირველობა...
გინება...

ლანძღვა და ფეხების ფტანა...
ოქ, ცაო, მალაო,
ოქ, მრუმე ლამვე,

წყველიმც იყავ
სანგრძლიეო სიცოცხლე!
და კრული სიმბრე, სხვის სახლში სიმბრე...

დაცინება...
გვემა...
ნარჩენი ულუფა...

ოქ, ცაო მალაო,
ოქ, მრუმე ლამვე
წყველიმც იყავ
ხანგრძლიეო სიცოცხლე!

აენთო მის გულში შურისგების გრძნობა. მაგრამ ვისზე იმის შერზე მან შერი?

ეს ქვეყანა, — ფიქრობდა, ლუკაია, — არ ღირებულაო ნიერის ნაჭურყვენად.
ღმერთო?

რა ღმერთი? დაეცილი გრუნა ეს უცნაური მიწაც და წვივისფერი ციონიც.

როკავდა, რკავდა ლუკაია ლაბაზა, რადგანაც ღმენა გამოლოდა ამ ქვეყნად. არც არავის უყვარდა, არც არავინ აფასებდა და მეწყვეტს წაეღო მისი წილი მიწის ნაჭერი. ყველასათვის უცხო და მოუსაფარი, იღვა და რკავდა სამარცხლოს ბნელ თაღს ქვეშ, ცაო მალალო, მამ, მრუმე ღამე, წყველიმც იყავ

სანგრძლივო სიცოცხლე" (1, 248-249).
ლუკაია ღამაშუმ სიყვდილიმაც სიყვარულისა და ერთგულების წმინდა მაგალითი აჩვენა: მან იმ დღეს მოიქცა თავი, რა დღესაც თამარ შარვაშიძე მიიყვანა (111, 229-230).

ლუკაია ღამაშუმს ცხოვრება ტრაგედიაა კაცისა, ვინაც მხოლოდ ერთგულება და სიყვარული ასწავლა არსთავაგმირებში, სამაგიეროდ კი არგუნა მარტოობა. უსიყვარულობა, მოუსაფარობა და დამცირება. ეს არის ტრაგედია ქრისტეს ბუნების ადამიანისა: ყველა სულელი ბაღა და სათბო გაიღო სხვებისთვის და ამ სხვებში იოტის თედნა მადლიერების გრძობითაც კი არ გადავიგდნოდნო სამაგიეროდ.

მოწყვედაც ეპოქათან არის გადაჯაჭვული თამარ შარვაშიძის ბუდიც. მისი ქალობა, სიღამაშუ და სათნოება ორი მამაკაცის — თარაშ ეშვარისა და არზაყან ზეამზაიას — საცილობელი გამზადარა ორი ეპოქის შიჯანზე. პირველთან მას ავაემირებდა გვარშიველობა, აღზრდა, შეხედულებანი, ცხოვრების წესი, მეორესთან კი — ყველაფერი ამისი უარყოფა. ასეთი იყო ეპოქის მოთხოვნილება და არზაყან ზეამზაიას სურვილიც.

გაუთუბში ხატავენ მის სურათებს და მთავრობა სიგელებს უბოძებს არზაყანს. არზაყანს შრომის გირის საპატრო საბელი შესთავაზეს კოლხიდის სიგელსთან გმირული ზრდილისათვის“ (I, 115). ამგვარი ოცნებები თარაშისათვის „ლოფორთქინას ამბავი, საყოფადი ლოფორთქინას საბიჯლის ამბავი, ერთ ცოდას გაივლის ლოფორთქინა, მერმე ვინმე ჰრდილის კაცი გამოივლის და გასრისაჲს ტყრფით. მშვიდობით მამინ ლოფორთქინა და მისი სუხუღას“ (III, 124).

არზაყანის სულიერ მისწრაფებაში ყველაფერი კონკრეტულია — მეცნიერად გახდომა, ცოების წინააღმდეგ ბრძოლა, გაუთუბში სურათების დასატყვა, ნიაჭობის სიგელი, შრომის გმირის წოდება, არზაყანში არ არის არავითარი დაქვეება, არავითარი გაორება, არჩევანი ნათელი და ვარკვეულია. აქ თავისთავო უკვე ნამოწონია და ძიება აღარ არის საჭირო მიზნის მისაღწევად. საჭიროა მხოლოდ შრომა და არზაყანს კი შრომა არც უჭირს და არც უნარება. მართალია, მის ოცნებას პრიმიტიულობის დაღი ახის, მაგრამ ამ პრიმიტიულობას აქვს ერთი დიდი უპირატესობა: იგი მთლიანი და მტკიცეა.

ამ მთლიანობისა და სიმტკიცის შედეგია ის, რომ არზაყანს ოდნავადაც არ განუცდია ყმაბლთა მეთურის მოკვლა, თუმცა მოტყუებით გააკეთა მან ეს (II, 39). არც ლომაცია ტარბას მოკვლას შეუწუებია იგი. მან იცის ელემენტარული ჰუმანიტეტება—მტრის მოკვლა ვადაბარათელია. უფრო მეტიც, იგი არც მამის შევლლობაზე დაფიქრებულა. მართალია მამის დაღუპვით შეწუბა როგორც შეილი, მაგრამ მოვლენის არსში ჩაწვდომა მას არ უცდია. პირიქით, ტყუილისაც კი არ სცხვინია. თარაშის მოტაცება (III, 166-167) და ძაბულიც (III, 173)—ტარბებში მოვლელიც მამა. არზაყანს არ უნდა არჩეული გზიდან გადახვევის თუნდაც სურვირმა ტყირობა ან სინდისის ყვილია. თარაშ ემზარი კი ტრადიკულად განიცდის ყამლეთ ტარბას მოკვლას, თუმცა ესეც მტერი იყო. ამის გამო მას თმაც გაუთუბდა (III, 25) და შეტრწუნებულა მოკლულ ფრანგელშიც კი ყამლეთ ტარბას სულის მიგრაციას ეძიებს (III, 76). დამეც ხშირად ამბობებს, და სისტილი არ დაღუპროთო, ყვირის (III, 39).

თარაშ ემზარის გაფაქოზებული და მრავალფეროვანი სული მარადიულ წუხილს განიცდის. არზაყან ზეამბიას მთლიანი და პრიმიტიული სული კი მშვიდია და მტკიცედ მიბაძრებს მიზნისაკენ. ბეყრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ვერც ეს ორჯულიანი ხასიათისა და განსხვავებული სულები მოასერებენ. ნდუნ მორიგებს და მათ შორის შედამ იქნება მტრობა.

თარაშ ემზარი სულიერი კულტურის მწვერვალის მისწვდა, შეიცრო და შეითვისა იგი. მაგრამ ამ უპირმაზარმა სინათლემ შეაშინა და დაბარმავ:

ეს „მე სომ თხუნელა ვარ, ბეყრი თხუნელა“ (III, 134). ცივილიზაციის სენმა (ფარაშის სიტყვებით) მას ამაოებაზე აფიქრებინა, კიდამიწი მოტყუნს რომ გაივრებ, მოტყუნაურისა და სვედენმორის წიგნებს წაიკითხავ, ათენისა და პომპეის ნანგრევებს ნახავ ან როგორ გაიხარებ. პირველად ჩემს სიყოცხლემი მოტყუნის მუნიკამ და მოტყუნაურის კითხვამ მათქერებინა სიკვდილისათვის“ (II, 89) მან თანამედროვე ავადმყოფური ცივილიზაციის (რითაც იყო დაფადებული) უარყოფა მოიწადინა და თავისთავში პირველყოფილი სიჯანსაღის აღდგენა მიინდობა.

არზაყანისათვის ყველაფერი ეს უცნობი და უცხოა. თუ ცივილიზაციის დიდმა სინათლემ თარაშს სიჯანსაღე და პრიმიტიულობა მოანატრა, კულტურობის სიბუნლემი დიდბას ყოფნამ არზაყანში სინათლისაკენ დაუოცებელი მისწრაფება წარმოშვა. იგი განათლებას და ცოდნას მივლტვის (I, 115), კულტურა ენატრება (III, 163), მაგრამ ამ მისწრაფებას თავისი მოზიცივა აქვს: არზაყანის საოცრეობი ცივილიზაცია უტილიტარულ-პრაქტიკული მიზანბისა და ხასიათისა არის. არზაყანს არასოდეს არ უფიქრია არც მოკვლა და არც ვაგვარე, არც პლატონსა და არც ფოთეზე. მას უნდა წინ წარუძღვს ანტირეგბის, მოფრების, პილტების ლევიონებს, ტრაქტორებს, მანქანებსა და ლოკომოტივებს, რათა ახალი სამყარო ამუნდეს. ქვეყანა შეიცვალოს და ახალი ყოფა დამევიდრდეს არზაყანის პრაქტიკული თვლი კარგად ხედავს ეპოქის მოთხოვნილებას და უმეღარი ანსტიტეტო სწორ გზას უჩვენებს.

ამ შემთხვევაშიც ორჯული დამოკიდებულება და ორი საპირისპირო კრელო გამოშვადანეულებლი. მათი შერიგებაც შეუძლებელია. ამ ასპექტშიაც არზაყანი და თარაშ დაუბანებელი მტრები არიან. ამ ორი განსხვავებული მრწამსის ადამიანს, ცხადია, ცხოვრების გზის დასასრულიც სხვაგვარი უნდა ჰქონდეთ: ერთთორი აუცილებლად უნდა დაღუპოს. ეს არა იმიტომ, რომ ერთ სინამდვილეში ორი შერეუბებული მოვლენა უფო იარსებებს, არა, ასეთი რამ დასამშვებია და ხდებაკიდევ. დაიღუპება იმიტომ, რომ თარაშ ემზარის მრწამსი თავისთავში შეიქ ფს მომაკედინებულ დაყადებას და ხასიყოცხო აუცილებელ თვისებები არა აქვს. როგორი ავადმყოფური სენიე არ უნდა იყოს ცივილიზაცია, კულტურა კაცობრიობა. მისზე ხელს არ აიღებს. პირიქით, კიდევ უფორღმად შეიწოვს და შეისისხლხორცებს მას. ამიტომ იყო თარაშ ემზართან კამათში მართალი კაროლინა შარკამიძე. როცა —სწერდა მას: „დაბ, ავადობაკულტურა. კულტურობაკ სიჯანსაღე მერმე რაკ ეს რომ ასე? შექსპირი, ვაგვარი და მოკენი თუ ავადობაკ, ეს არც ისე ცუდი სენი ყოფილა“ (III, 205). ამიტომ უწოდა იმევე კაროლინამ არზაყანს ნათელაზრინებინა და პროგრესული აზრების კაცე (I, 64). თუმცა კაროლინას ადამიანური სიმპატეები, სიყვარ-

რული და თანაგრძნობა ყოველთვის თარაშის შიშარეს იყო და არა არსაყანის. ამ ქალის დამოკიდებულებაში ამ ორი კაცისადმი განზოგადდა მათდამი მკითხველის დამოკიდებულებაც. შვითხვეული ნათლად გრძნობს თარაშის უპირატესობას, მის სულიერ და გონებრივ სიღრმეს, უყვარს და მოსწონს იგი, მაგრამ მისი აზრების თანაზიარა, ერთგული და მოკავშირე არ ზღვება. ასევე ნათელია მკითხველისათვის არსაყანის პრიმიტიულობა, სულიერი და გონებრივი ჩვეულებრიობა. იგი არც სიყვარულსა და თანაგრძნობას იმსახურებს შინაყვამინც, მაგრამ მისი სიმართლე რომ ცხოვრების სიმართლეა, ესეც აშკარაა. ამ სიმართლის უარყოფა კი შვითხვეულს არც სურს და არც შეუძლია. მათდამი დამოკიდებულების საკითხში შწერალიც ამავე პოზიციასზე დგას. მას თარაში უფრო უყვარს, მაგრამ მაინც ორჯერ გაიმეტა სასიკვდილოდ: ერთხელ თავად ესროლა (II, 49), მეორედ კი ვნებურის ამობოქრებულ ტალღებში დააბრუნა. რადგან შწერალს არ შეეძლო გადაერჩინა ის კაცო და ის შწერაში, რაც თავისთავში ატარებდა სიკვდილის აუცილებლობას. მიუხედავად არსაყანისადმი ცივი ობიექტური დამოკიდებულებისა

(თუმცა კ. გამაზურდიას არ დუშურებია თბილი საღებავები არსაყანის ხატვის დროს, მაგრამ მაინც შწერლის გულის სითბო ესაღვარდა წყამბაის არ ვრტო), იგი იმარჯუებს და მისი ცხოვრების გზა რომანში ამოთეოზით მთავრდება — „არსაყანი დაწინაურეს და ცენტრში დანიშნეს“ (111, 232). ეს სინამდვილით გაპირობებული აუცილებლობა იყო.

თარაშ ეშხვარისა და არსაყან წყამბაის დამოკიდებულებაში დასშულია ერთი ურთულესი პრობლემათვანი — ცივილიზაციის უარყოფისა თუ შენარჩუნების აუცილებლობისა. თარაშისა და არსაყანის ცხოვრების გზების განვითარებასა და დასასრულს მიყვარათ დასკვნამდე — ცივილიზაციის უარყოფის იდეა თავისთავში ატარებს სიკვდილს და განწირულია დასაღუბავად, რადგან სიბნელით თვალახელინი ყოველთვის იწნებიან სინათლის მძივებელი, მათ ყოველთვის დასჭირდებათ იგი. ისინი კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობაა. კაცობრიობა კი ყოველთვის დადის უმრავლესობის მიერ არჩეული გზით.

ეს არის „მთვარის მოტაცების“ ტრავგიული ეპოპეის ოპტიმისტური პათოსი.



ქართული ლექსი ინგლისურთან შეპირისპირებით

ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის გამოკვლევებმა უკანასკნელ წლებში საფუძვლიანად შესცვალეს ტრადიციული შეხედულება მახვილის შესახებ ქართულ გაბზულ მატყველებაში, რაზედაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქართული ლექსთწერის ხასიათი. ქართული ლექსის შეპირისპირებითი ანალიზი, შესრულებული პოეტური თარგმანის ინტერესებისათვის, თავის მხრივ დასტურებს ქართული ენის სიტყვათმახვილის ექსპერიმენტულ კვლევით მონაცემებს და მიუყვანათ იმ წინამძღვრებამდე, რაც აუცილებელია ქართული ლექსთწერის ბუნების კვალიფიკაციისათვის, სახელდობრ, მისი თავისებური სილაბური სტრუქტურის აღსანიშნავის. ეს ვარაუდება განასხვავებს ქართულ ლექსს სხვა ენათა ლექსთწერის სისტემებისაგან და უახლოვებს რაოდენობრივ სისტემას. მართალი იყო ბ. ე. ტომშვესკი, როდესაც ამბობდა: „როგორი სპეციფიკური და თავისებურიც უნდა იყოს ლექსი, ეს წყობა ეკუთვნის ენას და მატყველების ეროვნული ფორმების ფარგლებს იქით განუყოფელია. ეს არის იმის მიზეზი, რომ პოეზია ყოველთვის რჩება ხელოვნების ყველაზე უფრო ეროვნულ ფორმად“.¹

პოეტური თარგმანის თეორიის ამოცანის შესაბამისად ამ სტრიქონების ავტორმა ზოგიერთი დაკვირვება მოახდინა ქართულ ლექსთწერაზე, რათა ეს უკანასკნელი შეეპირისპირებინა სხვა ენათა ლექსთწერასთან, კერძოდ ინგლისურთან, მაგრამ თავიდანვე ამჟღავნებდა, რომ ქართული ლექსის დამამკაცოფილებელი კვალიფიკაციის ვარაუდ შეუძლებელია ქართული ლექსის ბუნების შესახებ სწორი წარმოდგენის შექმნა და ამ ლექსის სწორი გამოყენება პოეტურ თარგმანში.

საყურადღებოა, რომ ქართული ლექსის ადრინდელი გამოკვლევები შეიცავენ რაციონალურ ელემენტებს, რომელთაც ქართული ლექსის მწყობრ, თანმიმდევრულ თეორიაში გამოხატვის საშუალება არ მისცა ხელოვნურად თავსმოხვეულმა სილაბურ-ტონურმა სისტემამ,

რაც თავის მხრივ ქართული მახვილის ამჟამად უარყოფილ გაგებას ეწყარებოდა. ამიტომაც ჩვენს თავს ნება მივცით გვეცადა გაერკვეოთ ლოკალიზებული ამჟამი, წინამორბედ გამოკვლევათა პოზიტიური მონაცემები გამოგვეყენებინა და განსაკუთრებით გაგვეთვალისწინებინა უკანასკნელი წლების ექსპერიმენტული მონაცემები. ამგვარად შესაძლებელი გახდა მივესტოვიეთ იმ წინასწარ დასკვნებამდე, რაც აუცილებელია ქართული ლექსის შემდგომი კვლევისათვის და მისი ნამდვილი ბუნების საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის.

ჩვენ გვგონია, რომ ისეთი, ერთმანეთისაგან დაშორებული ლექსთწერის სისტემებმა შეპირისპირება, როგორც ქართული და ინგლისური სისტემებია, ნათელკუთხს არა მარტო ლექსის თარგმნის ძირითად კანონზომიერებას, არამედ უფრო ზუსტად არკვევს ამ სისტემათაგან შედარებით ნაყლებ შესწავლილ ქართული ლექსის ბუნებასაც. ამიტომაც გვინდა დავიწყეთ მსგავლობა ცნობილი მოვლენებით, რათა შემდგომ მივიღეთ უცნობამდე ანუ უფრო სწორად არასაკმაოდ შესწავლილამდე, დასულაც არ ეფიქრობთ, რომ ამით საბოლოოდ და ამომწურავად ვწვევებთ მთელ პრობლემას.

ტრადიციულად ინგლისური პროსოდიის შეადგენდა გრამატიკის ნაწილს და ამ ენის გრამატიკის მსგავსად ემსახურებოდა ლექსთწერის წესებისა და კანონების კლასიფიკაციას. სხვათაგან რომ ვთქვათ, პროსოდიის ლექსთწერის გრამატიკა იყო.

ტრადიციული ინგლისური პროსოდიის კანონები ღალადიგენ, რომ ინგლისური ლექსთწერის საფუძველს შეადგენს მახვილი და არა ხმოვანთა სიგრძე. ყველა ერთმარცვლიანზე უფრო დიდ სიტყვას აქვს ძალისმიერი ანუ დანამიერი მახვილი; მაგრამ ერთმარცვლიან სიტყვებსაც შეუძლიათ იქონიონ მახვილი, მაგალითად, მეზობელი სიტყვების ჰეგუმში გაერთიანებისას. ტერფი დგება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა ჰეგუმისაგან, რიტმი ამ უკანასკნელთა რეგულირებაა, ხოლო მეტრი (საზომი) მარცვალთა რიტმული განაწილება ლექსის სტრიქონში. ლექსის საზომი განისაზღვრება ტერფების რაოდენობისა და ხასიათის

¹ Б. В. Томашевский, Стих и язык. Москва—Ленинград, 1959, стр. 68.

მიხედვით. შემდეგ ხდება საზომთა კლასიფიკაცია, რაც მეტრეალებში სიხუსტით გამსაზღვრავს კლასიკური ინგლისური ლექსთწყობის ხასიათს. რადგან ამ სისტემის საფუძველია რვა-ღურად არსებული მოვლენა — გაბმული მეტყველების სიტყვათმხარე, ამიტომაც ინგლისური ლექსთწყობა წარმოგვიდგება როგორც ტიპიური სილაბურ-ტონური სისტემა, რომელშიც ლექსი ფორმდება ერთდროულად მახვილთა რიტმული მონაცვლეობითაც და მარცვალთა რაოდენობითაც. მაგრამ გადამწყვეტია მახვილთა რაოდენობა, ე. ი. ტონური საწყისი.

ამერიკელი ავტორის პირველი გროსის აზრით, თანამედროვე ინგლისური პოეზიის მკვლევარი, დანტეს მსგავსად, „ოთხი მხეცის“ წინაშე აღმორჩნდება ხოლმე თავისი გზის დასაწყისშივე“: 1

1. კლასიკურად გაგებული პროზოა, როგორც მეტრიკის გრამატიკა, გადაიქცა საყუთარის სახის ვაგებლად ე. ი. ლექსთწყობად. სხვათაგან, პროზოა ვახლავს ევრსტიკაცია და აქედან წარმოსდგა ვაგებობის მისი ზუსტი კვალიფიკაციის საკითხში.

2. თანამედროვე პოეზიაში აღარ არის ის მეტრი, რომელიც წინა საუკუნეებში ბატონობდა. მეტრი შესცვალა ტიპოგრაფიულმა რიტმებმა და ვიზუალურმა პროზოადა (ამის მაგალითია ვიწრო სტრიქონებად უპირობო ჩამოწერილი სხვადასხვა ზომის ასოები და ასეთი სტრიქონებისაგან შემდგარი ლექსები ამერიკელი პოეტის კამინგსისა).

3. ასტრობის უთანხმოება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ პროზოის ფუნქცია (გროსის აზრით, პროზოა არის ის, რასაც აღწევს პოეტი, ე. წ. რიტმიკული სტილი).

4. არ არის შეთანხმება ინგლისურ საზომთა სკანდირების საკითხში.

მიუხედავად ამისა, ურყევია ფაქტი, რომ ინგლისური ლექსთწყობა სილაბურ-ტონურია, ის დამკვიდრებულია ჯერ კიდევ ჩოსერის მიერ (XIV ს.), ხოლო სპენსერისა და სიდნეის ცილებში — შეტრიათ კლასიკური მეტრიკის სილაბობის ინგლისურ პოეზიაში — მარცხით დამთავრდა და თვით ამ პოეტებმა საზოგადოებრივად ინგლისური სილაბურ-ტონური ლექსი.

ძველმეტრული ლირიკის ყველაზე თანამედროვე თარგმანებიც კი, შესრულებული ამერიკელი პოეტის ვილის ბარნსტონის მიერ, ემყარება ინგლისური ენის დინამიკურ მახვილს, რომელიც პირობითად ენაცვლება კლასიკური მეტრიკის გრძელ მარცვალს (მავე პოეზიის რუსული თარგმანების ანალოგიურად). ვიზუალური და ტიპოგრაფიული პოეზიის გარდა ყოველივე, რაც კი ნორმალურად დანაწევრებულია თანამედროვე ინგლისურ პოეზიაში, ემორჩილება სილაბო-ტონიკის კანონებს და

მხოლოდ ეს ფაქტი შეიძლება წარმოადგენდეს ამ საგანზე ყოველგვარი მსჯელობის საფუძველს. არტიკული „გვარსების“ სილაბურ-ტონური რიტმის“ ან „მუსიკალური ფრინის“ ინგლისურ ლექსში მეტრის თანამედროვე ცდები არ შეიძლება სერიოზულად ჩითვას წინა, რადგან თანამედროვე პოეზიის უდიდეს წარმომადგენელთა ნაწარმოებები მათგან ძირფესვიანად განსხვავდება. როგორც სამართლიანად შეინიშნავს გროსი, „პოეზია, რომელიც გადაიტანს ექსპერიმენტის მარცხს და მოძრაობის სიფრთხვეს, თავს იცნის დიდი პოეზიისათვის დამახასიათებელ ტიპიურ თვისებებში: საგნის აუცილებლობაში, ენის მრავალფეროვნებასა და რეზონანსში და პროზოლიაში, რომელიც ეთანხმება იდეებს და იწვევს გრძობებს“: 1

ჩვენს მიზანს არ შეადგენს — როგორც იტყვად გროსი, — „ოთხი მხეცის მოთვინერება“ (დაე, ეს გააკეთოს მეცნიერებამ თვით ინგლისური ლექსთწყობის შესახებ!) ამიტომ ვვამყარებდებით ამ ფაქტის კონსტატაციას, რომ ინგლისური ლექსთწყობა სილაბურ-ტონურია და რომ ყოველივე ღირებული თვით თანამედროვე პოეზიაშიც კი დიდი პოეზიისათვის და მახასიათებელ თვისებებს შეიცავს.

თანამედროვე ჩემი ავტორი, აწ განსვენებული დოქტორი ირვი ლევი თავის შრომაში „სილაბურ-ტონურ ლექსთწყობათა ტიპოლოგიისათვის“ კ. ლ. პაიეტე დაუდრნობით შემდეგნაირად ახასიათებს რიტმის წარმოქმნელ საწყის ინგლისურ ენაში:

ა/ ინტერვალები მახვილიან მარცვალთა შორის იზოქრონულია (ე. წ. პოეზიის და კ. ლ. პაიეტის მიხედვით); გაბმულ მეტყველებაში შესაძლებელია ძლიერი ტენდენცია — აიძულონ მახვილიანი მარცვლები ერთმანეთს მისდევდნენ შეძლებისამებრ თანაბარ მანძილზე.

ბ/ რიტმული ერთეულები (ე. ი. მარცვალთა ჯგუფები, რომლებიც ერთ სიტყვათმხარეს ემორჩილებიან და ერთმანეთს ემიჯნებიან მოქმედი ან პოტენციალური პაუზით) იზოქრონულია (ე. წ. ჯესემის მიხედვით); მეტყველება ჩვეულებრივ შესდგება ერთგვარი სიგრძის ბგერათა რიგებისაგან და შეიცავს მარცვლებს, რომელთა სიგრძეს აქვს ტენდენცია უაპროპორციული იყოს მათი რაოდენობის მიმართ. ერთი ასეთი ბგერათა რიგი — ნორმალური რიტმიკული ერთეულია. 2

1 Gross, p. 315

2 J. Levy' — A Contribution to the Typology of Accentual — Syllabic Versification (იხ. კრებული „Poetics — Poetica — Poetyka“, Warszawa, 1961, p. 178).

ამგვარად, დ-რ ლევის დასკვნის თანახმად, მახვილიანი რიტმისთვის დამახასიათებელი ანუ-ქრონის პრინციპი მიღებულია ითვლებოდეს ინგლისური ლექსის რიტმის საფუძვლად, თუმცა დასაშვებია სხვა რიტმიცაღი აგენტების გავლენაც, როგორცაა შინაარსის უკიდურე-სობანი ან კითხვის ინდივიდუალური მანერა.

დინამიური მახვილის წყალობით როგორც ცნობილია, ინგლისურ კლასიკურ ლექსში ად-ვალდ ფორმდებიან მისი ძირითადი მეტრუ-ლი ერთეულები — ტერფები და ლექსის საზო-მები (რომლებიც განსაზღვრება ტერფების რაოდენობით და მათი გაერთიანებით წესით), როგორცაა აბური, ტროქეული (ქორაული), ანაპესტური, დჰტალური და ამფიბრაქული.

ძლიერი დინამიური მახვილის საღექსო ფუ-ნქცია ტიპურია რუსული ენისათვისაც. უფრო მეტიც: თმცა რუსული ლექსის აქამდე მიღუ-ბული განსაზღვრა, როგორც სილაბურ-ტონუ-რი ლექსისა, ძალაში რჩება XIX საუკუნის კლასიკური ნიმუშების მიმართ. რ. იაკობსონი და ბ. ტომაშევეცი უფრო იქითვე იხრებიან, რომ განიკლონ XX საუკუნის რუსულ ლექ-სის განთავსებება ტონურ საწყისის მიმართუ-ლებით და რუსული ლექსის ეს მიდრეკილება ბუნებრად მიანიათ.

რ. იაკობსონი ჭერ კიდევ ოციან წლებში შე-რდა: „ამჟამად რუსული მეტრიკა განიცდის რეფორმატორების პროცესს, რომელიც არა ნაკლებ რადიკალურია, ვიდრე XVIII საუკუ-ნის პირველ ნახევარში იყო. ახალი რუსული ლექსი საბოლოოდ წყვეტს კავშირს სილაბოზმ-თან და უახლოვდება ხალხურად თქმულ ლექსს (С народным сказовым стихом (известным под названием раяшого, лубочного) სეგმენტების იზონილაბიზმის გაუქმების გამო-ქრება რიტმიული ინერცია, რომელიც მარცვა-ლთა მოცემული რიცხვის შემდეგ გარკვეულ მარცვალ მახვილით გამოყოფდა; ქრება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მახვილთა დაკლებუ-ლი და ფაქტიური რივის დეალიზმი, ამით უღ-რესად იზრდება ყოველი სიტყვათმახვილის და-მოყოფებელი ღირებულება, დამოუკიდებელი მახვილის შემენ ყოველი სიტყვა შეადგენს ლექსის სეგმენტს. ასეთი მახვილიანი ლექსის უმარტივესი „ნორმალური“ ტიპი მოიცავს 4 სეგმენტს.

‘Кесарю ‘кесарево — ‘Богу ‘Богово.

1. „ოთხი. როგორც დარტემა“, ასე ახასია-თებს ამ ლექსს თვით მიაკოესკი. „თითქოს ყოველი სიტყვა ცალკეა დაკეპილი“, თქვა ერთ-მა ახალგაზრდა ქალბატონმა, როცა პირვე-ლად მოესმინა მიაკოესკის, და აბსოლუტურად სწორად ჩამოყალიბა მისი ლექსის ძირითადი არსი (მდრ. ხალხური თქმულების ლექსის მი-არული სახელწოდება „დაკეპილი პროზა“ — «Рубленая проза»)

სილაბურ-ტონური ლექსის რიტმიული ინე-

რცია საღექსო მეტრეულეზას თაც ახვედა ხელონურ ფრაზირებას და უნტონიცედა XIX ს. რუსული ლექსი ანგარიშე კრ უწვედა უმბე-ვილო ხმოვანთა რედუქციას სალიტერატურო ენაში. უმახვილო მარცვლები, რომლებიც პრაქ-ტიულ მეტრეულეზაში იფარება, მიყრუებუ-ლია. — ლექსში აღრიცხული აღმონღდობლა ხოლმე, ხელონურად წინწამოწეული, მკაფიოდ წარმოთქმის გამო — მოგებელი“.

შემდეგ რ. იაკობსონი ლაპარაკობს ა. ბლო-კზე, რომელმაც განაგრძო ვ. წ. დოლინიკის ტრადიცია და რუსული ლექსის სილაბური სქემა საფუძვლიანად შეარყია, და, კვლავ მიაკოესკისკენ მობრუნებელი, წერს:

„ლექსისწყობის ორთავე სისტემის შეპირის-პირებასათვის კარგ მასალას წარმოადგენენ მიაკოესკის ლექსებში შეტანილი ციტატები. შდრ. მაგ. პუშკინის

Все флаги в гости будут к нам
И запируем на просторе.

და მიაკოესკის

Стоит император Петр Великий,
Думает—Запирую на просторе я.

მაშინ, როცა პუშკინის გამოყოფილ სიტყ-ვებში ოთხი ძლიერი დრო ეცემა, მიაკოესკის ლექსში იმდენი დროა, რამდენიც დამოკიდ-ბული მახვილი, ამ მოცემულ შესიტყვებაში — ორი, ამასთან მიაკოესკის უმახვილო მარ-ცვლები იფარება გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე პუშკინისა“.

„დამოუკიდებელი მახვილი ხდება ლექსის ერთადერთი აუცილებელი საზომი (რამდენა-დაც მარცვალთა ანგარიში და მახვილთა და-ვეთილი რიგი გაუქმებულია). მაგ.

Пусть на’уськаинные совре’менниками,
Пишут глупые исто’рии:
«Скушной и неинте’ресной ‘жизнью
‘Жил заме’чательный по’эт».

(«Человек»)

რიტმიულ ერთეულად, ისევე როგორც რუსუ-ლი ხალხური თქმულების ლექსში, გვევლინება სიტყვა ან შესიტყვება, გაერთიანებული ერთი დინამიური აქცენტით“.

ბ. ვ. ტომაშევესკის უცდომად მიანიჩა პუშ-კინის, ნეტარსოვის და XVIII-XIX საუკუნეე-ბის სხვა პოეტების ლექსისწყობა ითვლებო-დეს „სილაბურ-ტონურად“, როგორც უწოდეს მას სიმბოლიზმის პერიოდში, „რუსული ლექ-სის გაძლიერებული თეორეტიზაციის პერიოდ-ში“, როდესაც გამოითქვა იდეა, რომ მახვი-

1 Р. Якобсон, О чешском стихе преимущественно в сопоставлении с русским, 1923, стр. 201.

2 იქვე, გვ. 102.

3 იქვე, გვ. 103.

ლიან და უმახვილო მარცვალთა თანმიმდევრობის დაცვა ლექსში არ ხდება, მაგრამ გარდაუვალად მარცვალთა ანგარიში¹. ტრამაშესკის მიხედვით, ამ ლექსთწერობის უზარალოდ ტონური უნდა ეწოდოს, როგორც უწოდებდა მას ტრედიაკოვსკი. ის ვერ ხედავს პრინციპულ სიხლუს ბლოკის და მიაჯავრესკის ლექსთა საზომებში, თვით თანამედროვე თავისუფალ ლექსშიც კი, არამედ მხოლოდ „იმ შესაძლებლობათა გავრცელებას, რომლებიც წინამორბედებმა ჩააქსოვეს მასში“² ამგვარად გამოდის, რომ ძლიერ დინამიურ მახვილზე დამყარებული ტონური საწყისი არის საფუძველი რუსული ლექსთწერობისა იქაც კი, სადაც რ. იაკობსონი ხედავს სილაბიზმის ელემენტს, და მათ უფრო იგი იმპოქვედებს თანამედროვე ლექსში, სადაც დონიკის და ხალხური თქმულების ლექსთწერობის ტრადიციები უფრო მკაფიოდაა გამოხატული და დინამიკური მახვილის როგორც ლექსის ორგანიზატორის როლი ამსოღებულია.

არის თუ არა ამის მსგავსი რამ ქართულ ენაში და ლექსთწერობაში? ამ კითხვის პასუხი მოათხოვს ქართული ენის ბუნებაზე და, კერძოდ, სიტყვაშემაჯობაზე ჩატარებულ დავიერებათა პოზიტიური მონაცემების ანალიზს.

როგორც აგლუტინაციური და ფლექსიური ენები, ქართული ენაც თავისი სტრუქტურით უპირისპირდება ანალიტიკურ ინგლისურს, რაც დამატებით დამრკოლებებს ქმნის ზუსტი ტექსტუალური თარგმნის პროცესში. მხატვრულ თარგმანში კი, რომელიც დედნის მხატვრული სინამდვილის ასახვაა, აღნიშნული დამრკოლებები მიეკუთვნება თარგმნის პროცესისათვის ჩვეულებრივ სიმძლეოთა კატეგორიას და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ პრობლემას. პოეტურ თარგმანის ტექნოლოგიაში განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება მოგვევლინოს სხვათა სალექსო შეტყველების ორგანიზაციის საშუალებათა შორის და, უპირველეს ყოვლისა, მეტრულ საშუალებათა რაოდენობრივი და თვისობრივი განსხვავებანი. მხატვრული თარგმანის საერთო თეორიას თუ დავემყარებით, წინასწარ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ანალოგიური მხატვრული შთაბეჭდილების მიღწევის საშუალებანი ორ მონათესავე ენაშიც კი სხვადასხვა აღმოჩნდება. მაგრამ აღნიშნული პრინციპის მოქმედება ამ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით არგუმენტაციას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს იგივე პრინციპი გამოვიყენოთ სხვა შემთხვევებშიც (მაგ. რუსული და ქართული ლექსის შეპირისპირებისას თარგმნის პროცესში) და, გარდა ამისა, ამგვარ შეპირისპირებას შეუძლია უფრო ნათლად დავგანახოთ შეპირისპირებულ სისტემათა ბუნება; ამ შემთხვევაში, ქართული ლექსთწერობის³ ბუნება, როგორც ინგლისურთან ან რუსულთან შედარებით ნაკლებ შესწავლილი.

კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისას ჩვენ ვალდებული ვართ გამოვიდეთ უნის ფონოლოგიური სტრუქტურებიდან ლექსთწერობის ხასიათის განსაზღვრის პროცესში, არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლექსის გამოკვლევები წარსულში სრულიად უგულვებელყოფდნენ ენის ბუნებას და, კერძოდ, სიტყვათმახვილის ადგილს და ბუნებას ქართულში (ს. გორგაძე, ნ. შარი), რასაც ჩვეულებრივ გადაწყვეტა რ. იაკობსონი ლექსის გაფორმებაში. უფრო მეტიც: რომ არ ყოფილიყო წინამორბედი პოეტური გამოკვლევები, კერძოდ, პროფ. ა. გაწერელის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული კლასიკური ლექსი“, გამოჩენილი მკვლევარის პ. ინგოროვას, პროფ. პ. ბერძინის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ა. ხინთიბიძის და სხვათა შრომები, შეუძლებელი იქნებოდა ქართული ლექსის შემდგომი კვლევა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული პოეტის ტრადიციაზე, რომელიც იწვევა მამუა ბარათაშვილის „ქვამნიით“.

ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიური სტრუქტურის მკვლევარის პროფ. ს. ელენტის აზრით „ს. გორგაძემ და ნ. შარმა ტრამინების „სინტაქსური გვუფების“ და „სამახვილო კომპლექსების“ შემოღებით თითქმის ოპოვინ ქართული მახვილის გასაღები. მათ მოგვეცეს ქართული მახვილზე დავიერების საყურადღებო ნიმუშებიც, მაგრამ აქედან მნიშვნელოვანი ლოგიკური დაცვენები ვერ გავაყვანებ, ვინაიდან ისინი იმყოფებოდნენ იმ დროს მახვილის საკითხში ვაბატონებული ძლიერი ტრადიციის გავლენის ქვეშ.“⁴

შართლაც იმ პერიოდში, რომელიც პროფ. ს. ელენტი მხედველობაში აქვს, ვერ კიდევ არ არსებობდა თანამედროვე ექსპერიმენტული ფონტიკის მეთოდიკა, რომელსაც შეეძლო დანებუნებინა ქართული ლექსის სტრუქტურის კვალიფიკაციისათვის საჭირო წინამძღვარი, რასაც ვერ დავმყარებოდნენ აღნიშნული მკვლევარები. მათი შეხედულებით ქართული სიტყვათმახვილის მდგომარეობა ისე იყო წარმოდგენილი: ორ და სამმარცვლიან სიტყვაში მახვილი ეცემა პირველ მარცვალს, ოთხმარცვლიანში — ბოლოდან მესამე მარცვალს (როგორცთი გამოიყვანისით), ბოლო ხედი და ექვსმარცვლიან სიტყვებს აქვთ ორ-ორი მახვილი (ისევე ძირითადი მახვილის წესის მიხედვით თვითდა პირველ და ბოლოდან

¹ В. В. Томашевский, *Стилистика и язык*. Ленинград, 1959, стр. 351.

² იქვე, გვ. 402.

³ ს. ელენტი, *ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიური სტრუქტურა*, თბილისი, 1963, გვ. 14.

მესამე მარცვლებზე). ს. გორგაძის მტკიცებას იმდენად კატეგორიული ხასიათი აქვს, რომ მომდევნო გამოკვლევები ფაქტურად მის მიერ მითითებულ გზას მისდევენ და ცდილობენ დაეკარწყონ, რომ ქართულ ლექსთწერაში არსებობს საერთაშორისო სილაბურ-ტონური სისტემა, მხოლოდ იმ ტერმის გამოკლებით, რომელსაც მახვილი ბოლო მარცვალზე მოედოს (იამბის ტიპისა). აქვე გვინდა აღვნიშნოთ მახვილთა ამგვარი სისტემის მსგავსება ლათინურ სიტყვათმახვილთან. ეს ანალოგია შეიძლება არ არის შემთხვევითი, თუმცა ის ჯერ არაა შემწინდელი მკვლევართა მიერ და ეგებ არც იყოს გამოარჩეული ამ ანალოგიის განვითარების შესაძლებლობა შემდგომ გამოკვლევებში.

იმისათვის, რომ დასაბუთებულ იქნას ლექსთწერის ორი სისტემის შეფარდების კანონზომიერებანი თარგმნის მიზნით, სრულიად აუცილებელია იმ მეტრული ერთეულის დადგენა, რომელსაც გვიკარნახებს ყოველი ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა. ასეთ ერთეულში ვგულისხმობთ მარცვალთა ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც შეადგენს პოეტური მეტრეების უკვე განუყოფელ რიტმიკულ მონაკვეთს ანუ სეგმენტს, რომლის დაშლას შეუძლია მიგვიყვანოს ლექსის საზომის გაკრძალებად. მარტივად რომ ვთქვათ, ერთეული ის სეგმენტია, ურთმლისოდაც არ შეიქმნება ლექსი, და ის ყველაზე მკირე სეგმენტია მათ შორის, რომლებიც ლექსის ორგანიზაციას ახდენენ სილაბურ-ტონურ სისტემებში ეს ტერფია, რომელიც იმყარება მახვილიანი და უმახვილო მარცვლების შეერთებას. ქართული ლექსთწერის ტრადიციული სისტემის მიხედვითაც ეს ერთეული ტერფია, თანაც არის ლაპარაკი მთელი ქართული ენის მიდრეკილებაზე დაქტილურობისადმი.¹ ეს უთუთ იმიტომ მოხდა, რომ ქართული ენისათვის დამახასიათებელი მრავალმარცვლიანი სიტყვები წარმოდგენილი იყო მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე და, რაც მთავარია, ისინი მართლაც ამტდუნებენ ასეთ ტუნდნციას ემფატიკურ გამბულ მეტრეულბაში. მაგრამ ემფატიკური მდგომარეობა ვერ ჩითვლება ნორმად და ლექსის კვლევა უნდა დამყაროს უფრო ობიექტურ მეცნიერულ მონაცემებს, რომლებიც ექსპერიმენტის თანამდროვე მეთოდების გამოყენებაში მოგვაწოდა, არის სხვა, უფრო ობიექტური, სახელდობრ, ინტონაციური მიზნები აღნიშნული დაქტილური ტუნდნციის ასახუნლად, მაგრამ ამის გარკვევისათვის მთავარია ქართული სიტყვათმახვილის ბუნების საბოლოო დადგენა.

მიუხედავად ჯერჯერობით გაერკვებული შეხედულებისა ქართული სიტყვათმახვილის შესახებ, შეუძლებელია გვერდი უყუაროთ წინამორბედ ავტორთა პოზიტიური დასკვნებს, რომლებიც მიღებულია ქართულ გამბულ მეტრეულბაზე უშუალო დაკვირვების შედეგად.

ყველაზე ადრე აზრი გამოთქვა ცნობილმა მკვლევარმა მოსე ჭანაშვილმა: „დასაკვეთის (ე. ი. მახვილის, გ. გ.) თანაბრობა უფრო ეპრინანება ქართულ ენას“.²

აკადემიკოსი გ. ახლელიანი ფიქრობს, რომ „ქართულში სიტყვათმახვილი აგრეთვე დინმიუერია, მაგრამ ძლიერ სუსტი, უფრო სუსტი ვიდრე ფრანგულში, ე. ი. ქართულ მეტრეულბაში სიტყვათმახვილი არ გამოიყოფა ისეთი სიძლიერით, როგორც, ფრანგულში და, მით უმეტეს, როგორც რუსულში“.³ ქართული სიტყვათმახვილის სისუსტის შესახებ ანალოგიური მოსაზრება გამოთქვამს მასვე ჯერ კიდევ 1925 წელს, ხოლო ცნობილი ნორვეგიელი ლინგვისტი და ქართულლოგი პანს ფოგტი ერნესტ ზელმერის შრომის „დამატებაში“ უპაყოფს ქართულ ენაში დინამიური მახვილის ისტორიულად არსებობას და მის გაუღუნას ზმოვანთა განვითარებაზე. ამიტომაც მას არ მიანჩნა მართებულად ქართული მახვილის შედარება გერმანულთან და რუსულთან.

აკად. ა. ჩიქობავა აგრეთვე მცნობს სიტყვათმახვილის დარღვევის ფაქტს მათი სისუსტისა და ანაფიქსირებული ხასიათის შედეგს და გადამწყვეტ როლს ანიჭებს რიტმიკული ჯგუფის (ფრაზის) მახვილს. მკვლევარის აზრით, ქართულის მდგომარეობა ამ მხრივ ფრანგულის ანალოგიურია.⁴

მაგრამ ყველაზე დამაჯერებლად მოჩანს პროფ. ს. ქლენტის დასკვნები, გამოტანილი მოსკოვში და პრდაში თანამდროვე ლაბორატორიული მეთოდებით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად. პროფ. ს. ქლენტის დასკვნების თანახმად, „ქართულში ამოსუნთქვის სიძლიერე თითქმის თანაბარზომიერად ნაწილდება ყველა მარცვლის (გარდა ბოლო ორისა) მიხედვით, რაც ქართული რიტმიკული მახვილის საფუძველს შეადგენს. ამას კი შესაბამისობა ფორმებით საკმაოდ მდიდარ

1 მ. ჭანაშვილი, ქართული გრამატიკა. 1906, გვ. 5.

2 გ. ახლელიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები. 1949.

3 ა. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. III, №6 2 და 3).

1. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 123.

რი მულოდიერო ორნამენტია. ოსრობითი ფრაზის ბოლო უფრო დაბალი ტონით წარმოითქმის, ვიდრე ფრაზის შუა ნაწილი.¹

აქედან გამომდინარე, მეკლევარი პირველხარისხიანი მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ენის მულოდიერო მხარეს: „ამას მოითხოვს ქართული მეტყველების სუსტი დინამიკურობაც. ქართული მახვილის სისუსტის კომპენსაცია ხდება მულოდიეთი“.²

განსაკუთრებით პერსპექტიულად გვეჩვენება მეკლევარის დასკვნა თანამედროვე ქართულ ენაში დინამიკური მომენტის განვითარების შესახებ, რასაც თავის მხრივ შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქართული თავისუფალი ლექსის განვითარებაში, თუკი საერთოდ იმ დრომდე მიაღწევს ეს თანამედროვე პოეტური ფორმა, რადგან ცნობილია, რომ ენის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ლიტერატურულ ფორმათა ცვლის პროცესი.

მეკლევარი ამბობს: „ქართული ენის წარმოითქმის დინამიკური მომენტი შედარებით უფრო ახალი წარმოშობისა ჩანს. მის სიმძველეს არ უჭერს მხარს ქართული ცოცხალი კოლონებისა და ქართულური ენათა მონაცემები. დინამიკურობის მომენტს კი, რაც დრო ვადის, უფრო მეტი ზრდა ემჩნევა და, ალბათ, იგი ქართულ ენაში კიდევ უფრო განვითარდება“.³

ქვეყნობით კი საჭიროა ანგარიში გავწიოს ფაქტურ მდგომარეობას, რაც შეაფიქროსა მოთხოვნილია ს. ელენტის მიერ.

ქართული მახვილი მერყეობას და მისი ამ თვისების გაელენას ქართული ლექსის ფორმირებაზე ცნობს პროფ. პ. ბერაძე თავის მოხსენებაში „მახვილი ქართულ ლექსში“.

„ქართული ლექსის მახვილი მოძრავია იმ რიტმული ვითარების მიხედვით, რომელიც სიტყვას როგორც საღვთო მასალას აქვს დაკისრებული ვარკვეულ სიტუაციაში... ეს ვარკვეობა გვაკისრებს ქართული ლექსი სრულად ორიგინალური სისტემის—პოეტიკონური (ტრელ-მახვილიანი, გ. გ.) სისტემის ლექსად ოქნას აღიარებულში“.⁴ ხოლო ამზე ორი წლით იდრე პრიფ. პ. ბერაძე მოხსენებაში „ქართული სასიმღერო ლექსის ერთი ტაქსის შესახებ“ უფრო კატეგორიული ფორმით აცხადებდა, რომ „ქართული ლექსის სისტემა არ არის არც ტონური,

არც, მით უმეტეს მეტრული. ქართული ლექსი სრულიად ორიგინალური თავისუფალი ქვეყნული პარალელის არ მქონე დამოუკიდებელი სიტყვით შემდგომ... ქართული ხალხური სიმღერის პოლიფონიური ხასიათის შესაბამისად ქართული ლექსი პოეტიკონური ბუნებას ამტკიცებს“.¹

საყურადღებოა ზოგიერთი ემპირიული დაკვირვება, რომელიც ამ სტრუქტურის ავტორმა მოახდინა ქართულ კითხვით წინადადებაზე, სადაც შესაბამისი ინტონაცია ავტომატურად წინადადების ან სინტაქსის უკანასკნელ მარცხელს, თითქმის ამით კომპენსაციას უწყობს მის სისუსტეს და აღმის მახვილიან მარცხელად აქცევს. მაგ., — „ხომ მიდიოდი, ვანა არ წახვედი?“ კითხვითი ფორმა სიტყვაში „წახვილ?“ მახვილი რომ მარცხელ მარცხელზე დაესვათ და დინამიკურად გამოყვით, გამოვა არა კითხვა, არამედ ბრძანება: წახვილ!“

საყურადღებოა აგრეთვე დაკვირვება ქართული სიტყვების გამოთქმაზე უცხოელების მიერ, ვის შიშობილურ ენასაც ახასიათებს დინამიკური მახვილი. მაგალითად, თუ რუსი წარმოსთქვამს ქართულ სიტყვებს ს. გორგაძის მიერ წამოყენებულ მახვილთა სისტემის მიხედვით, აღწენება მკვეთრად არაბუნებრივი, ხელოვნური მეტყველების შთაბეჭდილება არა იმდენად ქართული ბგერების გამოთქმის მიზეზით, რამდენადაც მახვილთა ძლიერად ხაზგასმული დინამიკურობის შედეგად, რადგან ე. წ. მახვილიან მარცხელთა გამოთქმის ძალა მეტისმეტად არაბუნებრივი აღმოჩნდება ქართველის სწინისათვის.

აუცილებლად მიგვაჩინია მოეტიკონო აგრეთვე თარგმანის ცნობილი რუსი თეორეტიკოსის ა. ვ. ფედოროვის აზრი გამოთქმული წერიაში „ქართული ლექსის გადმოცემის გზებისა და საშუალებების შესახებ“: „ქართული ლექსი—სილაბური ლექსია, ე. ი. აგებული მარცხელთა რაიკვის მედფიგობაზე. მახვილთა განაწილება ლექსის ამ სახეობაში სულ სხვა როლს თამაშობს, ვიდრე რუსული ლექსის ფორმებში, რაც რუსული ლექსის აქცენტურ თავისებურებასთან არის დამოკიდებული... სილაბურ-ტონური მეტრიკის პრინციპებს, მის საზომებსა და რიტმს არა აქვთ კავშირი ქართულ ლექსთან, რომელიც თავისი საკუთარი პრინციპებით აიგება“.² აღსანიშნავია, რომ ა. ვ. ფედოროვი ქართულ ლექსში პოეტიკონს, არც თუ მეტიერ რაოდენო-

1 ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მულოდიერო სტრუქტურა, 1963, გვ. 140.

2 იქვე, გვ. 145-146 (რეზიუმე რუსულ ენაზე, ბარგმანი ჩემია, ვ. გ.), აგრეთვე გვ. 144.

3 იქვე, გვ. 141.

4 თ. ს. უნივერსიტეტის მეორე სამეცნიერო სესია. (მუშაობის გეგმა და თეზისები) 1957, გვ. 20.

1 თ. ს. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და თეზისები), 1955, გვ. 34.

2 Сб. «Грузинские романтики». Ленинград, 1940, стр. 227—228.

ბით, ისეთ სიტყვებს, სადაც შესაძლებელია მხვილის გადანაცვლება. ეს დაკვირვებანი რუსი მკვლევარისა, რომელმაც არ იცის ქართული ენა, განსაკუთრებით საუბრადღებოა, რადგან ამ შემთხვევაში სილაბურ-ტონური ლექსის სკანდირებას მიჩვეული სმენა აღნიშნავს ქართული ლექსის ელერადობის მკვეთრ განსხვავებას რუსული ლექსის ელერადობისაგან.

დაბოლოს კიდევ ერთი კვალიფიკაცია ქართული ლექსისა, რომელიც აღმოცენდა ძველი ქართული სილაბური ლექსის შედარებითობას ახალ ქართულ ლექსთან, და რომელიც ეკუთვნის ცნობილ ქართველ მკვლევარს პ. ინგოროსკვას: „დომინანტა ქართული ლექსისა, მისი ძირითადი ტონალობა... ეს არის სილაბურობა (და სილაბურობასთან დაკავშირებული მუხლდღეანი წყობა), — რომელიც ქართულ ენაში დიდი რატიმული მრავალსახეობის შემცველია.“¹

ყოველივე ზემოაღნიშნული, ექსპერიმენტული მონაცემებით მოკიდებული, ვიღაც ინტუიციურ დასკვნებამდე, გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ თავისი სისუსტისა და მოძრავი ხასიათის გამო, ქართულ სიტყვათმხვილს არ ძალუქს გახდეს ლექსთწყობის ისეთი საურდენი, როგორიც სხვა ენათა სილაბურ-ტონურ სისტემებშია, და მით უფრო წინადა ტონურ სისტემებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული ლექსი ვერ აიგება ტერფებზე, რომლებიც მიღებულია ლექსთწყობის გაერცელებულ, საერთაშორისო სილაბურ-ტონურ სისტემებში.

პროფ. ა. გაწერელია, რომელსაც მხედველობაში აქვს ქართული ლექსის პრაქტიკული გამოკიდებლობა, მართებულად მიუთითებდა: „ტერფი როგორც რატიმული ელემენტი—ფაქტობა ტერფი განყენებულ ელემენტია სქემისა, იგი გამოხატავს იდეალური საზომის ნაევთს, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი თანმიმდევრობის აბსტრაქტულ სურათს; ტერფებით არაინ სწერს, სწერენ სიტყვებით“.

ეს სიტუალი ზემოაღნიშნულია ქართული პოეტისათვის და ლექსის მთარგმნელისათვისაც. პრაქტიკულად სწორად ქართულ ლექსში არ არსებობს ტერფი. მაშ რაღა საჭიროა მისი ხელოვნური შემონახვა თეორიაში, ნუთუ მართოდენ უნაყოფო და სქოლასტიკური თეორიული კონსტრუქციების აგებასათვის?

წინამძღვრად შემდგომი მსჯელობისათვის შეიძლება ჩაითვალოს პ. ინგოროსკვას ზემოთმოტანილ ციტატში ხსენებული „მუხლდღეანი

წყობა“ და პროფ. ა. გაწერელიას მიერ მიუთითებული ლექსის სტრუქტურები, რომლებიც მარცვალთა რატიმული ვარიაციების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება (მეფ. ფაქტმეტ-მარცვლიანი შიორი, რომელიც შეიძლება იყოს მაღალიც და დაბალიც. მეტრული მხვილების განლაგების მიხედვით) ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ამ მუხლებების სისტემის მიხედვით, რომელსაც ავირჩევთ რაიმე მოსაზრებით).

ანალოგიისათვის შეიძლება მიუთითოთ ლ. რ. ზინდერის შეხედულებას ფრანგულ ენაზე, რომელსაც აქვს არა სიტყვათმხვილება, არამედ მხვილი რატიმული წვეულის უანასკნული სიტყვის ბოლოში, რაც კმნის შორვენებით შობებულებებს, თითქმის ფრანგულ სიტყვებს მხვილი სქონდით ბოლო მარცვალზე. თუ ამ შეხედულებას შევადარებთ ზემოთ ციტირებულ შეხედულებებს ქართული სიტყვათმხვილის მეტი სისუსტის შესახებ ფრანგულთან შედარებითაც კი (ავად. გ. ახვლედიანი) და ფრანგის მხვილის შესაძლებლობის შესახებ ქართულში (ავად. ა. ზინობავა), ძნელი არ იქნება დავასკვნათ, რომ ქართული ენა წარმოადგენს ფრანგულს ანალოგიურ ნიადაგს ლექსის ორგანიზაციისათვის. ფრანგულ ენაში კი, ავად. გ. შერბას მოწმობით, ამტყვევლებს როგორც ლექსის აღქმა პირობადებულა... უპირველეს უფლისა საზომის ანუ მეტრის იგვეობით. ე. ი. მეტყველების ცალკე მონაცემთა მარცვლების რაოდენობით, რომლებიც ლექსად იქცევიან მხოლოდ ამ იგვეობის წყალობით.

ესა თუ ის ტექსტი ფრანგულ მხოლოდ მაშინ ხდება ლექსი, თუ იგი სინტაქსურად სრულიად მწყობრად დაიყოფა ნაწილებად (წინადადებად, სინტაგმებად ან სინტაგმების წვეულებად), რომლებიც მარცვალთა რაოდენობით თანაბარია; თუ ეს ნაწილები არ შევიკრძობა ასეთებად აზრობრივად, მაშინ მარცვალთა რაოდენობითაც მათი შედარება აღარ არის საჭირო.“²

ქართული პოეტის ფაქტმდებელი მამუკა ბარათაშვილი თავის სახელგანთქმულ შრომაში „ლექსის სწავლის წესი“ (1731) ქართული ლექსის საზომთა ფორმებსა და აღნიშნულების განხილვისას იხსენებს „მუხლს“, როგორც ქართული ლექსის ძირითად მეტრულ ერთეულს, ქართული მაღალი შიორის ანალიზის პრაქტისში (მამუკა მის, უბრალოდ „შიორს“ უწოდებს იმ „გრძელ-შიორისაგან“ განსახსივეებლად, რასაც დღეს „დაბალ შიორს“ ვუწო-

¹ ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 133.

² Л. Р. Зиндер. Вопросы фонетики. Ленинград, 1948, стр. 40—41.

³ А. В. Щербя. Фонетика французского языка. Москва, 1963, стр. 166—167.

¹ პ. ინგოროსკვა, ვიორკი მეტრულე, 1954, გვ. 589.

დებთ). როგორც ცნობილია, ეს საზომი ქართულ ლექსთწერებაში ერთერთი ყველაზე გავრცელებულ საზომთაგანია.

მაშუა ქართული ლექსის საზომების დასაბუთებისას მუხლივანი წყობის სისტემაშიდან გამოდინარობს და ზუსტად უთითებს მუხლების თანაბარზომიანობას და მათ ადგილმდებარეობას სტრიქონში. მისი წარმოდგენით ლექსის ორგანიზაცია იწყება ამ თანაბარზომიანობით, რომელიც თავისი არსით რაოდენობრივია.¹ თუ ქართული პოეტიკის ფუნქციონირების აზრს დაემატებთ ქართული ელასტიური ლექსის საუოველთაოდ ცნობილ რეინის კანონს, რომელსაც ამ უმდიდრესი პოეზიის მრავალსაუფუნოვანი გამოცდილება ადასტურებს, და რეინის მიხედვითაც ქართული ლექსის საზომს ვერც მიუმატებ და ვერც მოაკლებ ვერც ერთ მარცვალს, თუ არ გინდა ლექსი დაირყვეს, მაშინ ქართული ლექსთწერების რაოდენობრივი პრინციპი საბოლოოდ ნათელი გახდება. მაგრამ მაინც სავსე ავრე იოლად ვერ წარმოიდგინება, რადგან უკვე საუფუნოვანებარე მენტორადმწერებზე სცადეს ქართული ლექსთწერა შეეყვანათ სილაბურ-ტონური სისტემის ნორმებამდე და ამის გამო საკითხი იმდენად გართულდა (თანაც ზელონერად!), რომ ვგონებ შეუძლებელიცაა (და იქნებ არც არის საჭირო!) ყველა ამ მტკიცებების დაწერილებით განხილვა. ამას უნდა დავმატოვო ზოგიერთი ისეთი ცდაც, რომელიც ემყარება არა მირითად მანქანებულს, არამედ გამოჩაკისებს; ან საერთო კანონზომიერების დარღვევის შემთხვევებს, რაც საბოლოოდ, რა თქმა უნდა, მოკლენის არს ვერ შესცვლის. ამიტომაც, ეტყობა, საჭირო იქნება, ზოგიერთი ვინაობა დებულდება, რაც მენტრულად სწორი მსჯელობის შედეგადაა მიღებული აღნიშნული ჰეროდის მანძილზე, შემოწმდეს ქართული ენის რიტმიკულ-მელოდირი სტრუქტურის შესახებ უცანასკნელი წლებს მეცნიერულ მონაცემებთან შედარების გზით, და შეუბრაისპირდეს ქართული ლექსთწერა ტიპურ სილაბურ-ტონურ სისტემებს. ამით უთუოდ საბოლოოდ მივაღწიოთ იმის აღიარებამდე, რაც ასე უბრალოდ და ბუნებრივად გამოითქვა მამუკა ბარათაშვილმა. ქართული ლექსის საბოლოო კვალიფიკაციის საკითხი მარტო ლოგიკური მსჯელობის გზით ვერ გადაწყდება: ამ მსჯელობიდან გამოტანულ დასკვნებს უნდა დავმატოვოთ ახალი ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც უნდა მივიღოთ ონანმედროვე ზელსაწყობით აღჭურვილ სათანადო ლაბორატორიებში.

პირველი ბურუსი ამ საკმაოდ ნათელ საკითხში შემოიტანა, როგორც ჩანს, ცნობილმარტუსმა ისტორიკოსმა ეფიმ (ევგენი) ალექსან-

დრეს ძე ბოლხოვიტინოვმა (1765-1837), რომელმაც თავის წიგნში „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“ თავში „ქართული ლექსთწერისა და მუსიკის შესახებ“ (გვ. 83-96) განაცხადა, ქართული პროსოდა მთლიანად ტონურია, ბერძნულსა და ლათინურს მსგავსად იმიტრბ, რომ ქართული ენა სავსეა მრავალმარცვლიანი სიტყვებით და აქვს სხვადასხვანაირი მახვილი, და რომ მასში უპირატესად იმპარება პიროდაქტილური მეტრი (ს—ს—ს), თუმცა ბერძნული პოეზიის ყველა დანარჩენი საზომებიც მისი მონათესავეაო.²

ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ეს ცნობილი მკვლევარი, როგორც თვითონვე აცხადებს, ყოველივე ამას წერდა ისე, რომ ერთი ქართული სიტყვაც არ იცოდა და საქართველი თავის სიცოცხლეში არ ენახა. ამ არის კი საჭირო კომენტარი ასეთ პირობებში აღმოცენებული აზრებისათვის?

შემდეგ უთუოდ უნდა აღნიშნოს, კოტე დიდაშვილის სწავლული კამათ ვინმე უცნაველ ქართულ პოეტთან, რომელიც წერდა ლექსებს მარცვლების რაოდენობის დაცვის უკნით და ტონური ლექსთწერის არსებობა არც კი დასიზმრებია. კოტე დიდაშვილი კი ამყარებს „წესრიგს“ უცხო პროსოდიის მექანიკური გადმოღებით და თავს ახვევს ქართულ ენას მახვილთა სისტემას, რომელიც ურყევად ითვლებოდა სულ უკანასკნელ დრომდე და შეცდომაში შეჰყავდა მრავალი მკვლევარი. კ. დიდაშვილის დებულებებს წინ უძღოდა იოანე ბატონიშვილის საკმაოდ ბუნდოვანი მსჯელობანი და იმის ცდა—როგორმე შემოეტანა ქართულ პროსოდიამი ტერმინს ცნება.

ცნობილი ქართველი მეწერალი ლავრენტი არდახანი თავის პროსოდიამი ამტკიცებს, რომ ქართულ სამმარცველიან სიტყვებში მახვილი ყოველთვის იცვლება. მაგალითად: „უცნობილი“ იტყვება „უფალო“. მაგრამ შესაძლოა „უფალო“ „კეთილი“ და „კეთილი“ მისი აზრით ქართულში შესაძლებელია იამბიც კი, რასაც ვერ სცნობდნენ ვერც ს. გორგაძე და ვერც მისი მიმდევრებიც კი. მაგალითად, „მეწერა“.⁴

ეს დასკვნები საყურადღებოა იმიტრბ, რომ ემყარებინა ქართულ გაბმულ მეტყველებებზე უშუალო დაკვირვებას და ამდევნებენ მიღრეკილებას დაბახსიათონ ქართული სიტყვათმახვილი როგორც მოძრავი და თავისუფალი. მწელი არ არის ამ დაკვირვებაში დაეინახოთ წინა-

1 ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გვ. 24-25.

2 იქვე, გვ. 217.

3 იქვე, გვ. 84.

4 იქვე, გვ. 90.

1 ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გ. მიქაძის რედაქციით, თბილისი, 1954, გვ. 10-11.

მღვარი ქართული სიტყვათმაცხელის სისუ-
სტისა და მოძრავი ხასიათის საკითხის დად-
ებით გადაწყვეტილათვის.

მელოტონ ელენჯერძე თავის შრომაში
„ლექსთწყობა ანუ წყობილიწყობა“ (1899)
ამტყიცებს, რომ ქართული ლექსთწყო-
ბა ერთდროულად მეტრულიც არის, ტო-
ნურიც და სილაბურიც. სიმპტომატურია, რომ
მელოტონს ვერ გადაუწყვეტია საბოლოოდ ეს
საკითხი რომელიმე აღნიშნული სისტემის სა-
სარგებლოდ და საბოლოოდ ღიად დაუტოვებია.
რადგან, ცხადია, ერთ ენაში სამი სტვალასტვა-
სისტემა ვერ მოთავსდება.

არეულობას, ეტუობა, იწვევდა სწორი კრიტი-
კის უქონლობა და წინასწარაღებული
აზრე—დაეკავშირებინათ ქართული ლექსი ყვე-
ლზე გუარცაღებულ პროსოდულ სისტემე-
ბთან. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არეულობა, სწო-
რედ ასეთი ცდის უმართებულობით გამოწვე-
ული, მეტად სიმპტომატურია.

ყველაზე დიდი „ბრალი“ მომდევნო წლების
შეცდომებში იდებდა ს. გორგაძეს, რომელმაც
შემოგვთავაზა მახვილთა მწეობრივი და სიმე-
როლის მიმსგავსებელი (მხოლოდ მიმსგავსე-
ბული და არა მართალი!) სისტემა, რომლის
მედარ საფუძველზეც ააგო მან ქართული პრო-
სოდი. ამ საფუძვლის ქვეშეატიტი ხასიათი
უკვე იყო ნაჩვენები ზემოთ.

ამასთან ერთად გაისმოდა ფხიხელი ხმებიც.
თეიმურაზ ბაგრატიონი ლაბარაკობდა მე-
რცეალთა თანაბარ განაწილებზე ქართულ
ლექსში საერთოდ და ლექსის სტრუქტურში, კე-
რბოდ.¹

დღითი ჩებინაშეილი თავის შრომაში „სახომი
ლექსთა“ ამტყიცებდა, რომ ქართული ლექსი
მარცვლოვანია (ე. ი. სილაბური, გ. გ.), სადაც
დაცულია მარცვალთა რაოდენობა, ისევე რო-
გორც სპარსულში და სტვა ენებში.²

ლექა ისარღიშვილი პირდაპირ აცხადებდა,
ქართული ლექსი სილაბურია.³

არქიმანდრიტი კირიონი და ვრ. ყიფშიძე
უყოყმანოდ აცხადებდნენ, რომ ქართული ლე-
ქსი სილაბურია,⁴ და იმასაც უჩვენებდნენ, თუ
როგორ იყოფა უგრემესი ქართული ლექსის
ოცმარცვლიანი სტრუქტონი ოთხ თანაბარ ნე-
წილად, რომელთაგან თითოეული ზეუა მარ-
ცვალთა შეიცავს, ე. ი. როგორც ჩვენ ვიტ-
ყოდით, უთითებდნენ ამ სახომის შემდგენელ
მუხლებს.

დაბოლოს უნდა კვლავ გავიხსენოთ ზემოთ
უკვე მოტანილი, განცხადება პ. ინგოროყვანის.

რომელშიც ქართული ლექსის სილაბურობა და
მუხლედოვანი წყობა პირდაპირ არის დასახელე-
ბული როგორც თავისთავად ცხადი ქვეშეატიტი-
ბა, მტყიცებს რომ არც კი მოითხოვს.

თითქმის ყოველივე ეს საკმარისი უნდა იყოს,
რათა აღარავინ დაიფიქროს ქართული ლექსის სი-
ლაბურობის ბუნების პირველადმოჩენის საბე-
ლი. და მართლაც სულაც არ არის საჭირო იერი-
ში მივიტანოთ მედარ, ზოგჯერ საყმაოდ დიდსა
და გამაგრებულ, რთული აგებულების სიმეგრე-
ებზე, ლექსის იმ ტიპის თეორიისა, ს. გორგაძემ
რომ წარმოადგინა. ძალეების ზედმეტი ხარკვის
ნაცვლად ეგებ სქობდეს მათ გვერდი ავუაროთ
და მიემართოთ პირდაპირ ფაქტებს. ეს სისარგე-
ბლთა უბრეველეს ყოვლისა პრობლემეში სი-
ცხადის შეტანისათვის, ხოლო „საერთაშორისო
სისტემათა“ ციტადლელები თანდათან თავისთავად
იქცევიან ისტორიულ მველებად.

ფაქტები კი ასეთია:

1. ქართული ენის სტრუქტურული თავისებუ-
რება მელადგდება მის რიტმიულ-მელოდიურ
წყობაშიც, როგორც ქართულ გამბულ მეტყვე-
ლებებზე წარმოებულ დეკორევაზე— გვიჩვენებს.
ქართული სიტყვათმაცხელი მეტად სუსტია და
შომძრავი, ის უფრო ფრაზულია, ვიდრე სიტყვი-
ერი და ემორჩილება სემანტიურ გავლენას.¹

2. მრავალმარცვლიან ქართულ სიტყვებში
ამოსუნთქვის ძალა თანაბრად ნაწილდება ყველა
მარცვალზე, გარდა ორი უკანასკნელისა, რომ-
ელზეც წინაზე უფრო სუსტებია (ს. ელენტი).
და როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება ქმნის
ქართული ენის დამტილურობისადმი მიდრე-
კილების შთაბეჭდილებას. იგივე შეიძლება ით-
ქვას ორმარცვლიან სიტყვებზე, სადაც პირველი
მარცვლი უკანასკნელზე ძლიერია, თუ სიტყვას
ცალკე გამოყოფთ, მაგრამ ფრაზაში ის ემორ-
ჩილება კანონს მრავალმარცვლიან სიტყვათა
შესახებ.

3. აღნიშნულ დებულებას კვლავ უფრო ამა-
გრებს ანალოგია ფრანგულ ენასთან, სადაც ამო-
სუნთქვის ძალა აგრეთვე თანაბრად ნაწილდება
ყველა მარცვალზე, გარდა ფრაზის (სინტაგმის)
უკანასკნელი, მახვილიანი მარცვლისა, რაც
ქმნის მოჩვენებით შთაბეჭდილებას თითქოს
ყოველ ფრანგულ სიტყვას ცალცალკე აქვს თე-
ვისი მახვილი ბოლო მარცვალზე. როგორც
ჩანს: ცალკე სიტყვას ასეთი მახვილი მართლაც
აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სიტყვა
შეადგენს სინტაგმას გამბულ მეტყველებაში,
ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფრანგულ
გამბულ მეტყველებაში მოქმედებს ფრაზის
მახვილი, ისევე როგორც ქართულში.

4. ქართულ ლექსთწყობაში (ისევე როგორც

1 ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიულ-მელო-
დიური სტრუქტურა, თბილისი, 1963, გვ. 75.

1 ქართ. პოეტის ქრესტომათია, გვ. 62.

2 იქვე, გვ. 93.

3 იქვე, გვ. 137 (25).

4 იქვე, გვ. 157(5) და გვ. 163. (5).

5 იქვე, გვ. 159 (35).

ფრანგულში¹ მარცვალთა რაოდენობით განისაზღვრება ლექსის ტიპი. მაგრამ ქართული ლექსი ნაწილდება მუხლებად, რომელთა სხვადასხვაგვარ რაოდენობრივ შეერთებას შეუძლია შეინაცვლოს ლექსის ტიპი. ე. ი. ერთგვარი რაოდენობის მარცვლებისაგან შემდგარ სხვადასხვა ლექსს შეუძლია შექმნას მდიდარი შინაგანი მელოდიკა და ბედროს სხვადასხვანაირად მისი შემადგენელი მუხლების შეერთების მიხედვით, შესავსად იმისა, როგორც ეს ხდება ტონურ ან სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში ტერფების შეერთების მიხედვით. მაგალითად:

რემარკისაგან საზომები:

1. მიაღლი შირი: ნახეს უცხო / მოყმე ვინმე (4+4)

2. დაბალ შირი: იყო არაბეთს / როსტევიან (5+3)

3. მისი ვარაიკა: მოყმემ თქვა / პირტიტველიმა (3+5).

ათმარცვლიანი საზომები:

1. შენ ჯვარს იწერდი / იმ ღამეს, მერი (5+5)

2. შენ ზღვის პირად / მიდიოდი, / მერი (4+4+2)

თოთხმეტმარცვლიანი საზომები:

1. შირბის, მიმადრენს / უგზოუცვლოდ / ჩემი შერანი (5+4+5)

2. როგორც ნისლის / ნამჭერი, / ჩამავალ მხით / ნადერი (4+3+4+3).

როგორც ვხედავთ, მარცვალთა რაოდენობა მუხლებში მერყეობს ორიდან ხუთამდე.

5. ქართულ გაბმულ მეტრეულებაში სტრუქტურული სისუსტის და მოძრაობის გამო შეუძლებელია ტერფების მტკიცე სისტემის შექმნა. მართლაც „ტერფი ფიქცია ქართულ ლექსში“² ზოგიერთი დამთხვევა მუხლის და ტერფის მარცვალთა რაოდენობისა მხოლოდ მოჩვენებით შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ტერფები ქართულ ლექსში რეალურად არსებობენ (მაგ. დექტილი და სამმარცვლოვანი მუხლი: ამ მისს, / ამ ივნისს, / ამ ივლისს = 3+3+3) და უფროდ ამის მსგავს ფაქტებს ემყარება ქართულ ლექსთწყობის როგორც სილაბურ-ტონური სისტემის გაგება.

ტერფები, თუკი მათი არსებობა ზოგჯერ თითქოს იგრძნობა მუხლების მარცვალთა რაოდენობის დამთხვევის გამო ტერფებთან, ლოგიკურაა და ფრანგის მახვილების წყალობით, ამ შემთხ-

ვევაშიც კი მეტად პირობითია და არ ასტრუქტურულ არაერთარ მნიშვნელოვან როლს, რადგან ლექსს ფორმებზე მხოლოდ მუხლები

6. მუხლი წარმოადგენს ქართული ლექსის ორგანიზაციულ საწყისს და ძირითად მეტრულ ერთეულს ისევე, როგორც ტერფი — სილაბურ-ტონურ სისტემაში და მხოლოდ ამასთანავე მთელი ფუნქციონალური მსგავსება. მაგრამ მუხლი თავისი კონსტრუქციით და დანიშნულებითაც გაცილებით უფრო ახლო დგას სინტაქსთან ვიდრე მეტრეულებაში. ამ გაგებით ქართული ლექსთწყობა ფრანგულის ანალოგიურია: ლექსი ჩნდება მამინ, როცა ტექსტი სინტაქსურად მწყობრად იყოფა ნაწილებად (წინადადებებად, სინტაგმებად ან სინტაგმების ჯგუფებად), რომლებიც მარცვალთა რაოდენობის მიხედვით თანაბრია ლექსის ერთ სტრიქონის ფარგლებში (5+5, 4+4, 3+3 და ა. შ.), ან სტრიქონთა და ანტისტრიქონთა სისტემის საზღვრებში (5+3 = 5+3, 5+4+5 = 5+4+5, 5+3/4+3 = 5+3/4+3 და ა. შ.). სინტაგმას როგორც გარკვეულ რიტმიკულ-აზრობრივ მთელს მეტრეულ-ეზოპოეტურ შევადარეთ ქართული ლექსის მუხლი ჯერ კიდევ 1959 წელს³ და ამგვარაა შედარებამ შემდეგ თავისი დადასტურება კპოვა მ. მ. გირშმანის მოსაზრებაშიც: „მხოლოდ ლექსს აქვს მუდმივად მიმდევარი მტკიცე სინტაგმატური დაყოფა რიტმულ ერთეულთა დამოლოებაში“⁴

მაგრამ სინტაგმისაგან განსხვავებით, მუხლს ქართულ ლექსში შეუძლია გააპოს სიტყვა თავის საზღვარზე (პაუზით ანუ ცეზურით) საზომის ინტერესისთვის და სიტყვათშეშლილი (თუკი ის საერთოდ გაჩნდა) სრულიად ინტერფერენტული რჩება ამ მოვლენისაგან. მაგ. ანგელოზს / ეკირა / გრძელი პერ / გამენტო (3+3+3+3).

ან
ქარვის კალთა / ჩახლართული / ჩაქვერ, ჩავა- / ქარაბაყ. (4+4+4+4).

უფრო გრძელი მუხლები (მაგ. ხუთმარცვლიანი), რომლებიც კვშიან რიტმულ ჯგუფებს და კიდევ უფრო უახლოვდებიან სინტაგმის, ვერ ითმენენ სიტყვის გაოპას; ეს არაბუნებრივს ხდის ლექსს, რადგან არღვევს რიტმულ მახვილს.

7. ქართული ლექსის საზომის რეგულარობა არ შეიძლება დაირღვეს ზედმეტი მარცვლით ან მარცვლის დაკლებით, რადგან ქართულის სმენა ჩვეულებრივ ახდენს რეაგირებას მასზე

¹ Л. В. Щербя, Фонетика французского языка. Москва, 1963, стр. 168.

² ა. გავრიტაძე, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 102 და მისივე წერილი, „პოეტური თარგმანის საკითხის შესახებ“ (გვ. „ლიტერატურა და ზელოვნება“, 13. I. 1952).

³ ა. გავრიტაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, 1959, გვ. 289 და იგივე წიგნი რუსულად, 1964, გვ. 228.

⁴ М. М. Гиршман, Стихотворная речь. (В сборнике «Теория литературы», Москва, 1965, стр. 321).

როგორც ცხლ ლექსზე ან უბრალოდ პროზად თელის მას.

გამონაკლისები წარსულში ან თანამედროვე პოეტების ექსპერიმენტები ქართულ მეტრიკაში მხოლოდ და მხოლოდ დისონანსის შეგრძნებას ემსახურებიან. ეგონებ მართკ ვეწისიც (რომ ქართულ ლექსში მეტრის ვერ დაარღვევ ერთი მარცვლის შემატებით ან დაკლებით: ე. წ. იამბიკოს გარდა, რომელიც საეკლესიო ვალობისათვის იყო დანიშნული) იყმარებდა კიდევ, რათა ქართული ლექსიწყოთა სილაბურად ჩათვლილიყო.

იმ ენებში, რომელიც ძლიერი დინამიკური მახვილი აქვთ (რუსული, ინგლისური), რადგან ლექსიწყოთა დამოკიდებულა მთელი ენის ფონეტიკურ სტრუქტურაზე, ლექსი შენდება არა ნებისმიერად, არამედ მეტრული მახვილია და სიტყვათმახვილის დამთხვევით. ე. ი. ტერტი იქმნება სიტყვათმახვილის ადგილის აუცილებელი გათვალისწინებით. ინგლისური ენის ამგვარი მდგომარეობა აღნიშნულია შრავალი ავტორის მიერ¹. ასეთივე შავალის წარმოადგენს რუსული ლექსიც მისი ტონური და სილაბურ-ტონური ლექსიწყოთით. ე. მ. ვირ-მუნსკიმ თავის „მეტრიკის შესავალში“ მართა: ზღუდა მიუთითა რუსული ლექსის კანონზამ-ერებაზე: „ჩვენ ესაზღვრავთ რიტმს როგორც მახვილია რეალურ თანმიმდევრობას ლექსში, რომელიც ჩნდება მეტრულბების მასალის ბუნებრივ ფონეტიკურ თვისებათა და მეტრიკა კანონთა ერთიგობითგომქმედებით“².

ერთ-ერთ უკანასკნელ გამოკვლევაში (სიტყვათმახვილის განვითარების შესახებ ინგლისურ ენაში) მეტრიკის შესწავლის საფუძველზე ნათქვამია:

„ყოცხალ ენათა კონკრეტული მასალის საშუალებით ირკვევა, რომ სიტყვათმახვილის დეფორმაცია არ ხდება მეტრული მახვილის ვა-ელებით.

ლექსის ამა თუ იმ საზომის არჩევანი თავისუფალი არ არის, ის შეზღუდულია მოცემული ენის ფონეტიკური სტრუქტურის მიხედვით. ასე შავალიათ, ინგლისურ ენაში, ფლექსიითა მარცვლების მოშორების შემდეგ გერმანული წარმოშობის სიტყვათა უმრავლესობა იქცა ერთ ან ორმარცვლიანად: ამიტომაც სამშარცვლიანი ტერტი მეტრულად მშობლდა უმახვილო მარცვლებით.

რუსულში უფრო გრძელი სიტყვები (ინგლისურთან შედარებით) ადვილად თავსდებათ სამშარცვლიან ტერტებში.

ქართულში გრძელ სიტყვათა არსებობა,

მცირედ შესამჩნევი განსხვავების წყალობით მახვილიან და უმახვილო მარცვალებად შორის სიტყვათმახვილის სისუსტის გამო, რედუცირირ არ არსებობა ხელს უწყობს სამშარცვლიან. თვით ოთხმარცვლიან საზომთა სიჭარბესაც კი“¹.

უფრადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტორი ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე არ ახსენებს ტერტს და ლაბარაკობს მარცვლოვან საზომებზე, რადგან სრულიად აშკარაა, რომ ტერტის გაფორმება სიტყვათმახვილის სუსტ გამოხატულების გამო შეუძლებელია. ავტორს რომ მიეშართა ქართული აქცენტუაციის ექსპერიმენტული მონაცემებისათვის, ან ქართულ ენას უშუალოდ დაევირევიბოდა, უეჭველია, მისი დასკვნები უფრო კატეგორიული ხასიათის იქნებოდა. მაგრამ მისი ნათქვამიც საკმარისია იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომელიც ჩვენ აღწინაშინეთ როგორც ტერტების პრაქტიკული არ არსებობა ქართულ ლექსში.

საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ სილაბურ-ტონური ლექსიწყოთის ძირითადი კანონი, რომელიც რუსულის მიმართ გამოთქვა ე. ვირმუნსკიმ შემდეგნაირად: „ლექსის რეალური ბგერითი ფორმა მეტრულ კომპოზიციის ემორჩილება მხოლოდ ზოგიერთ თავის ელემენტში და ლექსის რიტმი ყოველთვის არის კომპოზიციული ფორმა, რომელიც წარმოიშობა მხატვრული კომპოზიციის კანონების მიმართ მასალის წინააღმდეგობის შედეგად“².

სილაბურ-ტონურ სისტემაში მეტრი იდეალური კანონზომიერებია, რომელიც ახდენს ძლიერ და სუსტ ბგერათა განაწილებას გრეგორიკებას ლექსში, რიტმი კი — ამ ბგერათა რეალური განაწილებაა. ამ ტიპის ლექსიწყოთის საფუძველია მახვილიან მარცვალითა მეტრეკლებად მწყობრი განაწილება ტერტებში. ზოლო ამ უკანასკნელთა გაერთიანების გზით ლექსის საზომის შექმნა.

ქართულ ენაში კი მახვილის უქონლობისათუ სისუსტისა და მოძრაობის გამო, მახვილი არ შეიძლება იყოს ლექსის კონსტრუქციის დასაყრდენი და ლექსის ორგანიზაციისათვის საჭირო ხდება ტექსტის მწყობრი რაოდენობრივი დაყოფა, როგორც ეს ხდება ფრანგულ ენაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძლიერი მეტრი, მუხლებად მისი მწყობრი და მკაცრი დაყოფის გზით, კომპენსაციას უკეთებს სიტყვათმახვილის სისუსტეს ან უქონლობას. სამაკიერთოდ ძლიერი მახვილი შეიძლება განჩნეს

¹ George Saintsbury, A History of English Prosody, New York 1961, p. 13.

² В. Жирмунский, Введение в метрику, Ленинград, 1925, стр. 71.

¹ М. Д. Метрели. Историческое развитие словесного ударения в английском языке (кандидатская диссертация). Рукопись, Москва, 1966, стр. 6—7.

² В. Жирмунский, Введение в метрику, стр. 18.

ყოველ მარცვალში ლოგიკური დაჯგუფების მიხედვით, ე. ი. ფაქტობრივად ჩნდება ფრაზის ლოგიკური მახვილი, რიტმული ჯგუფის მახვილი. ანატომიკ მართალია ა. გაწერელია, რომელიც ავრტიკებს ს. გორგაძის სკოლურ მეტრიკას და ამბობს: „ამ შრომაში (ისევე როგორც სხვაგვარად ტერფის ტრადიციულ გაგებაზე უაპროპრიეტო უყვლა სხვა გამოკვლევებში) სქემები შედგენილია ტაქტების სკანდირების გზით და ერთი სიტყვითაც არაა მოხსენიებული რიტმის ნამდვილი ფაქტორები — მახვილების შედარებითი სიძლიერე, სიტყვისა და მეტრის ურთიერთმოქმედება, ე. წ. „რიტმული ჯგუფების“ როლი, აქცენტური სისტემის ცვალებადობა და სტროფის ჩარჩოებში, სინტაქსისა და საზომის ურთიერთობა და სხვა“.¹

მეორე არ არის ს. გორგაძის მტკიცებათა წინააღმდეგობრიობა დავიანახოთ ქორეს, ე. ი. ქართული ლექსის ერთ-ერთ წამყვანი ტერფის მაგალითზე. ქორე, როგორც ცნობილია, უნდა შეიქმნას მახვილიანი და უმახვილო მარცვლების შეერთებით (—) და მას ჩვეულებრივ ეძებენ მაღალ შაირში (ჩვენი ტერმინოლოგიით რეპარაციულია ლექსში მუხლებით 4+4), მაგ.

საა/წ/კოდ, /სა/ლ-/ლოზოდ, /ა/შა-/წა/გთა
/სა/თრე-/ვე/ლად.

აქ ოთხივე სიტყვა ოთხმარცვლიანია და ყოველი მათგანი ლექსის სქემის მიხედვით გამოხატულია შუაზე. სიტყვათმახვილი, რომელიც ვითომ ბოლოდან მესამე მარცვალზე უნდა იყოს, მეორე მარცვალზე გადადის საზომის ბრანების მიხედვით და ასეთივე მეორე მახვილი ჩნდება უოველი სიტყვის თავში. მაგრამ საკითხავია, ნორმალური ძალის დინამიკური მახვილი რომ ქონოდა სიტყვას (როგორც ინგლისურში, ან რუსულში), ვანა შეიძლებოდა მისი ადგილიდან დაეჭრა და თან კიდევ მეორე ასეთივე მახვილის გაეწა იმავე სიტყვაში? სილაბურ-ტონური მეტრიკის თანახმად ხომ სიტყვათმახვილი უნდა დამთხვევს მეტრულ მახვილს. ხოლო რადგან ეს დამთხვევა არა გვაქვს. მაშინ სიტყვათმახვილი მეტრისმეტად სუსტი ყოფილა, თუკი ის საერთოდ არსებობს, და თუ მახვილი

სუსტია, ან სულაც არ არის, რაღაზე უნდა იყავით ტერფი?

დაეშვათ, რომ ზემოთმოცხილულ ფაქტობრივ კი არ გვაქვს, არამედ მეორე შეონი, რაც ბუნებრივი იქნებოდა ს. გორგაძის მახვილი სისტემის მიხედვით (თუმცა უფრო ბუნებრივია, რომ პირველი ორი მარცვალი თანხებრად ძლიერია მეორე ორ მარცვალზე ქართული ენის დამთავალი მელოდის კანონის მიხედვით!) მაშასადამე მაღალი შაირი არ ყოფილა ქორეული საზომი. სავსებით ცხადია, რომ მოტიანი სტრიქონში არ არის არც ქორეები და არც მეორე შეონი, არამედ არის ოთხმარცვლიანი სიტყვა-მუხლები, რომელთა გამოთქმა ხდება ქართული გაბმული მეტრულუბის კანონის მიხედვით და მახვილის ყოველი შესაძლებელი ცვალებადობა ათავსებს ცელის ლექსის მეტრიკაში. ყოველი ამ სიტყვის ორ უკანასკნელ მარცვალს სინამდვილეში არც შეუძლია შექმნას ქორე თავისი სისუსტის გამო. ხოლო ორ პირველ მარცვალს არ შეუძლია შექმნას მეორე შეონი თავისი თანაბარი ძლიერების გამო. სამაგიეროდ მტკიცება მუხლის საზღვრები: ოთხი მარცვალი და პირველი და ამ უკანასკნელის გადასმას (ერთადერთს) ძალის შესყვალის ან სრულიად დაარღვიოს მოცემული საზომი. ყველას შეუძლია თვითონვე დარწმუნდეს, თუკი სცდის და გადასვამს პირველს.

ამგვარად, ქართულ ლექსში ფუნქცია ძირითადი მეტრული ერთეულია, რომლის დარღვევანიშნავს ლექსის ორგანიზაციის დამლას — საჭიბობრივად რომ ვთქვათ, სილაბურ-ტონური სისტემის ტერფი-აგურის მსგავს ფუნქციას ასრულებს უფრო მსხვილი ბლოკი-მახვილი. — ლექსის რიტმიული კონსტრუქციის სვედენტო, რომელსაც ს. გორგაძე თვლიდა მეორე სიფხურის მეტრულ ერთეულად, ქართულ ლექსის საზომები ტრადიციის მიხედვით შემთხვევით არ აღინიშნება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით (რეპარაციულიანი, ათმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი და ა. შ.), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თანამედროვე ქართული ლექსთმეცნიერების რაოდენობრივ ხასიათს, რაოდენობრივი სახელები შემთხვევით როდესაცელიან ქართული ლექსის საზომთა უძველეს სახელებს, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს საზომები იქმნება მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობის მქონე მუხლების გარკვეული რიტმული შეერთებით (მაგ. 4+4+2 ან 5+4+5), ისევე როგორც სხვადასხვა საზომთა შეხამებანი ქმნიან მრავალფეროვან სტროფიკას (მაგ. 8=7, 7=6, 14=10) და ა. შ.)

¹ ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 92 სხვათაშორის, ა. გაწერელია, რომლის წიგნის გამოცემისას (1953 წ.) ბუნებრივია, არ იქნებოდა ცნობილი მომდევნო წლების ექსპერიმენტული მონაცემები ქართულ აქცენტურობის შესახებ, მიუხედავად ამისა მაინც აყენებს სწორ მონაზრებათა რვის ზემოაღნიშნული დებულების მსგავსად, რაც გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომის სათანადო ადგილებში.

¹ ს. გორგაძე, ქართული ლექსი, 1930, გვ. 13.

ხოლო მუხლებში შეივნიო ელქს ქართული მეტყველების უმდიდრესი მელოდია.

ყოველივე შემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისეთი სისტემების შეპირისპირებაში, როგორც არის, ერთი მხრივ, ინგლისური და რუსული, ხოლო მეორე მხრივ, ქართული, საჭიროა გათვალისწინებული იყოს ყოველი მათგანის განუმეორებელი თავისებურება. ამგვარი შეპირისპირება აუცილებელია არა მარტო წმინდა თეორიული ამოცანებისათვის, არამედ მის ყოველ წამს საჭიროებს პოეტური თარგმანის პრაქტიკა. უდავოა, საყოველთაოდ ცნობილი ფორმულა „თარგმანი სრულდება სტილისტურ-ფუნქციონალური შესატყვისობის კანონების მიხედვით“, მაგრამ ტექნიკური პროცესის კონკრეტულ სიძნელეთა შეცნობის და პოეტური თარგმანის უკრძო უფროაში მათი გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია პოეტური თარგმანის საქმის წინ წაწევა-ამიტომაც მეტად საჭიროა ვიცოდეთ თარგმანის პროცესში შემხვედრი ყოველი ენის ლექსითწყობის რეალური ბუნება. იმის წინასწარი გადაწყვეტა, თუ სხვადასხვა ენათა რა და რა საზომები შეესაბამებოან ერთმანეთს, შეუძლებელია, რადგან ყველა მთარგმნელსა კარგად იცის, რომ რაოდენობრივად ერთგვარ საზომებსაც ეს სხვადასხვა ენებში და სხვადასხვა პოეტურ კონტექსტში შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა თვისობრივი მანუვრებლები, სხვადასხვანაირი ესთეტიკური დანიშნულება. მაგრამ ისტორიულმა პრაქტიკამ დაამყარება ზოგიერთი ტრადიცია, მაგ. სილაბურ-ტონური სისტემების მიერ დამყვებულ გარკვეულ უზუსტობის მიუხედავად შექსპირის ზეოტერფიანი იაბში რუსულად იმავე საზომით შეიძლება გადმოვიდეს და უნდა მიველოდეთ, რომ მივიღებთ შექსპირისეული ლექსის საქმოდ ადეკვატურ ფლერაბას, მაგრამ რაოდენობრივად შექსპირის ლექსის შესაბამისი ქართული ათმარცვლიანი ლექსით შექსპირის თარგმან სრულად შეუძლებელია. ეს საზომი (მუხლები სისტემით 5+5 ან მით უფრო 4+4+2) საკმომ არ იქნება არა მარტო ქართული სიტყვების მოკარბებული პოლისილაბიზმის მიზეზით, არამედ ინტონაციური შესაბამისობის გამო (განსაკუთრებით მეორე ათმარცვლიანი საზომის შემთხვევაში). ამიტომაც ტრადიციის მიხედვით შექსპირი ქართულ ენაზე თარგმნებოთოთმეტმარცვლიანი ლექსით (მუხლები სისტემით 5+4+5).

თუ რეგულარული საზომის საქმე თარგმანში არც ისე ცუდად არის, თავისუფალი ლექსი, რომელიც წელ-წელი, მაგრამ ჭიუტად შეუღლის თანამედროვე პოეზიაში, მოითხოვს თავის პოეტუკას და თავისებურ შესატყვისობას უკაო ღედნებთან. ინგლისურ და რუსულ პოეზიაში

ის შეიძლება დაემყაროს მახვილს და მისზე აგებულ რიტმიკულ და ბგერულ მტრულტრუქას. რომელსაც არა აქვს რითმა და მსგავსი მტრულტრუქამ აქვს პოეტური კომპოზიცია და სახეობრივი სისტემა, რა ვუყოთ თავისუფალი ლექსის პრობლემას სუსტი სიტყვათმახვილის მქონე ენებში, როგორ ეხსნათ თავი ლექსის გადასტყვისკან პროზად, თუ როგორც მოხდენილად ანობს დ. სამილოვი „მოსაწყენ, ნახევრად პროზულ საღეჭად“!

აქაც უნდა მივმართოთ ფრანგული ენის მავალიოს და ქართული ლექსის ჩვენს მიერ აღნიშნულ თავისებურებებს, სახედობრ, მუხლთა სისტემას.

ფრანგულმა ლექსთწყობამ ლათინურისკან მემკვიდრეობით მიიღო თეთრი ლექსის ტრადიცია, განმტკიცებული კლასიციზმით და შესაძლოა არა ორალური (ზემბიტი), არამედ წერილობითი გამოსახვის იმ მანერით, დამწერლობით სრულყოფისადმი იმ მისწრაფებით, თვალთ საკითხავი იმავე ლათინურის ზეგავლენით, რომელშიც ხედავდა ფრანგული პროსოდისა და პოეტური თარგმანის ამ ისტორიული თავისებურების წყაროს თარგმანის ცნობილ თანამედროვე თეორეტიკოსი ედმონ კარბოზომ ამ მიუთითებს ეს მემკვიდრეობა, ფრანგული სიტყვათმახვილის სისუსტესთანერთად, აგრეთვე ლათინური ტერფების გრძელი მარცვლებისა და სიტყვათმახვილების მიღებული სისტემის შესაბამისობასთან ერთად (რომელიც, სხვათა შორის, მეტად წაიგავს ს. გორკაჰის მიერ მიღებულ ქართულ სიტყვათმახვილთა სისტემას, რაც, შესაძლოა, ისტორიულ რედმიწენტადაც კი ჩავთვალოთ), ხომ არ მიუთითებს ეს მემკვიდრეობა იმაზე, რომ ლათინურ ენაშიც სიტყვათმახვილი იყო სუსტი და ამიტომ ადვილად ემორჩილებოდა მეტრულ სქემას? იქნებ ლათინური ტერფებიც თავიანთი ბუნებით და დანიშნულებით იგივე იყო, რაც ქართული ლექსის მუხლები? ბოლოს, დ ბოლოს, რა ვკითხვენ ცოცხალი ლათინური მეტრეკალების შესახებ? ამ კითხვების პასუხს სპეციალისტებს მივანდობთ და ეუბრუნდებით ფრანგული „ვერლბრის“ ანუ თავისუფალი ლექსის ანალიგის საკითხს.

ეად. ლ. ვ. შნებრა პოელობს თანაბრმარცვლიან რეგულარულ საზომებს ფრანგული თავისუფალი ლექსის საფუძველში, სდაც ერთი საზომიდან მეორე საზომზე გადასვლა შინაგანად არის მოტივირებული შინაარსით.

1 Редактор и перевод (сборник статей), Москва, 1965, стр. 67.

2 ახ. მთარგმნელთა საერთაშორისო სემინარის თეზისები. ივეჯსკულა (ფინეთი), 1966.

უფრო მეტიც: ლექსის პროზად გადაქცევისა და სხვადასხვა სტრუქტურითა უწესრიგოდ აღრევის საშიშროების გამო, მკვლევარის აზრით „სწორედ vers libres-ში შეიძლება იგრძნოს ადამიანმა ლექსის თანაბარმარცვლიანობის მთელი მნიშვნელობა ფრანგულ ვერსიფიკაციაში“.¹ აღსანიშნავია, რომ ამასთან ერთად ფრანგული ლექსის საზომები დასახელებულია მათი რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით (ოცმარცვლიანი — ძირითადი ფრანგული ლექსი, ათმარცვლიანი, რვა-მარცვლიანი, ოთხმარცვლიანი, სამარცვლიანი და ა. შ.).

ბუნებრივია, რომ ქართული ლექსი, რომელიც სიტყვათმთავლის სისტემისა და მეტყვეობის გამო უნდა ემყარებოდეს რაოდენობრივ მეტრს, თავის „ვერლიზმსაც“ უნდა ჰქმნიდეს ფრანგულის ანალოგიურად, თანაბარმარცვლიანობის პრინციპის მიხედვით, მუხლდევნიან წყობიდან გამომდინარე. სხვანაირად იგი დგება პროზად გადაქცევის საფრთხის წინაშე, შესაძლოა ემთავსებოდეს, მაგრამ მაინც პროზად ქცევა მოელის. ამიტომ ამგვარი ორგანიზაციის ერთადერთ საშუალებათ მიგავიწყდება დამთავრებულ მუხლთა გამოყენება და მათი ვარიანტები შინაარსის დავალების მიხედვით. ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ე. შაიაკოვსკის ლექსების თარგმანებში, რომელთა დედანი აგებულია ტონურ საფუძველზე საზომთა თავისუფალი გამოყენების პრინციპით. შაიაკოვსკის ლექსების ქართულ თარგმანებს საფუძვლად უდგას რეგულარული საზომები, ყველაზე ხშირად თოთხმეტმარცვლიანი კლასიკური ლექსი, რომელიც მეტად პირობითად და გარეგნულად არის დაყოფილი შაიაკოვსკის ლექსის „კიბის“ საფუძვრებად. „არარეგულარული“ ლექსით შაიაკოვსკის თარგმანის ცდები ტექნიკურ მარცხად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ქართულად თანაბარმარცვლიანობის გარეშე სალექსო საწყისის შეგრძნობა შეუძლებელია.

დასასრულ შეიძლება, ერთხელ კიდევ გავსვას ხაზი იმ ვარაუდებს, რომ ქართული ლექსის საფუძვლად შეპირისპირება თავისი სტრუქტურით შორეულ ლექსთწყობის სი-

სტემებთან ავლენს ქართული ლექსის თავისებურებას სილაბური სისტემის უწყვეტობაში, დამახასიათებელი მუხლდევნიანობით და თანაბარმარცვლიანობით. ამას იწყვეტს ქართულ გაბმულ მეტყველებაში სიტყვათმთავლის სისტემა და მეტყვეობა, რომელიც კომპენსაციად ხდება მეტრის ძლიერებითა და სიმეტრიით სალექსო სტრუქტურაში.

ხუთს კარგად გვესმის, რომ ლექსთწყობის ბუნების საკითხი საბოლოოდ არ წყდება მხოლოდ ფონოლოგიურ საფუძველზე, როგორც, მართებულია შენიშნავს რ. იაკობსონი, ბევრი, რომ იხსენება ესთეტიკური ტრადიციით და კულტურული გავლენით.¹ ხოლო ასეთი გავლენები და ურთიერთობანი ისტორიულ საქართველოში საკმაოდ მეტი იყო ანტიკურობიდან მოყოლებული ქართულ-რანულ ლიტერატურული ურთიერთობით დამთავრებული. (სხვათა შორის, როგორც ანტიკური, ასევე ირანული ლექსი ხასიათდება რაოდენობრივი სისტემით და შესაძლოა აქაც უნდა ვეძებოთ დამატებითი საბუთები, აგრეთვე იქნებ არაბული რაოდენობრივი ლექსთწყობის გავლენებშიც, მსგავსად იმისა, როგორც შეიძლება ვიპოვოთ რუსული პროზოდის გავლენა მათში, ვინც ცდილობდა ქართულ ლექსში დაენახა სილაბურ-ტონური სისტემა).

უძველთა, ყველა ლოგიკური დასკვნა, რომელიც გამოიმდინარეობს ქართული ენის ორტიპიკულ-მელოდიკური სტრუქტურის მონაცემებისა და ლექსთწყობის შეპირისპირებიდან სხვა ენათა სტრუქტურებთან, ყველა ანალოგიისა და დაპირისპირების ჩათვლით, შეიძლება ჩათვალოს მხოლოდ წინასწარ დასკვნად. მათ ვერ კიდევ ესაპიროებათ შემდგომი და ათეორი შემოწმება როგორც დინჯი და მთლიანობა ლოგიკური ანალიზის გზით. ასევე მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით ლაბორატორიებში, აგრეთვე უშუალო დაკვირვებით ქართულ ენასა და ქართულ ლექსზე, რათა აბოლოო გადაწყვეტილება მივიღოთ ისეთი თავისებური მოვლენის კვლევითი საკვანძო, როგორცა ქართული ლექსი.

¹ Л. В. Щерба, Фонетика французского языка. Москва, 1963, стр. 177.

¹ Р. Якобсон, О чешском стихе, стр. 18.

ხელოვნების თავისებურების კვლევის შესახებ

ხელოვნების თავისებურების ანალიზი ისტორიულად მხატვრული მოვლენების ესთეტიკური ან ასახვით-ესთეტიკური თავისებურების პრობლემით ისაზღვრებოდა. ამასთან, ეს პრობლემატური განიხილებოდა მხოლოდ ერთი მხრივ, სახელდობრ, ამ მიმართებაში, რომელსაც გულისხმობს პასუხი ცნობილ კითხვაზე — რა არის ხელოვნება?

ხელოვნების თავისებურების კვლევის ამ წმინდა ლოგიკურ ასპექტს იდეალისტური ესთეტიკის პრინციპები, უპირატესად ხელოვნების განვითარების იდეალისტური გაგება ედო საფუძვლად. როგორც ცნობილია, გასულ საუკუნის 60-იან წლებამდე საწინააღმდეგო მოქმედება — ხელოვნების პროცესის მატერიალისტური ახსნა-არსებობდა: მატერიალისტური ესთეტიკა ამ სფეროში, არცერთად, იდეალისტურ კონცეფციას იზიარებდა. ამ მხრივ მატერიალისტურ ესთეტიკურ მსოფლმხედველობასაც იგივე არათანმიმდევრულობა ახასიათებდა, როგორც ნიშანდობლივი იყო მთელი მარქსამდელი მატერიალიზმისათვის ისტორიის ფილოსოფიაში. თავისთავად ცხადია, ამით აიხსნება ხელოვნების თავისებურების კვლევის აქ აღნიშნული ცალმხრივი ასპექტის ბატონობა ათეული საუკუნეების განმავლობაში.

ეს ტრადიციულ უკიდურესი აბსტრაქტული თვალსაზრისის სახით გამოვლინდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ფორმალისტურ, განსაკუთრებით, სუბიექტივისტურ-ფორმალისტურ ესთეტიკაში. ეს უკანასკნელი კი უშუალო სათავეს იღებს კანტის ესთეტიკურ ნააზრევში, სადაც როგორც მშვენიერების აბსოლუტური და საყოველთაო არსის, ისე ესთეტიკური განსჯის უნარის სუბიექტიურობისა და წმინდა ესთეტიკური ავტონომიურობის დასაბუთების ცდა მხატვრული მოვლენების კონკრეტული მონაკვეთისა და ისტორიული პროცესის სრულ იგნორირებას ემყარება.

პეგელს არ გაუყვა ამ გზას. არ იქნება გადუქარბება თუ ვიტყვით, რომ მან მოგვცა ხელოვნების არა მარტო საყოფრთველ ასახვით-შემცენებელი არსის თავისებურების, არამედ ისტორი-

ული პროცესის საზოგადოებრივ ვითარებასთან კავშირისა და სპეციფიკური კანონზომიერების არა ერთი მომენტის შესანიშნავი კონკრეტული ცხადყოფა. ამდენად პეგელმა თბიერ-ტბიერად, რამდენადმე მაინც, თავისი ესთეტიკური მოძღვრების იდეალისტურ მხარესაც გამოაცალა რეალური საფუძველი, ასეც შეიძლება ვთქვათ: იგი მატერიალისტურ ესთეტიკას უფრო მეტად უწევს სამსახურს, ვიდრე იდეალიზმის ორთოდოქსალურ პრინციპებს. მაგრამ ეს სიახლე შედარებითი ხასიათისაა, რის გამოც იგი არ აღმოაჩნდა საქმარისი იმისათვის, რომ ხელოვნების თავისებურების ანალიზის საზღვრები ბოლომდის გაფართოებულყო თანმიმდევრული ისტორიული ასპექტის დამკვიდრების სახით.

პეგელის შემდეგ იდეალისტური ესთეტიკა უპირატესად კანტს დაუბრუნდა, ამასთან, როგორც ვთქვით, მან კანტის მიერ ფუძემდებელი კონცეფცია ძირითადად უკიდურესი სუბიექტივიზმისა და ფორმალისტურ-მისტიკური თვალსაზრისის გზით განავითარა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ჩამოყალიბებული თანმიმდევრული მატერიალისტური ესთეტიკის ფუძემდებელი პრინციპები ახალ, კვამარითად მეცნიერულ მიმართულებას აღწევნ ხელოვნების სპეციფიკის კვლევას. ისინი ცხადს ხდიან იდეალისტური ესთეტიკური მოძღვრების ყველა სახეობის ნაშედეგ არსს, ზოლო ამ საფუძველზე ხელოვნების თავისებურების ანალიზის ტრადიციული ასპექტის ახსნით შეზღუდულობას. ამჟამად დროს, ეს პრინციპები, აგრეთვე ისტორიული და ლოგიკური კატეგორიის მარქსისტული გამოქმედა, უშუალოდ განაპირობებენ დასკვნებს, რომელი თანახმად:

1. ხელოვნების ასახვით-ესთეტიკური თავისებურება მხატვრული მოვლენების ისტორიულ პროცესში პოულობს კონკრეტულ გამოხატულებას, რადგან იგი ამ პროცესის შინაგანი კავშირისა და სპეციფიკური საზღვრების ძირითად საფუძველს შეადგენს. ამიტომ მისი ანალიზი ხელოვნების მთელი ისტორიის გან-

ზოგადებას, აბსტრაქტიზმს უნდა ემყარებოდეს.

2. ხელოვნების განვითარების პროცესი გარკვეულ მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივ კომპონენტებს მოიცავს და საკუთარი კანონებით, ღრმად სპეციფიკური კანონზომიერებით ხასიათდება. ამგვარი ხასიათის გამო ეს კანონზომიერება ხელოვნების თავისებურების ორგანული შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, ხელოვნების თავისებურება წარმოადგენს ხელოვნების როგორც ასახვით-ესთეტიკური წესის (კანონების), ისე განვითარების პროცესის ობიექტური კანონზომიერების თავისებურებათა მთლიანობას. მას ეს ორი ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებული და ურთიერთიდან გამოძლინარე მხარე აქვს, ხოლო ამის შესაბამისად მისი კვლევა ორივე ასპექტის (ლოგიკური და ისტორიული) მთლიანობას უნდა მოიცავდეს. „როგორც ისტორიული პროცესის ასახვას აბსტრაქტულ და თეორიულ ფორმში“ (ფრ. ენგელსი). ერთი სიტყვით, ხელოვნების თავისებურების კვლევა უნდა ეფუძნებოდეს ხელოვნების არა მარტო ასახვით-ესთეტიკური არსის ანალიზს, (ე. ი. პასუხს კითხვაზე — რა არის ხელოვნება?), არამედ ხელოვნების განვითარების პროცესის ანალიზსაც, რაც გულისხმობს პასუხს ზეორე კითხვაზე — როგორ ვითარდება ხელოვნება? ამ მთლიანობის გარეშე შეუძლებელია სწორი დასკვნების მიღება ხელოვნების სპეციფიკის კვლევისას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასკვნები, გარდა იმისა, რომ ლოგიკურად გამოძლინარეობენ მარქსისტული ესთეტიკის ფუძემდებელ პრინციპებსა და ისტორიულსა და ლოგიკურის მთლიანობის კატეგორიის დიალექტიკურ-მატერიალისტური კონცეფციიდან, ფრაგმენტული სახით უშუალოდაცა ასახულია კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ცნობილ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებში.

წელი არ არის მათი ცალკეული არსებითი მომენტების ამოკითხვა ლ. ტოლსტოის შემოქმედების საზოგადოებრივ ვითარებასთან კავშირის, აგრეთვე, ამ ნიადაგზე მწერლის შემოქმედებისა და პოლიტიკური შეხედულებების ძირითად ტენდენციებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობის ლენინური ანალიზიდან. ისინი გ. პლენაროვის ესთეტიკურ ნაპრევიში პოლოზონ საეგებით ცხად გამოხატულებას.

ჩვენ არ შევედგებით კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ე. ლენინისა და გ. პლენაროვის აქ ნაგულისხმე შეხედულებათა კონკრეტულ განხილვას. ჩვენი მიზნისათვის ხელოვნების თავისებურების ანალიზის ისტორიული ასპექტის პრინციპული საფუძვლების აღნიშვნაც საეგებით

საკმარისია. რაც შეეხება ამ ასპექტის მიმართ ყურადღების ასე საგანგებოდ გამოხატულებას, იგი გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებმაც როგორც ესთეტიკაში ეს თვალსაზრისის უკეთეს შემთხვევაშიც ვერ პოულბოს სათანადო გამოხატულებას. არ გადავიპარბებთ, თუ ვიტყვით, რომ აქ ხელოვნების თავისებურების შესწავლა არსებითად, კვლავ ტრადიციული მიდგომით ხასიათდება. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საკუთრივ პრობლემტიკის შეზღუდულობა, სახელდობრ, ის ფაქტი, რომ, მართალია, თანამედროვე მარქსისტული ესთეტიკისთვის შრომებში ხელოვნების ასახვით-შემქმნებით სპეციფიკის ანალიზი კონკრეტული ისტორიული ფაქტების, ხელოვნების მთლიანობის განზოგადებას (აბსტრაქტიზმს) ემყარება. ამ თუ იმ სისრულით, მაგრამ თვით ამ ისტორიული პროცესის სპეციფიკური კანონზომიერება იგნორირებულია როგორც ხელოვნების საერთო თავისებურების ერთ-ერთი ძირითადი არსებითი მხარე, აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ეს არ ნიშნავს, თითქმის, თანამედროვე მარქსისტი ავტორები საერთოდ არ სწავლობდნენ აღნიშნულ კანონზომიერებას, ამის თქმა უსაფუძვლო ბრალდება იქნებოდა. ჩვენ ამ შემთხვევაში მიუთითებთ მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ მათ ეწიროდ (შეზღუდული სახით) აქვთ გაგებული ხელოვნების თავისებურების სახელები, პრობლემტიკა. როგორც ვთქვით, ამ სფეროში არ შეაქვთ ხელოვნების ისტორიული პროცესის სპეციფიკური არსი, კანონები. მაშასადამე, ეს უკანასკნელი მათთვის ცალკე, თავისთავადი პრობლემის სახით არსებობს.

ცხადია, ამა თუ იმ სახით, იდეალისტური ესთეტიკა საეგებით თანმიმდევრულია თავის პრინციპების მიმართ, როდესაც იგი ჩვენთვის უკვე ცნობილ ტრადიციულ ასპექტში იკვლევს ხელოვნების თავისებურებას. მაგრამ ამ ტრადიციის მარქსისტულ ესთეტიკაში გადატანა არსებითად ეწინააღმდეგება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ ფუძემდებულ ესთეტიკურ პრინციპებს. ეს იმიტომ, რომ ამ პრობლემის სფეროშიც ვლანდება ის დიალექტიკური სხვადასხვაობა, რომელიც მატერიალისტურ და იდეალისტურ ესთეტიკის ურთიერთამოკიდებულებას ახასიათებს საერთოდ.

როგორც ამ სხვადასხვაობის, ისე აქ განვითარებული თვალსაზრისის უფრო ნათლად ცხადყოფისათვის, უკვე აღნიშნულთან ერთად აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანიც.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ხელოვნების თავისებურება სინთეტური მოვლენაა, განსაკუთრებული მრავალმხრივობით ხასიათდება. იგი მხატვრული

მოვლენების ყველა მხარეში, ყველა შემადგენელი კომპონენტისა და მიმართების სფეროში იხატება. ამიტომ მისი ანალიზი ბელოვანების ასევე ფართო განხილვას, მთელი ისტორიის განზოგადოებას გულისხმობს. საერთოვე ისტორიული ასპექტის აუცილებლობა კი აქ ორა გარემოებით არის გაპირობებული: 1. ბელოვანების ასახეთი-ესთეტიკური თავისებურების ბელოვანებასევე ისტორიულ პროცესთან ორგანული კავშირით, 2. ბელოვანების თვით ამ ისტორიული პროცესის კანონზომიერების ღრმად სპეციული არსით, რომლის გარეშე ბელოვანების თავისებურების სრული მეცნიერული სურათის დახატვა შეუძლებელია.¹

პირველის გამო მხოლოდ ისტორიული მიდგომის შედეგად შეიძლება ბელოვანების უზოგადესი ასახეთი-ესთეტიკური არსი, თავისებურება ვაყოფიერო მხატვრული მოვლენების პროცესისათვის დამახასიათებელ, ერთი მხრივ, ეპოქისეული იდეური კედლის, ესთეტიკური იდეალისა და შემოქმედებითი პრინციპების მრავალფეროვნებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, იმ კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვან კერძობით სხეულისეულისაგან, რომელსაც ბელოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ეწოდება. საოლუსტრაციოდ გავიხსენოთ დეკადენტურ-ფორმალისტური მიმდინარეობანი და კლასიკური ბელოვანება, ანდა, საკუთრივ რეალიზმი. მათ სფეროებში ბელოვანების საერთო სპეციფიკური არსის, კანონების ძიება ვერასოდეს ვერ მოგვეცეს ჰემარჩი შედეგს, თუ არ გავყოფიერო მხატვრული მოვლენების განვითარების საზოგადოებრივ-ეკონომიკური ვითარებით გაპირობებულობის პრინციპიდან, საერთოდ ბელოვანების პროცესის ობიექტური საფუძვლის კანონიდან. ამავე დროს, ჩვენ ვერ მივიღებთ სწორ დასკვნებს ვერც მაშინ, თუ ჩვენთვის ნათელი არ იქნება შემოქმედებითი ინდივიდუალობის საზღვრები, ე. ი. თუ ჩვენ მხატვრული ნაწარმოებების როგორც ზოგადი არსიდან, ისე ამ უკანასკნელის ეპოქისეული გამოვლენის კონკრეტული მონაცემებიდან, ვერ განვასტავებთ იმას, რაც ყოველი რეალიზტი არ ეკადენტი ბელოვანის საკუთრებას, კერძო შემოქმედებითი გამსაუფრებულობას, თვითმყოფობას წარმოადგენს. ბელოვანების ისტორია წარმოდგენილია შინაგანი სხვადასხვაობისა და კონტრასტების განუწყვეტელი ცვლილებისა

და ახლისკენ სწრაფვის გარეშე, რასაც ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა მთლიანობა განსაზღვრავს, პირველის (ობიექტური) ნაწილს ვეწოდებ. ეს ცნობილი ფაქტორი შეეყვარება საგან მთლიანობას თავდაპირველად ბელოვანების ისტორიული პროცესის კანონზომიერებაში გაიკვევას, ხოლო ამ ნადავზე იმ ასახეთი-ესთეტიკური თავისებურების ძიებას (ცხადია, ანტირეაგირების ვით), რომელიც მარად ცვალებადი სახეობისეული ვლინდება, საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარემოსა და თვით ბელოვანის „მეს“ (ტალანტის, ისტატობის, შემოქმედებითი ნატურის, საერთოდ მთელი სულიერ-ინტელექტუალური ინდივიდუალობის) შესაბამისად. მხატვრული ნაწარმოებების ამ ასპექტში ანალიზი უპირველესი პირობაა იმისათვის, რომ რომელიმე მიმდინარეობის ან ბელოვანის კერძობითი ნიშანდობლივი თავისებურებები არ მივაწუროთ ბელოვანების ზოგად ასახეთი-ესთეტიკურ არსს. ასეთი აღივება კი, როგორც ცნობილია, ზშირად ვეხებება ესთეტიკური არარეგებანში, მკლევაართა თანმიმდევრული მატერიალისტური თვალსაზრისის დონემდე ამა თუ იმ სახით აუმალეულობის გამო.

ასეთია ბელოვანების თავისებურების კვლევის ისტორიული ასპექტის ერთი მხარე და მისი აუცილებლობის ცხადყოფი საბუთი. როგორც ვთქვით, ყველაფერი ეს სათანადო გამოხატულებას პოულობს თანამედროვე მარქსისტულ ესთეტიკურ არრეგებანში, რის გამოც მის შესახებ საკითხის სისრულით წარმოდგენის მიზნით შევჩერდით.

ახლ შევხებით ბელოვანების თავისებურების კვლევის ისტორიული ასპექტის მეორე მხარეს.

როგორც ცნობილია, ყოველი თვისი არსით სპეციფიკური სოციალური მოვლენისათვის (მაშასადამე, საზოგადოებრივი ცნობიერების ყოველი ფორმისათვისაც), განვითარების პროცესის მკვეთრად გამოვლენილი თავისებური კანონზომიერებაა ნიშანდობლივი. ბუნებრივი, ეს შეეხება კერძოდ ბელოვანებასაც, რის გამოც ბელოვანების თავისებურება დამთავრებულ სახეს აღნიშნული კანონზომიერების სფეროში იღებს. მართალია, ეს სფერო საბოლოო ანგარიშში გენეზისის მხრივაც ორგანულ კავშირშია ბელოვანების საკუთრივ ასახეთი-ესთეტიკურ არსთან, მაგრამ მას, არსებობად, მიიღ თვისთავად, დამოუკიდებელი სახე და მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში იგივე კანონი მოქმედებს, რომელიც დამახასიათებელია მიზეზისა და შედეგის ურთიერთმიმართებისათვის საერთოდ: ყოველი შედეგი თვისობრივად ახალი მოვლენაა ე. ი. არ უდრის მიზეზს. მიზეზისა და შედეგის ურთიერთობა ისევე არ გულისხმობს იდეენტრობას, როგორც არც აბსოლუ-

1 იქ ჩვენ საგანგებოდ ვანხებავებთ ურთიერთისაგან ბელოვანების საკუთრივ ასახეთი-ესთეტიკური თავისებურებასა და ბელოვანების თავისებურებას საერთოდ, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვით, პირველი მეორის მხოლოდ ერთი მხარეა, ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ტურ წინააღმდეგობას. ერთი სიტყვით, აქ მთლიანობის კანონთან გვაქვს საქმე.

ხელოვნების ისტორიული პროცესის თავისებურების ერთერთ ნათელყოფას წარმოადგენს თვით ამ პროცესის სტრუქტურის ის მხარე, რომელიც გვევლინება როგორც სპეციფიკური ისტორიული კომპონენტების მთლიანობა, თანმიმდევრული წყობა, სისტემა. ეს კომპონენტებია: შემოქმედების მეთოდი, მხატვრული მომდინარეობა და სტილი, ხილი სტილის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილი შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ამასთან აქვე უნდა აღინიშნოს ხელოვნების არა მარტო საკეთრივ იდეურა, საოციალურ-კლასობრივი და ეროვნული არსის თავისებურება სხვა იდეოლოგიურ ზედწინებთან შედარებით, არამედ ისიც, რომ კლასიკური მხატვრული ქმნილებანი საყოველთაო და მარადილია, ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწყდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ.¹ ეს უკანასკნელი განსაკუთრებულადაც უპირატესად ხელოვნების ისტორიულ პროცესში პოელობას ახსნას, რადგან იგი ამ პროცესის სპეციფიკური კანონზომიერების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს.

შეიძლება ძირითადი გარემოება, რომელიც ცხადყოფს ხელოვნების განვითარების პროცესის თავისებურების თვითმყოფ (თავისთავად) მნიშვნელობას, აღნიშნული აქვს ქ. მარქსს ცნობილ დაუთვარებელ შესავალში შრიმისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. ქ. მარქსი აქ საგანგებოდ მიუთითებს ხელოვნების ავტავების პერიოდების თავისებურ შეფარდებაზე „საზოგადოების საერთო განვითარებასთან“, მაშასადამე, საზოგადოების, კერძოდ მატერიალური საფუძვლის განვითარებასთანაც.² აი ეს სტრიქონები: „ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი ავტავების გარკვეული პერიოდება სულაც არ შეესაბამება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, არც ამ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარებას, საფუძვლისა, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს. მაგალითად, ბერძნები შედარებით თანამედროვე ხალხებთან ანდა აგრეთვე შუქსპირა“.³ ერთა ქვემოთ ქ. მარქსს ვასაკვირ მოვლენად არ მიაჩნია „ხელოვნების მთელი სფეროს“ ასეთი დამოკიდებულება (არა შესაბამისობა) „საზოგადოების საერთო განვითარებასთან“.³ და ეს მაშინ, როდესაც, ქ. მარქსისავე თვალსაზრისით, სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გაგება, რომ ხელოვნების

განვითარების ესა თუ ის ეპოქა „საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპებთან დაკავშირებული“.

თავისთავად ცხადია, ხელოვნების ისტორიული პროცესის თავისებურება მხოლოდ ამ ნიშნებით არ იფარგლება. აქ მხოლოდ ძირითადი იყო აღნიშნული და ისიც მხოლოდ ჩამოთვლის სახით. მაგრამ უფრო შორს წასვლა — ყველა ნიშანზე მითითება და თვით ამ ნიშანთა კონკრეტული ანალიზი — ამ საკითხის სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს და ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი. რაც იქვე, ისიც საკმაო საბუთია ხელოვნების განვითარების კანონზომიერების სპეციფიკური არსის, როგორც ხელოვნების თავისებურების არსებითი შემადგენელი ნაწილის, ცხადსაყოფად.

ხელოვნების თავისებურების ისტორიული ასპექტის სწორედ ამ მხარეს უგულვებელყოფს თანამედროვე მარქსისტული ესთეტიკა. და ეს მაშინ, როდესაც მის სფეროში განსაკუთრებული გაერკვლება ჰყოფს ხელოვნების თავისებურების საფუძვლად ხელოვნების საგნის თავისებურების აღიარებას. ამასთან, თვით ამ უკანასკნელის გაშუქება არც ისე იშვიათად ისეთ დებულებებს ემყარება, რომლებიც ობიექტურად იდეალისტური ესთეტიკის გარკვეული პრინციპებით არიან დავალებულნი. ასეთია, მაგალითად, მტიცება, თითქოს, ხელოვნების საგანს შეადგენდეს ან აღამაინ როგორც აბსოლუტური ესთეტიკური კატეგორია, ან აღამაინ ესთეტიკური დამოკიდებულება გარემოსთან. ბუნებრივია, ეს შეხედულებანი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ ზოგჯერ რამდენად ცალმხრივია (ხოლო ამიტომ კუშმარიტი მარქსისტული თვალსაზრისისაგან განრიდებულა) ხელოვნების თავისებურების კვლევა ჩვენი ესთეტიკაში. ეს იმიტომ, რომ ისინი არა მარტო მხატვრული მოვლენების განვითარების თავისებურებას გამოირიცხავენ ხელოვნების სპეციფიკის კვლევის პრობლემატიკიდან, არამედ ობიექტურად თვით ამ სპეციფიკის უარყოფამდე მიდიან. მათ მიხედვით ხელოვნებას აღარ რჩება საკუთარი მოზიცი, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ასახვით-ესთეტიკური არსი, მაშასადამე, მას არსებობის საფუძველიც ეცლება. შეუძლებელია სხვა შედეგი მივიღოთ იმ თვალსაზრისის ლოგიკური განვითარებიდან, რომელიც ხელოვნების ესთეტიკური თავისებურების საფუძველს ხელოვნების საგნის სფეროში ხედავს.

სინამდვილეში არსებითად განსხვავებულ კანონთან გვაქვს საქმე: ხელოვნების ასახვით-ესთეტიკური თავისებურება განაპირობებს ხელოვნების საგნის თავისებურებას, ხოლო თვით საგანი ობიექტური სინამდვილის გარკვეული მოვლენების სახით გვევლინება და არა როგორც სინამდვილის მხოლოდ ესთეტიკური თავისებურება, ან აღამაინთა ესთეტიკური დამოკიდებულება სი-

1. ქ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, სახელგამი, 1953, გვ. 297.

2. იქვე, გვ. 295.

3. იქვე, გვ. 296.

ნამდვილესთან. ხელოვნება იმიტომაც საზოგადოებრივი ცნობიერების თავისებური ფორმაა, რომ იგი თავისებურად წარმოსახავს სინამდვილეს, ე. ი. ასახვის საკუთარი, ღრმად სპეციფიკური წესით, კანონებით ხასიათდება, არ ვადავებარებთ თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ მხატვრული ასახვის საგნის ობიექტურ თვისებებს, მათ შორის საკუთრივ ესთეტიკურ თვისებებსაც, არავითარი გამაპირობებელი მნიშვნელობა არ აქვს. ამავე დროს, მხოლოდ თვით ამ აღნიშნულ სპეციფიკური წესის, კანონების შესწავლა, როგორც სრულდენი ხასიათავს არ უნდა ატარებდეს იგი, ვერ მოგვეცემს სრულ წარმოდგენას ხელოვნების ზოგად თავისებურებაზე. ამის მიზეზს კი ჩვენ საკმაოდ გავცანით ისტორიულ ასპექტის მეორე მომენტის განხილვისას.

თავისთავად ცხადია, ისტორიულ ასპექტს ასეთივე არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ცალკე დარგების თავისებურებათა ანალიზისთვისაც. ოღონდ თვით ამ ანალიზის პრობლემტიკის ხასიათი, როგორც საკუთრივ, ისე კერძოდ ისტორიულ ასპექტის მხრივაც, სხვადასხვაგვარ კონკრეტულ სახეს იღებს თავით ლიტერატურის, მხატვრობის, ქანდაკების, მუსიკის, თეატრის გრაფიული (საკუცავო) ხელოვნებისა და კინოს ურთიერთისაგან განმასხვავებელ თავისებურებათა შესაბამისად. როგორც ცნობილია, ხელოვნება გვაროვნულ ცნებას, ხოლო მისი თავისებურება მისი დარგების ერთობლივობის სპეციფიკურ მხარეს, ანდა, მხატვრულ ქმნილებათა შინაგანი კავშირის, უზოგადოესი სპეციფიკური ნიშნების მთლიანობას (სისტემას) წარმოადგენს. ამიტომ ხელოვნების სპეციფიკის შესწავლა მხატვრული მოვლენების უზოგადოესი სპეციფიკური ნიშნების თეორიულ ანალიზს ასპექტობრივად, უფრო უშუალოდ კი ლიტერატურის, მუსიკისა და სხვა ხელოვნებათა ნიშანდობლივი თვისებების განზოგადობებს ვუღიანებოვს. ცნობილია ისიც, რომ ხელოვნების ყოველ დარგში ამ უზოგადოესი თავისებურების, კერძობითი თავისებურებასთან შერწყმა ვაკვს მოციქული, ე. ი. ამ ხელოვნების თავისებურება სპეციფიკური სახემოსილებით ვლინდება, ხელოვნების მოციქული დარგის გამოშახველობითი საშუალებების შესაბამისად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, ქანდაკების, თეატრის გრაფიული ხელოვნებისა და კინოს თავისებურებათა ანალიზი უნდა ზღებოდეს ხელოვნების თავისებურებასთან მიმართებაში (და არა თავისთავად იზოლირებული სახით). ამავე დროს ხელოვნების საერთო თავისებურების კვლევისაგან განსხვავებით, არა საკუთრივ ასახვით-ესთეტიკური თავისებურება, არამედ გამოშახველობითი თავისებურებანი უნდა იქცეს მთავარი უტრადღების საგნად, რადგან, როგორც ვთქვით, არსებითად, სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ხელოვნების დარ-

გებს შორის არსებულ განსხვავებას (შამსადადმე, იმ კერძობით განსაყუთრებულობას, რომლითაც ხელოვნების თავისებურება ვლენდსა ნელოვნებისავე კოდვს დარგში).

ეს ურთიერთმიმართულება ჯერ კიდევ ჰენგელის ესთეტიკაში ასახა როგორც ობიექტური კანონი და მხატვრული მოვლენების სპეციფიკურ კანონზომიერებათა კვლევის ერთ-ერთი უარსებითი პრინციპული საფუძველი. შემდეგ იგი თანდათან უფრო ფართოდ იქნა შესწავლილი და დასაბუთებული ესთეტიკური აზროვნების ახალ მონაპოვართა შუქზე, რამაც თავის მხრივ განაპირობა ხელოვნების დარგების თეორიათა და თვით ხელოვნების თეორიის, საერთოდ, ესთეტიკის ორგანული კავშირის აუციულებლობის აღიარება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საწინააღმდეგო თვალსაზრისი მაინც არც ისე იშვიათად პოულობს გამოხატულებას ჩვენს დროში როგორც საერთოდ, ისე კერძოდ ზენაშვიც, სახელდობრ, ერთი მხრივ, ცალკეულ შრომებში ხელოვნების ამა თუ იმ დარგის თავისებურებაზე განხილულია თავისთავად ხელოვნების ზოგად კანონზომიერებასთან მიმართების გუთვალისწინებლად. ამის გამო აღნიშნული დარგების კერძობითი თავისებურებას მიეწერება ისეთი კანონები და თვისებებიც, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებათა სპეციფიკური არის უზოგადეს მხარეს შეადგენენ, შამსადადმე, ხელოვნების ზოგად თავისებურებას ვანკუთვნიბან. მეორე მხრივ, ესთეტიკაშიც ვლინდება ანალოგიური ხასიათის ვანკერძობება: ამ შეცნიერებას წმინდა ფილოსოფიურ დისციპლინად და მხოლოდ ფილოსოფოსთა კომპეტენციის (უფლუვაშოსილების) სფეროდ თვლიან, ხოლო ამ საბუთით სერიოზულად ამტკიცებენ, თითქოს, არც ხელოვნების დარგების თეორიათა პრობლემების კვლევა გულისხმობდეს ესთეტიკის შესაბამისი პრობლემტიკის კვლევას და არც ეს უზონანკელი ხელოვნების დარგების თეორიულ ანალიზს. ერთი სიტყვით, ესთეტიკის წინური კვლუბით ანკალკეებენ ხელოვნების დარგების თეორიისაგან. ხელოვნების თეორია ხელოვნების გარეშე და მხოლოდ ფილოსოფიურ წინამძღვრებზე დაფუძნებული — ობიექტურად ასეთია ამ ცალმხრივობის დევნი.

ამ თქმა უნდა, ესთეტიკა შეუძლებელია არსებობდეს ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლად. იგი ხელოვნების, სინამდვილის მშვენიერებისა და ესთეტიკური გემოვნების უზოგადეს კანონზომიერებას სწავლობს, რის გამო ყოველთვის შესაბამისი ფილოსოფიურ პრინციპებს ეფუძნება. მაგრამ ეს საყოველთაოდ ცნობილი ენიმენტარული ჰემარიტება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ესთეტიკის მხოლოდ ფილოსოფიური პრინციპებით შემოფარგვლას, ან ყოველი ფილოსოფოსის უფლებამოსილებას-იყოს ესთეტიკოსიც, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა

მას თვით ხელოვნების სათანადო ცოდნა. თუ, მაგალითად არისტოტელე და პეტელო გენიალური ესთეტიკოსებიც იყვნენ, ეს მართო იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი გენიალური ფილოსოფოსებია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ერთიეც და მეორეც ხელოვნების დარგების ბაზუყინვალე ცოდნით ხასიათდებიან. ადვილი წარმოსადგენია ისეთი ესთეტიკოს „წარმატებანი“, რომელსაც ხელოვნებასთან მხოლოდ შორეული, დილენტანტური წარმოდგენები აკავშირებს და სპეციალისტის დონეზე არ შეუსწავლია მხატვრული კულტურის, თუ ყველა არა, ძირითადი დარგები მაინც.

ესთეტიკა ისევე შეუძლებელია განერიდოს ხელოვნების ცალკე დარგების თეორიას, როგორც თვით ეს თეორია ესთეტიკას. პირველის პრობლემების კვლევაც ყოველთვის ცალმხრივია და უსაფუძვლო მეორის პრობლემათა კვლევის

გარეშე და მეორისაც პირველსაგან დამოუკიდებლად. ეს შინაგანი შერწყმა ამ შეცნობრებათა არსებობის ერთ-ერთი არსებითი უტყობელი პირობაა. ამიტომ იმ თავისი ბუნებით უსათუოდ სწოლასტიკური შეხედულებას, რომელიც ლიტერატურის, მუსიკის, სახეითი ხელოვნების, საერთოდ ხელოვნების დარგების თეორიას უკრძალავს ესთეტიკასთან უშუალო კავშირს, ხოლო მის სპეციალისტებს ესთეტიკის პრობლემების კვლევას, მამასადამე, ესთეტიკას მხოლოდ ფილოსოფიურ დისციპლინად და მხოლოდ ფილოსოფოსთა ასპარეზად შიინწევს, არავითარი ჰეშმარიტი შეცნობრული საფუძველი არ გაანია. პირიქით, მას დიდი ზიანი მოაქვს როგორც ესთეტიკური არსებების, ისე ხელოვნების დარგების თეორიათა განვითარებისათვის.



პოეტური და ფილოსოფიური შესახებ მნატვრულ შემოქმედებაში

ჩვენს ესთეტიკურ და კრიტიკულ ლიტერატურაში ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ პოეტური და ფილოსოფიური ერთი და იგივეა, პოეტურის საზომია მისი ფილოსოფიურობა, შინაარსის გამოვლენის თეორიული სიღრმე, ე. ი. პოეტი თავის შემოქმედებაში ჰუმანიტეტების შეშველების პრინციპით ხელმძღვანელობს და ასეთი ინტელექტუალიზმი პოეზიის ღირსებადაა მიჩნეული.

კლასიკური ესთეტიკა რამდენადმე სხვაგვარ ინტერპეტაციას გვაძლევს: მართალია, ფილოსოფიურობა შინაარსის მაღალი დონის მაჩვენებელია პოეზიაში, მაგრამ იგი პოეტურობის საზომი არაა. მაგალითად, გოეთე, როგორც ლირიკოსი, თითქმის უნდა ბრწყინავდეს ფილოსოფიური ლირიკის ისეთი ნაწარმოებებით, როგორცაა „მცნარეთა მეტამორფოზი“, „ცხოველთა მეტამორფოზი“. „სულის შესახებ“, „ღმერთის შესახებ“, და ა. შ. მაგრამ იგი ერთ უდადეს ლირიკოსთაგანადაა მიჩნეული არა ამ ლექსებით, არამედ იმ ლექსებით, რომლებშიც იგი, ჰეგელის თქმით „მას შეეძლო თავის ლირიკულ ნაწარმოებთათვის მასალა ეპოვნა სინამდვილის ყველაზე უმნიშვნელო ფაქტებში“. აქ იგულისხმება პოეტური ქმნილებები, რომლებშიც მან მოახერხა ის და ვარდს პოეტურ ენაზე გამოსატრბეოდა, და აღმოუჩინა გულბრწყინობის გარკვეული მარაგი.

როგორც აღინიშნა, პოეზია მართლაც იერთებს თავის არსებაში ფილოსოფიურს. თითქმის მთელი ახალი ევროპული პოეზია სწორედ შემეცნებითი შინაარსითაა მოპართული. მაგრამ ეს, თვით ამ პოეზიის წარმომადგენელთა ილიარებებითაც, არ არის პოეზიის იდეალი. ამიტომ უბრის ქედს აზრის მძლავრად მფლობელი გოეთე გულბრწყინილი ხილვის ბავშვურობას ლექსში „ჰაფიზს“, რომელსაც ის ასეთი სტრიქონით იწვევს:

„ჰაფიზ, შენთან შედარება ილუზიაა“.

კ. მარქსის ცნობილი აზრი ბერძენების გულბრწყინობასა და გენიალურ ბავშვობაზე სწორედ ასეთ პოეტურობას გულისხმობს. ცნობილი ესთეტიკოსი ეიკო (1668-1744) ასევენი, რომ პომპროსთან არავითარი ფილოსოფია არა ვეაქვს და სწორედ ამიტომია იგი შეუდარებელი პოეტი. „ფილოსოფია — წერს იგი — ანგრევს წარმოსახვის მომხიბვლელობას, ხოლო მეორე (პოეზია ვ. გ.) აძლიერებს მას. ამიტომ არც ერთ ეპოქას, არც ერთ ტომს, არ წარმოუშვია ტიტანი, რომელიც იქნებოდა თანაბარი სიმღერის პოეტი და ფილოსოფოსი“¹.

ცხადია, იდეის შეშველების დონით, შინაარსის სიღრმის ფილოსოფიური ხარისხით პომპროსო გოეთეს ვერ შეედრება, მაგრამ „ფუსტიკა“ ასევე ვერ შეედრება „ილიადასა“ და „ოდისეას“ პოეტურობით. მასასადამე ნაწარმოების ფილოსოფიური სიღრმე უნდა განირჩეს პოეტური გენიალობისაგან.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყოველი დიდი მოაზროვე აღნიშნულ საკითხზე შეცდომისას უპირატესობას ანიჭებს ძველ პოეზიას, რომელიც არაა „დამნიშნული“ ფილოსოფიით.

აქ ზოგადად ძველ პოეზიად, ჰეგელს განმარტებით, იგულისხმება სიმბოლიკური (აღმოსავლური) და კლასიკური (ბერძნულ-ევროპული) ეპოსი. სიმბოლიკურის ქვეშ გულისხმობენ პოეზიას, რომელშიც სულის საწყისი საფეხურია გამოვლენილი. ასეთია იგავ-არაქული, დიდაქტიკური სიბრძნის შემცველი პოეზია.

ძველ პოეზიად გულისხმობენ პირველ რიგში მთელ აღმოსავლეთის პოეზიას. საზოგადოდ, მოცემულ შემთხვევაში, ეს კლასიფიკაცია მშრალი და სქემატური ჩანს, მაგრამ მის თეორეტიკოსებს საამისოდ მტკიცე არგუმენტები ვაჩინათ. აღარებს-რა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას საზოგადოდ, ჰეგელი დამძენს: „ასეთივე მდგომარეობაა, როცა ჩვენ ვაღარებთ ინდურ პოეზიას ევროპულს; ეხილავთ რა მას, როგორც მხოლოდ ფანტაზიის თამაშს, ის მარ-

¹ Вико. Основания новой науки об общей природе наций, стр. 358, 1940 г.

¹ Гегель. Соч., т. XIV, 296, 1958 г.

თალია, უადრესად ბრწყინვალეა, ასევე მდიდარია და დამუშავებელი, როგორც ყველა სხვა ხალხის პოეზია, მაგრამ პოეზიაში შინაარსია მნიშვნელოვანი და ჩვენი დამოკიდებულება მისადმი უნდა იყოს სერიოზული. თვით პომეროსის პოეზიაც ჩვენთვის არასერიოზულია, და ამდენად ასეთი სახის პოეზია ჩვენთან არ შეიძლება წარმოიქმნას. აღმოსავლური პოეზიის სფეროში გენიოსების მხრივ ნაკლებობა არაა. აღმოსავლეთის ხალხებში გვხვდება ისეთივე დიდი გენიოსები, როგორც ჩვენში, ფორმაც აქვთ აგრეთვე ძალიან განვითარებული, მაგრამ შეინარსი რჩება რამდენადმე შეზღუდული და იგი არ შეიძლება იყოს ჩვენი შინაარსი. ეს ზოგადი შენიშვნა ამ პარალელებისადმი, რამდენადაც აღმოსავლური პოეზიის ქმნილებათა ფორმა გვხიბლავს და გვაიძულებს დავაყუროთ ისინი ჩვენი პოეზიის თანაბრად და მასზე უფრო მძლეოც კი.¹

კლასიკური ეპოსი თუმცა ძველ პოეზიას განეკუთვნება, მაგრამ მასში არის ახალი პოეზიის საწყისი, რამდენადაც საქმე გვაქვს უკვე შინაარსის გარკვეულად მაღალ საფეხურთან. პავლითად, განსხვავებით აღმოსავლეთის პოეტებთან, პომეროსი ადამიანის შინაგან სამყაროსთან ახლოს მიდის. მისი გმირები არ არიან უცოდველნი და ზესრულყოფილნი. მისი გმირები არ არიან უკვდავი ადამიანები. მისი საკებარი გმირი ოდისესი, დიდ ღირსებებთან ერთად, გარკვეულ ნაკლავ შეიცავს. აქილესსმა, აგამემნონსმა, მენელაიმ, ოდისესსმა, პროტესილამ და სხვ. იცოდნენ რა ღმერთების წინაშე არიან გადაწყვეტილება, რომ ვინც პირველი დაადგამდა ტროას მიწაზე ფეხს, უნდა დაღუპულიყო, არც ერთმა არ ისურვა პირველი გადამტარაყო გემიდან. ყველა ერთმანეთს ელოდა, ბოლოს ოდისესსმა ანაირზე ისაროლა თავისი უზარმაზარი ფარი და გემიდან პირდაპირ ამ ფარზე დაბტა, ისე რომ მიწას არ შეეხებია. ამით მოტყუვდა გმირობისათვის ათებული გმირი პროტესილი და მას იქვე მოღწეობის სიკაცებ. უნდა ვაინახებთ აგრეთვე ოდისესის ის უცოდველადი ინტრიგა, რაც მან პირადად ანგარიშის გამო, პალამედს მოუწყო და უდასამართლო კაცს ბერძნებს სიკვდილით დასაჯევინა.

ასე არ ექცევა თავის გმირებს აღმოსავლეთის პოეტი. მისთვის გმირი უსაზღვროდ კეთილი, ძლიერია და საბირისპირო ძალად მხოლოდ დევნა, ეშვები, ქაყები ან ბოროტი ადამიანები გამოდიან. ერთი და იგივე ადამიანი აღმოსავლეთის პოეტისათვის არ შეიძლება იყოს კეთილისა და ბოროტის გაერთიანება. თითქმის გაიმეტა კალიდასამ „საკუნტალაში“ მეფე დევიანტი ადამიანური მანკიერების საჩვენებლად, რომე-

ლიც ამ გმირმა გამოავლინა საკუნტალასთან, თავის სასახლეში შეხვედრისას, რამდენიმე დღეც ებოღა მას, ბნდებოდა მისსა და მისი მისი, მაგრამ შემდგომ სრულიად უარყო. ვერ მოითმინა პოეტმა, რომ ცხოვრების აზრი ასეთი ცვალებადობისა და წარმავლობის პესიმისით განეზოგადებინა და ბოლოს თავისი გმირები ბედნიერი გახადა. ჩვენ ამ „საკუნტალას“ იმიტომ ვახსენებთ, რომ იგი აღმოსავლეთის უბრწყინვალესი ქმნილებაა, რომელსაც გოეთემ ადამიანური გენიოსის ერთ-ერთი უდიდესი გამოვლენა უწოდ, შილერი კი ნატრობდა მის ხილვას გერმანულ სცენაზე. ეს დრამა პირობითად იწოდება დრამად. იგი არაა დრამატული ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. იგი პოეტური დრამაა, აღმოსავლური დრამა, რომელიც ქვემარტივების თანამთხვევადი გზით არ მიდის. ნამდვილი გაგებით აღმოსავლეთმა დრამა არ იცის. აღმოსავლური ეპოსის გმირები თუმცა ადამიანებად არიან წარმოდგენილნი, ისინი დევებს, ურჩხულებს ამარცხებენ, მაგრამ თვითონვე არიან დევ-გმირები. მათ ხედებათ უდიდესი წინააღმდეგობანი არა სულიერი ხასიათისა, არამედ, ფიზიკური დაზოგულებების აზრია. ეს არის ვარკვან, ფიზიკური ძალთა ჭიდილის დიდებული სახანაობა. ესაა ლალი ოცნება, მოუთოკავი დინება ფანტაზიისა. სხვა ელთარებაა პომეროსის გმირებთან. აქილესს ვერ უშველა მდინარე სტიქსის უკუდავების წყალში განაწინამ და მოკვდავობისათვის ქუსლი დარჩა ღუფასავე. ის ფეხმარია, თითქმის სასწაულომქმელი, მაგრამ შეზღუდული ადამიანურ პოეტის საზღვრებში. ოდისესის ციკლამ ამარცხებს არა აღმოსავლეთელ გმირთა მსგავსად (ფიზიკური ძალის წინააღმდეგ ფიზიკური ძალა), არამედ, მოხერხებულა. „ნიბელუნგენს“ გმირი ზიგფრიდი უძლიერესია, მაგრამ არა უძლეული. ბეჭე დაკეშულმა ფოთოლმა ზიგფრიდი მოკვდავი გახადა. არის აქ, აქილესსა და ზიგფრიდის მოკვდაობაში რაღაც რომანტიკული. შუასაუკუნოებრივი სარიწლო პოემებიც სწორედ რომანტიკულ შინაარსს შეიცავენ. მაგალითად, როლანდის შესახებ დამწერელი პოეტი ბოთარდისი იქნება თუ არისტოსი.

აღმოსავლური პოეზია იდეალს მიწაზე პოულობს. მიწიერი ადამიანი არის სრულყოფილება, რომანტიკულისთვის კი ეს არაა იდეალი. ევრც ერთი გმირი ვერ გასცდება თავის ადამიანურ შეზღუდულობას, მოკვდავობას. არც ერთი გმირი არ არის სასწაულებრივი, რომანტიკულისათვის ადამიანები არ არიან გაყოფილი ორ გამოკვეთილ ჯგუფად, როცა ერთნი მხოლოდ სიკეთეს განასახიერებენ, მეორენი კი მხოლოდ ბოროტებას. მისთვის მთავარია ადამიანი გაავსოს, მის ბუნებას შეხედოს და დაინახოს ისე, როგორც სინამდვილეშია.

რასაკვირველია, როცა ვეხებოდით დასავლურ

ეპოსს და მასში რომანტიკულ საწყისს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანტიკულის სრულყოფილი ნიშნები გვაქვს იმ დონეზე, როგორც ეს ახალ დრამატულ პოეზიაში მოცემული.

რომანტიკულმა პოეზიამ, რაც ერთხელ გონებრივი ჭეშმარიტის გზას დაადგა, ჭეშმარიტების შექმნების შეცნობულ მეთოდებსა და პირველ რიგში ფილოსოფიას დაუწყო გაჩივრება. აქაც თავი იჩინა ფორმისა და შინაარსის ურთიერთშეუსაბამობამ ამყარად შინაარსის, გონების სასარგებლოდ. ეს აზრი უკიდურესობამდე მისული სახით, ემერსონმა ასეთნაირად ჩამოაყალიბა. გოეთეს შემოქმედების მაგალითზე: „მას არ შეეძლო დამორჩილებოდა ზნეობრივი გრძნობის სრულყოფილებას. პოეზიაში არის შეუდარებლად უფრო ფაქიზი სიმები, ვიდრე ეს, რასაც ის შეეხო. არანა მწერლები მასზე ნაკლები მონაცემებით, მაგრამ უფრო სუფთა და კულზე მომხვედრნი. გოეთე არასდროს არ შეიძლება იუოს ძვირფასი კაცობრიობისათვის, ის არაა თაყვანისცემული წმინდა ჭეშმარიტებისა მხოლოდ თავისი განათლებულობისათვის. მის მიერ არჩეული მიზანი სხვათაშორის დაბლა დგას, ვიდრე ფლობა ჭეშმარიტებისა. და ეს კაცი სტოიკურად თვითდაჭერებელი და თვითურამყოფი არ შეიძლება მოატყუოთ, შეაცდინოთ. აძულეთ ათრთოდეს. მას ჰქონდა ერთნაირი გამოცდილება უყვლის მიმართ: „არ შეიძლება მე თქვენგან ვისწავლო?“ და ყველაფერი, რომელიც, პრივილეგია, ქანმთვლითა ფასდება მის მიერ მხოლოდ ამ მიმართულებით.

ის არის ცივილიზაციის ტიპი, მოყვარული ყოველი ზღოვნებისა, მეცნიერებისა, მოვლენებისა. ის მხატვრულია, მაგრამ არ არის მხატვარი. გამსჭვალულია სპირიტუალიზმით, მაგრამ არ არის სპირიტუალისტი. სამყაროში არ არის ისეთი სავანი, რომლის გავების უფლება მას არ ჰქონდეს. სამყაროს გენიის არსენალში არ არის ისეთი იარაღი, რომელიც მას ზელში არ აეღო.¹ ამ აზრით ემერსონი უარყოფს გოეთეს წარმატებათა ამსხნელ ავტორისეულ აზრს:

«Дитя, я очень умно поступил, О том, как мне думать, подумать забыл».

გოეთეს შემოქმედების ემერსონისებური განსაზღვრა კაცობრიობამ არ მიიღო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პოეტურობისათვის საჭირო გულუბრყვილობა გოეთეს უდიდესმა ინტელექტმა დარდილა და იგი საკმაოდ დაჭირდა იმაზე, თუ როგორ იფიქროს. გულის პოეტური სიმები, მართლაც შთანთქმულია უსაზღვრო ინტელექტში. ამ ტიტანური ინტელექტუალური ინტელიციითა იგი ძვირფასი კაცობრიობისათვის. მისი „ფაუსტი“ გვიხსნის და გვასწავლის სამყაროს საიდუმლოებებს. ვეა-ფშაველას პოეტურ ქმნილებათა გავებისათვის ინტელექტის

კატეგორიები ნაკლებადაა საჭირო, ვიდრე გოეთისათვის, მაგრამ ვეა ზნეობრივ გრძნობათა უფრო მეტ დამამკვიდრებლობას აღწევს თავისი ბუნებრიობით და გრძნობით ემოციების გამოწვევით. შინაარსის თეორეტიკებით, იდეის გავების ინტელექტუალური სიძლიერით ვეა, ისევე როგორც კომერსი, ვერ შეედრება გოეთეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვეას პოეზიას რაიმე აკლდეს პოეტური შინაარსის მხრივ. ვეა ბუნების ხილვისგან გამომდინარე შინაარსის, მის დიალექტიკას გრძნობს, ოღონდ არ იმარჯვებს დიალექტიკას, როგორც მეთოდს. სამართლიანად შენიშნავს აკად. გ. ჭიბლაძე: „ვეა ამ ბრწყინვალედ გაიგო მთელი ცოცხალი ბუნების დიალექტიკა, თუმცა მას არ გაუვლია სპეკულური ფილოსოფიური სკოლა, რასაც ასე აყვადობდნენ ფილოსოფიურად განსწავლული თეორეტიკოსები“.¹

ძველ საბერძნეთში წარმოშობილი დეა პოეტისა და ფილოსოფოსის შორის რომანტიკულ პოეზიას ახალ, მაღალ საფეხურზე აქვავს, აქ პოეზია საჩვენებლობს არა მხოლოდ ფილოსოფიურ მონამოვართა პოეტური ციტირებით, არამედ აქ ფილოსოფიური აზრები მოქმედი აზრები არიან. შილერის პოეზიაში ვხედავთ კანტის აზრებს, არა მარტო გმირთა მეტყველებებაში, არამედ მოქმედების სტიმულადაც. ფაუსტის აღზევება ადამიანური ცოდნის პერსპექტივების საზღვრულობაზე კანტის ფილოსოფიისავე საზრდოობს. ფილოსოფოსობა პოეზიაში არ ნიშნავს მშრალად, აფორისტულად დამოწმებულ ნაბერებს, არამედ, მთავარი, ამ აზრებს შეესაბამება თუ არა ნაწარმოების მთელი მოქმედი შინაარსი. შინაგანდამე, პოეტური მიმართება ნიშნავს მთელ მოვლენას გადაჯაჭვართ ის თვისება, რაც მასში სიკეთის სილამაზის ნაბერწყალს შეიცავს, წარმავალი მოვლენები მართლულივით წარმოვიდგინოთ. რომანტიკული პოეზიის დრამატული შინაარსი იმასში მდგომარეობს, რომ მან აღმოაჩინა წინააღმდეგობა „უნდა იყოს“-სა და „არის“- შორის. ზოლო პოეტური გულუბრყვილობისათვის იდეალური „უნდა იყოს“ და „არის“ გათიშული არაა. ამიტომ რინიშნა, აღმოსავლური პოეზიის უბრწყინვალესი პოეტობა, სადაც ადამიანი ლეთაებრივ სრულყოფილებადა წარმოადგენილი.

რომანტიკული პოეზიისათვის მთავარია ექსპრესივობა, განურჩევლად იმისა სასურველ პასუხს გვაძლევს იგი თუ არა. ამდენად ესაა გონების, შინაარსის მაღალი დონე. თავისი შინაარსით რომანტიკული პოეზია, როგორც მამობრივული და ჭეშმარიტების ინტერპრეტატორი, პროზულად ელფერისაა. პოეტური შინაარსი კი ნიშნავს სინამდვილის იცნების ფორმით წარმო-

¹ Эмерсон. Нравственная философия, стр. 199, 1868 г.

¹ გ. ჭიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. 11 გვ. 308.

სახეს, როგორც ეს ძველი პოეზიისათვისაა დამახასიათებელი.

ძველი პოეტის გულბრწყინოვანი ფანტაზიის გააჩნია არაჩვეულებრივი თავისუფლება და შეუზღუდავობა. ძველი პოეზია ესაა თვალჩინოვანი სამყარო მზისა და ზუნების ნაირფეროვნებით. ძველმა პოეტებმა შექმნეს ღმერთთა და კაცთა მეფის — იუმპეტერის სახე, რომელიც ისეთი სინათლითა და შთაგონებით წარმოადგინეს, რომ თვითვე იწამეს მისი ლეგატივი არსებობა.

ძველი პოეტი ეყრდნობა თავის ზუნბრვი ინტუიციას. ხოლო ახალი პოეტის ინტუიციას სხვა საშუალებებიც ემატება. გარდა თანდაყოლილი ზუნბრვი ხილვის უნარისა, მისი ინტუიციის იერებში თავის თავში ზელოვნურ საშუალებებსაც, ცოდნა რომ ჰქვია. რასაკვირველია, მეცნიერული პრინციპებით ცოდნის შექმნა საუაღრესად არაა, მაგრამ ინტუიტიურად მიღებული ცოდნის შინაარსი მეცნიერულს თანხედება. ეს იმ გარემოებითაც არის გამოწვეული, რომ ახალი პოეტი უწინარეს ადამიანის შინაგანი სამყაროთი დაინტერესებული, იგი სწავლება ადამიანის ზუნების იმ შრეებს, რომლის დანახვა, სახელდობრ გონების ასეთი ყოველმხრივი აღჭურვილობის შედეგადაა შესაძლებელი. მართალია, გულბრყვილო პოეტის მიერ განსაზღვრებული ადამიანი წარმოგედგენს ადამიანის სულიერ შხარეს, სულიერ შინაარსს, მაგრამ ეს შინაარსის გარკვეული საფეხურია, რომლის იქით ის ვერ წავა. ის საზრდობს იმ იდეით, რაც ზუნბრვი დაკვირვებებით შეიძლება იქნას მიღწეული. მაგრამ ადამიანის ვაგება, მისი შთლიანობისა და სულიერი შინაარსის წარმოდგენა საგანგებო თემამატყა ახალი პოეტისთვის და იგი იშველებს ადამიანის შესახებ არსებულ მეცნიერულ ცოდნასაც.

ზოგჯერ ჰგონიათ, რომ აფორიზმები, დიდატიკური მსჯელობანი არის ფილოსოფია. სიბრძნის და ფილოსოფოსობას ვერ ანახეავენ ერთმანეთისაგან. ზოგჯერ პოეტს ფილოსოფოსობა აზრადებენ იმის გამოც, რომ მან ფილოსოფოსი ახსენა.

აფორისტულ-დიდატიკური აზრები ესაა პრაქტიკული სიბრძნე. პრაქტიკული სიბრძნე კი არათუ თანხედება თეორიულს, ე. ი. ფილოსოფიურს, არამედ, პირიქით, უპირისპირდება კიდევ. მაგალითად, აღმოსავლეთის პოეტი ნპიტკესი, ვთქვათ, რომ ეს სიწუთობა არის უბედურების ან ზედნიერების საწყობელი. მაგრამ ეს ნაადრევი განზოგადება გარკვეულ გუნებაზე მყოფი კაცის შთაბეჭდილებაა, რომელიც მეორე წუთში იცლება. ამასთან, ესაა ლამაზი და მოს-

წრებელი აზრების მდიდარი საღარო, მაგრამ ჰუმანიტეტებს არ ემთხვევიან, თუ ამ აზრებს წარმოედგინთ ფილოსოფიურად განტყუების შედეგად. აღმოსავლური დიდატიკის მიხედვით, ტების გავების შესაბამისი ფორმა არ არის. დიდატიკური აზრები, აფორისტული სიბრძნის სიუხვე აღმოსავლურ პოეზიაში ნიშნავს, რომ პოეტს არა აქვს განცდილი შიში ჰუმანიტეტის სიღრმის, სინამდვილის უსასრულობის წინაშე და ამიტომაცაა, რომ იგი უეჭველი დასკვნებით გველაპარაკება. ეს დიდატიკის მიხედვით ჰუმანიტეტის უსასრულობის სასრულობად წარმოდგენას და მამიებულობის ნაცვლად აზრის დამზადებულ და უმოძრაო ფორმებით გადმოცემას. ამგვარი სიბრძნე ჩამოკავს ფილოსოფიურს, მაგრამ მიჩვეულად განსხვავდება მისგან. ფილოსოფიის სტიქიაა აზრიდან აზრზე გადასვლის განუწყვეტელი პროცესი და საბოლოოდ იდეისაგან შეუჩერებელი სწრაფვა. დიდატიკის კი შიშად აზრთა ერთმანეთის გვერდით წყნარად ყოფნა. ამიტომ ზუნბრვი პოეტური ინტუიციის არ მისდევს სამყაროს სოციალურებთან მიზეზობრივ ახსნას და მოკუნებით კმაყოფილდება. რომანტიკული პოეტი, რომელიც ყველაფერში შინაარსს ეძებს, მისდევს სწორედ ასეთ აუხსნელ კითხვებს, მას სურს მოვლენათა შინაგანი მიზეზობრიობის ახსნა აქციის სახედ. მაგრამ ასეთი ფანტაზიის თანაში მიძიებული ლოგიკურობითაა შეზღუდული. ესაა ზოგადი ნიშნები მთელი დრამატული პოეზიისა და არა ყოველ, ცალკეულ პოეტზე თავის მოსახვევი აზრი.

მასმალად, გულბრყვილო პოეზიის სამყარო ესაა ამქვეყნური არსებობის შესახებ ნათელი ოპტიმიზმი, ამქვეყნური ცხოვრებისა და არსებობის აზრის განმამტკიცებელი. მაშინ როცა რომანტიკული პოეზია ისწრაფვის გრძნობადი სინამდვილის ნაცვლოვანება იდეალთან შეფარდოს და შეავსოს იდეალის გამოწვევით. ამიტომაც ცოცხალი სინამდვილისადმი მისი მიმართების თვის თავს იჩენს პესიმიზმი. გულბრყვილო ოპტიმიზმი და რომანტიკული პესიმიზმი სინამდვილის ასეთ ინტერპრეტაციაში მდგომარეობს.

გულბრყვილო პოეტი წარმოსახვის ფაქტსა მინდობილი. მისდამი მიმართებითაა დაპყრობილი. ახალი პოეტი კი გვაჩვენებს არა მხოლოდ წარმოსახვის საგანს, არამედ, როგორია საგნისა და სუბიექტის მიმართება, - ე. ი. პოეტი გვიჩვენებს, როგორ ხედავს იგი ამ საგანს. სწორედ ამ კანონზომიერებით იხსნება ის გარემოება, რომ ძველი პოეტური სამყარო ესაა ობიექტივობის საწყობელი, არამედ ლირიკულ-ამიტომად ახალ პოეზიაში დრამა ცვლის ძველ ეპიკურ ენარს.

ძველ პლასტიკურ, ობიექტივირებულ ლირიკას ცვლის ახალი, სუბიექტივირებული ლირიკა. ამიტომ უწოდებენ დრამას პოეზიის უკანასკნელ გვირგვინს. ახალმა პოეზიამ ადამიანის სულის სამყაროში გადაინაცვლა. თუ ძველი პოეტი თვითვე ეკუთვნის თავის მიერ წარმოსახულ სინამდვილეს, ახალ პოეტს თვითვე ეკუთვნის მთელი სამყარო. „ახალმა პოეტებმა შესწავლეს ნაწარმოებში უწინარესად მწერლის მოქმენა“¹.

როგორც ვხედავთ, ს. მესხი ეროვნულს კლასობრივზე წინ აყენებდა, მაგრამ პრაქტიკაში მისი ეროვნული ბრძოლა ყოველთვის დემოკრატიულ კლასობრივ-პოლიტიკური შინაარსით ივსებოდა. ს. მესხის ლიზნევა — „ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება უწინარესყოფლისა“, ავტორის აზრით, არსებითად ნიშნავდა ბრძოლას დემოკრატიისათვის, რადგან... ს. მესხის იდეალი იყო არა ძველი, ფეოდალური საქართველო, არამედ ახალი, თავისუფალი დემოკრატიული საქართველო“. ამიტომ ს. მესხის და სხვა ქართველი განმანათლებლების ბრძოლა საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის სცილდებოდა ვიწრო ეროვნულ ფარგლებს და უერთდებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების საერთო დემოკრატიულ მოძრაობას ფეოდალურ-ბატონურ წყობილებასა და მისი ნაშთების წინააღმდეგ.

წიგნიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ ეროვნული მოწინააღმდეგე დიდ გავლენას ახდენდა ქართ-

ულ განმანათლებელთა სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე. გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე ამჩნევენ კლასობრივ-წინააღმდეგობისა და კლასობრივი ბრძოლის ფაქტს საქართველოს წარსულსა და აწმყოში, კლასობრივი ჩაგვრის მოსპობის გზებზეც სახედავენ, მაგრამ ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ინტერესებისათვის ამ შინაგულ-სობრივ ბრძოლას საზიაროდ მიიხედვენ და ქადაგებდნენ ერის უველა მოწინავე საზოგადოებრივი ძალის შერიგება-შეთანხმების, მათი დაკარგვის საჭიროებას მეფის ნახევარდ ფეოდალური, ნახევარდ ბურჟუაზიული ბიუროკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კონკრეტული მასალის ანალიზის შემდეგ ავტორი მართებულად დაასკვნის, რომ მიუხედავად მსოფლმშველლობრივ-კლასობრივი შეხედულებისა გ. წერეთლის, ს. მესხის და ნ. ნიკოლაძის პატრიოტულ-ეროვნულ შეხედულებათა ძირითადი შინაარსი თავის დროისთვის უდავოდ პროგრესული და რევოლუციური იყო. მართალია ისინი ვერ ამაღლდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმამდე, ვერ შესძლეს ცრენებიანთა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ნამდვილი გზები და საშუალებანი, მაგრამ განმანათლებელთა ეროვნულ პროგრამას, მათ შეხედულებებს ეროვნულ საკითხში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და მომავალი ბრძოლისათვის მისი მომზადების საქმეში.

ობრძოდნენ რა საქართველოს ეკონომიური აღორძინებისა და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის, ქართველი განმანათლებლები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მწვენი სოციალური საკითხების გადაწყვეტას. კონკრეტული მასალის საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს, რომ გ. წერეთელს ბატონყმობის მოსპობა მიაჩნდა არა ერთი რომელიმე წოდების კერძო საქმედ, არამედ საერთო ეროვნული და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად.

გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე საერთო დემოკრატიული პრინციპების განხორციელებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ მათ ნააზრევში დიდი ადგილი უკავია უტოპიური სოციალიზმის იდეებს. კამბიალიზმის განვითარების შედეგად პროლეტარიატის წარმოშობა აღნიშნულ მოღვაწეებს არასაბურველ მოგონად მიაჩნდათ.

XIX ს. 90-იან წლებში რადიკალურად შეცვლილი ეთიკარება შეხედულებათა რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა, მაგრამ გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე, ნათქვამია ნაშრომში, არსებითად კვლავ ძველ განმანათლებლურ თეალსაზრისზე დარჩნენ. ისინი ამ პერიოდშიც იბრძოდნენ ქვეყნის პროგრესული განვითარებისათვის,

სურდათ მშრომელი ხალხის ინტერესთა დამცევი უფილიყუნენ, მაგრამ საზოგადოების ბურჟუაზია და პროლეტარიატად მკვეთრად გათიშვის პირობებში საზოგადოებრივ ძალთა ერთიანობის ქადაგება აშკარა ანაქრონიზმად გამოიყურებოდა. ამ დროიდან მშრომელთა ინტერესების დაცვა ნიშნავდა მტკიცედ დადგომას პროლეტარიატის მხარეზე, უტოპიური სოციალიზმიდან პროლეტარულ, მეცნიერულ სოციალიზმზე გადასვლას, რაც გ. წერეთელმა და ნ. ნიკოლაძემ ვერ შესძლეს, რადგან მათ ვერ გაიგეს პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული როლი.

მართალია, გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე ეპოქას რამდენადმე ჩამორჩნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მათი იდეების მარცხნიდან მარჯვნივ ევოლუციას, მ. გაფრინდაშვილი სამართლიანად აკრიტიკებს ყველა იმ მკვლევარებს, რომელნიც ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას დაუსაბუთებლად ორ — რევოლუციურ და ლიბერალურ პერიოდად ყოფენ.

ნ. ნიკოლაძე თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებით თანმიმდევრულ, გაუთიშავ პიროვნებად გვევლინება. იგი დღელავად იბრძოდა ქვეყნის პროგრესული განვითარებისათვის, ვადაწვევებ მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციურ გადატრიალებას, მაგრამ როცა რევოლუციურ სიტუაციას ვერ ხედავდა, არც რეფორმების მნიშვნელობას უგულვებელყოფდა. რეს რევოლუციონერთა ახალი თაობის ძირითად ამოცანად ნ. ნიკოლაძეს მიიჩნდა განმანათლებლური მოღვაწეობა ხალხის მომავალი რევოლუციისათვის მოსამზადებლად და არა უშუალოდ აქანების ორგანიზაცია.

მართლაც მთელი წიგნი იმის ილუსტრაციაა, რომ გ. წერეთლის, ს. მესხის და ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობა და მოღვაწეობა არ ეტყევა რევოლუციური დემოკრატიის ცნებაში. ნ. ნიკოლაძე, მავალითად, რევოლუციონერი იყო, მაგრამ რევოლუციის მოლოდინში ოცნებას როდი სწერებოდა. «ყოველი კაცი ვალდებულია — წერდა ნ. ნიკოლაძე — ერთი ნაბიჯი

მინც წადგმეინოს წინ თავის დროს და თავის თანამედროვეებს, ჩვენ რომ იმას ვეცადოთ, თუ როდის მოგვეცემა საშუალება ხალხს სრული და საბოლოო სიკეთე ერთმანვე მივანიჭოთ, ვინ იცის, იქნება ამისთანა საშუალება ჩვენს დღეშიდაც არ გველიხოს? .. ის ჰქენი რაც შევიძლია, რისი ღონეც გქონდეს, რაც მოხერხდეს, დიდი იყოს თუნდ მცირე» (გვ. 264). ამიტომ პრინციპულად რევოლუციის მომხრე ნ. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხში განათლების შეტანას, მოუწოდებდა თანამემამულეებს სოფლის მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენების და მრეწველობის განვითარებისაკენ.

გ. წერეთლის, ს. მესხისა და ნ. ნიკოლაძის ბატონუბობის წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლა, მათი მესამე წოდებისა და ხშირად მთელი ერის სახელით გამოსვლა, რაც განმორთბებული იყო, ერთი მხრივ, მესამე წოდების კაპიტალისტური საზოგადოების კლასებად დავიანებული ფორმირებით, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებით, მათი შრავალმხრივი რევოლუციური თუ ეგვალური საქმიანობა და ზოგჯერ ლიბერალური მერყეობა, რაც ნაშრომში უხვი მასალითაა ილუსტრირებული, საფუძველს აძლევს სარეცენზიო წიგნის ავტორს დასაბუთებელი მოღვაწეები მიიჩნიოს განმანათლებლებად. მათ შესანიშნავად ესადაგება ის დახასიათება, რაც ვ. ი. ლენინმა განმანათლებლებს მისცა საერთოდ.

სარეცენზიო წიგნში წამოყენებული ზოგიერთი დებულება შეიძლება სადავო იყოს, აბრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, მაგრამ ეს ვარკობება მხოლოდ ხელს შეუწყობს კუშპარტი აბრის დადგენას.

მ. გაფრინდაშვილის წიგნი უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აბრთვების შესწავლის საქმეში და ამდენად ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია.

ალ. ბენდიანიშვილი

„ფედონი“ ქართულად

„ქართულად ვიდრე-მე და განუწმედელად ქოჯახებს მისრული მღებარე არს სიმყრალისა მღებარეა შინა, ხოლო გამსრულებული და განწმენდილი მი-რამ-ვიდეს მუნ, უფლისა თანა დაეყვიდრებოს“.

ეს ნაწვევტი პლატონის ფედონიდანაა, თარგმანი გუთუნის დავით აღმაშენებლის დროინ-

დელ მეცნიერსა და ლეთისმეტყველს არსენი იყალთოელს. ცხრაასი წლის ღმრის შესდევ „ფედონის“ ეს აბრთი სხვა სამოსელში კვლავ ამეტყველდა ქართულად. ეს მოწმობს, რომ პლატონის ნაწერებში დანტერესება და მათი თარგმნა არასოდეს გვიანი არ არის, რომ პლატონი იმ ფილოსოფოსთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მიმართ ყოველ ეპოქას განსაკუთრებული თვალთახედვა აქვს. შემთხვევით არ უტყვამს ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფა-

პლატონი. ფედონი. ძველბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეტვიამ. „ნაკადული“. 1966.

ლოსოფოს ედ. ზესერის: „ოცი წელია პლატონის, ლიბნეცისა და კანტის გარდა, არცერთი ავტორი არ წამოიკთხავსო“. არსენი იყალთოელი პლატონის წიგნებში ქრისტიანობის ახალ დასაბუთებას ეძებდა (და პოეზებდა კიდეც). ეს ასახულია ზემოთმოყვანილ ფრაზაში („ყოფიხები“). „უფლისა თანა“). ახალ დროში ინტერესი პლატონისადმი უფრო ფართოა. მასში ზეენ ვხედავთ ელინური ხანის მოაზროვნეს, და არა მარტო მოაზროვნეს, არამედ ულ ხელოვანსაც, რომელმაც თავის ნაზრებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი მხატვრული ფორმა აღმოუჩინა. კიდევ რომ შემოჩინილიყო არსენი იყალთოელის მიერ ნათარგმანები „ფედონი“ (თანამედროვე ქართულ მკითხველს არ ანეციფრებს, რომ ცხრა საუკუნით დამორბეული მისი წინაპრის ენა სასუქით ვისაჯებია), დღეს მაინც აუცილებელი გახდებოდა მისი ხელახალი გადმოღება. თანამედროვე მთარგმნელმა უნდა მოგვეცეს პლატონი თავისთავად ღირებული, ბედნიერი შერწყმა მოაზროვნისა და ასეთივე არანის ხელოვანის.

„ის, ვინც განუწმენდელად და ზიარეზულად ჩაეკიდებოდა, უწმინდურების მწვირში დაეფლოდა უთოდ, ხოლო განუწმენდილი და ზიარეზული უცდავთა შორის დაიდებს ბინას“. ასე ეკითხება ბ. ბრეგვაძისეულ „ფედონში“ ზემოთმოყვანილი ფრაზა. პრინციპული განსხვავებაა ამ ორ თარგმანს შორის: უმარჯველს ყოვლისა, „ჰადესი“ გვიანწმებს, რომ ზერძენ ავტორს ეკითხულობთ. გარდა ამისა, ახალ თარგმანში სიტყვამ „ზიარეზული“ გამოაჩინა პლატონისეული აზრი, რაც მიქმალული იყო არსენ იყალთოელთან, სადაც „განსრულებული“ ზერძული სიტყვის ტრეტელსმერის პირდაპირ და ცალმხრივ თარგმანს წარმოადგენს. ამ სიტყვებს წარმოთქვამს სასიკვდილოდ შეშაღებული სოკრატე. სოკრატეს უკანასკნელად უსმენენ მასი მოწაფეები, რათა მისგან უკანასკნელი და საიდუმლო შეშარატება მოისმინონ, კეშმარატება „უსხეტელყოფელი“ (გურამიშვილი) სულისა და მისი ხედრისა გარდაცვალების შემდეგ. უკეთეს სიტუაციაა პლატონი ამ დიალოგისათვის ვერ შეარჩევდა. ჰადესს მიშავდა სოკრატე, როგორც თვითონ უყვარდა თქმა: სიზარძნის შობის ბებიაქალი, მუღდინს სახვებით უმართლებს თავის მოწაფეებს. ვანა შეიძლებოდა ამ უკანასკნელ დღეს სხვა რამეზე საუბარი, გარდა სულის უცდავებისა? ან თუ შეიძლებოდა ამის შემდეგ სოკრატე კვლავ ცოცხალი ყოფილიყო და ესაუბრა მოწაფეებთან, ეთქვათ, ორატორული ხელოვნების არსის შესახებ? თვითონ სოკრატეს სიკვდილი უკეთესი დასაბუთებაა სულის უცდავებისა, ვიდრე დიალექტიკური განსჯანი. ამგვარად მომკვდარი სოკრატეს სახე თან ვისაღვებს პლატონის მთელ ნაზრებს, სადაც იგი უფრო ამბობდა, უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

გარკვეული აზრით, სოკრატემ და პლატონმა ერთმანეთი შექმნეს. სოკრატემ პლატონისათვის მთელი თავისი პირთვინება გულთუ, პლატონმა სოკრატესთვის — მთელი თავისი სიზრძნე. ამ უმაგალითო სიკვდილმა შთააგონა პლატონის ეთქვა თავისი სიკვდილის მიწაფხრზე, ოთხი საუკუნით აღრე ქრისტეს ჯვარცმამდე, კეშმარიტი მოძღვარი უსამართლობის მსხვერპლი უნდა გახდესო. „ფედონის“ ხელოვნება ვამოიხატება არა მხოლოდ მწვენიერი ფრაზებით, ოცხალი და უშუალო დიალოგებით, მითების სიტატურ მოწვევლებით (თუმცა მითოსს უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს მის დიალოგებში), არამედ, რაც მთავარია, დრამატული სიტუაციის შექმნით, რაც ძველი მისტრიციების ერთერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო. მისი მოწაფეებო უზრალ მოწაფეები არ არიან. თვითონ სოკრატეს (პლატონის სურვილით) აქ მისტავგოსის, ანუ, როგორც ბ. ბრეგვაძე ამბობს, მისტერიათა ვამრიგის როლი აქისრია. ამიტომია, რომ მთარგმნელი ყველგან შესაბამის ადგილს მოიშველიებს სიტყვებს „სიზრძნე“, „ზიარეზული“ (თუნდაც ღედანში აზრი სხვა საშუალებით იყოს გადმოცემული). ყოველთვის, როდესაც საქმე აქვს პლატონური აზრის შემეცველ ფრაზასთან, მთარგმნელი ამოდის არა მხოლოდ ვიწრო კონტექსტიდან, არამედ მისი ფილოსოფიის არსიდან, რაც მას მუდამ გათვალისწინებელი აქვს; მის გონებაში თარგმანსას მუდმივ თანაარსობს პლატონის აზრი. ბ. ბრეგვაძე მხოლოდ სიტყვის არ თარგმანის, მისი თარგმანი განმარტებითი თარგმანია (ანუ თარგმანება ძველი მნიშვნელობით). ამიტომ მისეულ „ფედონში“ ვერ ვხვავთ ფრაზების დედნისეულ მიმდევრობას, დედნისეულ სემანტიკას (მან ჯერ კიდევ „ნადიმის“ თარგმანსას ურავო ორიგინალისათვის მომავედინებელი „ბუკალისტური“ თარგმანის მეთოლი). ქართული თარგმანი „ფედონისა“, მართლაც, ქართულია, ქართულად დაწერილი, სადაც ჩარმოიულად არის შეზრდილი „უცხოურობის სული“ მშობლიური ენის ქსოვილთან. ყოველივე ეს ქართულ „ფედონს“ მეტად ორიგინალურს ხდის და განსაკუთრებულად ადვილს უნენს სხვა თარგმანებს შორის. „ცოდნის ტრეფალთათვის ნათელია, რომ როცა ფილოსოფია შიორქმევს მათ სულს, სხეულს მიკრულს და მიწებებულს მიორქმევს მას, ამიტომ სული იძულებულია თავის თავიდან კი არა, სხეულის დიდაგიდან უშიოროს საგნებს და, ამრიგად, სრული უმეცობის წყუდადში იბორიადლოს. და კერტრეს აგრე ტყვექმნილი სული შავ შეშარავ, გნებათაგან შობილ უკენეთს და გრძობს, ყველზე მეტად თვითონვე რომ მიუძღვის ბრალი თავის ტყვექმნაში...“ ტრავიული სახე (ამქრად საეგებით რეალური) ტყვექმნილი სული „დრამატულ სინტაქსშია მოქციული. რა შეგვიძლია ეთქვათ ორიგინალის შთამბეჭდაობაზე, რითაც

იგი ძველ შეთხვევებზე მოქმედებდა, მაგრამ დღეს ეს ქართული ფრაზები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. „ხოლო მე საზრდელით რომ საზრდობს, მე სიცოცხლით რომ ცოცხლობს, სულ უკვე არაფერი აღარ ამინებს, ჩემო სიშია და კვებეს; აღარ ამინებს ის, რომ სხველს გაყაროლი ქარის მიერ განქარდება და განიფანტება, გაქრება და კვალიც არსად დარჩება მისი“ (გვ. 58). შემოქმედებითი თარგმნის ბრწყინვალე ნიმუშია (არ გამოვიუღვებო ზედმეტ განმარტებას, თუ რაშია აქ თავისუფლება). მსგავსად თარგმნა შეუძლია მხოლოდ ბერძნულ ტექსტში ღრმად ჩახედულს და შრომბილური ენის შარყვედ მფლობელს. იშვიათი ექსპრესიით სრულდება სოკრატეს სიტყვა აქ. მის მოსდევს: „როცა სოკრატე ლაპარაკს შორია, სინამე ჩამოვარდა დიდი ხნით“. მართლაც, აქ სულის მოთქმა აუცილებელი იყო და ჩაფიქრება: „ჩანდა თერთონე ჩაფიქრა მისმა სიტყვებმა. ჩაფიქრა ბევრი ჩვევანიც“. კიდევ უკეთესს წავიკითხეთ 52-ე გვერდზე: „მაგრამ, როგორც ჩანს, ეგ ნივთიერი ბუნება ქვე-დამზიდველია, ჩემო ძვირფასო კებეს, მშენი, ხილული და მიწიერი...“ შესანიშნავი აღმოჩენაა „ქვე-დამზიდველი“ (დედანში მარტვად „შამი-მე“ — ემბროთეს). ძნელი იქნებოდა უკეთესი ებითეტიც მოძებნა „ნივთიერი ბუნებისათვის“, რომლის შესახებ ვასილ ბარნევი წერდა (თითქოს „ფედროსიდან“): „შემიფა პირველ არსი ნივთიერება და ბნელი“. სწორედ მიწიერის ამ ქვე-დამზიდველ ძალას გულისხმობს პლატონი „ფედროსში“, როდესაც აღფრთოვანებულ სულთა დაცემაზე საუბრობს. ექვი არ არის, „ფედროსში“ — ბრევკაზე შესაფერ. ადგილს მიუჩენს ამ სიტყვას.

მთარგმნელი ტექსტში მასზე მეტს ხედავს, რაც ერთი წაითხვით შეიძლება გამოჩნდეს. „და (სული, ზ. კ.) კვლავ ამქვეყნად მო-რა-იქ-ვეა, როგორც ამბობენ, სამარხთა და სამარის ქვათა არგვლელ იწყებს ბორიანს, რომელთა შორიახლოს, მართლაც, ხედავენ ხოლმე მწუხარე ანრდილებს“ (გვ. 53). სკოტოეიდ ფასმატა მხოლოდ „ბნელ მოჩვენებებს“ ნიშნავს. შესანიშნავად შერჩეული „მწუხარე“ ზნეობრივი ნიუანსს იძენს: გზადაკარგული სულების „სულ-იერ“ მდგომარეობას წარმოკვლავს; ამავე დროს იგი „ბნელის“ არც თუ შორეულ ასოციაციას იწყევს. „ანრდილებში“, რომელიც თითქოს ბერძნული ფასმატას თარგმანი უნდა იყოს, ქვე-დაზიდულ სულების სიბნელე ერთხელ კიდევ გამოიკვეთება (გაიხსენეთ „რათა შეიპყრეს იგიანი ბნელში და აჩრდილმან სკედილისამან“ წ. იობისა, 3:4). აქ უხედავ შემთხვევას, როდესაც ქართულ სიტყვაში მისი ძველი და ახალი მნიშვნელობა ერთმანეთს ერწყმის. „კვლავ მიუბრუნდეს თავის ბნელ დიდებს (ფილოსოფიის მიერ განთავისუფლებული სული, ზ. კ.)“ (გვ. 58). დედანში „დიდუ-

გის“ ნაცვლად „ქაბეების“ ნახმარია. თარგმანი გახედულია და გამკრაიახი. მთარგმნელმა შეიმჩნობს პლატონის მიერ „სახელმწიფოში“ ნახმარის სახეს ადამიანური ყოფისას. ქართულ თარგმანში აზრის სახე, გახედვად თქმის, უფრო პლატონურიცაა, ტიპიურა. შესანიშნავად არის მოძებნილი შესატყვისები „თანამოაზრედ ქვეყნად“ (პოლიტეისნი), „თანამოაზრად“ (პოლიტრობოს), „თანამეინახე“ (პოლიტროფოს), გვ. 57. მთარგმნელი უპირატესობას ანიჭებს „გარდასხეულებისათვის“ ორფიციული წარმოდგენებიდან მომავალ გამოთქმას „კაცის სხეულით მოსილი სული“ („ფედროსი“ ორიგინალში ლამარაკია სულის შესვლაზე ადამიანურ ფორმაში). პლატონი იზიარებს ამ შეხედულებას. გარდა ამისა, ქართულ ენაში ეს იდიომა ბუნებრივად ედებს „სხველს შეიმოსდეს სანამ კაცისას“. აქ მხოლოდ ინვერსიაა ზედმეტი (სამწუხაროა, რომ ამ სახით ეს ფრაზა ხშირად მეორდება).

გახედულებას იჩენს მთარგმნელი, როდესაც პლატონის ტექსტში სახარების ცნობილი გამოთქმა შეაქვს: „მრავალი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედიან რჩეულ“ დარწმუნებული ვარ, დედანს ამ ადგილს თვით არსენი იყავ, თოლი არ გადმოთარგმნიდა აშკარად, ლეოსმეტყველი, რომელიც პლატონში ქრისტიანობის დასაბუთებას ეძებდა. მაგრამ ამ ფრაზას არა აქვს მხოლოდ ქრისტიანული აზრი (იქვე იგი იღვწავს კონტექსტში მოქცეული). მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა; იგი უთუოდ ძველი მისტიკების სფეროდან მოდის (ისევე, როგორც ბევრი რამ სახარებაში). პლატონისათვის ხომ ქვეშაობრივი ფილოსოფოსობა (სიბრძნისადმი ტრფალება) მისტიკიკაში ზიარების ტოლფასია, — ამისთვის მიკრუნდენ თუ არიან რჩეულ. პლატონის ამ აზრს მთარგმნელი სხვაგან უფრო გამოკვეთავს, როდესაც (სიბრძნისა და სიყვითის) მოპოებას „ზიარებად“ თარგმნის. „ვისაც მართლა უყვარს სიბრძნე, ვისაც გულში უღვივარს იგივე იმედს, რომ მხოლოდ პაღესში და არა სხვაგან უზიარება მას...“ (გვ. 15). რამდენად ღრმად ქართულ ტექსტის აზრი და გაცალუბითი შესატყვისი პლატონის მსოფლხედველობისათვის, ვიდრე რუსული достигаеt paзyмeнiя „რომ იმ ქვეყნად, სიკვდილის შემდეგ უზარმაზარ სიყვითე ეზიარება“ (ამ საიქვოა მხოლოდ „უზარმაზარ“. ბერძნული მეგისტა აგათა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „უღიდეს, უმნიშვნელოვანეს სიყვითეს“, ე. ი. დღეს აღმატებით ხარისხში. უხილავი და უსწვეულო სუბტანციისათვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელია ნეუთიერი ნიუანსის მატარებელი ებითეტი). ბერძნულ სიტყვას ფრონესის (საკუთრივ „გონება“, „განსეა“, paзyмeнiе) ბ. ბრევკაზე ყველგან თარგმნის „სიბრძნედ“, ხოლო სიტყვას ფრონისმოს „ბრძნებად“, სოფია და სოფოსის მნიშვნელობით. ეს, ჩემი აზრით ერთადერთი სწორი

თარგმანია. „...მისივე მსგავსი სამყაროში გადადის იგი (კანონმდელი სული, ზ. კ.), ლტობებრავ, უხილავ და ბრძნულ სამყაროში“. ეს სამყარო მხოლოდ ბრძნული შეიძლება იყოს და არა ვინაობა ან ქვეყანი (შერ. რუსულ თარგმანში разумный). „ეთილი და ბრძენი ლტობებისკენ“ (პარა ტონ ავითონ კი დრინინონ თეონ). აქ უკვე აშკარა აღმოჩნდა, რომ პლატონის ღმერთის ეპითეტი მხოლოდ „ბრძენი“ უნდა იყოს, რადგან ფილოსოფია, „სიბრძნისადმი ტრფიალება“, სხვა არაფერია, თუ არა „ბრძენი ლტობებისადმი ტრფიალება, სწრაფვა“. სოკრატეს (ამავე დროს პლატონისაც) ცნობილი აზრია, რომ მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს ბრძენი (სრულყოფილი მყოფენი), ადამიანი კი მხოლოდ ფილოსოფოსი.

პლატონი აშწავლის, რომ ადამიანის სული სიბრძნესთანაა წილნაყარი, მასში მოქცეულია „ფრონესის“, წინააღმდეგ სხეულისა, რომელიც „აფროსინეს“ (უარყოფა ცნებისა „ფრონესის“) სადგომია. ამიტომ უმჯობესია იქნებოდა მთარგმნელი მორიდებოდა აფროსინეს თარგმნას სიტყვით „დამთხვეულობა“; „სხეულის დამთხვეულობისაგან ასე წმინდად თავდასხნილი ჩვენსავე მსგავსათა სირას შევერთოთ...“ ტექსტში იგულისხმება დამირისპირება სულის სიბრძნესა და სხეულის უკუწინააღმდეგობას (უბრძნობას) შორის; ყოველგვარ სიტყვათა ეტიმოლოგიაშია ასახული. ამგვარი ეტიმოლოგიური დამირისპირებანი დამახასიათებელია პლატონის, როგორც პოეტისა და ფილოსოფოსის, სტილისათვის. პლატონური აზრის დიალექტიკა სიტყვის დიალექტიკაშიც ეხადდება. ამ ნაზაროენის ბევრი აზრი სიტყვის ეტიმოლოგიაში პოელობს ახალ დადასტურებას თუ არა, ილუსტრაციას მიიძღ. პლატონს დრმად ესმოდა ბერძნული ენა და უყვარდა მის სტიქიაში შეჭრა („კირატიუ“). ასეთივე ენთუზიასტია ბ. ბრუგვემ თავის მშობლიური ენისა (სწორედ ამ სიყვარულშია, არა ნაკლებ, ვიდრე ცოდნამ, აშორა იგი ბერძნული ტექსტის ბუკვალისტურ თარგმნას). მთარგმნელი ქართულ სიტყვაში ეძებს დიალექტიკურ დამირისპირებას, რასაც პლატონის ენისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს. შემთხვევითი არ უნდა იყოს თარგმანში დამირისპირება „ძილი — ღვიძლი“, ამ კონტექსტში, სადაც პლატონი ცდილობს ამ ორი ღუნომენის ერთმანეთში გარდამეღობა აჩვენოს. „სიცოცხლესაც უბირისპირდება თუ არა რაღაც, ისევე როგორც ღვიძლს უბირისპირდება ძილი?“ თითქმის ბერძნული ენა პლატონს საშუალებას არ აძლევდა ამ სიტყვებში გამოეხატა დიალექტიკური აზრი. მაგრამ სხვაგან იგი შემთხვევას არ უშვებს, რომ თვით სიტყვის ათქმევიანოს თავისი ჩანაფიქრი.

პლატონური სტილის დარღვევა იყო, როდესაც არსენი იყალიბებდა „ჰადესიკ ვიქტორებთან“ ვადმოთარგმნა. ამ სიტყვებში „ვიქტორის“ მსოფლმხედველობაში უცხო ელფერი შეიტანა. პლატონისათვის ის ადგილი, რომელსაც იყალიბებდა „ქოჯობის“ უწოდებს, არ აზის აუცილებლად სატანჯველი, საშიში ადგილი. „ქოჯობითიდან“ არ გამოიყვანება, ის რაც პლატონს „ჰადესიდან“ გამოჰყავს, სახელდობრ, „უხილავე“ და „უხილავე სულბის საწყობი“, სულთი; ამავე დროს ბრძენი ლტობება („კირატიუში“ მოცემული ეტიმოლოგიის მიხედვით: სიტყვიდან ეიდენაი „ცოდნა“). პლატონს რომ ცოდნოდა ქართული სიტყვა „გარდა-ცვალება“, ეს ახალ პასაჟებს შემატებდა „ფედონს“. აქ მიიღვ ეკითხულობთ: „რადგან უცვლელობის სამყაროს რომ სწუდება და ეზიარება, ემსგავსება კიდევ მას, ამიტომ სული მარად უცვლელს უფრო ჰგავს, ვიდრე მიწივე ცვლადს“. მე ვგუქრობ უმჯობესი იქნებოდა მთარგმნელს დაეწერა „მარად გარდა-უცვლელს“ რამდენადაც აქ სულის უცვლელობის დასაბუთებაზეა ლამარაკი. ქართული სიტყვის ამ გამოხატული ეფექტი ზედგამოჭრილი იქნებოდა პლატონის სტილისათვის.

„ფედონში“ ეკითხულობთ საგელისხმო ფრანას: „იქნება მაშინ მიიღვ ეეზიარეთ მას, რასაც ვერტფიო და რასაც ვესწრაფვით, სახელდობრ, სიბრძნეს. მაშინ-მეთქი, რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ — სიყვლის შემდეგ, როგორც სიტყვა გვანიშნებს ჩვენი, რადგან სიცოცხლეში ეს გამოიყვლება“ (გვ. 20). ამ ფრანაში პაერშია გამოკიდული სიტყვები „როგორც სიტყვა გვანიშნებს ჩვენი“, რადგან ქართული „სიყვლის შემდეგ“ არაფერს გვანიშნებს. გვანიშნებს მხოლოდ ბერძნული ტელეუტესომენ, რაც ნიშნავს „აღსრულებით“. („აღსრულება“ — სიყვლის სინონიმი). ამავე სიტყვის ძირიდან ამოდის მეორე სიტყვა ტეტელესმენის „ზიარებული“ (საერთოთივე „აღსრულებული“, ჰომეროსთან მხოლოდ ამ აზრით იხმარება, შდრ. იყალიბებულთან „განსრულებული“). პლატონი ასწავლის, რომ სიყვლილ-აღსრულება და ზიარება ერთიდაიგივეა. აქ არის არა სიტყვათათამაში, არა უბრალო სამქაული სტილისა, არამედ ღრმა მნიშვნელობის შემცველი ხერხი პლატონური აზრის გადმოცემისა. იგი ბოლომდე არ ამბობს თავის სათქმელს, მხოლოდ გვანიშნებს — სიტყვის სემანტიკით (პოს პოლოგის სემანეტი), რომ ჰადესში ჩასვლა, მიოთოსის ერთერთი მნიშვნელოვანი თემა, უმაღლესი ცოდნის ზიარებასთან არის დაკავშირებული. როგორც დავინახეთ, პლატონისთვის სიტყვა მისტერიული აზრის ილუსტრაციაა. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მიოთოსის მის



ფილოსოფიურ შემოქმედებაში. იმ დიალოგებში, სადაც პლატონი თავისი ფილოსოფიის კარდინალურ საკითხებზე მსჯელობს (აღნიშინებული სულის ბუნება, უკვდავება, კოსმოგონია, ყველაფერი, რაც გრძნობათაგან აღუქმელ სამყაროს ეხება), პლატონი მოუხმობს მითოსს, და იგი არა ნაკლებ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე დისკურსიული დიალოგები. ამიტომ, მაგონია, არ უნდა შეეფერებოდეს პლატონის მსოფლმხედველობას თარგმანში გადმოცემული აზრი:

„ყველაზე მეტად შეიძლების გვესაუბროს და გვიოთხრას ზღაპარი ამ მგზავრობისა“ (იგულისხმება სულის გადასვლა ჰადესში). მე მაგონი, შეეცა მთარგმნელი, როდესაც ბერძნული „მითოლოგიის“ ზღაპრის თხრობად“ გადმოთარგმნა ანუ განმარტა. უდავლოდ არ იქნება დავი-მოწმი სალესტიუსი: „ჰემარტიკება მითის სამოსელში გახვეული და ცუტლა პროფანაციისაგან და წარმოადგენს ფილოსოფოსობის სტიმულს“. არა მაგონია, პლატონს მოეხმო ზღაპარი, პროფანირებული და ჰემარტიკებისაგან დაცილი მითი. სექსისი მითოსისადმი შეეფერებოდა უფრო ქსენოფონტეს სოკრატეს, ვიდრე პლატონისას (მით უმეტეს მის მოგვიანო დიალოგში წარმოდგენილს). შემთხვევითი არ არის, რომ „ფედონის“ სოკრატე „მე-მუსიკე სოკრატეა“. აქ ჩანს პლატონის სურვილი ხელკუნებისა და მითის მომთქვე სოკრატე მოაქციოს საკუთარ რწმუნებ და ათქმევისოს, რომ მხოლოდ მითოსია ხელკუნების შთავონება წყარო. ამიტომ შეეცდომა ნაცვლად დედნისეული დაპირისპირებისა „მითოს—ლოგოს“ თარგმანში მოცემული დაპირისპირება: „მოგონილი—ნამდვილი“ (გვ. 9).

ძველ საქართველოში პლატონს იოიონილოში კითხულობდნენ. დღეს ჩვენ მოკლებული ვართ ამ ბედნიერებას. ამიტომ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ აუცილებლად უნდა გვერნდეს მშობლიურ ენაზე მისი თხზულებები. ყოველი მოწინავე ერის წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს რამდენიმე თარგმანის საშუალებით გაეცნოს პლატონს. ხოლო საქართველოში არა დღეს ჩვენთვის სოკრატე და პლატონი, ამას აპოლოგია არ სჭირდება. თუ არ ვცდები, „ფედონი“ მეოთხეა ქართულად არსებულ პლატონის დიალოგებს შორის. ოციანი წლების ეურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილია პროფ. ს. ყუუხნიშვილის მიერ ნათარგმნი „კრიტიკონი“ (არსენი იყალთოელის ზემოთმოყვანილი ფრაზა ეპიგრაფად უძღვის ამ ნაშრომს); ეურნალ „ჩვენ მეცნიერებაში“ (1926 წ.) „სოკრატეს აპოლოგია“ (მისივე თარგმანი). მას შემდეგ რამდენიმე ათეულში წელსა განუვ ეკლავ განიდა ინტერესი პლატონის თარგმნისა. ბოლო სამ წელწადში გამოვიდა ორი უმნიშვნელოვანესი დიალოგი: „ნაიმი“ (ბ. ბრეგვაძისივე თარგმანით) და „ფედონი“. ეს ორივე წიგნი სწრაფად გავრცელდა, რაც პლატონისადმი ჩვენი საზოგადოების დიდ ინტერესს მოწმობს, ამას ხელს უწყობდა თარგმანის მაღალი ხარისხიც. მაღლობის მეტი რა ითქმის „სამპოთა საქართველოსა“ და „ნაკადლის“ მიმართ, მაგრამ ერთიორად მეტი მაღლიერი იქნებოდა მეოთხეული, რომ ამ წიგნების ტირაჟი შესაბამისად გაზრდილიყო.

ზურაბ კინაძე

„ისე ლამაზად და ღრმად განვიცდი“...

ყოველ მკითხველს ჰყავს ისეთი ავტორი, რომლის შემოქმედება შესაძლოა არც თუ ისე პარმონიულად ესიტყვებოდეს მის სულიერ სამყაროს, მაგრამ რაღაც იღვწალი იმპულსი მაინც უბიძგებს მისკენ და უყურადღებობის უფლებას არ აძლევს. ასე რომ, არ შეიძლება შეფასების კრიტერიუმში პირად სიმპათიებში თუ ანტიპათიებში ვეძოთ და ავტორს მივეზღოთ იმის მიხედვით, თუ როგორ და რამდენად მოერგება ჩვენს პირად სულიერ-ინტელექტუალურ სწრაფვას მისი მხატვრული სამყაროს პულსი.

ლირიკის სუბიექტური გავების უფლება (რასაც, მსგავსად მუსიკისა, მისი თავისთავადი

ბუნების ღრმა სუბიექტურობა და ემოციურობა განპირობებს) არ ნიშნავს მკითხველის შთაბეჭდილებათა თვითნებურ თავისუფლებას, ავტორის მხატვრული თავისთავადობის მისადაგების აუცილებლობას მის „კაპრიზებთან“.

ეს მოკლე ზოგადი შესავალი განზრახ არ მოგვიფიქრებია. იგი რამდენადმე მაინც გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას სარეცენზოო წიგნის ავტორთან. შ. ნიშნინიძის პოეზიაში შეიძლება ბევრი რამ არ მოგწონდეს, საკმაოდ მიგანინდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მის ყოველ ახალ ლექსს თუ კრებულს მკითხველის ინტერესი განაღდებული აქვს. ზოგიერთს შეიძლება ერთობის ერთი შეხედვით საპირისპირო ცნებების (არ მოგწონდეს, და ინტერესი განაღდებული აქვს) ურთიერთშეგვეება, მაგრამ ვფიქრობთ, ისინი ერთმანეთს უფრო აესტენ, ვი-

დრე უპრყოფენ და გამოიციხავენ. რთული და დახვეწილი გამოცემების დღეიანდელ მკითხველთა ისეთი დამტკბარესება მხოლოდ ხალას მხატვრულ ნიჭს, ბუნებრივი პოეტური შთაგონების შემოქმედს ძალუძს.

შ. ნიშნაინძის პოეზიის ეფექტური, ენერგიული ექოს მიზეზი წრფელ პოეტურ შთაგონებაში, უშუალო, ღრმა მეტაფორულ აღქმასა და დაძაბულ, გადამღებ მხატვრულ განცდაში უნდა ეძებოთ.

მედიცინა საგანგებო ყურადღებით ებრძვის და დევნის მას, რაც გადამღებია, ამიტომაც უღერს შეზარადად მედიცინის ენაზე ტერმინი — „გადამღები“. ჩვენი აზრით, იგი აღქვებურად გამოხატავს საერთოდ ხელოვნების, განსაკუთრებით კი ლირიკისა და მუსიკის სულის რჩევას, პრაქტიკულ-ნიეთიერი ფუნქციის არსს.

განცდის გადამღებ რეზონანსს, ორგანულ შთაშაგონებლობას დაუმცხრალი პოეტური წყა, საგანსა თუ მოვლენაში ღრმად წვდომის პრინციპი განაპირობებს.

ვალკტიონ ტაბიძის პოეზია დამაჯერებლად გვაგრძნობინებს, რომ პოეტს ნერვები აწვდებოდა ყოველ სტრიქონზე, საგნის თუ მოვლენის აღქვებურ მხატვრულ განცდაში. სწორედ ესა უთუთუარი დამტკიცება იმისა, რომ მასში ერთი ნერვიც არ იყო არაპოეტის. აბსტრუქტულემ განცდას ხომ დამღუპველი და დამტანჯველი მოქმედება უწოდა. ჩვენი აზრით, ეს განსაზღვრება ყველაზე ორგანულად ლირიკული და მუსიკალური განცდის ხასიათს ესადაგება.

საგანათა თუ მოვლენათა ბუნების შესაბამისი ემოციური ვარდასების, უშუალო პოეტური შთაგონების წყალობით შ. ნიშნაინძის პოეზია იძენს რიტმულ-ინტონაციურ, განწყობილებით მრავალფეროვნებას.

გაზაფხულის წყალობით
ზეცამ გამოიადარა,
ერთი კარგი ვალობის
მეტე არა მინდა რა...
(„კაფე-თესე“)

...ქტრში იმსხვრევა მზე მოლივლივე
და მოვლურტულე ზმები ანკარა...
ნუთუ დრო მოვა და ყოველივე
ისე ვაქრება, როგორც გამქარა...
(„ეს დღეც იწყება...“)

შითია თუ ზღაპარია, სიზმარი თუ
სინამდვილე?
ვივალობემ, ვიმარტივებ,
ვითეუზავემ, ვინადირებ...
(„ქართლი“)

განწყობილების მრავალფეროვნებას შემთხვევით არ ვუსვამთ ხაზს. მას მხოლოდ ბუნებრივი პოეტური გრძნობა განაპირობებს და

არგველირებს. ზოგიერთი ჩვენი პოეტი გრძნობას, განცდას იგონებს, მექანიკურ, შეუსაბამო განცდას აყრებს საგანს, რის გამოც „საგანი“ და განცდა ერთმანეთს გამოიციხავენ. ეს მასში ნიულ ურთიერთობაში წარმოგვიდგება. ამას შეიძლება პირობითად „ცივი ხელის“ პრაქტიკა ვუწოდოთ.

„გასწი მერანო, შენს ჰენებას
არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღვლეარა

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი...

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს...

ნებისმიერად გადავანაცვლოთ განწყობილება და „ცისა ფერის“ ემოციით ვცალოთ „მერანოს“ აღქმა, ანდა პირველ „მერანო“ წარმოვიდგინოთ „ცისა ფერის“ ემოციურ ფარგლებში. ცხადია, რომ ჩვენს გრძნობაში ქაოსი განდგება. ნ. ბარათაშვილმა ემოციურად დაგვაჯერა, რომ ბედთან ჰიდილს, ამა ქვეყნის ამაოებასთან ბრძოლას, დიდ სულიერ ექვეყნოფილებას, შირადიული იდეალის ძიებას მხოლოდ „მერანისეული“ განწყობილება, ამდაგვარი ემოციური ძაბვა, ისეთი ღელვა და ბოზოქარი რიტმი შეეფერება.

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს...

ექ კი სათუთი, საალურსო, მინორული ტონი, ლოცვისათვის დამახასიათებელი რიტმული ტხევა ნაზი, საყვარელი არსებისაკენ მიმართავს ჩვენს გრძნობას.

გოეთემ ეყრმანთან საუბარში განაცხადა:— ჩემი რომელი ელეგიების შინაარსი ბაირონის „ღონ ეუანის“ რიტმსა და ტონში რომ გამოეხატოთ, ყველაფერი უწინდელ და შუესაბამოლ მოგვეჩვენება.

პოეტური განწყობილების ნაირსახეობათუთ პოეტის მხატვრული ინიციატივის, მისი შინაგანი იმპულსის, და გარე სამუქარსო თვისებათა ორგანული მოღანობაა.

ასე პარმონიული ზორციელებდა ეს პირობა შ. ნიშნაინძის პოეზიაში. მისი პოეტური ენერგია ხანდახან იმდენად მძლავრად ჩქეფს, რომ ძალუენებურად გვახსენდება მიაიკოსკის ამოქაბილი: „Я стихи пишу всем телом“.

როდესაც ეს ენერგია სიმძლავრესთან ერთად ორგანიზებულ სახესაც იძენს, შ. ნიშნაინძის პოეტური შემართება მკითხველის მთელ არსებას ძაბავს, მისი ლექსიდან ცოცხალი, მოძრავი გმირივით გადმოდის განცდა და სულის სიღრმეში იჭრება.

თითქოს სიზმარს ჰგავს
 მთელმარე ზღვის ლურჯი წიაღი
 გააქსოვილი ფოსფორიანი სხივთა ციავით,
 გაყინულ სუნთქვას
 ეამი ლოკავს
 ქვეამარლივით
 და უტეხ ხილვებს
 ლანდებივით გააქეთ ლივლივი.
 („სურათი „ამოღის ნათლება“ ანუ დიოს-
 ტრია“)

გადავისენი და აღმოვეცნდი,
 როგორც ზღამარი და სინამდვილე.
 წარსულის ხილე თუ აღმოჩენა
 მომავლისავენ გზას მიაღვილებს.
 („ქვიან ტილოებზე...“)

ღელვისა და დრტვინის გარეშე რომ პოეტურ-
 რი ტალანტი, შთამავრუნებელი ლექსი არ არსებობს,
 ეს საკმაოდ აღიარებული მოსაზრებაა. პოეტური განცდის
 სიმძაფრე, პოეტური ემოციის ინტენსიურობა სწორედ ამ რეაქციის გულისხმობს.
 რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ცარიელი ექსტაზის, უშიზრო ღელვის აღიარებას.

ეს პირობა თვისებურად სახიერდება შ. ნიშნიანის პოეზიაში. მის პოეტურ გრძნობას არ ახასიათებს ეფექტური აღვლევბა, ანუ ან პირველ — ერთბაშად ვარდებუბა. მის ღმქსში ღელუბ, პათოსი თანდათან ვითარდებუბ, მძაფრდებუბა და მალდებუბა. უოველ მომღვენო სტრიქონს ემატებუბა ემოციური ძებუბა, რითაც ლექსი მკითხველის გრძნობას იპყრობს და იძულებს, რომ პოეტის განცდას მისდიოს. ხშირად ამ თვისებებს ერწყმის ლაღი მეტაფორული სულისცე-
 თებუბა და მახვილი ფერწერული პასაჟები.

კრებულში თემატური შრეა-ლმხროვობითაც ხასიათდებუბა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ თემატის („მებრალუბიან ღმქსა მოხუცინი...“, „პაეშევიბი“, „წუთები“ და სხვ.) თემა (თავისთავად, ფორმის, მხატვრული გადაწყვეტის გარეშე) არ არის აბალი, ნოვატორულად ხილული. მათ მეტნაყლებუბა ნაცნობი სახე აქვთ და წიგნობრულ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ეს ფაქტი არც ისე თვალსაჩინო დოზით შეიმჩნევა შ. ნიშნიანის პოეზიაში და შეიძლებოდა სულაც არ აღვენიშნა (მით უმეტეს, რომ პოეტის ნაცნობი თეშების უმრავლესობას ახლებურ მხატვრულ ქსოვილში წარმოგვიდგენს), მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ იგი საერთოდ უფრო გვიანტირესებს, ვიდრე კერძოდ, პირადად შ. ნიშნიანის მიმართ. ამ ფაქტს არც თუ ისე იშვიათად მოსდევს ხოლმე ე. წ. პოეტური შტამები — მთარული მეტაფორების, თუ სხვა მხატვრული ხერხების გადამღვრება.

ხანდახან შეიძლება ასეთი მთარული მხატვრული ელემენტები, „ვეთილ მფარველთა“ რომ შეგვხვდებუბა, ფიზიკურად, ზეპირად ვერ ვავისუნოთ მთარე მთარე რიგინილის იღვმალა გამოძახილი

მოსვენებას არ გვაძლევს და ექვს თვალთ გარეგანყოზს „ვეთილ მფარველს“ მიმართ.

შ. ნიშნიანიე (ისე, როგორც ჩვენს მომეტებულმრავლესობა) მეტწილად ირჩევს ისეთი მთარე მთარე საგნებს და მოვლენებს (რა თქმა უნდა, აქ გავმორიცებელია, რომ ეს მხოლოდ ვანზრახ და ვანვებ ხდებუბა), რომლებშიც სხვა თემებთან, საგნებთან და მოვლენებთან შედარებით, პოეტისა და საერთოდ. ხელოვანის წარტვის გარეშე, ჩქედს პოეზიი; ე. ი. მასალა, ემპირიული შესაძლებლობისდაგვარად, თავისთავადაა პოეტური. ვფიქრობთ, უადვილო არ იქნებუბა, რომ აქვე ვავისუნოთ შელის მოსაზრებუბა, რომელიც მან რითმონი და ურითმო ლექსის შემირისმირებისას გამოთქვა — რითმიან ლექსში საშუალო პოეტრიც თავისუფლად შეიფარებს თავსო.

მათავსელებს პოეტურ რისკზე, ფართო მხატვრულ ვაქანებზე, მახვილ ინტუიციასა და გამოგონებლობითი ტალანტის დაუოყებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი სწორედ ჩვეულებრივ თვალისთვის ანტიბათიურ საგნებსა და მოვლენებს უდგამდა შემარბტ პოეტურ სულს, მშენიერებდა და სილამზის ენაზე ამეტყველებამთ.

გვირდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს — ეს არის თვითნებური, თბიქტთან შეუსაბამო თუ მისგან მომეტებულად დამარბებული ასოციაციებისავენ სწრაფის ტენდენცია, რაც ლირიკულ კომპოზიციას უქმნის გაფანტულ, ქობტრსახებს, არღვევს ვანცილის მთლიანობისა და ერთიანობის პრინციპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია დღევანდელ პოეტურ პრაქტიკაში საკმაოდ დამკვიდრდა და ხშირად ლირიკული გრძნობა არსაიდან არსათ მომართობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოთუვენთ მთავალთს სატეცნითი კრებულთან:

ნისლი ვეყავ მსიზმრებთა,
 სათაფლია მიძენია,
 სადაც ჩემი მამულია,
 დაკარგული ბიძები.
 სადაც ჰაქვის პერანგივით
 ჩაყანული ქეტიკირია.
 ვენახებზე ვაგოლიღვარ,
 კამირტებზე მტირია.
 თუ ოცნებებს ვავუსხლივარ,
 ნოვონებებს ვეშეღვარ.
 თუ პატარა ნისლი ვეყავ,
 ვავზრდიღვარ და ღრუბელი ვარ.
 ქალაქიდან ემარბები,
 რომ ვანუქით ჩემი სუნთქვა.
 მოგხვევი, დავაკედები,
 შევიწოვ და შევიგრიუტავ.
 ვანი მართლა დავკარგულვარ,
 ანდა უოუნა ვინახევრდა.
 ტანი მექცეს ნაკადულად,



ფოთლებად და ბალახებად.
ცოცხალი ვარ თუ მკვდარი ვარ,
რა დამკარგავს აღამიანს.
შენი მიწის ფუტკარი ვარ,
ქვიშა დედა, სათაფლია...

ლექსი გარკვეულ განწყობილებას გვიქმნის, თავისებურ ემოციურ რეაქციას ახდენს, მაგრამ შინაგანი ლოგიკის, ასოციაციათა ურთიერთგაპირობებულობის, უძთიერთთან ორგანული კავშირის იგნორირების გამო განწყობილება პაოტური, უსისტემოა.

შ. ნიშნიანის ოსტატურად შეაქვს ლექსში ყოფითი დეტალი და, უშუალოდ შემთხვევაში, მაღალ პოეტურ ხარისხში აქყავს იგი.

ფილიპე ბერიძე

ახალი ქართული ლოკუმენტური რომანი

ქართულ სინამდვილეში არა ერთი რომანი, მოთხრობა, ლექსი თუ ნარკვევი შეიქმნა დიდ სამშულო ომის დროს. ქართველმა მწერლებმა გამოაქვეყნეს მემორუალ-ლოკუმენტური თანარის ნაწარმოებებიც. ასეთს განვიხილავთ ალექსანდრე კალანდაძის რომანი — „პიასტის ნამუხლარზე“.

ამ რამდენიმე წლის წინ შეიხველი გაეცნო ალ. კალანდაძის შეტად საინტერესო წიგნს — „დღეები ბრესტის სიმაგრეში“. ცნობილია, რომ ბრესტის სიმაგრეში გადაიტანა გერმანელი ფაშისტების პირველი მთლიანდელი დარტყმა, რომ ამ სიმაგრის დამცველთა შეუზოგრობამ და სიმამაცემ გასტება გერმანელი ფაშისტების რწმენა, თითქოს ისინი „ელვისებური ომით შოულებდნენ ბოლოს საბჭოთა ქვეყანას. ბრესტის სიმაგრის ლეგენდარულ დამცველთა შორის ალ. კალანდაძე იმყოფებოდა. როცა ბრესტის სიმაგრე დაეცა, ცოცხალი მხოლოდ რამდენიმე კაციღა გადაარჩა, და ისინი პირველნი დადგნენ წამებულთა გზას.

„პიასტის ნამუხლარზე“ სწორედ იმთ ბედს შეეხება, ვინც გერმანელების ტყვეობა იგემა. ამ ლოკუმენტური ბრძანის ავტორმა მლიონონით აღამიანის დიდი ვაიხარა.

„პიასტის ნამუხლარზე“ არის საბრალდებულ ავტორ, რომელშიც თვითშეიხველას მიერ ზუსტადაა ასახული გერმანული ფაშისტების „საქმენი-საკმირი“.

ალ. კალანდაძის წიგნი იმითაცა მნიშვნელოვანი, რომ მასში აღწერილია ე. წ. „ფოლკსდოინეების“, ე. ი. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული გერმანელების ცხოვრება, რომლებიც გერმანული ფაშისტ-

შ. ნიშნიანის პოეზიაში „ზარი და ვარსკობა“ ძირითადად პარამონიულ მთლიანობაში სხარედება, მაგრამ აქა-იქ გვეხედება მათი გათიშვისა და უსავგო გრძნობის წინ წამოწევის მაგალითებიც.

როგორც ვხედავთ, შ. ნიშნიანის პოეზია პრინციპში აშართლებს იმ მოხდენილ სტრიქონს, რომელიც რეცენზიის სათაურად ავიხილეთ. პოეტის მომავალი შემოქმედების ყოველი ეპიზოდი, ყოველი მხატვრული დეტალიც კი ამ სტრიქონის მტკიცე პრაქტიკული დადასტურება უნდა იყოს.

ბის „წყალობით“, თავიანთ—მიწა-წყალს უბრუნდებოდნენ. მოხდა ისე, რომ ავტორს საქართველოში წასწავლმა გერმანულმა, უკიდურესი გაჭირვების დროს, უშველა, და იგი „ფოლკსდოინეებისათვის“ მიხენილ ბანაკში გაემწყეს. ალ. კალანდაძე, სხვა ტყვეებთან შედარებით, პოლონეთის მიწაზე უფრო მშვიდი დამკვირვებლის თვლით უყურებდა გერმანელების საქმიანობას, ტყვე კორნეოვთან ერთად, იატაკქვეშ მისი მუშაობა და ის ამბავი, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა გამეღავენებელიყო მისი ქართველობა, ამლიერებს თხრობის დრამატულ დაამბულობას.

წიგნში „პიასტის ნამუხლარზე“ მოთხრობილია ბევრი საინტერესო ამბავი, უამრავი აღამიანის ბედია ნამევენები, მრავალი ხასიათი და სახეა დახატული, სიმართლით არის ვადმოკუმული გმირის შინაგანი განცდები, აქ სულიერი ტკივილი ფიზიკური ტკივილივით მწვავეა. ავტორის თხრობაში გარკვეულად ადგილი უკავია შინაგან მონოლოგებს, რომლებიც ცხოვრებასა და აღამიანებზე მსჯელობას შეიცავენ, ხსნიან იმ განცდებს, რომლებიც ავტორს ტყვეობაში დაუფლუბია.

როცა მსოფლიოს წისადეკად ამხედრებულ გერმანელებს შესცქერის, ავტორს ზოგჯერ გვევც იყარობს, ნუთუ შეიძლება არსებობდეს ამ შავი ჭირის მომტრევი ძალო, მაგრამ დაფიქრა და ნალარით ვადმოკუმულ „ზონდერმედუნეგებში“ გამოყრთის რწმენაც, რომ ხიშტებზე დაყრდნობილ წყობილებას დიდი ხნის არსებობა არ ეწეკა.

ნაწარმოებში დაცულია ის მეტყველება, რომლითაც გერმანელები მტერ-მოყვარეს უმასპინძლებოდნენ, ის ლექსიკონი, რომლითაც ტყვეები ერთმანეთს მიმართავდნენ. ნაწარმოებში არც ამბავია შეღამებულები და არც ენა, მწერალი საჭიროების შემთხვევაში, ხმა-

ალექსანდრე კალანდაძე, „პიასტის ნამუხლარზე“, „ლიტერატურა და ზელოვნება“, 1967.

რობს ეარგონს, უფრო სწორად, თარგმნის გერმანულ ეარგონს ქართულ ენაზე. სხვაგვარად, ვფიქრობ, საგნებშიცა და ადამიანებშიც თავიანთი ნამდვილ სახეს დაქარაგვენ, ეს კი მხატვრულ ნაწარმოებს და ისიც დოკუმენტურ რომანს ზიანს მიაყენებდა.

რომანში ადამიანების მთელი გაღრევა დახატული ზოგი მათგანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ბევრი კი—მეორეხარისხოვანს, მაგრამ თხრობაში თუნდაც ერთი წამით გავლენა ბული სახეებიც კი ცხოვრებშიაღწერილი და მარა-კვისმეტყველებს, არაფერი, ასეთია, შავალთადა, კვიატკოვსკი, რომელსაც თავის ოთახში რადიომიმღები აქვს დამალული და საიდუმლო ვადაცემებს ისმენს. ასეთია დიქტორი ქართველი ტყვე-პარტიზანი, რომელიც პოლონეთის მიწაზე იბრძოდა და, რომელიც ავტორის შეკავებულ და დღის სული, რომ მისი სახელიც კი ვერ გაავსო! შეიძლება მხოლოდ ქალიშვილის სახელი მზია, რომლის სურათსაც ტყვე-პარტიზანი თან ატარებდა. მათ რიცხვს ეკუთვნის „დავი-თად“ წოდებული ქართველი პარტიზანი, რომელიც პოლონეთის მიწა-წყალზე დასდო თავი.

ენითუთქმელი ტანჯვა-წამება გადახდათ წიგნის ავტორს და მის აზნაურებს. გერმანული ფაშისტების მიერ ჩადენილი რა „დახვეწილი“ და „რაფინირებული“ — წამება არ გაგვიგონია და გვეჩვენებს ეს წიგნიც, ბოლოს და ბოლოს ასეთ ნაგვემ-ნაწამებ და დაღუპულ ადამიანებზეა დაწერილი, ყველას შაბრწუნებს ის ემიზონა, როცა ალ. კალანდაძე გვიამბობს, თუ რა სამიწელ დიდგვში მოათავსეს იგი პირველი დაითხვის შემდეგ...

მედალ საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ ალ. კალანდაძესა და მის კოლეგებს ტყვეობაში მოუხდათ თავი გერმანულხდალ გაესაღებინათ. მოშავალი იატაკქვეშელები სათვის ყველაზე ძველი ამოცანა სწორედ ეს იყო, რადგამ არც თუ დღევანდელი გახლდათ რუსს ან ქართველს გარდასახვის ისეთი უნარი გამოეჩინა, რომ გერმანულხდალ ისინი თავისი რასის შეილებაღ ელიარებინათ. აქ მწერალი ადამიანის ფსიქოლოგიის ყარგ მკოდნელ გვევლინება და ყველა მოქმედ გმირს, თითოეულ პიროვნებას აღწერს ზუსტად ისე, როგორც შეიძლება ყოფილიყვნენ ისინი, თავის დადებითი და უარყოფითი თვისებებით, ადამიანი გმირი და ადამიანი შვიშარა, ადამიანი ექვემდებარეობს თავს და ადამიანი პირდაპირი, გაბედული. საოცარია, მაგრამ ფაქტია: ტყვეობაში სიყვარულის ასეთი ცუცხლო მოვლა ერთ-ერთ ტყვეს — შერტნერს, რომ წონასწორობიდან გამოიყვანა და კინაღამ იატაკქვეშელების საიდუმლო საქმე გაამტარა.

ვის ჩამოთვლის, კიდევ რამდენი საინტერესო ფაქტი, ყარგად მიგნებული დეტალი, ფსიქოლოგიურად დასაბუღი ემიზონა წარმოდგენილი წიგნში.

ბევრი რამ დაწერილა გერმანული რასობრივი კანონმდებლობის შესახებ. ცნობილია თუ როგორი „განსწავლული“ და „შეგუდარებული“ ექიმი ჰყავდათ გერმანულ რასისტებს, როგორ „უტყუარად ცნობდნენ“ მაღალი შოღვრის, წმინდა სისხლის არიელებს და არაარიელებს, შერეული სისხლის ადამიანებს, განსაკუთრებით კი, ებრაელებს. ალ. კალანდაძის წიგნში რასობრივი სამსჯავროს სურათი დეტალურად არის დახატული. იცდღეს ვაგარძელდა რასიულ წმინდა. იციდღეს მამობლზე ყოველ წუთს მოსალოდნელიყო, რომ რომელიმე მათგანი, მართლაცდა, არაგერმანული (რომელიც გერმანიის პასპორტის მიღებას ფიქრობდა) ჩავარდნილიყო და სიცოცხლეს გამოსაღმებოდა. „...სხუელის არც ერთი კენჭელი არ დაჩვენიათ გაუჩინქნავაგაუზომავი: ყოველ მილიმეტრს ჭიქტად ჩაქვირკიტებდნენ: ვაზომეს ნიკაბის სიგრძე-სიგანე, ფეხისა და ხელის თითებს შორის მანძილი, თითოეული თითის სახსარი, ხელისგული, მკვა, თითების გამოხილობა, ცერთან მათი დაშორება, სახსარების მოძრაობა, დათვალეს ყურის ნაოქები, ვაზომეს წარბებს შორის მანძილი, კისრის სიგრძე, აღწესეს ყველა ძვალი და ზრტილა. შერე, შინაგან ორგანოებზე გადავიდნენ...“ ყველაფერი ეს კეთდებოდა „სამშობლოს სადიდებლად. მისი უშიშროების უზრუნველყოფად: ცოდნასა და ენერჯიას არ ზოგავდნენ რასობრივი ქურუმნი, მისანნი და წინასწარმეტყველნი!“ (გვ. 287)

მაგრამ მოხდა უტრიოზი და „შეუცდომელმა“ ექიმებმა ნამდვილი „ფოლკსლოიქე“, ნამდვილაგერმანული, შემოწმებიდან მოხსნეს და ციხეშავაგაზავეს. ტელეკემ ვერ დაამტკიცა არიელობა, მთავარი მიზეზი კი თურბე „შუცლის არეში ჭონის ნაყეები“ იყო, ეს კი რასობრივ სამსჯავროში მოშაკედინებულ ცოდვად ითვლებოდა. ამისგაგონებაზე ერთ-ერთი ტყვე ირონიულად შენიშნავს: „ამის დედა ეტირე! გერინგს მუცლის ჭონი აყლია?!“.

მეორე მიტყვევებელი „შეცდომა“ დაუშვა კომისიამ: მოსკოველი სტუდენტი, წარმომოხობთებრაელი, — ლენინი, რომელიც ბანაკში მეტრერის გვარს ატარებდა, რასობრივი სამსჯავროს მიერ გერმანულად იქნა აღიარებული.

ალ. კალანდაძის წიგნი ერთ-ერთი ამოცანაგაგვადნოს ტყვეთა ბანაკში შექმნილი იატაკქვეშელების საქმიანობა, კორენოვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა ჭგუფმა, რომელიც პოლონულ პარტიზანებთან იყვნენ დაჯავშირებული და მათთან შეთანხმებულ მოქმედებდა, თავისი წვალი შეიტანა პოლონეთის მიწაზე.

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ალ. კალანდაძის ექვსას გვერდიანი წიგნა, რომელშიც გერმანელი ფაშისტების ტყვეობის

აუტანელი და შემზარავი სურათებია დახატული, თავიდან ბოლომდე შეენადგებულენ უნდა რუსით იკითხება.

ბიზნეს-საქონელი
ნომარ რუხაძე

მონოგრაფია ჰოლა ლომთათიძეზე

„შე საერთო კვლე უნდა გაავლო ქართულ ლიტერატურაში“ — თქვა ერთხელ მომავალმა ახლგაზრდა მწერალმა — ჰოლა ლომთათიძემ. მართლაც, მწერლის წინასწარმეტყველება გამართლდა. მას მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთერთი საბატიო ადგილი უჭირავს და ბოლომდე რჩება ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ მწერლად.

რევოლუციამდე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ჰოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არაფერი არ დაწერილა, კრიტიკოსები დღემოლით უვლიდნენ გვერდს ქ. ლომთათიძის შემოქმედებას.

საბჭოთა პერიოდში ბევრი მკვლევარი დაინტერესდა ჰოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლით. საინტერესო სტატიები და ცალკეული ნაშრომები გამოაქვეყნეს დ. რამიშვილმა, ს. ქილაიამ, დ. ბენაშვილმა, შ. რადაიამა, ს. თავაძემ და სხვებმა. მათ რიცხვს შეემატა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ციციშვილის წიგნი „ჰოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება“.

მკვლევარი მიზნად ისახავს გააშუქოს მწერლის ცხოვრების და შემოქმედების მთავარი მომენტები, რომლებიც დღემდე ნაკლებად იყო ცნობილი და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიმოხიროს მას სათანადო ადგილი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

მონოგრაფია შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში გადმოცემულია ჰოლა ლომთათიძის ცხოვრების ძირითადი მომენტები, ახლდმოკვლეული საბუთების საფუძველზე ნაჩვენებია მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია მწერლის მხატვრული შემოქმედება.

ავტორი აშუქებს მწერლის რევოლუციური საქმიანობას 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. მკვლევარს მოაქვს ბევრი საინტერესო მასალა ჰოლას რევოლუციური საქმიანობის ირგვლივ საერთოდ, და კერძოდ გურიაში.

მკვლევარი მიმოიხილავს აგრეთვე ქ. ლომთათიძის მოღვაწეობას ხარკოვში, სევსტოპოლში, ბათუმში, თბილისში, ბაქოში და ახლციხეში. გ. ციციშვილს მოაქვს შთელი რიგი

საბუთები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ჰოლა უოველთვის გამსჭვალული იყო რევოლუციური სულისკვეთებით, ირასოდეს არ კარგავდა და ცარიზმზე გამარჯვების იმედს.

როგორც ცნობილია, ჰოლა ლომთათიძე 1914 წლის ივნისში ეინდარმერის ზუღამხედველობის ქვეშ ჩაყავთ სარატოვში. იმისდა მიუხედავად, რომ ჰოლა აქ განიცდის დევნას, მაინც ახერხებს რევოლუციურ მუშაობას. სწერს სტატიებს, კავშირს აბამს ქართველ დარუს მწერლებთან. იგი სარატოვის პროლეტარიატში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. 1915 წლის 4 ნოემბერს ჰოლა გარდაიცვალა სარატოვში, მისი დასაფლავებისას მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაცია.

როგორც ცნობილია, ჰოლას მოღვაწეობის სარატოვის პერიოდზე დღემდე ცნობები არ მოგვეპოვებოდა, მკვლევარის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ დაძაბული მეცნიერული კვლევითების შედეგად, მან მოაყვალა რამდენიმე ახალ საბუთს, რომლებიც ახასიათებს სარატოვში ჰოლას რევოლუციური მუშაობის უკანასკნელ პერიოდს. ვარდა აზისა, როგორც სარგვენიო წიგნიდან ჩანს, მკვლევარს პირადი კონტაქტი დაუშვარება ჰოლას სარატოველ მეგობრებთან, და მათ მიუციათ მკვლევარისათვის ძვირფასი საბუთები.

ჰოლა ლომთათიძის პოლიტიკური მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მგზნებარე სტატიებსა და მოთხრობებში იგი ამხილებდა რევოლუციის მტრებსა და იბრძოდა პროლეტარიატის საქმიანობისთვის. მწერალი ამ გაფთრებული ბრძოლების პერიოდში თანდათან ჩამოშორდა მენშევიკთა ფრაქციას და ახლს მივიდა ბოლშევიკებთან.

ჰოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება ჩვენ გვაძლევს საინტერესო მასალას იმისათვის, რომ შევისწავლოთ ქართველ დარუს ხალხებს შორის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის საკითხები. ამ მიმართულებით წიგნში წარმოდგენილია მასალა, რომლებიც მტრეყველებს ქართველ დარუს ხალხებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე, ლიტერატურის, კულტურისა და ნაციონალურ-გამანათიესუფლებელი ბრძოლის საქმეში.

გიორგი ციციშვილი, „ჰოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება“, ლიტერატურა და ხელოვნება, 1946.

თეთონ კოლას მიწერა-მოწერა პქონდა რუს მიწრებთან მ. გორკისთან ლ. ანდრეევიან, და ვ. კოროლენკოსთან.

ავტორი არჩევს ჰ. ლომთათიძის მხატვრულ შემოქმედებას. აქ ჩვენ ვიკვებთ, რომ კოლა თავის შემოქმედებას პირველ პერიოდში (1901-1904 წ.) აქვეყნებს მცირე მოცულობის მოთხრობებს, როგორცაა: „დავითი“, „ცხოვრების გულადან“, „შეყვარებული“, „მატი“, „ბაღლი“, „დასაფლავება“ და ბევრი სხვა.

ავტორი ამ ნაწარმოებების ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზის შედეგად სამართლიანად ასკენს, რომ ჰ. ლომთათიძის პირველი პერიოდის ნაწარმოებები შეოცე საუენის დასაწყისის ქართული კრიტიკული რეალიზმის საყურადღებო ნიმუშებია, რომლებიც ამხილებდნენ ბიოკრტიზაზე დამყარებულ მთელ სოციალურ სისტემას. კოლა ლომთათიძე 90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება, რომელიც ავტორის დასკვნით ეგნატე ნინოშვილის გავლენას განიცდიდა.

მკვლევარს თვითველი მოთხრობა კარგად აქვს გაანალიზებული და მიჩენილი აქვს თავისი ადგილი. მოთხრობებში იგრძნობა მწერლის მხატვრული ხედვა, როგორც ამას შენიშნავს ავტორი, ექსპრესიულობა და განზოგადოებისაყენ სწრაფვა. „სახარობელის წინაშე“ ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, — წერს ავტორი, — მთელს ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც ასე ხელშესახებდა, ასე მკვეთრად აისახა 1905 წლის რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალის — პროლეტარიატის მებრძოლი სახე და მუშათა კლასის მოწინავე რაზმის რსდმპ-ს ტიპური წარმომადგენლის თავდადება (გვ. 234).

სარეცენზიო წიგნის ავტორი საყმაროდ ერცლად ჩერდება ჰ. ლომთათიძის შემოქმედების მეორე პერიოდზე, (1907-1915 წ. წ.) და ხაზს უსვამს ამ გარემოებას, რომ მწერალში სწორედ შემოქმედების მეორე პერიოდში გაითქვა სახელი. მკვლევარი წინა პლანზე წამოს-

წევს მოთხრობას „უბის წიგნიდან“, რომელშიც მწერალი ამკვლევნებს თავის რეცენზიო-ტიკურ, საზოგადოებრივ-ეროვნულ და მხატვრულ-ესთეტიკურ შეხედულებებს.

გ. ციციშვილი დიდ ადგილს უთმობს კოლას მოთხრობას „საპურობილეში“, რომელიც მწერლის ერთ-ერთი ყველაზე ერცელი ნაწარმოებია და სადაც მოცემულია ცარბზის დროინდელი საპურობილის რეალისტური აღწერა როგორც მკვლევარი მიუთითებს, კოლა საპურობილის თემას ამ ნაწარმოებში პირველად მიმართავს.

ამვე დროს, მკვლევარი იხილავს ჰ. ლომთათიძის რეაქციის დროინდელ შემოქმედებას, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კოლას ამ დროის ნაწარმოებებში იგრძნობა სვედა, გულკრტიზილობა, მაგრამ ეს არ არის დომინანტური, არც მისი პირად ფსიქოლოგიურ განწყობაში და არც მის შემოქმედებაში.

სარეცენზიო წიგნის ავტორი დაწერილებით არჩევს ისეთ ნაწარმოებებს როგორცაა: „უსათურა“, „პირველი მისისი“, „ჩენი დღიერი“, „თუთრი ღამე“, „აღრჩევა სელისა“, „უბის წიგნიდან“, „უბედური“, „მე კაცისა“, „მამასახლისი თუაქე“, „გზაში“, „მარინე მონაზონი“ და სხვა.

გ. ციციშვილის მონოგრაფიაში ბევრი საინტერესო, დღემდე ჩვენთვის უცნობი მასალა წარმოდგენილი. მაგრამ როგორც თვითონ ავტორი შენიშნავს, ეს მონოგრაფია მაინც არ იმკვია კოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველმხრივსა და ამომწურავ დახასიათებას. ჯერ კიდევ დღემდე არ არის აღმოჩენილი მწერლის მთლიანი არქივი, რომლის საფუძველზე უნდა გამოვლინდეს ჰ. ლომთათიძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, არ არის მიკვლეული ყველა პუბლიცისტური წერილი და ლექსი. იმედი უნდა ვაქონიოთ, რომ ჩენი მკვლევარი ვაგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით, და ამ მნიშვნელოვან წიგნს მიკვეება სხვა, ახალი გამოკვლევები.

სარკო თურნავა